



© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის  
სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 2015

Titsian Tabidze

© Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature  
Tbilisi, 2015

მისამართი: გიორგი ჭანტუიას ქუჩა 8  
www.literaturemuseum.ge  
ტელ.: +995 322 93 20 45  
info@literaturemuseum.ge

გამომცემელი

რედაქტორი

შემდგენელი

კორექტორი

ამკრეფი

დამკაბადონებელი

ფოტორეპროდუქციები

ყდა

**ლაშა ბაქრაძე**

**თეა თვალავაძე**

**ეკა გრიგოლია**

**მარინა ხუბულური**

**ელისო კალმახელიძე**

**ირინე ამირიძე**

**მირიან კილაძე**

**ფატი გაგულია**



ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის საქართველოს კულტურისა  
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემის დაფინანსებისთვის

დაიბეჭდა შპს გამოცემლობა სამშობლოში

ISBN 978-99940-28-39-9 (ყველა ნიგნი)

ISBN 978-99940-28-46-7 (პირველი ნიგნი)

# ტიცინან ტაბიძე

წიგნი I


ჰოეზია  
თარგმანები

ლიტერატურის  მუზეუმი  
Literature Museum

თბილისი, 2015



# ლექსები



13. 12. 51 Ջր. Ջր.

Այսպես ինքնուրույն... քաղաքի գոյության  
եղանակը ունենալու ցածր ցուցանիշներով.  
Իրականում բնակչության զարգացման  
մեծ մասը խոչընդոտված է ևս բացառաբար.  
Ընկերությունների քաղաքում առկա  
հիմունքները ևս չեն կարողանում ազդել.  
Ինչպես զարգացնել իրենց շահերը.  
Գնահատել շահերը ուղիղ ճանաչել  
և այդ նպատակները - զուգահեռ  
չեն կարողանում զարգացնել իրենց.  
Չգիտեմ զարգացնել "divergences"  
այսինքն ևս չեն կարողանում.  
Երևի, երբեք չեն կարողանում  
ևս քաղաքի և քաղաքի միջև.

1916. Երևան  
Ձ. Մ. Մ. Մ.

Երևան

## მუზას

დეე, იცინონ ბედნიერებმა,  
ედემათ აჩნდეთ ეს ბრმა სოფელი,  
მე კი არ ვითხოვ მხიარულებას,  
ჩემი სატროფოა შავი ნალველი.

ჟამს მას მიიმესა ცხოვრებაშია,  
როს კაეშანი გულს დაიბუდებს,  
შენი ჩურჩული, ნაზი ჩურჩული  
მხოლოდ ერთილა მე მასულდგმულებს.

მუზავ, ღვთაებავ! გემუდარები,  
ჩემთან იყავი, ნუ დამშორდები,  
თორემ არ ძალმიძს, მწირს მიუსაფარს,  
ავსულთ – ვისმენდე კვლავ უღვთო ხარხარს.

1909

*ქუთაისი*

## ის კი მზაკვრულათ ილიმებოდა

მარტოთ ვიყავი, მწარედ მოვსთქვამდი,  
ჩემს მარტობას, სულის ობლობას.  
ვსწყევლიდი სოფლის უკუღმა ტრიალს,  
მის სიდუხჭირეს, დაუნდობლობას.

თითქო შეეკრა ჩემთან კავშირი,  
ზეცაც ჩემსავით იცრემლებოდა,  
ორივ ვსტიროდით, ვაფრქვევდით ცრემლებს,  
„ის კი მზაკვრულათ ილიმებოდა“.

შავს სარეცელზედ, სიკვდილის მლოდე  
ვეგდე ბეჩავი, სული მხდებოდა.  
დამაშვრალ თვალთგან ცრემლები რბოდენ,  
„ის კი მზაკვრულათ ილიმებოდა“.

1909

*ქუთაისი*



## ყვავილი

გადამხმარს მდელოს, შემოდგომის პირს  
ჰყვავოდა უცხო ნაზი ყვავილი.

ჩუმათ მოსთქვამდა გულ-ჩათხრობილი,  
ნამის მაგიერ პირს ბანდა რთვილი.

ხედავდა, როგორ მისი მოძმენი  
ძილს ეძლეოდენ, სტოვებდენ სოფელს  
და ნაღვლიანი ცრემლებს აფრქვევდა,  
აკვირდებოდა რა გამხმარს ფოთელს.

„ალარ დაგინდობ, ჩაგკლავ, გაგაქრობ,  
შენი დღეები დათვლილი არი“ –  
უსისინებდა, არ ასვენებდა  
თავ-ზარ-დამცემი ბოროტი ქარი.

„შორს გადავსტყორცნე შენი მგოსანი,  
მის გულს მგზნებარეს ან მიწა ფარავს,  
ჩემი ხარ, ჩემი და სიკვდილისგან  
თვით ზესთა ძალიც ვერ დაგიფარავს“.

ესმის ყველა ეს ობოლ ყვავილსა  
და ცრემლები სდის უმწედ შთენილსა.

[1909]

\*\*\*

ნიავი დაქრის, ნაზი ზეფირი,  
დანამულს მდელოს თავზედ ევლება;  
ნაზი სუმბული, ეშხით დამთვრალი,  
მგოსანს ყურს უგდებს და იცრემლება.

ცისა ტატნობზედ მთვარე კაშკაშებს,  
გარს ახვევია ვარსკვლავთ ლაშქარი,  
თავს დასტრიალებს მიძინარ სამყაროს  
და ციურ ნანას უმღერს დამტკბარი.

მთანი მაღალნი, ცათ ასტყორცნილი,  
ჯანყში ხვეულნი ფიქრს მისცემიან  
და მშობელ მხარეს მცველათ, დარაჯათ,  
ვით გველვეშაპნი ზედ შემორტყემიან.

ყველა ნეტარებს, „დღით ფეთქავს რაცა“,  
მოლხენით არის „მინაც და ცაცა“,  
მხოლოდ ბუჩქის ძირს გულ-ჩათხრობილი  
კვნესის მგოსანი, ობლად შთენილი.

[1910]

## მელიტონ ჩოგოვაძის ხსოვნას

ბნელი ღამეა, ვით ფიქრი შავი  
ზღაზვნით მიმოვლენ ცაზე ღრუბლები,  
მარტოდ-მარტო ვარ, არ მესვენება,  
ვგოდებ და მოვთქვამ, ცრემლებად ვსდნები.

გადმოსწოლია სამყაროს ნისლი,  
ხევში ნაკადი მწარედ ქვითინებს:  
„სოფლით განილტვო, გამოიტირეთ!“  
ავი დემონი უღვთოდ ხითხთებს.

რად მიგვატოვე, საით წახველი?  
რად მიგვანებე ბედკრულნი სოფელს?  
მაგას ველოდით, განა ჩვენ შენგან  
რომ ასე მალე აგვალებდი ხელს?

მაგრამ ჩვენ ტირილს არ ვართ ჩვეული,  
და ბედის წერა ვერ შეგვაშინებს,  
შენგან დაწყებულ საქმეს განვაგრძობთ,  
დეე, თუნდ ბედი ნუ გაგვიღიმებს...

შორს სიძაბუნე! არ მინდა ცრემლი,  
ის არ მომკვდარა და არც მოკვდება,  
გულს ამჩნევია, არ წაიშლება,  
იმისი სახე, მისი ხატება.

[1910]

## მელოდია

მიყვარს მე ღამე, გულჩახვეული,  
როს ღრუბელთ გუნდი დაჩრდილავს მთვარეს,  
ოდეს ნიავე ჩუმად ქვითინებს,  
იდუმალობა მოიცავს არეს.

როცა ბულბული, სევდითა კრული,  
მგლოვიარე ხმით დაკვენესის სუმბულს,  
ნაზი ზეფირი ნანას უმღერის,  
თავზედ ევლება მდელოს დანამულს;

ნაძვი მაღალი, ჩაყვითლებული,  
ცად ატყორცნილი, როს ჩუმად სტირის  
და მარტოობას, მუდამ ობლობას  
გულჩათხრობილი ზეცას შესჩივის;

მაშინ სიმღერა მესმის მწუხარე,  
ხმა კაეშნისა ველს ეფინება  
და ჩემი ჩანგიც მოსთქვამს, ქვითინებს,  
აკვენესებული ცრემლებად სდნება.

მუდამ ტირილი ხვედრია ჩემი,  
ვაგლახ, დიდების არ ვარ მცნობელი;  
დაბადებიდან წილად მშთენია,  
ალარ მშორდება შავი ნალველი.

[1910]

\*\*\*

წყნარი ღამეა, დუმილი სუფევს,  
ცის კაბადონზე ძლივს მოსჩანს მთვარე,  
გარს ახვევია ვარსკვლავთ ლაშქარი  
და გზას განაგრძობს მჭვუნვარ-მწუხარე.

ანგელოზთ გუნდი ცაში მიმოფრენს,  
ძირს ჩამოისმის მათ სიმთა ჟღერა,  
ქებათა ქებას ასმენს შემოქმედს,  
უკვდავებაა მათი სიმღერა.

ნუ, ნუ შესწყვიტავთ სამღთო მუსიკას,  
გრძნობით დაუკათ დავითის ქნარი,  
ჩემ მოკლულ გულსა თუ გააცოცხლებს  
ისევ თქვენი ხმა, ნაზი, ნარნარი.

ოხ! რომ შემეძლოს – ბედკრულს ამ ჟამად,  
შემოუერთდე თქვენს ღვთიურ კრებას,  
მოვსწყდე ქვეყანას – ცოდვის სავანეს,  
სასიზმრო მხარეს გავყვე ოცნებას.

მაგრამ ამაო, ფუჭი ნატვრაა,  
ოცნება ისევ ოცნებად რჩება,  
გულის წიაღში მეფობს ნაღველი  
და სულს მიშფოთებს კვლავ მწუხარება.

[1910]

\*\*\*

ჰოი, ჩანგურო, ნეტავი ოდეს  
ხმა მხიარული შენგნით მსმენოდეს!

ნ. ბარათაშვილი

ჩამოვკარ ჩანგურს... ათრთოლდა სიმი,  
სამგლოვიარო გაისმა ჰანგი.  
ოჰ, ტურფავ! სწორედ შენმა ცრემლებმა  
მოაჯადოვეს ეს ჩემი ჩანგი.

ახლა სადა ხარ, რომელსა მხარეს,  
ნუგეშს რად არ მცემ ტანჯულს, მწუხარეს,  
და, ნუ თუ მართლა სიცოცხლითვე მკვდარს,  
მარტოდ მისტუმრებ შავ-ბნელ სამარეს?..

ვრცელი უდაბნო... ცრემლის ხეობა...  
ვდგევარ, მიკვნესის ობოლი სული,  
გულს კაეშანმა დაისადგურა,  
ჩანგიც ქვითინებს აცრემლებული.

ხარობს ბუნება, გალალებული,  
ცის კაბადონზე მთვარე კაშკაშებს,  
ვარსკვლავთა ხომლი ნელად ციმციმებს,  
მე-კი წყვილია მიბურავს თვალებს.

მარტოდ-მარტო ვარ, შენზე მლოცველი,  
ჩემ წინ განრთხმულა შავი სამარე,  
და მოკლულ გულის მწარე ჩივილსა  
კვნესით ბანს აძლევს სამშობლო მხარე!

[1910]

## ელეგია

ბნელი ღამეა. ცის კაბადონზედ  
არ მოსჩანს მთვარე, არც ვარსკვლავთ კრება;  
ქვეყნად არდილნი აღტყინებულან,  
ცა, მოღრუბლული, ცრემლათ იღვრება.

გადმოსწოლია სამყაროს ნისლი,  
ჩასძინებია ხევში ნაკადულს,  
გლოვობს ბუღბული, ხმა ჩაკმედილი  
და ცრემლები სდის მის სატრფო სუმბულს.

ნელი ნიავი ჩუმათ სისინებს,  
რიონიც გაჰყევს, გოდებს, დუდუნებს...  
სჩანს, რომ ნალველი შემოსწოლია  
და ან წარსულ დროს კვნესით იგონებს.

ცად კაეშანი გამეფებულა,  
ზლაზენით მიმოვლენ შავი ღრუბლები,  
კავკასიის მთას, ცაში აგრაგნილს,  
შავ-ფიქრთგან პყრობილს, მოსავს ძაძები.

სამშობლო მხარე, ვერანათ ქმნილი,  
მწარეთ ქვითინებს, კვლავ იცრემლება...  
ოხ! ღმერთო, ღმერთო! ამდენ ცრემლთ ფრქვევას,  
ნეტავ, საზღვარი არ დაედება?

[1910]

## ნუგეშათ დამრჩა ცრემლი მდულარე!!!

I

ტანჯვა-ვაებით, ცოდვით ნაშენი,  
ცვალებადია ცრუ ეს სოფელი;  
ერთხელ მეც მიდგა ჟამი შვებისა,  
გულს არ მილრღნიდა შავი ნალველი.

მაგრამ უბოლო – სხვა რაა ქვეყნად?  
გაჰქრა, ნავიდა, ვით მოჩვენება.  
უღვთოდ დაიმსხვრენ ოცნების ფრთები,  
დამეპატრონა სევდა-ვაება.

II

ერთხელ ჰყვოდა ჩემი მამული,  
თურმე კი უდგა მასაც ზაფხული;  
უმწეოდ ქმნილი, შვილთგან გმობილი,  
ეხლა ცრემლს აფრქვევს გულ-ჩათხრობილი.

ჩრდილოეთიდან სუსხავს ზამთარი,  
ვნების გრიგალი თავს დალრიალებს –  
რიონი, ჩუმათ ქვითინებს ჩვენი,  
ძაძა ჩაუცვამთ მთისა მწვერვალებს.

III

მეც მყავდა სატრფო! უჟღერდი სიმებს,  
ეხლა სადღაა?! ფარავს სამარე,  
მაგრამ ამ სოფლად არ ვარ ობლათა,  
ნუგეშათ დამრჩა ცრემლი მდულარე!

მასში ვადულებ მე სულის ტკივილს,  
მასში ვპოულობ თავდავინწყებას;  
ბედნიერი ვარ, თუ კი რომ ისიც  
ალარ შემუხრდა ჩემთვის განგებას.

[1910]



## მედიას სიმღერა

შუა ღამეა. ძრწის ქარიშხალი,  
ზღვა ბობოქარი კვნესის, ღრიალებს,  
სჩანს – პასეიდონ განრისხებულა  
და ადამის ძეთ წარღვნას უქადებს.

ზვირთი ზვირთს მისდევს, კლდეს ეხეთქება,  
ვერარას აკლებს, ზღვას უბრუნდება,  
მთა კი მაღალი, ცათ აზიდული,  
სდგას, ვით ტიტანი, ცას ებჯინება.

ვიცი, ახლოა ჩემთან სიკვდილი,  
თავს დამციმციმებს მისი აჩრდილი,  
მეც იმას ვეძებ... ოხ! მოდი, ტალღავ!  
გულში ჩამიკარ, ობლათ შთენილი.

არ მენანება, მინდა დავტოვო  
მცდარი, ამაო საწუთროება;  
სიკვდილი იყო ჩემთვის ცხოვრება,  
სხეულ შესხმული ამაოება.

ზღვისა წიაღში მოველი საფლავს,  
მხოლოდ იქ ვპოვებ თავ-დავიწყებას;  
ასე საბრალო, თუ ვიქნებოდი,  
გაუჩენივარ რისთვის განგებას?!

ჩემი ლტოლვანი ვერ დაიტია,  
მევიწროება ცრუ ეს სოფელი;  
სიკვდილს გეძახი, ნუ იგვიანებ,  
ჩემი თხოვნაა... უკანასკნელი.

[1910]

## დედავ ბუნებავ!

ბედით ტანჯული, სოფლით დევნილი,  
ურნმუნო ფიქრთგან ბოროტ-ლეღვილი,  
დედა-ბუნებავ! ჩემო ღვთაებავ!  
შენსკენ მოვიღტვი, უსასოთ ქმნილი.

ტანჯვა-ვაებას ველარ გავუძელ,  
სული მოითხოვს მშვიდ ნავთსაყუდარს,  
ვერ მივეთვისე ადამიანსა –  
სულ-მდაბალ მონას, უღმერთოს, მზაკვარს.

მიყვარს ეგ შენი მშვენიერება,  
უკვდავებისა გამომხატველი,  
ოდეს შენთან ვარ, რალას დამაკლებს  
გულის დამწველი, შავი ნაღველი?

ტანჯვათ სავანე არის სოფელი,  
ამაოება – ჩვენი ცხოვრება,  
მაგრამ მე შევებად ისიც მეყოფა,  
რომ თვით სამარე შენთან მექნება...

[1910]

## ძრწოდე, ვალტასარ!

დათვლილი არი დღე შენ მეფობის,  
თავს დაგტრიალებს სიკვდილი შავი,  
ძრწოდე, ვალტასარ... ახლოა ჟამი,  
გახვალ სოფლისგან, გშთანგოქავს საფლავი.

ოხ! უბედურო, მალე გოდებათ!  
შენ შეგეცვლება ტკბილი სიმღერა,  
არა რა არის უცვლელი ქვეყნათ,  
სიკვდილს გიმზადებს დღეს ბედისწერა.

შურსა იძიებს... შურს იელოვა,  
ველარ აიცდენ ბედის განაჩენს,  
უკვლოთ გაჰქრები და თვით შენ ფერფლსაც  
ქარი ღრიალით ველათ გააბნევს.

შემცდარი იყავ, ოდეს ფიქრობდი  
სოფლის ვაების ღვინოში ჩაკვლას,  
ამაო ცდაა... ვერვინ შესცვალოს,  
წინ ვერ აღუდგეს განგების ძალას.

ძრწოდე, ვალტასარ... მოდის კიროსი,  
ბაბილონისა ირღვევა ზღუდე  
და მის ლაშქარმა უნდა ამოფხვრას  
უღვთო მტარვალის ცოდვილი ბუდე.

[1910]

## მუზას

რა მემღერება! დე, მან იმღეროს,  
ვისაც უღიმის ბედნიერება,  
მე-კი არ ვიცი, რა არის შვება,  
შავი ნალველი გულს არ ეშვება.

ცათ კაემანი გამეფებულა,  
ძილი სწვევიათ მთისა მწვერვალებს,  
მწუხრის ზენარში გამოხვეული  
ხევში ნაკადი ჰგოდებს, ვალალებს.

სძინავს სამყაროს, ნისლით დაბურულს,  
გაუმჭვირვალე ღამეა ბნელი,  
აღტყინებულან საფლავით მკვდრები,  
დაძრწის, განგაშებს ძირს ბელზებელი.

ბოროტი ღიმილთ პირზედ სატანა  
განადგურებას უქადის სოფელს,  
რისთვის დასტოვე, მუზავ, პარნასი,  
რისთვის დაშორდი ღმერთთა სამყოფელს?

დასწყდენ სიმები... ჩანგიც მდუმარებს,  
ვერა, მონობას ველარ უმღერებს!  
ამაო არის, მუზავ! ღიმილი,  
ეპატრონება სოფელს სიკვდილი.

[1910]

## გასწი, დემონო!!

მუდამ მწუხარე, შვეების არ მცნობი,  
რწმენის საფლავთან სული ვალალებს;  
ავი დემონი პირზე ღიმილით  
არყოფნის უფსკრულს მას მიაქანებს.

ნუ დაისვენებ, გასწი, დემონო!  
ელვის სისწრაფით დაშორდი სოფელს,  
იქ ჯოჯოხეთში მოელის სული  
თავ-შესაფარსა და ნავთ-საყუდელს!

დეე, მოვტყუვდე ვით ვტყუვდებოდი,  
ჩემთვის პირველი ეს არ იქნება!  
ქვეყნად რა დამრჩა, რომ დავუბრუნდე?  
სულს ააშფოთებს თვით მოგონება.

სატრფო მლალატობს... სატრფო მაცდური,  
გარს მომახვია კაეშნის ბადე,  
დედა ცრემლს აფრქვევს... ოხ! ღმერთო, ღმერთო!  
ასე საბრალო რისთვის დამბადე?

გასწი, დემონო! – გაშალე ფრთები,  
სადაც შენ წახვალ, მეც იქ მოგყვები!  
ნეტა, სად არის არყოფნის კუთხე,  
ჩემი ედემი... ჩემი სამოთხე.

[1910]

## მგზავრის სიმღერა

(მიბაძვა გეტესი)

ცათ კაეშანი გამეფებულა,  
სძინავს სამყაროს, ნისლით დაბურულს,  
შავი ძაძები ჩაუცვამს მყინვარს,  
მალლა ატყორცნილს, ცად აყუდებულს.

ჩემი ქვითინი, მოთქმა, გოდება  
არავის ესმის, არ ეყურება,  
სევდა-ნალველმა დალიეს გული,  
მარტოდ-მარტო ვარ, არ მესვენება.

ოჰ! ზენაარო! მითხარ, როდემდის  
ვიდოდე მწირი მე უსაფარი,  
დავილაღევი ცხოვრების გზაზედ,  
არ ძალმიძს ვზიდო წამების ჯვარი?

მეგობრის აღერსს არ ვარ ჩვეული,  
მუდამ თან დამდეგს შავი ნალველი,  
ალთქმის ქვეყანა კიდევ შორს არი,  
რწმენა-იმედის ჰქრება კანდელი.

მშვიდობას ითხოვს... მშვიდობას სული,  
სოფლის ვაებით ანატირები.  
ნუ, ნუ დამმარხავ ასე სიცოცხლით,  
მომხედე ბედ-კრულს, გემუდარები!

[1910]

## მწუხარება

ჩავიდა მთვარე... ჩაჰყვნენ ვარსკვლავნი,  
ძაძა მოესხათ მთისა მწერვალებს.  
ბნელა გარშემო... სული მჭეუნვარებს,  
დასწყდა სიმები, ჩანგიც მღუმარებს.  
კიდითი კიდე, ვით რიდე გლოვის  
მეფობს დუმილი, გულის დამწველი;  
გარინდებულა არე მწუხარე,  
ჯოჯოხეთშიაც სდუმს ბელზებელი.  
ნაძვი მაღალი, ცად ატყორცნილი,  
აღარ ინძრევა... აღარ ქანაობს,  
შავი ფიქრებით გარემოცული  
იზნიქება და ნაქცევას ლამობს.  
მტკვარი დუდუნით ტალღებს აგორებს,  
გულ-ჩათხრობილი ჰგოდებს, ვალაღებს,  
დასტირის „ჩანგსა ქართლოსის მსხვრეულს“,  
მხარეს უმწეოს, გავერანებულს.  
ეს ჟამი არის – ჟამი გლოვისა,  
მდელოს ცრემლით რწყავს, მოსთქვამს მგოსანი,  
ჰსურს, მღულარ ცრემლით გამოიტიროს  
სოფლის ვაება და კაემანი.

[1910]

## მადონნას სიმღერა

ჩემსკენ მცხოვრებო... ენდე ვარსკვლავებს,  
აქ არ იციან, რაა ნალველი,  
სულს ასხივოსნებს, სულს აცისკროვნებს  
უკვდავებისა სახე წითელი.  
ფრთას შლის სილაღე... შორს სივარდაზე,  
საფლავს დამარხეთ ნალველის სახე,  
ზეცად ელტვოდეთ, ზეცად სიყვარულს,  
ის მოგცემთ კაცთა შვებას სიხარულს.

მწუხრის ზეფირი, მთათა მწვერვალებს  
ვნებითა აგზნებს, უკოცნის კალთებს.  
სძინავს ეთერსა... ვარსკვლავნი ჰკრთიან,  
ზეცად მცხოვრებო, შენ გეძახიან.  
მარადისობა მტკიცედ სდარაჯობს,  
აქ მეფედ არის მშვენნიერება,  
ზეცად ილტვოდეთ... ზეცად მოგიხმობს  
სულის სილაღე... უკვდავი გზნება.

[1911]



## მგზავრის სიმღერა

### სონეტი

ცოდვის სავანეს დაეშორდი – სოფელს,  
სული მშვიდობას უდაბნოთ ეძეს,  
მაგრამ თანმსრბოლსა კაემან-ნალველს,  
ვაგლახ! რომ სული ვერც აქ იშორებს..  
ვით სალამანდრა სიყვარულის ცეცხლში ვინვები,  
მაგრამ ოხ! კიდევ რომ არ დავინვი!  
გულის სიმღერა ხომ ვიმღერე, მაშ, რად არ ვკვდები?  
ცავ, შენ გაფიცებ, შენ შემოგჩივი,  
მაგრამ ვის ესმის მწირის გოდება,  
უდაბნოდ ცრემლი ტყვილად იღვრება.  
სთვლემს ცა მდუმარე... ქვეყანას სძინავს,  
სატრფო შორს არის, სატრფო ნალველი;  
უფრო ის მტანჯავს, რომ მისი ცრემლი  
არ დაეფრქვევა მის მგოსნის საფლავს.

[1911]

## ჩემი სიმღერა

საფლავის ხმაზედ მოთქმა, გოდება  
მოსწყინდა სულსა ცრემლით განბანილს.  
აღთქმის ქვეყნისკენ მიჰქრის ოცნება,  
ჯალათს დიდების ვამარცხებ სიკვდილს.  
აღახვეთ ბჭენი... ბედის კარები!  
მოვა თავადი ძლევის დიდების,  
მოეხსნა ლტოლვას არწივის ფრთები,  
ვპოვე სავანე ბედნიერების...  
აღარ მაშინებს ჩურჩული ღამის,  
ან თვით მევე ვარ მეუფე ჟამის,  
ან თვით მეფე ვარ ბედის მჭედელი,  
წყვდიადში გაჰქრა სევდა, ნალველი.  
მოსწყინდა სულსა მოთქმა, გოდება,  
უკვდავებისკენ მიჰქრის, მიილტვის,  
ზეცას უამბობს, გადაფრინდება,  
თუ სოფლად ხალხი როგორ იტანჯვის,  
აღახვეთ ბჭენი... ბედის კარები,  
მოვა თავადი ძლევის დიდების,  
მოეხსნა ლტოლვას არწივის ფრთები,  
ვპოვე სავანე ბედნიერების...

[1911]

## სევდის სიმღერა

როს დაბინდდება და შავ-ბნელი მწუხრი ღამისა  
ცოდვილ ქვეყანას თავს ევლება, გულში იხუტებს,  
ნელი ნიავი სევდიანი ასული მთისა  
ეამბორება ცათ აზიდულ მთასა მწვერვალებს.  
ცის კაბადონზედ როს მჭუნვარე მთვარე ანათებს  
და შავ ღრუბლებში გახვეული ჰკრთება, კანკალებს,  
როცა გრძნეული ცის სივრცეში ჰანგი მისწყდება,  
სატანას ქნარზედ არე მწარედ აქვითინდება.

მაშინ სიმღერა მე მომესმის სადღაც მწუხარე!  
სიმღერა ჩუმი, სევდიანი და მგლოვიარე,  
გულის წიაღში სწვდება ეს ხმა სულთ ქვითინებას,  
მუდამ ობოლი ობლობასვე მოსთქვამს, ვალალებს,  
ოხ! რარიგ მიყვარს ეს სიმღერა ნალვლიან ხმაზე!..  
ამ სამარის ხმას კაეშნიანს ვერ გავცვლი სხვაზე,  
მაგრამ ვისია ნეტა ეს ხმა ან გულს რად ხვდება,  
სატრფო-მეგობრის, თუ იმღერის ვასრკვლავთა კრება?..

[1911]

## სერენადა

გაზაფხულია, ხარობს ბუნება!  
ფრთას შლის სილაღე... ვიშ, აღტაცება!..  
სულისა სარკვე! წამომყევ, წამო!  
იქ მზეა მეფეთ... ხარობს მიდამო!..  
ზეცას ჩამოვხსნი სხივთა პირბადეს!  
გვირგვინს დაგინწავ, ვნებით ამოვექსოვ.  
მე მსურს, მიყვარდეს... მე მსურს, მიყვარდეს!  
ტანჯვის ფიალას შევსვამ, ამოვსწოვ...  
მე მსურს, მიყვარდეს... მე მსურს, მიყვარდეს!..  
სულს ელიმება შორს უკვდავება –  
გზა ცხოვრებისა უნდა გათავდეს!..  
მარადისობას შეუერთდება!  
სახემიხდილი –  
მოკვდა სიკვდილი,  
სულს ჩამოშორდა კაეშნის ბადე...  
წამომყევ, წამო!..  
ხარობს მიდამო!..  
მიეყრდნე ჩემს მკერდს! მე მსურს, მიყვარდე!

[1911]

## ჰანგი ახალი

I

სულის დემონი, სულის სატანა,  
არყოფნის ღამეს თან გაჰყვა თანა,  
ტანჯვის სამყოფელს დაეშორდი სოფელს,  
ცოდვის სავანეს, სულის შემხუთველს.  
ზეცამ მომიხმო სოფლად ტანჯული,  
მადონნას თმები ჩანგს მოექსოვა,  
ზეცად წარვიღე უკვდავი სული;  
დავსტოვე სოფლად გოდება, გლოვა.  
ვარსკვლავთ ციმციმი, მთვარის ღიმილი  
შვების მგოსანსა მიმკობენ ჩანგსა;  
შვების ჯალათი დავგმე სიკვდილი,  
და სოფელს ვეტყვი მე სულ სხვა ჰანგსა.

II

ოხ! ვისაც ჩემებრ დაგწვიათ გული,  
შხამსა გასმევდათ ცხოვრება მწარე,  
შემომიერთდით, ხელი მომეცით,  
შურის ძიების დაუკრათ ჰანგზე.  
ცეცხლში გაჰქრება სოდომ-გომორი,  
კერპთა სადგური იწვის გომონი,  
ზღვევის გრიგალი, გმირთა საფლავებს  
სოფლად მოუხმობს, ასვლას აფიცებს.  
აღსრულდა უკვე, რაც იყო თქმული,  
საფლავით აღსდგა შურის ძიება,  
აღარ მომკვდარა უკვდავი სული,  
ზღვევის კოცონი გულს არ ნელდება!  
ზღვამ შეინახა მაშვრალთა ცრემლი,  
ზეცამ აზიდა ყოფნის ნალველი,  
ეხლა კი ზღვევის ჟამი დამდგარა,  
მებრძოლთ მოუხმობს მგოსნის ნალარა,  
უძლეველია მებრძოლთ ლაშქარი,  
სამგლოვიარო ჩამოვკრათ ზარი!

[1911]

## სიჩუმის ანგელოზი

სძინავს ტყეში პანს... სთვლემს ცის ეთერი,  
ზეფირს ეხვევა ყვავილთა მტვერი...  
ნეტარი ძილით სდუმს არემარე,  
ვით მყუდროების ცივი სამარე.  
მოაქვთ ანგელოზთ ზეცით სიამე...  
ცისა მშვენებას სდარაჯობს ღამე.  
ოცნების ფრთებზე შენ გთვლემს და გძინავს,  
საბნათ ოცნება მგოსნის გახურავს.  
ნუ გაიღვიძებ, ისევ გეძინოს...  
მგოსნის თვალებით ცრემლმა იწვიმოს.  
მიყვარს მე, მიყვარს შენი დუმილი,  
და თუ მგოსანი ვით იტანჯება,  
იდუმალ გზნებით სული ვით ხდება,  
მას ნაგჩურჩულებს გრძნეული ძილი.

[1911]

## ქებათა ქება

### 1

ავსცილდი საზღვარს... ავსციდი სევდის მთებს,  
შვების მგოსანი ვენდე ჟამის ფრთებს...  
ზეცად მიმაფრენს დღეს აღმაფრენა,  
სულს დაობლებულს ეწვია ლხენა.  
მე მზის შვილი ვარ სოფლად მოსული,  
მე მზეს უმღერი ქებათა ქებას.  
ალარ მოკვდება უკვდავი სული,  
სანამ ტყვედა ჰყავს მშვენიერებას...  
ცეცხლი მიმღერის... გესმისთ თქვენ ნანა?..  
– იყავ დემონი, იყავ სატანა!..

### 2

რაც შენდებოდა, ხომ დაინგრევა!  
უძლეველია ძალა რღვევისა.  
ნაღველი საფლავს ისევ ემთხვევა,  
უფსკრულს აშინებს ხმა, ხმა ზღვევისა.  
შორს ჩემგან სევდა, შორს ჩემგან ცრემლი,  
წყვედიადში გაჰქრეს ურვა-ნაღველი!..  
შვების მგოსანმა ცრემლი არ იცის,  
მხოლოდ მზისა წილ მსხვერპლათ დაიწვის.  
ცეცხლი მიმღერის... გესმისთ თქვენ ნანა?  
– იყავ დემონი, იყავ სატანა!..

### 3

არ შემიბრალა, ცეცხლში ვიწვოდი,  
ვეფიცებოდი ტყვილად სიყვარულს,  
დავადე გრძნობას საფლავის ლოდი,  
დღეს სხვა ცეცხლი სწვავს გულსა აგზნებულს,  
ალარ არსებობს ჩემთვის საზღვარი,  
შვების სიმღერას რა შეედაროს!..  
საგაზაფხულოდ მოვმართე ქნარი,  
რღვევის ჰიმნს ვეტყვი ეხლა სამყაროს,  
ცეცხლი მიმღერის... გესმისთ თქვენ ნანა?  
– იყავ დემონი, იყავ სატანა!..

[1911]

## სასაფლაოზე

### ნანყვეტი

აქ მოიტანეს, მოიტანეს ის განთიადზე,  
ცხოველი ცრემლი არ დაღვრილა მგოსნის საფლავზე,  
ის უცხო იყო ყველასათვის და ყველა მისთვის,  
ვის რა საქმე აქვს, რომ მღეროდა ის ჰიმნებს მზისთვის?  
იყო, იმღერა... და ვით ყველა, საფლავს შთავიდა,  
მოკვდა მის ხსოვნაც... განა ბრბოსთვის არის რამ წმიდა?  
მაგრამ სიკვდილსაც, შავ სიკვდილსაც აქვს გაზაფხული,  
საფლავის მტვერშიც მზეს უმღერებს პოეტის სული.

[1911]



## ადონაის

### სონეტი

ნუ განმიკითხავ მე, უფალო, ცოდვილს, უბედურს.  
რომ ვმსახურებდი სულს მაშფოთარს, მას ვუგდებდი ყურს...  
ბევრი ვიტანჯე, არ ვიცოდი – რაა ნუგეში;  
დიდხანს ვატარე ღვთის სახითა გველი უბეში...  
ვინც ტანჯვას იცნობს, შენ იმისგან ელოდე ქებას –  
შვებაში მყოფი ხომ სოფლათვე ქმნის ძირს ღვთაებას!..  
ვინცა ჩემსავით ყველაფერი მოკლა, დამარხა –  
სისრულით მხოლოდ მან გინამა, მან დაგინახა...  
არ ვიცი, რისთვის მესიზმრება მე მკვდარი მხარე...  
არ იქნა – სევდას ველარ მოვსწყდი, ვერ გავეყარე...  
ყველგან წინ მიდგას ცრემლის კუბო, წადილთ სამარე...  
შენდა მოვედი, ადონაის, შენდა მოვედი!..  
განა არ მეყო, რაც მცარავდა მე უღვთოდ ბედი?  
წარმოუვლინე სულს მშვიდობა, დახსნის იმედი...

[1911]

## მედეა

### სონეტი

*ი. გრიშაშვილს*

ნუ მომაგონებთ შვეების გაზაფხულს,  
ჩემთვის დალუპულს, ჩემთვის დამარხულს!..  
ვინ განმიახლებს დამჭკნარ გვირგვინებს?  
ვინ დამიბრუნებს იმ ნეტარ დღეებს!..  
უცხო მხარეში სული ღონდება:  
ჩემი მამული მომაგონდება...  
ვაგლახ! ჩამოსჭკნა ალერსის ბალი –  
მკვდარს არ მიმიღებს მშობლის წიაღი...

სტიროდეთ მეფის აეტის ასულს,  
ერთხელ უცოდველ კოლხეთის ქალწულს,  
უცხოთა შორის, უცხო მხარეში –  
ის ცოცხლათ შთავა ცივ სამარეში,  
და იქაც ძვლები შიშით იძრწოლებს,  
მამულის წყევლას რა გაიგონებს...

[1911]

## გოდება

ვწყევლი სიცოცხლეს, ოცნებაცა მძულს,  
მიველტვი კუბოს... ვსწვავ ჩემს გაზაფხულს...  
ვის ძალუძს მითხრას – რაა ნუგეში?  
მარქვით, რამ ჩაკლას გველი უბეში?

რა შეაკავებს მომსკდარ ჯოჯოხეთს?  
რა დაანყნარებს შურისგების ღმერთს?..  
ღღეთა დარაჯათ დადგა დემონი,  
ტანჯვა-წუხილში მიჰქრიან დრონი.

სულო, სტიროდე სატრფოს გველობას,  
პირველ სინმინდეს, უცოდველობას...  
სულო, სტიროდე თასს, ჯერ დაუცლელს,  
ნეკტარისა წილ რომ ხედავ შიგ გველს...

რად არ წაიღებს ნეტა მას ზეცა,  
რაც სავალალოდ მისგან მომეცა?  
სადა აქვს ყოფნას ბოლო, საზღვარი?  
როდის გამოხრავს ჩემ ძვლებს აფთარი?..

ველტვოდი მზესა, ვეძებდი ნათელს...  
ვერ მოვწყდი სევდას, ვერ მოვწყდი ნალველს...  
რომ ბოდვა არის თვით სიყვარული,  
აშკარათა გრძნობს ცოდვილი სული...

კუბოთა შორის სატანა ცეკვავს,  
შურის-ძიებით სახე უელავს...  
ღღეთა დარაჯად დადგა დემონი...  
ტანჯვა-წუხილში მიქრიან დრონი.

[1911]

ახალი ათონი

## შემოდგომის ღამე

ეძინება მთებში ნიავს, ეძინება მთის მწვერვალებს  
და ყრუ ხევში ნაკადული ეუბნება ღამეს ზღაპრებს...

ძილის კალთა გადეფარა, ძილის კალთა მდუმარ სოფელს,  
ფასკუნჯის ფრთა გამოესხა, ფასკუნჯის ფრთა სევდის ნაღველს...

ეძინებათ ზეცის ციაგთ, ეძინება მთის მწვერვალებს,  
მხოლოდ ძილი შორს გაურბის, დამამშვრალი მგოსნის თვალებს.

სული გოდებს, სული მოსთქვამს, ჟამთ სიმწარე აყოლებს ბანს...  
რა ჩაფერფლავს გულში ვნებას, რა გაადნობს ჩემს კაეშანს?!

სულო სწორო, ნუ დამტოვებ უთვისტომოთ, მარტოთ-მარტო:  
აბა, რა ვქნა მე უშენოთ, ან ფიქრი ვის განვეუმარტო?..

[1911]

## ოცნების ფრთებზე

*Отецъ, отецъ! нельзя ли*

*Миръ зажечь мечтами?*

*„Царь Гоголь“. Л. Андреевъ*

ვიშვი, გარდვიქმენ, ვეძებ უხილავს,  
ლტოლვას არა აქვს საზღვარი, კიდე;  
მოვხიე სულსა სევდის გაროზი,  
მოვხიე სულსა გლოვისა რიდე.

ოცნების ფრთებზე დასვენებული  
ბედისგან აღთქმულს მიველტვი კუნძულს;  
ჟამი ვერ ჩაჰკლავს სულისა გზნებას,  
ჟამი ვერ ჩაჰკლავს ყოფნის გაზაფხულს.

სალამს მიძღვნიან შორეულ ქვეყნის  
მაღალი მთები, მიწა და ცანი;  
რამ შეაჩეროს ოცნების რაში,  
რამ შეაჩეროს ლტოლვის მერანი?..

ველარ აცოცხლებს სულს სინამდვილე,  
მისთვის გაუბრბის, ეძებს სასწაულს;  
ჟამი ვერ ჩაჰკლავს სულისა გზნებას,  
ჟამი ვერ ჩაჰკლავს ყოფნის გაზაფხულს.

[1911]

## Nocturne

*დღუნად ს. აბაშელს*

ღამეა, ღამე. კოლხეთის მთები,  
როგორც გეტერა, სდგანან ტიტვლები.  
მწუხრის ნიავი ვნებიან ზღაპარს  
ეჩურჩულება მძინარე მთაბარს,  
სიჩუმე სტირის მარტოობისგან,  
სიჩუმე სტირის ამ ნათელ ღამეს.  
სულმა, ვით გასძლოს, რომ არ იტიროს,  
რა მოიგონებს წარსულ სიამეს!..

კოლხეთის ღამე, სამშობლო ღამე,  
ჩემ სიყვარულს რომ ურწევდა აკვანს,  
ისევ შემცქერის სევდით თვალებში  
და წარსულ დღეთა მომითხრობს ამბავს.  
მოღლილ მაშვრალ სულს ფრთები ესხმება.  
დაჭრილ გედივით დაჰყივის წარსულს.  
სურს, საფლავიდან გამოუძახოს  
ადრე დამარხულ გრძნობის გაზაფხულს.

დავინწყებია, რომ დროთ ნიაღვარს  
გამეორება არაფრის უყვარს.  
დავინწყებია, რომ სატრფოს ალერსს  
ანი სატანაც ვერ განაახლებს.  
კოლხეთის ღამე... სამშობლო ღამე,  
ჩემ სიყვარულს რომ ურწევდა აკვანს.  
ისევ შემცქერის სევდით თვალებში  
და წარსულ დღეთა მომითხრობს ამბავს...

[1912]

## სერენადა

*ძღვნათ ი-ს*

კვალად მოცოცხლდა სული მგზნებარე,  
ოდეს დაღვარა ცრემლი მდულარე!..  
ცრემლი საზდოა სიყვარულისა,  
ცრემლი შვებაა მაშვრალთ სულისა...  
ილხენდე, სულო! რა არის სევდა  
გაზახულისა დღესასწაულზე?..  
მოკვდა ის გველი, გესლს რომ ანთხევდა  
ჩვენს ყვავილებზე, ჩვენს სიყვარულზე...

ზამთრის სიცივემ გიჟური ვნება  
ვერ გაანელა, ვერ გააცივა...  
კუბოდან აღსდგა ბედნიერება –  
ცას სიყვარულის ცრემლები სცვივა!..  
მეჯლისობს დილა, ხარობს მიდამო!..  
ჩვენც შევუერთდეთ: წამომყევ, წამო!..  
დაუგდე ყური მგოსნის ოქროს ქნარს,  
დაუგდე ყური ვნებიან ზღაპარს...

ზამთრის ღამეში სიზმრათ გხედავდი,  
შენს ახლოს ყოფნას... ტრფიალს ვბედავდი...  
არ შევუშინდი ფინთ ზამთრის ღამეს,  
ნუთუ მომაკლებ ახლა სიამეს?..  
ნუ შემიყვარებ, იყავი მტერი...  
შენი ხედვითაც ვარ ბედნიერი!..  
არ ვიცი განა, რომ მინის ვნება  
შენს უმანკო სულს არ მიუდგება!..

[1912]

## მკვდარი ლეგენდა

ტკბილმა ოცნებამ დიდხანს მაჯერა,  
რომ ვიპოვიდი ქვეყნად სამოთხეს;  
მაგრამ მოვტყუედი – და ბედისწერა,  
ვიცი, მიმაფრენს არყოფნის კუთხეს...  
„გუშინ“ არ მახსოვს... „ხვალე“ გავს უფსკრულს...  
რაა ცხოვრება?.. მკვდარი ლეგენდა!  
სტიროდეთ ჩემს სულს, ცოცხლად დამარხულს,  
გაუხარებელს... დედილო, დედა!..  
ოხ! რისთვის იყო ჩემში ის რწმენა?  
რისთვის მჯეროდა მე სოფლად ლხენა?..  
ჩემი ცხოვრების ყვავილი ნაზი,  
ჯერ გაუშლელი, ტურფა, ლამაზი,  
გრიგალის ფრთებმა უღვთოდ დანენა, –  
ოცნების სიმნი დაგლიჯ-დალენა...  
რაა ცხოვრება? – მკვდარი ლეგენდა!  
ჩემს დამარხულ სულს სტიროდე, დედა!

[1912]



## მაინც ის მიყვარს!..

ნუ, ჩემო კარგო, ნუღარ მეტყვი, ვითომ მიყვარდე...  
ვერ მოაშოროს მაგ სიტყვებმა სულს სევდის ბადე...  
ტანჯვა აკლია, ტანჯვით გაზდილს ჩემს უბედურ სულს...  
ის ბოდეა იყო, რომ ვეძახდი უნინ სიყვარულს...  
სხვას ნახავ, ქალო, ბედნიერსა, ჩემს სამშობლოში:  
ბედნიერებას რა გამოლევს მის მიდამოში!..  
ის შეიყვარე, ის გაიგებს მხოლოდ შენს ალერსს...  
რა საერთო აქვს, მარქვი, შენთან ჩემს მწუხარე ლექსს?!  
ნუ, ნუ იმღერი! ვერ ავიტან მე გიტარის ხმებს...  
ხედავ, გაცოცხლდა, დავინწყების რაც მივე ტალღებს:  
ვერ ნაუშლია ჯერ ის გრძნობა ჟამის ნიაღვარს...  
ტყვილა ვცთილობდი – დამევიწყა: მაინც ის მიყვარს!..

[1912]

## შემოდგომის ღამე

შავი ღამეა, ცა გლოვობს,  
ძაძა მოუსხამთ მაღალ მთებს,  
ჭმუნვით მტირალი გრიგალი  
დაჭრილ მხეცივით ღრიალებს.

ხან ფანჯრებს მოუკაკუნებს,  
ხან მწარე ქვითინს მოჰყვება:  
„მამა, მამილო! მითხარი,  
სად არის ნეტავ დედაო?

მახსოვს, პატარას, როს ქარი  
ქვითინსა დაინწყებდაო,  
მე შიშით ვთრთოდი, ვტიროდი,  
მანუგეშებდა დედაო.

და ეხლაც მახსოვს ის ნანა,  
ის დედის ტკბილი ხმებო...  
მამა! სად არის დედილო,  
მითხარი, გენაცვლებიო?“

ჩაჰკითხავს ბავშვი მამასა,  
და როცა პასუხს მიიღებს,  
თავს ჩაჰყოფს ბავშვი ქვითინით  
და ქარი მწარედ ბანს აძლევს.

*სექტემბერი, 1912*

## დამიბრუნეთ...

რაა სიცოცხლე მთისა არწივის,  
თუ კი ვერ ხმარობს თავის ამაყ ფრთებს!..  
ზღვისა ტალღები უიალქანო  
ნავსა დაამტვრევს, გაატიალებს...  
რა არი სული უსიყვარულოთ,  
თუ არ უდაბნო მუნჯი და ვრცელი.  
სული სიმშვიდეს ვერ ეგუება,  
სურს სიყვარულის დრტვინვა, ნაღველი...

გაფიცებ, ცაო, დევის ნაფეხურს,  
ვარსკვლავებისა ცეცხლის ნიაღვარს,  
კვლავ დაუბრუნე სულს სიყვარული,  
სიყვარულითვე ოდესღაც დამწვარს.  
კვლავ დამიბრუნეთ მე წარსული დრო,  
ჩემი სიგიჟე, ბავშობის ბოდვა,  
სული სამოთხეს რომ შეხაროდა,  
როს წმიდა იყო, წმიდა თვით ცოდვა!..

[1913]

## სევდის ღამეში

მწუხარე ღამით, სევდის დუმილში  
მეჭიანურის ჩამომესმის ხმა,  
მეჭიანურე მოსთქვამს იმაზე,  
ტრფობის ყვავილი თუ როგორ გახმა.  
შავი ფიქრების, შავი გრეხილი  
შემოექარგა ჩემდა მაშვრალ სულს,  
დავინწყებული ადგენ აჩრდილნი  
და გაეღვიძა დამარხულ წარსულს.  
მე კი მეგონა, რომ ყველაფერი  
დავინწყების ლოდს ამოვაფარე,  
მე კი მეგონა, წარსული გრძნობის  
საიმედოა გულის სამარე.  
რა გინდა, ქალო, რად არ მასვენებ?  
ერთხელ ხომ გათფი ჩემ სიხლით გველი.  
შენ გამატანე სულის მშვიდობა  
და აწი ალერსს არვისგან ველი.  
– განა არ გეყო მსხვერპლი ესდენი,  
გაფიცებ, ქალო, ჩამომესხენი!..  
მისი ლანდი კი მაინც იცინის,  
თავისკენ მიხმობს, ალერსს მპირდება;  
გულმაცა იგრძნო გრძნეულის ჯადო  
და საბუდეები აღარ ჩერდება.  
მეჭიანურე კვლავ ისე უკრავს,  
ღამის სიბნელეს შექვეითინებს ხმა,  
და ნაღვლიანსა მოუთხრობს ამბავს –  
ტრფობის ყვავილი თუ როგორ გახმა...

[1913]

## ლურჯი ედემი

ყრმობის სამოთხე... წმიდა სამოთხე,  
პირველი კოცნა, შეხვედრის უამი.  
რუხ ფრთიანმა დრომ მოგვდვა ლაგამი,  
გაუნმიდურდა სინმიდის კუთხე,  
პირველი გრძნობის კუბო-სამოთხე!..

მანც არ მჯერა, ალერსის ბალი  
ჩამომხმარიყოს, ველარ აყვავდეს;  
მაშინ ცხოვრება საფლავს აგავდეს,  
თუ დაგვავინყდეს ბავშობა ლალი!..  
მჯერა, მწვანეა ალერსის ბალი.

ვნების გრიგალი დაგვნივის თავზე,  
ნებივრობს, ტანში იცინის ცოდვა,  
ცეცხლად იმლება სიგიჟის ბოდვა.  
როგორც აფთარი გათხრილ საფლავზე,  
ვნების გრიგალი დაგვნივის თავზე!..

მაგრამ რა მოკლავს პირველ სიყვარულს?!  
სული არ იწვის ვნების კოცონზე,  
მანც ვოცნებობთ ბავშობის დროზე,  
მიველტვით მწვანეს ბავშობის კუნძულს;  
რა მოკლავს გულში პირველ სიყვარულს?..

მწვანე ედემი, ლურჯი ედემი,  
ბავშობა ლალი, თავისუფალი,  
პირველი გრძნობის უმხელი ალი...  
ისევ წინ გვიძღვის იმედის გემი,  
პირველი გრძნობის ლურჯი ედემი!..

[1914]

\*\*\*

ნელი მუსიკა სიბნელეში შეჰქვითინებს ცას,  
გაუკითხავსა და ტყვიისფერს ჰყვედრის რალაცას.  
სიყვარულისა, სიყმანვილის მიდიან დღენი,  
დაკეტილია სიცოცხლის და სიამის ბჭენი;  
რა ვქნა, რა ვუყო, გევედრები, მარქვი, მითხარი,  
ცივია, მკვეთრი სასაფლაოს სიკვდილის ქარი.  
ცა მოღრუბლული, სევდიანი, ცა დასერილი,  
ისე აფრქვევს მნუხრს, როგორც შავი გლოვის წერილი.  
მიყუჩდება ხმა და მუსიკაც უფრო ნელდება,  
ნისლში ქალწულის სილუეტი გაინაკვებება;  
სოველ მინაზე დაემხოზა, აქვითინდება;  
ამდენი ტანჯვა, მოლოდინი კიდევ იქნება?

*თებერვალი, 1915*

*მოსკოვი*

## მასკარადში

თვალი ბნელდება, გარეშემოს კი ნათელი სწვავს,  
მენამულ კაბათ ხავერდის სუნს დარბაზი სუნთქავს,  
ჭიანურის ხმაც ამ საღამოს უფრო მწუხარებს,  
და ჯერედ უცნობს თვით ჩემთვისაც მიშლის იარებს...  
იყო... წავიდა... მოგონებაც არ მაგონდება,  
შეუცნობელი კი ფართხალობს სულში ზმანება.  
რომ მკითხოთ ახლა, მე რა მინდა, რის ლოდინი მკლავს?  
თვითონ არ ვიცი, რა დავარქვა ამ ტკბილს, უხილავს...  
წარსული მოკვდა... მომავალის ღიაა კარი,  
მაგრამ შორს მოსჩანს შეფუთვნილი სუდარით მკვდარი.  
ჩემი სულიცა რუხ დილაზე მოკვდა ობოლი,  
წარსულ იმედთა ეკუბოვა მიმქრალი ბოლი,  
ეროვნულ ცეკვას აჩვენებენ აქ უცხოელებს.  
ჭყვივის ჭიჭყინა, მოსთქვამს ზურნა ველურ სიმღერებს,  
სიკვდილის ქარად მე იგი ხმა წამომიქროლებს,  
რეკვიემია ეს რომ ჩემი, ვინ დაიჯერებს!..  
და მაგონდება მე ვაშლის ხე მაისის თვეში,  
თეთრ ყვავილებით რომ ვაგებდი ეზოში ლოგინს,  
აღარ დაბრუნდეს ან იგი დრო ჩემ სიცოცხლეში,  
აღარ დაუნყებს სული ჩემი საყვარელს ლოდინს!..  
თვალი ბნელდება... გარეშემოს კი ნათელი სწვავს,  
მენამულ კაბათ ხავერდის სუნს დარბაზი სუნთქავს,  
რომ შეაშფოთონ მათ მოწყენა, მუნჯი და მკვდარი,  
ჩემ რეკვიემად დაფა-ზურნის მოისმას ზარი...

[1915]

## ქალდეას სიზმრები

მწველი ოცნებით ვკოცნი ნაკვალევს,  
ვიგონებ მიმქრალ ქალდეას სიზმრებს,  
მოგვ წინაპართა სული გვავალებს,  
არ გავეყაროთ დამწვარ ქიმერებს...  
ძველი სახება საქართველოსი  
საუკუნეთა ვუალში ჰკრთება.  
სიზმართ კოცონმა დასწვა ქაოსი,  
აღმოსავლეთი ცეცხლით ინთება.  
ცისა ლაჟვარდი რძით დაიცვარა,  
დევის ნაფეხურს სდევს სხივთ კამარა,  
და დიდ უდაბნოს გაცხელებულ სულს  
ღმერთმა კალთები გადააფარა...  
ისმის სიმღერა ძველი იმედის...  
ისმის სიმღერა დამღუპველ ბედის...  
უდაბნო ისმენს, უდაბნო მკვდარი...  
უდაბნო – ცხელი სიზმრით დამდნარი...  
– ტიგროს, ეფრატი გირწევდა აკვანს  
და კუბოს გირწევს რიონი, მტკვარი,  
ძველ აღთქმის სიტყვა საფლავს ჩაატანს –  
ჟამია, აღსდგეს ელეაზარი.

[1915]



## მგოსნის სონეტი

ყველა მოკვდება... ყველა გაჰქრება,  
საქორწილოსაც გაგვხდიან საცმელს,  
საფლავის მტვერი დაეფარება,  
ჯერ გადაუშლელ გრძნობის კრეტსაბმელს.  
ვინ გაიხსენებს, ჩვენ რო გვიყვარდა,  
ან ვინ გაიგებს, ჩვენ რო ვცხოვრობდით?  
არყოფნის ღამის დაგვფარავს ფარდა,  
არყოფნის ღამე გვეტყვის: „მშვიდობით“.

მგოსნის სონეტი მოვა საფლავზე,  
მტვრიან და ძველი ნიგნით ამდგარი,  
მოვა და მწარედ აქვითინდება,  
როს შეაშფოთებს ტირიფს შტოს ქარი.  
დაუნყებს ტირილს განვლილ ცხოვრებას,  
გამოუტანელ სიზმარივით მკრთალს  
და შეავედრებს დამწვარ მგოსნის სულს,  
ყოვლის გამკითხავს ზენაარ უფალს.

[1915]

## თეთრი სიზმარი

საქართველოთ ვინ არ დამწვარა,  
ან ვინ არ სტირის საქართველოზე,  
უძილო ღამემ ცრემლით დაჰღვარა  
წარსულ დიდების დაღვრემილი მზე.

ბევრი ვიტირეთ... ბევრი ვატირეთ,  
გარდავიქმენით სისხლის მდინარედ,  
ცრემლებითა ვრწყავთ სამშობლოს ჭალებს,  
სულს ჩვენვე ვაცმევთ მწუხრისა ძაძებს.

დღესაც საკუთარს მისდევთ ჩვენ კუბოს,  
სასაფლაოს გზა რად არ იღევა!  
სივრცე არ არი, რომ დაიგუბოს  
სასო მიხდილი მუქარა, წყევა!..

თეთრი აჩრდილი მისდევს ჩვენს კორტეჟს,  
თეთრი აჩრდილი – თეთრი მადონის.  
გზა არ იღევა... თუმც მენამულ მზეს,  
აჰა, საცაა ზღვა დაინონის.

მივდივართ ასე შორეულ გზაზე,  
ვარსკვლავნიც ჩვენთან გლოვობენ ცაზე,  
სტირის ზარნაშო... ჰკივის აფთარი,  
შავი ნალველის გვცემს შავი ქარი.

მადონა, სატრფო, გკოცნი დალალებს,  
ჯვარ-ცმული ერის მადონა დედა.  
სად დავისვენებთ, სად დავანყობთ ძვლებს,  
გემუდარებით – გვითხარი, დედა!..

[1915]

## შორეული

ნუ მოხვალ ახლო, იყავი შორი,  
სიშორის ორმოს ავაკსებ სევდით;  
მთელ ქვეყანაზე მარტო ვართ ორი,  
ქვეყნის დასასრულს ორი შევხვდებით.  
სად შემიყვარდი, რად შემიყვარდი?  
მე არ ვკითხულობ, არ მსურს გაგება.  
შენ გაუშლელი ტანჯვის ხარ ვარდი  
და ჩემი სულის ეკლად დაგება.  
შენი სიშორის მიმაფრენს ქარი  
და სურნელების ნვიმა მანვიმებს;  
ანგელოზი ხარ თუ ჯადოქარი,  
ნაიღე სული, არ დაგამძიმებს!  
დამწვარ ოცნებას, დაფერფლილ ფიქრებს,  
ჩახლეჩილი ხმის ქებას დახეულს,  
და აწითლებულ ველურ ქიმერებს  
კუბოდ დაგინწავ ძვირფასს, შორეულს!..

[1915]

## პრინცი მაგოგი

ჩემთან მოვიდა ნოემბრის ჭინკა,  
ხელში მას ღვინის ეჭირა ჭიქა,  
იზმორებოდა... და მოკლე ყბებით  
მეკითხებოდა: ხომ წამომყვებით?..  
სად დავდიოდით, მე ეს არ ვიცი,  
დავძრწოდით, როგორც დამფრთხალი კვიცი.  
სიჩუმე რაშით უკან მოგვზღვედა,  
სიჩუმეს გულში ეხუტა სევდა.  
ჭალარა სჩანდნენ ველები, მთები,  
დალღილი ღმერთის მომტყდარი ფრთები;  
მინა ზეცას თუ ცა მინას გლოვდა,  
მხოლოდ ნაღველი შავად მოსთოვდა.  
ბუს ხმას აძლევდა მოთქმით ღამურა  
და სანნახელზე შემჯდარი ტურა.  
მინას გაკვროდა კენტავრთა ჯოგი,  
აქ იყო მეფედ პრინცი მაგოგი...

[1915]

## ჩემი წიგნი

არ ატირდება ჩემს ლექსებზე ქალწული ქალი,  
არ გაულიმებს თანაგრძნობით მწუხარ სტრიქონებს;  
გადირბენს თვალი დაბნეული, ზარმაცად მალი,  
სასტიკი გული დამწველ სიტყვებს არ მოიგონებს.

ჩემი ლექსები სხვა წიგნებზე, სხვა წიგნთა გვერდით  
მარტო იქნება, როგორც მარტო მე ვიყავ ხალხში.  
ზოგს ვარდი სუნთქავს, მორთულია ზოგი ხავერდით,  
ჩემი წიგნი კი გახვეულა სულ მტვერის თაღში.

მაგრამ ვინ იცის, იქნებ ელის მას მეგობარი,  
რომელმაც იგრძნო სიღარიბე სიტყვის სევდისთვის,  
იქნებ იმასაც აწვალედა გრძნობა ამგვარი,  
რომ დიდი სევდა გაემხილა თრთოლვით სხვებისთვის.

და, როგორც მკვდარი, გავაცოცხლე მე ქალაქები,  
ჩემს მოკლულ გულსაც გაუჩნდება გამცოცხლებელი,  
ატირდებიან სახელები, ჩემგან ნაქები,  
და მარადობის საუკუნოდ მე ვარ მხლებელი.

1915

## პარკში

ლამდება, მწუხრი ზოზინით მიდის,  
პარკში მუსიკა უკრავს ბერლიოზს.  
– ვერ გავიგონე, ხვალე თუ როდის?..  
რას იმანჭები, სთქვი, ქალო, ბოლოს!

მკვირცხლი სიცილით იცინის ქალი  
და ეს სიცილი ღამეში სცურავს;  
სატროფო საყვარელს ეძებს დამფრთხალი  
და მოლოდინში გულს ღხენით სწურავს...

– აუ, აქა ვარ, – კივის ჭრელკაბა, –  
გამოუჩქარე ფეხს, ბარემ, აბა!..  
ელვა ელვარე, გიჟი გეტერა,  
მუსიკამ ვნებით აასიმღერა...

ვზივარ და ვფიქრობ, არ ვიცი, რაზე...  
მიყვება სული ხმებად ბერლიოზს,  
და ბალაგანის გახსენებაზე  
ვიგონებ ვერლენს, რემბოსა და ბლოკს!..

1915

## ნოემბერი

გაყვირებულა, შეხმობია ფოთოლი ჭანდარს,  
მელამურები ევლებიან თავზე ძველ საყდარს.  
მიმფრინავ წეროთ სევდის მღერა ატირებს მდელოს  
და შემოდგომა თეთრ ზამთრისას სვამს სადღეგრძელოს.  
გალმა ქარიშხალს თავისთავიც არ ეცოდება,  
ველურ სიმღერის ველურ ცეცხლში ინვის, ცოფდება.  
მწუხრის ჟამისას შეეპარა სულს კაეშანი,  
მწუხრის საღამოს ეფარება ნისლის საბანი.  
გამოილოცა უკვე მამამ... შაბათი არი  
და თეთრ წვერებზე თითქო მოსჩანს ლოცვა დამდნარი.  
დაბნელდა, თვალი გარეშემო ვერაფერს ხედავს,  
კუდიანივით ქარიშხალი მიდამოს სწენავს.  
ქარვის ტალახში ეფლობიან მიძიმედ ფეხები,  
ყვითელ ფოთლებში მე ვიხრჩობი და ვიმარხები.

[1916]

## ცისფერ თვალეზა

მგონია, თითქო ბრბოდან გამოვა  
ლამაზი ქალი ცისფერ თვალეზა.

გ. ტაბიძე

ასარგადონის შენ ხვეენა გწვავდა  
და მუშკამბარით ნაზელი ტანი,  
ტბაში ლოტოსის ყვავილსა ჰგავდა,  
ცოდვის საწოლი – იყო აკვანი.  
სასტიკი ომის საყვირი მოსთქვამს,  
კოცნის ისარი გასროლილ ისარს,  
სიკვდილის წინეთ შენზე ფიქრი კლავს  
მონას, მეომარს, ამაყ სპასალარს...  
ვინ იტყვის, ახლა სადაა ტანი,  
რომელი მიწა ფარავს სარკოფაგს,  
ასეა ჟამი – არვის გამტანი,  
ასეა ჟამი, არავის ზოგავს...  
და დარჩა ქვეყნად ცისფერი თვალი,  
ციცინათელად დაფრინავს ღამე,  
მაზე ლოცულობს პოეტი მთვრალი  
და ორივესთვის არის სიამე.  
და დიდხანს ივლის ცისფერი თვალი,  
ბევრი მგოსანის დახუჭავს თვალეზს,  
თვის მარტოობით თვითონ დამფრთხალი  
სხვის მარტოობას ღმერთს შეაბრალებს...

[1916]



## გრიგოლ რობაქიძეს

ბაღდათის, ტირის, გააცოცხლე ძველი ოსტატი,  
მორჩილი ხელი კალავს მტკიცეთ დაუტეხელ ლალს,  
ტიტველ სირენას და მოთენთილ მადონნას დალალს –  
ყველაფერს იტევს შენი ლექსი მოანდამანტე.

ბრინჯაოს ცხენით შემოგხვდება ტოლივით დანტე,  
შუადღის სიცხეში გაალებულს მოგისმენს დამთვრალს,  
ჟონგლერებივით გადაყურებთ ვარსკვლავთ კარნავალს,  
ქვეყნების ბედებს დააფარეთ შეგნების სალტე.

ქაოსის ბოდვა... და უდაბნოს ყვითელი თვალი,  
დაცემის ორმო და აღდგომის თეთრი მწერვალი,  
შენი ლექსია გაციებულ პლანეტათ მარში.

დიდების ცეცხლი მარად გინთებს სამეფო კარავს,  
გამარჯვების მზეს უბედობა ველარ დაფარავს,  
ძმას და მეგობარს მაამაყებ მელექსეთბაში.

1916

*მოსკოვი*

## ნიგნიდან „ქალდეას ქალაქები“

I

### Ars Poétique

ჰაფიზის ვარდი მე პრუდომის  
ჩავსდე ვაზაში.  
ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის  
ბოროტ ყვავილებს.  
და რაც შემხვდება, გამაჩერებს  
შორეულ გზაში,  
ჩემ ღვრია ლექსში დაისვენებს  
და დაიჩრდილებს.  
გრძნობის სიჭარბე მომეტებით  
გრძნობას ამკრთალებს,  
უვნებო ვნებით მინდა ვსწვავდე  
ვნებიან მკლავებს  
და ჩემი ჩანგი სირცხვილიდან  
დაიმტვრეოდა,  
თუ გიტარაზე მისი ლექსი  
მოესმებოდა.  
ვიცი, რომ მოვა საყვარელი,  
ვისაც მოველი.  
ვიცი, რომ მოვა სილამაზე  
დაუთოველი.  
მეც წაუკითხავ და ვუმღერებ  
ჩემ ქალდეაზე.  
ჩამავალი მზის გაგვაბრწყინებს  
მწუხრი სინაზე.  
ვუცქერ გულგრილათ წარმოდგენას,  
ვსტირი ანტრაქტებს.  
დავიწყებული ძველ სიტყვების  
ვგრძნობ ანდამანტებს.  
და თუ არ ამყვა ხმა სამღერი,  
გაშლილი, ლალი,  
უხმო ბულბულსაც დამაფასებს  
ქართული ბალი...

## II

გრძელი, შორი გზა და ოცნება  
უსაზღვრო გზებზე,  
მზის სიცხოველე, მზით მოთენთა,  
სიმღერა მზეზე.  
ჩემში სტირიან წინაპარი  
ბრძენი მოგვები,  
დანგრეულ კიბეს მე ვაშენებ,  
უკან მივყვები.  
ძველი სიტყვები დაფიცების –  
დავინყებული,  
ძველი ქალაქი – დღეს ნაცარი,  
უნინ ქებული,  
ძველი ქალდეა წვავს ოცნებას  
და ეძახის სულს,  
ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ  
დიდებულ წარსულს...  
გამობრწყინდება სიდონისკენ  
მიმავალი გზა,  
თეთრ უდაბნოში გაიშლება  
საკურთხეველი.  
რომ სთქვას სიმღერა, ჩემი გული  
უკვე არი მზათ,  
მბრძანებელ ჩრდილთა მოწოდებას  
მხოლოდ მოველი.  
მარტო ვიქნები, მარტოობას  
წინადვე ვსტირი,  
მაგრამ ამასაც არ შეუკრთება  
გვიანი მწირი.  
მესმის – მეძახის, ვხედავ – მხედავს,  
ვიჩქარი, მივჰქერი.  
ძვირფას საფლავებს როგორც ქორი  
დაფრინავს ფიქრი.  
გრძელი, შორი გზა და ოცნება  
უსაზღვრო გზებზე,  
ჩემი საფლავი ძველ ქალდეას  
იქნება მზეზე.

### III

გრძელია ჟამი, ღვდელთმსახურობს  
რაც ჩემი გვარი,  
ვინ დათვლის წირვას, რაოდენი  
გამოიყვანეს.  
ეხლაც ეზოს წინ დაღვრემილი  
მოსჩანს ტაძარი,  
ეს გერბი არი, ამაყ მგოსანს  
რომ დამიხატეს.  
ლოცულობს მამა... მწუხრის ლოცვას  
მუნჯათ ვუცქერი,  
ფსალმუნი სულში შეფრინდება,  
დაიმარხება.  
შავ ანაფორას მენამული  
გადაკრავს ფერი  
და ვხვდები ეხლა, თუ ქალდეა  
რათ მენატრება.  
ყვითელ სანთელზე მაგონდება  
მე მზე ბრწყინვალე,  
მზის სადიდებლათ აზიდული  
დიდი ტაძარი.  
ზვიად ქვის სვეტებს თითქო ადნობს  
ჰანგი მხურვალე,  
და მღერის მაგი, ვინც რომ ჩემი  
დაიწყო გვარი.  
ასე ადიდა წინაპარმა  
ასტარტა მწველი,  
ღვთისმშობლის ქება ეხლა მამის  
ასველებს წვერებს,  
არ დალეულა ჩვენ მოდგმაში  
ჯერე მლოცველი,  
გადახდილ წირვის დათვლა თვითონ  
ღმერთს დააბერებს,  
წინაპართ ჩრდილნო, არ დაგწყვეტო გულს  
ჩამომავალზე.  
მე მაბეზღებენ, რომ მხედავენ  
ჯერ ასე ყრმა მშვიდს.  
და თუ ველარ ვსთქვი ლიტურგია  
მე თავის თავზე,

ქვეყანას მაინც გადაუხდი  
ერთხელ პანაშვიდს...

#### IV

და მე ხანდისხან მეჩვენება,  
ვითომ სამყარო  
ბალია დიდი, დაწყველილი  
და შხამიანი.  
მძიმე მხედარნი, შუბლშეკრული  
და უაბჯარო,  
მოჭქრიან: რემბო, ჰერედია,  
ემილ ვერხარნი.  
თითქო შეცდომით შემიყვანა  
ვილაცამ ბალში  
და შიშით ვხედავ გიგანტის ჩრდილს,  
მიმფრინავ მხედარს.  
ულონო, სუსტი, ავტირდები  
პატარა ბავში  
და თან მრცხვენია, ვიხედები,  
ხომ არვინ მხედავს.  
როგორ აბრუებს დამწველ შხამით  
ყვავილები სულს,  
თითქო მორბიან გიჟი რბენით  
აქ კენტავრები.  
ცხელი უდაბნო უფრო ცხოველ  
უძახის წარსულს  
და ცას ეწვება, როგორც ძველ სახლს,  
ცეცხლში ყავრები.  
ვინ მომიყვანა, ვინ შემიშვა  
ამ ბალში ბავში?  
დამწვარ ქალაქის ვინ აუშვა  
ჩემ სულში ბოლი?..  
რად ისვრის გრძელ ჩრდილს მიმფრინავი  
ამ მხედრის რაში,  
უდაბნოში ვარ, მაგრამ რაა  
ეს მწვანე მოლი?..

*ზამთარი, 1916*

*მოსკოვი*

## ავტობორტრეტი

უალდის პროფილი... ცისფერი თვალები,  
სარკეში იმალება თეთნულდი ინჭანტა.  
ღლიავის დაკოცნით მალე ვიღალევი,  
მწვავენ ტალღები, თმებმა რომ დაფანტა.  
მასსენეს ელოდენ დათლილი თითები,  
ჯირითს რომ ელიან ფეხმარდი ცხენები.  
სხვანაირ მუსიკის დღეს მბანენ ზვირთები,  
ძვირფასათ ვირთვები ლექსების ხსენებით.  
აზიურ ხალათში – ფაშა ექენდი,  
ვოცნებობ ბაღდადზე – მოლლილი დენდი.  
ვფურცლავ მალარმეს „Divagation“-ს.  
იყავი, რაც გინდა, შავი, საცოდავი.  
ცხოვრებავ, ხელში მაქვს შენი სადავე,  
რომ ჯოჯოხეთი სამოთხეთ გაქციო.

*ნოემბერი, 1916*

*მოსკოვი*

## პიერო

აყვავებულა გაზაფხული ზაფხულად ბაღში,  
ვარდი თუ უფრო ნითელია – თორემ არ მკრთალობს,  
და ათრობს ისევ გამოცდილი ძველი ტოლბაში,  
ძველი აშიკიც სიყვარულზე სალტომორტალობს.  
იყო ბესიკი, საიათნოვა, თეიმურაზი..  
ამაყ პატრონებს მოელიან მცველნი კარებში.  
დამშვიდდი, სულო, სამუდამოდ გადაირაზე,  
საწყალ პიეროს გზა დაებნა უცხო მხარეში...  
სიზმარი თუა – სიზმარია მხოლოდ ჩვენი დღე,  
მეფობს წარსული... ძველ ჩრდილებს არის აქ ბინა.  
სტირის პიერო: კოლომბინა, ახ, კოლომბინა!..

[1916]

## ქატმან-ხათუნ

ჩემ სულს ასარკებს მოგონება ცხელი წარსულის,  
ქატმან-ხათუნი ელანდება ძილშიც ხარბ თვალებს.  
მიყვარს ეს ლანდი მაშინაც კი, როცა მანვალებს,  
შეიძლებოდეს დაბრუნება ნეტა წარსულის.  
მუტრიბ მომღერალთ ისმის ქება აქ სიყვარულის,  
ალიონამდე კოცნის ქატმან ავსებულ ყანნებს  
და კუროების ქარავნები ამტკვერებენ გზებს,  
ელიან ნახვას ნდომისაგან ფერ გადასულის.

არ დაიღლება მისი ტუჩი კოცნით არასდროს,  
სულსაც მიინდობს, რომ ლალატით შემდეგ დაღადროს.  
მისთვის ერთია ჩაჩნაგირი და ავთანდილი.  
ქატმან, ოცნებით სცხოვრობს სული შენ ცხელ საბანში,  
ის შენი ტყვეა, როგორც თაგვი სინის ხაფანგში,  
ის ქედანია ავ ძერასთან ომ გადახდილი.

*იანვარი, 1917*

*მოსკოვი*



## ბალაგანის მეფე

...და ვიცი მე, საიდან მოვედი,  
რომელი ქვეყნის ცხელი მზე მწვავდა.  
მე დიდი მყავდა წინამორბედი,  
წინამორბედი მაცხოვარს ჰგავდა.  
და რომ ვერ ვმლერი, როგორც მე მინდა,  
თანამედროვეთ კი არ ვედრები,  
მე ძველი მახსოვს ალთქმები წმიდა  
და დავინყებულ ღმერთს ვევედრები.  
ვარსკვლავთ ჟონგლერის, პოეტის, მაგის,  
ვიგონებ ქებას, მაღალს, შორეულს,  
როს რესტორანში გამოღვიძებულს  
მეძავი მაბნევს გადამხმარ ნარგიზს.  
ჰკივის ორკესტრი ხმა ჩახლეჩილი,  
ზარხოში ზანგი ბარბაცებს, ცეკვავს,  
მეც შერცხვენილი, ჩამოგლეჯილი  
მივდივარ, როცა მსახური რეკავს.  
...და ბალაგანის მოვკვდები მეფეთ,  
რალაც მეფური იყო ჩემ სულში,  
დაგვიანებულ ხმათ შემიერთეთ  
თქვენ, ვინც მღეროდით ღმერთზე წარსულში...

*2 თებერვალი, 1917*

*მოსკოვი*

## პეტერბურგი

კუნძულებიდან მოჰქრის ქარი დაუდგარი,  
ანვება ქუჩებს ყუმბარების ცეცხლით გადახრულს.  
თუ სცივა ვინმეს, როსკიპების ხროვას გადამთვრალს.  
ჩრდილთა ლანდებში მიდის ლანდი თვითონ ედგარის.  
ჯერ არ ყოფილა შებრძოლება ასე მედგარი,  
ასდის სიმყრალე შინელების გადამთვრალ მაცრულს,  
რეცხავს მოიკა მატროსებისს გვამებს ჩაყურულს,  
თუჯის მხედარსაც უბნელდება გული ბედქარი.

ვინ გამოუშვებს, ვინ დაიჭერს, ვინ დააკავებს?  
ჭაობის ნისლში ნისლის ოფლი გამოდის მკლავებს,  
მოიგონებენ და იტყვიან ლენინის სახელს.  
გასიებული ძირს ეშვება ჰოლანდიელი,  
სნეული ჭინკა, დაბლა უყეფს ანდრეი ბელლი  
და უერთდება პეტერბურგი ქაოსის ნახველს.

*25 ოქტომბერი, 1917*

## ვანქის ტაძარი

ვანქის ტაძარი... ძველი ნაირი,  
სულს მოგონება უფრო ამძიმებს.  
ჩემი ქალდეას მოსჩანს ნაპირი,  
ვარსკვლავით შეშლილს ვხედავ ძვირფასს ძმებს.  
წინაპრების წინ სანყალ პიეროს  
თუ არაფერი მიუტანია,  
დღეს კოლომბინით იბედნიეროს,  
შენთან რომ შლიდა ის მეტანიას.  
თუ ჩვენი წყვილი ჩაჰქრა სანთელი,  
ვერვინ ჩააქრობს ლექსის კელაპტრებს.  
ვიხეტივალვებთ – გადამთიელი  
გზების სიშორე სულს გაააფთრებს.  
ტოლი ჯამბაზი, მხოლოდ გაუშვით –  
მერე ცხოვრებამ, რაც უნდა, ის ქნას,  
ერთი თუ იმას უხდის პანაშვიდს,  
მეორე მაზე ამოდის ბუქნას..

6 იანვარი, 1918

ტფილისი

## ქალდეას ბალაგანი

ჩემი სამშობლო, საქართველო სხვა თეატრია,  
ბევრი მინახავს ხეტიალში მე თეატრები.  
გახუნებული მისი სული ბევრმა ათრია,  
მაგრამ ელვარე მზე სხივებით არ ეხატრება.  
ვხედავ, მოდიან ზღვა ლანდებათ ბრძენი მაგები,  
მიმი, ჟონგლერი და დროგები აქტიორებით.  
არ მეშინია ძვირფასებთან სულის წაგება  
და ძველ პიესას მე ვთამაშობ განმეორებით.  
იყო თამარი და ძვირფასი მისი სამება,  
ამაზე იტყვის საქართველო მატინანებით,  
მხოლოდ შენ ტანჯვას, კოლომბინა და შენ წამებას  
პიეროს მეტი არ იტირებს სხვა დანანებით,  
ვერ ნახავ რაინდს, ჩემზე უფრო რომ უერთგულოს  
შენ წამებულ სულს, კოლომბინა, შენ ტუბერკულოზს...

2 აპრილი, 1918

ბორჯომი

## 2 აპრილი

ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი...  
ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი.  
ყვითელ სატურნის უბედობით ავით გამხდარი –  
პიეროს სულიც საქართველოს კუზათ დახრილა.  
უახლოვდება საუკუნის მას მეოთხედი,  
ჰგონია, თითქო საქართველოს წინ დაიბადა.  
საბედისწერო წუთს ელოდი, წუთო, მოხვედი..  
პიერო წუთით წითელ ქუდში გაგარიბაღდა.  
თავზე დამნათის ჩემ ქალდეას ყველა ვარსკვლავი.  
ვანქის ტაძართან სალოცავათ მივედი მარტო,  
მაშინ ტფილისმა კომმარების გამიშვა მკლავი,  
განვლილ ცხოვრებას ეშაფოტი რომ აუმართო.  
საკუთარ თავის და სამშობლოს ახალ შერცხვენის  
ტანჯული ფიქრით სამუდამოთ მოვიქანცები.  
ახ! მეგობრებო, ჩემი სული ჭვარტლია სხვენის,  
ცრემლით სავსეა ჩემი წილი „ჩვენი ყანწების“.  
მხოლოდ თქვენ იცით, რისთვის მტანჯავს ასე ტფილისი,  
მისი სიბერე, მრუდე სახე და სიფილისი...

*აპრილი, 1918*

## ვალერიან გაფრინდაშვილს

შენი ოცნება მოიხარშა... გოიას ქვაბში,  
აღარ სცილდება დაბნელებულ ძველ ესკურიალს.  
მწარეთ განამებს ბალახვანი, როგორც გურიელს,  
ლამის მხედარო, ანთებულო ღამეთა წვაში...  
შენ შეიყვარე ოქელია, აღარ სცვლი სხვაში,  
ვიცი, რომ უფრთხი გაგიჟების სხვა ქარის ტრიალს,  
მაგრამ სადავე შენი ლექსის დახრის დარიალს,  
ახალო მოსე... პოეზიის მენამულ ზღვაში.

დუელში მოკლულ ორეულთა დადევნი გორი,  
ლოტრეამონის მაინც გებრძვის შენ მალდარორი,  
მეც შენთანა ვარ, ამ ბრძოლაში ვინ დამაკავებს...  
უკანასკნელი დაისების ცეცხლში აღდები,  
მეც თავს დამნათის ჩემ ქალდეას ცეცხლის კალთები,  
მაგრამ სახელი პოეტების უფრო გვაბრმავეებს...

*აპრილი, ბზობა, 1918*

*ორპირი*

## ღვდელი და მალიარია

ძველი ორპირი. დანგრეული სანაოები.  
ენყება მთვარეს ხაშმიანი ცხელების სრესა.  
მამის ოლარზე ობობების ქსელი მოება.  
ღამეა თეთრი და თეთრია ქალდეას მესსა.  
ძველია თემა: გიჟი ღვდელი და მალიარია.  
ატირდენ ერთად ბაყაყები დამშრალ ფშანებში,  
თითქო ახველებს ჭლექის ხველით Misse Lea Lee-ს,  
თითქო ყანჩები გაერიენ ფარშავანგებში,  
მიბორგავს მთვარე: ყვითელ საბანს მისასრიალებს.  
ძველია თემა: გიჟი ღვდელი და მალიარია.  
ვარსკვლავით შეშლილს უსახო ძმებს სალამი ღამის,  
მიყვება სული დავიწყებულ სატურნალიებს,  
ჩემთვის სამშობლო სახვევია მშრალი ბალღამის,  
დანყველილ მინდვრებს მოუმზადებს მშიერ კალიებს.  
დისერტაციას დავამზადებ მე ამ საგანზე:  
ყვითელი თვალი მონგოლების და სააკაძე.  
ძველი ორპირი, დანგრეული სანაოები.  
ქალდეას ზეცა ამართული ეშაქოტივით.  
მონომანისთვის აღარ არის სხვა სათნობა,  
რომ დაჭრილ სულის გადითვალოს ყველა ნაფოტი.  
ბედის ვარსკლავი საქართველოს მართლა მკვდარია,  
რეკვიემივით ისმის ეხლა ყველა არია.  
ძველია ტემა: გიჟი ღვდელი და მალიარია.

*ოქტომბერი, 1918*

*ტფილისი*

## ორპირის სეზონი

ორპირი ლპება, როგორც ლეში ლევიატანის,  
რიონის ფშანებს აედევნენ გძელი ყანჩები.  
მოილუნება ჩემი სული – წნელი ლაქანის,  
მხოლოდ ყანჩები – ჭაობების მჭლე ლამანჩები.  
ჩამორჩენილი ბაყაყები მღვრიე ბუშტებში,  
იმათაც სცივათ ამონგრეულ ნოყო ბუდეში.  
მოაქვს ოქტომბერს გაცივება, სურდო, ანთება  
და დილიყანსით აქ სეზონი ჩამობრძანდება.

პირველი სიტყვა საქართველოს, ქება სამშობლოს,  
დღეს იმერეთის მდარე ღვინოც დამათრობს ბოლოს.  
სცივა ქვეყანას, როგორც ზამთრის ნაგვიანებ კრუხს,  
თუ დამიჯერებთ, ჩემი სული მარტო ამას სწუხს.  
ლოტრეამონის მოლდარორი – უშნო გომბეშო  
კოსმიურ ტალახს დასტიროდა ჩვენ ორლობეში.  
ყველა პანთეონს, თუ მერგება, თვითონ დიდუბეს –  
მე ისე ვარჩევ ჩემ ორპირის გამომპალ უბეს...

*აპრილი, 1919*



## ბირნგამიის ტყე

ბირნგამიის ტყე.. ქალდეას ჩრდილი,  
ლორდი პიერო მოღუნულ კუზით.  
ლედი მაკბეტი პერანგ გახდილი  
გადამთვრალ სტუმრებს მუხლებზე უზით.  
მოჰყავთ არტური ავადმყოფ ჭინკებს,  
მონყვეტილ ფეხით ჭიანურს უკრავს.  
თავის მკლელები ავსებენ ჭიქებს  
და ულოცავენ ამაყ მოურავს.  
ყვითელ მაღაელს მისდევს პაოლო,  
ფარშავანგების შემოჰკრა ალყა.  
და ოქელიამ თვალი მოავლო,  
ვალერიანმა ჰამლეტს გაარტყა.  
სდგება ტაძარი სახრჩობელაზე  
ფანტასტიური და ეიქელი,  
არვის ვენდობი, მაგრამ ყველაზე  
უფრო მანვალებს სინაზით მერი.  
და კოლომბინას ჭლექის ხველაზე  
შეატრიალებს კარს ნოემბერი.

*ივლისი, 1919*

*ტფილისი*

## სატურნი და მალიარია

მე თქვენზე ადრე ვეკითხები ჩემ საკუთარ თავს –  
რად მოიღუნა ასე სული ან რამ არია?

ნანამებ წამებს ბედისწერა ერთმანეთს ართავს,  
ორია რკალი: სატურნი და მალიარია.

სიყრმიდან ვისმენ განუწყვეტელ მე ერთ რეკვიემს,  
ვარსკვლავათ დასხდენ ბაყაყები ქალდეას ზეცას.

მკვდარი ბუზები ობობას ქსელს გამოურკვიეს,  
ასე მგონია, რომ ობობა პერანგათ მეცვას.

სამშობლოს ბედი... სიყვარული, რაც სხვას აწვალებს,  
გადამავიწყდა, ჩამომართვით სითამამეში.

ყოველი თვალი მომაგონებს ბრმა მამის თვალებს,  
ჩემზე სტირიან ეს თვალეები თავის ღამეში.

ჩემ ეზოს ჩრდილში მონყობაზე მეც მიფიქრია,

ახ, მეც მინდოდა, რომ მქონოდა სახლი და ფუძე!

დღეს ხეტიალში ყველა გაჰქრა, ანდა მიჰქრიან,

დიდების ძეგლათ მხოლოდ დამაქვს ჩემივე კუზი.

*ავვისტო, 1919*

*ტფილისი*

## „მღვდელი და მალღარია“ კუბოში

გავა წლისთავი... ოქტომბერი ბნელ ოლარებით,  
ჩემში ატირებს მამაჩემის შავ ანაფორას,  
უკანასკნელი ლექსი ჩავდე მე მონანებით,  
როდესაც გულზე უცხო ღვდლები ადგამენ გორას.  
საფლავებშიაც ატირდება ძველი არია,  
ძვირფასი მამა – გიჟი ღვდელი და მალღარია.

გავა წლისთავი. მე არ ვიცი მეორე ლექსი,  
ულექსოდ ვტირი მოგონებას მე ყოველ ღამე,  
ცივია გული, ისე ცივი, ვით ქვა სალესი,  
შენი წამების მე დამტოვე ერთი მონამე.  
შენ სადიდებლად ავატირე ძველი არია:  
ძვირფასი მამა – გიჟი ღვდელი და მალღარია!

ინვის ქალდეა... გვეფარება ცხელ ანაფორად,  
ყველა ცეცხლების ატრიალდა ჩემში გრიგალი,  
როგორც ყოველთვის, თვით სიკვდილსაც შევებით ორად  
და ჩემთან იბრძვის შენი ლანდი, სხვისთვის მიმქრალი.  
დაატრიალებს ამ ქვეყანას ჩემი არია:  
ძვირფასი მამა: გიჟი ღვდელი და მალღარია.

ყველაზე სუსტი მე დამტოვე მაინც ბავშვებში,  
უდაბნო არის საქართველო მონომანისთვის,  
სამგლოვიარო მე არ ვიყავ მარტო შავებში,  
ვიცი, ამდენხანს ვიტანჯები მარტო ამისთვის.  
მაგრამ ჩემია მგლოვიარე ძველი არია:  
ძვირფასი მამა – გიჟი ღვდელი და მალღარია.

ძვირფასო მამა, ისე როგორც ყოველთვის მშვიდი,  
გახსოვდეს ქვეყნად, რომ დატოვე შვილი პოეტი,  
მეათასეჯერ გადიხადე იქ პანაშვიდი,  
რომ დამინწყნარდეს მე ცხოვრება მიეთ-მოეთი.  
მე მხოლოდ შენთვის ავატირე ძველი არია:  
ძვირფასი მამა: გიჟი ღვდელი და მალღარია.

[1920]

## ჟიულ ლაფორგი

უცოლო, უცოლო – მარტო უცოლო,  
გამტყდარი სულის – რომ სწოვო ხორცი  
და აღმერთებდე დაღალულ სხეულს  
და ორი იყო შემოდგომის სრულ დაღპობამდე.  
მონომანი ვარ დატყვევებული,  
საკუთარ შრომით, დეგენერატ განმარტოებით,  
ყველგან ყოველ წამს ტემა ასეთია,  
მათი ტუალეტების და მარდი მანერების,  
სალამოების ან თეთრი ბალების.  
წაიღეთ! ა, ჩემი ტანი!  
ღონე მიხდილი  
ჩვენ თვითონ ვუყვირით: ჩემთან, მე შენ გაღმერთებ.  
და ასე პოზით ისვრიან სალამს,  
მიდიან სკოლებში სამეცადინოთ.  
მირბიან, ჩაგიკრან თავიანთ რკალში  
თქვენ, გამყიდველნო, სევდით მეძავნო,  
და მოსთქვამენ  
ლიტერატურაში, მის მაგიერ, რომ ერთმანეთი მართლა უყვარდეთ.  
უბრალოთ ჩამოართვა ხელი მეორეს,  
იმის მიხედვით, ტანი რას გირჩევს,  
ხომ დაგვიანდა: სუსტსა და ძლიერს,  
ყველაფერს იპყრობს მხეცი ოქროთი,  
ნაღველი ქვეყნის ბურთის.  
– ისტორია კაცობრიობის – ისტორიაა ერთი უცოლო კაცის.

[1921]

## დროშა ქიმერიელთა

ცა დახეული, როგორც დროშა ქიმერიელთა,  
ქალდეას დროშა მონამლული და მენამული.  
თავის კბენისთვის მორიელმა დრო მოიხელთა,  
დამწვარ ქალაქთა ამოდულდა ბულის აღმური.  
და ისევ უნდა, რომ ატირდეს ჩემი ლირიკა,  
თეთრ კვირეების გასვენებას რომ მოერიდა,  
ლაქორგის ტაძარს ჯამბაზივით აჰყვა ბილიკად  
და დიდ გუმბათზე ობობივით ჩამოეკიდა.  
ახალი ქრისტეს ჩვენ ოთხი ვართ მახარობელი:  
პაოლო, გრიგოლ, ვალერიან, მე – იოანე,  
ჩემი ორპირი პატმოსია გაუღბობელი,  
რიონის ფშანი – ნათლისღების დღე იორდანე.  
ყველა მოვკვდებით... სააკაძის ხმალიც გატყდება,  
თვით პოეზიაც სასიკვდილო თვალს არ გაახელს,  
უკანასკნელ დღეს საქართველო თუ განათდება,  
ოთხი საყვირი დაიყვირებს ოთხივე სახელს.  
კვლავ ირონია... რომ განელდეს ისევ პათოსი,  
საჭირო არის, დაგვიანდეს მაინც პატმოსი.  
მე ის მანუხებს, როგორ არის დღეს ჩემი ჭინკა,  
არ უნდა დასხმა... სადღეგრძელოს, სავსეა ჭიქა.

20 ივლისი, 1921

სასახლე

## პაოლო იაშვილს

ჩემი სონეტი მოელოდა ეპიტალამას,  
სიამის ტყუპი – სიამითაც ვიყოთ ტყუპები.  
საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს  
მაშინაც, როცა პოეზიით დავილუპებით.  
სხვა მეგობარმა და პოეტმა გვადარა აღმასს,  
ვიცი, გავტყდებით და არასდროს მოვილუნებით.  
და ურიდებლათ პოეზიას ვახურავთ ჩაღმას,  
თუმცა სავსეა სიყვარულით თვალის უპები.

წითელი ხარის გამძლებია მაგარი ჯიშში  
და იალაღზე შენ იქნები მუდამ წინამძღვრათ,  
ამიტომ არ აქვს არც ერთ ყანწელს აქამდე შიში,  
რომ მოედები საქართველოს ლექსის ნიაღვრათ.  
ყველას გვინდოდი, ყოფილიყავ ჩვენი ამარა,  
მაგრამ ჩვენ ძმობას დღეს გიბრძანებს შენი თამარი.

*აგვისტო, 1921*

*ტფილისი*

## ცხენი ანგელოსით

### დისერტაცია პოეტების მეფის სახელისთვის

#### 1

აპოკალიპსის თეთრი იმედი.  
გზა შორეული.  
ქიქერია, ქალდეა, ულალი კავკაზი.  
საქართველოს ბედს  
მხოლოდ ცხენით თუ დაენევი.  
მორბიხარ თეთრი – მარტო იმედი  
ცხენი ანგელოსით.  
გზას შორეულს რა გაიარდა?..  
ერს ამორჩეულს ჩამორჩებოდი,  
რომ ცხენით არა...  
ჩვენ პოეტებიც თუ ვართ დღემდე  
შენი ამარა.  
რა გაიარდა ამ ჭაობებს?..  
ორპირში ყანჩაც ეფლობა,  
სდგას მარტო ეკლესია  
თეთრი გიორგის  
და მამის გულზე  
აბჯენია მაგარი მუხლი  
გაფრენილ ცხენის.  
ყოველი ღამე მატირებდა  
ქალდეას ზეცა.  
ჭაობის სვეტად  
დადგებოდა მალიარია.  
მე სამუდამოთ გავაღმერთე  
ერთი არია,  
დაიმახსოვრებს ამ სიმღერას  
ჩემი სამშობლო.  
მე აქ ვიხილე პირველად ყრმამ  
ყრმა უკვდავი,  
აპოკალიპსის თეთრი იმედი,  
ცხენი ანგელოსით...

## 2

მენამული ზღვა,  
მთვრალი ხომალდები,  
სიდონის მატროსები,  
ზღვა ქარავანების,  
ქალდეას ოქრო,  
ოქროს ვერძი.  
მაკედონელი,  
ოლოქერნი,  
სარდანაპალი.  
მაჰმადის ხმალი,  
ჯალალ-ედინ,  
საჭურისი და დამპალი  
ალამაჰმად-ხან.  
გაშლილი ველი საქართველოს  
აზიის სარკე.  
ყვითელი ურდო  
ვინრო თვალებით.  
ჰარამხანებში თესლის სუნი  
და გამწვევი გძელი ორგია.  
ცეცხლის გრიგალში იკარგება ეს მოგონება,  
აპოკალიპსის თეთრი იმედი,  
ყრმა უკვდავი,  
ცხენი ანგელოსით.

## 3

მე ნაბოლარა  
დიდ პოეტების,  
თავდაჭრილ მეფეების,  
სააკაძის გამტყდარ ხმალის,  
რომელმაც იცის ყველა სტატისტიკა,  
გარდა ქართველ გმირების.  
ძუძუები მარწუხებში,  
წინამური და ტაბახმელა.  
მეტეხი მედიდური,  
ტაიგა, ციმბირი,  
რეგოლუცია და დაცემა.



პოეზია მორიელის,  
მალდარორი,  
ლაქორგის ქლექი,  
კარამაზოვის სისხლი  
და სიჭილისი დეზესენტის.  
უნაზესი ქალები ივერიის –  
თამარ, რუსუდან,  
ყველა ნინაში ერთი ნინა,  
მადონა – მერი,  
მელიტა, მარტა.  
ევა ულელვოთ და გეტერებით სასვე ქალდეა.  
ყველანი ნავლენ,  
დარჩება მხოლოდ  
აპოკალიპსის თეთრი იმედი,  
ყრმა უკვდავი,  
ცხენი ანგელოსით.

#### 4

გადმოფრენილი  
ჰოლანდიელი,  
თუჯის მხედარი,  
ხინა პეტერბურგის.  
შაბიაბანში გატყდება ცხენი  
და როგორც რუმბი  
გასივდება თუჯის მხედარი.  
ახალ ევგენის წინ გაიგდებს ცხენი ანგელოსით.  
შორი გზა არ ღლის,  
ვეშაპი ვერ ჰკლავს,  
დევნი უფრთხიან.  
თეთრი ტრედები  
თეთრ ღრუბლებში,  
თეთრი გიორგი,  
ცხენი ანგელოსით,  
ესხატალოგია.  
– ჩემ გზას შორეულს, პოეტს ჩამორჩენილს  
საქართველოს ტრიალ სარკეში გზა დამეზნია.  
გძელი ულვაშებით ქონდრის კაცები  
სიონში მღერიან „არშინ მალაღან“...

– აქ რომ სტიროდა ამირანი, ვინ გააპარა?  
– აქ რომ სტიროდა რუსთაველი, ვინ გააჩუმა?  
– აქ რომ იბრძოდა სააკაძე, ვინ დააკავა?..  
– სწორი ხერხემალი – დროშის ტარი ქიმერიელთა.  
სწორი ხერხემალი – დროშის ტარი თეთრი გიორგის  
ვინ გადატეხა?  
ბებერი თესლი – სურნელება ჰერეთის ღვინის,  
ბებერი თესლი – ჭა უძირო და დაუშრეტი  
ვინ ამოსწურა?  
ხრინნიანი ხმით აკივლებენ მრავალ ჟამიერს,  
ღვინო ჩამოდის ქამარ გახსნილ შარვალს განიერს.  
გძელი უღვაშებით ქონდრის კაცები  
სიონში მღერიან „არშინ მაღალან“...

*10 ოქტომბერი, 1921*

*ტფილისი, ხელოვნების სასახლე*

## ნინა მაყაშვილს

შენ წითელ კაბას... ბალაგანის ჯვრის გარდამოხსნას,  
შენ ტუბერკულოზს და სინაზით ავად გამხდარ ხმას!  
ძველი სონეტის მხოლოდ დარჩა ერთი ტერცინა,  
შაითან ბაზრის დაიხურა ყველა დუქანი.  
ამოდის მთვარე – თავის მკვლელთა ლეშით მსუქანი,  
ვანქის ტაძარში Sabactan-ით შენ გაგეცინა,  
მუხრანის ხიდზე დასახრჩობათ კიდევ დავდგებით,  
საქართველოში ეს ცხოვრებაც – თვით მკვლელობაა.  
ამიტომ გვიყვარს საქართველო ჩვენ თავდადებით,  
ამიტომ მოგვწოვს და შეგვიდნობს ჩვენ ეს ობობა.  
ძველი ორდენი თავის მკლელთა: ილო, ზენონი.  
ჩვენი ორდენი პოეტების შხამის ყანწებით.  
თავის მკლელობის თავზე დაგვფრენს იგივე დემონი,  
მე ვხედავ იმ მორგს, მონამლული სადაც ჩავენვებით.  
ღმერთს, პოეზიას, შენ სიყვარულს მე დავაფიცე,  
წამებულებზე ლოცულობდეს ტანიტ ტაბიძე.

*15 ივლისი, 1922*

*ტბილისი*

\*\*\*

მინდა, რომ მოვეწყო ავტონომიურად.  
ჩვენშიც შეიძლება ცხოვრება კეთილი,  
სპარსულ ნოსზე ვნევარ ეხლა აზიურად  
და ძალლი მიცქერის ყურებდაცქვეტილი.

როცა სხვა პოეტი ლექსს დანერს კაფეში,  
ნი ქვით! ვეუბნები, დასდე კალმისტარი!  
„ცხენი ანგელოსით“ მონახე აფიშა –  
მეც მინდა გვირგვინი, გვირგვინი გამტყდარი.

*ივლისი, 1922*

## ლექსიდან: ორპირის ოქროპირი

1

ეს არ არის სიმღერა... ეს არც ლექსია,  
მე თვითონ მაშინებს გომბემოს ანექსია.  
მე მინდა ვსთქვა, ქართველ ხალხმა რაც დამავალა –  
მე მინდა, გავხსნა მისი ანწყო და მომავალი.  
ჩემ წინ იყურებიან: იალბუზი და მყინვარი,  
როგორც ორი ბოძი – ერთი ეშაფოტის.  
მურვან ყრუ და ყველა დესპოტი მძინვარე...  
გაძარცულ კვართს გრიგალით ჰპოტნის...  
ამ დიდი ქვაბიდან ხმა არსად გავა.  
ბედმა სხვა ტომი ამ ადგილას მინით აგავა.  
კიდევ დაშრება ბევრი ზღვა, ბევრი მდინარე,  
ჩვენ ოქროს ნაპირს მოადგება ახალი არგო.  
(ყველამ ბევრი სვა, ბევრი სჭამა – ღმერთმა შეარგოს),  
ყველა დაარტყამს თავზე უროს, თუკი ნახა ხალხი მძინარე.  
ჩვენ არ გვეშინოდა არასოდეს გამოძახების,  
ჩვენ ყოველთვის გვყავდა სეზონის ფალავანი.  
ხედავთ ნაკვალევს, ალექსანდრეს გათხრილ არხების?  
ამ ქვეყანას ძველებისაგან აქვს გალავანი.  
რა უყოთ, რომ კახაბერი – გახდა აგასფერი,  
მინა არ იკარებს ძველ რკინის პალოს.  
ყველას გაასწორებს სააკაძის ხმალი ნაფერი.  
თავის განირვის ამ გაკითხვას ვინ დაემალოს?..  
კიდევ ამოვა წინამურზე ორქიდეა,  
მტკვარი ამოიტანს მაჩაბელის გვამს.  
თუ საქართველო ბენვის ხიდეა,  
ბევრ სხვა გენიას ის ცეცხლით დასწვავს...  
.....  
.....  
ამას სწერს ნაბოლარა დიდი პოეტების,  
რომელსაც დაელია ლექსის არაქათი.  
როცა ორპირის ცეცხლი მოგედებათ,  
მაშინ გაიხსენეთ ეს ჩემი ტრაქტატი.

20 სექტემბერი, [1922]

ტფილისი

\*\*\*

ვარ უსათუოდ ამის მოვალე,  
ლექსში ვახსენო გიონ საგანელი.  
ყველას გადაგვიტანს სიკვდილი მალე,  
ასე დატრიალდა ბოროტი საქანელა.  
მას კიდევ სწამდა მართლა პოეზია,  
სიკვდილის წინათაც ის ლექსებს ამბობდა.  
ჩვენ უფრო უარესი დრო მოგვეწია,  
რადგან ჩვენ თვალწინ ლექსიც კი დაობდა.  
ვინ იტყვის, საგანელით ქვეყანა დაობლდა?  
ვინ იტყვის ლექსებზე, ის როგორ დაობლდა?  
უნდოდა, ყოფილიყო ყველაზე მეტი.  
უთუოდ ეს ჭინკას იყო მანიფესტი,  
უთუოდ დაფასდება განწირვის შესტი.  
საწყალი საგანელი... ჭინკა და ელვა,  
პატარა კუბო... რამხელა დამწყევლა.

*25 სექტემბერი, [1922]*

*ტფილისი*

## სეზონის ფალავანი

ეს სულ ერთია, მაინც გაუგებარია,  
შეიძლება წერა ჰიეროგლიფებით.  
თითქო პატარა ბავში ვარ – დაფაზე გრიფელით  
და ჩემი სულიც სხვას აბარია.  
მადონა დეზერტირის ბაზარზე  
(უსათუოდ ტემაა ახალი),  
გულგრილობით ქვეყანა გადავრაზე,  
„დასავლეთის დივან“-ს დასწერდა ბაყალი.  
მე თვითონ მიყვარდა წინად ლირიკა,  
მზად ვიყავ, უმიზეზოთ მთელი დღე მეტირა,  
დღეს ყველა იმედი მართლა გაირიყა –  
ლირიკის პოეტი მგონია მესტვირე.  
მართალი გულით, უკანასკნელ თავის განწირვით,  
მივმართავ ყველას, უსათუოდ გამომიტირონ.  
ლაფორგის კვირა ჭიანურის ატირდა წირვით –  
დანყვევლილ პოეტს ნუ ამადლით, როცა გთხოვთ მირონს.  
წვიმს შემოდგომა წარღვნის წვიმით... მე ვარ ორპირში  
და ეს გრიგალიც მოთხრის ღამე ხომ იხტიოზავრს.  
მე მეჩვენება ჩემი თავი მეფის პორფირში,  
სოველი ჭინკა თავმდაბლობით მეუბნება ზარს...  
მე თვითონ მივზდევ ყოველ წასულ დღეს.  
მზად ვარ, ვიტყვო ბავშვზე უმწარესს.  
თორმეტმა ღვდეღმა მამა გასუდრეს.  
მე ერთი ღვდეღიც არ ამიგებს წესს..

და ვმადლობ უფალს, ჩემი სული მას აბარია,  
მან ერთმა იცის, რომ არ იყო იგი სამინე.  
ასე ატირებდა პოეტს მალლიარია,  
ასე გაუგებრად სწერდა ტიცციან ტაბიძე.

*18 ოქტომბერი, 1922*

*ტფილისი*

## მელიტას

ალექსანდრია... ყარაბულახი...  
ასტრალი წევარი – ღმერთი მელიტა...  
მოდგება ლექსი, როგორც ულაცი,  
მადონა აფთარი – ღმერთი მელიტა.  
პოეტის ოცნების დიდი ხნის წვალება –  
მაღალ ტროტუარზე თვითონ კლეოპატრა  
გამვლელს და გამომვლელს ლოცვას ავალებდა,  
ეს გულიც, ეს ლექსიც იმან გამოფატრა.  
და ბევრი გაივლიან ამ გზაზე ლანდები  
მაგრამ პოეზია ვერ ეტყვის ვერაფერს  
– მხოლოდ პირველია შვენების განდობა,  
პირველი ოცნება ასე თუ გაგაფრენს.  
მინდა, დღეს მოვენყო მართლა ლირიკულად –  
ჩვენშიც შეიძლება, რომ იყოს პინდარი.  
მაგრამ როგორ მიდის ლექსი ირიბულათ,  
თუმცა სხვა ლექსების არის სანინდარი.  
სეზონის ქალბატონს ჰქონდეს ეს აფიმა –  
დაპყრობილ პარიზში ჩაჰყვება გეროლდათ,  
როცა სხვა პოეტი ლექსს დასწერს კაქეში,  
ლექსისთვის სამშობლო მას კიდევ ელოდა.  
ასტრალი წევარი – მადონა აფთარი...  
მელიტა – კახეთის გვირგვინი გამტყდარი.

23 აპრილი, 1923

ტფილისი



## 23 აპრილი

მე მესიზმრება კაფე „Mon Parnasse“,  
სენატი ბებერ პროსტიტუტკების.  
რემბოს ოცნებას ვერვინ მომპარავს  
და დღესაც ღვინით დავითუთქები.  
რა ლამაზია მაინც ტფილისი,  
უცდის გარემში ალა-მაჰმად-ხანს,  
მღერის ბესიკის გაჭი თილისმა,  
აპრილი გულში ლირიკას ასხამს.  
არ მინდა, მოგკვდე პატრიარქივით,  
მინდა, გავექცე საქართველოს მზეს.  
სადაც, მშობლებო, დაიმარხენით,  
დღეს იქ ჯამბაზის სინა გააბეს.  
ვარ დაღეწილი, ვით ჩემი რითმა  
(ო, ეს არ არის ბოდში მართლა),  
ვერ გადიტანა ცხენი ჯირითმა,  
ბედო, მიხმარე თვითონ კამათლათ.  
ამ დღეს დამზოგეს მე ყაჩაღებმა,  
დღე პოეზიის ეს იყო სწორეთ  
და შარშანდელი წლის გაჩაღება,  
თვითონ მეღიტა ღმერთი-ასტორეგ!..  
რა ლამაზია მაინც ტფილისი  
(რა საჭიროა აქ ირონია).  
ორივეს გვახრჩობს ჩვენ სიჭილისი,  
ორივე ხელში გაგვირონია.  
უცდის ტფილისი ბესიკის მიზრაფს,  
ვუცდით ტფილისში გორის მიწისძვრას.

5 მაისი, 1923

ხელოვნების სასახლე

## მელიტა

### დადაისტური მადრიგალი

ყველაზე უფრო არცხვენს  
ჩემ სახელს – ტიცციანს  
ხავერდის ტიცციანთან შედარებით  
დახეული კანაპები.  
აღბად არ ელოდა ასეთ ორეულს.  
მერი შერვაშიძე (გიგო დიასამიძის  
ჟურნალიდან ამოხეული),  
ურია მხატვარმა სამ წელს რომ ხატა,  
უყურებს ამ ლექსს და ელიმება.  
წინათ ღვთისმშობელს ეს სახე ჰქონდა,  
წინათ უშენებდენ ამ ქალებს ტაძრებს.

.....  
.....

თავზე დამყურებს მერი შერვაშიძე  
(სანდრო ყანჩელის ჟურნალიდან ამოხეული),  
ურია მხატვარმა სამ წელს რომ ხატა.  
შენ კი, მელიტა, აღბად უცქერი  
ტიუტჩივისა და რომის ცას.  
იქნებ, მარინეტიც შენით აღტაცებულია.  
ჩვენი ტფილისი კი თანდათან ძირს იწევს,  
გრიგოლ რობაქიძემ ხერხემალი გადაუტეხა,  
მაგრამ მიწისძვრა მაინც იგვიანებს.

17 მაისი, 1923

## ორპირის ოქროპირი, სტეფან მალარმე და დანიელა ურია

ეს არ არის მართლა ოქროპირი  
– ეს მხოლოდ ორპირის ბაყაყია.  
დიდებულათ შვენიის სამეფო პორტირი,  
დიდებულათ იცის დოგმატების მალაყია.  
მე თვითონ გამზარდა ტიცციან ტაბიძე –  
პოეტი ავყია.  
სახალწლოთ, საშობაოთ და სააღდგომოთაც  
ერთი და იგივე მაქვს სათქმელი:  
გაფრენილ ეკლესიის სამრეკლოზე  
ქადაგებს მალალ ხმით გომბეშო,  
ამბობს პირდაპირ და აშკარათ,  
როგორც კაზინოში კრუპიე: „ბაკკარა“.  
ჩვენთვის დღესასწაული მარტო  
რაფიელ ერისთავის ლექსებშია  
(კიდევ კარგია, თუ არ დაგავინყდათ)...  
ნეტა მე ისე მიყვარდეს პოეზია  
ან თვითონ საქართველო,  
დედაჩემს რომ უყვარს მენველი ძროხა  
(შენ, ვინც ამაზე გაიცინებ,  
ვიცი, შვილიც ასე არ გიყვარს).  
იმერეთში მღერის დანიელა ურია:  
კახეთში კიდევ დედას ლევანა:  
ილიას და აკაკის ლექსებს  
პატარძლები მღერიან  
თავიანთვის საბედისწერო ღამეს.  
ყველაფერს მივსცემდი, რაც მაბადია,  
რომ მახსენებდეს ერთი მაინც ქრისტომატია.  
– ამბობენ, იყო გიორგი სააკაძე,  
ჩრია მზითვებს უმატებდენ „ვეფხის ტყაოსანს“  
(ამას ჰქვია ჩოხიანი დადაისტები).  
ივანე ჯავახიშვილი სწერს პლუტარხივით,  
იქნებ ვინმემ ჩემზეც დასწეროს დისერტაცია,  
მემარცხენეობა პოეზიაში უსათუოდ დასატაცია.  
საქართველოში ყოველ ჭორფლიან ქალს  
თავის საკუთარი ჰყავდა პოეტი.

დღეს ღვთისმშობელი ძირს რომ ჩამოვიდეს,  
მითხარით, აბა, ვინ ეტყვის ლექსს?  
ასე ამბობს ორპირის ოქროპირი  
მსუქანი გომბეშო.  
ამხანაგებო, პოეტებო,  
ვისაც გიჭირთ ლექსების წერა,  
ვიცი, ამით გულზე მოგეშოთ.  
იყავით გამბედავი და სთქვით პირდაპირ –  
თქვენზე უფრო მასხრობაა თქვენი ლექსები.  
ეხლა ნ.ო.ტ.-ია და ელექტროტიკაცია,  
ლექსისთვის ვინც იცლის, ის რა კაცია?  
ჰკითხეთ თქვენ ნაცნობ პოეტს,  
თუ ის შინაურია,  
ვინ უფრო აღელვებს –  
სტეფან მაღარმე თუ დანიელა ურია.

*მაისი, 1923*

## დადას მანიჩესტი

ჩემი სული დაგლეჯილი ხურჯინია,  
სპარსელს რომ ჩამოაქვს ენზელიდან.  
შიგ დაეტევა მთელი აზიის სისულელე  
და ხარკს არ გადაიხდის საკავშირო რესპუბლიკისთვის.  
რა შეედრება, როცა კრუა სომეხი მუცელს იცლის  
ექსპრესის მოლოდინში ვოკზალის გადაღმა,  
თქვენ ყველას ოყნა გჭირდებათ, თქვენი დედა მოვტყან.  
ჩემს იქით პარიზია... ელისეის მინდვრები.  
ჩასუქებული ჟოჭრი მოუტაციათ წმიდა ილიას ცხენებს,  
პოლ კლოდელი კოცნის ჩინელი ქალის ბალამიან ფეხს  
და ტრისტან ტცარა ათამაშებს „დადა“-ს კუკლას.  
ვზივარ მოედანში... შეღებილი ინით თათარი  
აგორებს კამათლებს (ესეც კოსმეტიკაა და თავის გასართობი).  
(ამბობენ, არაბები ვარსკვლავმრიცხველობდენ).  
უნდა იყო იდიოტი, რომ ძველებურად სწერო ლექსები,  
როცა სატურნიის სანაოზე გლეხებს უხსნიან ელექროფიკაციას.  
როცა პრეზიდენტია მიხა ცხაკაია.  
მთანმიდის შემოლამებას მარტო ბოზები ელიან,  
ერთი დარჩა ქუჩა გაუნათებელი.  
ვის უნდა შენი ნაზი ლექსები,  
ორსული ქალიშვილები სიცილით იხოცებიან,  
თუ პოეტი ხარ, ყველაფერი მაგარი გქონდეს.

22 ოქტომბერი, 1923

ტფილისი

## უჟმური კვირეები

ექვსი წელიწადია ვემზადები, დავსწერო ლექსი „Dimanche“.  
ამას ჰქვია ლაქორგის კვირა.

ასეთი უჟმური კვირა მაინც არ მახსოვს,  
ზარები ქალაქშიაც არ რეკავენ.

ყველა ტაძარი შეიქნა ფეერიული.

ეს ლექსი რომ ამ დღეს დამეწერა,

ნაღველი დაიქცეოდა ფოლადივით.

შემიძლია დავიჩემო, რომ სიზარმაცის

ღმერთი მაინც ვარ.

თუ ისიც დაემატება, რომ ლოთობა ჩემი მეორე სტიქიაა,  
ჩემზე ეროვნული პოეტი არ ყოფილა საქართველოში.

მე, კოტე მარჯანიშვილი,

შალვა დადიანი და დავით ჩხეიძე

ტანტების ცირკში ვართ:

კოლა გრდანელის იუბილეზე.

ვინ მისცათ ამდენი ტემპერამენტი ყარაჩოღელებს?

საწყალი გრდანელი სდგას გაკოტრებულ სოვდაგარივით.

მის წინ მისი ბეცი პორტრეტია –

რკინა ჩამოსხმული ადამიანათ.

პაოლო იაშვილის მაგიერ სიტყვას ამბობს

არბიტორი: „შენ დაუკა, ვანუა“.

როგორც თავის მკვლელი რუსთაველზე

მოდის კოლაუ ნადირაძე, ერთად ვიხრჩობით

ოპერეტა „მზიარულ ქვრივზე“.

და თავის მკვლელთა ორგიას

აკლია ვალერიან გაფრინდაშვილი.

თუ ეს არ არის ლექსი:

იყოს ვარიანტი ერთი გაუქმებული კვირის.

შემდეგ ალბად ასეთ ლექსებისთვისაც ვერ მოვიცლი.

ყველაფერი წინ მიდის პოეზიის გარდა,

ინყება ლექსის უკულმა ელექროფიკაცია.

მე ვარ ამის წინასწარმეტყველი.

იყოს ეს ბიოგრაფია ერთი დღის,

მჯერა – შემდეგ გამოვა ეპოპეა: „ტიციან ტაბიძე“.

29 ივლისი, 1924

ტფილისი

## მუსამბაზი, რომელიც არ იმღერება

ამ დროს ბრუნდებოდა გრიგოლ ორბელიანი ორთაჭალიდან,  
ცხელი ცოცხალებით სავსეა ნავი.  
ეს ხმაა ჭიჭყინასი, ასე გულსაკლავი,  
თუ კრწანისიდან მოდიან თათრები.  
გულები საგულედან მოვარდნას ელიან  
(დიდებულია სიკვდილი ხანჯალიდან).  
მეზურნეები იბრძვიან გააფთრებით,  
შარვალის ტოტებში მთელი მზე ჩავა.  
მოდინ ვირები დატვირთულ ქლიავით,  
(ვირებიც სუნთქავენ კოჯრის ნიავით).  
ასე აღვიძებდა საიათნოვა მტკვარს,  
ღვინო მოუნდება გაციებულ მკვდარს,  
გაბერილ ლოყებით მღერის საიათნოვა:  
„არუთინა მქვია, საიათნოვა ვარ,  
ლექსებს გეტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს“...

...და დგას ტფილისი მუდამ ურყევი  
და ქანაობენ ხრიოკი მთები,  
გამოგუდულა გარშემო ხევი,  
გულო, აენთე, თუ აენთები.  
დიდებულია ყაბახზე დილა,  
ახალი მთების ვხედავ კუნძულებს,  
ორბელიანთა გაუთხოვარ ქალების ძუძუებს..  
მზე სიხარბიდან, მზეც კი გაზრდილა  
და მოტეხილი სერაბიმის ფრთა,  
ქაშუეთი კიდევ უფრო გაფითრდა.  
რა უყოთ, რომ იცვალენ დრონი  
და გვახრჩობს ეხლა ქიმერიონი.  
ამ დროს ბრუნდებოდა გრიგოლ ორბელიანი ორთაჭალიდან,  
სავსე ყანწები თამადას ელიან,  
მესმის დაძალება: დალიე, აიტან!  
ტიციან მქვია – ვრჩები ტიციანათ,  
ლექსით და ღვინით ყველამ მიცანით,  
ლექსებს ვიტყვი, ცის ქუხილი რა არი,  
საიათნოვას საფლავშიაც გაუტყდება ფიცარი.

20 მაისი, 1925

## ტფილისიდან დედას

ვიყავი ადრე მე ანტინოი,  
დღეს მართლა ვგეგვარ ნერონს მსივანი.  
ბევრი ოცნება გამოვიგლოვე  
და ბევრი მდალავს რალაც მტკივანი.

მომაგონდება ორპირის ფშანი,  
დედის ძუძუსთან ვსწოვდი უჟმურებს,  
რომ იყო მართლა გარდაქეშანი,  
ორპირი მაინც დაგაუძლურებს.

მიყავდათ ყანჩებს მკვდარი თევზები.  
ხვილიფში სჭამდენ მგლები ჩვენ ხარებს.  
ვგრძნობდი, ორპირი რომ დაივსება,  
ვიცი, ორპირი ვერ გაიხარებს...

გაფრენილ საყდარს, უჯვარო საყდარს  
მელამურები თავზე დაჰგორავს.  
არ ეშველება ამ საქმეს წამხდარს,  
ადრე უტიე მე ანაფორას.

დედა, მე ვიცი, შენ აღარ გძინავს,  
ელი, ჩამოვალ მაინც უეცრად..  
როცა რიონი სუნთქვას გაჰკმიდავს,  
მას შენი გულიც დაჰყვება ფიცრად.

ვიცი, ყოველ ღამ აცხობ საკურთხებს  
დალუპულ ქმარზე... დაკარგულ შვილზე,  
ყველა დაშორდა დანავსულ კუთხეს  
და მარტო დარჩი გამოტირილზე.

ჩემო ძვირფასო, ჩემო ძვირფასო,  
არ ვიცი, რა ვქნა, რით განუგემო.  
სირცხვილი არი, რითმა ვეძიო,  
როცა შენ გხედავ ასე მწუხარეს..

დამპალ ყავარზე ჩამოდის წვიმა,  
თვითონ რიონი მოდის ეზოში..  
ჩვენ დალუპულ ბედს სტირის გომბემო,  
ისიც ჩვენსავით ცრემლს ღვრის მდულარეს.



შენ გინდა ფიცი: მე მართლა ვფიცავ,  
ვფიცავ ჩემ სიყრმეს და ჩემ ნასოფლარს,  
ვფიცავ, რაც გულში გამიარს სეტყვა,  
ვფიცავ, ჩემ მამის დარჩენილ ოლარს,

რომ სიკვდილამდე მე მიყვარს მარტო  
საქართველოს მზე, მკვდრების ცივი მზე  
და თუ ეს გრძნობა ვინმემ წამართო,  
ცოცხლად დავწვები სასაფლაოზე.

ძვირფასო დედა, არც ისე შორს ვარ,  
ვერ გავეპარე სამშობლო მხარეს.  
არ მინდა, მოვკვდე სადმე უბირი,  
გმირთა აკლდამა მეც შემიფარებს:

ვიცი, ბევრი მყავს მე მეგობარი,  
ამ ღამეს ჩემთან მაინც ვინ არი?..  
ორპირი ხაშმით დანაგუბარი  
და მამიჩემის კუბოს ფიცარი.

რა არის ქალი, ვინც უნდა იყოს,  
წამი, რომელიც სიცოცხლით მოგსპობს.  
მოკვდეს, ვინც გული იმათ გაუყოს,  
უარყოფ უკვე მე მოგებულ ომს.

ჩემთან იყავი, ჩემთან იყავი,  
სიზმარში მაინც გამომეცხადე,  
გახსოვს, შენ ასე ვის დასტიროდი,  
მეც ეხლა ასე ვსტირი უბრალოთ...

საქართველოთ ვინ არ დამწვარა,  
ან ვინ არ სტირის საქართველოზე,  
ბევრის სიცოცხლე მან გაამწარა  
და ბევრიც დავრჩით სასაფლაოზე...

*ივლისი, 1925*

*ტფილისი*

## მარტა მაჩაბელს

ხარ აღესილი, როგორც ხმალი მაჩაბელების,  
ხარ აღენილი – როგორც ვერხვი ტაშისკარისა.  
შენი სიმაღლე სიმაღლეა სახრჩობელების  
და გადმოხედვა ღვთისმშობელის, ქართლს რომ აღირსა.  
მე მესიზმრება ამაღამაც მღვრია ლიახვი,  
დერიდახოლი გაჭენებულ ათაბაგების.  
მტკვარი ასპინძას გადაჩეხილ თათრებს მიათრევს,  
მტკვარი თათრების ძორებიდან აღარ დადგება.  
სავსეა ისევ საქართველო ღვინის მარნებით  
და რაინდები გადადიან ყანწებს ყანწებზე.  
ჯერ არ მომკვდარა აქ ვაჟკაცი სხვა დანანებით,  
რომ არ ედიდოს საქართველოს უკვდავების მზე.  
არ მინდა, ვიყო გათანგული მორცხვი ოსტატი,  
რომელიც ხატავს ვარძიაში დედოფლის ფრესკას.  
და ბატის ფრთებიც ძველ პოეტებს მინდა მოვსტაცო,  
სირცხვილი არის იქ ბატის ფრთა – თუ ხმალი რეკავს.  
უკანასკნელი დარჩი ქართლის შენ დედოფალი  
და თუ გვირგვინი უდროვობით თავზე დაგატყდა,  
ჩემი გულიდან სხვა გვირგვინი გამოითალე –  
ეს ჰიპერბოლა ბევრ პოეტებს დასტოვებს სახტად.

13 ივლისი, 1925

ბორჯომი

## თამუნია წერეთელს

ბედნიერი ვარ, როგორც არასდროს,  
თვითონ არ ვიცი, რა მიხარია.  
არ მინდა, გული ცეცხლმა დაღადროს,  
თუ ცეცხლი ლექსად მე მაფარია.  
ტაშისკარიდან მოჰქრის გრიგალი  
დიდ მოურავის მუზარადებით,  
ცას მოგრეხია თავის ნამგალი,  
მთვარე სავსეა გულის ნადებით.  
დარღვეულ ციხეს მე გათანგული  
ველარ ვაშორებ ოცნებას ოჩანს,  
ვიცი, მარტყია ხმალი ფრანგული,  
მაგრამ თათარი კი არსად მოსჩანს.  
ვსტირი, ვიგონებ საწყალ მამიას  
„თამარს ვინ იტყვის, მართლა რა იყო?“  
ჩემი ცხოვრება ისეც წამია  
და სხვა თამარმა შუაზე გამიყო.  
თამარს! ვინ იტყვის, რა იყო მართლა!  
თამარს! ვინ იტყვის, მართლა რა არი!  
თავზე დამნათის მე ძველი ქართლი  
და „მოდინახეს“ ვარ პატიმარი.

20 ივლისი, 1925

ბორჯომი

## ახალი მცხეთა

### ეპოპეა „ტფილისი“

(ლევან ლოლობერიძეს)

...და როგორც პულსი მომაკვდავ კაცის,  
ეს რიტმიც ისე გამოიცვალა.  
მე ვუბრუნდები დღეს ახალ ტფილისს,  
როგორც ქლეიტა გამოხრულ ძვალთა.  
ძველი სატახტო... სვეტი ცხოველი,  
რომლის ობობა მტკვარს გადააშრობს;  
მისგან სასწაულს არვინ მოელის,  
ზახარ ზახარიჩ აქ მშვიდათ ვაჭრობს.  
გადაღეშილი ეს რუმბი ღვინის,  
წინათ ყმათ ჰყავდა ალბათ სინოდალს,  
დღეს კი ბუხარინს სწერს ის დეპეშებს,  
ისეთ სიტყვებით, გულს რომ დაჰკოდავს.  
დაშრა აქ ვნება ადამიანთა,  
ჯვარის მონასტრის გაცივდა მწირი,  
მხოლოდ არაგვი მტკვარს ჩახვევია,  
პირველ სიყვარულს აქამდე სტირის.  
რუსის ისპრავნიკს კაპასი ცოლი  
მშვიდათ უშლიდა წინ აქ პასიანსს  
და აზიაში შეჭრილი სოლი  
იმპერატორი ვესპასიანი,  
ნადავლს ჰყნოსავდა, როგორც აფთარი,  
ნაზონის ლექსებს ისმენდა მტკვარი.  
„ოი, არაგვო, არაგვიანო,  
მტკვარო ფეხმარდო, მუდამ მქუხარე,  
ვარ მოგონების ცეცხლით მწუხარე,  
უტახტო, როგორც ის ალექსანდრე,  
რომელის სევდაც ამ დიდ ხეობას  
ჯერ აქამდესაც ვერ აუღობავს.  
ასე იღება ახალი კარი,  
სანთელის ფრთებით მოდის იკარი,  
წინ კი ელექტროს გარდაქეშანი,  
გოლიათ ქარხნის მოსჩანს ჯავშანი.

და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც  
აბიათარი კვართით დამარხეს,  
თავჩალუნული ათასი მუშა  
მიაყოლებენ მტკვარს ახალ არხებს.  
და იმ ადგილას, სადაც სამჭედლო  
ვერ დასჭედავდა ჭაკ ცხენის ერთ ნალს,  
მორტირებს გააქვთ ეხლა გრაგანი  
და ათასი ხმით „International“-ს.  
და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც  
უნწყალო კერპი იდგა არმაზის,  
დღეს სუხიშვილი, ტფილისის მუშა,  
ელექტრო სადგურს უშენებს ბაზისს.  
და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც  
ძველ დინასტიათ დაგროვდა ფერფლი,  
ელექტროს ცეცხლში სდგას ჯვრის ტაძარი  
ფანტასტიური და ეიქელი.  
ვესპასიანი, წმინდა ნინო, მეფე მირიან...  
ლადო დუმბაძის, სუხიშვილის ახალი მცხეთა  
მოგონებები გრიგალივით, თუმცა მოჰქრიან,  
ურჩი ოცნება მათ პოეტის ვერ დააფეთეს.  
ვინ დახრის დროშას მაღალ ტარიანს,  
როცა ის მოაქვს პროლეტარიატს.

16 ნოემბერი, 1925

ტფილისი

## პოემიდან „ჩალატარ“

რაც უნდა ვიყო მართლა მორჩილი,  
ერთი ხმა მეც მაქვს, მომეცით სიტყვა.  
არ მსურს, რომ ვიყო მე მონომანი,  
თუ მოგონება სირცხვილით მირტყამს.  
ჩემო ტფილისო – როცა ვიგონებ,  
რომ გალენიეს ბავშვების კალო.  
მეც მინდა, ტანჯვა გავიზიარო,  
მეც მინდა, ცემით რომ დავიღალო,  
მსურს სიკვდილამდე – რომ ვინმემ მირტყას,  
ჩემი სანთილი მომეცით სიტყვა...  
სულ რაღაც ათი გავიდა წელი,  
სულ რამდენჯერმე დაბრუნდა მთვარე,  
რაც დასტიროდა მტკვარს ალექსანდრე  
და მთებს შამილის სული მშფოთვარე.  
ვიღაცა დადის ხმალ ამონვდილი,  
ვიღაც დაჰყეფავს ცოფით დარიალს,  
კელაპტარივით სდგას მთა მყინვარის –  
თერგი ქაჯეების ისმენს დაირას.  
ვიცი, არ მაქვს ხმა მრისხანე ლომის,  
ვიცი, არ მაქვს ხმა მნივან არწივის,  
დასაკლავ ხბოს ხმით მინდა ვიბლავლო,  
რომ ეშაფოტზე მეც დამარწიეს.  
და ხვდება სული აღამაჰმად ხანს,  
ტფილისს რომ სცემდა მრისხანე ტორებს.  
მეც გამიტოლეთ კრწანისის გმირებს –  
მარაბდის ვაჟკაც გლადიატორებს.  
რა შეედრება პოეტის სახელს?  
– გმირის სახელი უფრო მეტია.  
მიყვარს ქართული მიწა მართალი,  
რაც ვაჟკაცებით მონახვეტია.  
და ამ შავ და უიღბლო ღამეს  
მე მრჩება მხოლოდ ერთი ანდერძი,  
რომ არ ამოშრეს ხალხში ნალველი  
ბატონიშვილი ალექსანდრესი.

და როგორც ერთი ურჩი მიუზიდი  
ვფიცავ საყვარელ ვაჟკაცთა წვერებს,  
შამილის ფაფარს და თეთრ ჭაღარას  
ალექსანდრეს წვერს დროშათ ნაკერებს,  
რომ მე დავტოვებ პოეტის სახელს,  
თუ ვაჟკაცობას თქვენსას ვერ ვამხელ...

*ნოემბერი, 1925*

*ტფილისი*

## ორპირი

არ გაუვლია თითქო ამ ოც წელს,  
ეზოში ვწევარ ბავში უძრავად,  
ვიგონებ ყრმობას მე წარუხოცელს,  
ჯერ ცხოვრებისგან გაუკანწრავად.  
მზეს მოიტაცებს ჭალადიდის ტბა,  
საბაოჭივით სდგას ნაქერალა.  
დაგესიზმრება თამარის კაბა,  
ათ წელზე მეტი რომ ნაკერალა.  
მე ვინ მალირსებს რუსთველის სახელს,  
მაგრამ ოცნება მაინც ტკბილია.  
მიყვარს, ნემოში თვალს რომ გაახელ  
და ნემო ქალზე უფრო თბილია.  
მტანჯველი არის ზეცის სიმალლე,  
და ვარსკვლავების ცივი კრიალი,  
დღეს ლექსს თან ახლავს სიმამაძალლე,  
მე ძველი დამრჩა გულის ფრიალი.  
და რაც უბრალოთ იტყვი ამაზე,  
უფრო მეტია გულში სიამე,  
ვაშლის გაშლილი ხის სილამაზე,  
ტანზე გასკდება მაისის ღამე.  
ცა წითელია და რქანაყარი –  
ამაღამ ზენა ამოვა ქარი.

*20 თებერვალი, 1926*

*ტფილისი*



## სერგეი ესენინს

გაუხედნავი კვიცი იყავი  
და სისხლიანი, როგორც ჩალატარ.  
დარჩები ლექსში გაურიყავი,  
ცოდვავა, ამ ლექსს საფლავში გატან.  
მოგსდევდა სევდა დიდ ტრამალების  
და მოატანე დარიალამდე,  
სული სულს როგორ დაემალება?!  
ჩვენი თვალებიც ცრემლით დალამდენ.  
განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი,  
რომ გადარჩენა არ გხარებია?  
ვინ დაითვალოს ცრემლის კურცხალი,  
სირცხვილი, რაც გულს გაჰკარებია.  
გდიოდა ლექსი, შენ როგორც სისხლი,  
მოურჩენელი გულის იარა.  
თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი  
და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა.  
გამთენიისას ხაშის დიდ ქვაბში  
ხარშავდა კეპკას მთვრალი პაოლო.  
ყინვას გაჰქონდა გარედ კაშკაში,  
სიკვდილმა ხელი მაგრად წაგვაგლო.  
არ გამოცვლილა ხომ პოეზია,  
მუზები ცისკრის კარებს ალებენ,  
მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,  
ჩვენც მალე სადმე ჩაგვაძალღებენ.  
და გულში სტირის შენი ანდერძი,  
სადღეგრძელოში გვახსოვდე მარად,  
ნითელ ღვინოში შენ – პურის კერძი  
წამოიზრდები სისხლის ტომარათ.  
ღმერთი და რჯული, არა ვართ შორი,  
მონგოლის სისხლი გვიდუღს ორთავეს,  
სული დააპეს და მერე ძორი,  
ძორიც ძერებმა გამოათავეს.  
ასე უჭირდა ალბათ ამირანს,  
რომ დაუღენეს ჩვენსავით მკერდი.  
შევსვამთ სანამლავს ჩვენ როგორც მირონს –  
პირველათ შენ სთქვი ეს ალავერდი.

ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ,  
შენზე ღრიალით გასკდა არლანი.  
საკუთარ ძმასაც ველარ გაუმხელ,  
რაც ჩაკირულა სულში ბალღამი.  
სამწუხაროა ყველა ესენი  
და უფრო მწარე კიდევ ეს არი,  
ლამაზო ბიჭო, სერგეი ესენინ!  
ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი.  
ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში  
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,  
ყველამ იცოდეს – სხვა პოეტებში  
ესენინ ჰყავდა ძმათ ცისფერ ორდენს.

*28 თებერვალი, 1926*

## ტანიტ ტაბიძე

სალამბო ნაზი და მტრედფეხება,  
კართაგენის სისხლს ვინ მოიგერებს,  
ოცნება შორით თითქო ეხება  
ატლანტიდების დალუპულ ფსკერებს.  
შენირული ხარ იმავე ტანიტს  
ნითელი ფეხით დამბული მტრედი,  
მეც საკუთარი მოვკვდები დანით,  
ჰანიბალივით – განწირულ ბედით.  
მე ასე გინერ, შვილო, ორ აპრილს,  
არ ვიცი, კიდევ რამდენი დამრჩა.  
ვიგონებ დროშას კართაგენს დახრილს,  
რომ მოიპარეს – ტანიტის ფარჩას.  
დღეს ტფილისში ვარ, მაგრამ ორპირი  
სტირის ჩემ სულში ვაშლის ხეებათ  
და მალდარორის ხმა ოქროპირი  
ორივეს ერთად ჩვენ შეგვეხება.  
შენ გძინავს, ამის არა გესმის რა,  
იცოდე, ამ ხმამ უღვთოდ გამსრისა.

*2 აპრილი, 1926*

*ტფილისი*

## სარგის ჯაყელი

მოოხრავს მტკვარი პირგაგუდული  
და შეიკრება ტაოს საყელო.  
გამობრწყინდება მთვარე ქურდული,  
რომ დაეზმანოს სარგის ჯაყელი.  
რამ ამოზიდა ეს გოლიათი?  
ცხენს ხერხემალი ვინ გაუმაგრა?  
ურჯულო თათრის რეკავს საათი,  
ვაჟ თათრების ყანას უმარგლავს.  
კობტა გორაზე შეხვდენ მთავრები,  
ასე შეფიცეს ტაშირის კარებს:  
დასწვან ურჯულო, როგორც ყავარი,  
ქართული ხმალი თუ გაიხარებს...  
და იყო ეს ხმა ჩუმი გუგუნის  
ყველა მონასტრის რეკდენ ზარები..  
შემოიპარა ღამე უკუნი,  
მიიღო შეთქმულთ ეს ზიარება.  
თავქვე დაეშვენ ათაბაგები,  
გზას უჩვენებდენ ცოტნე დადიანს.  
ეს მხარე შოთას არის ნაქები,  
მაგრად უჭირავს ლექსს გძელ ვადიანს.  
მაგრამ მე მინდა, მაინც ავტირდე,  
ტანზე მაცხია მონგოლის თაფლი.  
სიცოცხლე, რაც რომ ძვირად არ ღირდე,  
ასეთ ტანჯვაში ერთ წამში გაგცვლი!..  
მაღალი არის კლარჯეთის მთები,  
ჯაყელის ლანდი სცილდება თავზე.  
გულო, აენტე, თუ აენტები,  
ნაგუბარ ლექსით ეხლაც ამაგრე.  
არ გამოცვლილა ჩვენი ქვეყანა,  
მეც ხომ პოეტი ვარ სასახელო.  
ხალხმა იკმაროს, რაც იყაყანა,  
სიტყვა გეკუთნის, სარგის ჯაყელო!..

*აპრილი, 1926*

*ტფილისი*

## ტფილისი

### ოდა

მეფე ლომკაცმა, თუ მგელ კაცმა დაგარტყა კვერთხი  
და ჩემ წამებათ შენ აღსდექი ქვეყნად, ქალაქო,  
ბევრი ვაჟკაცი გალავანთან შემოიფერთხე,  
მეც მინდა, გული სისხლის ლექსად შემოგალაქო.  
მეც მიმინო ვარ, გოგირდის ტბას შენ რომ ჩაფალი,  
მეც სიკვდილამდე წყურვილისგან მიშრება პირი.  
ვიცი, სხვა ღმერთზე უწყალოა ქართლის უფალი  
და მაინც მინდა, დავრჩე მისი მე ოქროპირი.  
ვიცი, რომ გყავდა მეციხოვნე მორკინალები,  
ვიცი, რომ ძვლებით ამდგარია შენ ახლო მთები,  
ვიცი, გქელავდენ ყიზილბაშთა ცხენის ნალები  
და წაუჭრიათ ტაძრებისთვის ხმლებს გუმბათები.  
თათრების სისხლით მენამული გამხდარა მტკვარი,  
და როგორც მოსეს, სააკაძეს ხმლით გაუკაფავს.  
გილენდა კალოს ბავშებისას თათრის კევარი  
და ველარ განდვეს თამარ მეფის შენ ძვირფასს საფლავს.  
ბებერი ძვლები ირაკლიმაც ძლივს გაიტანა,  
სული დამარხა ნარიყალას გამსკდარ ბასტიონს.  
მარტო მარაბდამ სისხლის კერძი რაც მოგიტანა,  
მესამე უნდა კიდევ ზღვა ქართლს, რომ დაიტეოს.  
ვერ გიბედავდა რუსთაველი პირისპირ შემბას,  
ვერც სხვა პოეტმა შენ აქამდე ლექსით ვერ გაქო  
და უფრთხის ყველა სამუდამო შენ სისხლის ემბაზს  
ვაჟკაცობისთვის განწირულო ძველო ქალაქო!  
თავი შეგაკლა საიათნოვამ, უცხო სომეხმა,  
ყველა ამონმებს, გემრიელი წყალია მტკვარის  
და თუ შენ ეხლა პოეტისგან მოგესმის შესხმა,  
ეს გედი მღერის ყელწაჭრილი და ცოცხალმკვდარი.  
შენ ხარ წამება, ხარ ჯალათი და ხარ მარადი!  
თვითონ მიწისძვრა მოიცილე შენ მარტო გორით:  
რაც უნდა იყოს ეს თაობა სამასკარადო,  
ჩვენ, პოეტები შენ გოგირდის სისხლში დავგორდით.  
მე ვარ მიმინო ხახამშრალი და კაპოეტი,  
მე ვარ ტფილისის აგონიით მკვდარი პოეტი.

15 ივნისი, 1926

ტფილისი

## უშენოთ შენთან...

ნუ გაიკვირვებთ, როცა გეტყვიან,  
რომ ჩუმად არის ეხლა ტიცვიან.  
პოეტი დღეს სხვა ოცნების ტყვეა,  
ამის შესახებ მათ არ იციან...  
რა საჭიროა აქ პირფერობა,  
მართლა მხიბლავდა მე ერთ დროს „დადა“,  
მტანჯავი იყო ეს გაორება,  
მონანიება კი არის სადა.  
ეშაქოტივით იდგა ქალდეა,  
ეს ცა აქამდე თავზე დამტირის,  
გული ყოველთვის პიტალო კლდეა?..  
და გავხდი ერთხელ მე დეზერტირი.  
მაგრამ მომადგა გრიგალის სვეტი  
და ახალ ომში თავით დავეშვი.  
სიტყვა არ არის ცეცხლის დამწრეტი,  
ისე, როგორც ზღვას, ვერ დაცლის პეშვი.

დაფასთან ვდგავარ და ვშლი ძველ ლექსებს,  
ცარცით კი არა, სისხლით რომ ვწერდი.  
სამშობლო მიწავ, ისევ გწოვ ფესვებს,  
უშენოთ შენთან ვარ ალავერდი...

15 ივნისი, 1926

ტფილისი

## თამუნია წერეთელს

### აკაკი წერეთლის პოემა „ნათელა“-ს კორექტურის გაგზავნით

„მოდინახეო“ – მიველ და ვნახე  
და სჯობდა მაინც, რომ არ მენახა.  
არხისტრატეგის მრისხანე სახე,  
საკურთხეველის რომ სდგას კარებთან.  
მე ბავში ვიყავ და არ ვიცოდი,  
ნათელა სისხლზე რისთვის ხარობდა,  
რა სიამაყის გულს აწვა ლოდი,  
როცა სარებზე თავებს ახმოზდა.  
როგორც ათასი გამტყდარი თარი,  
განაგრძობს მღერას თავების ლოზე.  
ძვლების ქლეიტამ სძლია თათარი  
და გამარჯვებას ველარ ხარობენ.  
და მოგონება მოასკდება გულს  
და გრიგალივით სულზე გადიარს,  
ვხედავ ბრძოლისთვის სისხლით გათანგულს  
და შეყვარებულ ცოტნე დადიანს.  
მე არ მაცხია მონგოლის თაფლი  
და ხელ გაკრული არ ვზივარ მზეზე,  
მაგრამ ბუზები, რომ ვერ დაითვლი,  
სჭამენ ჩემ სხეულს სულ უმიზეზოთ.  
არ შეგიკერავს შენ ჩემთვის ჩოხა,  
მაგრამ ვატარებ ობობას პერანგს,  
რაც რომ სიცოცხლე მიაჩნდეს ოხრათ,  
ასეთი სისხლით სხვა ვერ შეღებავს.  
ბევრი დაგყვება დღეს აბეზარი,  
მაგრამ არ გვანან იმ ძველ რაინდებს,  
რა საჭიროა იმ დროთ მეზარე –  
დრო უმისოდაც არავის ინდობს.  
ამ სიბნელეშიც მოდის ნათელა –  
ქველი წერეთლის ამაყი ქალი.  
მე თუ ცხოვრებამ მართლა გამთელა,  
მთოლვარე გულის დამრჩა ფართქალი.

მაგარი არის ხომ „მოდი ნახე“ –  
ლექსს უფრო მტკიცე აქვს გალავანი,  
და ეს პოემაც შენ შეინახე,  
მეც პოეტების ვარ ფალავანი.  
ასე იმღერის ძველი მოტივი,  
სამოთხის ჩიტი – გამაიუნნი.  
თუ საჭიროა, მეც მომიტევე,  
რომ შენზე ვფიქრობ დღეს, თამუნია.

*22 ივნისი, 1926*

*ტფილისი*



## და ნაზი, როგორც ევქსინის პონტი

დღეს ვკითხულობდი მე ევრიპიდეს,  
მთელ დღეს მაგონებს შენ თავს მედეა.  
გულს ვინ დაჩაგრავს შენ გადამკიდეს,  
ის სიყვარულის მოიმედეა.  
როგორც საკირე დრაკონის ყბებით,  
ირხევა ვერძის ოქროთა ტყავი;  
ძველი ოცნების გრიგალს აყევი  
და სიხარული მკლავს აურწყავი.  
რაც უნდა გითხრა – იქნება სიტყვა,  
გამოუთქმელი მძირავს მენყერი,  
ძველ ქარიშხალის ტალღები მირტყამს  
და ახალ არგოსს ორფეოსს ვმღერი.  
მშვენიერია ევქსინის პონტი,  
ვინ მოიგონა ეს ძვირფასი ხმა?..  
მედეას ამბით შენ მომაგონდი  
და ჟრუანტელმა გული დასიცხა.  
მაგარი, როგორც სარგის ჯაყელი  
და ნაზი, როგორც ევქსინის პონტი,  
ტრიალებს ჩემში რაღაც სათქმელი  
და გალადრული მიშრება ყრონტი.  
ვინ დააგუბა ჩემში ეს გრძნობა,  
რომ დაძირავდა კიდევ ათ პოეტს?  
და თუ სულს ეს დრო ასე აღრძობდა,  
ხალხისთვის რისთვის გამამარტოეს?..

5 აგვისტო, 1926

ტფილისი

## ...მე თუ გინდოდით თანამედროეთ!..

ჩააქრეთ გულში სიონის ზარი,  
და ალავერდის წმინდა სანთელი,  
ომში მიმავალ სამას ხევსურის  
დიდ საყვირების კორიანტელი;  
რომ არ ვხედავდე ცხელი შანთებით  
მე გალურჯებულ დედოფლის ძუძუს,  
რომ არ ვხედავდე სისხლის მარაბდას,  
ვაჟკაცთა ძვლებით ჩაკირულ კუნძულს;  
რომ არ სტიროდეს ძველი მირონით  
დაობლებული სვეტი ცხოველი,  
რომ ღვთისმშობელსაც არ ჰქონდეს მუდამ  
დახვრეტილ თვალზე ცრემლი სოველი,  
რომ ზღვათა მეფის დადიანის ქალს  
არ მოკვდომოდა შვილი ოტია.  
რომ არ მესმოდეს მართლა მიწისძვრა,  
რომ მონგოლები ქართლზე მოდიან.  
რომ არ მესმოდეს არაგვზე ოხვრა  
ბატონიშვილის ალექსანდრესი,  
რომ წინამურზე ძეგლის მაგიერ  
არ ეყაროს ქვა სისხლით ნალესი.

ვინ მომაშორებს ამ ხმების გრიგალს,  
ამდენი ძვლები რათ დამიგროვეთ,  
მე თუ მომთხოვდით სიმღერას ახალს,  
მე თუ გინდოდით თანამედროვეთ?..  
ნუ შემიბრალებთ – მე ვარ ნაცარი,  
ნუ შემიბრალებთ – მე გავხდი მტვერი,  
ნუ შემიბრალებთ – ესა, რაც არი,  
რომ აგონიით ასე ვიმღერი...

*5 აგვისტო, 1926*

*ტფილისი*

\* \* \*

დეზერტირები ისროდენ თოფებს,  
გარშემო იდგა სისხლის ლიახვი.  
და, ამხანაგო, ნუ შეგაშფოთებს,  
თუ იმ მართალს გზას გადავუხვიე.  
სვეტიცხოველში ვიყავი სხვებთან,  
როდესაც ადგა ძველი სიონი.  
და მეც ვსტიროდი დარღვეულ სვეტთან,  
როცა მენამულ კაბით სტიროდა  
კათალიკოზი და კირონი.  
განა არ ვიცი – მე რომ ბრიყვი ვარ,  
მაგრამ მითხარით და ამიხსენით,  
ვიყო კაენი, თუ მუშის გარდა,  
მე ვინმეს ქება ვაღირსო ენით.  
შერცხვეს პოეტი, თუ მან დასწყევლოს  
ოფლით დაღარულ მუშის მარჯვენა,  
ანდა წარსულში სხვა გზებით ევლოს,  
ღმერთმა და ხალხმაც ის შეაჩვენა.  
მაგრამ გულს დადავს სიონის ზარი  
და საქართველოს ცრემლებით სტირის.  
რევოლუციის იყოს ხანძარი,  
მაგრამ სიონსაც გაეხსნას პირი.

20 აგვისტო, 1926

სოჭი

## ნარწერა წიგნზე „ცხენი ანგელოსით“

ანყდება ხალხი ახალ სტადიონს,  
ცხენს ანგელოსით გააქვს ჯირითი,  
გახსოვს, როდისმე რომ დამექადოს  
მე ჩემ ლექსების სისხლის ქვირითი?  
იცოდეს მხოლოდ ეს საქართველომ  
და შენც, ძვირფასო, გთხოვ, რომ იცოდე,  
ძნელია ასე გატანა ლელოს,  
წიგნი საკირეს იწერებოდეს...  
იცით, ვინც არის ეს ანგელოსი,  
ცხენი ქაფში რომ მალლა მიაფრენს...  
ძნელია ზიდვა საქართველოსი,  
მხოლოდ პოეტად მე ჩამისაფრეს.  
დიდ პოეტების ვარ ნაბოლარა  
ვერ ვუძლებ სიტყვას მაგარ ფესვიანს,  
ჩამოვეფარე მწუხრის ოლარად  
ქართლის მომავალ პოეტ-მესსიას...

24 აგვისტო, 1926  
გაგრა-სოჭი

## ქართლის ცხოვრება

### შესავალი

ას ნელინადში ერთხელ რომ უცებ  
ცა გაიღება და იცის ყველამ,  
მემატიანე არ ვგევიარ ხუცესს,  
მაგრამ მეც დამწვა ამ ცისარტყელამ.  
ან და რა არის მართლა პოეტი,  
თუ ცის გაღებას თვალს ვერ შეასწრებს,  
ვსარგებლობ ზღვაზე განმარტოებით,  
მივყვები გემის გაფრენილ აფრებს.  
გემი „ილიჩი“ დადგა სოჭაში,  
რითი არ არის ახალი არგო.  
მოგონებების ვიხრჩობი ჭაში,  
მინდა, ამ გრძნობას ლექსი მოვარგო.  
როგორც ბავშისთვის დედის ალერსი,  
ისე ტკბილია ევქსინის პონტი.  
ნაღველმა გული რომ გადალესა –  
ჩემო სამშობლოვ, შენ მომაგონდი.  
ვუახლოვდები შენ ჩრდილო საზღვარს:  
ლომკაცს, კახაბერს – მომაქვს ლექსები,  
და თუ რკინისას ვერ გასობ პალოს,  
შენი მიწის ხომ ვწოვე ფესვები.  
და გადავწყვიტე ასე უეცრად,  
დავწერო შენი სისხლის პოემა,  
თავს არ დავზოგავ – მექეც მენწყერად,  
ჩაგატან, რაც გულს მოეპოება...  
სტიროდა ამ ზღვით ოვიდი ნაზონ,  
უფრო კი რომსა და საკუთარ თავს,  
რაც უნდა ენა გადამირაზონ,  
მე ვიტყვი ჩვენი გზების დაბურდვას.  
გვიცვლიან ჩვენ გზებს... ოფლში განურულს,  
რომ შეუცვლიან სიცხის სასთუმალს.  
მაგრამ ვერ ვხედავ ჯერ ვერც ერთ უფსკრულს  
და ვერც ერთ მწერვალს ჩვენგან გარდუვალს...

გამწევი არის ეს აგონია,  
აღარ თავდება ცეცხლის საკირე  
და ამაღამაც ასე მგონია,  
რომ მოადგება ქრისტე ნაპირებს.  
და როგორც ამ გემს დავარდა ღუზა,  
ცას გაეხსნება სიმძიმით კარი  
და თეთრი, როგორც იალბუზია,  
მომელანდება ერის სიზმარი.

24 აგვისტო, 1926

სოჭი-გაგრა

## სკიტიის ელეგია

განა თუ მართლა გადმოვიკარგე,  
მე ჩემი ნებით გადმოვიკარგე.  
ვხედავ სკვიტების გათელილ მხარეს,  
ვიცი, ეს მიწა მე აღარ მარგებს...  
მე მართლა მიყვარს ჩემი ქვეყანა,  
მაგრამ ეს გრძნობა ვის დავაჯერო,  
სატყეხი გახდა ორპირში ყანა,  
აქ კი გვიმრების დავეძებ ჩეროს.  
და სტირის ჩემში ჰუშკინის ლექსი,  
დგება სკიტია და ქიმერია.  
მე ვის მოვთხოვო ეხლა ალერსი,  
ცრემლებზე ცრემლი რომ მომერია.  
ჩამოიტირებს ბრმა მეფანდურე  
და აატირებს ქრისტეს ბაზარზე.  
ამბობს ცრემლებით ქვეყნის სამდურავს  
ზუის მიმბული ძალლი ბანარზე.  
მეც მაგონდება ჩემი ბავშვობა.  
მეც მეტირება, არ ვიცი, რაზე.  
ათასჯერ გული რომ გადავრაზე,  
მალირსეთ ერთი ცრემლის გამრობა.  
სტირის მოხუცი ქვეყნის აღსასრულს,  
და აკვანიდან ამის მოლოდინს.  
მეც ქარიშხლიანს ვიგონებ წარსულს,  
და სინანულის ცრემლი ჩამომდის,  
მომსდევენ ცხენით მთვრალი სკიტები,  
მეც ვსვამ „კაბერნე“-ს და არ ვითვრები...

*3 სექტემბერი, 1926*

*ანაპა*

## მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე

ჩამომრჩა უკან მე ჩერქეზეთი,  
ვუახლოვდები ჩვენსკენ დარიალს,  
დამშრალი თერგი – ერთი წვეთია,  
მაგრამ ზღვასავით გულზე გადიარს.  
წამექცა თავზე ცა გარღვეული  
და ცაზე კიდევ სხვა მყინვარის ცა.  
და დარიალით გადარეული  
თვალეებს ცრემლების თერგი მირეცხავს.  
და გადავყურებ ალმასს უფსკრულებს,  
კვალდაკვალ ჩემი დემონი მომსდევს,  
ვხედავ გიგანტის შოლტის მუსკულებს  
და რკინის ბანარს, ყელზე რომ მომდებს.  
ვიცი, მომელის მაინც ეს ბედი  
და ისიც ვიცი, ჩემზე ახია!..  
ძვირფასო, არ ვარ, იცოდე, ყბედი,  
თან თავის მოკვლა რა ტრაბახია!..  
მაგრამ მიტაცებს ქარიშხალივით  
ამ თვალუწვდენი ხრამების ფსკერი,  
ვიცი, ქალი ხარ ყველა ქალივით,  
ვიცი, ამასაც ეჭვით უცქერი.  
მინდა, რომ ვიყო მწირი გულადი,  
საშინელ ღამეს ვეფხი რომ დაბდღვნა.  
ვარ ავსებულები შენით გულამდე  
და მოვარდნილი ცრემლების წარღვნა.  
მინდა, მოვირთხა ამ შარაგზაზე,  
მინდა, გავიხსნა გული ალალი.  
მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე,  
შენ ჩემ სიკვდილში არ გიდევეს ბრალი.

*5 სექტემბერი, 1926*

*ტფილისი*



## ილიალი

სკიფიაში ვარ... ქიმერიის  
მწუხრით დამწვარი,  
ალი, ძვირფასო, მე შენი ხმით  
ვეკითხულობ პუშკინს,  
ბახჩისარაის შადრევანის  
მასველებს ღვარი,  
ძველ შადრევანებს ატირებას  
არავინ უშლის.  
და ვეკითხები ამ დაბურულ  
სკვითების ღამეს:  
რა იქნა ჩვენი ჭაბუკობა  
და გატაცება?  
ვინ გადაფისა ასე გული  
მშრალი ბალღამით  
და არ გვაცალა შთაგონების  
დავაჟკაცება.  
მალე ტფილისში, როგორც წინათ  
ვაჟა-ფშაველა,  
მე ჩამოვიტან ხურჯინებით  
დანერილ ლექსებს,  
მაგრამ ლექსებზე მეტი მომაქვს,  
მანც ნალველი,  
უჩემოთ ასე სამშობლოში  
რომ გამიღესეს.  
და გეფიცები მეც ოვიდის  
დამწუხრებულ ლანდს,  
რომ ძველებურზე კიდევ უფრო  
შენთან ვარ ახლო,  
ვოცნებობ შენთან რუსთაველზე  
ტირილით გავლას,  
დავინყებული სტრიქონები  
რომ განვიახლოთ.  
ვიგონებ იმ დროს, როცა შეგხვდით  
მართლა ლოენგრინს,  
თეთრი ვაშლის ხე თეთრ ხიდეზე  
მოსცურდი გედით.

გიგონებთ რაინდს, სამუდამო  
ლექსით დაბეგრისს,  
რომ გათენებას ქუთაისშიც  
ველარ ვიგებდით.  
ვიგონებ ტფილისს.. რძიან დილას  
და ვარდისუბანს,  
აბნეულ სიტყვას, ლექსების ორთქლს,  
ილაიალის  
და საიათნავას სიმღერებით  
აყვანილ დუქანს.  
ალი, ძვირფასო! დაგვრჩა რამე  
იმ ცეცხლის ალის?  
თვრამეტი წელი, დასანვაავი,  
თვრამეტი წელი.  
ჩვენ გუსარები – გაფრენილი  
ჰოლანდიელი.  
მომტირის გული, სასიკვდილე,  
გული ალალი,  
ციცინათელათ გადამდნარი  
და ილაიალი...  
ბუინოს აირესს.. ალექსანდრო  
და კასტილია!  
თეთრი საბნებით თავწაკრული  
მალაელები.  
იმ ტანჯულ დღეთა პანაშვიდი  
გადახდილია,  
საბანეევას უნაზეს მზით  
ნამტირალევი.  
თითქო გუგუნებს ამალამაც  
დავითის ზარი  
და ეს სკიფია სიზმარია,  
მხოლოდ სიზმარი...

*14 სექტემბერი, 1926*

*ანაპა*

## სკვითური ელეგიები

5

მაშინ ოვიდი სტიროდა აქ რომს  
და იქ დარჩენილ შვილების ალერსს,  
ფოლადის ნადულს დროც ველარ აქრობს,  
რომიც ვერ უძლებს ასეთ ნაჭედ ლექსს.  
სტიროდა შემდეგ კიდეც აქ პუშკინ,  
ნისლით დაბურულ პეტროგრადის ცას,  
თითქო ეს იყო ჯერ კიდეც გუშინ  
და პეტერბურგი კიდეც დაიქცა.  
აქ ალექსანდრე მაკედონელმა  
ამორძალების შემუსრა ჯარი,  
მაგრამ გასცვალა ქალის ქამარში  
ლომმა ლომური თავის აბჯარი.  
უტეხდენ ცხენებს მაგარ ხერხემალს  
აქ გადამთვრალი სკვითების ურდო,  
გზათ გაუვლია აქ მაჰმადის ხმალს,  
რომ დუნაიზე გადაეყუდოს.  
ბევრი სხვა ტომი, ბევრი სხვა თესლი  
ამ ზღვის ნაპირებს გადურევია,  
მაგრამ დამშვიდდა იმათი გესლი,  
მწუხრის ნისლშია დღეს ქიმერია.  
რა მინდა აქ მე? – რისთვის მოვედი?  
განა თუ ვიტყვი ჩემ გულის სათქმელს.  
ყელნაგდებული იმღერის გედი,  
პირდაპირ სცემენ – შუბლის საფეთქელს.  
მაგრამ გადავა კიდეც სხვა ტომი,  
იქნებ ევქსინის პონტიც ამოშრეს,  
მხოლოდ იცოცხლებს ლექსის ატომით,  
რაც პოეტის გულს ცეცხლით ამოჭრეს.  
მაშინ ოვიდი სტიროდა აქ რომს  
და იქ დარჩენილ შვილების ალერსს,  
ფოლადის ნადულს დროც ველარ აქრობს  
და მე ვაგრძელებ განუწყვეტელ ლექსს...

14 სექტემბერი, 1926

ანაპა

## სტალინი

ვინ ამოუშვა ეს გრიგალი პირცეცხლიანი,  
ლენინის შემდეგ ვის უჭირავს ცეცხლის სადავე?..  
ამდენხანს ქარი ჩადგებოდა, შენ რომ გეცლია,  
მაგრამ მუშები რკინის ნებით შენ ერთს გდაღვენ.  
შენ ხარ ფოლადი... კახაბერი, მართლა სხვა კაცი,  
რკინის პალოთი ეს ქვეყანა დააბარბაცე.

მალე, სულ მალე გაუჩნდება მზეს კომუჯრედი –  
მალე მიიტანს ცისარტყელას ამბავს იქ მტრედი.  
გათავდა წარღვნა... კიდობანი დადგა არარატს,  
ძველი ქვეყანა ველარ იკრეფს უკვე არაქათს.  
მოდულს გრიგალი გრიგალებზე გადაგრაგნილი  
და ამ სტიქიას დირიჟორობს კობა სტალინი.

ცივ ციმბირიდან, ტაიგებით – ცხელ კოლხიდამდე  
მებრძოლთა ძვლების გამოხრული ადგა ფლეიტა.  
კატორღა, ციხე, ეშაფოტზე ხალხს რომ ზიდავდენ...  
ატირდა ხორცი, ბორკილებზე რომ დაიფლითა.  
და როგორც რისხვა ამ ლანდების გამოგზავნილი,  
იმპერატორთა საფლავებზე დადგა სტალინი.

რბილია მართლა ხალხის ცრემლით ნაჭედი გრდემლი,  
მაგრამ გატეხა მაგარი ქვის მეფეთა კრემლი.  
ბევრი სისხლი სვეს, სისხლიანი შეხვდათ ქელეხი,  
როცა დაადგა მაგარ ფეხით მუშა და გლეხი.  
ახალ ბრძოლისთვის აქ დროშები გადაშლილია  
და ამ დროშების თავსარდალი ჯულაშვილია.

14 სექტემბერი, 1926

ანაპა

## ირემი აქებს იალალს

კ. თ.

შენ მართლა ამ ლექსს ვერ წაიკითხავ  
და ვერც ვერაფერს გეტყვის ამაზე,  
მხოლოდ დარჩება, როგორც მე გითხარ,  
ტფილისის ლამის ეს სილამაზე.  
რა ვუყოთ, მართლა რომ გავიკანრე,  
ერთხელ ტფილისში ვეფხიც მოვარდა,  
არ დაგიჯერებს არვინ სიმკაცრეს,  
არც ვარდი ვარგა უეკლოთ ვარდათ.  
მეგონა თავი ჯერ ავთანდილი  
და შენც აგავდი პირველად ფატმანს,  
მერე დაიცავ ქალის მანდილი  
და ხანჯალივით მცემდი ხელთათმანს.  
მეც არ ვიტყვოდი ამ მცირე ამბავს,  
აქებს ირემი განა იალალს?..  
მაგრამ პოეტი ლექსს რომ გაგიბამს,  
შენ მოიგონებ ბოტანიკურ ბაღს...

5 დეკემბერი, 1926

ტფილისი

## ციკლიდან „კარმენსიტა“

გამომიქროლე, როგორც ალალი  
და გადამაგდე მართალი გზიდან.  
ქალო, ქალი ხარ, თუ ქარიშხალი,  
გულმა აქამდე ან როგორ გზიდა.  
დატოვე გულში შენი ხანჯალი,  
რომ დავიცალო მე ამ ბრაზიდან.  
ხარ ანგელოსი, მოსული ციდან –  
ზეცას გაგატან სულს, კარმენსიტა!..

დღე ცის მარადი ყოველი ღამე  
მე შენი ტანის ცეცხლის ალი მწვავს,  
რისთვის მიზოგავ, მომკალ ბარემლა,  
დასწვი, ჯერ კიდევ რაც არ დაგინვავს.  
არ დაბრუნდება ხომ აწი წალმა  
ბედი, რაც უნდა ბევრი ვინვალო.  
მე ხომ უშენოთ თავს არ ვიცოცხლებ,  
შენ სიყვარულით მკვდარი ვარ, ქალო.

სტირიან სულში ათასი ხმებით  
გადამტვრეული სალამურები.  
სულში ვაშლის ხე ვიღაცამ დარგო,  
სიყვარულისთვის ნუ მემდურები.  
ვერ დავემალე მე შენ სიყვარულს  
და არც მინდოდა, რომ ამეცდინა.  
შენი ხანჯალით გავიფატრავ გულს,  
ოღონდ იცოცხლე შენ, კარმენსიტა!..

*16 დეკემბერი, 1926*

*ტფილისი*

## ებრაული მელოდია

ბაბილონიდან  
ახლო იყო მაინც სიონი,  
მოჰქონდათ სუნთქვა  
კედრონისა უდაბნოს ქარებს.  
და სდარაჯობდა  
გულზვიადი კავკასიონი  
ხალხთა ტყვეობის  
გადარაზულ, დაკეტილ კარებს.  
ცრემლი ცრემლია,  
ორმაგია ცრემლი მონისა,  
იჯდენ, სტიროდენ  
მდინარეზე ბაბილონისა!..  
თითქო ათასს წლის  
წინ ედგათ მკვდარი;  
არაქსის მოთქმას  
ბანს აძლევს მტკვარი.  
მოჰყვება რიჟრაჟს,  
ნაყვება დაისს  
ისმის ჭრიალი:  
– ო, ადონაისს...  
ტანჯვა-წამება  
რაც შეაგროვა,  
რისხვათ თავს აყრის  
ხალხს იეგოვა..  
ეს წიგნი სისხლით  
შეღებოლია  
და სისხლს მოითხოვს  
მაინც ბიბლია...  
და ეს ამბავი  
მოჭორილი განა როდია.  
აქამდე სტირის  
ებრაული ეს მელოდია.  
და ჟღერს უკვდავი  
ბაირონის მრისხანე ქნარი  
ჰანრიხ ჰაინეს  
მიმატებულ ცრემლით დამდნარი.

პირველი სუნთქვა განა პოეტის  
ამ დიდებულ ხმას სადმე ასცდება?..  
– ჩქარა, მგოსნებო!  
თორემ გული მართლა გასკდება...

## 2

მეც მაგონდება ჩემი ბავშობა,  
მესმის, ზრიალებს დავითის ქნარი.  
კიჭიას ქალი, პონტოფრეს ცოლი,  
ყრმა იოსების მშვენებით მკვდარი.  
ამ დროს ეზოში დაყეფავს ძალლი  
და მივარდება გაღებულ ჭიშკარს,  
და შუკის ბოლოს ისმის ძახილი,  
ეს დანიელა მოუხმობს მუშტარს.  
წინ გაუგდია თავის მიხაკა,  
ერთს თვითონ იტყვის, სხვას ბავში ზღავის,  
საპონი, შპილკა, ფართალი,  
ნუთუ არ გინდათ, ხალხო, არავის?  
– აბა, ფართალი, ფარჩა, ფართალი!  
დაედევნება ცელქ ბიჭების მთელი კალია,  
და სანყალ ცხენის ძუა სად არი?  
ფიცავს და სტირის, ცრემლის არ გჯერა,  
ღმერთსაც ატყუებს დღეში ასჯერა.  
ვინ იცის, თავზე მას რამდენი გადახდენია  
თრევა, წაწნალი და ჩარჩობა მისი ბედია.  
ცრემლით ვთხოვ დედას, ამ სანყალ კაცს ნუ ევაჭრება,  
თითქო გულს ადებს თავის ადღზე საპნის ნაჭრებათ.  
შემდეგ გავიგე ამ სანყალის ხმა განწირული,  
როცა ბეილისს გაუმართეს გასამართლება.  
დრტვინავდა მაშინ სტუდენტური გული გმირული,  
მაგრამ გული აქ რას გახდება.  
ლატაკ უბნებში გაიმართა ფიცხელი ომი,  
საბედისწერო მე ვიგრძენი სიტყვა „პოგრომი“.

[1926]



\*\*\*

სამჯერ ვარ დაბადებული,  
მონათლული ვარ სამჯერა,  
ერთხელ სიკვდილი რას მიზამს,  
ერთხელ სიკვდილის არ მჯერა.  
შეხედეთ ოქროს მზეთამზეს,  
მთები რომ მთებზე ეყარა.  
ყოველ დღე ამას ხედავდეს,  
რა მოკლავს ასეთ ქვეყანას.  
მოვა სიკვდილი, შეხედავს  
და შერცხვენილი გაიარს.  
როცა ცა სისხლით შეღებავს  
თურაშაულის განთიადს,  
ცა მაღალია – მთაც მაღალია  
და კაციც უნდა იყოს მაღალი.  
გამოირღვევა მთების გალია,  
გადმოფრინდება ქორის ბახალა.  
ვარ თავმდაბალი, გული სანყალი –  
სხვისი ჩამიდგეს თითქო საგულეს.  
მაგრამ ქართული მიწა და წყალი  
ვერ ნახავს პოეტს ჩემ უერთგულეს.  
სანამ სამშობლოს ცა ბაირალობს  
და მყინვარს აფენს შვინდისფერ ხავერდს,  
სანამ კახეთი ღვინოთი ღვარობს  
და ალავერდთან მოდის ალავერდს.  
სანამ ტფილისზე სდგას ოქროყანა,  
ტაბახმელაზე – ქოროლლის ციხე,  
თუ ვერ ვადიდო ჩემი ქვეყანა,  
თუ ვერ ვიმღერო, მართლა ჩამნიხლე.  
მეც გადმოვხეთქე მთების გალია  
ცა მაღალია, მთაც მაღალია,  
და კაციც უნდა იყოს მაღალი,  
გამოირღვევა მთების გალია –  
და გადმოფრინდა ქორის ბახალა.

[1926]

## დარუბანდიდან – ნიკოპსიამდე

დასაბამიდან დღე ცისმარადი  
საქართველოში ამ ღვინოს სვამდენ,  
გადადიოდა ხელში ხელადა  
დარუბანდიდან ნიკოფსიამდე.  
საკუთარ სისხლით დაკვეთილ ზედაშს  
ცხენზე დალევდა ომში ვაჟკაცი,  
რომ შემდეგ თათრებს უტიროს დედა,  
დაატრიალოს ხმალი სიმკაცრით.  
მე დღესაც ვხედავ მამაც რაინდებს,  
კოშკში დამწყვდეულ მზეთუნახავებს,  
მათ სადღეგრძელოს ნუ მომარიდებთ,  
ამაზე მაინც ნუ დამძრახავენ.  
ბარათაშვილი არაგვზე სვამდა,  
მე კი დღეს მალრჩობს ქიმერიონი.  
ლამის გადიქცეს მტრედი სვავადა,  
სხვა ქარიშხლების მოდიან დრონი.  
რა საჭიროა სატრფოს ცრემლები,  
არც ქარს ვაწუხებ საფლავის თხრისთვის.  
მოისვენებენ ისედაც ძვლები,  
თუ კრემატორი აღირსეს ტფილისს.  
მაშ, მეც დამისხით, დამალევიეთ,  
ამივსეთ ყანნი წითელ ღვინოთი.  
საქართველოში ბევრი მაგინეს,  
მიუმატებენ, რომ მე ვარ ლოთი.

*7 იანვარი, 1927*

*ტფილისი*

## მეარღნები და პოეტები

...და ალიონზე თეთრ დუქანთან სტირის არღანი:  
– მტკვარი ახლოა, უნდა მტკვარში თავი დავიხრო,  
სიყვარულისთვის მეტ მოთმენის არა მაქვს ღონე,  
მინდა, ამ დილას ამ ცივ მტკვარში თავი დავიხრო.  
მეტი მოზიდეთ კალმახები, თქვენ, არაგვიდან,  
რაც იყოს, იყოს: ამ ქეიფსაც ერთხელ ავიტან.  
ერთ ლამაზ ქალზე მარტო ერთი ლექსი დარჩება,  
განა გავხდებით, პოეტები, ლექსის ჩარჩებათ...  
„ნი-ნა, ნი-ნა... ჩემო ნი-ნა,  
გა-თხო-ვე-ბა... ხომ არ გინდა:  
გა-თხო-ვე-ბა... რომ მინდოდეს,  
შენი კითხვა მე რად მინდა..  
(ნინამ ისე იგვირგვინა,  
რომ სხვას კითხვაც არ დაჭირდა).  
ასე მეარღნე... დაამტვრიე... დაცხე, გეთაყვა,  
აბა, რად გიღირს საიათნოვას შენ მუხამბაზი.  
რამდენი წრფელი სიყვარული ამ მტკვარს თან გაჰყვა,  
ზაჰესის სინას ხომ გაჰყვება ეხლაც ჯამბაზი:  
„შაბათი რომ დაღამდება,  
კვირა გათენდება.  
თამრიკო მონამღულა,  
რალა მეშველება...“  
ტყვილი იქნება, ჩემო ძმაო – თავს ვინ ინამლავს?  
აღბად იმ ქალსაც სულ ტყუილად ჰქვიოდა თამრო.  
ის სხვა სიყვარულს უეჭველად გულში იმაღავს,  
რამდენიც გინდა, თვითონ ვიცი, იმას ჰყავს საქმრო!..  
ჩემო მეარღნე, გენაცვალე... წაიღე სული,  
საქართველოში ნეტა ასე ვინმეს ვუყვარდე...  
რა ვუყოთ მერე.. პოეტი ვარ – ხელით წასული,  
საქართველოში ხომ ფეტვივით სთესავენ ვარდებს.  
ვიცი, გიყვარვარ: რომ შენ ჩემთვის ატირებ არღანს,  
ვიცი, გიყვარვარ: რომ არ გინდა, მოჰკვდეს თამარი.  
შენ კარგად იცი, რომ თუ მოკვდი, არვინ დაგმარხავს,  
თავის სამარხი ზედ გარტყია ოქროს ქამარი.

ხელიდან წასულს პოეტს ახლო მაინც აქვს მტკვარი,  
კარგი ბიჭია: იმას არ სძულს უფასო მკვდარი.  
სტყუი მეარღნე: გათხოვდება ეს შენი წინა,  
არ დაიჯერო, ის თამრიკოც რომ მოინამლოს..  
ქალი ქალია, დიდხანს უქმროდ რამ არონინა,  
ქალი ქალია და იშოვის თავის მალამოს!..  
უბრალოთ ვკვდებით: მეარღნები და პოეტები –  
მაგრამ ჩვენ ალბად თავის მოკვლაც გვეპატიება...

*16 თებერვალი, 1927*

*ტფილისი*

## შეხვედრა კ. ბალმონტთან მოსკოვის ახლო ტყის ქალაქში

მახსოვს რუსული ყანა და ქერი,  
მოგყვები ბავშვი, როგორც ჯადოქარს.  
შენ კი მიცურავ, როგორც ნამქერი,  
შენ, როგორც ქრისტე, მიყვები ამ ქარს..

Я был в России, грачи кричали.

Весна смеялась в мое лицо.

და ნიავს მიაქვს ყვითელი ჩაღა,  
იშლება შენი თმა თაფლის ფერი..  
და სტირის ყვავი.. ყვავი ყვანჩაღა,  
ლექსებით ასე რომ მოეფერე...

Я был в России, грачи кричали.

Грачи кричали: Зачем? Зачем?..

შენთან ვიყავი... ყვავი სტიროდა,  
რაზე სტიროდა, მე ვიცი განა?  
მეც ხომ მდულარე ცრემლი მდიოდა,  
მაგონდებოდა ჩემი ქვეყანა.  
მართლა დამწველი, ეს ათი წელი  
ვერ დამავიწყებს მაშინდელ ზაფხულს,  
ამდენხანს ასე თუ გაუძელი,  
ამდენ სიყვარულს, ამდენ სიხარულს!..  
იმ ზაფხულს მოკვდა ვაჟა-ფშაველა,  
მახსოვს, ცრემლებით შენ ეს გითხარი,  
ის სიკვდილის წინ ითხოვდა ბალახს,  
გახელებული წყურვილით ხარი...  
მას შემდეგ დამრჩა გრძნობა ასეთი,  
რომ ერთად ორ მზეს თვალი შევასწრე,  
მოხიბლული ვარ ამ სინაზეთი  
და სიკვდილამდე დავრჩები ასე...  
გავიარ ისევ „ძალის მოედანს“  
და მივადგები მიკოლას საყდარს,  
კარზე დარეკას ხელი ვერ ბედავს,  
ამ სახლს ვუყურებ როგორც ნატახტარს.  
აქ სცხოვრობს გრუშკა, ჩვენი დეკანი,  
აქ სკრიაბინი ებრძოდა სიკვდილს.

მე რუსთაველის მომაქვს დედანი  
და შუბლზე ცივი ოფლი გადმომდის.  
გვიკითხავ მთვარის, თაფლის, მზის ლექსებს  
და თეთრი თოვლით სავსეა ქუჩა.  
და მშობელ მინის ვიყნოსავ ფესვებს,  
ჩემ ზამთრის სულში ჰყვავის ალუჩა.  
თითქო ჩათვლიმა ბალტრუშაიტისს,  
ვოლოშინს ჰშვენის ლომის ფაფარი  
და რუსთაველის მგზნებარე შაირს  
ზამთრის სინაზე გადაეფარა..  
გელის ტფილისი: „ვეფხის ტყაოსანს“  
მეორედ ელის დღეს საქართველო.  
„ცისფერ ყანწები“-თ დიდებულ მგოსანს  
მოგაგებებენ შენ სადღეგრძელოს.

ფუტურისტები მაშინაც ისე  
ლაზღანდარობდენ ყვითელ კოქტებით.  
ჩვენ ძველი დაგვრჩა მაინც სინდისი,  
შენ სიყვარულით გულში მოვკვდებით...

16 თებერვალი, 1927

ტფილისი

## ტფილისის ღამე

თითქო კვდებოდა ტფილისის ღამე,  
სარაჯიშვილის ხმებით სტიროდა,  
თარს ამოჰქონდა გულის ბალღამი  
მტკვარის მარჯვენა სანაპიროდან.  
უკანასკნელად მღერის მეტივე  
ფიჭვის შეკრული თეთრი გედებით  
და უეცარი ძველი მოტივი  
წობით და ფისათ გულში მედება...  
რა მბაღია, ან რა მებაღა,  
მე ვარ ტიტველი მთა შავნაბაღა,  
მაგრამ გული რომ მაინც მომტირის,  
თითქო ჩააგდეს ცეცხლის საკირეს!..  
ტივებზე რომა სუფრა გაშლილი,  
ღვინით გაღეშილს ველევი კინტოს...  
მე მიჩვენია ჯორჯიაშვილი,  
რომ გრიაზნოვი კიდევ დახვრიტოს!..  
გთხოვთ, მაპატიოთ მემანვნე ბიჭი,  
რომ დილას მისი ხმა მალვიძებდეს,  
პატარა ვირის მტკიცე ნაბიჯით,  
თითქო ქარვასლას მართლა იძენდეს.  
ყოველი კვირა ჩემთვისა ბზობა  
და ტფილისია იერუსალიმი.  
ოქროყანიდან რამდენი გზობა  
მოდის ეს ქრისტე ბავშვის ღიმილით.  
არ ვარ ბურჟუა, ღმერთი და რჯული,  
მეც ეს ბავში ვარ მზით გარუჯული,  
რა მბაღია, ან რა მებაღა,  
მე ვარ ტიტველი მთა შავ-ნაბაღა.  
ეხლა მეც ვაქებ ინდუსტრიის ქარს,  
მეც მინდა ძველი ქვეყნის დაღენა.  
თაფლის ფრთა ჰქონდა მაშინაც იკარს  
და გული ფრთაზე მალე დაენვა.  
და მაპატიეთ, მეც რომ მივტირი  
ტფილისის რძიან ბალახის დილას.

მე მენარბეზა მართლა მესტვირე,  
არსენას ლექსით რომ გამოზრდილა.  
ჯერ კიდევ ვზივარ ამ ჩემ ძველ ტივზე,  
ვტირი შეკრული ფიჭვის გედებით.  
არ შევჩერდები მე ამ მოტივზე,  
მე თვითონ ვსცხოვრობ ამ იმედებით...

*16 მარტი, 1927*  
*ტფილისი*



## იმათი იყოს ეს სადღეგძელო

რომ დავფუდებოდეთ ჩვენ პურის ჭამათ,  
მოვიგონებდეთ, ძმებო, ფიროსმანს.  
მისი გული გვაქვს ჩვენ ღვინის ჯამათ  
და აქამდისინ ქართულ მირონს გვბანს.  
გვიკურთხებს სუფრას: აღდგომის კრავი,  
მისი რუმბები და ნატიურ-მორტი.  
ჩვენც ხომ კრავი ვართ ეს დასაკლავი  
და ასაბიით სუფრა მოირთო.  
გაიარს კიდე ათიოდ წელი  
და ამ სიცოცხლეს უფრო მიქელავს,  
ჩვენიც იქნება შესანდობელი,  
შეგვაბრალებენ სანყალ ნიკალას.  
ძმებო, ჩვენც გველის სარდაფის ხვრელი  
და ფიროსმანის იქ აგონია.  
ბევრი არ არის მისი მნახველი  
ჩვენც ამბათ სხვისგან გაგვიგონია.  
და ატირდება წყვილი სანთელით  
სამიკიტნოში სუფრა პატარა,  
განვლო მან ცეცხლის კორიანტელი,  
ბედმა უბედოთ ბევრი ატარა.  
იყო სანყალი ერთი ოსტატი,  
ასეთ ოსტატებს ზრდის საქართველო.  
ღმერთმა აკურთხოს მარჯვენა მათი,  
იმათი იყოს ეს სადღეგძელო.

20 მარტი, 1927

ტფილისი

## ლექსი მენყერი

მე არ ვწერ ლექსებს.. ლექსი თვითონ მწერს,  
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.  
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მენყერს,  
რომ გაგიტანს და ცოცხლათ დაგმარხავს.  
მე დავიბადე აპრილის თვეში  
გაშლილ ვაშლების ყვავილებიდან,  
მანვიმს სითეთრე და წვიმის თქეში,  
მოდის ცრემლებათ ჩემ თვალებიდან.  
აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები,  
ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება,  
ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება  
და ეს ეყოფა გამოსარჩლებათ.  
იტყვიან ასე: იყო საწყალი  
ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი,  
ლექსები იყო მისი საცხალი,  
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.  
და აწუხებდა მას სიკვდილამდე  
ქართული მზე და ქართული მინა,  
ბედნიერებას მას უმაღავდენ,  
ბედნიერება მან ლექსებს მისცა.  
მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,  
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს,  
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მენყერს,  
რომ გაგიტანს და ცოცხლათ დაგმარხავს.

17 აპრილი, 1927

ტფილისი

## ეს არ ყოფილა დასამალავი

დეზერტირები ისროდენ თოფებს,  
გარშემო იდგა სისხლის ლიახვი,  
სულს მოგონების ცეცხლი აშფოთებს  
და წარსულ დღეთა საფლავს მიახლის.  
მართლა დამწველი ეს ათი წელი  
სიზმარს მიაგავს გამოუტანელს  
და თვითონ გიკვირს, რომ გაუძელი  
ამდენ სატანჯველს და ბრძოლას ამდენს.  
რად მინდა ეხლა სახელი მარტო,  
მაშინ ვიყავი მხოლოდ პოეტი,  
მოედანია დღეს მართლა ფართო  
და მოედანზე მკვდარი მოვედი.  
და ასე მახსოვს, ქართულ ზღაპარში  
კაცს უკვდავების ენახა წყალი,  
მაგრამ როდესაც დაბრუნდა სახლში,  
სურასთან მკვდარი დაწვა სანყალი.  
ასე მოუდის ყველა ლირიკოსს,  
თავს სასიკვდილოთ რომ გადადებენ,  
უნდა სიცოცხლეს სულ გაგირიყოს  
და ჩამოშორდეს ყველა იმედებს,  
ლექსებს რომ ახლავს თან სანამლავი,  
ეს ხომ არ არი დასამალავი.

16 მაისი, 1927

ტფილისი

## გუნიბი

*Могилы вольности Гилгебиль и Гуниб!*

*В. Хлебников*

გადმოვიარე დალესტანი... ვნახე გუნიბი,  
გიაური ვარ – და ვარ მაინც ეხლა მიურიდი,  
ხმალი ლეკური ამდებანაც არ ილუნება,  
ამ ხმალს მე ეხლაც სიხარულით გულს გავუყრიდი.  
დაუთოვია სისპეტაკე ზეცას თეთრ თოვლით,  
სდგანან ზვავების ეშაფოტათ მაღალი მთები,  
მოდულს გრიგალი შურისძიების მეორე მოსვლით,  
იხტიოზავრიც წარღვნის ღამეს დაეფეთება.  
ვხატავ არწივთა სამუდამოთ დანგრეულ ბუდეს  
და მოგონების სირცხვილიდან თვალი მევსება,  
ამ ცის სიმაღლეს შეგინება რომ გაუბედეს,  
ამის სირცხვილი, საქართველოვ, შენც ხომ გედება.  
ქართული ძვლები აღპებიან აქ რუსის ხიშტებს,  
მეცოდებიან ამ სანყალთა გახრული ძვლები,  
სული თან წაყვათ სამოთხეში მამაც ჯიგიტებს  
და თქვენ კი დარჩით, ჩემო ძმებო, გაძარცულები.  
და ამაღამაც, როცა ლენავს ყველაფერს ქარი,  
მიურიდების სულს კიდევ ლოცავს მათი იმამი.  
თქვენი კი წახდა სამუდამოთ ბრძოლა მედგარი,  
არც დაგიტირებთ უცხოეთში უცხოთა ღამე.  
არ მისროლია მე არასდროს ჯერ კაჟის თოფი,  
არც გალესილი მრტყმია წელზე ლეკური ხმალი –  
მაგრამ უეცრად ვაჟკაცობამ მეც შემაშფოთა,  
არ მინდა, ვიყო მე პოეტი სისხლით დამფრთხალი  
და ამ ღამიდან დაწყებული დღე რაც კი გადის,  
მე ვწერ პოემას: რომ გარეცხოს თქვენი ღალატი.

*17 მაისი, 1927*

*ტფილისი*

## კახეთი

I

ასე გვეძახის ალაზნის ველი:  
– ჩემი სტუმრები ხართ სასურველი.  
მოდით და ნახეთ კახური ღვინო,  
მოდით, ბიჭებო და მოვილხინოთ.  
ნეტა სხვა ხალხიც წამოგეყვანა,  
გელით პოეტებს სუფრა გაშლილი.  
შილდაში მღერის დედას ლევანა  
და ართანაში – ყარალაშვილი.  
სოფლიდან სოფლად მეხათ გადადის,  
თითქო წინანდალს სეტყვას ურტყამდეს,  
„მრავალ უამიერ“ ჩვენი თამადის,  
რომ სვამს და მღერის კიდევაც ამდენს.  
ბაიათებით სუფრა იხრჩობა,  
– აბა, გვაჩვენე, სიძვე, ბიჭობა!..  
ასწიე ყანწი და არ გექნელოს,  
ჩვენი კახეთის სვამ სადღეგრძელოს.  
და ასე დამჩა ყანწი საობლო  
და მანვეს მისი ცალი უღელი,  
მაშ, გამარჯვება, ტკბილო სამშობლო,  
ვიქნებით ერთად ჩვენ განუყრელი.

II

ვიცი, ესროლეთ შვიდთა... მაგრამა,  
რომ დააცდინეთ, ვიცი ეგეცა.  
ერთი ესროლა ბერმა პაპამა  
და ჯიხვი კლდეზე ჩამოეკეცა.  
შვიდჯერ რომ გითხრათ ლექსები მეც დღეს,  
ყველა შვიდივე აცდენილია.  
ვაჟა ფშაველა აგავდა მენყერს  
და თავზე გვანვეს ზვავად ილია.  
მამასაც უნდა, რომ სჯობდეს შვილი  
და ჩვენც ვიყავით ამის მდომელი.  
ეხლა ეს დაგვრჩა მარტო საშველი,  
დავლიოთ მათი შესანდობელი.

ან ვინ დაითვლის კახელ ვაჟკაცებს.  
ან შედარებას ვინ გაუბედავს.  
ძმებო, ასნიეთ ავსებულ ყანწებს  
და დაულოცოთ მშობელი დედა.  
ამაზე რომ სთქვას სიტყვა თამამად,  
იმისთვის ვირჩევთ ჩვენ კარგ თამადას.

*22 მაისი, 1927*

*ტფილისი*

## ისია ნაზაროვას

თითქო ამ ათ წელს არ გაუვლია,  
თვალლიას დამრჩა ძილში სიზმარი:  
ვუახლოვდებით „ჯანყით გურიას“  
და მატარებლის მორეკავს ზარი.  
ვიგონებ დამწველ ცამეტ წელიწადს,  
პირველ სიყვარულს, გულს რომ ანგრევდა.  
შენც ხომ ცხოვრების გრიგალი გწეწავს,  
ორივეს დაგვრჩა უძირო სევდა:  
უცოდველ ბავშვის გეძინა ძილით,  
ერთად გვესიზმრე დაღლილ პოეტებს,  
სიყვარულისთვის რაა მანძილი  
და ძილში სიზმრათ წამოიშფოთებს.  
წაილო პაოლომ იმერეთისკენ,  
მეც გურიაში მიმაქვს ოცნება.  
უფრო ახლოა გზაც ამ ღმერთისკენ  
და კაციც უფრო შეეცოდება...  
და ეს სიმღერაც თითქო სხვისია,  
რადგან სხვისი ხარ დღესაც, ისია.  
მაგრამ რას უზამ ამ გურიის მთებს,  
ძველ სიყვარულის ცეცხლს რომ შეგინთებს.

23 ივლისი, 1927

დილა მატარებელში

კინოექსპედიცია „ჯანყი გურიაში“

\*\*\*

ასე მგონია... რომ არის დოლი  
და მე გამოველ ჯაგლაგი ცხენით.  
ვიცი, ყოველი ლექსის ნადული  
რომ გათავდება ჩემი შერცხვენით.  
არც ჯვაროსანი ვარ მე რაინდი  
და სარაინდო ველიც არ მოსჩანს.  
ჩემო ოცნებავ, მაინც გაფრინდი,  
ნულარ მაოჩნებ – ისედაც ოჩანს.  
და რაინდების ეს სისხლის ტბორი  
ხმალით თუ არა სიტყვით გასცურე,  
საბედისწეროთ ვიბრძვით ჩვენ ორი  
და ბრძოლაც უნდა აქ ვაჟკაცურად.  
ზღვა იყო მშვიდი.. და მეორე ზღვათ  
გაჰქონდა გული სისხლის ნიაღვარს,  
ელირსოს მაინც ერთხელ მორეცხვა  
ამ ბალღამიან შხამის იარას.  
ერთი სიტყვა აქვს ყელნაგდებულ გედს,  
ვუცდი, ეს სიტყვა გულში ამოსკდეს.

23 ივლისი, 1927

ქობულეთი



\* \* \*

...და ეს ცხოვრებაც ხომ სიზმარია,  
დაგკრავს, გაგიტანს სულ რია-რია.  
ჩვენი თაობა ერთად რომ დაწვეს,  
ქართულ მოტიხილ მხარს ველარ აწვეს.  
ერთი პოეტი მაინც რას ზიდავს,  
თუ მკვდარი გული კიდევ თან ახლავს.  
ვკოცნი ედემის ბენვის ხიდის თავს  
და მოპარულ წაღდს – თავს რომ გადაგვხლავს.  
ერთ კაცს ხომ მეტი არ უმღერია,  
ერთ კაცს არც მეტი ნაღველი უსვამს,  
სიკვდილი ერთად გადმოგვერია  
და ერთნაირი ლალაც გადუსვა.  
ერთ პოეტს მეტი არ ჰყვარებია,  
ერთ პოეტს მეტი ლექსი არ უთქვამს,  
თუ სიყვარული გაჰკარებია,  
სირცხვილსაც ბევრჯერ გადაუთუთქავს.  
მივალ, მივდივარ და მივიმღერი,  
და საქართველოს მიმაქვს ოცნება,  
ჯერ გაუთლელი ლერწამის ლერი,  
ტუჩ-მიუდებლად რომ იკოცნება.  
ათასი გული ერთად რომ მქონდეს,  
ათას გულს ერთად ამოვიჭრიდი,  
ოღონდ, ლამაზო, არ დაგიღონდეს,  
მახსენე კაცად, როცა დაგჭირდე.  
ათასს სალამურს გააქვს გუგუნე,  
ერთად ამღერდენ გურიის მთები,  
თუ ამ სიმღერით სიკვდილს მარგუნებ,  
არც სიკვდილისთვის დაგემდურები.  
ერთ სანყალ პოეტს ამაზე მეტი  
სინდისით აღარ მოეთხოვება,  
დამადეთ გულზე ტყვია ცამეტი,  
მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას.

24 ივლისი, 1927

ქობულეთი

## და გარიბალდის წითელი ქუდი

სულ ბავში ვიყავ და პირ ტიტველი  
მერცხალის გული მქონდა საგულეს,  
როცა მიწვედა ბრძოლა პირველი,  
ბრძოლა, რომელიც აღარ მარგუნეს.  
ცხრაას თვრამეტის ვიგონებ აპრილს  
და თათრებისგან დაქცეულ ბათომს,  
ვხედავ ქართველ ჯარს იარაღ აყრილს  
და ეს სირცხვილი აქამდე მათოვს.  
გვიდუღდა სული შურისძიების  
ამ ცა და ქვეყნის გადარევაში.  
ჩვენი წყურვილი იყო – ეგების  
აგველო თათრის მწარე რევანში.  
ზოვრეთში ვდგევართ და მტერს მოველით,  
ყველა ჩვენგანი ფალავანია.  
სახეში გვირტყამს ქარი სოველი,  
გული კი ციხის გალავანია.  
ახალციხიდან მოტირის მტკვარი,  
გვილოცავს ბავშვებს ახალ ასპინძას  
თათრების ტყვია და სატევარი,  
რამდენის დედა თვალებს აინვაეს.  
გადაიკარგენ, წავიდენ, გაჰქრენ  
ახალგაზრდობის მშფოთვარე წლები,  
გულიც ეჭვებმა მაგრად გასარჯეს,  
კუბოს სანთლებათ სდგანან ნაძვები.  
გულო, გეყოფა ავად გახდომა,  
იმ გაზაფხულის ცეცხლით აქუხდი.  
ამას გაფიცებს ახალგაზრდობა  
და გარიბალდის წითელი ქუდი.

*10 სექტემბერი, 1927*

*ტფილისი*

## ამოდის, ნათდება!

ამომავალ მზის ოქროს ნათელი  
თავზე ადგება საქართველოს მთებს.  
და ნამქერებში ღამე ნათევი  
მთვარე ანათებს და არც ანათებს.  
ზევით ღრიალით მოგორავს თერგი,  
ქვევით გრიალი გაუდის არაგვს,  
მზეს გაუდვნია ყინულის ქერქი,  
მთა დაუფშვნია უხილავ წერაქვს.  
ქარს მიაქვს თოვლი და მიიხვეტავს,  
გადააფარებს ყაზბეგს შვინდებათ,  
შერცხვეს ვაჟკაცი, თუ ამას ხედავს  
და სიკვდილს კიდევ შეუშინდება.  
მივჩერებივარ ცას გაკვირვებით  
და ამიტაცებს სიცოცხლის ფეთქა.  
ვაჟა-ფშაველას ვსუნთქავ ფილტვებით,  
ხიმიკაურის გული ჩამედგა.

*7 დეკემბერი, 1927*

*ტფილისი*

## სოლანლულიდან

ისედაც მშვიდი უფრო დაცხრა ამაღამ მტკვარი,  
მხოლოდ მეტეხთან უფრო არი მაინც მშფოთვარე;  
ანგელოსებმა მეტივეებს მოპარეს კვარი,  
ლრუბლის ტივებზე განოლილა ქალივით მთვარე.

სოლანლულიდან თათრის ბიჭი მოდენის ვირებს  
და მემვანილე ერეკება ცარიელ დროგებს,  
რომელი ერთი ან დამძრახავს ან გაიკვირვებს,  
რომ უკან მივსდევ ჩემს დიდებულ თანამედროვეს.

მე რა მაქვს ახლა, რა მექნება, ან რა მეზადა,  
ვარ უზრუნველი და ტიტველი მთა შავნაზადა,  
და თუ მანუხებს – მხოლოდ ფიქრი გულის დამწველი,  
რომ ახლოს არის მარაბდა და კრწანისის ველი.  
რომ ყველა ლეკმა და ურჯულომ გული იყარა,  
რომ კუბოსავით დაცხრილული დგას ნარიყალა.

ისედაც მშვიდი, სულ დამცხრალა ამაღამ მტკვარი,  
მხოლოდ მეტეხთან მაინც არი უფრო მშფოთვარე;  
ანგელოსებმა მეტივეებს მოპარეს კვარი,  
ლრუბლის ტივებზე განოლილა ქალივით მთვარე.

1927

## გალაკტიონ ტაბიძეს

### ქრაგმენტი

ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპის ცალი,  
ერთად ლპებიან ჩვენ მამების კუბოს ფიცარი,  
ორპირის ფშნების ერთად ვწოვეთ ჩვენ უჟმურები  
და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით...  
გაუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი,  
რიონის ტალღათ დაგვედევენა სიტყვა ანკარა,  
ერთია ჩვენი სამუდამო ხაშმის ემბაზი,  
ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით.

მესმის ყანებში გადამბული გრძელი ნადური,  
მოაქვს დელიჟანს კრენდილები და „ნაკადული“,  
მოიმღერებინ შარა გზაზე ჩალანდარები  
და შიშველ ფეხებს აქ ეკალიც არ ეკარება.  
მე შემეყვარდა სამუდამოთ ჩვენი ორპირი,  
შენ გაბრმავებდა ბავშობიდან მარტო დაფნარი,  
მღერის გომბეშო გაუმშრალი და ოქროპირი,  
ჩვენი სიმღერაც ამ ორკესტრის ხმაა დამდნარი.

ეხლაც ზუიან ხვილიფებში მშიერი მგლები  
და ამ ტალახში ჩაეფლობა იხტიოზავრი,  
დაჟანგებულან იქ თოხები, ჩვენი ნამგლები  
და მოხსნეს, ალბად, სამრეკლოდან მწივანა ზარი.  
და მოღუნული აცხობს საკურთხს აქ ორი დედა,  
რომელსაც ცრემლი მარტო ერთი თუ დააკურთხებს,  
კიდევ კარგია, თუ მოყვარემ ვინმემ ჩაბედა,  
თუ კიდევ შერჩენ მეზობლები დაწყველილ კუთხეს..

[1927]

## მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე ვარიაციები

თუ ჩემი ძმა ხარ – ერთიც იმღერე  
და დაუჩოქებ მიწას მუხლებით.  
– მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,  
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.  
ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს!  
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს!  
სანამდე უნდა, რომ მზედ იდინოს  
გავარვარებულ ოქროს თაველებს.  
სხვა რომ მოკვდება, მისთვის რა არი,  
წავა, გაჰქრება, როგორც სიზმარი.  
მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს,  
რომ ქონდრის კაცსაც დევათ აგანთებს.  
ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,  
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი!  
სჯობს, აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,  
ანდა არ იყოს ასე ლამაზი.  
სხვა საქართველო მართლა სად არი?  
რომელი კუთხე რომელ ქვეყნისა!..  
ვის თუთქავს ასე ცეცხლის ლადარი,  
ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ეღირსა?..  
დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა  
და საქართველოს მედგას უღელი.  
მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,  
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!..

*იანვარი, 1928*

*ტფილისი*

## გომბორის მთაზე

სანდრო შანშიაშვილთან,  
გიორგი ლეონიძესთან,  
ვანო ცინცაძესთან ერთად

დაიფშენა, მაგრამ მაინც აქამდე  
თავის ნანგრევებს უძლებს უჯარმა.  
გასტანოს მაინც ჩვენ სიკვდილამდე  
ამ სიყვარულის ლექსის გუჯარმა.  
ასეთი იყო ეს ღამე მაშინ,  
ვახტანგს რომ ციდან მოესმა რეკა,  
დღესაც ქვითინით სტირიან ცაში  
ვაჟა-ფშაველას ღვია და დეკა.  
და სართიჭალის მეთარე საქო  
ჩვენთვის აკაკის მღერის „სულიკოს“,  
ჩვენც ხომ იმისთვის გვყოლია სატრფო,  
რომლისთვის ასე დაკარგულიყო.  
აშულმა თავის სთქვა აშულური,  
სხვა აქვს სათქმელი ამ ჩვენ სამებას,  
მაგრამ გაგვიხდა სიტყვა უძლური  
და სათითაოდ სიტყვა დაგვება.  
მელიტა, ნინო, რძალი ზენარი –  
მშვენიერებით შეემოსა კალთები კახეთს.  
„დაქალეზული ვეფხვიც“ ეს არის,  
ბენვის ხიდიდან სამოთხე ვნახეთ.  
დედის რძესავით ტკბილი ღამეა,  
იორი ჩქეფით ოცნებას არწევს,  
გამოვა წამით გომბორზე მთვარე  
და გორგასლანი ხმალით გადასწევს.

*იანვარი, 1928*

*ტფილისი*

## სანტიმენტალური მოგზაურობა ერთ დღეობაზე გაუგზავნელი ლექსი

მაისი ყველგან არის მაისი,  
მაგრამ ბათომში მაინც სხვა არი.  
და ვხვდები ეხლა, რომ სილამაზეს  
აღარ ჰქონია ქვეყნად საზღვარი.  
ზღვა იყო ისე მშვიდი და წყნარი,  
რომ აღარ მახსოვს, იყო თუ არა.  
ერთად გაალო ცამ შვიდი კარი  
და ზღვას სარტყელათ გადაუარა.  
თეთრ ზამბახების დგანან ფარდები,  
გააქვთ შრიალი პალმების ქოლგებს  
და ისე ჰყრიან თეთრი ვარდები,  
თითქო ათასი აქ გედი მოჰკლეს.  
გაღებულა სამოთხის კარი  
და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოთ.  
აღბათ ყოფილა წყევლა ამგვარი:  
მივსცეთ პოეტებს სამშობლო მხარე  
ულამაზესი, ედემის დარი,  
მხოლოდ ქალები გადაუშენოთ.  
გაღებულა სამოთხის კარი  
და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოთ.

*1 მაისი, 1928*

*ბათომი*



## იარალის

აღარ გვყოლია ბედი გამწყრალი,  
ჩვენც გვყავს იარალი,  
ძმა ძმაზე უფრო ერთგული, სანდო,  
შანშიაშვილი, ძვირფასი სანდრო.  
ვზივართ და გისმენთ,  
ჩვენო იარალი.  
შენი ვაჟკაცობის  
ეშხით დამთვრალი.  
წითელი ღვინის  
იცლება თასი,  
ისმის სიმღერა:  
– შევსვათ ათასი...  
„ღვინო და წინო  
თარი – თამარი.  
კარგი თამადა,  
რომ ქონდეს მადა!  
და ტოლუმბაში  
შეემბას სმაში.  
იმერ-ამიერ  
მრავალ-ჟამიერ!..“

არ ხარ მოხუცი – მაგრამ ჩვენ, ყრმანი,  
მაინც მოგისმენთ – გამოუცთელი.  
შენ დაარწიე ჩვენი აკვანი  
და სიყვარულის დაგვდე უღელი.  
ჩვენ საუკუნეს მოსდევს მხარი  
და კრეტსამბელი ჩამოახიე,  
ხარ პოეზიის ირემი-ხარი,  
ყანწის გამოცლაც შენზე ახია.  
მშვენიერებით, სიყვარულით, ცეცხლით და ალით  
შეიმოსა რძალი ზენარი.  
ამ სიყვარულის მონამლული დანით დაგვკალი  
და უკვდავებაც ჩვენთვის ეს არი.  
თუ გვახსოვს რამე, თუ კაცნი ვართ,  
სულს ვითქვამთ ამით,  
მშვენიერებით შეიმოსა რძალი ზენარი,  
მშვენიერებით შეიმოსა შენი სულამიტ.

ხომ არი კაცი მართლა ურჯულო,  
ჩვენშიც არიან უცხვირპირონი,  
მაგრამ ეყოფა კიდევ სამ მოდგმას,  
შანშიაშვილო, შენი მირონი.  
ბევრია ჩვენში პოეტი ნავსი  
და უფრო მეტი კიდევ ზარალი,  
შენი მზე გულის ცეცხლით აგვავსო,  
შანშე, გრიგალო და იარალო.

*8 აგვისტო, 1928*

*ტფილისი*

## ოქროყანა

პატარა ძაღლები უყეფენ მთვარეს,  
მთვარე თანდათან ჩამოდის დაბლა.  
თითქო ვარსკვლავებს წილი უყარეს,  
სცვივა ვარსკვლავი – ელვების საბნათ.  
პატარა ძაღლები უყეფენ მთვარეს,  
თვალეებზე ძილი არ მეკარება.  
მეტი რა მქონდა მოსაპარავი  
და ამ ძაღლებმა ძილი მომპარეს.  
ასე თვალთა ვდგავარ კარებთან,  
პატარა ძაღლები უყეფენ მთვარეს.  
მთვარე თანდათან დაბლა ეშვება,  
ჩამოეფარა ქოროლლის ციხეს,  
დაადგენ ტფილისს მთები ეშვებათ  
და სადარაჯო ფარი აიღეს.  
ჩემო ძვირფასო და ტკბილო დედა,  
ჩემო ტფილისო – გულის ლახვარო!..  
ძაღლი ძაღლური ქებას გიბედავს,  
რომ მზის ამოსვლა მაინც გახარო.  
ოქროყანიდან დავყურებ შენ ბჭეს  
და სინარული ძვალტანში მივლის,  
ასეთი ბედი რომ მომანიჭეს –  
პატარა ძაღლი გიცავდე ტფილისს...

*ნოემბერი, 1928*

*ოქროყანა*

## თამუნია წერეთელს

რა დამავინწყებს ამ შავ გაზაფხულს,  
ბედი უბედურს სხვას რაღას უზამს,  
ვსტირი სიცოცხლით კუბოს დამარხულს,  
გაუხარებელ დაფლეთილ მუზას.  
რა საჭიროა კითხვა-პასუხი,  
ეს უმისოდაც გახდა აშკარა,  
არ იყო ბედი არასდროს უხვი,  
მოდენის ნალველს ეხლა ლაშქარათ.  
ნულარ მეტყვიან: „მოდო – ნახეო“,  
უნახავადაც ეს მჯერა ერთ წამს,  
გულის მაგიერ გული არ მოვა,  
არ მოებმება არც ფეხი ლერწამს.  
სხვები მოვლენ და სხვები ნახავენ  
ამ ჯოჯოხეთის ავარდნილ აღმურს,  
მე არ მინდოდა სხვა სიხარული,  
ჩემთვის ლერწმიდან სჭრიან სალამურს.  
მანუხებს მხოლოდ, ვერ მოვასწარი  
თავის დროს შენთვის მეთქვა, მემამბო,  
თუ როგორ არის დუვინყარი  
სხვა პოეტებში უფეხო რემბო.

25 მარტი, 1929

## როცა მერცხალი მონახავს ბუდეს

ნითელ დროშებით  
დახურულ ცას,  
ლალს და იაგუნდს.  
პიონერების  
დაფდაფებზე  
ამღერებულ გუნდს.  
სოფლის სკოლაში  
გოგო-ბიჭებს  
სკებათ შებუდრულს,  
ახალ თაობის  
სიმტკიცესა  
და რკინის ურდულს.  
დილის რიჟრაჟზე  
გალვიძებულ  
ქარხნის საყვირებს,  
გლესის მარჯვენას  
და გალესილ  
თოხის საპირეს.  
მიხაკის ფერათ  
მოელვარე  
ნითელ თავსაფრებს,  
რიონში, მტკვარში,  
ალაზანში  
გემების აფრებს.  
უდაბურ სამგორს  
იორისგან  
თხრილებით მორწყულს,  
ჭალადიდის ტბას –  
სამეგრელოს  
მომუშებულ წყლულს,  
ენგურის ხევში  
დაქანებულ  
ფიჭვების ტივებს.  
ტირიფონაზე  
ზღვათ მოვარდნილ  
ბზესა და თივებს.

პურით და ღვინით  
პირამდე სავსე  
ბელლებს და მარნებს,  
და დახვეწილი  
აბრეშუმის  
პარკის ყაზარმებს.  
მუხრანის ველსა,  
თერგის სათავეს,  
თუშებმა ცხვარი  
რომ გაუტყავეს,  
შესანიშნავათ  
ლომისს და ლაშარს.  
სვანეთის მთებში  
გაკაფულ შარას,  
იალბუზს გვერდზე  
რომ დაიტოვებს.  
სვანის ბარ-ნიჩაბს  
და თაფლის კოდებს,  
თურაშაულის  
ვაშლის განთიადს,  
ქარი რომ ხეზე  
აღარ აყენებს,  
წინანდალს ჩაყრილ  
ვაზის ნამყენებს,  
აჭარის ქედზე  
ლანქერებს დამდნარს,  
ჯიქურა ცოცხლებს –  
გვიმრას და დაფნას.  
ხევსურის ძროხებს,  
ალაზანში  
ჩაყრილ კამეჩებს,  
მზე რომ უმიზნებს  
საფეთქელში,  
სიცხე ალენჩებს.  
ბათომის პალმებს  
და ჩამოხსნილ  
ქალების ჩადრებს,  
თუთუნის ნემოთ,

ოჯალეშით  
სავსე ჩალვადრებს.  
უსულოს, ცოცხალს,  
კაცს, ადამიანს,  
შირაქის ველზე  
ბალახს ნამიანს,  
რასაც ნაცოფით  
მზე ვერ იცილებს.  
ოთარანთ ქვრივის  
კრიალა ეზოს  
და ფიროსმანის  
კრუხს და წინილებს,  
თავზე რძიანი  
ქაფათ დაღვრილი,  
ატმით და ტყემლით  
ადგას აპრილი.  
როცა ბუნება  
უცბათ პოეტებს  
ცეცხლის ნალვერდალს  
გულში ჩაუდებს.  
როცა მერცხალი  
მონახავს ბუდეს,  
სიმლერა გმართებს,  
რომ იყო მკვდარი.  
მეც ამ სიმლერის  
მთუთქავს ლადარი,  
მაგრამ უნდა სთქვა  
რომელი ერთი,  
რომ მოიშველო,  
არც არი ღმერთი!..

აპრილი, 1929  
წინანდალი

## ეს იყო მაშინ, ეს იყო წინათ!..

ეს იყო მაშინ, ეს იყო წინათ,  
იმ ივერიას მწუხრი ეფინა.  
იმ დროს სიავე ეხლაც თან ახლავს  
მრისხანე სახელს აღამაჰმად ხანს.  
ტყვილათ ეძებდენ ომისგან საფარს,  
ქარი ბურდავდა შამილის ფაფარს,  
რუსის მეფეთაც გული იყარეს,  
ასხდენ სვავებათ დაპყრობილ მხარეს.  
დააწვა შიში ქვეყანას ვერანს,  
ბარათაშვილიც ეძახდა მერანს.  
რათ უნდა ამას განმეორება,  
ეს ლექსი გულზე გვანწევს მორევით.  
ერის მისანმა პოეტმა მაინც  
სხვა გასავალი ნახა გზა შარა,  
„ბედი ქართლისა“ მის ერთგულ რაინდს  
ასეთი ლექსით გადაეშალა:  
„სადაც აქამდე ხმალით და ძალით  
ფლობდა ქართველი,  
მუნ სამშვიდობო მოქალაქის  
მართავს ან ხელი“...  
ჩვენც ხელმეორეთ დავიზადენით,  
ვსთქვათ პოეტებმა გულის დადებით:  
– იდოს ქარქაშში ხმალი მღელვარე,  
აყვავდეს შრომით სამშობლო მხარე.  
ეს მიზანი აქვს დღეს საქართველოს,  
შრომით და ოფლით გავიტანთ ლელოს..

*აპრილი, 1929*

*წინანდალი*



## ოქროყანა

თუ პოეტი ხარ და ხარ ვაჟკაცი,  
გათენდი ისე, როგორც გათენდა  
ოქროყანაში, თუნდა ამ დილას.  
ნუ დასწერ ლექსებს... იყავ ზარმაცი!  
ამ მზის ყუმბარას რა ხელი ტენდა,  
ან ვეებერთელა სიდან გაზრდილა?  
რა ლექსი ზიდავს ამ სალაღარეს,  
რა გულს არ დაწვავს და არ გაღარევს.

თუ პოეტი ხარ და ხარ ვაჟკაცი,  
მაშინ ქოროლლის გქონდეს სიმაგრე,  
გადაყურებდე დაბლა მარაბდას..  
ნუ დაწერ ლექსებს... იყავ ზარმაცი!  
შენ რომ ხელი გკრან, ისიც წაგაქცევს,  
ამას ტყვიების მეხი ღარავდა,  
მაგრამ მეხია თვითონ სასროლი,  
ცა გაუპია და დარჩენილა  
ტიტველა სოლი...

თუ პოეტი ხარ და ხარ ვაჟკაცი,  
ამღერდი ისე, როგორც ამღერდა  
უძოს ბუღბული მალალ ფალცეტიტ.  
ნუ დასწერ ლექსებს... იყავ ზარმაცი...  
ბევრი პოეტათ თავს ასაღებდა,  
ჩვენი ეპოქის რომ იყოს ღირსი,  
დღეს პოეტებში არ ვართ არც ერთი...

მაშ, შევადედოთ ლექსის მანონი,  
ოქროყანიდან ჩამოვყვეთ ვირებს.  
იქნებ არ იყოს ეს მოსაწონი,  
მაგრამ არავინ არც გაიკვირვებს..

14 ივლისი, 1929  
ოქროყანა

## თავფარავანის ჭაბუკი

### ვარიაცია

სადაც გახედავ, საქართველოს  
ყველა კუთხეში  
იბრძვის წერაქვი, იღვენთება  
კირი და ხრეში.  
მოდის სინათლე ყრუ, მიუვალ  
კლდესა და ღრეში,  
არავინ დარჩა: ამ გულადგმულ  
ომის გარეშე.  
დაიწყო მცხეთამ: გაიბუგა  
პირველათ მტკვარი.  
მოედვა რიონს და ყველა წყალს  
ეს სატკივარი.  
ყველაზე წინ დგას ტბა – ჭაბუკი  
თავფარავანი,  
სადაც გაიარს ელექტრონის  
ეს ქარავანი:  
„თავფარავნელი ჭაბუკი  
ასპინძას ქალსა ჰყვარობდა,  
ქალი ანთებდა სანთელსა,  
სანთელი კელაპტარობდა.  
ჭაბუკი წყალში შეცურდა,  
მიდის და მიუხაროდა,  
ცალ მკლავზე გელაზი ეცვა,  
მარჯვენას ისე ხმარობდა.  
ქალი ანთებდა სანთელსა,  
სანთელი კელაპტარობდა.  
ერთი სულმყრალი ბებერი  
აქრობდა, აბეზარობდა.  
ჭაბუკი წყალში დაიხრჩო,  
ზედ ნიაღვარი ჩქარობდა,  
ჭაბუკის ძუძუ მკერდზედა  
ორბი იჯდა და ხარობდა“.

ჭაბუკი ისევ გაცოცხლდა,  
მიდის და მიუხარია.  
ცალ მკლავზე ელექტრო აცვამს,  
მარჯვენას რკინის ხარია.  
მხოლოდ სულმყრალი ბებერი  
საფლავში უფრო მყრალია,  
არცა ჩაჰქრება არასდროს  
გიზგიზა ცეცხლის ქარბუქი,  
ახალი საქართველოა  
თავფარავნელი ჭაბუკი...

*აგვისტო, 1929*  
*წინანდალი*

## შემოდგომის დღე ოქროყანაში

### რაბლე და კალმასობა

მინდა, დავტოო უბრალო ლექსში,  
რასაც გრძნობს გული და ხედავს თვალი.  
ვარ შემოდგომის უხმო ალერსით  
და ჟრუანტელით ერთბაშათ მთვრალი.  
ოქროყანიდან ვინც არ დახედავს,  
იმან არ იცის, რაა ტფილისი?  
ასე შეყურებს გნოლი ბერ ქედანს,  
ასე შეყურებს ბებერ ცხენს კვიცი..  
შორით კი მოსჩანს თეთრი მყინვარი  
და გზა აბნეულ ღრუბელთა ფარა.  
თითქო ქარბუქი სულში მძვინვარებს,  
თითქო უსაზღვრო თოვლმა დამფარა.  
შემოდის სახლში ნელი ფართხუნით  
ჩემი მეზობლის ძალლი ცუკურია.  
გუშხამ დააგდო მან ხუთი ლეკვი,  
მშიერს მუცელი ზურგზე მიკვრია.  
დარეკილ კაკალს დასდევს ყვანჩალა,  
ჩხიკვი ზაქარაც თავს აღარ ირცხვენს.  
რომ გახდეს ეს მთა ზვინება ჩალათ,  
ველარ გააძღებს ამ დავარდნილ ცხენს.  
მანგლისიდანაც დაძრულა ცხვარი,  
მოაქვს გზა შარა კრავების პეტელს,  
თითქო სურნელობს პური დამცხვარი  
და ფიროსმანის ედება კედელს.  
სკოლის ეზოში პატარა ბავშვებს  
პატარა დოღზე გააქვთ დაფდაფი.  
თავს დაქათქათებს ოქტომბერის მზე  
და ცა კრიალა, როგორც სადაფი.  
ბრუნდება ჯარი მანევრებიდან,  
მზეს გაუხდია კაცი რკინებათ,  
ისმის სიმღერის მძლავრი გუგუნე  
და ჩანკაიშის დედის გინება.

მეც ჩაუჯდები ჩემ პანტაგრუელს,  
ცხენის ჭიხვინი მესმის რაბლესი  
და როცა ქარი სულ გამაყრუებს,  
გამოვა ლანდი იოანნესი.  
თითქო გავიდა ეს ასი წელი  
და ერთი წუთით გადაიშალა.  
ვარ მოკალმასე მეც აწინდელი  
და საკალმასო გძელი მაქვს შარა.  
მწარეა ლუკმა საქართველოში  
პოეტებისთვის უფროა მწარე.  
მინდა, მეც ავდგე და ჯოხით ხელში  
ჩამოვიტხოვო სამშობლო მხარე.

*2 ოქტომბერი, 1929*

*ოქროყანა*

## ნარნერა ყანწზე

ამწიე, ძმაო და გაუძელი.  
ასნი, დალიე, ნუ გერიდება!..  
ვინა სთქვა, კაცი ღვინოს ვერ იტანს,  
ასეთი დაგვრჩა ანდერძი ძველი,  
ღვინოში ვძებნოთ ჭეშმარიტება.  
ხომ სთქვა სალემა: In Vino Veritas...

*ოქტომბერი, 1929*

*ოქროყანა*

## არაგვზე და მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი

ძმებო, როდესაც თქვენთან მოვდივარ  
და წინ გვეშლება მუხრანის ველი,  
ძერას ვაგავარ, ლექსით მოყივარს,  
უფრო მეტ კივილს თქვენგან მოველი.  
ასე მგონია, მუხრანის ბოლოს  
ჩვენი ყივჩაღი შემოგვეყარა.  
თავთუხის პური, ბადაგის ღვინო  
თვითონ დაუდეთ იმას ბეგარათ.  
ასე მგონია, ვაჟა-ფშაველა  
შავ ცხენს არაგვზე გადმოაბოტებს,  
ჩვენი ბიჭების მოდის საშველათ  
და მოაგორებს ლექსების ლოდებს.  
გვიყელეს, ყველას ყელი დაგვლადრეს  
და აგვიბნიეს ლექსის გზა-კვალი,  
მანც გატეხავს ამ კლდესა და ღრეს  
ბარათაშვილის მერანის ნალი.  
ტყუილია, მტერმა წამოიროშა,  
თორემ სიკვდილი ჩვენი სად არი?..  
თავზე გვახურავს ლაშარის დროშა,  
ლომისის გვფარავს ძუა-ფაფარი.

25 ივლისი, 1930  
ოქროყანა

## სომხეთში

### 1. ქვათა ლაღადი

თითქო გაცოცხლდა ძველი მითოსი  
და ციკლოპები ანგრევენ ლოდებს.  
მობეთქილ კლდეთა შვაგი, ხრიალი  
შიშსა და ძრწოლას ხეობას მოდებს.  
ბოლშევიკური იბრძვის წერაქვი  
და რაც ოცნებათ კაცი სახავდა,  
ჭირში და ოფლში წყეული შრომა  
განთქმულ გმირობის საქმეთ გახადა.  
აღარ შენდება ხალიფებისთვის  
დღეს ეს ქალაქი – როგორც ბაღდათი.  
გამოდის ხალხი სოროებიდან,  
ძველი ცხოვრების დაგმო ადათი.  
თუ ხარ მოყვარე – ხომ გაიხარე,  
და თუ მტერი ხარ – მოწყდი და წადი.  
აღარ დაინდობს მუხანათობას  
ეს მოპირული ელვარე წალდი.  
განა თუ მართლა ტყვილათ ხატია  
გერბზე ნამგალი და ან ჩაქუჩი.  
გამოიცივალა ადამიანი  
და გაიტეხა ბუნება ურჩი.  
თითქო აღელდა უდაბნო კლდეთა,  
და დააგორა ლოდები ზვირთთა:  
ვაშა მარჯვენას, ვინც ამ სტიქიის  
წინამძღოლობა თავზე იტვირთა.  
მე თვალთ ვნახე ეს გალაშქრება  
და მოვიხადე მეც ეს სახადი.  
ნაქებ შირაზის ვარდის მაგიერ  
ქვათა მუსიკის – გაფხდი საადი.  
ასე დავსწერე თანამედროვე  
მე ეს მეორე: ქვათა ლაღადი...

### 2. ლაჟვარდი ლაჟვარდს...

ლაჟვარდი ლაჟვარდს გადადნობია,  
ცის ლაჟვარდითა სევანი სავსე.  
შურდულეებიდან ისვრიან კლდეებს,  
მთებს გაუმართავთ შახსეფ-ვანსეფ.



პირი შეუკრავს შავად უდაბნოს,  
ლრუბელთა ჯარი თავზე აბურავს.  
მთები დამდგარან მინარეცებათ  
და შესდგომიან თავის ალ-ყურანს.  
მოსკდეს მენყერი.. და მიწაც იძრას,  
მოვარდეს წარღვნის წვიმების თქემი.  
პოემა ლურსმნით დაწერილია  
და გადარჩება ეს „გილგამეში“...

### **3. უდაბნოთა ავტადორი**

არ უნდა ამ კლდეს ზედმეტი ხორცი  
და არც შერჩება მას თხელი კანი.  
ასე დაიქცა დიდი ზვარტნოცი,  
ასე დაიქცა ლენინაკანი,  
ასე მოედვა ცეცხლი ზანგეზურს.  
მაგრამ ვერ დაშლის ახალ ცხოვრებას,  
სოციალიზმის ტემპით აღგზნებულს,  
მიწის ძვრისა და მენყერის რისხვა  
და გადაყვება საუკუნეებს  
ბოლშევიკური წელთა აღრიცხვა.  
და მეცოდება მე ჩემი თავი,  
როგორც სანყალი ჩიტი ნიბლია,  
როცა ამ ველზე წამოქცეულა  
გილგამეში და თვითონ ბიბლია.  
თითქო ახვეტეს დევებმა ქვები  
და სათითაოდ კლდე აალაგეს,  
მაგრათ დაკეტილ სამოთხის კართან  
მე გადავყურებ მწვანე ალაგებს.  
როცა გადგია თავზე ზვინებათ  
ყოველი მხრიდან მთა არარატის,  
გჯერა, აქ ითქვა თავდაპირველად  
უკვდავი სიტყვა – ან და მარადის...  
ძველ ქვეყნის წარღვნის მეც ვარ მოწამე,  
ვუყურებ, სჭედენ ახალ კიდობანს.  
ვინა სთქვა ჩემზე, დარჩა წარსულში!  
ახალ სიმღერას ველარ ვეტყვი ბანს.  
ალბათ ერია წარღვნის ტრედებში  
უთუოდ ერთი ბერი ქედანი.

ჩქარა, სიმღერა, ამხანაგებო,  
თორემ დაგვიდგა ლექსის სედანი.  
– ეს გილგამეში და ეს ბიბლია,  
სოციალიზმის შენების ტემპი,  
– მესმის უწყალო კრიტიკოსის ხმა,  
– შენ, ძმაო, მაინც ძველ გზებსა სტკეპნი.  
განა არ ვიცი, რომ დაშნაკებმა  
სულით ხორცამდე ხალხი გაყვლიფეს.  
მაგრამ რა ვუყო, რომ ვხედავ კიდევ  
ასურულ ლურსმნის ჰიეროგლიფებს.  
და არამაისს ერზიკიანსაც  
სახე მიუგავს ასურბანიპალს.  
მე ამას ვგრძნობდი, როცა სევანზე  
გადავყურებდი კლდეების ნაპრალს.  
მე უცხო თემში ვიყავი სტუმრად,  
მაგრამ იქ უცხო არავინ არი.  
ვუსმენ ჩარენცის „ეპიურ დილას“,  
მხიბლავს მარტიროსს, მე, სარიანი,  
და ქართულ ლექსით ალაპარაკდა  
ისაკიანის „აბულ-მაარი“.  
და ავტადორი დიდ უდაბნოთა  
თავს გადმოგვყურებს მთა არარატის,  
ბღღვრიალებს ზანგა – რომ პოეტებსაც  
ექნებათ ძმობა – ან და მარადის...

#### **4. ახდა ოცნება პოეტებისა**

რომ არ გვინდოდეს დღეს მოგონება,  
წარსული მაინც გულს მოაწყდება.  
როცა დახედავ ამ დიდ ხეობას,  
პატრიარქების გამოვა წყება.  
მახსოვს, ოვანესს, შენი სითეთრე  
და ჩაუქრობი ღიმილი – ელვა.  
შენი უძირო გულის ფართქალი,  
თურმე სევანის ყოფილა ღელვა.  
ახდა ოცნება პოეტებისა,  
ძმა ძმას არ ებრძვის – სომეხი ქართველს.  
დახედავ შენ მწყემსს გუშინ ბოგანოს,  
დღეს თავის ქვეყნის პატრონს და მმართველს.

შეერთდენ ერნი კავკასიისა  
და იმღერიან ერთ სალამურში.  
სიმშვიდე ჩადგა ჩვენ ქვეყანაში  
და აღარ სტირის შენი ანუში.  
ჩვენც აქ მოვედით ძმობის სიმტკიცით,  
ვსთქვათ, რომ პოეტებს ერთი ვგაქვს ღერო.  
მხოლოდ პირველათ შენგან მოგვესმა,  
რაზეც ჩვენ ანი უნდა ვიმღეროთ.  
და ლორის თაფლზე უფრო ტკბილია,  
ტკბილო, ოვანეს, შენი სახელი.  
დაევესოს იმას ორივე თვალი,  
ვინც არ იწამოს თვალის გამხელი.  
შენ გერგებოდა, დაგშვენდებოდა,  
რომ ყოფილიყავ ამ დროშის ტარი.  
და ხელმეორედ ჩვენთვის გაცოცხლდი,  
თუმცა არ იყავ არასდროს მკვდარი.  
ვერ დატკვერს ჟანგი დრო და ჟამისა,  
აღარც განყდება ამ ძმობის რგოლი.  
და ჩვენ უხილავს, აქაც მასპინძელს  
ჩვენგან მოგმართავს სიტყვით გრიგოლი...

## 5. სალამური რომ სალამურია

გრიგოლ ორბელიანი  
ასე იწყებს თავის „სადღეგრძელოს“ ანუ  
„ომის შემდგომ ღამე ლხინს  
ერევნის სიახლოვეს...“  
„შენყდა ბინდისას ომი საზარი,  
დადუმდა არე, სად ჰქუხდა ბრძოლა,  
გამარჯვებული მოილხენს ჯარი,  
ურდო ცეცხლებით განათებულა“...  
დაინგრა მაშინ ერევნის ციხე  
და გაიპარა მისი სარდარი,  
მაგრამ დიდი ხნით აღარ ჩამქრალა  
აქ დანთებული ომის ღადარი.  
ამ ხეობაში აქამდე ჰყრია  
დაუმარხავი ლტოლვილთა ლეში.  
წვიმა აწვიმებს და თავზე ათოვს  
უდაბნო ქართა სილა და ხრეში.

და თუ არაქსი ასე ხმაურობს,  
ობლების ცრემლიც მიმატებია,  
მამა სწყევლიდა იმ გაჩენის დღეს,  
როცა შვილები დაბადებია.  
ბარად ურჯულო მტერი მუსრავდა,  
ხელს უთავებდა მთებში ზამთარი.  
და მშიერ ლანდებს უკან დასდევდა  
გათამამებულ აფთართა ჯარი.  
მიწის ჯურღმულში გათხრილი სორო,  
უფრო გარეულ მხეცის ბუნაგი.  
აქ კაცს მიაჩნდა თავის კერიათ,  
მაგრამ დაადგა თავზე მსუნაგი.  
გახედავ, სოფელს ცეცხლი ედება,  
დაანიოკეს ყველა ერთბაშათ.  
ცეცხლის გმირია ყარაბექირი,  
ამ ხელობისთვის უწოდეს ფაშა.  
განა თუ მარტო ოსმალო სწვავდა  
ყველა მეზობლებს, შიგნით და გარე  
არ დაუკლიათ ხოცვა და ჟლეტა,  
ასე უთხრიდა ძმა ძმას სამარეს.  
და კაცს ეგონა, ეს სისხლის წარღვნა  
მაღლიდან იყო გადმოვლენილი,  
მაგრამ სხვა კაცი მაშინ გამოჩნდა  
და ეს სხვა კაცი იყო ლენინი.  
დღეს აღარ ერჩის სომეხი ქურთებს,  
სომეხს ქართველი – ყველას თათარი.  
ეროვნულ შუღლის ძირი რომ ახსნას,  
აქ პიონერიც უკვე მზათ არი.  
და უკრავს მშვიდათ მწყემსი სალამურს,  
პიონერების ისმის დაფდაფი.  
და ისტორიის სიზმრათ გადადის  
ერევნის ხანი, ერეკლე თავა.  
ჩვენ ვართ თაობა იმ თაობისა,  
არ აუღია რომელსაც ყარსი,  
მაგრამ საგმირო სხვა ბევრი საქმე  
მათ დაეთვლებათ ბევრი ათასი.  
ვართ მოკავშირე იმ თაობისა,  
რომელსაც მარტო სწამს კლასთა ომი.

ბევრს ჩაეშალა შავ-ბნელი ზრახვა,  
და წაუხდინეთ ბევრსაც ნახტომი.  
ეს ის ადგილია, სადაც  
გრიგოლ ორბელიანი  
სწერდა თავის „სადღეგრძელოს“ ანუ  
„ომის შემდგომ ღამე ღვინის  
ერევნის სიახლოვეს“.  
ჩვენც ერევანის ვართ სიახლოვეს,  
ვზივართ აქ ერთად სარდარის ბაღში.  
ახალი ისმის აქ სადღეგრძელო,  
უფრო ახალი ვაშა და ტაში.  
ჩვენ კავკასიის ხალხთა პოეტებს  
ერთი გზა გვაქვს და ერთი მანძილი,  
რომ სოციალიზმის აშენდეს ფუძე  
და ხალხს ეღირსოს მშვიდობის ძილი.  
ვინც თვალთ ნახა ქვეყნის დაქცევა  
და ავსებულები ხევეები ძორით,  
ნახა, რომ იქცა ველურ უდაბნოთ  
ველი მორწყული ოფლით და შრომით.  
ნახა ამ ექვსას ვერსზე გაჭრილი  
ეს სასაფლაო და ეს უდაბნო.  
განა არ გვმართებს, ამხანაგებო,  
რომ სხვა თაობას ჩვენ ეს უამბოთ?!  
და არ იქნება ეს სადღეგრძელო,  
ეს ცრემლი არი და ჟრუანტელი.  
სხვა რომელ ქვეყნის მგოსანს ექნება  
მიზანი, აზრი – უფრო ნათელი.  
სალამური რომ სალამურია –  
ხალხი იმითაც ცრემლებს იხოცავს.  
ამხანაგებო, ვსთქვათ ის სიმღერა,  
რაც ხალხს იმედის სხივებით მოსავს.

## **6. აღზევანს წასვლა**

არც ისე შორსაა ჩვენგან ეს მხარე,  
თუმცა პირველად დღეს მე ვარ აქა.  
სჯობს გამოტეხვა... არ გვაქვს ქართველებს  
უცხო ქვეყნების მოვლის ბარაქა.

მაგრამ მომესმის ქართველ მეურმის  
მე სევდიანი ტრედის ლულუნი:  
თითქო ამ ხმების მადანი იყოს  
ეს თვალუნვდენი კლდეთა ჯურღმული.  
– აღზევანს მივალ მარილზე,  
მარილს მოვიტან ბროლსაო,  
ჯერ დედას გადავებხვევი,  
მერე შვილსა და ცოლსაო.  
ასე მგონია, ცა გაიპო და  
გულზე მომედვა ათასი შვილდი,  
ასე მგონია, ერთად ამღერდა  
ათასი ვანო სარაჯიშვილი.  
ლამაზი ცოლი, მარილი ბროლი  
და სიხარულის ცრემლის კურცხალი,  
გულზე მიუშვეს ყველა ღარებით  
ადიდებული ბერდუჯის წყალი.  
სდგანან თუჯების მოურავები,  
აყუდებული ბაბილონამდე.  
ათასს სალამურს ხმა შეუწყვია  
ალიონიდან ალიონამდე.  
ასე მგონია, კამეჩის უღლით  
მეც პოეზიის მივალ აღზევანს.  
და რა იქნება ისეთი ტვირთი,  
ვერ გაუბედავს წელი აწევას...

*მაისი, 1931*

*ტფილისი*

## მუხრანის ველზე სათქმელი ლექსები

### მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი

ყური უყრია მუხრანზე ბალახს,  
დაბრუნებია მერცხალი ბუდეს,  
გაუნწყვეტია ფაცური კალმახს,  
შავი არაგვი თეთრ არაგვს უტევს.  
მთა მიყვება მთას, მთა მთას აწყდება,  
სდგას ლანქერების კორიანტელი.  
თვალებს ცრემლებათ ველარ განვდება,  
რომ იყოს თერგი ორი ამდენი.  
ვარ მოპარული ლამისყანიდან,  
ვარ ლექების ტყვე – გურამიშვილი,  
თუ რამე მიმაქვს ამ ქვეყანიდან –  
ბედნიერება ეს უსაშველო..  
რა საჭიროა მელნათ გიშრის ტბა  
და კალმათ კიდევ მინა რხეული,  
თუ ამ მღვრიე მზით გული გაგითბა,  
თუ ამ ჟრუანტელს იგრძნობს სხეული.  
უყელეს, ყელი გამოალადრეს  
და აუბნიეს ლექსის გზა-კვალი,  
მაგრამ გათელავს ამ კლდესა და ღრეს  
ბარათაშვილის მერანის ნალი.  
ცა ცას ადნება, მყინვარი მყინვარს,  
ბედნიერებას თოკავს ალერსი  
და დაენევა ორბების შურდულს  
მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი.

### რომ იყოს თერგი ორი ამდენი

სტიროდენ მაშინ აქ პოეტები,  
გზა გადარჩენის რომ არსად სჩანდა.  
ამაზე იტყვის ცრემლის მოდებით  
ი. ჭავჭავაძის სტუდენტის ჩანთა.  
აქ ატირებდა ბარათაშვილი  
თავის დიდ სევდას, სევდას მსოფლიოს,

ვაჟკაც სოლომონ ლეონიძისა  
უფრო ვაჟკაცურ ცოლის სოფიოს.  
დღესაც ატყვია თერგს და დარიალს  
ორბელიანის ნაკრავი დეზი.  
ასე რბის თერგი, ასე ღრიალებს,  
თერგი ცრემლების არის ანდერძი.  
ასე მგონია, ვაჟა-ფშაველა  
შავ ცხენს არაგვზე გადმოაბოტებს,  
ახალ მოლექსეთ მოდის საშველათ  
და მოაგორებს ლექსების ლოდებს.  
სახიფათოა მყინვარზე ასვლა  
და იაგორაც არ არის სანდო  
მყინვარი ბანათ ვინც გადათელა,  
აქ განისვენებს ყაზბეგი სანდრო.  
გაუწყვეტია ფაცერი კალმახს,  
დაბრუნებია მერცხალი ბუდეს,  
ყური უყრია მუხრანზე ბალახს,  
შავი არაგვი თეთრ არაგვს უტევს.  
სდგას ლანქერების კორიანტელი,  
მთა მთას მისდევს და კლდეებს აწყდება,  
რომ იყოს თერგი ორი ამდენი,  
თვალებს ცრემლებით ველარ განვდება.

## გარჩენილია ქვებზე კალმახი

თ. წ.

შენ აქ რა გინდა? მაგრამ ყოველთვის  
მომაგონდები ამ ანანურთან,  
შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის,  
ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა.  
არც კი გიცნობდი, არც კი მენახე,  
ისე გხატავდა თამარს ვრუბელი,  
ხარ დანგრეული შენ „მოდი-ნახე“,  
ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი.  
ისე ნაზია ეს მოგონება,  
როგორც დემონის ფრთების შეხება,  
სჯობს, გაიხარონ სხვა გოგოებმა,  
მოიბან შენი ირმის ფეხები.



დე, გაიხარონ იმათ მგოსნებმაც,  
მათი ცხოვრება ხვალე იწყება.  
ჩვენ მგლოვიარე, მწუხარ ოცნებას  
დაფარავს მინა და დავიწყება.  
გარჩენილი ვარ ქვებზე კალმასი  
და ახეული მაქვს ლაყურები,  
შემართულია ფეხზე ჩახმასი  
და უსიკვდილოთ ვერ გადურჩები.  
ასე კვდებოდა, ალბათ, ათასი  
და მოწმეთ ჰყავდათ აქ ანანური,  
ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი  
და თვითმკვლელობის იავნანური.

## მენყერი მენყერს

გაელავს, დაჰკრავს მეხი მეხს მწერვალს,  
მთა ტიტველია, არ აქვს საფარი,  
თვითონ მეხია და თვითონ ელავს,  
როგორც შამილის თეთრი ფაფარი.  
ნეტა, თუ სადმე ხარ ძე კაცისა,  
ამ უკვდავებას ქედს არ უხრიდე,  
თუ განყდა ძარღვი სიმამაცისა,  
მე ცოცხალი ვარ ერთი მიურიდი.  
ვარ დაფრენილი არწივის გნოლი  
და არ იკარებს გული სალავათს.  
ხევსურის ჯაჭვის ნაგლეჯი რგოლი,  
ერთი ვაცხადებ მარტო ჰაზავატს.  
ვარ გათელილი ლეკის ნაბადი,  
ყველა სახსარი მაქვს დაღენილი,  
მაგრამ ვაჟკაცმა მხოლოდ გაბედე  
და მეც ვაჟკაცის დამიდე წილი.  
რა საჭიროა მელნათ გიშრის ტბა  
და კალმათ კიდევ მინა რხეული,  
თუ ამ სიბრაზით გული გაგიტბა,  
თუ ამ ჟრუანტელს იგრძნობს სხეული.  
მენყერი მენყერს, ლანქერი ლანქერს,  
კლდე კლდეს აწყდება, ზვავს ლუპავს ზვავი,  
ცა მოწყალეებით რომ თავზე დამცქერს  
და მემეტება მოვიკლა თავი.

## წინათ რომ ერთი იყო მთრეხელი

თავისუფალი იყო და არი  
წინათ და ახლაც თვითონ მყინვარი,  
თავისუფალი იყო და არი,  
თერგი, არაგვი და დარიალი.  
თავისუფლება არ აკლდა არწივს,  
თავისუფლება არ აკლდა ღრუბლებს,  
სხვისი ბრძანებით ამ უღრან მთებში  
არც მეხი ურტყამს, არც თოვს და არც წვიმს.  
თავისუფლება მხოლოდ ხალხს აკლდა –  
მონობის ედვა მძიმე უღელი,  
თავისუფლება რომ აქ დასახლდა  
ჩვენი თაობა ამას უმღერის.  
რომ ერისთავი ერისთავობით  
და სიამაყით მყინვარს სწვდებოდა  
და თან შიოლა ლუდუშაური  
ერისთავობას ედავებოდა.  
„შიოლა ლუდუშაურო, სკამს იჯექ ერისთვისასა,  
აქამდე სჭამე აჩხოტი, ახლა მე გაჭმევ ქვიშასა“.  
იკმარა ხალხმა წამება ტყვილად  
და გამოიღო საომრათ ხელი.  
რომ ათასია ეხლა გულადი,  
წინათ რომ ერთი იყო მთრეხელი.  
დარიალიდან ღართისკარამდე  
და ან სანამდეც თვალი მიუწევს,  
სოფლიდან სოფლად, აულით აულს,  
ახალ ცხოვრებას ეყრება ფუძე.  
თავისუფლება წინაც და ახლაც  
არ აკლდა მყინვარს, თერგს და დარიალს.  
თავისუფლება დღეს ხალხს ეახლა  
და ყველა აულს სხივით დაიარს.  
ყველა არაგვის და ქსნის ერისთავს,  
ყველა ნუგზარს და ლუდუშაურებს,  
სისხლის წვიმების ცოდვა რომ ტვირთავს,  
მიწას აჭმევს და ქვიშას შეურევს.

ავვისტო, 1932

ახალი ათონი

## უდაბნოს აჯანყება

### პოემის შესავალი

ეს არ არის ის უდაბნოს აჯანყება,  
რომელსაც აწყობდა ლოურენსი,  
როცა იმპერიალიზმი კარებს აწყდება,  
და აქლემს უნდა, რომ გაძვრეს ნემსში.

აქ თუ იქნება მეფე ფეისალა,  
იბნ-საუდ და ყველა მისთანები,  
მხოლოდ იმიტომ, რომ შესვან სამსალა,  
და სახრჩობელაზე დაკიდონ თავები.

აქ არ იქნება აზიის განცხრომა,  
და ალ-ყურანის ბულბულთა კვენესა,  
ეს უდაბნოა, რომელიც ომმა,  
სამოქალაქო ცეცხლად დაკვესა.

რაც მთავარია, ავტორს ასე სურს,  
რომ ეს განკითხვის იყოს პოემა,  
რომ ფეოდალურ მონობის წარსულს  
ყუმბარის პატრუქს ალათ მოედვას.

რომ ყოველ სტრიქონს და ყოველ მის პნკარს  
ზოლებად აჩნდეს ანჩარის შხამი,  
რომ ჯალათების ყელზე ამ ბანარს  
უფრო უჭერდეს დილა სისხამი.

რომ მისცეს ღარი ცრემლების გუბეს,  
რაც ხალხს წამებით აქ დაედინა,  
თუ კომინტერნის მონახავს უბეს  
საბჭოთა დროშით მექა-მედინა.

გრიგალი გრიგალს ეხატეუნება,  
რევოლუციას ცეცხლათ შეერთვის,  
ასე ახდება ძველი თქმულება –  
მოსჩანს გვიანი „Lax Orientis“.

1932

ახალი ათონი

## ლექსებიდან „აპრილი ორპირში“

I

ორპირის ცხელი მზიანი დღეა,  
ატმის და ბიის ყვავილთა ზვირთებს  
მზე ისე აპობს, რომ ყველა ხეებს  
უნდათ, ერთბაშათ მოსცილდენ კვირტებს.

ეხმარებიან ჩიტები სოფელს,  
ხმაშენწყობილი გაისმის მარში,  
ისე მაგარი გულით მღერიან,  
თითქო მაისი შეუდგათ მხარში.

დაძაგრულია მინა ყამირი,  
მზად არი მოსკდეს, ზვავად იშუვლოს,  
არ მეეჭვება არც ერთი წამი,  
მინა რომ თესვის გაზეთს კითხულობს.

ძმა ხარს მოება... დედა კვალს სთესავს,  
სამი შრომა დღე ხვდებათ ორთავეს,  
მთელი სოფელი თითქო ხმაღს ლესავს  
და ყველა სრველი გამოათავეს.

და ისმის ერთი ხმა და გუგუნნი  
ამ ორპირიდან ჭალადიდამდე,  
ასე მგონია, მთა რომ წაიქცეს,  
შეუდგებიან, მხრები ზიდავენ.

მთები კი სდგანან მედიდურობით,  
ყინული ფარავს არსიანის ქედს,  
თითქო წუთს უცდის, ზვავათ დაეშვას  
და ნიაღვარის ქაფათ მოასქდეს.

არ ვიცი, წინათ ეს რას ნიშნავდა,  
რომ იმღეროდენ სულ ჩარირამას,  
ამას კი ვხედავ, გადაქცეულა  
დღეს იმერეთი ჩაი და რამათ...

## II

ვწევარ ორპირში... ბავში სიცხეში  
და უმღერიან წითელ ბატონებს.  
ვარდი და ია მოუსხამს ჩონგურს,  
დედის ცრემლები სიმებს ათროლოებს.

თავზე მადგანან ძმები და დები,  
ველარ მალავენ გულში სინარბეს,  
იმდენს პირდება დედა ბატონებს  
ძღვენს და საჩუქარს – რა გინდა რა ფერს.

დადგა და დადგა ვაშლების ზვინი,  
მოაქვთ და მოაქვთ მეზობლებს ხილი,  
ალუჩა, ბალი, მარწყვი და ხენდრო,  
შაქრის ყინული გადაგრეხილი.

გახვეული ვარ თავით ფორვებში  
ვარდის გამოხდილ წვიმაში ვსცურავ;  
ეს საბანია – ასე ლამაზი –  
თუ ანგელოსის ფრთები მახურავს?

ებრძოდა ქარი ქალადიდიდან  
აბრიალებულ ატმების ტოტებს,  
გადაულოცეს როცა ბატონებს,  
დიდი მადლობით რომ შემიცოდეს.

არ დავფიქრდები არც ერთი წამი,  
ისე ჩავიცემ მე გულში დანას,  
თუ ამ სინაზის და ყრუანტელის  
ერთხელ მიმღერებ ბავშობის ნანას.

ამხანაგო და ძმავო მკითხველო,  
რომ ჩემზე უფრო გსურდეს მოსმენა  
ჩემი ლექსების, მე აღარა მნამს,  
მაშ, იქონიე ცოტა მოთმენა...

მჯერა, გულშიაც გამკრავს წელკავი  
და ლექსი თვითონ ამოდუღდება,  
ხბო რომ ანვალებს რძე გამშრალ ძროხას,  
პოეტს და მკითხველს ეს არ უხდება.

*მაისი, 1933*

*ორპირი*

## აკაკი ვასაძეს

(მუნასიბი ფრანცის შესრულების გამო)

შენ მართლაც ნიჭის ღმერთი გილიმის,  
რა საოცარი იყავი დღესაც! –  
მგზნებარე, როგორც ჯამბაზის სიმი,  
საზარი, როგორც ნილაბის კვნესა.  
გიგზავნი ბარათს, რომ ძმამ და კაცმა  
ჩემს ხილვას ხელი არ შეუშალო –  
ან უნდა მივხვდე, რა მიყო ფრანცმა,  
ან კიდევ გნახო და – შევიშალო?

1933

## სტალინ

უბრალო კაცის უბრალო ენით  
როგორ ვსთქვა, რასაც ლექსი ვერ იტევს?..  
ვართ დასერილი შენი გენით,  
და ცეცხლის ალი პირისპირ გვიტევს.  
და რასაც ფიქრობს ამდენი ხანი,  
გულმა სათქმელი თუ ამოუშვა,  
უნდა საადი გახდეს დეკხანი,  
ჟორესის სიტყვა მიეცეს მუშას.  
დალენავს რისხვით ოქტომბრის ქარი,  
რაც ძველ ქვეყანას გადარჩენია.  
გახედავ მინას – მთაა თუ ბარი,  
გახედავ ქარხნებს – ყველა ჩვენია.  
არ გადამტყდარა ამ დროშის ტარი,  
ლენინელები ეხვევა ფუტკრათ –  
სტალინის ბრძოლით გამონატანი,  
შრომის გამირობის სიმღერა უთხრან.  
გრიგალი გრიგალს ეხათქუნება,  
აუნყვეტიათ მერიდიანებს.  
გამოუცვლიათ კაცის ბუნება  
კომუნის ახალ ადამიანებს.  
რკინის კაცების ამ უთვალავ ჯვარს  
ჰყავთ გამოცდილი რკინის ბელადი,  
დროშები ფარავს ფოლადის აბჯარს,  
რომ კვლავ ლენინის სხივით ელავდენ.  
და მაგონდება ადგილის დედა,  
ბავშვის პირველი თვალის ახელა,  
ან დიდმა ლილომ როგორ გაბედა,  
მიცეს მსოფლიოს კაცი ამხელა.  
რომ მოხდეს გორის მიწის ძვრა კიდევ,  
მან მოიხადა თავისი ვალი.  
დარჩება ქვეყნათ კიდითი კიდე  
აქ გაღებული სტალინის თვალი.

მან შემოაძრო ეზოებს ლობე,  
სამშობლოს ყორე მან გადაშალა,  
ყველა გაიგებს, დღეს თუ ვერ გრძნობენ,  
რომ კომინტერნის გრძელა შარა.  
ვინ კითხავს არნივს, რას ეძებს მაღლა,  
ან გადაფრენას საით აპირებს?..  
სდგას კახაბერი – საზღვრების ალყა –  
ახალ სამყაროს სერავს ნაპირებს.

*8 იანვარი, 1934*



## ნარწერა თასზე

ვინა სთქვა, ტიცვიან  
ღვინოს ვერ იტანს?  
მაშ ტყვილად უთქვამთ:  
„In vino veritas“.  
ერთხელ სიკვდილსა  
სიკვდილიც არ ჰქვია –  
ეს ყველას მოსდის,  
ყველას ხარკია.  
მე სიყვარულით  
ათჯერ ვარ მკვდარი.  
შიგ გულის წვერზე მაქვს  
დანა ჩამტყდარი.  
„ღვინოში არი  
ჭემმარიტება“  
– ეს კი ვიცანი,  
ამიტომ ღვინოც  
არ მერიდება.  
სხვაფრივ უგონო  
დავრჩი ტიცვიანი!..

29 ნოემბერი, 1934

## ორი ლექსი

### წარღვნის გადასვლა

ცისა და ქვეყნის შესაერთები  
შენ იალბუზი ხიდად გადევნი.  
საძირკველიდან დაიძრენ მთები,  
როცა ამირანს შეამბი დევი.  
მიეც ალვის ხეს ყალიბად  
ჩერქეზის ქალი ტანადი.  
არ გაიჭრება ადვილად  
სარმატელ ლეკის ნაბადი.

ცა შვინდის ფერი, მთაც შვინდის ფერი,  
მენამულია ევქსინის პონტი.  
სდგას იალბუზი, როგორც გრიფელი,  
თუმცა ასტეხეს ზვავებმა შფოთი.  
ეს არის მხოლოდ საფიქრი,  
ანდა მას ფიქრიც არ უნდა,  
გადნება მზეზე გაფენილ ფიფქად,  
ლექსების ზვავი, გულს რომ დაგუბდა.

ცისა და ქვეყნის შესაერთები  
შენ იალბუზი ხიდათ გადევნი,  
საძირკველიდან დაიძრენ მთები,  
როცა ამირანს შეამბი დევი.  
მხოლოდ ეს გულიც იალბუზია  
უცდის ქარიშხლის ფრთებიდან გასხლას  
რიტმები უფსკრულს მტრედად უზიან  
და ანიშნებენ წარღვნის გადასვლას.

### ლექსის დაბადება

არც ერთი სიტყვა არ დამცდენია,  
მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეთქვა –  
როცა ბნკარები ბნკარებს სდევნიან,  
საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა.

მანც თუ ვერ ვსთქვი, რასაც ვესწრაფი,  
მე ამ ცოდვაში ბრალი არ მიდევს.  
ვარ იდუმალი მხოლოდ მიზრაფი,  
და სხვა მინიშნავს ლექსის ამიდებს.

გაგიგონიათ, ჩემო კარგებო,  
რომ სიყვარული ძალით არ მოვა,  
სიტყვა სიტყვასაც არ მიუდგება,  
თუ ის სიზრაზემ არ ამოსწოვა.

სანამ წარმოსთქვამ, ლექსი შენია,  
იტყვი, სხვა უცხო მას დაიტაცებს,  
და თუ ვაჟკაცის ხელი სჩენია,  
მაშინ სხვის ხელშიც არ ივაჟკაცებს.

ლექსი ლექსია, მაგრამ იმატებს,  
თუ სიყვარულის ბოლმა გამურა,  
მაშინ უყურე შენ ბაიათებს,  
დაუტაცია ხალხს სალამურად.

და გეჩვენება, რომ ლექსის ძაფი  
უძილო ღამის ხელში ირთება,  
მოსკდება წვიმა თქემით და ქაფით,  
ლექსი წელკავად დაგაფრინდება.

გაითარეშებს მთაში და ველად,  
როგორც კალია გათელავს ყანას.  
და დაენტება თაფლის სანთელად,  
რომ გაანათოს ბნელი ქვეყანა!..

20 ივნისი, 1935

ციხისძირი

## სამშობლოსათვის

### თორმეტი რკალი

1

მთაც ლამაზი გაქვს, ბარიც ლამაზი,  
დიდხანს გადარეს მგოსნებმა ედემს.  
გახედავ – და თვალს იტაცებს ვაზი,  
გახედავ – თვალი ვერ ატანს ქედებს.  
ლამეა თეთრი ირმის ნანწველი,  
დღე შვინდის ფერი ვარაყიანი,  
ჩერქეზის ქალებს ამშვენებს ცელი,  
სუქდება მინა ბარაქიანი...

2

შენი „ან-ბანის“ და „ხილთა ქებას“  
უჭრელებია პერგამენტები.  
ვერ ნახავ ხის ტოტს, ხილი არ ებას,  
და საკრეფადაც არ გვემეტები!..  
დამდგარა ნისლი გომბორის მთაზე,  
ერთად ჰყვავიან დეკა და ღვია.  
მომხიბლავია ეგ სილამაზე,  
ვაჟა ფშაველას ცრემლი ატყვია!..

3

ანბანის ქებას ვინ დაიქადებს,  
დღეს უანბანო არავინ არი.  
ასე მოადგა აჭარის ქედებს  
ჩაის ლაჟვარდის ცის ქარავანი.  
ასე მოადგა ლაგოდეხის ველს  
ტრაქტორიანი კამეჩის ურდო,  
რომელ ხილს აქებ, ან რომელ თაველს,  
თუნდ რუსთაველის ლექსი გაქურდო!..

4

შენ ფრიალო მთებს, შენს კლდესა და ღრეს  
მტკაველი მინა არ დარჩა მყარი –  
სადა ყამირი რომ არ აყარეს,  
რომელ უდაბნოს არ მისცეს ღარი!..

მაჩვენე კაცი, რომ არ ეკადროს  
ეს ხელჩართული ფიცხელი ომი,  
მართლა მოელის წითელ ესკადრას  
წინად გამსკდარი პალიასტომი!..

## 5

ამოიწურა რიონის ფშანი,  
ამ ჭაობის ფსკერს რა ამოთხრიდა?  
თუმც ოქროს ვერძის იყო ნიშანი,  
ეგულვებოდათ ძველი კოლხიდა!..  
ასე მგონია, ახლოს რომ იყოს,  
მოითხრებოდა აქ ატლანტიდა!

## 6

დაჰკრეს წერაქვი... დაგუბდა წყალი,  
წარინჯოვანი ამოდის ბალი.  
ალარ აციებს კრუხებს კანკალით,  
კრიალებს ზეცის ლაჟვარდი თალი.  
ხართ მეზობლები ახალი სოფლის,  
სტალინის მიწის ხართ ბინადარი.  
პატიოსნება გწამთ შრომის ოფლის,  
არ გააცივთ კერის ლადარი!..

## 7

ახედეთ მაღლა იაღბუზის ბჭეს,  
არც მყინვარია მასზე დაბალი.  
მაგრამ ორივეს გადააბიჯებს,  
რაკი გაუხსნეს ხალხს მომავალი!  
ყოველი სული, მღილი, ბალახი,  
ვაზი ხის წვერზე სუროთ ასული  
და მაღალ შტოზე გადატანილი  
ფეთქავს ლენინის ძლიერი სულით  
და ყველა მათში ფეთქავს სტალინი!..

## 8

შირაქის ველი თვალუნვდენელი,  
ჭიაურის ტყე გზა დაბურდული,  
ენგურის წყალი დაულეველი,  
სვანეთის მთების ზვავთა შურდული,

წინანდლის ვარდი დაუჭკნობელი,  
ყვარელის ვაზი, კახეთის გული.  
ალადასტური და ოჯალეში  
აჯამეთივით მიმდგარი ყანა.  
არხით მორწყული ყველა სოფელი,  
მთა მყინვარისა, უშბა, უშგული,  
ლოცავენ მიწას თავის მწყალობელს,  
ჩემთან მღერიან ერთ საგალობელს!..

## 9

ორმოცი წლის ვარ, კიდევე ორმოცის,  
უფრო მტანჯველის, რომ ვიყო მთვლელი,  
ვერ შემაჩერებს გათხრილი ორმოც,  
ვარ ყრმა უნრთენელი და პირტიტველი.  
ჩემშიც გადმოდის, ჩემშიც იღვრება,  
ჩემი სამშობლოს ფენიქსის ბედი.  
არ უნდა კვესით გულს ამღერება  
ცეცხლ მოუდებლად იწვის აბედი!..

## 10

ეს ძველის ძველი ამბავი არი,  
მაგრამ ამაზე ძველიც რომ იყოს,  
ძვირფასო, გვახსოვს შავი ზღაპარი,  
დაე, ერთ წუთით გამოიჰქროლოს.  
შენი გაზრდილი ვაჟი, ქალწული  
შენ კარ-მიდამოს ველარ იცავდა,  
გემის ანძაზე ხელგაბანრული  
სტამბოლს მაჰმადის წვერსაც ფიცავდა.

## 11

ისმის სიმღერა იანიჩარის  
და ყრუ ქვითინი მამელუკისა,  
შინ დაბრუნებას გული იჩქარის –  
გზა აბურდული ყველა რუქისა!  
განა ეღირსა ვინმე იმათგანს,  
კიდევე ენახა სამშობლო მხარე?

მრუდეს ლესავდა ის იატაგანს,  
თან დასდიოდა ცრემლი მდულარე.  
მონათ გაყიდულს არა ჰყავს მხსნელი,  
ტყვილად ჭიხვინებს არაბის ცხენი!..

## 12

შამილის ბებერ და დამაშვრალ ძვლებს  
ვერ მოასვენებს მექა-მედინა!  
სამოთხეშიაც სული ველარ სძლებს  
მურიდს სამშობლოს ცრემლი ედინა!  
ჩვენც კარგად გვახსოვს ლეკის ტყვეობა  
გურამიშვილი და ლამის ყანა.  
დღეს კი გაჩაღდა მთებში დღეობა  
და გულის ძგერით უსმენს ქვეყანა!  
იმან შეახსნა დარუბანდს კარი,  
ვისი სამშობლოც მსოფლიო არი!..

## 13

სხვას თუ არ ახსოვს, შენ მაინც გახსოვს,  
ჩემო ტანჯულო სამშობლო მხარე,  
თუ რა მდულარე ცრემლი გედინა!..  
გაშალე ყველა ძველი ეფუთი  
და ბედისწერის კარაბადინი.  
მაჩვენე სადმე, რომ ქართველ ხალხში  
ასეთი შრომის მშვიდობა იყოს?  
აბა, თუ გახსოვს, თუნდ ერთი წუთი,  
რომელს ერთს იტყვი, დამისახელებ  
ასეთ ბედნიერ მე ქორონიკონს?..

## 14

იყო ქალდეა და ბაბილონი,  
იქნება უფრო შორი გზაც გქონდა,  
გიცვალეს ბევრჯერ შუბლზე მირონი,  
შენი ბუმბული ნიავეს გაჰქონდა.  
გიცვლიდენ მინას... ოფლში განურულს  
რომ შეუცვლიან სიცხის სასთუმალს  
და თუ არ გხედავთ ეხლა გასუდრულს,  
ვმადლობთ უძლეველ ბედსა გარდუვალს...

## 15

არ გაკლდა დასტურ შენ არაფერი,  
რაც შურს და მტრობას არ დააბრალო,  
მანაც არ გერქვა შენ აგასტერი,  
კახაბერისა გიცავდა პალო!..  
მთელ ქვეყანაზე კახაბერს, სხვა კაცს  
პირველი ლექსი მე გაუბედე.  
გავიმეორო, მე მიინდა, აქაც,  
რომ ლექსის გუბე დარჩა გუბედვე..

## 16

ორმოცი წლის ვარ, კიდევ ორმოც წელს  
აღარ მომაკლებს ლექსი ჟრუანტელს,  
ოღონდ გხედავდე ისე ბედნიერს  
შენ და შენ გაზრდილ მსოფლიოს ნათელს.  
გამოვიტანჯეთ ეს შედარება,  
რამაც ბავშობის გული განგმირა,  
ჩვენ კლდეს ყორანი არ ეკარება,  
დაუღენია ჯაჭვი ამირანს.  
ამ ამირანის სახელიც ვიცით,  
მთელი დუნია იხსენებს ფიცით!..

## 17

უთქვამთ, რომ ხალხებს ყრმა ისკანდერმა  
კავკასიონზე ესროლა ბადე.  
სალი გასტეხა კლდე ხალხთა გრდემლმა,  
თავის მესია თვითონ დაბადეს.  
თვითონ დროშაა და ამ დროშის ტარს  
ვერავინ ნახავს გაღუნულს, დახრილს!.  
მონათ დახსნილი უფრო შორს ატანს,  
მაკედონელის გასცდება მახვილს!..

## 18

სულ მოუთქმელი ასე ვიმღერი,  
ლექსის დანმენდა ველარ მოუცდის,  
როცა დიდ გრძნობის გძირავს მენყერი,  
დღეა საბჭოთა კონსტიტუციის.



ყველა დროშის ტარს ხელით ვატარებ,  
ყველა დამკვრელთა მე ვარ მგოსანი,  
მაგრამ დიდ პოეტს თავს არ ვადარებ,  
ბავშიც კი მჯობნის ფრიადოსანი.

## 19

ლამეა თეთრი ირმის ნანწველი,  
დღე შვინდისფერი და ნამიანი,  
გვთუთქავს ახალი გრძნობა დამწველი,  
სულის დგმა ახალ ადამიანის.  
აბა, პოეტი ვინ გაგიბედავს,  
ანდა თავხედი ვინ გაგანბილებს?  
როცა სვანეთის მთას გადახედავს,  
სულ მოსუთქმელი რომ მღერის ლილეს!..

## 20

ასე მგონია, ადგება მარრი  
და ხელს დაადებს ახალ ხანძეთელს,  
ერთი მერჩული დასტურ რა არი,  
ერგება კიდეც ჩვენ გმირს აწინდელს.  
რომ აიწეროს საქმე და ღვანლი,  
რაც შენ ცხოვრებას თან შეეზარდა,  
ათასს ერთ ღამის ზღაპრის სანაცვლო  
ათასს ერთი დღის შეხერაზადა.

## 21

მთაც ლამაზი გაქვს, ბარიც ლამაზი  
და თუ არ იყო ქვეყნად ედემი,  
ეს შენი არი ზვარი და ვაზი,  
ცეცხლის ბრიალით გულს რომ ედება.  
ჩვენ თუ მეორედ დავიბადენით –  
ეს შენი ვნახეთ ჩვენ დაბადება,  
რომ სიხარულის ცრემლის დადენით  
ახალი კაცის გავხდეთ ბადებათ!..

## 22

იაკობ ხუცესს, მიქელ მოდრეკილს,  
ლეონტი მროველს და ეფრემ მცირეს,

მთანმიდის ბერებს – სიცოცხლის მთმობელს,  
ვინც რომ ქართული ენა მოპირეს,  
მამა გიორგის, მამა ექვთიმეს,  
ჩახრუხაძესა და სარგის თმოგველს,  
სიტყვა უდავებ თვითონ რუსთაველს,  
ორ დიდ თეიმურაზს და არჩილ მეფეს,  
დიდ მოურავის იოსებ ტფილელს,  
გურამიშვილსა და ორბელიანს,  
და მოკალმასე ბერ იოანნეს,  
„ქართლის ცხოვრების“ მემამულანეთ –  
ყველას გეძახით, იყავით მონმე,  
დასტოვებთ თქვენი საფლავის დვირე –  
მე არ მრცხვენია დიდ ეპოქისა,  
ერთი საწყალი რომ ვარ მესტვირე...

## 23

ნულა ვახსენებთ დიდ ქალთა სახელს  
მედეას, ნინოს, თამარს, ქეთევანს.  
დიდ მგოსნებს ვხედავთ იმათ ამსახველს  
და ვერც გაუძლებს მათ შემოტევას.  
გთხოვ, რუქაია, მითხრა ზღაპარი  
ჩვენ ახალგაზრდა ქალიშვილისა,  
ქარხნის დამკვრელის წითელ თავსაფრის  
და პარაშუტის გადაშლილისა...  
სთქვი რუქაია – ამის ზღაპარი!..

*6 ივლისი, 1935*

## და ბელადობას, ტელმან, გავალეებს!

ვარდებს ვარდებით სავსე კალათი  
მოაქვთ, ჰყვირიან: – მუდამ მზად ვართო!  
ნუ გაიხარებს შენი ჯალათი,  
ტყვეს თავის კლასის გული აქვს ფართო.  
ქვეყნიდან ქვეყნით, კიდით კიდემდე  
თუ ფეთქავს სადმე პატარა გული,  
იმათ მხნეობას მკერდში იდებდე,  
შენი სული აქვთ ბავშებს ჩადგმული.  
პიონერების ჯეჯილი ლელავს,  
მოგესალმება პატიმარ ტელმანს!..

ცეცხლი ვერ დასწავს ჰაინეს ლექსებს,  
როდის დაუნვავს ცეცხლის ალს ალი?  
მხოლოდ სიმწარით ამოიკვნესებს,  
პოეტს საფლავში თუ დარჩა ძვალი.  
ბერლინის ქუჩებს ნაცარი ფარავს,  
უცდის ევროპა თავის შავ დილას.  
მოდენის ომი – სახორცე ფარას,  
გზა გაუკაფავს ახალ ატილლას.  
დამწვარ წიგნების ბოლი მოღელავს,  
მოგესალმება პატიმარ ტელმანს.

შენა ხარ დროშა და სატევარი,  
ბარბაროსების შენ ხარ მძევალი.  
უფრო იტაცებს, როცა ტყვედ არი,  
არწივს მაღალი მთათა მწვერვალი.  
ჩვენ თავისუფალ მთების შვილია,  
ვისიც შენ გულში ფეთქავს იმედი,  
ვისი დროშებიც გადაშლილია,  
ახალ სამყაროს ჰყავს არქიმედი.  
თავის ბარტყების ტყვეობის ბუდეს  
არწივი რისხვით შეუწგრევს ზღუდეს.

ბაქოს ციხეში იჯდა ჭაბუკი,  
შემოხეოდა ტანზე ხალათი.  
რევოლუციის ჩადგა ქარბუქი  
და მძვინვარებდა მეფე-ჯალათი.

ხიშტების მწყობრში ის გაატარეს  
და წიგნით ხელში შეუდრეკელი  
არამზადებმაც არწივს ადარეს,  
გამოსალადრად უნახეს ყელი.  
რამდენი უნდა გავიდეს წელი,  
ეს მოგონება არ იყოს მწველი?

ყოველი დღე და ყოველი წამი  
შენთვის მუშების ნაჩუქარია,  
რომ გათენდება დილა სისხამი,  
ეს მხოლოდ შენთვის ხალხს უხარია.  
და საუკუნის ეს ნახევარი,  
რომელსაც მარტო ხვდები ციხეში,  
შევა სტალინის შენატევარი  
საუკუნეთა დანარიცხებში...

დღეს აპრილია ჩვენ მთა და ბარში,  
ასკდებათ ხეებს ნედლი კვირტები,  
ერთად ჰყვავიან: ატამი, ვაშლი,  
თეთრ ყვავილების სდგანან ზვირთები.  
ფეხი აუდგამს ბედნიერებას  
და ყოველ კაცის შედის ეზოში,  
და გაზაფხული სიუხვით სუნთქავს,  
როგორც სტალინის დიდი მედროშე.  
შენთან წამოსვლას თითქოს აპირებს,  
უნდა რეინის გასწვდეს ნაპირებს...

დასწვან ჰაინეს ლექსის წიგნები,  
ორჯერ დამწვარი ლექსი აღსდგება,  
გმირი ციხეშიც გმირი იქნები,  
რომ დაჭრან გული თუნდა ასწყებათ.  
დადგან რეინზე მათ მორტირები,  
რომ ლორელეას ხმა გაიგუდოს,  
არ ეყოლებათ გამომტირები  
სინდის მორეცხილ ბანდიტთა ურდოს.

რაც ქვეყანაზე პატიოსანი  
მუშის მარჯვენის ოფლი იღვრება,  
ყოველი ქვეყნის ფრიადოსანი  
შენ ფანჯარისკენ დღეს იყურება.  
მიესალმება გერმანიის ხალხს,  
შენსავით ტყვესა და პატივყრილს,  
მის წითელ დროშას, ჭერქვეშა ფართხალს,  
ფაშიზმისაგან დროებით დახრილს.

სირცხვილი, წყევლა მოყიდულ მგოსნებს,  
ვინც რომ ჰაინეს აიღეს ჩანგი,  
ცილისწამების გუდები მოხსნეს,  
იუდას გახდენ ძმა-ამხანაგი.  
რომ უნამუსოთ უმღერონ ქება  
კაცობრიობის ახალ მტარვალებს,  
სხვა გერმანია მაინც აღსდგება  
და ბელადობას, ტელმან, გავალებს!

*15 აპრილი, 1936*

*ტელმანს შეუსრულდა 50 წელი*

## ბალდადის ზეცა

*ვლადიმირ მაიაკოვსკის*

– Я

В долгу

Перед Бродвейской лампией,

Перед вами,

Багдадские небеса,

Перед Красной Армией,

Перед вишнями Японии,

Перед всем,

Про что

Не успел написать...

– გულდასანყვეტი დაგვრჩა მრავალი,  
მანც საერთო გვაქვს ერთი ვალი,  
რაც მეც მანვალეებს ღამე და დღეცა –  
ლაჟვარდოვანი ბალდადის ზეცა...

დაბადებიდან სიმღერა გვახლავს,  
კამეჩს რომ ზურგზე აუნვაავს ბალანს,  
ვინ დაიჭირავს ამ უხილავ ხმას,  
ვინ გაუკეთებს პოეტურ ბალანსს?  
რასაც სიყრმითვე სული მიყვება,  
დამთოკველია ჩვენი გონების,  
რაც არ იციან მხოლოდ ბრიყვებმა  
ბოდვა ბროდვეის ლამპიონების...  
მყინვარზე ასვლა მანც აქვს სიტყვას,  
უკვდავებაში გასროლილ შურდულს,  
რაც სათქმელია, ის უნდა ითქვას,  
გასტეხს კარებზე დადებულ ურდულს.  
როცა სიცოცხლე სიკვდილს მხარს უბამს  
და სიმწრის ოფლი ბალიშს ასველებს,  
იაპონიის გაშლილ ალუბალს  
და საირმესკენ გაფენილ ველებს  
ერთად ადგებათ დიდი ნათელი –  
თრთოლვა, ცახცახი და ჟრუანტელი!..  
გულდასანყვეტი დაგვრჩა მრავალი,  
მანც საერთო გვაქვს ერთი ვალი,  
რაც მეც მანვალეებს ღამეც და დღეცა –  
ლაჟვარდოვანი ბალდადის ზეცა.

სხვისა სხვამ გითხრას, მე ბალდადის ცის  
მინდა გიმღერო ბავშობის ნანა!  
დღეს აპრილია, აპრილმა იცის  
ვაშლის ხეებით სულის გატანა!..  
როგორც დედის რძე და ბავშის ტუჩი  
ასკდება ატმის ყვავილი ყვავილს –  
მოდი, ამ მენყერს კაცი გადურჩი,  
ან საირმეზე ირმების ბლავილს..  
ერთხელ სიკვდილსა სიკვდილ არ ჰქვია,  
მე ყოველ დღე ვარ აპრილით მკვდარი,  
და ეს საფლავიც თითქო აქვეა,  
თეთრ ყვავილების ზვავი მომსკდარი.  
ასე მგონია, შენი სიკვდილიც  
სიზმარი არი მხოლოდ უხეში  
და ამ აპრილის რძიანი დილით  
დადგები მუხათ ბალდადის ტყეში...  
ან პასტერნაკის მოხვალ დემონი,  
თოვლის შვავების თეთრი გუნდებით,  
რასაც ცხოვრებით მუდამ ემონე,  
ახალ მენყერად დაუბრუნდები.  
ან წამოჰყვები ბავში წიგნებით  
ეჟენის წკარუნით მოსულ დილიჟანს  
და ერთ პარტაზე ერთად ვისხდებით,  
მოკლე შარვალში კანჭები გიჩანს.  
სოლომონ მეფის გილიოტინა,  
ხუთასწლიანი დიდი ჭანდარი –  
თითქო გამხდარა ზეცის ოდენა,  
თვალი ვერ უწევს, წვერი სად არი!..  
მოჰქრის რიონი, აწყდება ლოდებს  
და ჩვენ დავცურავთ იქ ლიფსიტები,  
დიდ დასვენებას თითქო ელოდეს –  
დაფართხალობენ ხეზე ჩიტები.  
ხან კი მრისხანე ისმის გუგუნი,  
სიმღერა ახალ მარსელიელთა,  
ყაზახის მათრახს გააქვს ზუზუნი –  
ალიხანოვმა, სჩანს, დრო იხელთა.  
რაზმი რაზმს შეცვლის, მიტინგი მიტინგს,  
წყევლა და კრულვა მეფის მტარვალეზს!

ნულუკიძის ნემტს ქვეყანა მისტირს,  
განიბალის ფიცს სტალინს ავალებს.  
ბევრი სხვა დარჩა მოსაგონარი,  
დადგება ლექსის ხვაფი ასკეცად  
და ცისარტყელას ჭრელი ზონარით  
ყველაფერს იტყვის ბალდადის ზეცა!  
ფინინსპექტორთან გადანყდა დავა,  
თვითონ სტალინმა აილო სიტყვა  
და ხალხის მამამ თვითონ ითავა,  
ეთქვა, რაც ხალხის ცხელ გულში ითქვა.  
თვითონ სტალინმა, რომელსაც მარტო  
არც ცის, არც მიწის არ დარჩა ვალი.  
ვინც გაუშალა ერთი გზა ფართო,  
მისცა სამყაროს სხვა მომავალი.  
რომლის წინაშე ქვეყნის მგოსნები,  
რაც უნდა ბასრად ენა ელავდეს,  
ჩახრჩობილი ვართ ვალში ყელამდე...

ბალდადის ზეცის თუ გაგყვა ჯავრი,  
არც ბალდადის ცა დაიდებს შენ ვალს.  
აქაც იზრდება წითელი ჯარი,  
შენს მაგიერად ის მწყობრში მოვა.  
და ძლევამოსილ საბჭოთა ჯარებს  
ის ვაჟკაცურად მხარსაც აუბამს,  
თუ დინგიანი გადააჭარბებს  
სისხლით შეღებავს მაშინ ალუბალს.  
მაგრამ, უნდა სთქვას კაცმა მართალი,  
არ გაგყოლია შენ ქვეყნის ვალი!  
და გაიხარებს თვით ბალდადის ცა,  
შენს ჩანგს მაგარი სიმი რომ მისცა.  
სხვისა სხვამ გითხრას – მე ბალდადის ცის  
მინდა გიმღერო ბავშობის ნანა!..  
დღეს აპრილია, აპრილმა იცის  
ვაშლის ხეებით სულის გატანა!.  
როგორც დედის რძე და ბავშვის ტუჩი  
ასკდება ატმის ყვავილი ყვავილს,  
მოდის, ბალდადის ცას გადაურჩი,  
ან საირმეზე ირმების ბლავილს!..

23 აპრილი, 1936



## ორი არაგვი

...ასე ადგება წარღვნა ქვეყანას,  
ელვამ მთის წვერებს გადაუარა.  
გრიგალი ჰკორტნის და წვიმის თქეშში  
გაულვიძია სებასტიან ბახს.  
და თავის მოკვლის თვითონ მუქარა  
არა ჰგავს მხოლოდ პოეტის ტრაბახს.  
თითქო მშობლიურს ისმენდეს ნანას,  
ანდა დალუპვა იყოს ნუგეში.  
ასე აპარებს დემონი დანას  
აკანაკალეზულ თამარს უბეში.  
ასე ფართხალებს მწირი გულადი  
დაბდღენილი ვეფხვის სისხლის გუბეში.  
ყორანი შავი ყორნის სულამდე  
არაგვის ველზე ითრობა ლეშით.  
ორი არაგვი, როგორც ორი და,  
ვით დღე და ღამე – თეთრი და შავი,  
ბავშურ ტირილით ტოლად მოდიან,  
რომ ერთად მტკვარში დაიხრჩონ თავი.

9 ივლისი, 1936

ტფილისი

\* \* \*

შესწყდა სიმღერა და სერენადა,  
აღარ იმღერის ინეზილია,  
ცეცხლის კვამლშია ეხლა გრენადა,  
სისხლის ტალახში მოზელილია.  
აღარ ახარებს ეხლა ტოლედოს  
კარმენის ცხელი ვნების სიცილი,  
ქალების მოთქმა ქუჩებს მოედო,  
ყველგან ბავშია იქ მისრესილი.  
და ლესავს დანას ბასკი დონ-ხოზე,  
მტერს მტრულად უნდა დახვედრა დროზე.

– ბარრიკადებზე! – არის ბრძანება,  
ისმის კივილი: ცეცხლი მაგარი.  
სირცხვილი ვაჟკაცს, თუ მტერს დანებდა  
და მიატოვა თავის სანგარი.  
თავისუფლების აქ ბედი წყდება  
და ისპანია მოითხოვს შველას,  
გასძახის მეხი რაზმების წყებას  
თმააბურღული და თავშიშველა.  
ქალი კი არა, ვეფხვი რომ არი,  
დაუცხრომელი პასიონარი..  
ბრძოლა მედგარი და გამეტებით  
ამ ვაჟკაცური ხმის დასტურია  
და რესპუბლიკას მტლად დაედება  
თავგანწირული კვლავ ასტურია.  
სახალხო ომის ყველა მედროშე  
თავს თავს დაჭრილ ლომის ლეკვს ადრის,  
იბრძვის ქუჩებზე, იბრძვის მეტროში  
და რკინის კედლად ადგება მადრიდს,  
ომში დამწვარი და შენაბური,  
თავს დატრიალებს მათ იბარური.  
გამიგონია, საქართველოდან  
ისპანიაში წასულა ბერი,  
ეს იოანე თურმე ელოდა,  
იქ მოეძებნა მოძმე იბერი.

ეს დონკიხოტი დონკიხოტამდე  
ქვეყნად ეძებდა ახალ სამშობლოს,  
ალბად იმ დროში ბევრნი შფოთავდენ,  
მაგრამ დაუნყდათ იმედი ბოლოს.  
ორი კი არა, ერთიც არ ჰქონდათ,  
მათი სამშობლო ნიავს გაჰქონდა!

დღეს ისპანია რევოლუციის  
სამშობლო ქვეყნად ყველას გვერგება,  
იქ ჩვენი მოძმე ჩვენ ხმასაც უცდის,  
ჩვენი გულისთვის ხმალზე ეგება.  
და დელაროსის ხმას დაუცხრომელს  
სტალინის სიტყვა აძლევს სიმძაფრეს,  
ეს ურჩევნია ესპანელ მშრომელს  
შეარაღებულ გემების აფრებს.  
მას დამარცხება არ განუცდია,  
თვითონ ცეცხლია რევოლუცია!..

დაო დელაროს, ძმებო ბასკებო,  
სისხლში ნადნობო მთა ასტურია,  
სტალინელები თქვენთან იბრძვიან  
და გამარჯვების ეს დასტურია!

*25 სექტემბერი, 1936*

## ალავერდობა

I

ჩარდახიანი სდგანან ურმები,  
კამეჩი კამეჩს ლანდით აშინებს.  
გამოუცლიათ ღვინის რუმბები  
ხატობას მოსულ ვაჟას აფშინებს.  
კავკასიონსაც შეცვლია გვერდი  
და სიყვარულის დასხმია რეტი.  
სურს, მოიტაცოს ეს ალავერდი,  
ბარში დამბული ტაძარი-მტრედი.  
დღემ მოიტანა ალაზანამდე,  
ნისლის შავი ზღვა რომ გადათელა,  
დღეო, ნეტავი, არ დაგალამა,  
თუ დალამდები, არ გაგათენა!.  
მეორე მხრიდან ალაზანს უწევს  
მთვრალი ფარეხი ღამენათევი,  
თითქო მინდიას სუფრა გაუწყვეს,  
გველის მჭამელი დევს აწევს დევი.  
სინაზე ცეკვით ქანცმილეული  
ცეცხლს მიჯდომია ქისტი ჯამბაზი,  
ხალხიც ისეა აქ არეული,  
როგორც არლანი და მუხამბაზი.  
მაგრამ ამ კახეთს სხვა ხმაც ევალა  
თეთრი ტახისა და თეთრი ბატის,  
მღერის ახალი დედას ლევანა,  
ხმა ალავერდის საძირკველს ჩადის.  
ზედ რომ მიუშვა, ამოთხრის ძელქვას,  
ეხლა კი სეირს უნდა უყურო,  
დაუთოვია სიკვდილის წელკავს  
სვეტზე მიმბული კურატი კურო.  
თმა განწილი ვაით და მოთქმით  
თეთრი მონები და ქადაგები  
ისე ბლავიან, ღმერთი მათ ცოდვით,  
თუ არის, ცაში აღარ დადგება.  
ნეტა, რამ სწვიმა ან და რამ სთოვა  
ამდენი ხალხი და ჯამაათი,  
შესმენ ალაზანს, თუ ღვინოთ მოვა  
და ეხლა კიდევ ჭამა სთქვი მათი!.

ტკბილო კახეთო, მაღლი შენ გამჩენს,  
შენ ბარაქიან და რძიან ცურას,  
ღრუბელი ცაზე მიაგავს კამეჩს  
და კამეჩივით ღამე მოსცურავს.  
სდგას ოხშივარი და ორთქლი მწვადის,  
კაცი ამ ბოლში თვალს ვერ გაახელს,  
ირემი ირემს ბალახს მიაწვდის,  
სავსე ღვინის ჯამს კახელი კახელს.  
სდგას ფიროსმანი, ხატავს დღეობას  
და ჩარდახიან ურმების მორევს,  
ვაჟა-ფშაველა უქებს ხელობას,  
ჯიხვი შაირით შესცვლის მეორეს.  
შეიმბენ მართლა შაშვი, კაკაბი,  
ბესიკის გაფი და საიათნოვა,  
კიდევ ბევრი აქვთ სმისთვის საბაბი,  
კახეთში რთველის დღეობა მოვა.

## II

და ბედისწერას ადამიანის  
მაღლიდან დასცქერს ძირს ალავერდი –  
და საქართველოს ძველ მატიანის  
გადაიშლება წამების გვერდი –  
ცის სამრეკლოზე დამდგარა ბერი  
და ყველა ზარებს ერთად დაურთო,  
არც წარმოდგენა უნდა მას ბევრი,  
რომ მოგვაგონდეს მონგოლთა ურდო.  
სძლიეს თათრებმა მამაც კახელებს  
და ცეცხლის ალი მისცეს ბახტრიონს  
შაჰაბაზი ცხენს გამოაელვებს,  
თითქო დარბევის დარჩა ხათრიო.  
ისმის ქვითინი ძუძუ მწოვართა,  
გამართულია ბავშვების კალო –  
ჭიაურის ტყეს ხალხმა მიმართა,  
რომელი ერთი უნდა დამალოს?..  
ყოველ დღე უცქერს თეიმურაზი  
თავისი დედის დაშანთულ ცხედარს,  
რაც უნდა გული გადაირაზოს,  
თავისი ქვეყნის წაწყმედას ხედავს!

და გაიძვერა რუსის დესპანებს  
შესტირის მეფე წამხდარ ქართლის ბედს,  
უფრო დიდ ტანჯვას კიდევ იზმანებს,  
და მაინც გულში არ იწყვეტს იმედს.  
მაინც ენდობა გვირგვინოსანი  
ხაიამის და ნიზამის ქებას,  
ცრემლ შეუშრობი სტირის მგოსანი  
თავის ოჯახის აწიოკებას.  
განყდა კაცობა და სდუმს კახეთი,  
თითქო მარადის მან მიიძინა,  
მაგრამ კახეთის გმირებს გახედეთ,  
მოსდევს ელიზბარს შალვა, ბიძინა.

ცა ცას ემტერა თვისი ანძებით,  
ღრუბელთა ტივებს მიაქვთ ლაყვარდი,  
მოდიან დანი ჭავჭავაძენი,  
მოაქვთ უჭკნობი წინანდლის ვარდი.

*სექტემბერი, 1936*

*ტფილისი*

## გელის კოლხიდა ახალ ორთეოსს

იდგა ჭაობი დაუშრობელი,  
ქარი ტირიფებს რიონზე ჰხრიდა,  
მე კი მესმოდა საგალობელი  
და ხილთა ქება ყოველი მხრიდან.  
როგორც წყურვილი დაუცხრომელი  
გონებას ფლობდა ძველი კოლხიდა.

არსაიდ სჩანდა ჯერ იაზონი,  
მე კი მედღეა გულით მიყვარდა,  
რა ვუყოთ, რომ ვართ ჩვენ უაზრონი,  
მიტომ გვახურავს საბანი ვარდათ.  
მესიზმრებოდა ტროადას ომი,  
ყრმა აქილესმაც მუხლი გამართა.

ამ დროს ბავშობა რას არ აიტანს,  
თვითონ არ იცი, სად ამოყოფ თავს,  
და მაინ რიდის გულად კაპიტანს  
ოცნება მეტი გმირობით მრაცხავს.  
შორდები რიონს და ზღვა გაგიტანს  
და გული ზღვაზე მღელვარეთ შფოთავს.

დღეს რასაც ჰქვია პოეტის სიბრძნე,  
სხვას ზარავს მარტო იმისი სახე!  
მე კი ბავში ვარ კვლავ თითის სიგრძე,  
კბილებს მიკვეთავს ალუჩა მკვახე.  
ჩალვადარის ცხენს რიონის პირზე  
დავაგლეჯ ძუას, დავაგებ მახეს.

ბატონიშვილის მმოსავს ხალათი,  
თუმცა აბაზი ღირს ადლი ჩითი,  
ალადასტურით სავსე კალათი  
და დაჭერილი სამოთხის ჩიტი.  
განა ვინ სწავლობს ანბანს ძალათი,  
რა საჭიროა აქ მაგალითი!..

თვითონ დავითი მიჰყვეს მის მცნებას,  
ჯერ მწარე სჭამოს და მერე ტკბილი,  
მაინც ვერ ასცდეს ის დანანებას!

უფრო ტკბილია დილაზე ძილი,  
თვალის გახელა რომ გეზარება  
და განცხრომით გაქვს ფეხი განვდილი.

და გელანდება თამარიანი,  
დავით ნარინი და დავით ულო,  
რაც ქვეყანაზე დევნი არიან,  
რასაც სული აქვს, რაცა უსულო,  
რასაც მზის სხივით გაუხარია  
და სიკვდილამდე გინდა უყურო.

თვითონ არ იცი, რატომ ატირდა  
გულის ამოსკნით დედის ნანინა.  
ია და ვარდებს თავზე გვაყრიდა  
და ამოგვივსო ვაშლით განჯინა.  
თუ ამ საჩუქრებს მალე გაგვყრიდა,  
ტკბილ ბატონებმა რად დაგვარჩინა!..

ყველა ბურქებზე ციციანათელა  
აკაკის ლექსით აქვითინდება.  
დილამდე უკრავს ჩონგურს ნათელა,  
ცაზე ცისკარი წითლად ინთება  
და აბდულშაჰილს ბაში-აჩუკი  
ვეფხვის სიმარდით დააფრინდება.

აგინვავს ტანზე კანს ჟრუანტელი,  
ჭიანჭველების გაიხსნა ბუდე.  
ვინ დაგვასია ჩვენ სკა ამდენი,  
თავს სასთუმალად საფუტკრე უდევს.  
ეხლა სხვა მოვა, ერთს რომ გადენი  
და დაუცხრომელ გულს ვნება უტევს.

არც კი გინახავს და ისე გიყვარს  
შენ, აბესალომს, ქალი ეთერი.  
ალვის ხეს წრეში ალვის ხე მიჰყავს,  
თუმცა შეჰყრილან ყველა ერთფერი.  
შენ მაინც ერთი ოცნება გყინავს  
და უიმედო ცრემლებით მღერი.



რა შეედრება უიმედო ხმას –  
არ გეტირება და მაინც სტირი!  
როცა ცხოვრება კაცად მოგიხმარს,  
როცა ხელობად გახდება სტვირი,  
მაშინ მოჰყვება პოეტი ოხვრას,  
აქვს გლახაკივით ხელი განვდილი.

მხოლოდ ჩვენ აგვცდა გამოფხიზლება  
და ბედნიერი დავრჩით თაობა,  
ათასი ხმებით ერთად იზრდება  
გულში სიმღერის გამბედაობა.

ჩვენ თვითონ ვიცით, ვის დაეუმადლოთ  
ჩვენი მეორე ახალგაზრდობა,  
ვინცა ცხოვრება შეჰქმნა უბადლო  
და კაცთ გვიბრძანა კაცად გახდომა.

ახდა სიზმარი, ხომ დაიჯერე,  
პალიასტომი წალკოტათ მორთეს  
ეხლა შენია სიმღერის ჯერი –  
გელის კოლხიდა ახალ ორთეოსს.

*[დეკემბერი, 1936]*

\* \* \*

გაღებულ ჭიშკარს შემოაბლავლებს  
აბდუშაჰილის დაჭრილი შველი,  
როცა ჭრილობა ჭრილობას აღებს,  
ათჯერ დაჭრილი სხვას რას უშველი.

ცხენს შემოაგდებს აქაფებული  
სატევრის წვერით ბაში-აჩუკი.  
თითქოს შენ გქონდა ათასი გული,  
ათას მეერთე იმან გაჩუქა.

ცა ცას ეკვეთა თეთრი ანძებით,  
ღრუბელზე ცივად ცურავს ლაჟვარდი,  
მოდინ დები ქავჭავაძენი –  
ორი ტყუბი და – წინანდლის ვარდი.

და უდარაჯებს გადაღმა ხანი  
თავის საკბილო წინანდლის ბუდეს.  
თუ მოტაცება დასცალდა, ხანი  
გრძელ და საშიშ გზას არას დაუდევს.

ეს იყო ცივი ძველი ზღაპარი.  
მხოლოდ ოცნების წამით განათდა,  
როცა ცეკვავენ მთვარის დაირზე  
თვით ვერიკო და ვაჩნაძე ნატა.

ეს ოცნებაა ცეცხლის დამნთები  
ცისა და ქვეყნის ამ გაჩენაზე,  
იდგენ ღამეში კახეთის მთები,  
როგორც ათასი ნატა ვაჩნაძე.

1936

\*\*\*

დიდხანს ეძინა მყინვარს ტიტველი  
და დაუბრუნდენ ნიაღვარები,  
ფიცავს შემკრთალი ყინულების ზღვა,  
უყვარდი, უყვარს და ეყვარები.  
დაბრუნდებიან კორიანტელად  
დაგუბებული ნიაღვარები.  
ძმაზეც მეტი ხარ და მეგობარზე,  
თვითონ არ ვიცი, ვინა ხარ ჩემთვის –  
შავ არაგვსა და თეთრ არაგვსაცა  
ჩემი ცრემლების არაგვი ერთვის –  
როგორც ქვეყანა პირველ შეჰქმნის დღეს  
პირველ შეხედვას მოელის ღმერთის.

მოყრილან მთები და ყაზიბეგთან,  
როგორც შამილთან მიურიდები,  
წვანან ნისლებში გამოხვეული  
შავ ნაბდიანი მიურიდები.  
შემოუფშვნია, შემოუდგნია  
ყაზბეგს სპეტაკი თოვლის ხუნდები.  
ესმის მყინვარის მწერვალთა ფიცი,  
რომ ნიაღვარად დაუბრუნდები.  
და უნდა ღმერთსაც დაუსაბუთო  
ყველა თამარში ერთი თამარი.  
ირემი ირემს და შველსა შველი  
რძიან ბალახის კონას თავაზობს,  
მხოლოდ თერგია მარტო ლოგინში  
და მარტოობის სიგიჟით ბრაზობს.  
მონადირეც ვარ, მოკლული შველიც,  
ვიღაცამ მომკლა, ვიღაც მოვკალი,  
გამოვა მთაზე თმა დავარცხნილი  
ყინულიანი თვალებით ქალი.

[1936]

## ა. პუშკინს

საქართველოს მთებს თავს ადგება ოქროს ნათელი,  
მღერის არაგვი, ბუმბერაზი მთების ტოროლა.  
დევის ნაფეხურს მიაგავს გზა, შენგან ნათელი  
და შენზე ფიქრი – სიყვარულის ზვავის მონოლას.

ო, როგორ ვიცი, ბედნიერი რომ არის ნამი,  
როცა გათანგულს აღარ ძალუძს გულს, არ უყვარდეს.  
შენზე სიმღერით ყელს ილადრავს ქალის ლერნამი,  
ჩრდილოეთისკენ სურთ გაფრენა წინანდლის ვარდებს...

ეს ასი წელი თან წაიყვანს კიდევ ათას წელს,  
შენ უჭკნობ სიყრმეს სიბერე არ გაჰკარებია.  
ისმის დიდება, ყველგან, სადაც კაცის ხმა უწევს:  
იალბუზია, პამირი თუ ვანკარემია.

ველარ იცნობდი დღეს, ძვირფასო, მრისხანე კავკაზს,  
თავისუფლება მის მაღალ მთებს უფრო ამაღლებს,  
დღეს კაცის ბედი, ჭეშმარიტად, კაცის ბედსა ჰგავს,  
არ აქვს ქვეყანა სათარეშოთ ცოფიან ძაღლებს.

საქართველოშიც გაიფანტა ის ხმა მწუხარე,  
როცა გიმღერდა მოწყენილი ლამაზი ქალი.  
ისმის გამწევი გუგუნი და სიტყვა მქუხარე,  
გული საგულეს აღარ სდგება, გააქვს ფართქალი...

სად არ იციან დღეს, პოეტო, შენი სახელი,  
მზე ბედნიერი საბჭოების სადაც ანათებს?  
მილიონებით წავიდოდა ტყვიები ცხელი,  
და გაიტანდა ჯალათ მეფეს და შენ მკვლელ დანტესს.

მინდა, დღეს ვიყო მე ხევსური და ხევის ბერი,  
ადუღებულ ქვაბს რომ შეაქცევს ლუდის პირველ ჯამს,  
იტყვის – ეს იყოს გადასულთა სახსენებელი,  
მთებს გადახედავს მედიდურად, არ იწერს პირფვარს.

საბჭოთა მიწის დაილოცოს ყველა მტკაველი,  
იყოს უკვდავი, ვით პუშკინი და რუსთაველი.

განუყოფელი, ბედნიერი ორი გენია,  
ორი მზე ერთად ანთებული გულის საკირე.  
ხალხის ოცნება პოეზიას აღუდგენია  
და პოეზიაც უკვდავებას ხალხით აპირებს.

ასე ნათელი იყოს მუდამ იმათი ბედი,  
ბრწყინავდეს ერთად გადამდნარი თანავარსკვლედი.  
საბჭოთა მიწის დაილოცოს ყველა მტკაველი,  
იყოს უკვდავი, ვით პუშკინი და რუსთაველი.

22 იანვარი, 1937

## ვლადიმირ მაიაკოვსკის დედა და დები

– დღეს საუცხოვოდ ავად კი არა,  
ის საუცხოვოდ მართლა მკვდარია.  
სისხლით გაიხსნა ძველი იარა,  
ამას არ ბოდავს დღეს მალიარია.

მაგრამ რა მშვიდი არის ეს ქალი –  
ვ. მაიაკოვსკის და გორკის დედა,  
უსმენდა ამბებს გულის ფართქალით,  
შვილმა სიკვდილი როგორ გაბედა.

– რა ვუთხრა შენ დებს:  
ოლიას და ლუდას!  
მათ შენზე ცრემლი აღარ აშრებათ,  
მათ დაშვიდება თვითონაც უნდათ.

ჩემ წინ იშლება საერთო ყრმობა  
და ქუთაისში რევოლუცია.  
– თუ იყო მასში გამბედაობა,  
ეს თქვენ ქვეყანას გადმოუცია.

მე ვხედავ ერთად ამ სანყალ ქალში  
ყველა მგოსნების მწუხარე დედებს;  
შეგუდგეთ ერთად, ძმებო, მას მხარში,  
ის ყველას სევდას ერთად აერთებს.

იყო სუფრაზე ბალდადის ღვინო,  
იყო ოცნება ბალდადის ცაზე,  
ტრიუმფატორი და უგვირგვინო  
მე ჩემ მშობლიურ ვიგრძნე მიწაზე.

და მე ვიცოდი, რომ მაიაკოვსკის  
არ დარჩენია ამ ქვეყნის ვალი,  
პოეზიისთვის ბრძოლებს ვინ მოსთვლის,  
მას დევის ჰქონდა ფეხი და კვალი.

თეთრდება პრესნა და თებერვალი,  
ქარბუქიანი მოსკოვის ლამე.  
კავკასიონის მოსჩანს მწვერვალი  
და აჟღერილი ცა მოკამკამე.

აკაკის ლექსით გამონაფრენი  
ბუჩქებში ბჟუტავს ციციინათელა;  
ტიტველ ღრუბლების სჩანან აფრები  
და ჩვენი გული თერგმა გათელა.

ორივე და და სანყალი დედა  
ცრემლით ალბობენ ბალდადის მიწას;  
– ბედნიერებას მან აქ შეჰხედა,  
გამბედაობა ამ ზეცამ მისცა...

არ იყო მისთვის უცხო ალერსი  
რეგოლუცია, წითელი პრესნა.  
მან ის იმღერა ვაჟკაცურ ლექსით,  
რაც საქართველოს მთებში მოესმა.

ვიცი, დადგება ბალდადის ბაღში  
ყრმა მათაკოვსკი ბრინჯაოს ბავში.  
მე ეს ვუთხარი მწუხარე დედას  
და ყველას ერთად მოგვეშვა სევდა.

2 აპრილი, 1937  
დარუბანდი

## დალესტანის გაზაფხული

მე ვბრუნდებოდი საქართველოში,  
წინ მომიძლოდენ დალესტანის მთები;  
არა ვარ უცხო ამ მიდამოში,  
ძუძუთ მერგება მისი კალთები.

ცა მაღალია და მოვარაყე,  
ველი – გაშლილი და თვალუნვდენი;  
ღრუბელს დაუდგამს ქვაბი საარყე,  
ცეცხლს მიჯდომია, როგორც უზდენი.

რომ შემხვდეს ეხლა მუხრანის ბოლოს  
ხელ აღებული თავზე ყივჩაღი,  
დაულოცავდი თვითონ სამშობლოს,  
რადგან სამშობლოს ერთი გვაქვს თალი.

გამჭვირვალეა თვით ზღვა კასპისა,  
ზვირთებში ვხედავ თევზის ქვირითებს;  
უდაბნოს თიხამ ველარ გაფისა,  
თერგი დაბლობში მოაჯირითებს.

ვუახლოვდები ასე დარუბანდს,  
ერთად მივყევარ თეთრ ცას, თეთრ აპრილს;  
ვხედავ ატმების მორევს გაუვალს,  
სულეიმანის წვერებზე დაყრილს.

და მაგონდება მე ჰაზავატი,  
იმამის ხმალი, თეთრი ფაფარი,  
წახდა მხნეობა და ფიცი მათი,  
მთებმა არ მისცეს საფლავს საფარი.

ერთმანეთს ერთად რომ შეადუღონ  
წმიდა ქალაქი: მექა-მედინა.  
ერთად ორთავემ ვერ შეიკავონ,  
რაც აქ დალესტანს სისხლი ედინა.

იყო დარბევა იმ მწარე დღეში  
და კაცის სისხლი რეცხდა ხეობას;  
მთაში მომსკდარი წვიმა და თქემი,  
გურამიშვილის გოდებს ტყვეობას.



აქ თავს სწირავდა ორბელიანი,  
ებრძოდა ჯვარით ხმალი მუსულმანს,  
თავისუფლებას თითქო ელიან  
და თავის კუბოს აჭედენ ლურსმანს.

აქ ვაჟკაცობად სთვლიდა ქართველი,  
თუ თავს სიკვდილსა არ მოარიდებს;  
სისხლმა შეღება აქ მთა და ბარი  
უჭრიდათ ხმალი მამაც მიურიდებს.

სხვა ისკანდერი გულჩახვეული –  
ებრძოდა ჯვარსა აქ ალექსანდრე;  
ჰაჯი მურატის მოკვეთილ თავზე  
ჯარის კარვებში ჯავრი იყარეს.

ალარ ებრძვიან დღეს გააურებს,  
ჩამდგარი არი ხმალი ქარქაშში;  
მზე ბედნიერი თავზე დაყურებს,  
დაღესტნის ველზე გააქვს კაშკაში.

მთებო, ხომ გახსოვთ დღე ბედნიერი,  
როცა სტალინი ეწვია თქვენ თემს?  
ყველა დალოცავს, ყრმაა თუ ბერი,  
ბედნიერების კერაზე დამთებს.

მას ორი ჰყავდა თანამებრძოლი,  
მთების გატეხილ რომ იდგენ ხიდზე;  
ძმად გაფიცული – ერთგული ფიცზე  
ერთად: კიროვი, ორჯონიკიძე.

თქვენ, ხევსურებო, შავი ნაბდებით,  
რომ გამოტაცეთ ჯალათებს სერგო,  
დღეს ერთი ნუთით ჩემ ლექსს დანებდით,  
მთების მგოსნობა მე ჯერით მერგო.

ფშავნო, თუშებო და ხევსურებო,  
ქეთელაურო, ძმაო, ალუდა!  
ჩამოდგა მთებში ეხლა მშვიდობა  
და სისხლს აღება დღეს ალარ უნდა.

ერთად შევერთდეთ, ერთად ვიმღეროთ,  
მოვსპოთ ადათის ყველა ნალექი;  
სტალინის მზეში ყველა ერთი ვართ –  
ქისტი, ხევსური და დიდო-ლეკი.

სალამი, ძმაო და კომუნარო!  
სალამი, მთებო, ძმებო ჩვენ მთათა,  
სალამი, სერგოს ძლიერო სულო,  
რომ დაიფერფლე მთებისთვის მთლადა.  
ყველას სალამი უძღვეველ ბელადს,  
ბედნიერებას ჩვენსას რომ ხედავს.

მე მივდიოდი საქართველოში,  
წინ მომიძლოდენ დალესტნის მთები;  
ორჯონიკიძე დავტოვე კრემლში,  
ორჯონიკიძეს მაინც აქ ვხვდები.

მშვიდათ ცხოვრობენ აქ მთიელები  
და ბავშიც ამბობს აქ თითის სიგრძე,  
რომ ამ ქვეყანას შესწირა თავი,  
და მიტომ ჰქვია ორჯონიკიძე.

და ნახევარი კავკაზის გული,  
მასსოვს „კოლონის“ დარბაზში ელავს,  
და საპატიო სდგას ყარაული,  
მთელი მოსკოვი აქეთ მოღელავს.

გმირის სიკვდილზე ატირდენ მთები,  
აქაც გრძელდება ეს ყარაული;  
და მეც იმასთან ერთად ჩავდგები,  
ამ დიდების გზას ველარ გადუვლი.

ასე მგონია, ტანზე მასხია  
აქ აფუთქული ყველა კვირტები,  
აქ ჩემი ყრმობის ჯადო მარხია  
და აფეთქებით ნუ გაკვირდები.

მთა გოლიათი სხვა მთას მოეზა,  
კავკასიონის წამოდგა ქედი;  
თვითონ ცხოვრება არის პოემა,  
შთამგონებელი და შემომქმედი.

მახარებს იმ დღეს რომ დავესწარი,  
როცა ერთი გვაქვს სამშობლოს თალი.  
საქართველოა თუ დაღესტანი:  
მთებიც ჩვენია, ხეც და ბალახი.

აპრილი, [1937]  
დარუბანდი

\*\*\*

დედას რომ ბავში გაეპარება,  
გზა აბნეული ბორგავს ცისკარი,  
დგას ცა, გახსნილი, ვით ცხრაკარება,  
და ძირს შეჰყურებს მას ტაშისკარი.

ტყე იზმორება და მტკვარი ოხრავს  
და დილა ღამეს ასე ეყრება.  
მტკვარი უპირებს სალ კლდეს ამოთხრას,  
და კლდე რძის ნისლში უფრო იზრდება.

დგას მონადირე, მოელის ირემს  
და ტანში უვლის მას ჟრუანტელი,  
მეც გადავყურებ მტკვარის ნაპირებს,  
რომ შენი სადმე გაჩნდეს ნათელი.

მე აღარ ვიცი, ვინა სწერს ამ ლექსს,  
უშენოდ არ აქვს არაფერს ფასი.  
ასე ყოველთვის სექტემბრის დამდეგს  
მტკვარზე გიგონებს შენი მგოსანი.

*აგვისტო, 1937*

\*\*\*

ისე უბრალოდ, როგორც მუხრანზე  
გაზაფხულისთვის მოდის ბალახი.  
ისე უბრალოდ, როგორც არაგვზე  
ალაპლაპდება მწვანე კალმახი.

ისე უბრალოდ, როგორც მერცხალი  
დაუბრუნდება შარშანდელ ბუდეს,  
ისე უბრალოდ, როგორც ფშანელ ბიჭს  
დილის ცისკარი სასთუმლად უდევს.

ისე უბრალოდ, როგორც ნაგაზი  
სდარაჯობს ფარეხს და ცხვარის ფარას,  
როგორც დანვება ნისლი მყინვარზე  
და ბრდღვიალა თერგს კალთით დაფარავს.

ისე უბრალო და ისე სადა,  
როგორც ურმული გუთნის დედისა,  
როგორც გადიას დაკრული ქადა –  
ხმა მშობლიური მე დღეს მელირსა.

ისე უბრალოდ მინდა ვუმღერო  
ჩემ განახლებულ სამშობლო მიწას;  
ლომისთვის იყო ის წილნაყარი,  
ეხლა სტალინის მარჯვენა იცავს...

*15 სექტემბერი, 1937*

## ვაჟა ფშაველას გადასვენება მთანმიდაზე

მთის და მაჰმადის არ იყო დავა...  
აბა, პირველი ვინ ვისთან მივა?  
მთა წმიდის ქედი არ ეცოტავა.  
ფშავეური სისხლი ამ მთაშიც ჰლვივა.  
არც უთხოვია თავისთან მისვლა,  
თვითონ ეხვევა მთას თავზე ნისლად.

და გაუმრთელდენ გახრული ძვლები...  
მთაო, გადუშვი, ფშავამდე ივლის;  
ბერი მინდიას მუხლი გამძლები  
კვლავ დაუჩოქებს საყვარელ ტფილისს.  
აკვანი იყო მისთვის ჩარგალი,  
გულზე ტფილისის ესო ჩანგალი.

აუხდა ნატვრა და გარდალახა  
საფლავის დვირე და ერთად ნახა –  
ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე,  
კიდევ ემთხვია იმათ საფლავზე.  
არ დაგვინახავს ჩვენგან არავის,  
მხოლოდ გვესმოდა ცრემლი არავის.

და იმ დღეს ორი იყო ნიშანი,  
თითქო ხის ბეჭი თვალით გალანდა,  
თითქო აცხადებს ჯადოს მისანი;  
ტფილისს მოადგა თვითონ ბელადი.  
მოინახულა ადგილის დედა,  
ვაჟამაც ორ მზეს ერთად შეხედა!..

*23 სექტემბერი, 1937*

\* \* \*

ასე მგონია, თითქო ვხედავდე,  
რომ უზარმაზარ კოლხიდის ბალებს  
სამი წლის შემდეგ ქართველი ხალხი  
აღფრთოვანებით შეალებს კარებს.

გადაშლილია თვალმიუწვდენი,  
უსაზღვრო სივრცის ციტრუსის ბალი,  
ზღვას გადულახავს თავის ზღუდენი  
და ცასთან ერთად შეუკრავს თალი.

ამდენი ნერგი რა ხალხმა დარგო,  
ვინ შეარჩია ფერად ხეხილი.  
ამ დიდ ხეებზე როგორ მოარგო,  
ვაზი უღვაშებგადაგრეხილი?

ჩერქეზ მინდორზე შავი ზღვის ნისლად  
ჩამდგარან ჩაის აქ ჩარდახები,  
მართლა ღირს კაცის ნახვად და მოსვლად,  
როგორ მოეხსნა ხალხს არტახები!

ჩერქეზის ქალებს, ოდიშელს, აფხაზს,  
ერთად გაუბამთ დური ფერხული,  
დიაცის შრომას ვინ გაიკვირვებს,  
ანდა რითაა ეს უხერხული.

გასინჯეთ ყველა კარაბადინი,  
გაყვითლებული ყველა ეფუთი,  
ვის უწერია: ხილთა ქებაში  
ფეიხოია და გრეიფრუტი.

ზღვა ვარაყშია, როგორც კანკელი,  
გიკვირს, ტალღებში არ იყურები,  
და ანათებენ, როგორც კანდელი,  
მანდარინების მალაღურები...

მოაქვთ კალთებით, მოაქვთ გიდლებით,  
შქერის გოდრებით, ჩელტის ურმებით,  
მოსავლის ხვავით ნუ გაკვირდებით  
და ალებასაც ნუ ეხუმრებით.

წავა აქედან ვლადივოსტოკში,  
გასავლელი აქვს გზა ტაიგამდე,  
ფორთოხალია, ვაშლი თუ კომში,  
მიაღწევს მუშის ვრცელ მაგიდამდე.

დგას მშრომელების ჯარი მამაცი,  
ყველა ოფლს ინმენდს – ქალი და კაცი,  
რომ გაიტანოს ეს დიდი ლელო,  
მუდამ ჰყვოდეს ეს საქართველო...

1937



## კოლხიდელთა წერილი დიდ სტალინს

### 5. ორპირელი კომკავშირელი კრემლში

მე თვითონ მივხვდი, არა ვარ მარტო  
და ჩემში მღერის მთელი კოლხიდა.  
გაეხსნა მგოსანს დღეს შარა ფართო  
და გამოვიდა თავის ქოხიდან.

ეზოდან ეზოს, შუკიდან შუკას  
მივჰყვები, ჩემ წინ ჰყვავის ორპირი,  
მზე სიცოცხლისა ვინც გაგვიშუქა,  
ყველა მისი ვართ დღეს ოქროპირი.

ვხედავ ბედნიერ მეზობელს, თვისტომს,  
რომ აუღიათ კალამი ხელში,  
გულზე მომსკდარი პალიასტომი,  
უნდათ გამოთქვან ერთ დიდ სახელში.

და ინერება დიდი უსტარი,  
ათასი გულის ფეთქვით შეკრული,  
თითქო ცის გახსნილს კარს მივუსწარი,  
გავხდი მგოსანი მათი ერთგული.

ჩვენ ბავშობიდან ასე გვჯეროდა,  
ბედნიერება ხელს არ აგვალეხს,  
რაზედაც გული მუდამ მღეროდა,  
ეზოში ვხედავთ ციტრუსის ბალებს.

დიადი გეგმა აქ ახდენილა,  
მწვანე წალკოტში ჩვენ ვართ ჩაფლული,  
წავიდა შავი ზამთარის დილა  
და სამუდამო სდგას გაზაფხული.

ძილში თუ ფხიზლად რაც უნატრია,  
ან კაცს კაცისთვის რაც მიუცია –  
ყველას დაფარავს, ყველას ყადრია  
სტალინის დიდი კონსტიტუცია.

კარის მეზობლებს და სახლის კაცებს,  
მინდა, გულისხმით ერთად მოგმართოთ,  
თქვენ გრძნობის მორევს რა ლექსი აწევს,  
თუმცა ორპირის გული მაქვს ფართო.

აქედან ვხედავ იმ ორპირელ ბიჭს,  
კრემლში პატაკით როცა წარსდგება,  
ვიცნობ ჩემ მინის მე მტკიცე ნაბიჯს,  
ჩემი ფიქრისა ის განაღდება...

იტყვის, თუ როგორ ებრძოდა რიონს  
ლაფში ჩაფლული ჩვენი სოფელი,  
სილატაკე რომ მოიგერიოს,  
ნახოს ცხოვრება ცხოვლის მყოფელი.

მესმის მისი ხმა მუდამ გულწრფელი,  
როგორ ამაყად გაიყურება!  
როგორც შავი ზღვის სავსე ღრუბელი,  
მადლობის გრძნობით დაინურება.

ისმის გრიალი ათასი ტაშის,  
ათას ხმიანი მაღალი ვაშა –  
ფარავს მოედანს დროშებით გაშლილს,  
ზღვად მოვარდნილი ხალხი ერთბაშად.

და ორპირელ ბიჭს, ჯერ პირტიტველას  
დიდი ბელადი ხელს გაუწოდებს,  
ამიერიდან ესმოდეს ყველას,  
ამიერიდან ყველამ იცოდეს:

ძველი დიდებით აღსდგა კოლხიდა  
და დაეუფლა ძველ ოქროს ზოდებს,  
და გამოსული სანყალ ქოხიდან  
ამ ხმას პოეტი მთელ ხალხში მოდებს.

დახვდება გზაზე გამზრდელი დედა,  
კოლმეურნეთა ნახირს მოდენის,  
ბედნიერებამ თვალში შეხედა,  
მათ საერთო აქვთ შრომის ორდენი.

გადაეხვევა საყვარელ პირმშოს,  
დაჯილდოებულ მკერდს დაუსველებს  
და სინარულის ცრემლის კურცხალი  
დაეპკურება ნარინჯის ველებს.

ახარებენ სახლის კაცები,  
ბედნიერების მოკავშირენი,  
საერთო არის დღეს აღტაცება,  
როცა იმარჯვებს კომკავშირელი.

ასე ახდება ცხადად სიზმარი  
და არგონავტთა მეკობრის აფრებს  
განახლებული კოლხიდის მხარე  
წინ დაახვედრებს კავკასის ალპებს.

ორპირელ ბიჭის შეხვდა ოცნება  
გეგმას ანუელო ომედეოსი,  
შავი ყორანი არ იკორტნება,  
გამრთელდა მკერდი პრომეთეოსის.

ბედნიერია სტალინის მოდგმა,  
ისმის გამწევი „ხასანბეგური“  
და დაგუბებულ აქ „ჩელას“ მოთქმას  
შეცვლის ახალი „ფაცხა მეგრული“.  
წარსული არის იქ „ჩელოს“ მოთქმა,  
წარსული არის „ფაცხა მეგრული“.

1937

\* \* \*

მზეო ნათელო,  
ჩვენო დიდო იმედო, მამა!  
ჩვენო სულისდგმავ,  
თვალისჩინო და გახარება.  
ვისაც მოგესმით  
დღეს გუგუნი მილიონ ხმათა,  
მილიონ გულთა  
ჟრუანტელი და აღსარება!..

მზეო ნათელო,  
ჩვენო დიდო იმედო, მამა,  
გულთამხილავო,  
შემოგხარით ბელადთა ბელადს,  
მწარე ცხოვრება  
და ნაღველი ვინც დაგვიამა,  
მთელ ღუნიაზე  
სანყალ ხალხის ბედი რომ სჭედა.

მზეო ნათელო,  
ჩვენო დიდო იმედო, მამა,  
კოშკო ნაგებო  
ჩვენი ქვეყნის რკინა-კირითა,  
მთელი სამყარო  
ერთ სამშობლოდ ჩვენ რომ გვანამა  
და შეჰკრა ხალხი  
ერთი გულით, ერთი პირითა.

მზეო ნათელო,  
ჩვენო დიდო იმედო, მამა,  
ჩვენი გულები  
საიმედო სანგრებად გედვას.  
გზა დიდ სიცოცხლის  
დაგვიამოს ვარდმა-იამა,  
სულ რომ სულში ხარ,  
გული სალამს იმიტომ ბედავს.

მზეო ნათელო,  
ჩვენო დიდო იმედო, მამა,  
ვისაც ლენინის  
დიდი სული მარად სულს გინთებს,

ვინც ხალხის ბედი  
უკუღმართი წარმართა წაღმა  
და ქვეყანაზე  
გამარჯვებით გააჯირითე...

მზეო ნათელო,  
ჩვენო დიდო იმედო, მამა,  
ვინცა მშრომელ ხალხს  
გაუმართე გამწყდარი წელი,  
ვაზის ლერწამი  
სანამ ხეზე ამ ქვეყნად გავა,  
იყავი, სტალინ,  
მუდამ დღე და მუდამ მზეგრძელი.

მზეო ნათელო,  
ჩვენო დიდო იმედო, მამა,  
კოშკო ნაგებო  
ჩვენი ქვეყნის რკინა-კირითა,  
სადაც პირველად  
თვალგახელილს გესმოდა ნანა,  
ფესვმაგარ მუხას  
შემოგხარით შენი ძირიდან.

მზეო ნათელო,  
ჩვენო დიდო იმედო, მამა,  
დიდ ლილოელო,  
დიდო ლელო, მიწავ კახურო,  
ციხევ გორისა,  
ვერ დაგფაროს მაღალმა ცამა,  
მაღალ ცის ქუდი  
ჩვენ სანყალ ხალხს თავზე დახურე.

მზეო ნათელო,  
ჩვენო დიდო იმედო, მამა,  
ჩაგრულთა მხსნელო,  
უძლეველო ხალხის მარჯვენა.  
შენმა სიკეთემ  
ჩვენ ბეჩაენიც გაგვათამამა  
და დიდ სტალინთან  
სასაუბროდ აგვიდგა ენა!..

[1937]

\*\*\*

რიონის ქალა: ორპირის ფშანი,  
ვხედავ ისლებით დახურულ სახლებს,  
ბავში ვარ – მაგრამ გარდაქეშანი,  
უბრალოთ კაცი ხელს ველარ მახლებს.  
და ხვილიფების მაგარ ჯაგნარში  
მზეთ უნახავი კოშკს გააჩალებს,  
მე სააკაძეს ვახლავარ ჯარში  
და სპარსელების ვებრძვი ყაჩალებს.

ისეთი დავრჩი ისევ ჩვილი ყმა  
და მეოცნებე სანყალი ბიჭი,  
შენი ლოდინით გული ჩამოხმა,  
გადმოდგი ერთხელ ჩემკენაც ბიჯი.

რიონი რეინს უერთებს ტალღებს,  
ორპირში მღერის ლორელეა  
და მე ვუმაღავ ჩემ ტოლა ბაღლებს –  
რომ სიყვარული ეს ზერელეა.

*1930-იანი წლები*

\* \* \*

ბაბილონელნო, სენას ნაპირზე  
გძელთმებიანო ერემიებო.  
ნაცარი თავზე, ნაცარი პირზე,  
და თქვენ ენასაც ობი მოება.  
სად არის თქვენი პიიტიკოსი,  
რომ შედავება ჩვენი ინებოს?..

ეტყოდა განა რამეს ქართველებს,  
სიმებ მოხსნილი იმისი ქნარი?!  
ახალ ცხოვრებით როგორც იელვებს,  
ძვლებ გამოხრული და გადამჭკნარი.  
აქ კიდევ ლელავს ზღვა შთაგონების,  
დაუცხრომელი და ბობოქარი.

სხვა საქართველო რომელი გვახსოვს  
ასე მედგარი და ბედნიერი?  
ერობას სწევდენ ერისთავები,  
ხალხი კი იყო მუდამ მშვიერი.  
აღსდგა ძლიერი და მშვენიერი  
უკვდავი შრომით უკვდავი ერი.

შავად გაცხიათ ღალატის ლაქა,  
როგორ დადიხართ ქვეყნად, რა პირით.  
როცა უღონო ერთი ჭინჭრაქა  
ჩვენ ხალხს შავი ზღვის დაწვას დაპირდით.  
ერთი იკითხეთ, რას გარგებთ აქა,  
უცხო ქვეყნებში სინჯოთ ამიდი.

დამწვარი არი თქვენი იმედი,  
ხალხს კი გაეხსნა სამოთხის კარი,  
ბაბილონელნო! სენას ნაპირზე  
წამოიყარეთ თავზე ნაცარი.  
ახალ ცხოვრებას ველარ იხილავს  
სული დახსნილი და ნაკაცარი.

სად არის თქვენი პიიტიკოსი,  
რომ სულთათანით აგიგოთ წესი,  
მიიღეთ შორი საფლავის ქვებზე  
საბჭოთა მგოსნის მრისხანე ლექსი!..

\* \* \*

მინდა, დღეს გავყვე ორპირის შუკებს  
და დავითვალო სოფლის ბიჭები,  
მათ სიყრმის დღენი მე გამიშუქეს,  
დღესაც მგონია, მათთვის ვირჯები,  
ჩემ ჩანგს თუ ერთი სიმღერა უქეს,  
მაშინ ორპირის მეც ღირსი ვრჩები.

ძვირფასო ძმებო, ერთად ვიყავით  
რიონის ფშანში ჩვენ ჩაყურული,  
ბევჯერ შეგვიკრავს ჩვენ თავი ფხალით,  
ერთი მხარული, ერთი მაყრული,  
უბელო ცხენზე ჩვენ ნიავივით  
ბევრჯერ ვყოფილვართ ცაზე გაკრული.

ასე დაგვიდგა სიმნიფის ჟამი,  
თუმცა ვიყავით ჩვენ პირტიტველა,  
გამოუთქმელი მახსოვს ის შხამი,  
რომ გაგვატიტვლეს ერთად ჩვენ ყველა,  
„ვარგაო“, ერთად ამბობენ სამი  
და ჩვენ ნაყვანით რუსეთს ეშველა!

რა დამავინწყებს მე იმ ჟრუანტელს,  
თქვენ რომ მღეროდით იქ რეკრუტები,  
დედა ტყუილად ანთებდა სანთელს,  
შინ რომ შვიდობით დაუბრუნდებით.  
თქვენ კი სტიროდით:  
„ვაამე, ჩემო ვენახო,  
შვიდ წელიწადს ვერ გნახო“...

თქვენ, ვინც გადარჩით კარპატის მთებში,  
ღიარბეკირში და ვანის ტბასთან,  
თუ ყავარჯენი გიდგიათ მხრებში,  
მოდით ისე, ვით ძმა მივა ძმასთან.  
და მოვიგონოთ ის დღე შავბნელი,  
როცა მუსრავდა ჩვენ ხალხს შრაპნელი.



მახსოვს ქვითინი გლეხის ყანაში,  
მახსოვს, რომ დედა მკერდს იკანწრავდა,  
ტირილი იდგა ჩვენ ქვეყანაში,  
მთელი სოფელი საფლავს აგავდა,  
იქ საომარი იდგა განგაში  
და ძმა ღვიძლ ძმასა თავსაც აკლავდა.

კითხე დღეს შენ შვილს, წითელ არმიელს,  
კითხე დღეს შენ შვილს, ნორჩსა პიონერს:  
– ჩვენი ქვეყანა რომ დაარბიეს,  
უღონო კაცნი ხმარობდენ ღონეს,  
სადა ის ხალხი და მისი მოდგმა,  
ვის ეყურება დღეს მისი მოთქმა?..  
– დღეს მათ მყრალ საფლავს არავინ იცავს,  
ლოდი ამძიმებს მათ კუბოს ფიცარს...

\* \* \*

მას მარტო შენი პური თუ უყვარს,  
მუხანათ კოცნით გაგყიდის სხვაზე.  
სჯობს, დამპალ ნავით შავ ზღვას მიენდო,  
ვიდრე ქალისა გჯეროდეს ფიცი.  
მის ცფიერ ბაგით თუ ლაპარაკობს,  
მხოლოდ მაცდური მარტო იბლისი.  
მეძავო, კახპა, მხეცო ლამაზო!..  
კაცი ოცნებობს ლამაზ ვარსკვლავზე,  
თეთრ ზამბახების რბილ სარეცელზე  
და ანგელოსის ქათქათა მკლავზე.  
კაცი მოელის, რომ ის იქნება,  
როგორც სიზმარი, როგორც მაღამო  
და ეზმანება საუცხოვო ხმა,  
წყაროს დუდუნი ნელი, საამო,  
ელის უტკბილეს ცრემლის ნიაღვარს  
და უკვდავების ციურ მანანას,  
თითქო ათასი სალამურის ხმა  
უნაზესი ხმით მღეროდეს ნანას.  
სულს მონყურებულს, ალერსის ნატრულს,  
ქალი თუ მისცემს მარტო სამსალას.  
ავხორცი გრძნობით შენ გახელდები,  
და ახალ გრძნობას დაატან ძალას.  
ო, უსირცხვილო ტანი ქალისა,  
გველი, ეშმაკის ბუდე აშკარა,  
დაგწვავს, დაგთუთქავს უდაბნოს ცეცხლით  
და მოგცილდება მალე აშარა.  
მე მეზიზღება ეს სიყვარული,  
როგორც უდაბნოს ხრიოკი ქარი,  
სანამლავისთვის მეფე და მონა,  
განურჩეველათ ორივე მზათ არი.

## საექვო დაპირება

გარეუბნის ლამაზებო,  
ლამაზებო სოფელისა,  
ადრე დილით თქვენა დგებით,  
როგორც სხივი ცისკარისა.

მიიჩქართ შადრევანთან  
გაირეცხოთ წინსაფარი,  
თუმცა მალე სამუშაო  
სულ ერთია, მას გამურავს.

ბიჭი მიდის გოგოებთან,  
აჟღარუნებს თავის სარტყელს  
– შადრევანის ტურფა ქალო,  
ერთი მითხარ, რას მაჩუქებ.

– უცებ ბატონს რა გაჩუქო,  
წინსაფარის მოგცემ ზონარს.  
– არა, ვარდი კორსაჟიდან,  
შენგან მხოლოდ ვარდს ნავილებ.

– ვარდი გინდა, მაშ, ზაფხულში  
ხუანის დღეს აქ მობრძანდით,  
გაიშლება ველზე ვარდი,  
მხოლოდ იქნებ, შენ არ გერგოს!..

## საქორწილო საჩუქარი

სამი ქალი, სამი სარძლო  
ჩამომსხდარან ერთად სკამზე,  
ერთმანეთში საუბრობენ,  
როდის ნახვენ გულის სატრფოს,  
ქარი არხევს ნაზად ტოტებს,  
ჩურჩულებენ ხის ფოთლები.

ვიცი, ამბობს სულ უფროსი,  
ჩემი მოვა ერთ წლის შემდეგ,  
ვიცი, ამბობს შუათანა,  
ჩემი მალე მომაკითხავს,  
ხე დაარხევს ნაზად ფოთლებს,  
ჩურჩულებენ ხის ფოთლები.

ალარა სთქვა კი უმცროსმა,  
გაიხედა ფანჯარაში,  
მოდის საქმრო, მოაჭენებს  
აქაფებულ ლურჯა ცხენსა.  
ხე დაარხევს ნაზად ფოთლებს,  
და ფოთლები ჩურჩულებენ.

– ასე დიდხანს სად იყავი? –  
მას პირველად არ შეხედა  
და მერე კი შეეკითხა:  
– საჩუქარი რა მომართვი?  
ხე დაარხევს ნაზად ფოთლებს  
და ფოთლები ჩურჩულებენ.

– გავიარე ვალენსია  
და ქოშები ვერ გიყიდე,  
გავიარე კასტილია  
და ფარჩა ვერ მოგიტანე.  
ხე დაარხევს ნაზად ფოთლებს  
და ფოთლები ჩურჩულებენ.

ვერც საყურე მოგიტანე,  
ვერცა ლურჯი მე წინდები,  
მხოლოდ ძღვენად მოგიტანე  
საქორწილო მე სარტყელი.  
ხე დაარხევს ნაზად ფოთლებს  
და ფოთლები ჩურჩულებენ.

მარგალიტით იგი ბრწყინავს,  
ლალითა და ზურმუხტითა,  
მავრიტანელ დედოფალსა  
თავის ხელით აუკინძავს.  
ხე დაარხევს ნაზად ფოთლებს  
და ფოთლები ჩურჩულებენ.

წელში ერთხელ უცხო სარტყელს  
წერნეტ ტანზე შენ მოისხამ,  
იმ დღეს, როცა დაიკვეხებ:  
– დღეს მე ვაჟი დამეზადა.  
ხე დაარხევს ნაზად ფოთლებს  
და ფოთლები ჩურჩულებენ.

\* \* \*

ერთსა ბერკაცსა ლამაზი ქალი  
ქოხში ჰყავს მაგრად გამომწყვდეული,  
თუმცა ქალს ბევრი ჰყავდა საქმარო  
და ბევრმა სცადა, ეთხოვა ხელი.  
ჰყვავის ვაშლის ხე, იშლება ვარდი.

მაგრამ ჯიუტი იყო მოხუცი  
და ყველა საქმროს სულ წუნსა სდებდა,  
თავის ლამაზ ქალს გასათხოვარად  
ის მხოლოდ უცხო ფრანგს უმზადებდა.  
ჰყვავის ვაშლის ხე, იშლება ვარდი.

ეჩხუბებოდა ქალს დღე ცისმარი,  
შავ მუშაობით მონყვიტა წელი,  
რომ დაუჯეროს მრისხანე მამას,  
იყოს გამგონე, ოჯახის მცველი.  
ჰყვავის ვაშლის ხე, იშლება ვარდი.

მოხუცმა ქალი გაუშვა ტყეში,  
ფიჩხის და შეშის მოსაზიდავად,  
ეკალმა მწარედ დაჩხვლიტა ქალი  
და ბევრი უჩანს ტანზე იარა.  
ჰყვავის ვაშლის ხე, იშლება ვარდი.

შეჰკივლებს ქალი გამწარებული,  
ტკივილებისგან გასიებული,  
ტანჯვაში მიდის ჩემი სიცოცხლე  
და მონობაში ამოვა სული.  
ჰყვავის ვაშლის ხე, იშლება ვარდი.

მაგრამ მიჯნური, ტოლი გულისა  
თუმცა შორს იყო გადავარდნილი,  
მანც მოისმენს ქალის საყვედურს  
და მოფრინდება შევარდენივით.  
ჰყვავის ვაშლის ხე, იშლება ვარდი.

ცხენი შეჰკაზმა, ფეხმარდი ლურჯა,  
ხელში ლაგამი ამოითავა,  
ქარიშხალივით მოედვა ტყე-ველს  
და ნახა თავის სატრფო მარტოკა.  
ჰყვავის ვაშლის ხე, იშლება ვარდი.

– მენდობი, ჩემო სატრფო, ძვირფასო?  
ჩემთან წამოსვლას განა გაბედავ?  
სამი ადგილი მაქვს დასამალი,  
იქ კაცის თვალი ველარ შეგხედავს.

ერთი მეგულების ვალენსიაში,  
კასტილიაში არის მეორე,  
მესამე – გული, აი, აქ არის  
და ეს ყველაზე საიმედოა.  
ჰყვავის ვაშლის ხე, იშლება ვარდი.

## ამელიას ანდერძი

ავად არის ამელია  
და წამალი ველარ შველის,  
შემოდინ მეზობლები,  
ეთხოვება ნათესავი...  
ველის მიხაკის განშორება,  
ოხ, რა ძნელია...

დედა ეტყვის ამელიას  
ცფიერული გაკვირვებით:  
– ჩემო ქალო, ეს რა მოხდა,  
რა ბოროტი დაგერია?  
ველის მიხაკის განშორება,  
ოხ, რა ძნელია...

– დედაჩემო, კარგად იცი,  
რა სიავეც გადმეკიდა,  
შენ თვითონ არ მომანოდე  
მონამლული ძირტკბილები?..  
ველის მიხაკის განშორება,  
ოხ, რა ძნელია!..

თქვენ მომეცით საწამლავი,  
რადგან თქვენა გიყვარდათ და  
ეხლაც გიყვართ ჩემი ქმარი,  
მიტომ არი, მე რომ ვკვდები.  
ველის მიხაკის განშორება,  
ოხ, რა ძნელია.

– ჩემო ქალო, სიკვდილის წინ  
უარი სთქვი შენ ეჭვებზე:  
დაგვიტოვე ჩვენ ანდერძი,  
ავასრულებთ ჩვენც შენ ნებას.  
ველის მიხაკის განშორება,  
ოხ, რა ძნელია...



– ოთხად ოთხი კაბა მრჩება  
ტილოსი და ბატისტისა,  
ყველა ოთხი ჩემი კაბა  
საწყალ ქვრივებს დაურიგეთ.  
ველის მიხაკის დაშორება,  
ოხ, რა ძნელია!..

საჯინიბოს დაბმულია  
ოქროსფერი ჩემი ლაფშა,  
ჩემ ძვირფასს და საყვარელ ძმას  
მე ჩემ ლაფშას ვუანდერძებ.  
ველის მიხაკის განშორება,  
ოხ, რა ძნელია.

– მე რას მაძლევ, ჩემო ქალო,  
მე კი რაღას მიანდერძებ?  
– თქვენ კი მოგცემთ მთელ სიმდიდრეს,  
თქვენ მე ჩემ ქმარს დაგიტოვებთ.  
ველის მიხაკის განშორება,  
ოხ, რა ძნელია...

\* \* \*

მართალი რომ ვთქვა, ეს ოქროპირი ბაყაყია:  
ლოტრეამონმა რომ დაარქვა მალდარორი.  
ბევრი დოგმატების არ უსწავლია მალაყია,  
მაგრამ სიტყვა მყრალი, როგორც მორი.  
ორპირი მაშინ ენერი იყო ახალად აყრილი,  
მეფის ქალაში დადიოდა სოლომონ სანადიროთ.  
იმ რიონთან შედარებით ჩვენია, როგორც თხრილი,  
მაშინაც, როცა გადიარს უნაპიროთ.  
კიდევ ძველად ფაზისი იყო ოვიდის ნაქები...  
ამორძალეები ისველებდენ გამომწვარ ბაყვებს,  
ეხლა რომ ხეებია, ირმებს ისეთი ჰქონდათ რქები  
და ფალავნები მოედანზე აგავენ ცაცხვებს...  
ამბობს ოქროპირი: პოეტო, სთქვი მართალი,  
გიყვარს შენი შვილი ან თვითონ პოეზია  
ისე, როგორც დედაშენის ხბო.

მას არ სჭირია ღვთისმეტყველის ანაქორა:  
დანგრეულ საყდარს სდარაჯობს აშკარად,  
იცის, რომ ღმერთი ცხოვრებამ გააქორა,  
რომ ყოველ კარტზე ამოდის ბაქარა:  
მითხარი, პოეტო, ამბობს უსინდისოთ,  
თუმცა პასუხი მე ვიცი უმისოთ:  
გიყვარს შენი შვილი ან თვითონ პოეზია,  
ამიტომ პირდაპირია: როგორც სატევარი,  
შენ მაგიერად თვითონ ლაპარაკობს.

ცხოვრობდენ ხალხი ეფუთის ნანვალეები,  
ელოდენ წითელ ქარს, მეორეთ მოსვლას.

\*\*\*

ისე წავა დღე, რომ ერთი ლექსი  
აღარ შეარხევს დადუმებულ სულს,  
როცა მომშორდა შენი ალერსი,  
სულ აღარ მხედავს უკვე დამარხულს.

როცა ამოვა გულიდან ის ხმა,  
მინდა, ვაკოცო ჩემ საკუთარ გულს,  
თითქო ვაშლის ხემ მტერი მოისხა,  
ვგვეარ ვაშლის ხეს სხვაგან გადარგულს:  
ამოდი, გულო, ამოიოხრე  
შიგ ჩაკირული მთელი ბალღამი.

არ მინდა მონმე, მე თვითონ ვმღერი,  
გულო, ამ ტანჯვით ისევ დაეზი.  
მთვარე თავს იხრჩობს არაგვის ხევში,  
ვით ქაიამას რუბაიები.

წინდანინ ვიგრძნობ, როცა ამოვა  
გულიდან ის ხმა, რომელსაც ველი:  
არაგვის ველზე დასალამოვდა,  
ყელზე მედება მწიფე თაველი.

\* \* \*

შემოდებიან ბათომის ქუჩებს  
ერთად ათასი სპარსელი მოლა,  
მათ მხოლოდ ერთი გრძნობა აყურებთ,  
უნდა მექის და მედინას მოვლა.  
მე არ მინახავს მათი ბანაკი,  
მაგრამ აქედან ისე კი მჯერა,  
რომ ცას შეარყევს მათი ქაქანი  
და შეურყევი ერთი სიმღერა.  
დადიან დაფით პიონერები  
და ისე სცემენ თავის საყვირებს  
და ეს გუგუნი ამ სიმღერების  
და ამ მოღების... ალბად აყვირებს.

\* \* \*

თუ ვაჟკაცობა პოეტს არ ახლავს,  
თუ გულწრფელობა ლექსს არ ატირებს,  
შთამომავლობა მის კვალს დაჰკარგავს  
და ეს არავის არ გააკვირვებს.

\* \* \*

ეს ნვიმა მწარე,  
ეს თქეში, მეხი  
ვერ შემაჩერებს,  
ვერ დამდებს სალტეს.

მივმართავ ისევ  
აჟღერილ ხეხილს,  
ჩემი ლექსები  
რომ გამოწალდეს.

## პოეზი





## პოემიდან „თვრამეტი წელი“

### 3. ქრონტებზე

დავით გურამიშვილის მამლები. ნოე ჟორდანია დამფუძნებელ კრებაში. რუბენ კაჩაზნუნის ჭაღარა. დაშნაკელი დეპუტატები. ბრიტანეთის ლომის ტორები. ჯონსონი კასპიისკენ. ბაქოს „სოვდუპია“. პანიკა ტფილისში. კაქე „დარბაზი“. ბოლშევიკების აგენტი. საკონცენტრაციო ბანაკი იანვარში. საქართველო-ბალკანეთი. დაშნაკცაკანის კანი. ქრონტის სიმღერები. გლავკოვერხი დრო. სერვეგ ბეგ., მოხალისენი ქუთაისიდან, ხევსურები ბერდუჯის წყალზე. ერეკლეს ხაზინა გერმანიაში. ქართველების კამეჩები და სომხების ცხვრები. ეკატერინოფელდი, საღამოს გაზეთები. ოვანესს თუმანიანი. ღამე ტფილისში.

– ვით მამალი  
სხვის მამალსა  
დამტერდეს და  
წაეკიდოს.  
მას სცემდეს და  
თვით იცემდეს,  
დაქოჩროს და  
წაეკიდოს.  
რა ორივე  
დაღალული  
ძალმა ნახოს,  
პირი ჰკიდოს.  
ეგრეთ ქართლი  
და კახეთი  
დარჩა თურქთა,  
ლეკთა, დიდოს...  
.....  
ეს ძველის ძველი  
ამბავი არი,  
მაგრამ იმ დროსთან,  
მე რომ ვიგონებ,  
მას აქვს მსგავსება  
გასაოცარი.

## 2.

– მოქალაქენო! –  
ამბობს ჟორდანია,  
დამფუძნებელ კრების  
პირველი მამალი, –  
ზავის და მშვიდობის  
ამოვსნურეთ  
ყველა საშუალება,  
მაგრამ სომხებმა  
იმიშვლეს ხმალი,  
და, აი, ეხლა  
ამას რომ ვამბობ,  
სანაინს სომხების  
ჯარი არტყია.  
ჩვენ იმედი გვაქვს,  
მოლაღატეებს  
ღირსეულ პასუხს  
გასცემს ჩვენი  
დემოკრატია.  
– შეურცხვეს ჭაღარა  
რუბენ კაჩაზუნს!  
(სწორეთ ამ სიტყვებით  
სწყევლიდა ნოე  
ახალ ქამს,  
მაგრამ მასავით ჭაღარას)  
სომხების მთავრობის  
თავმჯდომარეს.  
დამფუძნებელ კრების  
სხვა წევრებმაც  
დაჰკრეს ნაღარა.  
ცოფიან რისხვის  
მოვარდა ქარი  
და ერთ წამში  
სომხების დეპუტატები  
გარეთ გაჰყარა.  
– ზიზლი დამნაკებს,  
დაატყვევეთ ჯაშუშები.



გიჟები გვნახეს  
მართლა დასაბამი,  
სწორეთ ტფილისში  
დამფუძნებელ კრებაშია  
დაშნაკების შტაბი.  
ჩვენ სახლში ზიან,  
ლულუნებენ  
გუგულებივით.  
– ერევანში ნადით  
და დაეხმარეთ  
თქვენ ქეციან ჰდროს..  
– ერთი კი არა,  
ასი ჰყვირის  
არ მაღავენ ბრაზს  
და დაშნაკელი  
დეპუტატებიც  
სტოვებენ შიშით  
სასახლის დარბაზს...  
ერევანში ამას  
სხვა მამალიც  
აძლევდა ხმას.  
არა ნაკლები  
ყიყლიყოთი.  
და წამოიქოჩრენ  
ერთმანეთზე მეზობლები.  
ორივე იმაზე ფიქრობს,  
თუ რომელმა რომელს  
დაასწროს,  
„მოსისხლე მტერის“  
სისხლი დალიოს,  
ყელი გამოლადროს....

### 3.

ამ დროს არ იყო  
ლეკი და დიდო.  
თურქებსაც ორივე  
ფეხი ჰქონდათ  
ძირში მოტეხილი.

და დაღლილ მამლებს  
ძალლი კი არა,  
თვითონ დიდი  
ბრიტანეთის ლომი  
ტორით ტორავდა.  
და თუმცა ტორი  
დიპლომატიის  
ხავერდში ჰქონდა –  
ამ მამლების ქურდს,  
კუდი მაინც  
შორით უჩანდა.  
და ხრამის წყალზე  
სომეხის და ქართველის  
მოჭრილი თავი,  
სულ ერთია,  
სისხლში გორავდა...  
და სისხლიან გზით  
მიდიოდა ჯონსონი  
კასპიისაკენ.  
აქ მას სხვა მამლები  
ეგულებოდა.  
ბაქოს ნავთს  
ხანძარი მოდებია.  
აქ შაუმთანს  
და ჯაფარიძეს  
ნავთის მუშებისგან  
დაუარსებიათ სოვდეპია.  
და აქაც დადგა  
სისხლი და ტბორი,  
აქაც მიწვდა  
ჯონსონის ტორი.

#### 4.

ტფილისს თავისი  
აქვს სატირალი  
და ამიტომაც ასე სტირის:  
– ტყუილია, სომხები  
ლაჩრები იყვენ.

დიდებულათ არიან  
შეიარაღებული.  
უთუოდ აიღებენ ტფილისს.  
– ვაჲ, სირცხვილო,  
– ვაჲ, თავო და თავო,  
– ვაჲ, საქართველო!..  
– ვის გაუგონია  
დუქნის ბიჭების ომი?  
ეს გვარდია კი არა,  
თავლაფდასნმაა..  
დახე, რომ ომში  
კიდევ ერჩება!..  
უთუოდ შემოვლენ  
ტფილისში სომხები  
და მთელ ქვეყანაზე  
თავი მოგვეჭრება!..  
– ეს მარტო ერთ კაცის  
არ არის აზრი,  
ასე ფიქრობს  
კაჭე „დარბაზი“..

## 5.

– რა გინდა, ძმაო,  
დღეს თუ გინდა,  
შენ მოერიე,  
ხვალ ხომ უთუოდ  
ის მოგერევა.  
და ეს ქვეყანა,  
სულ ერთია,  
მაინც აირევა.  
მივადგეთ, ვჟლიტოთ  
ასე ერთმანეთი.  
ესლა აკლდა,  
გახდა საქართველო  
მეორე ბალკანეთი.  
– ეს ბოლშევიკების  
მოყიდული აქ  
რას ლაქლაქებს.

ვიციტ, თქვენ  
როგორ გიყვართ  
ზავი და მშვიდობა.  
სხვაგან მაინც სთქვით,  
აქ არ გასაღდება.  
ჩვენ აქ სომხებს,  
სხვა ტომის ხალხს  
მაინც ვებრძვით,  
თქვენ კი, სახლში  
გინდათ ომის გაჩაღება.  
– ჩვენ თუ ვუცადეთ  
ერევანში მუშების  
გამარჯვებას,  
სწორეთ ოჯახი  
აგვიშენდება.  
უმაღ უნდა მოხდეს  
მეორე ნარღვნა,  
რომ იქ ლენინმა  
გააჩინოს პროლეტარიატი.  
სომეხი იბადება  
დაშნაკცაკანი.  
გველმა იქნება,  
იცვალოს კანი,  
მაგრამ ის მაინც  
დარჩება გველი.  
– მაშ, არ ყოფილა  
სადმე საშველი.  
– რა განსხვავებაა,  
მენშევიკიც ხომ  
დაშნაკელია...  
.....  
აღარ გაათავებთ,  
სტაცეს ხელი.  
მოიყვანეს გვარდიელები  
და გააგზავნეს  
სომხების სემინარიაში,  
კარგ დროს გაატარებს  
ამ უშეშო იანვარში...

## 6.

შინ რომ ასე იყო –  
ჯარიც ფრონტზე  
ამას მღეროდა.  
მხოლოდ სიმღერა  
ქართულს არა გავს...  
ვილაც უჩინო  
თავს უყრის  
და ერთმანეთს აბამს.  
– და მეც არ მინდა,  
ეს სიმღერა  
რომ დავიყვედრო,  
ასე რუსულად  
გალექსილი  
დაგვრჩა ჩვენ ეს დრო.

## 7.

Главковерх  
Армянский Дро  
Вместо шашки  
Взял ведро..  
Муравей,  
Муравей,  
Пташечка.  
Прекрасной  
Грузии тебе  
Не видать.  
Пой, Сервер-бег,  
Пой, сердце успокой...  
ქუთაისიდან  
მოდოდენ  
მოხალისენი,  
წინ გრიგოლი  
მოდოდა,  
უკან ისენი.  
სათითაოდ გაიპარენ  
მოხალისენი,

ნინ გრიგოლი  
მიუძლოდა,  
უკან ისინი.  
ერთი, ორი,  
სამი, ოთხი  
მობალისენი.  
– აღსდევ, გმირთ გმირო,  
ნუ გძინავს,  
მტერთა ისმიან ხმანი.  
გრძლათ ძილსა  
ჩვეულ როდის ხარ,  
მოგვიხმე უნჯნი ყმანი!  
ვართ ზოგთა მათგან მოსული,  
ზოგთაგან ცხრანი ძმანი.  
– ეს არ გეგონოთ  
მუშტაიდში  
მღეროდეს  
კავსადის ხორო.  
ეს ნამდვილი  
პანკისის და  
შავ არაგვის  
ხევსურებია.  
შალვა ქარუმიძის  
ჩამოყვანილი.  
ბერდუჯის წყალზე  
ერეკლეს ელიან,  
უკვირთ, რომ გზაზე  
ჯერ არსად ხვდებათ,  
მათი ბაირალი  
არარატს აწვდება.  
– ალბად ბევრი ხევსური  
უთუოდ გაიოცებს,  
რომ შალვა ქარუმიძემ  
ერეკლეს ხაზინა  
ბერლინში გადიტანა  
და დაუზოგავათ  
ბეჭდავს და ბეჭდავს  
რუსულ ჩერვონცებს...

## 8.

– ცუდათ ჰქონიათ მაგ უბედურებს  
ომის საღერღელი, ძმაო, აშლილი.  
ცოტა მოიცადონ, კაცი არ ვიყო,  
დედას უტირებს მაზნიაშვილი.  
მეორეს ეტყობა, სხვა სარდალი  
უფრო იტაცებს  
და თავგამოდებით იცავს  
გენერალ კვინიტაძეს.  
– არსენას სიზმარი ვნახე ნუხელის,  
მე იმედი მაქვს მარტო ჯუღელის.  
– მაისურაძის სისხლს არ შეარჩენს  
ღმერთსაც უტირებს და ღმერთის გამჩენს.  
სირცხვილი, ძმაო,  
მხოლოდ ეს არი,  
ქართველმა თავი რომ გაუყადროს  
მაგ ქეციან ზინკორების ჰდროს.  
მალე ნახავენ თავიანთ თამაშს  
თავზე ლაფდასხმულ  
ჩათლახ უსტაბაშს...

## 9.

– მიდენიან სომხები  
ქართველების კამეჩებს.  
მოდენიან ქართველები  
სომხების ცხვრებს.  
ჯუღელმა თავის ხელით  
მოჰკლა გვარდიელი  
ქალის გაუპატიურებისთვის,  
მაგრამ ეს მაინც  
სასონარკვეთის ჟესტია.  
როცა ომია,  
მსხვერპლს ვინ ეძებს,  
ცოტაა თუ მეტია?..  
გააქვს ტყვიის მფრქვეველს  
საშინელი კაკანი,  
მოდის და გაარჩიე  
დაშნაკცაკანი...

## 10.

ამაღლების ქუჩა,  
ნომერი თვრამეტი.  
პატრიარქივით  
ზის ოვანესს თუმანიანი  
და თავის ურიცხვს  
შვილებს და ქალიშვილებს  
აფიცებს, ომში  
არ ჩაერიონ.  
და ჩუმ წუხილის  
საპასუხოდ  
ათავეებს წერილს:  
– სირცხვილი არი,  
მეზობლები  
ერთმანეთს ჟღეტდენ,  
ეს არ შვენის  
საქართველოს –  
კავკასიის  
საფრანგეთს....  
ბავშვები ქუჩაში,  
რაც ხმა აქვთ,  
გაჰკვივან.  
– ეკატერინოქედლში  
იმარჯვებს გვარდია.  
ქართველი ჯარები  
ჩავლენ ერევანში.  
მწარე იქნება  
ჩვენი რევანში.  
– გაზეთი, გაზეთი,  
Вечерняя Газета,  
Вечерние Новости.  
Покупайте, Братцы,  
Падение  
Советской  
Власти...  
ახალ კლუბში  
ბრმა სლუცკის  
ორკესტრი,



რაც ხმა აქვს,  
გუგუნებს  
გამარჯვების მარშს.  
ქალი და კაცი  
ტაშს უკრავენ  
ლეკურის თამაშს..  
ისმის ღრიანცელი,  
მთვრალების ხროტინი  
და მერე დედის გინება.  
გათენებამდე  
დაღლილ ტფილისს  
არ ეძინება...

## 5. ბუინოს აირეს... ალექსანდრო და კასტილია

ეს კაცი იყო გორელი ტელეგრაფისტი ალექსანდრე ტატიშვილი. დასტოვა მრავალ რიცხოვანი ცოლშვილი და გორიდან წავიდა სამხრეთ-ამერიკაში და იქ არგენტინაში სცხოვრობდა თექვსმეტი წელიწადი. რევოლიუციის დროს დაბრუნდა საქართველოში და გააწყო კოლონიალური დუქანი „ბუინოს აირესის“ სახელწოდებით, თეატრალურ შესახვევში. ალექსანდრედან სახელი კასტილიურად ალექსანდროთ გამოიცვალა, გულს უკლავდა მაშინდელი ტფილისის შიმშილობა და ამდენ წუხილისაგან გაკოტრდა კიდეც, დანარჩენი ამბავი ქვევით:

ცხრაას თვრამეტი  
წლის ზამთარია.  
და ყინავს გარეთ  
ტფილისის ღამე.  
ჩვენ გარდა ქალაქში  
ყველა გამთბარია,  
ჩვენ სხვა ბევრიც  
გვაკლია რამე.  
თითქო ქვაბშია  
ეს ტფილისი  
ბუდე ჩამდგარი,  
მაგრამ რად იცის  
სუსხიანი,  
უნწყალო ქარი?..

განა აცხოვენ  
ტფილისში პურს,  
სიდან არის  
ეს სურნელება?..  
თბილ ოხშივარის  
მოშორება  
რომ გვეძნელება..  
ალბად მსუქნები  
დაიბადენ გვარდიელები  
ან სხვა ნაირად  
კვებავს იმათ  
თვითონ გოგუა..  
მხოლოდ ეს მაინც  
ადვილადაც  
გასაგებია.  
რევოლიუცია  
მათი არის,  
შედავებას  
ვინ გაუბედავს?..  
ეს აშკარაა,  
თუნდა მიტომ,  
რომ ყველა ხედავს.  
მაგრამ რა უნდათ  
ამ მსუქან ვაჭრებს,  
რომ სქელ მუცელზე  
ხელს ვერ დაადებ.  
რის იმედი აქვთ?  
– და მისით მოდის  
ეს ლოზუნგი:  
– Бей спекулянтов...  
ჯარიც ახლოა  
„ნატკოვიჩა“  
ირის ეინემ,  
ირის ტიანუშკა.  
ყველაზე ადრე  
გაჩენილი  
„ბეზპრიზორნები“.

ომის „ბეჟენცი“  
 ენვერ ფაშას  
 შვილობილები.  
 შიმშილის ხელით  
 მწყობრ რაზმებად  
 დანყობილები.  
 ისეთ ხალხს მართლა  
 ყველა ლოზუნგს  
 მალე გაანდობ.  
 და გამნარებით  
 ყვირიან ერთად:  
 – „Оп, сестра,  
 Бей спекулянтов“...  
 სამიკიტნოში  
 კი შეიბმენ  
 შაშვი, კაკაბი:  
 – ნარი მიყვარს,  
 ნარი მე.  
 ნარის სულის  
 ჭირიმე.  
 ნარიმანა გოცაძე  
 .....  
 შევისნარით კოცნაზე.  
 ...და ამ ეპოქის  
 კოცნის ბრალია,  
 რომ ეს სიტყვები  
 ხალხს გიმნათ ჰქონდა.  
 ამიტომ არის,  
 ეს სიმღერაც  
 რომ მომაგონდა.  
 თითქო ჯუნგლებში  
 დასცურავენ  
 მალაელები  
 – „ბოსიაკ“ რუსებს  
 მაინც ვარჩევ  
 ამ შავ ინდუსებს.  
 მუგუზალს გვანან?!  
 დაე გავდენ!..

სხვა არ იყოს რა,  
ზღვა ახლოს აქვთ  
და სახლში წავლენ.  
ვილაცას ლანდი  
ვილაცას ლანდს  
გულმოსული ებაასება.  
– არჩევთ თუ არა,  
ეს სხვა საქმეა.  
საქმე ის არი,  
რომ სასახლეში,  
სადაც ეხლა  
პროფ. საბჭო არი,  
სადაც მუშისგან  
მუშებისთვის  
წყდება კითხვები,  
უცერემონიოთ  
გადმოეფინათ  
ინგლისელებს  
სველი ნიფხვები.  
აღბად ამას  
დემონსტრაციის  
სახე თუ ჰქონდა,  
თორემ ცივ ზამთარში,  
ისიც შუა ღამისას,  
სოველ ნიფხვებს  
რა გააშრობდა?..  
– ...ეს ის დროა,  
როცა გერმანიაში  
მოჰკლეს ლიბკნეხტი  
და როზა ლუქსემბურგი;  
როცა ბაქოდან  
მიყავდათ დასახვრეტად  
ალიოშა ჯაფარიძე და  
სტეფანე შაუმიანი.  
ზუბალოვის  
თავშესაფარში  
იმალებოდა  
მიხა ცხაკაია,

მაგრამ მიაგნეს  
მანც ბასტილიას...  
ტფილისში მაშინ  
ინგლისელ ჯარებს  
პროკლამაციებს  
უგ ზავნიდა  
ბესო ლომინაძე.  
– ძირს მაკდონალდი  
...გაუმარჯოს ჯონ მაკლინს.  
ვინც ჩვენთან არ არის,  
ჩვენია მტერი.  
რა ახლოს იყო  
მაშინ კომინტერნი? –  
ასე ამბობდა  
ქართველი,  
სპარსეთში  
გადავარდნილი,  
ამბობდა თავის  
გადახვენაზე,  
და ეს ქართველი  
იყო მაშინ  
ვლასა მგელაძე,  
– სპარსეთის  
ათას წლიანი  
დინასტია  
დამინგრევია.  
ეხლა კრებებზე  
მოტეხილ ხელს  
ბავშვივით ზევით  
მანვეიებენ.  
ჩემთვის ხელები  
ასანწევით არ მოუციათ.  
მითხარით,  
სად არის რევოლუცია?..  
მაგრამ ზოგი სხვაც  
სხვა დროისთვის  
გადაგვიდვია.

გახდა შუალამე  
და ოპერის ნირვაც  
გათავდა.  
საბანეევას ხმებით  
მღერის მცივანა  
ქარი.  
სახლი რომ გვექონდეს,  
სახლში ნასვლა  
მაინც ადრეა...  
უცნობ პოეტებს  
თუ ექნებათ  
სადმე კრედიტი.  
ეს ალბად  
მხოლოდ არგენტინაში.  
„ბუინოს-აირეს“  
გვერდითა გვაქვს  
და ღვთის წინაშე,  
გათენებამდე  
ოღონდ მიდი,  
არ არის ადრე.  
სთვლემს და  
ნაღდ მუშტრებს  
ელოდება  
იქ ალექსანდრე.  
ბევრი იარა  
ამ სანყალმა  
უცხო ქვეყნებში,  
არ დაივინყა  
ქართველური  
სტუმრის პატივი.  
რამდენსაც შესვამ  
კახურ ღვინოს,  
და სჭამ  
მშრალ ძეხვებს,  
ეს არის მხოლოდ  
მისი აქტივი.  
თუ გინდა,  
სახლში ნასაღებათ  
კიდევ გაგიხვევს,

გადმოლაგებს  
ქვეყნის დროშებს  
სულ ნაირნაირს.  
ყველა ქვეყნებზე  
საკუთარი აქვს  
მოსხენება.  
პური რომ ძვირობს  
ამ ტფილისში  
ეს კარგად იცის.  
ამიტომ უნდა  
არგენტინის  
გამოყენება.  
გარეშე საქმეთ  
სამინისტროს  
ემუდარება:  
„კვდება სიმშლით  
საქართველო,  
როგორც ზამთარში  
კვდება ჩიტი  
ცივ გალიაში..  
პურის საშოვრად  
გამაგზავნეთ  
კასტილიაში!..“  
ველარ ეღირსა  
ეს სანყალი ელჩობის მანდატს.  
აბა, იმისთვის  
ვის ეცალა  
ამ დაქცევაში!..  
მაგრამ ეს წამი  
მოსაგონათ  
საცოდავია,  
ხომ მისცეს ელჩი  
.....  
სკანდინავიას...  
შემდეგ სადღაცა  
კიდევ შეგვხვდა  
ჩვენი ბებერი.  
ზურგზე ნოხები  
წამოეგდო  
და დადიოდა.

იყიდეთ მართლა  
ეს ნოხები,  
მოქალაქენო...  
ვერ ნახავთ ვერსად  
ასეთ ვაჭარს,  
ვაჭარს ღვთისნიერს.  
მთელ ქვეყანაზე  
მარტო ერთი  
ჩვენი ქვეყანა  
გამოზრდის  
ისეთ პატიოსან  
კომისიონერს!...  
ეჩხუბებოდა სახლში  
ბებერს ბებერი ცოლი.  
შვილიც ბუზღუნობს,  
ქალიშვილი მზითევს  
თხოულობს.  
და ალექსანდრო  
დასდევს ტიტველ  
მოტლანდიელებს.  
უკვირს, რომ იმათ  
არ იციან კასტილიური.  
– გული მიკვდება,  
გეფიცებით,  
როგორც ქართველ კაცს,  
როცა დუქნებში  
ამ ყვითელ ჭადს  
მუდამ ვუყურებ.  
– ამიტომ გევხართ იმერლები  
თქვენ მაღალურებს.  
– მოდით, უთხარით,  
გენაცვალეთ,  
ჩვენო მგოსნებო!.  
(თან ნოხები აქვს  
ამოჩრილი მას ილღიაში).  
დასვან საკითხი  
დამფუძნებელ კრების  
სხდომაზე,



პურის საშოვრად  
გამაგზავნონ კასტილიაში!..  
სადა ხარ ეხლა,  
ალეხანდრო,  
ჩვენო ძვირფასო!..  
შენ დარჩი ისევ  
ალბად მაინც  
ფანტასტიური.  
დღეს არ იყვირებ:  
– პური უნდა ჩვენ ქართველ ხალხს.  
არ ეყოფა ცნობა „დე-იურეთ“,  
თუ კი „მუშკოპის“  
და „ხლებ-პროდუქტის“  
დუქნებს უყურებ.  
იქნება მოკვდი  
და სიკვდილის წინ  
გელანდებოდა  
შენ სამოთხეთ  
ბუინოს აირესს.  
ანგელოსებმა  
ალბად გალირსეს  
და უცოდველი,  
როგორც ბავში,  
ოკიანისკენ  
უკან გაფრინდი.  
შენ რომ გხედავდით,  
ჩვენ გვჯეროდა,  
რომ მიქარავდენ  
შენთან ყველა  
ჟიულ-ვერნები  
და მაინ რიდი.  
მაშინ მიიღე  
ეპიტაფიათ  
შენ ფანტასტიურ  
საფლავის ქვაზე,  
აი, ეს ლექსი,  
ათი წლის წინ,  
მე რომ დაგპირდი...

*იანვარი. 1928*

## რიონი-პორტი

### გემები ორპირში

*ჩემ მეზობლებს და რიონ-პორტის ენტუზიასტს  
შთაგონებულ ინჟინერ ვასილი ავდეევს*

ჰიპოკრატე – ძველი ბერძენი  
ასე სწერდა ამ ქვეყანაზე  
(სჯობდა მართლაც არ დაეწერა):  
„ქვეყანა, რომელსაც ჩაუდის ფაზის მდინარე,  
არის ჭაობიანი, ცხელი და ნოტიო.  
შემოსილია გარშემო ტყით.  
ყოველ დღე მოდის დიდი წვიმები.  
ამ ჭაობებში მცხოვრები ხალხი  
წყალში აშენებს წნელისგან ფაცხებს.  
გარედ გამოდის მხოლოდ მაშინ,  
თუ ბაზარში მოუხდა წასვლა.  
ხმარობენ ხისგან გაკეთებულ ნავს  
და ამ ნაგებით ირგვლივ უვლიან  
წყალში ჩაყურულ თავიანთ მამულს.  
სვამენ წვიმის წყალს, თბილსა და მდორეს  
და სიცხისაგან სულ აყროლებულს,  
აქ არ მწიფდება არასდროს ხილი,  
წყალს ზევით ადის რაღაცა ნისლი,  
ჰაერს რომ ალპობს და მუდამ სწამლავს.  
ხალხია ტანით თუმცა მაღალი,  
მაგრამ იმდენად არის მსუქანი,  
რომ აღარ უჩანთ ძარღვის სახსარი.  
ყვითელი-მწვანე გადაკრავს ფერი,  
თითქო სიყვითლით არის ავადო“.

### 1.

ამხანაგებო,  
მეზობლებო,  
სახლის კაცებო!.  
მინდა შორიდან  
მოგესალმოდ  
ძმა-ამხანაგი.

მაინც თქვენი ვარ,  
თქვენი მიწის,  
თქვენი ორპირის,  
თუმცა საგრძნობი  
არ მიმიძღვის  
თქვენთან ამაგი.

ვიცი, კითხულობთ  
ყველა „კომუნისტს“  
და ეს წერილი  
წასაკითხათ  
სახლში მოგივათ.  
ვიცი, გაარჩევთ  
მართალ სიტყვას –  
ძმაკაცურ სალამს.  
ამიტომ არის,  
რომ უბრალო  
ლექსით მოვდივარ,  
ამიტომ არის,  
რომ სიხარულს  
გული ვერ მაღავეს.  
ამხანაგებო,  
მეზობლებო,  
სახლის კაცებო!  
ჩემი სალამი  
და აღტაცება!...

## 2.

ჩვენი ბავშობის ოცნება ახდა,  
ვხედავთ ორპირში ორთქმავალ გემებს,  
ახლოს გაგვიარს ეზო და სახლთან  
და საბჭოების მზეს მიგვაგებებს.  
ჩვენი დამქცევი იყო რიონი,  
გვემუქებოდა ყოველდღე აყრას  
და მალიარიის ცივი მირონი  
ახლაც გვაყენებს საშინელ ზაფრას.  
ვინ დაგვინყევლა უყმური მხარე  
და სანამლაგად მოგვცა ეს ფშანი.

აქ ადამიანს რა გაახარებს –  
რომ იყოს მართლა გარდაქმანი.  
რა იყო წინად ამის წამალი,  
ნაკურთხი წყალი და აიაზმა.  
ამიტომ იყო, სოფელი მალე  
საფლავის ქვებით რომ დაირაზმა.  
ბევრი ყოფილა აქ შეცხადება,  
ბევრის უდროვოდ ატირდა დედა.  
ველარ უშველეს ლოცვით ხატებმა,  
დაივსო კუთხე და გადაშენდა.  
მე ეხლაც ვხედავ დაკონკილ საბნებს,  
მზისგან რომ ადის ოფლი ოხშივრად.  
გულად ვაჟკაცსაც შიში დააბნევს  
და თავის ბედის გახდის მომჩივრად.  
თვალწინ მიდგება თავებწაკრული  
ფხალის ნეშოში ბალლი და ქალი  
და ცხელებისგან პირგაძაგრული,  
მესმის სანწყლების ცივი კანკალი.  
ძველ დროს ხალხისთვის ვინ მოიცლიდა,  
რამე ენამლა, ეცა ნუგეში,  
პირიქით, ლუკმას პირში აცლიდა,  
გამოალპობდა ამ მყრალ გუბეში.

### 3.

ახალ ცხოვრების  
და ოქტომბერის  
მაცოცხლებელი  
ტრიალებს ქარი.  
თავის ბედს ხალხი  
თვითონვე მართავს,  
გუშინ უმნეო  
და შესაბრალი,  
ბედნიერების  
დამდგარა კართან!  
ვერ გაგვიბედავს რიონი აყრას,  
ხედავთ გემების გადმოშლილ აფრას.  
ძველი სიზმარი უკვალოთ გაჰქრა,  
ვისაც სჯეროდა, ღმერთმა შეარგოს.

ახალი გემის გამოჩნდა აფრა,  
ძველ იაზონის არა გავს არგოსს.  
ახალ ეპოქის უდიდესს ეპოსს  
აღარ სჭირდება უკვე მედეა.  
პოეტს სხვა ცეცხლი გულს მოედება,  
თუ თავის თავის მოიმედეა.  
ახალ სიმღერებს გულში აგვინებებს  
ბედნიერების სხვა დაპირება.  
დღეს სხვა აზრი აქვთ საგნებს და ნივთებს  
და ზღაპრად იქცა ოქროს ტრირემა.  
სად იყო წინად ის ოქროს სილა,  
ანდა სად ება ის ოქროს ვერძი?  
ალბად ქვეყანა სულ გამოცვლილა  
და შეუცვლია მინასაც ღერძი.  
ოქროს ლოდინი ეხლა ტყვილია –  
დღეს ოქროთ მარტო შრომა ფასდება.  
დღეს შრომა ოქროს ტყუპის წყვილია,  
ჩვენ სიღარიბეს ის თუ განვდება.  
ახალ ცხოვრების აზრიც ეს არის,  
ხალხს არ ნაერთვას ლუკმა და სარჩო.  
და თუ ამ დღეებს ჩვენ შევესწართ,  
მიზეზი არი – ლენინის საბჭო.

#### 4.

მე თუ ვერ ვაქებ ინდუსტრიის ქარს,  
მიტომ რომ ფეხი ამ ფშანში დამრჩა.  
სხვა კაცი იმას უფრო მოიხმარს,  
ამ ახალ კაცის მე ვარ ქამანჩა.  
ალბად სადღაცა ზის უსახელო,  
იქნებ ნიფხავი ჯერ არც კი ეცვას.  
მაგრამ გახსნილი აქვს მას საყელო,  
ღია თვალებით უყურებს ზეცას.  
მის მაგიერად რამდენი მკლავი  
შრომობს, ირჯება და ოფლს ინურავს,  
ხუთკუთხიანი მისი ვარსკვლავი  
ორპირის ცაზე სხვაგვარად სცურავს.  
ეცვას ნიფხავი დღეს ნარმიანი,  
ის მაინც სხვაა ადამიანი,

ოქტომბრის ქარი ზუზუნით ზრდიდა,  
არ მოვარდნილა უეცრად ციდან.  
და გიგანტიურს ვხედავთ შენობას,  
მაგრამ ჯერ ტყესა და ხარაჩოებს  
ნულარ დავაჩენთ, მაშ, უჩვენობას,  
გზა ნათელი აქვს ამ დიდ საბჭოებს..  
გაიჭედება ეს საქართველო  
ფოლადის რკინის ახალ ჯავშანში,  
გატანილია იმისი ლელო,  
არ დაიხრჩობა ჩვენსავით ფშანში.  
ახალ ცხოვრების ამ აშენებას  
ძმური სალამი ჩემი გვიანი,  
ახალ ცხოვრების მშვენიერებას  
შვენის ახალი ადამიანი.  
სდგას აბრეშუმის და ტყის სახერხი,  
მალე ქალღმადის ქარხანას ველით,  
დიდ საყვირების გრიალებს მეხი,  
გამოვა გემი რიონის ხვრელით.  
მალე დადგება დამბების ქსელი  
და რკინის ხიდი გამოცვლის ბორანს,  
მალე იმ გზაზე, ლაფებს რომ ვზილავთ,  
მატარებელიც, ვხედავთ, მიგორავს.  
და იმ ადგილას, სადაც ჯერ გუშინ  
არ ეგდო ტყვილად ერთი აგური,  
ციებ-ცხელების გამომპალ ღრუში  
კლიმატიური ჩდება სადგური.  
და დაშრებიან ასე ფშანები  
და ველარ ვნახავთ დაგუბულ რუებს  
და მოტორების რკინის ლაფშები  
მუხაყრუასაც გადააყრუებს.  
მაშინ გახდება მართლა საჩინო  
ეს იმერეთის კუთხე პატარა.  
მგონი, რომ ბედმა გადაგვარჩინა,  
მგონი, ჩვენ ცაზე გამოიდარა.  
და მე სიხარბე დამრჩა პირველი,  
როცა ორპირში გემი მოვიდა,  
ვერ დავინახე ტარასს სპრინკველი  
ხავსს მოდებული ჩემი ქოხიდან.

ლექსს ვერ უნახე საჭირო ხტილი,  
ასე უბრალოთ გრძნობა ამიტანს,  
სჯობს გამოტეხა და გულახდილი  
ვკოცნი ამ გემის პირველ კაპიტანს.  
დღეს ჩემი გული ჭალა დიდია,  
გულში სხვა გული გემად დაცურავს,  
დღეს ძველი ქვეყნის პანაშვიდია,  
მინა ქალამნად – ცა ქუდათ მხურავს.  
ჩვენი ბავშობის ოცნება ახდა,  
ვხედავთ ოპრირში ორთქლმავალ გემებს,  
ახლოს გაიარს ეზო და სახლთან  
და საბჭოების მზეს მიგვაგებებს.

2/VI-928

ტფილისი

## როაღდ ამუნდსენ

უნდა შევადგოთ  
ხალხი ნამუსზე.  
– ყველაზე ლამაზ  
კრიალა ვარსკვლავს,  
ამომავალ მზეს,  
შუბლზე რომ აკრავს,  
მისცეს სახელი  
– როაღდ ამუნდსენ.  
პარასკევია.  
თოთხმეტი დეკემბერი.  
მთელ ქვეყანაზე  
მწუხარების  
გაისმის ზარი,  
და დედამინას  
სწვდება გულამდე.  
ზოგი ორ წუთს გლოვს,  
ზოგისთვის კიდე  
სიკვდილის დღემდე  
გასტანს და გასძლებს  
ეს ვაჟკაცობა  
და სიგულადე.  
მე თვითონ გავხდი  
ეხლა სხვა კაცი  
და ჩემო თავო –  
გთხოვ და გიბრძანებ:  
– ხმა ამოიღე,  
სიტყვა დასძარი,  
ამ ვაჟკაცობას  
ნუ უღალატებ.  
ხალხსაც მიმართე,  
გული გაუხსენ,  
მაგრამ რას იტყვი  
ამაზე უფრო  
მომხიბლავ ლამაზს,  
პოემა არი  
ორი სიტყვა  
– როაღდ ამუნდსენ.



შორიდან მდევდა  
და ეს სახელი  
და ეს ამბავი  
და მოგონებაც  
ნუ იქნება დასაძრახავი.  
ბავში ვიყავი,  
როცა რიონზე  
ველოდი ოქროს  
ლარტყება მარხილს,  
თვალს დავხუჭავდი  
და ალიონზე  
წავუყრუებდი  
დედის დაძახილს.  
მეჩვენებოდა,  
ოქროს ტრირემა  
ჩვეულებრივი  
იყო ხომალდი,  
უფრო მნიბლავდა  
გავხდე ირემათ,  
თოვლსა და ყინულს  
რომ აპობს მარდი.  
სულ განაბული  
ვიფარებ საბანს  
და ეს ოცნება  
ალარ თავდება.  
და თუ ეს ლექსი  
კიდევ ლექსს აგავს  
– ეს მოგონება  
მას აქვს თავდებათ...  
დღეს თვითონ გავხდი  
ოჯახის თავი,  
მაგრამ ყოველ დღე  
ვიღვიძებ ბავშვით.  
– ალარ სჭირია  
ცხენს მოსართავი  
– თვითონ გაიგნებს  
თავის გზას ლაფშა.  
ასე ვიგონებ  
ოქროს ლარტყებით

და თეთრ ირმებით  
გამართულ მარხილს.  
სხვაც ბევრი დარჩა  
ალბად ობლებათ.  
და არც იმედის  
აქვთ ნატამალი,  
რომ მოინახოს  
სადმე „ლატამი“,  
ან ამუნდსენის  
მიაგნონ სამარხს.  
უნდა შევადგოთ  
ხალხი ნამუსზე  
– ყველაზე ლამაზ,  
კრიალა ვარსკვლავს,  
ამომავალ მზეს,  
შუბლზე რომ აკრავს  
მისცეს სახელი  
– როაღდ ამუნდსენ!..  
წამოვიზარდე,  
რიონის ფშანი  
ისევ ოცნების  
ნაგუბარია.  
გააქვთ ბაყაყებს  
მძიმეთ ტლაშანი,  
ორკესტრი ჩემი  
საკუთარია.  
და ტიუტჩევის  
ყრუ-მუნჯ დემონებს  
აქ საუბარი  
აქვთ გამართული.  
ეს ხმა ასპიტი  
დღესაც მიმონებს,  
როგორც მშობელი  
სიტყვა ქართული,  
ამ დროს ოცნება  
დასაძრახია?..  
დასაძრახია,  
შორს გადავარდე?

აქ რომ გემები  
ჩემი მარხია,  
რა ამოიტანს,  
რომელი ბადე?...  
ბევრი ნამება  
და ცრემლი მახსოვს,  
ბევრიც უძილო  
მე ლამე თეთრად  
გამითევია.  
სხვამ გამოცადოს  
ეხლა პოეტმა,  
ეხლა შემცვალოს  
ვინმე მეორემ...  
„На Полюс,  
На Полюс,  
Безим,  
Поспешим  
И новые  
Тайны откроем“.  
მელანდებოდენ  
დალუპულნი  
თეთრი გემები.  
მელანდებოდენ  
მყინვარები –  
იალქანები.  
თითქო პოლუსი  
დედამინის –  
გადაჭრილ ყელის  
ამ საიდუმლოს  
გამოცნობას  
ჩემგან მოელის.  
ვხედავ გოლიათ  
დაზნეილ ხიდებს,  
ხელით ვეხები  
ძირს ატლანტიდებს.  
იმან იცოდეს  
სიღრმე ამ ფსკერის,  
ვინც ლამის თევით  
დღესაც უცქერის.

ვიცოდი მაშინ,  
როგორც დღეს ვიცი,  
რომ იყო კაცი,  
ამ კაცს იმ თავით  
ცისა და მიწის  
გული გაუხსნეს.  
– ყველა მგზავრობას  
მე თან ვახლდი  
როაღდ ამუნდსენს,  
განა მარტო ერთს  
კაპიტან სკოტს,  
სიკვდილის წინათ  
პოლიუსისკენ  
გზა გადაუჭრა  
და გადაასწრო?  
ამ სიამაყეს,  
ამ ოცნებას,  
ბავშობიდან თან  
რომ მსდევდა,  
ველარ დავთმოზ  
ალბად ვერასდროს.  
თვითონ სიკვდილში  
ამუნდსენი არ იყო ერთი,  
თითქო ჩვენც გვმარხავს  
ყინულის ზღვა  
– უდაბნო თეთრი...  
უნდა შევავდოთ  
ხალხი ნამუსზე,  
ყველა ლამაზ,  
კრიალა ვარსკვლავს,  
ამომავალ მზეს,  
შუბლზე რომ აკრავს,  
მისცეს სახელი  
– როაღდ ამუნდსენ...  
რა უყოთ მერე,  
ასე თავი რომ გადააკლა  
ვილაც ოხერ  
ფაშისტ-ნობილეს.

მას ვაჟკაცობა  
ხომ აღარ აკლდა,  
ის ვიკინგებმა  
დაიძმობილეს.  
ქვეყნით ქვეყნამდე  
რაც სულდგმულობს,  
ამაზე იტყვის,  
არიან კაცნი,  
ვის სიკვდილსაც  
ქვეყანა სტირის.  
გილობოს, დიდერისს,  
როცა ალბად  
სული ხდებოდათ,  
საკუთარ თავზე  
აღარ სტიროდენ,  
სტიროდენ  
ამუნდსენს,  
და ამ ტირილს  
ყინულის ზღვა  
აქამდე უსმენს.  
ტფილისი.  
ოპერის თეატრში  
ცეცხლი ვარვარებს,  
დროშები ბურავენ  
თავდაცვა-ავიაქიმის  
ქიმიან ვარსკვლავებს.  
მოსხენებას კითხულობს  
პროფესორი სამოილოვიჩი.  
წითელ არმიის  
და ფლოტის სახლში  
ვუსმენთ ჩუხნოვსკის.  
და მაგონდება  
არტურ რემბოს  
„მთვრალი ხომალდი“,  
რომელიც ქართულად  
იაშვილმა სთქვა:  
„ეს ხომალდია  
საშინელად  
გზა დაბურდული,

გადაგდებული  
უფრინველო  
ეთერში ქართ,   
რომლის გაბერილ  
ჩონჩხს ნაპირზე  
ვერ გაათრევენ  
მონიტორები  
და განზეას  
მენაოსნები.  
მას თუ ევროპის  
წყალი უნდა,  
სურს მხოლოდ ფშანი.  
ცივი და შავი,  
რომელშიაც სურნელ საღამოს  
პატარა ბავში,  
მოხრილი და  
კაემნით სავსე  
სათამაშო ნავს  
გადაუშვებს,  
როგორც პეპელას“.  
ეს კაცი არი,  
თუ კაცივით  
ჩამოთლილი ქვა?  
მთელ ქვეყანაზე საბჭოების  
გმირობა რომ სთქვა,  
და ყინულიდან ამოთხარა  
ცოცხალი მკვდრები.  
არ უნდა ჩუხნოვსკის  
მალგრემის ძორი,  
არ გავს სხვასავით  
ყინულის მუდოს,  
არც აფთარია,  
მკვდარი დატკვიროს.  
როცა შიმშილის  
ვადა გავიდა,  
მოკლა ყინულზე  
მან თეთრი დათვი  
და ავთანდილის  
წვადი დაუდო.

ჯერ არ ყოფილა  
ამ თეატრში  
სხვა წარმოდგენა  
უფრო ბრწყინვალე,  
უფრო ბრიალა.  
ისმის ყოველ მხრივ  
„მალიგინი“-ს  
და „კრასინი“-ს  
ხრიალით ქშენა.  
რამდენ მოსისხარ  
საბჭოთა მტერს  
გმირთა ლაშქრობა  
გუნებას უშლის,  
ჰკითხეთ ჩუხნოვსკის,  
ჰკითხეთ ბაბუშკინს!..  
თითქო ყინულის  
ჩამონვა ზვავი  
– ეს აძლევს ლიტვინოვს  
ძალას და უფლებას –  
ასე გულდაგულ  
ითხოვოს ზავი...  
დღეს ამ გმირობას  
ქვეყანა უსმენს,  
მაგრამ არ ესმის  
მარტო ამუნდსენს.  
მე რომ ვყოფილიყავ  
გახა ნიკლაური,  
რომელმაც ბანივით  
გატკეპნა მყინვარი,  
ჭალარა ნვერზე  
ცრემლის ღვარი  
დამდინდებოდა.  
ყველა ჩვენგანში  
მანც ცხოვრობს  
ეს ნიკლაური.  
ყველა ჩვენგანი  
ოცნებას ენდობა,

მაგრამ სანყალ  
გახასაც დასჭირდა  
ჩვენი შენდობა.  
მისთვის რომ გეკითხათ,  
იქნებ მყინვარზე  
სიკვდილიც ერჩია!..  
აქედან ვხედავ სანყალ გახას  
ყინვის საკაცეს,  
აქედან ვხედავ  
გუდამაყრის მოხვევთა  
საარყე ქვაბებს,  
და ქელებში  
გამოცლილ ყანწებს.  
მყინვარს ყინულის ხსოვნა  
თან ახლავს,  
არ დაივიწყებს  
მგელ მუხლა გახას.  
მე არ ვატოლებ  
ამუნდსენს გახას,  
ამუნდსენს არ ყავს  
კაცი ბადალი.  
და მინდა მაინც  
შუაზე გავტეხო  
ჩემი ცრემლების  
ყინვის შანდალი.  
და როცა თოვლი  
უბეს აუვსებს,  
ყოველი მოხვევე  
იტირებს ამუნდსენს.  
უნდა შევადგოთ  
ხალხი ნამუსზე.  
ყველაზე ლამაზ,  
კრიალა ვარსკვლავს,  
ამომავალს მზეს,  
შუბლზე რომ აკრავს,  
მისცეს სახელი  
– როალდ ამუნდსენ!..

1928

ტფილისი



## გულდაგულ

რომ ვსთქვა მართალი,  
მე ეს მაკვირვებს  
სხვა არაფერი –  
ახალ პოეტებს  
რად აკლიათ  
ლექსის საფენი.  
მე იმას ვამბობ,  
რაც უნდა ითქვას.  
– არ აქვს საზღვარი  
ძარღვიან სიტყვას.  
და თუ სხვა მაინც,  
ვილაცას სწყევლის  
და ხახა მშრალი  
ლირიკულ წვიმას  
ელის და ელის...  
აღბად ეს მხოლოდ  
იმის ბრალია,  
რომ სიტყვით ეძებს  
თანამედროვეს  
და დანახვაზე  
თვალი მწყრალია.  
ბორკავს პოეტებს  
ძველი ოცნება  
და ეშინიათ  
ახალ ცხოვრების  
სიმღერად ქცევა,  
შესისხლხორცება.

\*

ძმებო, გადახმა  
ძველი პარნასი,  
დღეს ასეთი მთა  
დგება ათასი.  
თუ სინამდვილე  
არ აგამღერებს  
და გული გრძნობით  
არ აგევესება.

ნუ გაიკვირებ,  
გული გაგიხმეს,  
ნურც იმას, თვალი  
რომ დაგვესება.  
ვის უნდა მერე  
შენი გოდება,  
გადმოღვარული  
ცრემლის ლექსებათ...  
სიტყვა ლოზუნგი,  
სიტყვა მჭრელი  
მოკვეთილია,  
ჯერ ჭავჭავაძე,  
სცნობდა ილია:  
„მოვიკლათ წარსულ  
დროებზე დარდი.  
ჩვენ უნდა ვსდით  
ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ვშობოთ  
ჩვენი მყობადი.  
ჩვენ უნდა მივსცეთ  
მომავალი ხალხს“.  
და გოლიათი  
დაიძრა ხალხი,  
ჩვენ თვითონ მოგვცა  
ეს მომავალი.  
ძმებო, სიმღერის  
გვედება ვალი.  
წავიდა ის დრო,  
როდესაც ჩიტებს  
დასდევდა ხალხი,  
ეხლა სხვა ბორბლის  
ტრიალებს ჩარხი,  
სხვა მდინარეთა  
გაიხსნა არხი,  
თუ რამე დაგრჩა  
ძველი ცოდვისა,  
მოასწარი და  
მაგრად ჩამარხე:  
თვითონ უნდა სცე  
შენ თავს პატივი,

თორემ ტკბილ სიტყვას  
ხალხი არ დასდევს.  
შეურცხვეს მართლა  
იმას მარჯვენა  
და სასიმღეროც  
გაუხმეს ენა,  
ვინც დაიზოგოს  
სიტყვა მართალი  
იმ გმირებისთვის,  
რომელთაც თავი  
ხალხისთვის დასდევს.  
შერცხვეს პოეტი,  
თუ შეუშინდეს  
ქვეყნის ორგულსა,  
მტერსა და მუხთალს  
და სისხლის ოფლში  
გამოჟანგულ ხალხს  
ამხანაგური  
სიტყვა ვერ უთხრას.

\*

მაშ, ვსთქვათ უბრალოდ  
სიტყვა მართალი,  
სიტყვა ვაჟკაცის  
ხელით ნათალი,  
რომლის სიმტკიცე  
ფოლადს აგავდეს,  
კაცს გულში მოხვდეს  
და გაუხარდეს.  
– ტფილისელებო,  
მარტო თქვენთვის  
არ ვლაპარაკობ.  
დედა ქალაქში  
პოეტების  
დაგიდგათ რთველი.  
ჩემ წინ გაშლილი  
რადიო-ქსელით  
გადასერილი  
სდგას საქართველო.

– პირველი სიტყვა,  
– პირველი სუნთქვა,  
– პირველი ლექსი  
მშობელ მშრომელ ხალხს.  
ქარხნის გუგუნში  
ყურ დაყრუებულს,  
სიმნარის ოფლში  
შვიდჯერ გაბანილს,  
ფაცხის კარავში  
სიცხით აყვანილს  
ნაქცეულ ქოხსა,  
ისლებიან სახლს...  
ამ გაზაფხულზე  
მივესალმები  
თქვენ ყანის თესვას.  
ყანა თქვენია,  
თქვენი არი  
მისი ნაყოფი,  
არავინა გყავთ  
მოძალადე,  
შრომის გამყოფი.  
ყოველ დღე გესმით  
თქვენ რადიოზე სიტყვა-ლექცია,  
თუ როგორ უნდა  
დათესოთ ყანა,  
თუ როგორ უნდა  
სარჩოს მოყვანა.  
თქვენ უმისოდაც  
ეს კარგად იცით  
და მე რა გითხრათ.  
გისურვებთ მხოლოდ  
ბედნიერ დარებს  
და როგორც ჩიტი  
თქვენ სახლის კარებს,  
მეც ჩამოვდახებ:  
– გაისარჯენით,  
რომ თქვენი ყანა  
დედის რძესავით  
მადლით აქაფდეს,

თესეთ და კაფეთ!..  
ეს ოქროყანა,  
ახალი მცხეთა,  
ხაშური, გომი,  
ვანი, ორპირი,  
ბანძა და გორდი,  
წინანდალი და  
მერე ახმეტა...

.....  
ვინ დასთვლის სოფლებს,  
სადაც ლექსები  
რადიოს ანძას  
ეაღერსება.  
სად შრომის ოფლის  
ადის ალმური,  
სად აპრილია  
და სალამური.  
ვინატრებ მხოლოდ,  
რომ პოეტები  
შრომის განევით  
გლებებს აგავდენ,  
როგორც მოსავლის  
დადგება ხვავი,  
ისე ლექსებიც  
ხროვად დალაგდენ.

\*

მახსოვს პირველად,  
როცა აპრილი  
ტყემლის სითეთრით  
სოფელს ახარებს,  
გალესდი სახნისს  
და თავდახრილი  
ნაჩალარისკენ  
მისდევდი ხარებს.  
შენ თავზე უფრო  
გეცოდებოდა  
ნიშა და ლაბა,  
მაგრამ რას იზამ...

ოჯახის რჩენა,  
დავიდარაბა,  
გულზე გედება  
ცეცხლის საკირედ.  
ან და ვის ჰყავდა  
ულლად ხარები?  
და უფრო ხშირად  
შენ სხვის სახნავში  
იყავი სხვისი  
მოჯამაგირე...  
ის უშუური დღე  
ნავიდა, გაქრა,  
როცა ყოველი  
ბელტის მოხეთქა  
იყო საკუთარ  
საფლავის გათხრა...  
ეხლა კაცი ხარ –  
ადამიანი.  
შენი მარჯვენა,  
დღეს მადლიანი  
სხვა ბატონს თვალში  
აღარ უყურებს,  
საკუთარ უღლის  
ხსნის აპეურებს...  
და ნაჩალარის  
მაღალი ცეცხლი  
აღარ აშინებს  
ტურა-კუდიანს  
და სხვა ჯადოქრებს.  
გველვეშაპივით  
დადგა ტრაქტორი  
და ფოლადის გულს  
თქვენთვის ატოკებს.  
ყოველი მისი  
ქშენით გარება  
ათასს ღარიბის  
იქცა ხარებად.  
და სადაც ერთი  
კაცი სუსტია,

იქ ეხმარება  
ხალხს ინდუსტრია.  
სადაც სახნისი  
მინას ფორჩხიდა,  
ეხლა ხის კავი  
ტრაქტორის მოხნულს  
ველარ განვდება  
თხრილებზე ხიდად.  
მაგრამ გასწიეთ,  
ამ ღრმა ნაკვალევს  
ეს სჭედავს თქვენთვის  
ბედნიერ ხვალეს.  
ლამის მეხრენო,  
რომ დაიბადეთ  
გუთნის დედებად,  
გულს ნუ გაიტეხთ,  
თქვენც ინდუსტრიის  
ცეცხლი გედებათ!..

\*

წითელ დროშებით დახურულ ცას,  
ლალს და იაგუნდს.  
პიონერების  
დაფდაფებზე  
ამღერებულ გუნდს.  
სოფლის სკოლაში  
გოგო-ბიჭებს  
სკებად შებუდრულს,  
ახალ თაობის  
სიმტკიცესა  
და რკინის ურდულს.  
დილის რიჟრაჟზე  
გალვიძებულ  
ქარხნის საყვირებს,  
გლეხის მარჯვენას  
და გალესილ  
თოხის საპირეს.  
მიხაკის ფერად  
მოელვარე

ნითელ თავსაფრებს,  
რიონში, მტკვარში,  
ალაზანში  
გემების აფრებს.  
უდაბურს სამგორს  
ივრისაგან  
თხრილებით მორწყულს.  
ჭალადიდის ტბას,  
სამეგრელოს  
მომუშებულ წყლულს.  
ენგურის ხევში  
დაქანებულ  
ფიჭვების ტივებს,  
ტირიფონაზე  
ზღვად მოვარდნილ  
ბზესა და თივებს.  
პურით და ღვინით  
პირამდე სავსე  
ბელლებს და მარნებს  
და დახვეწილი  
აბრეშუმის  
პარკის ყაზარმებს.  
მუხრანის ველსა,  
თერგის სათავეს,  
თუშებმა ცხვარი  
რომ გაუტყავეს  
შესანირავად  
ლომისს და ლაშარს.  
სვანეთის მთებში  
გაკაფულ შარას,  
იალბუზს გვერდზე  
რომ დაიტოვებს.  
სვანის ბარ-ნიჩაბს  
და თაფლის კოდებს.  
თურამაულის  
ვაშლის განთიადს,  
ქარი რომ ხეზე  
ალარ აყენებს.



წინანდალს ჩაყრილს  
ვაზის ნამყენებს,  
აჭარის ქედზე  
ლანქერებს დამდნარს,  
ჯიქურა ცოცხებს,  
გვიმრას და დაფნას.  
ხევსურის ძროხებს,  
ალაზანში  
ჩაყრილ კამეჩებს,  
მზე რომ უმიზნებს  
საფეთქელში,  
სიცხე ალენჩებს.  
ბათომის პალმებს  
და ჩამოხსნილ  
ქალების ჩადრებს.  
თუთუნის ნეშოთ,  
ოჯალეშით  
სავსე ჩალვადრებს.  
უსულოს, ცოცხალს,  
კაცს, ადამიანს.  
შირაქის ველზე  
ბალახს ნამიანს,  
რასაც ნაყოფით  
მზე ვერ იცილებს.  
ოთარანთ ქვრივის  
კრიალა ეზოს,  
და ფიროსმანის  
კრუხს და წინილებს  
თავზე რძიანი  
ქაფათ დაღვრილი  
ატმით და ტყემლით  
ადგას აპრილი.  
როცა ბუნება  
უცბად პოეტებს  
ცეცხლის ნალვერდალს  
გულში ჩაუდებს,  
როცა მერცხალი  
მონახავს ბუდეს,

სიმღერა გმართებს,  
რომ იყო მკვდარი,  
მეც ამ სიმღერის  
მთუთქავს ლადარი,  
მაგრამ უნდა სთქვა,  
რომელი ერთი!..  
რომ მოიშველო,  
არც არი ღმერთი!..

\*

სადაც გახედავ,  
საქართველოს  
ყველა კუთხეში,  
იბრძვის წერაქვი,  
იღვენთება  
კირი და ხრეში.  
მიდის სინათლე  
ყრუ, მიუვალ  
კლდესა და ღრეში.  
არავინ დარჩა  
ამ გულდაგულ  
ომის გარეშე...  
დაიწყო მცხეთამ,  
გაიბუგა  
პირველათ მტკვარი,  
მოედვა რიონს  
და ყველა წყალს  
ეს სატკივარი.  
ყველაზე წინ დგას  
ტბა-ჭაბუკი,  
თავ-ფარავანი,  
სადაც გაიარს  
ელექტრონის  
ეს ქარავანი...  
„თავფარავნელი ჭაბუკი  
ასპინძას ქალსა ჰყვარობდა,  
ქალი ანთებდა სანთელსა,  
სანთელი კელაპტარობდა.

ჭაბუკი წყალში შეცურდა,  
მიდის და მიუხაროდა,  
ცალ მკერდზე გელაზი ეცვა,  
მარჯვენას ისე ხმარობდა.  
ქალი ანთებდა სანთელსა,  
სანთელი კელაპტარობდა,  
ერთი სულმყრალი ბებერი  
აქრობდა, აბეზარობდა.  
ჭაბუკი წყალში დაიხრჩო,  
ზედ ნიაღვარი ჩქარობდა,  
ჭაბუკის ძუძუ მკერდზედა  
ორბი იჯდა და ხარობდა“...

\*

ჭაბუკი ისევ გაცოცხლდა,  
მოდის და მოუხარია.  
ცალ მკლავზე ელექტრო აცვამს,  
მარჯვენას რკინის ხარია.  
მხოლოდ სულმყრალი ბებერი  
საფლავში უფრო მყრალია.  
არცა ჩაქრება არასდროს  
გიზგიზა ცეცხლის ქარბუქი,  
ახალი საქართველოა  
თავფარავნელი ჭაბუკი...


\*

ეს იყო მაშინ,  
ეს იყო წინათ,  
იმ ივერიას  
მწუხრი ეფინა.  
იმ დროს სიავე  
ეხლაც თან ახლავს  
მრისხანე სახელს  
ალა-მაჰმად-ხანს.  
ტყვილად ეძებდენ  
ომისგან საფარს.  
ქარი ბურდავდა  
შამილის ფაფარს.

რუსის მეფეთაც  
გული იყარეს,  
ასხდენ სვავებათ  
დაპყრობილ მხარეს.  
დაანვა შიში  
ქვეყანას ვერანს,  
ბარათაშვილიც  
ეძახდა მერანს.  
რათ უნდა ამას განმეორება.  
ეს ლექსი გულზე  
გვანევს მორევათ.  
ერის მისანმა,  
პოეტმა მაინც  
სხვა გასავალი  
ნახა გზაშარა.  
ბედი ქართლისა  
მის ერთგულ რაინდს  
ასეთი ლექსით  
გადაეშალა.  
„სადაც აქამდე  
ხმლითა და ძალით  
ფლობდა ქართველი,  
მუნ სამშვიდობო  
მოქალაქის  
მართავს ან ხელი...“  
ჩვენც ხელმეორედ  
დავიბადენით,  
ვსთქვათ პოეტებმა  
გულის დადებით.  
იდოს ქარქაშში  
ხმალი მღელვარე,  
აყვავდეს შრომით  
სამშობლო მხარე.  
ეს მიზანი აქვს  
დღეს საქართველოს,  
შრომით და ოფლით  
გავიტანთ ლელოს.

*ტფილისი-წინანდალი  
აპრილი 1929 წ.*

## თარგმანები



Երևանյան Զրուար  
(Գործընթաց).

Երևան Թիֆլիսից... Երևան, Թիֆլիս:  
Երևան Երևան Երևան Թիֆլիս,  
Թիֆլիս Երևան Թիֆլիս  
Երևան Երևան Երևան, Երևան:

Երևան Թիֆլիս, Երևան Երևան  
Երևան Երևան Երևան Երևան,  
Երևան Երևան Երևան Երևան,  
Երևան Երևան Երևան Երևան

Երևան Երևան Երևան Երևան,  
Երևան Երևան Երևան Երևան  
Երևան Երևան, Երևան Երևան  
Երևան Երևան Երևան, Երևան Երևան!

Երևան Երևան Երևան Երևան,  
Երևան Երևան Երևան Երևան  
Երևան Երևան, Երևան Երևան  
Երևան Երևան Երևան Երևան

1907թ. Երևան. Թ. Թիֆլիս

**ჯორჯ გორდონ ნოელ ბაირონ**

**ებრაული მელოდია**

სული მჭვუნვარებს... მალე, მგოსანო!  
ხელში აიღე დავითის ქნარი,  
ჩამოჰკარ სიმებს და გამაგონე  
სამოთხისა ხმა ნაზი, ნარნარი;

და ბედის წერას, თუ სამუდამოთ  
აღარ ჩაუკლავს გულს იმედები,  
გაიღვიძებენ მგზნებარე მკერდში  
და ცრემლს დავაფრქვევ, ცრემლათ დავდნები.

დეე, ვით ჩემი ეკლის გვირგვინი,  
შენი სიმღერა იყოს ველური,  
მე აღარ ვითხოვ მხიარულებას,  
მე ცრემლი მინდა, ოხ, გასკდა გული!

ტანჯვა-ვაებით მყავდა გაზდილი,  
მომინებისაც შესწევდა ძალა,  
ეხლა სავსეა სამსალა-შხამით,  
ვით სასიკვდილო მწარე ფიალა.

1909

ქუთაისი

მგზავრის სიმღერა

მთანი მალაღნი, ცად ატყორცნიღნი,  
ჯანყში ხვეულნი, შეუპყრია ძიღს,  
ტურფა ნალკოტი, გადაფენიღი,  
ძაძით უმოსავს ღამისა აჩრდიღს;  
აღარ ინძრევა ხეზედ ფოთოღი,  
გზას აღარ ასდის კორიანტეღი,  
ცრემღებსა აფრთქვევს ნღვღიანი ცა,  
შენც დაისვენებ – ცოტა მოიცა.

1909

ტფიღისი

\*\*\*

სევდა-ნღვეღით გარემოცული,  
ვტოვებ ბედ-კრული მე ჩემ მშვიდ სადგურს  
და მივალ – რისთვის? – თითონ არ ვიცი,  
ტყესა უდაბურს, ყრუს და უკაცურს.

ქარმა ნავარდსა თვისას მოუკლო,  
მთვარემ სხივები შემომღაგება,  
ნაზი ზეფირი დანამულს მდელღს  
გუნდრუქსა უკმევს, თავზედ ევღება.

ოჰო, რა რიგად – გული მოკლული  
ამ ღამის ნექტარს სვამს, ენღფება  
და ეს ნექტარი, ვითა საამოდ,  
გულს ეპკურება, ესღლმუნება.

მაგრამ ღვთაებავ! ჩემო სიცოცხღევ,  
რად მინდა ღამე ასიც ამ გვარი!..  
ვით არ მერჩიღს მას თუნდა წამი,  
ოდეს შენთან ვარ ოცნებით მტკბარი.

[1909]



## ვინ დამიბრუნებს!!!

ვინ დამიბრუნოს ჟამი წარსული,  
ნეტარი დღენი და სიყვარული?!!  
ოხ! რარიგ ტკბილი იყო ოცნება,  
და როგორ გაჰქრა, ვით მოჩვენება!

შავი ნალველი გულს არ შორდება,  
უკანვე ითხოვს ბედნიერებას,  
ცრემლმა მდულარემ დამწვა თვალები,  
ოხ! ვით გაუძლო ამდენ ვაებას.

ვინ დამიბრუნებს! ვინ დამიბრუნებს  
სიყვარულისა იმ ნეტარ დღეებს!!

[1909]

## მშვიდობით!!!

დეე, სახემ სთქვას ის, რის გამოთქმაც  
არ შეუძლია ამ ჟამათ სიტყვებს.  
ცრემლნი მარჩობენ... ბაგე მდუმარებს,  
მწუხარე სული ჰგოდებს, ვალალებს,

ამაო არის ეხლა ალერსი,  
ჩემს მწუხარებას ვერ დააამებს,  
ცივია... ცივი, სატრფოვ, თვით კოცნაც,  
ცრემლი ჩამოსდის შენს ლამაზ თვალებს.

ჩემო სიცოცხლე! განთიადისას  
ან ველარ მოვკრებ შენთვის ყვავილებს;  
გაზაფხულია, მაგრამ ჩემს გულში  
შავი ზამთარი დაისადგურებს.

[1909]

წინათგრძნობა

(სონეტი)

რაც უნდა ვიყო, სულ ერთია: – მეფე ძლიერი,  
ბრძენი, წიგნებში დღე და ღამე გამომწყვდეული,  
ან და ღრუბელი, რომ მკოცნიდეს მუდამ ეთერი,  
და გინდა ელვა, სწრაფი ელვა ცაზე განრთხმული...  
ყველგან, ყველაფერს დაუცხრომლათ მიელტვის სული,  
ჟამის ლაბირინტს არ ვუკრთები, ქსელათ გავები...  
ბედი მეძახის... მდუმარეა უდაბნო ვრცელი...  
მაგრამ ჩემ სულში დაილევა განა ლექსები?!

იქ, ცათ აზიდულ-აყუდებულ მთების საზღვრებზე –  
სძინავთ მწვერვალებს, შეყენებულ ლაჟვარდის ფრთებზე...  
უკვდავებაა ტბის შვენება, ცის სილამაზე.  
უკანასკნელათ სიკვდილს ებრძვის, ვარსკვლავი კრთება,  
არყოფნის ღამის შავ წყვდიადში უკვლოთ ჩაქრება...  
სძინავთ მწვერვალებს... იქ, იქ უხმობს სულსა ზესთაზე.

[1911]

## ლამე ზღვასთან

...ლამე ზღვასთან, ლამე ზღვასთან...  
ოჰ, როგორ ბნელა, როგორ კრთის სული!..

რისთვის მოვედი მე ლამით ზღვასთან,  
ან და რისთვის ვარ აღშფოთებული?

ოჰ, არის სადღაც ბედნიერება...  
გზა კი შორს არის, არ მიმესვლება...

მე ვხედავ ვარსკვლავს, მინდა მიყვარდეს –  
მინდა ჩამოვხსნა ის ზეცის ბადეს...

მაგრამ შორს არის, ველარ მივსწვდები  
და, უბედური, ტყვილათ ვღონდები...

მე ვკვდები, ვკვდები.. აქ ლამით ზღვასთან  
სილა ჩამითრევს, ტალღა წამიღებს.

აქ ლამით ზღვასთან, აქ ლამით ზღვასთან  
ერთი სიკვდილი თუ შემიყვარებს...

[1911]

## დმიტრი მერეჟკოვსკი

### ნირვანა

ისე, ვით პირველ დღეს გაჩენისას  
ცისა ლარჟვარდსა ჩუმათ სთვლემს, სძინავს,  
თითქო არ იყოს ქვეყნათ ნალველი,  
თითქო ცოდვები გულს აღარ სძირავს.

შორს სიყვარული, ძლევა, დიდება!  
მიყვარს სიჩუმე... მიყვარს დუმილი...  
მეც ისე ვსუნთქავ, ვით განთიადის  
მზის პირველ სხივზე სუნთქავს ყვავილი.

წარსულს არ ვნალვლობ, არც მომავალის,  
როგორც ოდესღაც, ვითვლი მე დღეებს.  
რა სიამეა, რომ არას ფიქრობ,  
მაშვრალი სული რომ არას ეძებს!..

[1911]

## ცფიერი გველი

გვიქსოვდა ბადეს ცფიერი გველი  
გაზაფხულისა დღესასწაულზე...  
რას ვიფიქრებდი – შავი ნალველი  
დაგუბდებოდა ჩვენს სიყვარულზე?!

როგორ მიყვარდა!.. მინდოდა – გული,  
ლოცვით ქცეული, მიმეძღვნა ცისთვის...  
მას კი შეშურდა ეგ სიყვარული...  
არ ვიცი – რათა, არ ვიცი – რისთვის..

შუალამისას ფრთა გაიბერტყა  
ყოფნის ყორანმა, დაგვჩხავლა თავზე...  
ეს მაშინ იყო, როს სატროფოს კუბო  
მარტოს მიმქონდა ოხერ საფლავზე...

ლოცვა მსურს, მაგრამ ვერ გამიბედავს...  
მშიშარი თვალი ბნელშიც გველს ხედავს...  
საბედისწერო ქსელში ხვეული  
კრთება, ღონდება სული ეული...

გვიქსოვდა ბადეს ცფიერი გველი  
გაზაფხულისა დღესასწაულზე...  
რას ვიფიქრებდი – შავი ნალველი  
დაგუბდებობა ჩვენს სიყვარულზე...

[1911]

ივან ბუნინ

ალპებზე

სონეტი

მაღლა ალპებზე, თვალუნვდენელ თოვლიან მწერვალს,  
ფოლადის კალმით დავანერე ჩემი სონეტი.

მიდიან დღენი... და ვინ იცის, იქნებ მგოსნის კვალს,  
დღესაც ინახავს მოუშლელათ ყინულის სვეტი!..

მაღლა ალპებზე, სადაცა მუდამ არის ლაჟვარდი,  
სად მხიარულათ დათამაშობს ყინულის სხივი –  
მთრთოლვარე ხელით ამოვსჭერი მე ჩემი ლექსი...  
მზე იყო მოწმეთ და ამაყი მთების არწივი...

როგორ მიხარის, რომ პოეტი ჩემსას გაიგებს!..

დაე, ძირს, სოფლათ, ბრბო ცბიერათ ნუ გაუღიმებს!..

მაღლა ალპებზე, სად ცა მუდამ ლურჯათ ეღვარებს,  
არწივი მთებსა უბრიალებს მრისხანეთ თვალებს –  
ლამის ბინდისას გამოვსჭერი ჩემი სონეტი...

მას წაიკითხავს იქ მფრინავი მხოლოდ პოეტი!..

[1911]

## ჰენრი უოდსუორთ ლონგფელო

### პოემიდან „ოქროს ლეგენდა“

#### I. ღამე

სამრეკლო სტასბურგის ტაძრის. ღამეა. ქარიშხალი. ლიუციფერი  
და ჰაერის სულები ცდილობენ ჯვარის გადმოგდებას.

#### ლიუციფერი

გადმოაგდეთ! გადმოაგდეთ,  
ჩქარა, ჩქარა!

გადმოაგდეთ ჯვარი მძიმე  
ჩვენ სარცხვენად, ცის წიაღში,  
ცის გუმბათში მოციმციმე.

#### ხმები

არ შეგვიძლია, უღონონი ვართ,  
ქერუბიმები და წმინდანები  
გარს შემოერტყენ, იცავენ იმ ჯვარს,  
ვერას დავაკლებთ ჩვენ იმათ ლაშქარს.

#### ზარები

Laudo Deum verum!  
Plebem voco!  
Congrego clerum!

#### ლიუციფერი

კოშკზე, კოშკზე!..  
შემოერტყით გარს სამრეკლოს,  
გადმოაგდეთ ის ჯვარი ძირს,  
და უფსკრულის განერთხოს პირს.

#### ხმები

უღონონი ვართ,  
იმათ ასხურეს  
ნაკურთხი წყალი,  
უნაყოფოა,  
და შესაბრალი!  
აბა, რისხვისა  
სად შეგვწევს ძალი?!

### **ზარები**

Deufunctos ploro!

Pestem fugo!

Festa decoro!

### **ლიუციფერი**

მოხიეთ ჩარჩო,

ნუ, ნუ დაინდობთ

თქვენ იმათ ფანჯრებს,

ოქროს მენამულს,

ფანჯრისა მინებს.

გაათიალეთ, შორს გააბნიეთ,

ისე, ვით ფოთოლს

შემოდგომისას,

ქარი გააბნევს.

### **ხმები**

უღონონი ვართ, გვნვავს და გვაბრმავებს

ცეცხლის მახვილი მიხეილისა,

მახვილი მისი, ვინც ჩვენ ოდესღაც

გამოგვისტუმრა ციდან მინაზე.

### **ზარები**

Funera plango!

Fu lgura frango!

Sabatta pango!

### **ლიუციფერი**

მომართეთ შვილდი და სტყორცეთ ელვა,

მიმომტვრიეთ მათი კარები,

დაეცით ტაძარს, ქარსაც მიეცით

კუბოთა მტვერი და მკვდართა ფერფლი.

### **ხმები**

უღონონი ვართ, მოციქულები

მცველად დამდგარან ტაძრის კარებზე,

ბრწყინავ მანტიას, რომ დავინახავთ,

ბინდი გვეკრება მყისვე თვალებზე.



## **ზარები**

Exito lentos!

Dessipo ventos!

Paco cruentos!

## **ლიუციფერი**

ოხ! საზიზლარო მოდგმავ მშიშართა!

სულ ერთი არის, დაწყებულ შრომას

ვინ მოასრულებს, თუ არა ჟამი,

რღვევისა ძალა, რისხვის მახვილი,

სადმე ღამეში დაიმაღენით,

სანამ ბნელია, გაიფანტენით:

ცისკარი მოდის...

## **ხმები**

გავფრინდეთ მალე, ნავყვეთ ქარის ფრთებს,

ავშორდეთ ტყეთა და ნვეტიან მთებს.

სიკვდილის ცელსა მოუსვამთ სოფელს,

შევმსურავთ გზაში ყველას და ყოველს.

(ჰქრებიან).

## **არლანი და ხორო**

Nocte sugrentós!

Viglimus omnes!

## **II. დილა**

ფერმა ოდენვალდში. ბალი. დილა. პრინცი ჰენრი კითხულობს.

– განთიადისას, ერთხელ ოდესღაც

ამ საუკუნო ჯანყიან ტყეში

მონასტერისა რუხ კედლებიდან

თავჩაქინდრული, ლოცვით ტუჩებზე

მოდიოდა ბერი ფელიქსი.

ჰაერი სიცხით იზმორებოდა

და ჩრდილიანი შეფოთლილი ტყე

ჰგავდა სავანეს, მშვიდს და მდუმარეს.

ოქროს ხავსები იწვენ ხეებზე,

თითქო ლოცვასა ცად ალავლენდენ,

ფოთლები რხევით ურთერთს ეკვროდენ,  
 ტყისა ყვავილნი, ყურძნის მტევნები  
 ნაზ სურნელებას ირგვლივ აკმევდენ.  
 მაგრამ ფელიქსი ფიქრთა ბურანში  
 ვერას ამჩნევდა... მისი თვალები  
 ავგუსტინისა ესვენა ნიგნზე,  
 იქ ნაიკითხა მან საკვირველზე  
 და ჯერ უნახავ ღვთისა ქალაქზე,  
 სადღაც შორეულს და უცხო მხარეს.  
 – მრწამს, უფალო, საქმენი შენნი,  
 მაგრამ ვერ ჩავსწვდი მე იმათ სიღრმეს. –  
 სთქვა ეს ბერმა... და უცებ ტყეში  
 ხმა გაისმა, ხმა საკვირველი  
 რაღაც ფრინველის... და თითქო ის ხმა  
 ციდან მოისმა და სამოთხეში  
 აჟღერდენ ჩანგებს.. შედგა ფელიქსი,  
 იქვე გაჩერდა... დაკეცა ნიგნი  
 და დიდხანს.. დიდხანს იდგა ისე ის,  
 დაფიქრებული... სანამ არ ნახა,  
 თითქო სიზმარში ღვთისა ქალაქი,  
 მყუდრო სავანე ანგელოზების.  
 და მოინდომა ბერმა ფელიქსმა  
 იმ საიდუმლო ფრინველის დაჭერა.  
 მაგრამ ფრინველი ასცილდა კორდებს,  
 თანდათან შორსა შლიდა თავის ფრთებს  
 და საკვირველი გალობისა წილ  
 მწირს ჩამოესმა მონასტრის ზარი,  
 შუადღისას რომ უხმობდა ბერებს.  
 და დაუბრუნდა იგი სავანეს,  
 მაგრამ რას ხედავს? – იცნო ადგილი,  
 ნაცნობი არის ირგვლივ კედლები.  
 კოშკიც ძველია და სენაკებიც,  
 მაგრამ ძმებში კი ნაცნობი სახე  
 ბევრი ეძება და ვერ ნახა კი.  
 ირგვლივ უცხონი, და უცხო ხმაზე  
 არღანიც მღერის ქებათა ქებას.  
 ბერების ბრბოში სდგას ფელიქსი  
 დაღონებული...

– ორმოცი წელი განვლევ აქ, ტყეში, –  
 სთქვა ერთმა ბერმა, – მაგრამ ამ დროში  
 მე შენი სახის არ ვარ მნახველი.  
 გაცივდა შიშით ბერი ფელიქსი,  
 მაგრამ მიუგო:  
 – პირველი ჟამი რა გავათავე,  
 მე სალოცავად ტყეში გავედი,  
 იმის გალობით დატყვევებული  
 დიდხანს მივსდევდი საკვირველ ფრინველს.  
 მაგრამ მომესმა შუადღის ზარი  
 და მონასტერში მყისვე დავბრუნდი.  
 ძილად ვიყავი... და ჟამები წუთად მეჩვენენ.  
 – არა წლები. – სთქვა ერთმა ბერმა,  
 ქვისა კედელთან რომელიც იჯდა,  
 ვინც საუკუნე ამ მონასტერში  
 ლოცვაში წმიდათ მთლად გაატარა  
 ღვთისა მოსაგება მის დიდებაში.  
 მას გაახსენდა ფელიქსისა ხმა,  
 შეხედა პირზე, წამოიძახა:  
 – ასი წლის წინეთ, მაშინ როდესაც  
 მე ისევ კიდევ მორჩილი ვიყავ,  
 მონასტრიდან დაიკარგა ბერი, ფელიქსი...  
 ეს ფელიქსია.  
 მონასტრიდან მოიტანეს მყისვე რვეული,  
 სად ღვთის წიაღში განსვენებულს ძმებსა რიცხავდენ  
 და იქ ეწერა: „ასი წლის წინად მონასტრიდან  
 გავიდა ბერი, და შემდეგ იგი აღარ მოსულა  
 და ამისათვის ბერი იგი მკვდრად ითვლება“.  
 მიხვდენ ყველანი საიდუმლო ღვთისა განგებას,  
 უცხო გალობით დატყვევებულ ბერს  
 თვით საუკუნე წუთად ეჩვენა...

[1912]

## სიმღერა ჰაიავატაზე

### შესავალი

თუ თქვენ იკითხავთ – საიდან არი  
ეს ლეგენდები და ეს ზღაპრები,  
რომელთაც ასდით ტყის სურნელება  
და ქალებისა ნამის სინედლე,  
ვაგვამებისა ცისფერი ბოლი,  
მდინარებისა და ნიაღვართა  
ასათ მომსკდარი ხმა და ხრიალი,  
როგორც ხათქუნი მთებში მეხისა,  
მე ასე გეტყვით და გიპასუხებთ:  
– უდაბნო ტყეთა და წალკოტისგან  
შუალამისა ქვეყნის ტბებიდან,  
ოჯიბუების არის ქვეყნიდან,  
ველურ დაკოტთა არის ქვეყნიდან  
ტუნდრების, მთების და ქაობების,  
სადაც გაუვალ ლაქაშის ტბორში  
დალოლავს ჟღალი ყანჩა შუხ-შუხ-გა.  
გავიმეორებ, რომ ეს ზღაპრები,  
ეს ძველისძველი გადმოცემანი,  
შენწყობილია ცხელ სიმღერებთან  
მესალამურე ნავადაგისა...  
თუ კიდევ მკითხავთ, სად გაიგონა  
და სად იპოვა ეს ნავადაგმა,  
მე ასე გეტყვით და გიპასუხებთ:  
– ტყეში მგალობელ ჩიტთა ბუდეში,  
რუებში, წავის ნათხარ სოროში,  
ველათ ბიზონის გზის ნაკვალევში,  
მთებში არწივთა დიდ ბუდეებში  
ეს სიმღერები ხშირად ისმოდენ  
წალკოტებში და ლაქაშნარაში  
და ჩრდილოეთის მწუხარ ტუნდრებში.  
მანგი... ველური ბატი  
ვავა და ჟღალი ყანჩა შუხ-შუხ-გა,  
დურაჯი... მუშკოდაზა.  
და თუ შემდეგაც კიდევ მკითხავდით,  
გვითხარ – ვინ არის ეს ნავადაგი,

გვიამბე რამე ამ ნავადაგზე,  
მაშინ იმ წამში გიპასუხებდით  
მე ამ კითხვაზე ასეთი სიტყვით:  
ტავაზენტასა წალკოტთა შორის,  
მწვანე ველების მდუმარებაში,  
ნიაღვარების სათავეებთან  
სცხოვრობდა თურმე ეს ნავადაგი.  
ამ ინდოელი სოფლის გარშემო  
გაიშლებოდენ ველათ ყანები,  
იდგა ენერი – ზაფხულში მწვანე  
და თეთრი ზამთრის სასტიკ ყინვებში  
სიმღერებითა და ოხვრით სავსე.  
ის მხიარული ნიაღვარები  
ჭალებში სჩანდენ ყოველ გაზაფხულს,  
როდესაც წყალი მოდიდებოდა,  
ზაფხულში ვერცხლის ვერცხლებში სჩანდენ,  
შემოდგომის დღეს – კიდეც ნისლებში  
და ცივ ზამთარში წყლის კალაპოტში.  
ახლოს ცხოვრობდა იქ ნავადაგი  
ტავაზენტესა წალკოტთა შორის,  
მწვანე ველების მდუმარებაში.  
ის იქ მღეროდა ჰაიავატზე,  
მე მიმღეროდა ჰაიავატზე,  
იმის უცნაურ დაბადებაზე  
და მის დიდებულ ცხოვრების გზაზე,  
თუ ჰაივატი როგორ იმარხვა,  
როგორ ილოცა და იმოღვაწა,  
რომ ბედნიერი ჰყოს მათი ხალხი  
და სიმართლითაც წარმართოს მარჯვეთ.  
და თქვენ, რომელთაც გიყვართ ბუნება,  
ტყეების მწუხრი, ფოთოლის ნაბვა  
და წალკოტებში მზის ბრწყინვალეობა,  
სეტყვა და თქეში, ცივი ქარბუქი  
და მდინარეთა რისხვით მოვარდნა.  
გადაბურდულა და უღრან ტყეში,  
და მთებში მეხის გახათქუნება,  
როგორც არწივის ფრთების შრიალი  
თქვენ მოგიტანეთ მე ეს საგები,  
ეს სიმღერები ჰაიავატზე.

თქვენ, ვისაც გიყვართ ეს ლეგენდები,  
გიყვართ ხალხური ეს ბალადები,  
წარსულთა დღეთა მოსაგონარი,  
რომელიც გვიხმობს და ჩაგვაფიქრებს.  
ბავშური ენით რომ მოსაუბრობს,  
რომელსაც ძლივს თუ გაარჩევს ყური,  
ეს სიმღერაა, თუა ზღაპარი,  
ველურ ქვეყნიდან მე მოგიტანეთ  
თქვენ ეს სიმღერა ჰაიავატზე.  
თქვენ, ვის წრფელსა და წმიდა გულში,  
შენახულია ადამიანში  
ღვთის ნაკერნკალის და ღმერთის რწმენა,  
თქვენ, ვისაც გახსოვთ, რომ უსიკვდილო  
ადამიანის გაშლილი გული,  
რომელმაც იცის ეჭვიც, ნალველიც  
და სიმართლისკენ მარადი ლტოლვა,  
გზას გაგვინათებს შავ ცხოვრებაში,  
წინ წაგვიფენს და გაგვამხნევეს,  
უხილავია თუმცა უფალი.  
ასე უბრალოთ მინდა გიმღეროთ  
მე თქვენ სიმღერა ჰაიავატაზე.  
თქვენ, ვინც ყოველთვის  
ჩამოკიდულა წალათ ღობეზე,  
რომელიც ხავსით არის ჭალარა  
და ჩაფიქრდებით ერთ წამით ასე  
სადღაც მიგდებულ...  
და წაიკითხავთ საფლავის ქვაზე  
უბრალო, მაგრამ სევდით აღსავსე  
უცდელი ხელის ნაკეთ წარწერას  
სიყვარულსა და წმიდა რწმენაზე.  
მამ, წაიკითხეთ, თქვენც ეს წარწერა,  
ეს სიმღერები ჰაიავატაზე...

## II. ზავის ყალიონი

დიდი ჭალისა დიდ მთაზე  
და მწერვალეებზე დიდი ქვებისა  
იდგა ამაყათ სიცოცხლის მეფე  
გიტჩი მანიტო, ყოვლათ ძლიერი

და წითელ ქვების მწერვალებიდან  
თავისკენ ეხმო ყოველი მოდგმა,  
ეხმო ყოველგან ყოველი ხალხი.  
მის ნაკვალევზე ჩამოდიოდა  
და ქათქათებდა დილის სისხამზე  
მდინარე უფსკრულს დაქანებული,  
იპკუდა კიდეც ცეცხლით ბრწყინავდა.  
აღალო ხელი სიცოცხლის მეფემ  
და დაუნერა მას ნალკოტებზე  
გზა სხივნათელი და ასე ბრძანა:  
„ამიერიდან შენი იყოს გზა“...  
ნაპრალეებიდან მან აიღო ქვა  
და გამოკვეთა ქვის ყალიონი  
და დაახატა მაზე სურათი.  
მდინარის პირას ჩიბუხისათვის  
მან ამოთხარა ლერწამის ლერი,  
გადაფუთნული მწვანე ფოთლებით  
და ყალიონი კანით გაიწყო,  
გაიწყო წითელ ტირიფის კანით  
და შეუბერა მეზობელ ტყესა.  
შებერვისაგან შეირხენ ტოტნი,  
ზედ გადაებენ მერეთ ერთმანეთს,  
ბღღერიალა ცეცხლის ალით აინთენ.  
მწერვალზე მდგარი სიცოცხლის მეფე  
ზავის ყალიონს მაგრათ აბოლებს,  
რჩევაზე უხმობს ყველა მოდგმის ხალხს.  
მზიანი დილის ოქროს ბრწყინვაზე  
ამოდის ბოლი სულ ნელა, ნელა,  
ჯერ შავია და წვრილ ზოლად მოდის,  
მერე კი უფრო შავათ აკვამლდა,  
გათეთრთა ველზე...  
როგორც ზამთარში მთის მწერვალები.  
წავიდა მაღლა, სულ მაღლა, მაღლა  
და ბოლოს ზეცის თაღებს შეეხო  
და ცის თაღებში ტალღათ გაშლილი  
ძირს დედამიწას გადმოედვარა...

[1912]

## ზინაიდა ჰიპიუს

### სიყვარული

არ იცნობს ტანჯვას სული მგზნებარე,  
გულში სიყვარულს მხოლოდ აქვს ბინა...  
მე თვით ვუპოვე ლტოლვათ სამარე,  
რომ საფლავიდან კვლავ აღმედგინა!..  
პირველათ იყო... ელოდეთ სიტყვას –  
და იგი ისევ გამოცხადდება...  
რაც ითქვა, კიდევ ის უნდა ითქვას,  
რაც მოხთა, ისევ გამეორდება...

ყველას მისწვდება ნათელი სხივი,  
როს განახლების ჟამი დადგება...  
მისკენ ივლტოდე, ვინც ბედს უჩივი –  
ყველა, ვინც სტირი, ვის გეცინება...  
იქ ვნახავთ, ვნახავთ ჩვენ სასწაულებს,  
იქ არ იქნება არვის გარჩევა...  
შეერთდებიან მიწა და ზეცა –  
და ორი ერთად გადაიქცევა!..

[1912]



## ნიკოლაუს ლენაუ

### ღამე

ჩუ! სიჩუმეა: ღამის ბინდში მარტო ვართ ჩვენა...  
და შენთან ყოფნას განა უდრის კიდევ სხვა ღხენა?!..  
ღამის ღუმელში ნელა მიწყდა ხმა სევდის მწარი –  
მწუხრის სალოცათ რომ გვინვევდა მონასტრის ზარი...  
მთის ყვავილებზე სძინავს ნიავს, ფრთა შეიკვეცა;  
მინა ისვენებს, მეტი ღხენით დადუმდა ზეცა...  
გეტყვი საყვარელს: ჩვენ მარტო ვართ ამ მყუდრო ღამეს.  
მეც ხომ შენი ვარ – ვინ გაგვიყოფს დღეს ჩვენ სიამეს?..

[1912]

სულის ძახილი

რისთვის მიდიხარ? დარჩი, ნუ ნახვალ,  
ტანჯვა სწყურია ჯერ კიდევ ჩემ სულს...  
რისთვის მიდიხარ?.. გადაგავიწყდა –  
რას პირდებოდი შენ ჩემ სიყვარულს?  
ალარ გიყვარვარ, მეც მივხვდი ამას,  
ვერ ველირსები ანი შენს ალერსს...  
ლხენით სხვა დროსაც არ მიმღერია,  
მაგრამ ან სევდა დამითალხავს ლექსს...  
შენ ალარ მისმენ, მემშვიდობები...  
რათ არის ცივი ასე შენი ხმა?  
ჯერ გაზაფხული არც კი მოსულა,  
ტრფობის ყვაველი კი უკვე გახმა...

ისევ შენთან ვარ... ნუ მკითხავ, რისთვის...  
რა გიპასუხო, ვიცი მე განა?..  
მხოლოდ იმას ვგრძნობ, რომ მე უშენოთ  
მევიწროება მთელი ქვეყანა...  
რა იქნა სული?.. მეც იმას ვეძებ...  
ის შენთან არის, ის შენ თან გაგყვა...  
როგორ მიყვარხარ, როგორ მიყვარდი,  
გამოსთქვამს ამას რომელი სიტყვა?  
ვიცი, რომ ჩემთვის შორეული ხარ,  
ვიცი – ვერ ვნახავ შენს ტუჩზე ლიმილს...  
სიამით დავლევ შენგან მოძღვნილ შხამს,  
ლხენით მივიღებ მე შენთვის სიკვდილს...

[1912]

\*\*\*

კიდევ მოვიდა კოცნის სურვილით,  
კიდევ მოვიდა ცოდვილ სიტიტვლით...  
უკანასკნელათ მკვდრისა მალეღვებს  
და ყვაველებით კუბოსა მივსებს...

ოხ! რა სიამით ირწნება კუბო,  
ბედნიერება გამიხეთქს მე გულს...  
მკვდარი ვუყვარვარ, მკვდარი ვუყვარვარ!..  
მინავ, რათ მართმევ ამ წრფელ სიყვარულს?..  
ჩუ, მედავითნე გალობს ფსალმუნებს...  
ჰაერს ლურჯ ფერსა გვრის საკმეველი...  
საყვარლის თვალზე ცრემლი ციმციმობს,  
საყვარლის სახეს ფარავს ნალველი...  
და სადაც არის – დაკრეფილ ხელებს  
მგზნებარე კოცნა ზედ დააკვდება...  
ნუ შეუშინდი, სულო, სიყვითლეს;  
კოცნით საფლავიც კი ადუღდება!..  
მომეპყარ მკერდსა, მომეალერსე –  
და საიდუმლოს განდობს სამარე...  
არას ვინაღვლი, იცინოს ხალხმა –  
და, საყვარელო, შენც იხარხარე...

[1912]

## მხატვრის დანყევლა

ცეცხლისთვის ტანჯვა არ რგებია მარტო ამირანს,  
ტანჯვით იყიდა ზენარისგან მხატვარმაც ცეცხლი,  
ორთავეს გული დავლად მისცა უფალმა ყორანს,  
ორთავეს ერთ ჯაჭვს უჭედავდა ჰერმესის გრდემლი.  
ჰკივის მხატვარი, როს განიცდის ხატებათ შობას,  
ყვირის მხატვარი, როცა იჭვის კორტნის ყორანი.  
არა აქვს კიდე, როგორც ცის თალს, მის მარტოობას  
და აცურდება შავი ნალვლის ტბაზე ბორანი.  
რა უყოთ მერე, ამირანმა რომ მას მოსტაცა  
და მხატვარს ცეცხლი თითონ მან მისცა –  
იცის უფალმა, რომ ცეცხლია ტანჯვისა ალი  
და უკვირს – ამას ვერ მიმხვდარა ჩვენში მრავალი.

[1913]

## პოლ ვერლენ

### კოჭლი სონეტი

ჰო, ჭეშმარიტად უსაზღვროა ჩემი ტკივილი,  
ან უბედური, შეიძლება, როგორც მე ვარ დღეს?  
ვკვდები, ვით მხეცი და არავის ესმის კივილი,  
მაყურებელთა შებრალება ვის გაახსენდეს!..

ბიბლიის ზვაგი, ჯოჯოხეთი, შავი ლონდონი,  
სულს ხუთავს ნისლი, ხმაურობა და გაზის კრთომა;  
ვებერთელანი შეკუმშულან ერთად სახლები,  
ჭირვეულ მოხუცთ, გეგონება, სენატორთ სხდომა!..

წარსული კივის, კნავის, მოსთქვამს, მორბის, მოფრინავს,  
ვარდის ფერ ნისლში და ტალახში, სადაც Sohos  
მეფობს თან მასთან: indeeds all ringhts hâos!

ოჰ, ჭეშმარიტად ყველაფერი მეტად მწვავეა,  
ძალა არა მაქვს, მოვითმინო ესდენ წამება...  
შავო ქალაქო! ცეცხლი ციდან როს წაგედება?..

[1914]

შარლ ბოდლერ

## ნიგნიდან „Les Fleurs du Mal“

### ალბატროსი

როცა მეზღვაურთ გრძელი დღისა ჰკლავთ კაეშანი,  
მინა არსად სჩანს, რომ დაუშვან ძირს იალქანი;  
მოუნდომებენ შემოკლებას რა უჟამურ დროს,  
მაშინ თანმფრინავს დაიჭერენ ხოლმე ალბატროსს.  
ამაყი მეფე რომ აპოზდა ერთხელ ზეცის თაღს,  
ახლა ბაქანზე განრთხულია და ძლივს სულს ითქვამს;  
თოვლიან ფრთებით რომ ებრძოდა უნინ ქარიშხალს,  
ძლივს ანძრევს ახლა და მიათრევს, როგორც ორ ნიჩაბს...  
გრიგალზე მალი, რა საბრალოდ წამოიკოჭლებს,  
ლაჟვარდის მეფედ ვილაც იცნობს ახლა უბედურს!..  
ის, რომ აჯავრებს, თამბაქოს კვამლს პირში აბოლებს,  
ეს ხალხს აცინებს, რა მიბაძავს იმის სიარულს.

აი, მგოსანო! შენი სახე და შენი ბედი,  
შენც ღრუბლებს ელტვი, შენი ძმია თანავარსკვლედი,  
ძირს ქვეყანაზე ველარ გაშლი გოლიათის ფრთებს,  
ბრიყვი ბრბო გისტვენს, ვერ გაგიგებს და შეგაჩერებს...

[1916]

## ბასი

ჩემო კარგო, შენ ხომ ცა ხარ მტრედის ფერად რომ ბრჭყვიალებს,  
ჩემ გულში კი კაემანის იალქანი დაფრიალებს.  
და მომსკდარი სევდის ზვირთი მწუხარებით მიმქრალ ტუჩებს,  
ნაღვლით ისე დაჰქათათებს, როგორც ნისლი თოვლიან მთებს.  
ტყულად არ გრძნობს დაღლილობას ჩემს უბეში შენი ხელი,  
რა ხანია, გული მოკვდა... დაიფერფლა გრძნობა მწველი.  
ვერ გაუძლო საცოდავმა ბასრ, უწყალო ქალის კბილებს,  
შენი ხელიც ვეღარ ნახავს, თავს ტყუილად გაინზილებს.  
ჩემი გული – ნანგრევია – ერთხელ ზვიად სასახლესი,  
იქ თუ მოჰკვლენ, სულ მოჰკლავენ, შებრალების არ აქვთ წესი.  
შენ კი გელის ლხენათ წყება ერთმანეთზე უამესი.  
გულთ გრიგალო, სილამაზე, აბა, თავს ვინ შეგაბრალებს,  
მალე დანვას ევედრება შენ შეხედვის ცეცხლის ალებს,  
ის, რაც გულში გადაურჩა, შენ სამსხვერპლოდ მხეცის ბრჭალებს...

[1916]

**Maria da Spolento**

ნარნარი არი შენი ტანი – საყდრის სანთელი,  
გვხიბლავს შეხედვა, შეხედვა, ვით მახვილი მჭრელი;  
შენთან შეხვედრას სული ჩემი არ ელოდება,  
მხოლოდ, როგორც ბერს, კოცონს ასვლის მომეცი ნება...  
ბედნიერებას მე არ ვითხოვ, არ ვითხოვ ტრფობას,  
უხემ ალერსით გაგიბედავ შეურაცხყოფას!..  
როგორც მხატვარი, ვიჭვრიტები გალავნის გარე,  
სად სურნელოვან ყვავილებს ჰკრებ და შეგიყვარე...  
ახლოს მიდიხარ, ქარიშხალი შორს გეტანება,  
მზისგან დამწვარო, ო, მარიამ, მომეცი ნება,  
რომ ქერუბიმი შენ თავს ზევით თვალებმა ნახოს,  
უტკბესს ტკივილმა ნეტარებით გული გააღხოს,  
ვით ძვირფასს აღმასს იდუმალსა ლექსებს ჩავაბნევ  
ჩემ საღმერთებელ, მოელვარე შენ ხუჭუჭ თმაში.  
და უიმედოთ შეყვარებულ სულსაც ჩავაგდებ  
ბრწყინვალე თვალთა შავად ღელვილ უძირო ჭაში.

[1916]

**მისტერია-ბუქი**

**საგმირო, ეპიური და სატირიული გამოხატვა ჩვენი ეპოქის**

**მეორე რედაქცია, მესამე გამოცემისთვის**

„მისტერია-ბუქი“ – გზაა. გზაა რევოლიუციის. სისწორით ვერა-ვინ ვერ იწინასწარმეტყველებს, რამდენი მთა კიდევ უნდა ავაფეთქოთ ჩვენ – ვინც მივდივართ ამ გზით. დღეს ყურს ღრღნის სიტყვა „ლოიდ ჯორჯი“ და ხვალ კი მის სახელს დაივიწყებენ თვითონ ინგლისელები. დღეს კომუნისკენ მიიღტვის მილიონი ადამიანების ნება, და შეიძლება ნახევარი საუკუნის შემდეგ შორეულ პლანეტებზე იერიშით გადავიდენ კომუნის დრედნოუტები. ამიტომ დავტოვე რა გზა (ფორმა), მე კიდევ შევცვალე პეიზაჟი (შინაარსი), მომავალში ყველამ, ვინც ითამაშებთ, ნაიკითხავთ, დაბეჭდავთ „მისტერია-ბუქი“-ს – გამოცვალეთ მისი შინაარსი და გააკეთეთ ის თანამედროვეთ, ახლანდლათ, ამწამისად.

*ვ. მაიაკოვსკი*

**მოქმედობენ:**

1. შვიდი წყვილი წმიდა: 1. აბესინიის ნეგუსი, 2. ინდოელი რაჯი, 3. ოსმალეთის ფაშა, 4. რუსეთის სპეკულიანტი, 5. ჩინელი, 6. ჩასუქებული სპარსელი, 7. კლემანსო, 8. გერმანელი, 9. მღვდელი, 10. ავსტრალიელი, 11. ავსტრალიელის ცოლი, 12. ლოიდ ჯორჯი, 13. ამერიკანელი და 14. დიპლომატი.

2. შვიდი წყვილი უწმიდურია: 1. წითელი არმიელი, 2. მეთორნე, 3. შოფერი, 4. შახტერი, 5. დურგალი, 6. მოჯამაგირე, 7. მოსამსახურე, 8. მჭედელი, 9. მებულკე, 10. მრეცხავი, 11. მკერვალი, 12. მემანქანე, 13. ესკიმოსი – მეთევზე, 14. ესკიმოსი – მონადირე.

3. შემთახმებელი.

4. ინტელიგენცია.

5. ქალი კარტონკებით.

6. ჭინკები: 1. ბელზებელი, 2. ობერჭინკა, 3. შიკრიკი, 4. მეორე შიკრიკი, 5. მოდარაჯე, 6. 20 წმიდანი რქებით და კუდებით.

7. წმიდანები: 1. მათუსალა, 2. ჟან-ჟაკ რუსსო, 3. ლევ ტოლსტოი, 4. გაბრიელი, 5. ანგელოსი, 6. მეორე ანგელოსი და 7. ანგელოსები.

8. საბაოქი.

9. მომქმედნი ალთქმის ქვეყანაში: 1. ჩაქუჩი, 2. ნამგალი, 3. მანქანები, 4. მატარებლები, 5. ატომობილები, 6. რუბანოკ, 7. მარწუხი, 8. ნემსი,



9. ხერხი, 10. პური, 11. მარილი, 12. შაქარი, 13. მატერია, 14. ჩექმა და  
15. დაზგა.

10. მომავალის ადამიანი.

### **მოქმედების ადგილები:**

1. მთელი მსოფლიო, 2. კიდობანი, 3. ჯოჯოხეთი, 4. სამოთხე, 5. ქვე-  
ყანა ნამსხვრევების, 6. ალთქმული ქვეყანა.

### **პროლოგი**

#### **უნმიდური**

ერთი წამის შემდეგ –  
ჩვენ თქვენ გაჩვენებთ  
მისტერია-ბუფფს.

მინდა, ვსთქვა ორი სიტყვა მე:

ეს

ახალი სანახავია.

თავზე მალლა რომ ახტე,

უნდა ვინმე მოგეხმაროს.

ახალ პიესის წინ

საჭიროა პროლოგი.

პირველად

ვინ გაშალა მთელი თეატრი?

ზრდილობიან ხალხს

ეს ამბავი ძლიერ აღელვებს.

თქვენ რისთვის დადიხართ სპექტაკლზე?

იმიტომ რომ სიამოვნება მიიღოთ,

არა?..

მაგრამ რა არის უყურო სიხარულს,

თუ სიხარული მარტო სცენაზეა.

სცენა კი

სულ ერთი მესამედია,

მაშ,

საინტერესო წარმოდგენაში

თუ ყველაფერს შეავსებ,

მაშინ სიამოვნება სამჯერ გაიზრდება.

და თუ წარმოდგენა

არა საინტერესოა,

მაშინ არცკი ღირს ყურება.

ერთ მესამედზედაც.  
სხვა თეატრებისათვის  
წარმოდგენა დიდი არაფერია.  
მათთვის  
სცენა  
გახვერტილი ჭუჭრუტანაა.  
იჯექი წყნარა.  
სწორედ და არა ალმაცრად.  
და სხვის ცხოვრების უყურე ნაჭერს,  
ხედავ და უყურებ  
დივანზე განრთხმულან  
ძალო მანიები,  
და ძია ვანიები.  
ჩვენ კი არ გვაინტერესებს  
არც ძალოები და არც ძიები.  
ძალოებს და ძიებს სახლში ბევრს ნახავთ.  
ჩვენც ვანახებთ ნამდვილ ცხოვრებას,  
მაგრამ ის  
უჩვეულო სანახავად აქცია თეატრმა.  
პირველი სცენის შინაარსი ამნაირია:  
მინას გასდის:  
შემდეგ წარღვნაა.  
ყველანი გაურბიან რევოლიუციის წარღვნას:  
შვიდი წყვილი უწმინდურების  
და წმიდებისაც კვლავ შვიდი წყვილი.  
ესე იგი  
თოთხმეტი ლატაკი-პროლეტარი  
და თოთხმეტივე ბურჟუა-ბატონნი,  
და იმათ შორის  
ორი ცრემლით დამწვარ ლოყით  
პატარა მენშევიკი.  
პოლიუსი წამოვარდება,  
უკანასკნელი სადგურიც იმსხვრევა.  
და ყველანი ერთად აშენებენ  
არა კიდობანს,  
არამედ კიდობანს გოლიათს.  
მეორე მოქმედებაში  
კიდობანში მისცურავს საზოგადოება.

იქ თვითმპყრობლობაც არი  
 და დემოკრატიული რესპუბლიკაც  
 და ბოლოს  
 გემის კარბაზე  
 მენშევიკების ვაი-ვიშიში.  
 წმინდა ხალხი გადაყარეს თავდაყირა.  
 მესამე მოქმედებაში ნაჩვენებია:  
 რომ მუშებს  
 არაფრის არ უნდა ეშინოდეთ,  
 თუნდა ჭინკებისაც შუა ჯოჯოხეთში.  
 მეოთხეში –  
 იცინეთ მარად –  
 ნაჩვენებია სამოთხის წალკოტი.  
 მეხუთე მოქმედებაში – ცხოვრების დანგრევას  
 გაუღია უზარმაზარი პირი  
 და ყველაფერს სპობს და ყლაპავს.  
 თუმცა ვიმუშავებთ მშვიდ მუცლებზე,  
 მაგრამ ჩვენ მაინც  
 დავსძლიეთ დანგრევა.  
 მეექვსე მოქმედება –  
 ეს არის კომუნა.  
 მთელი დარბაზო,  
 იმღერეთ, რაც ხმა გაქვთ,  
 ყველა თვალებით უცქირეთ.  
 ყველაფერი მზად არი?  
 სამოთხეც?  
 ჯოჯოხეთიც?  
 (სცენის იქედან)  
 მზადადარი.  
 მაშ, გაუშვით!..

### **მოქმედება პირველი**

ჩრდილოეთის განათების ალზე ქვეყნის ბურთი ებჯინება პოლი-  
 უსით იატაკს. მთელ ბურთზე კიბეებით გაჯვარედინებულან ჯამბაზის  
 სინები სიგრძის და სიბრტყის ორ მორყის შორის, ქვეყანას რომ მოს-  
 ნოლიან. გამოჩნდება ესკიმოსი-მონადირე, თითი დედამინაზე ჩაურჭვია  
 და უყვირის მეორეს, რომელიც კოცონთან განოლილია.

**ესკიმოსი მონადირე:**

ეი, ეი!

ეი, ეი!

მეთევზევ, რას იჭექები,

საქმე არ გაქვს განა მეტი,

რომ თითით მიწას ჩასჭიდებინარ?!

**მონადირე:**

ჭუჭრუტანა!

**მეთევზე:**

სად არის ჭუჭრუტანა?

**მონადირე:**

გასდის!

**მეთევზე:**

რა გასდის?

**მონადირე:**

დედამინა!

**მეთევზე:**

ნამოვარდება და ჩახედავს თითით დაცობილს.

ო, ო, ო,

უნმიდურთა საქმეა,

ეშმაკი, ეშმაკი,

წავალ, შევატყობინებ პოლიარულ წრეს.

(მირბის. მას დაღმართთან თავს წამოადგება ზელამოწრილი ნემე-  
ცი. ერთი წამით ეძებს ფოლაქს და როცა ვერ ნახულობს, წამოეკიდება  
შუბას ბენვს).

**ნემეცი:**

ჰერ ესკიმოს!

ჰერ ესკიმოს!..

ძალიან საჩქაროა!

ორი წამით...

**მეთევზე:**

რაა!

**ნემეცი:**

დიახ, დღეს ვზივარ ჩემთვის რესტორანში

ფრიდრიხ შტრასსეზე.

ფანჯარაში მზე

თავისკენ მიწევს.

დღე,

როგორც ბურჟუა რევოლიუციამდე, ნათელია.

ხალხი სხედან  
და ჩუმათ შეიდემანობენ.  
წვენი შევსჭამე,  
ვხედავ, მე ბოთლების ეიფელზე ვარ.  
ვფიქრობ,  
რომელს ბეფს უნდა მიუდგე  
და საჭიროა კი ბეფზე მიდგომა.  
ვხედავ,  
და ყელზე დამადგა სადილი.  
ეს რა დამართია „გამარჯვებათა ხეივნებს“?!  
ქვემბიოს გოგენცოლერნები  
გვირილებში აყუდებულნი  
უცებ გაფრინდენ ზევით.  
ისმის ზანზარი.  
გავარდი სახურავზე,  
ტრაქტირის კარებში ჩაბნეული  
უნყალო მოვარდნა  
მირბის  
და კვარტალებს თითქო მიამსხვრევს.  
ბერლინი, ბოდვა მღელვარე ზღვის  
უნახავ ტალღათა ბასის ნოტები,  
და მას ზევით  
და მას ქვევით  
და მის წინ  
სახლები დრედნოუტები.  
და სანამ გონებით მოვისაზრებდი,  
ფოშიდან არის ყველაფერი ეს...

**მეთევზე:**

ჩქარა!..

**ნემეცი:**

მე დავსველდი მართლა ძაფებამდე,  
ვხედავ,  
ყველაფერი მშრალია,  
მაგრამ მისდის, მისდის და ასხამს  
და უცებ  
პომპეას დალუპვის გაჩდა სურათი.  
ძირიანად  
ამოითხარა ბერლინი  
და ჩაიხრჩო შავ უფსკრულში.

როგორც შანთიან ბრძმედში.

მე გამოვფხიზლდი წალეკილ სოფელთა ქოჩორზე.

მე მოვიმარჯვე მთელი იახტკლუბის გამოცდილება.

(ბუზლუნით აქნევს ხელს კოცონისკენ და მიდის მეორე მხარეს, რომ წინ დაასწროს წრეს და ჩაეჩეხება მეორე ფერდობიდან გამოქცეულ დასველებულ ავსტრალიელებს).

და აი,

თვალ წინ ეხლა –

ყველაფერი, ჩემო ძვირფასო,

რაც დარჩა კიდევ ევროპიდან.

**მეთევზე:**

ძალიან ცოტაა.

**ნემეცი:**

დანყნარდება, რასაკვირველია –

ერთი ორი დღით.

**მეთევზე:**

დე სთქვი რაღა სიტყვა არა ევროპიული.

რა გინდა შენ? აქ შენთვის ვინ მოიცლის!..

**ნემეცი** (აჩვენებს ჰორიზონტალურად):

მომეცით ნება, დავრჩე თქვენ პატივცემულ მორჩების შორის.

(წასვლისთვის გამზადებული ესკიმოსი შეჩერდება და გაყურებს სმენით ორ ხმას, რომელნიც ისმიან დედამიწის ორ მხარესგან).

**მეთევზე** (გაკვირვებული უკან იხევს):

ამაზე უფრო საზიზღარი მე სახე არ მინახავს?..

**ავსტრალიელი ცოლით** (ერთად):

ჩვენ ვართ – ავსტრალიელები.

**ავსტრალიელი:**

ჩვენ ყველაფერი გვექონდა,

როგორც, მაგალითად,

იხვცხვირა, პალმა და კაკტუსი.

**ავსტრალიელი ქალი** (მოზღვავებული გრძნობით, ატირებული):

ეხლა კი,

დავიღუპეთ ჩვენ,

ყველაფერი დაიღუპა.

კაკტუსები,

იხვცხვირები

და პალმები,

ყველაფერი წაილეკა,

ყველაფერი უფსკრულშია.

**მეთევზე** (აჩვენებს წამოწოლილ ნემეცზე):

აი, მიდით აგერ ამასთან,  
თორემ ისინი მარტო არიან!

(ჩამოხტება დედამინის ბურთიდან ინგლისელი და ფრანგი და ორივე ცალცალკე არჩობენ ნაციონალურ დროშას).

**პირველი ხმა:**

კოტელოკ, აუ!

**მეორე:**

ცილინდრო, ეუ, ეუ!

**პირველი:**

მაგრდება.

დაიჭით ჩრდილოეთის სივრცე.

**ინგლისელი:**

დროშა დარჭობილია,

სრული ვარ მებატრონე თოვლის წიაღში.

**ფრანგი:**

არა, უკაცრავად

მე ადრე დავარჯევე,

ეს ჩემი კალონიაა.

**ინგლისელი** (ანყოფს რაღაც საქონელს):

არა, ჩემია.

მე უკვე ვვაჭრობ.

**ფრანგი** (გული მოსდის):

არა, ჩემია.

თქვენ თქვენთვის სხვაგან ეძიეთ.

**ინგლისელი** (გარისხებული):

ახ, მაშ, ასე,

ნადი, დაილუპე.

**ფრანგი** (განრისხებული):

ახ, მაშ, ასე,

დაგიჯენ ცხვირზე შენ კუკუს.

**ინგლისელი** (მიდის მუშტ-მოღერებული ფრანგზე):

ანგლია, გიპ, გიპ.

**ფრანგი** (მიდის მუშტ-მოღერებული ინგლისელზე):

ვივ ლა ფრანს!

**ავსტრალიელი** (მივარდება გასაშველებლად):

აი და ხალხი,

ხალხი კი არა, რაღაც ხროვაა

უკვე არც იმპერიებია,  
არც იმპერიალები  
და ესენი ერთმანეთს სახეში ურტყამენ.

**მეთევზე:**

ახ, თქვენ იმპერიალისტები!

**ნემეცი:**

დაანებეთ თავი. მართლა რა ოხრობაა.

**მეთევზე:**

მართლა რა ხროვაა.

(პირდაპირ ხელმეორედ გამზადებულს ესკიმოს თავზე დააჯდება ჩვენი ვაჭარი).

**რუსი ვაჭარი:**

პატივცემულო,

ეს უმსგავსობაა,

ვარ მე განა მართლა აზია?

„აზიის მოსპობა“ დადგენილებაა საბჭოთა სექციის და მე კი მთელ სიცოცხლეს არ ვყოფილვარ აზიატი.

(ცოტა დანყნარდება).

გუშინ ტულაში

ვზივარ არხეინად ჩემს მაგარ სკამზე,

უცებ კარები გადატრიალდა,

ვიფიქრე, ვაი,

მოვიდა ჩეკა.

თქვენ ალბად გაიგებთ,

ლოყები გამიფითრდა.

თურმე ნუ იტყვი, ჩეკა კი არა, ქარი ყოფილა.

ცოტა დაიჟინყულა.

შემდეგ წამოუშვა,

შემდეგში უფრო,

ქურებში გადმოსკდა,

სახურავს აუნია.

**ყველანი:**

ჩუმად!

**ფრანგი:**

გესმით?

გესმის მოვარდნა?

ბევრი მოახლოვებულია ხმები,

წარღვნა, წარღვნით, წარღვნას, წარღვნაზე, წარღვნა.



**ინგლისელი** (საშინელების ქვეშ):

ო, ღმერთო!

ისე ჩამოდის როგორც სახლის ღარს,  
აღმოსავლეთის საკითხს უღებს კარს.

(წინ ნეგუსი, მის შემდეგ ჩინელი, სპარსელი, თათარი, რაჯა, მღვდელი და შემთანხმებელი. ამ ხალხს კიდევ ათავებს ყოველ მხრიდან შემობნეული ყველა შვიდი წყვილი უწმიდურთა).

**ნეგუსი:**

თუმცა აქ თოვლზე უფრო შავია,  
მაგრამ არაფერია, არა უშავს რა.  
მე გახლავართ აბისინიის ნეგუსი,  
ჩემი სალამი და ნუგეში.

მე დავტოვე ეხლა ჩემი აფრიკა,  
იკლაკნებოდა მასში ნილოს – მდინარე გველი,  
ისე გააფთრდა ნილოსი უცებ,  
რომ გადარეკა ჩემი აფრიკა.

თუმცა არა მაქვს მე ეხლა მამული,  
მაგრამ მე მაინც ვარ დამალული.

**მეთევზე** (ბუზღუნით):

მაგრამ მაინც

ჩემი სალამიც

გვესმის, გავიგეთ!

**ნეგუსი:**

გთხოვთ, იყოთ ზრდილობიანი  
თქვენ გელაპარაკებათ ნეგუსი.  
და ნეგუსს უნდა ჭამოს.  
რა არს ეს?

აღბად გემრიელი პატარა ძაღლია.

**მეთევზე:**

ძაღლი კი არა, ის არ გინდა,  
ეს მორჟია და არა ძაღლი.

(ნეგუსი შეცდომით აპირობს დააჯდეს მორჟს, რომელიც ორ წყალის წვეთივით აგავს ლოიდ ჯორჯს).

**მეთევზე:**

მოდი, დასხედი, ნურავის დასვრი.

**ინგლისელი** (შეშინებული):

ეს მე არ ვარ მორჟი,

ეს თვითონ მორჟია,

მე არ ვარ მორჩი –

ვარ ლოიდ ჯორჯი.

**მეთევზე** (მიუბრუნდება სხვებს):

თქვენ რა გინდათ?

**ჩინელი:**

არაფერი,

არაფერი,

დაილუბა ჩემი ჩინეთი!..

**სპარსელი:**

სპარსეთი,

ჩემი სპარსეთი ფსკრისკენ წავიდა.

**რაჯა:**

თვით ინდოეთიც,

ცას მიბჯენილი ინდოეთიც და ისიც მიდის.

**ფაშა:**

ოსმალეთიდანაც მხოლოდ ერთი დარჩა ხსენება.

(წმინდა წყვილებიდან გამოდის ქალი, აურიცხველ კარტონებით).

**ქალი:**

ფრთხილათ!

არ დახიოთ!

აბრეშუმი მეტად ნაზია!

(მეთევზეს):

ყაზახო,

მომეხმარე დავდგა კარტონკები.

(ხმა წმიდათა ხროვიდან):

რა ლამაზია,

რა პიკანტური...

**მეთევზე:**

მუქთახორა,

უსაქმური.

**ფრანგი:**

თქვენი ნაცია?

**ქალი:**

ჩემი ნაცია ძალიან სხვანაირია.

წინად ვიყავი რუსი,

შემდეგ რუსეთი მევიწროვა,

ეს ბოლშევიკები – საშინელებაა,

მე ვარ ქალი ფაფუკი,

უნაზესს სულით.

და შევიქენი ასე ესტონკა.  
 ბოლშევიკები მოაწვეს განაპირებს  
 და მე შევიქენი უკრაინელი.  
 აიღეს ხარკოვი, სულ ათჯერ მაინც  
 და მე რალაც რესპუბლიკაში მოვხვდი ადესაში.  
 ადესაც აიღეს, ვრანგელი ყირიმშია,  
 მე ავიღე და დავემორჩილე,  
 დასდევდენ თეთრებს ზღვაზე, მიდვრებზე.  
 მე ვარ ოსმალო!  
 ვსეირნობ სტამბოლში,  
 ბოლშევიკები გვიახლოვდებიან  
 და მე ვარ პარიზელი,  
 ვსეირნობ პარიზში.  
 ორმოცი მაინც გამოვიცვალე ნაცია  
 და ეხლა მივდივრ კამჩატკაზე.  
 რა საშინელი ზაფხულია მაინც პოლუსებზე:  
 ვერ უჩვენებ ვერც ერთ ტუალეტს!  
**მეთევზე** (უყვირის წმინდა წყვილებს):  
 ჩუმად,  
 ჩუმად,  
 რა ყვირილია?  
**შემთანხმებელი** (ისტერიკა მოსდის, დაშორდება ხალხს):  
 გესმით,  
 მე არ შემიძლია,  
 გესმით?  
 რა არის ყველაფერი ეს?  
 მაშვრალი ადგილი არ არის მიწაზე,  
 გესმით?  
 დამტოვეთ ჩემთვის,  
 გამიშვით სახლში,  
 კაბინეტში,  
 გესმით?  
 მე არ შემიძლია.  
 მე მეგონა, წარღვნა კაუცკის ანგარიშით იქნებოდა.  
 მგლები მაძღრები,  
 ცხვრები მთელები.  
 ეხლა კი –  
 ერთმანეთს კლავენ ადამიანები,  
 კარგო წითლებო,

კარგო თეთრებო,  
გესმით,  
მე არ შემიძლია!..

**ფრანგი:**

ნუ ისრესთ თვალებს  
და წარბებს ნუ კვნეტთ,  
თქვენ რა ნაციების ხართ?  
(მიუახლოვდება არა წმიდათა კოცონს და გამომწვევით ტონით).

**არა წმიდები** (ერთად):

ქვეყნის შარაზე ტანტალს  
მიჩვეულა ჩვენი მოხეტიალე ერობა,  
ჩვენ არც ერთ ნაციის არ ვართ –  
ჩვენივე შრომაა – ჩვენი სამშობლო.

**ფრანგი:**

ძველი არიებია?

**შეშინებული ხმები წმიდათა:**

ეს პროლეტარებია,  
პროლეტარები...  
პროლეტარები...

**მჭედელი** (ხელს ურტყამს კარგა მოზრდილ მუცელზე):

წარღვნის ხმაურობას ვერ გრძნობ ყურებში?

**მრეცხავი ქალი** (მასვე დაცინვით და ტატანით):

შენ დანვებოდი ლოგინზე და დაგეძინებოდა,  
შენ უნდა გაგიშვათ თხრილებში და მალაროებში.

**წითელი არმიელი** (მრისხანედ):

წადი თხრილებში – თხრილები უფრო სველია.

(ხედავს რა „კონფლიქტის“ დაწყებას წმიდათა და უწმიდურთა შორის, შუაში ჩავარდება და აზავებს შემთახმებელი).

**შემთახმებელი:**

კარგი, არ უნდა, ნუ ილანძლებით!  
დაანებეთ თავი ერთმანეთის კბენას.  
გაუწოდეთ ხელი,  
აკოცეთ ერთმანეთს,  
ბატონებო, ამხანაგებო,  
უნდა შეთანხმდეთ.

**ფრანგი** (ბოროტათ):

მე დავეთანხმო,  
არა, ეს შეუძლებელია!

**მეთევზე** (გაბოროტებული მეთევზე და ფრანგიც შემთახმებელს უზელენ კისერს):

ახ, შე, შემთახმებლო,  
ახ, შე პანია შემთახმებლო!

**შემთახმებელი** (მორბის გალახული):

აი, კიდევ,  
აი, ეხლაც,  
მე მათ კარგს ურჩევ  
და ის კი...

ასეა ყოველთვის,  
ეძახი – შეთანხმდნენ,  
და ორივე მხრივ კიდევ შენ გცემენ.

(უწმიდურები გამოდიან, გაყოფენ წმიდათ ჯგუფს და დაუსხდებიან კოცონს, წმიდა წყვილები უკან შემოაკრავენ წრეს).

**ფაშა** (გამოძვრება შუაში):

მართლმორწმუნენო,  
უნდა გავარჩიოთ, ეს რა მოხდა.

**ვაჭარი:**

საქმე უბრალოა –  
ნათელის წარმოდგენა.

**ღვდელი:**

მე ბაი მგონია, ნამდვილი წარღვნაა.

**ფრანგი:**

წარღვნა კი არა,  
წვიმა იქნებოდა?

**რაჯა:**

და,  
მართლაც წვიმა არ ყოფილა.

**დიპლომატი:**

მაშინ იდეა უთუოთ ველურია.

**ფაშა:**

მაგრამ მაინც  
რა მოხდა, მართლმორწმუნენო?  
მოდის, შევხედოთ თვითონ ძირში.

**ვაჭარი:**

ხალხი, ჩემი ფიქრით, გახდა ურჩი.

**ნემეცი:**

მე კი მგონია, რომ ომია?

**ინტელიგენცია:**

არა,  
ჩემი აზრით, მიზეზი სხვაა.  
უთუოდ მეტაფიზიური.

**ვაჭარი** (უკმაყოფილოთ):

ომი – მეტაფიზიკაა,  
დაიწყო ადამიდან.

**ხმები:**

რიგით!  
რიგით!  
ნუ შექმნით სოდომს.

**ფაშა:**

ტს,  
მოდით, მოყევით ყველამ თანდათან.

სიტყვა ეკუთნის „სტუდენტს“ (თავს იმართლებს ბრბოსგან, თორემ პირზე დუფი მოადგა).

**ინტელიგენტი:**

პირველად  
ყველაფერი უბრალო იყო.  
დღემ შესცვალა ღამე  
და მხოლოდ  
რიჟრაჟი იყო სისხლიანი.  
შემდეგ  
კანონები,  
მცნებანი,  
რწმენანი,  
გრანიტის სატახტოები  
და თვით ან მზის გაჩერებული სინათლე,  
ყველაფერი თითქო დაინძრა  
და გაფორთხდა.  
ცოტათ შეთხელდა.  
შემდეგ წამოასხა.  
ქუჩები მოირწყენ,  
სახლი გადნობილი სახლზე ვარდება,  
მთელი ქვეყანა  
რევოლიუციის ფერში გადაიდნო  
და წამოვარდა, როგორც ნიაღვარი.

**ჩინელის ხმა:**

ბატონებო! ყურადღება!  
აქ დაიწყო კიდეც ჟინჟულა.

**ავსტრალიელის ცოლი:**

ძალიან ჟინჟულა!  
ჟინღლავს კი არა,  
გოჭივით გაგვწუნა.

**სპარსელი:**

შეიძლება, ქვეყნის აღსასრულია,  
ჩვენ კი ვმიტინგობთ,  
ვყვირით და ვჭიხვინობთ...

**დიპლომატი (ეკვრება პოლიუსს):**

მოდით ყველა აქ,  
მწყობრად,  
აქ არ დაგვასველებს.

**ვაჭარი (მუხლს აჭერს ესკიმოსს, რომელიც დანოლია ჭუჭრუტა-  
ნას ამ ხალხის ჩვეულ მოთმინებით):**

ეი, შენ,  
წადი მორჟთან.

**მონადირე** (ესკიმოსი გადავარდა და ჭუჭრუტანიდან ამოვარდნილმა  
წყალმა დაასველა ყველა იქ მყოფი. როდესაც მარაოდ გაიშალენ წმიდა  
წყვილები, მორთეს ბლავილი):

ი, ი, ი,  
უ, უ, უ,  
ა, ა, ა.  
ჩაჭედეთ,  
ჩაჭედეთ,  
ამოუცავით!

(უკან გადმოვარდენ. მხოლოდ ავსტრალიელი დარჩა დედამიწის  
ბურთთან თითოთი ჭუჭრუტანაში. საერთო არევაში შეშის ორ ნაჭერზე  
დადგა ღვდელი).

**ღვდელი:**

ძმანო,  
გამოგვეცალა უკანასკნელი მეტრი,  
უკანასკნელი დიუმი დაფარა წყალმა.

**ხმა უწმიდურ წყვილების (ჩუმად):**

ვინ არის ეს?  
ეს შკაფი წვერებიანი?

**ღვდელი:**

ასე იქნება ორმოცი ღამე და ორმოცი ღღე.

**ვაჭარი:**

მართალია.

ღმერთმა ასწავლა ჭკუა ამას.

**ინტელიგენცია:**

ისტორიაში იყო ასეთი პრეცედენტი,  
გახსოვთ, ნოეს ერთხელ რომ დაემართა.

**ვაჭარი (იჭერს ღვდელის ადგილს):**

ეს სისულელეა,

ისტორიაც, პრეცედენტიც და სხვა ამგვარი.

**ხმები:**

ახლო საქმესთან.

**ვაჭარი:**

მოდით, ძმებო, ავაშენოთ კილობანი.

**ინტელიგენცია:**

რახან ასეა, სჯობს,

ისევ გემი ავაშენოთ.

**რაჯა:**

ორი გემი.

**ვაჭარი:**

მართალია.

მთელ კაპიტალს მე დავდებ,

ისინი გადარჩენ, ჩვენ რა, ნაკლები ვართ?

**საერთო ხრიალი:**

გაუმარჯოს,

გაუმარჯოს ტეხნიკას.

**ვაჭარი:**

ასწიეთ ხელი,

ვინ არის მომხრე.

**საერთო ხრიალი:**

რათ უნდა ხელი,

თვალითაც ეტყობა.

(წმინდა და უწმიდური წყვილები სწევენ ხელს).

**ფრანგი** (იჭერს ვაჭრის ადგილს, ავი თვალით შეხედავს მჭედელს, რომელიც სწევს ხელს):

შენც იქ მოდიხარ?

შენ იქ რა გინდა?



ბატონებო,  
ნუ წავიყვანთ თან უწმიდურებს,  
მაშინ გაიგებენ ჩვენ გინებას.

**ხმა ღურგალის:**

შენ შეგიძლია ხერხვა და შალაშინი?

**ფრანგი** (შეფიქრდება):

მე გადავიფიქრე,  
წავიყვანოთ უწმინდურებიც.

**ვაჭარი:**

მხოლოდ ავარჩიოთ, ვინც არა სვამს და მხარბუქიანია.

**ნემეცი** (შევარდება ფრანგის მაგიერ მის ადგილზე):

ჩუ, ბატონებო,  
შეიძლება, არ დაგვჭირდეს შერიგება უწმიდურებთან.  
საბედნიეროთ,  
ჩვენ არ ვიცით, ქვეყნის მეხუთე ნაწილზე რა ხდება?  
ყვირით და ვერ გაგიგიათ,  
არის თუ არა ჩვენში ამერიკანელი?

**ვაჭარი** (გახარებული):

აი, თავი ამას ქონია,  
კაცი კი არა, კანცლერი ყოფილა.  
(სიხარულს არღვევს ავსტრალიელის კვილი):

**ავსტრალიელი:**

ეს ვინ არის?  
(პირდაპირ ზალაში, რომელიც გაჭედულია აღელვებულ ხალხით,  
შემოვარდება ამერიკელი მოტოციკლოზე).

**ამერიკანელი:**

მონყალეო ბატონებო!  
სად აშენებენ აქ კიდობანს? (აჩეჩებს ქალაღდს).

აი,

დალუპულ ამერიკიდან  
ჩეკი ორ მილიარდის!

(ჩუმი სასონარკვეთა და უცებ ყვირილი ავსტრალიელის, ხვრელს  
რომ ადგა).

**ავსტრალიელი:**

რა დაფეთებულხართ,  
ღმერთს გეფიცებით, ხელს გაუშვებ,  
თითები გამეყინა.  
(წმიდა წყვილები აფორიაქდენ და ეტმასნებიან უწმიდურებს).

**ფრანგი** (მჭედელს):

მაშ, როგორ ამხანაგებო,  
ვაშენებთ, რალა?

**მჭედელი** (თვინიერი):

მე რა,

მე, რაც გინდათ,

აიდა, ამხანაგებო,

ნასვლა თუა, ყველა წავიდეთ!

(უნმიდურები ადგებიან. ხერხები, ჩაქურჩები, რუბანკები).

**შემთახმებელი:**

ჩქარა, ამხანაგებო,

დააჩქარეთ, ჩემო კარგო,

იმუშავეთ,

ხელი მოკიდეთ ხერხს და ნაჯახებს!

**ინტელიგენტი** (გადის სხვა მხარეს):

ვიმუშაოთ,

არც კი ვიფიქრებ ამაზე.

დავჯდები ჩემთვის,

დავიწყებ საბოტაჟს. (უყვირის მუშებს).

ცოცხლად, მობრუნდი,

გასჭერი და არ დააცილო!

**დურგალი:**

შენ რას დამჯდარხარ,

ხელ დაკრეფილი?

**ინტელიგენტი:**

მე სპეცი ვარ და შეუცვლელი.

ფარდა

[1923]

## ბანკიმ-ჩანდრა ჩატტერჯი

### Bande Mataràm

#### ინდური ნაციონალური გიმნი

გესალმები, დედა,  
მრავალწყლიანო, ნიადაგიანო, სანატალით გამანახლებელო.  
გარიჟრაჟით გაფითრებულო, დედა.

გაბრწყინვებულო მთვარიან ღამეთა სითეთრით,  
მოთესილო ამაყ ყვავილებით, დიდ ხეთა ფურცელით.  
ტკბილათ მომლიმარო, ნაზად მოსაუბრე,  
შვების მომცემო, სასურველის მომტანო – დედა.

გესალმები, დედა;  
რისხვიანი გუგუნი სამოცდაათი მილიონ ხმების!  
ორჯერ სამოცდაათ მილიონ ხელს აუღია მჭრელი მახვილი!  
ვინ იტყვის დედა, რომ ხარ უღონო?  
პატივს გცემ ბევრჯერ ძლიერს, გამომხსნელს,  
მტერის ურდოთა მომგერებელს – დედას!

შენ ხარ – სიბრძნე, ხარ – კანონი,  
შენა ხარ სუნთქვა ტანში!..  
კუნთებში ხარ შენ, დედა, ძალა;  
გულში ხარ შენ, დედა, რწმენა;  
შენ ქანდაკებას ჩვენ ავაგებთ  
ყოველ ტაძარში.  
რადგან შენა ხარ – დურგა, ათი მახვილით ხელში,  
შენ ხარ – კამალა, ლოტოსის ფოთოლზე მონებვირე,  
სიტყვის და სიბრძნის მომცემელო,  
თაყვანს გცემ შენ.  
პატივს გცემ კამალს, უცოდველს, შეუდარებელს,  
მრავალწყლიანს, ნიადაგიან დედას!  
მოგესალმები, დედა!  
ბნელო, უცოდველო, კეთილათ მომლიმარო,  
მფარველო და მრჩენელო – დედა!

[1923]

მე ვარ – იავანელი

ათქვეფილი ნაღები – ძალიან გემრიელია.  
ვიბაასოთ კულტურულ ქვეყნის სერიოზულ საგნებზე.  
პოეზია შეჰქმნილია დონ-კიხოტებისთვის.  
მე თქვენ ყველას გიკოცნით მშვენიერ თვალებს,  
მკითხველო-ქალებო.  
თქვენ ვერ უარყოფთ იმას, რაც არსებობს.  
ველაყბოთ ერთმანეთს. სად ცხოვრობთ თქვენ?  
ჩემ აზრის სიღრმეში – ერთგული სტამბაა.  
მშვენიერი წიგნი – ჩემი ნიჭი რეზიუმეა.  
მასხრობაა, განა სხვა რა უნდა იყოს?..  
ყველაფერი ხუმრობაა – ამერიკაში ყველაფერი დადაა...  
მე – მე ვარ, ჭრანსის პიკაბია.  
აი, ამაშია ჩემი უბედურება.  
ხელოვნების სიყვარული, ყველა სიყვარულს სჯობია!..  
მე ის არ მჭირია და ამიტომ მჭამს ჩემი მოსამსახურე.  
ყველაფერი ეს სულ არ არის სასაცილო!..  
მე შევყურებ ჩემ თავს სარკეში.  
მე ვგვევარ იმ მცენარეს, წმ. ანტონს რომ მიუტანეს.  
აი, რაშია მთელი მედიდურობა.  
რადგან მე ვიცვამ, როგორც ქალი – ცეკვის წინ.  
ფილოსოფიური მოაზრება  
– ბიქმტეკსია არაყზე.  
ქვეყნის მესამე ნაწილი  
ეს არის ტატუროვკა ცხვარის კალეზე.  
ანგის ქალებს  
უდიდესი მონყენა – ... მასტ-დოპტებისათვის,  
შიშველი ფეხით რომ მიაბიჯებენ მზის გარშემო  
...გასვრილი აქვთ ნაგუბარში.  
და ძუძუები მიუგავთ მაშას.  
მათი სქესი ნავია თეთრი რკინისგან  
მე რომ მქონოდა თერთმეტი სუ, ნავიდოდი...  
მე ვლელდები  
და დავფრინავ, როგორც პეპელა...

[1923]

## ტრისტან ტცარა

\* \* \*

დადა – ქალწული მიკრობია.

დადა – ცხოვრების გაძვირების წინააღმდეგია.

დადა – ანონიმური საზოგადოება იდეების ექსპლოატაციისთვის.

დადას 391 პოზა აქვს და სხვა და სხვა ფერი  
იმის მიხედვით, თუ როგორია სქესი პრეზიდენტის.

დადა სხვად იქცევა და იქავე იტყვის წინააღმდეგს,  
დადა ყვირის და იჭერს თევზს...

დადა – ქამელეონია ჩქარი და ანგარი გამოცვლისა.

დადა – მომავლის წინააღმდეგ მიდის.

დადა – მკვდარია და იდიოტი.

მაშ, გაუმარჯოს ისევ დადას, დადა – არ არის

ლიტერატურის შკოლა: დადა ბლავის...

[1923]

## ვენიაშინ პერე

### ვენიაშინ პერეს მემუარები

დათვი სჭამდა დივანს,  
შესჭამა დივანი – დათვს მკერდი გადმოუარდა,  
გულიდან გამოვიდა ძროხა,  
ძროხიდან დაიბადენ კატები.  
კატებმა ააშენეს კიბე.  
ძროხა ავიდა კიბეზე.  
კატები ავიდენ კიბეზე.  
ზევიდან კიდევ კიბე ჩამოცდა,  
კიბე შეიქნა მსუქანი პოსტალიონი.  
ძროხა ჩავარდა სისხლის სასამართლოში,  
კატებმა იმღერეს სიმღერა მაღლონზე,  
დანარჩენმა შეადგინეს გაზეთი ორსულ ქალებისთვის.

[1923]

## ავეტიკ ისაკიან

### აბულ ალა მაარი

#### ყასიტი 7 სურა

#### შესავალი

იყო ბაღდადში სახელოვანი  
პოეტი აბულ ალა მაარი.  
იცხოვრა სამჯერ ათი მან წელი  
დიდ ხალიფების ძვირფას ქალაქში.  
ცხოვრება მისი იყო განცხრომა,  
შორსაც გაითქვა მისი სახელი.  
ნაზირ-ვაზირთა იჯდა სუფრაზე.  
ბრძენთა საუბრის გემოც იგემა.  
ჰყავდა არიფნიც და გამოცადა;  
ურიცხვი უცხო მოვლო ქვეყანა.  
ჩანვდა ძირამდე კაცის ბუნებას  
დაუცხრომელი მისი სული,  
და როცა ჩანვდა ღრმათ, შეიძულა.  
და რადგან იმას არ ჰყავდა ცოლი,  
და რადგან იმას არ ჰყავდა შვილი,  
მისცა სიმდიდრე გლახებს და სანყლებს  
და შეამზადა აქლემების მან ქარავანი.  
თან გაიყოლა ერთგული და ნაცადი ყმები,  
ნაილო გზაში ბლომათ საგზალი.  
და ღამე, როცა შრიალებდენ ვნებით პალმები  
და კიპარისით გადაბურდულ ტიგროსს ნაპირზე  
მუდამ მშფოთვარე ბაღდათს ჩასთვლიმა,  
ჩუმად გავიდა ის ქალაქიდან...

#### სურა I

მიდის აბულის წინ ქარავანი,  
როგორც ცხელ სილას მიარღვევს წყარო.  
მყუდრო ღამეში ჟღერის ეჟვანი  
თითქო არ ჰქონდეს მას გზა საჩქარო.  
ღამე ქარავანს გზა ეხლართება,  
და აქლემებიც აგვანან გველებს,

ნელი ჟღარუნი თითქო ღარებათ  
ედება ძილში გაღურსულ ველებს.  
განცხრომის ძილით სთვლემავს ბაღდადი,  
სამოთხის ვნების ცეცხლი ედება,  
და როგორც არის ამის ადათი  
გაზელლის ყეფით ბუღბული კვდება.  
და ეს სიმღერა ძვალ რბილში ატანს,  
თვალეზე ცრემლის მოდის კამარა.  
და შადრევანიც თითქო გელისტანს  
ვერცხლის სიცილით გადაეფარა.  
სასახლის ახლო ბროლის კიოსკი  
კოცნის სურნელსა და გუნდრუკს აფრქვევს,  
ქარიც მიხაკის სუნით დამთვრალი  
შეხარაზადას უყვება ამბებს.  
და ქარავანი გველური რხევით  
წინ მიდის, უკან არ იხედება,  
შორეული გზა იტაცებს აბულს  
და ჟრუანტელი გულზე ედება.  
და აქ მეორე სხვა ქარავანი  
კრიალა ცაზე ვარსკვლავებია.  
უსაზღვრო სივრცეს ღვთიურ ნათელი  
გზა გაბადრული დაფარებია.  
დაუცხრომელი აბულ-მაარი  
ცას ხარბი თვალით ველარ სცილდება,  
ესმის ციური უცხო ლაღადი  
დაუსაბამო ქვეყნის დიდება.  
– მაშ, ასე სულ წინ გასწი, იარე!  
გზა დასადგომი, გზა დასვენების  
ჩვენ, ქარავანო, არა გვაქვს მეტი.  
– ასე თავის თავს, თავის გუნებით  
სევდით მიმართავს აბულ მაარი  
სახელგანთქმული დიდი პოეტი.  
გასწი უდაბნოს უკაცო სივრცეს,  
თავისუფალსა და ლაჟვარდ მხარეს.  
მზისკენ იარე და თუ მზის გული  
ამ ჩემ გულს დასწვავს – ეს გამახარებს.  
მე აღარ ვეტყვი მაშინ – მშვიდობით –  
მამის საფლავსა და დედის აკვანს.



წარსულს ემდურის სული მშფოთვარე,  
მამულის ხსოვნა მას თან არ ახლავს.  
მართლა მიყვარდა ოდესღაც ხალხი  
და გულითადი მეგობართ დასი.  
ეხლა სიყვარულს ეხვევა გველი,  
შხამით აივსო სიცოცხლის თასი.  
მძულს ყველაფერი, რაც წინ მიყვარდა,  
რაც შევამჩნიე მე ადამიანს.  
ათასს სიავეს მე ვხედავ მასში,  
ათასს ბოროტსა ასპიტს შხამიანს.  
მხოლოდ დღეს მინდა, რომ განვერიდო  
მე ბოროტებას კიდევ ათასს ერთს.  
ეს ცბიერების არის ალერსი,  
ასე ცბიერათ კლავენ ერთმანეთს.  
ოხ, კაცის ენავ, სულის ჯოჯოხეთს  
შენ წამოასხამ ლამაზ სამოსელს,  
მაგრამ სთქვი, ერთხელ გითქვამს მართალი,  
რაც სასაუბროთ შენ ენა მოგცეს?  
ო, კაცის ენავ, მოწამლულ ისრით  
ბევრჯერ გამიბე გული მართალი.  
თითქო თაფლია ენა სალოკი,  
გახედავ და გულს გააქვს ფართქალი.  
ჩამიქრა გულში სიყვარულის მზე  
და იმედების ნათელი ზენა.  
და როგორც მწუხრის მზე ჩასვენდება,  
მეც ჩამესვენა ყოველი რწმენა.  
მაშ, ქარავანო, გასწი უდაბნოს,  
გასწი უკაცურ და ველურ მხარეს,  
ვნახავთ გარუჯულ მთათა გრეხილებს  
და იქ მხეცები ჩვენ შეგვიფარებს.  
სად ექიდნოა და შხამ-ლენცოფა,  
იქ დაიდგმება ჩვენი კარავი.  
სჯობს ახლო ყოფნა მორიელებთან,  
მხოლოდ არ სჩანდეს იქ კაცის კვალი.  
ათასჯერ უფრო მშვიდი იქნება  
და უშიშარი იქ ჩემი ძილი,  
ვიდრე ეს იყო მაშინ, როდესაც  
მეგობარს ვიყავ მე მინდობილი.

მეგობრის გულთან ყოველთვის გელის  
გადასაყლაპათ უფსკრულის ფსკერი.  
სანამ ბრდღვიალა მზეზე განოლილ,  
სინას ჭალარა მთის თავს ვუცქერი,  
სანამ ტიტველი უდაბნოს მკერდი,  
როგორც ზღვის ტალღა ბობოქრობს ვრცელი.  
არ ვისურვებდი, მენახა ხალხი,  
არც მეგობარი, არც ნათესავი,  
არ ვისურვებდი, რომ გამეგონა  
მათი ბოროტი ენა მქლესავი.  
...და გადახედა უკანასკნელათ  
აბულ მაარიმ მძინარე ბალდადს,  
შუბლის ნაოჭი უფრო მოლუშა  
და აქლემის ყელს ცხელ კოცნით დაღავს.  
და გადაკოცნა ტკბილი ალერსით  
პოეტმა მაშინ აქლემის თვალი,  
და ერთმანეთზე, როგორც მდულარე,  
მას გადმოცვივდა ცრემლის კურცხალი.  
ნაზი უღარუნით, წყნარათ ცხელ ქვიშას  
მიარღვევს მედგრათ წინ ქარავანი,  
უცნობი ქვეყნის ცისფერ ნაპირებს  
უახლოვდება მზის ფალავანი.

## სურა II

და როგორც გველი მიიკლაკნება  
პალმების შორის წინ ქარავანი,  
ქარს მიაქვს ქვიშა და გზას ამტვერებს  
და სხვა ამ გზაზე არ ჩანს არავინ.  
– მაშ ასე, სულ წინ, გასწი, იარე,  
შენ ქარავანო, უდაბნო მხარეს,  
აბა, რა დაგვრჩა უკან ასეთი,  
რომ მოგონება გულს გაუხარდეს,  
ან სინანული რომ გაიმეტო.  
ასე თავის თავს თავის გუნებით  
სევდით მიმართავს აბულ მაარი –  
სახელგანთქმული დიდი პოეტი.  
აბა, რა დაგვრჩა ჩვენ სამშობლოში,  
რომ დაბრუნება იმისთვის ღირდეს?

დავტოვეთ ცოლი? ან მეგობარი?  
ოჯახი დიდი? დიდი სიმდიდრე?  
დავტოვეთ ხალხი, ანდა კანონი?  
თავისუფლება? სამშობლო კერა?  
ნუ იგვიანებ, ჩვენ თუ დავტოვეთ  
მარტო მონობა და ბორკილები.  
სიცრუე, ხალხს რომ პირზე ეკერა!..  
რა არი ქალი? – ხარბი ობობა,  
მუდამ ცბიერი და მატრებაზი,  
მას მარტო შენი პური თუ უყვარს,  
მუხანათ კოცნით გაგყიდის სხვაზე.  
სჯობს, დამპალ ნავით შავ ზღვას მიენდო,  
ვიდრე ქალისა გჯეროდეს ფიცი.  
მის ცბიერ ბაგით თუ ლაპარაკობს,  
მხოლოდ მაცდური, მარტო იბლისი.  
მეძავო, კახპა, მხეცო ლამაზო!..  
კაცი ოცნებობს ლამაზ ვარსკვლავზე,  
თეთრ ზამბახების რბილ სარეცელზე  
და ანგელოსის ქათქათა მკლავზე.  
კაცი მოელის, რომ ის იქნება,  
რალაც სიზმარი, როგორც მალამო,  
და ეზმანება საუცხოვო ხმა  
წყაროს დუდუნი ნელი საამო,  
ელის უტკბილესს ცრემლის ნიაღვარს  
და უკვდავების ციურ მანანას,  
თითქო ათასი სალამურის ხმა  
უნაზესი ხმით მღეროდეს ნანას.  
სულს მოწყურებულს, ალერსის ნატრულს,  
ქალი თუ მისცემს მარტო სამსალას.  
ავხორცი გრძნობით შენ გახელდები,  
და ახალ გრძნობას დაატან ძალას.  
ო, უსირცხვილო ტანი ქალისა,  
გველი, ეშმაკის ბუდე აშკარა.  
დაგწვავს, დაგთუთქავს უდაბნოს ცეცხლი  
და მოგცილდება მალე აშარა.  
მე მეზიზღება ეს სიყვარული,  
როგორც უდაბნო ხრიოკი ქარი,  
სანამლავისთვის მეფე და მონა

განურჩეველათ ორივე მზათ არი.  
მძულს სიყვარული, რადგანაც იგი  
სასტიკი არი, როგორც სიკვდილი,  
რადგან ყოველგან სთესავს სიავეს,  
როგორც ვეშაპი თავ აწყვეტილი.  
რადგან წყაროა ის ბოროტების  
და მაცდურების მაცურჭი ძაფი.  
წყურვალს რომ წყალი გადმოგანოდეს,  
თავს სამარცხვინოთ გედება ლაფი.  
მძულს სამუდამოთ ცფიერი ქალი,  
ვუფრთხი მუხანათ მის კოცნის ბადეს,  
ვნების სარეცელს ჩემი დაწყევლა,  
დაწყევლა მასაც, რომელიც ბადებს!..  
ვნყევლი ორსული ქალის ტკივილებს,  
ბადებთ თქვენ მხეცებს და ჭია-ლუებს,  
ერთმანეთს მუსრათ რომ დარევიან,  
მათი ხრიალი ცას გააყრუებს.  
ის უნამუსო – მამათაც გახდა,  
ახალ ყოფნისთვის დაბადა კაცი.  
და სიცოცხლეში ამ ლერწამის ტოტს  
გენას ცეცხლზე გააქვს ბარბაცი.  
„შეცოდა მამამ, რომ გააჩინა,  
თვითონ სხვის ცოდვას თავზე არ იღებს“  
– ეს დამანერეთ საფლავის ქვაზე,  
თუ საფლავის ქვას ვინმე მაღირსებს.  
სანამ გეჯასის ზურმუხტ ნაპირებს  
ტალღა გრიალით ეალერსება,  
მე არ ვინდომებ ქალის სიყვარულს  
და ვერ დამიპყრობს მისი არსება.  
მანამ ვინდომებ ეკალის ალერსს,  
და სადმე ბუძგზე გადავებევი,  
მანამ სიპის კლდეს თავს შევახეთქავ,  
ვიდრე მე ვინმე ქალს შევებები.  
და ქარავანიც განაგრძობს შორ გზას,  
მიიკლავნება წინ როგორც გველი,  
ტიტველ უდაბნოს წყნარათ მიარღვევს  
და უკან რჩება მას ოქროს ველი.  
თითქო სტირიან ღამე ეჭვნები  
და სათითაოდ ყველა ცრემლს იწმენდს.

თითქო სტირიან აბულ მაარის  
ძველ სიყვარულს და გადასულ იმედს.  
თითქო ქვითინით შელაღადებენ  
და „დაბრუნდი“-ო ევედრებიან.  
ბნელში ზეფირის ათასს სალამურს  
შარგებიც ველარ შეედრებიან.  
და დასტირიან უცოდველ სიზმრებს  
და სიყვარულის დამწველ იარას,  
რაც ანუხებდა აბულ მაარის,  
რამაც მის გულზე გადაიარა.  
მწუხარე ფიქრი, ფიქრი უსაზღვრო  
ალარ სცილდება აბულ მაარის.  
ფიქრი გზასავით დაუღეველი,  
დამშრალი, როგორც ეს ქვიშა არი.  
სწუხს აბულ მაარი, სევდა აწვება  
ვარსკვლავებისკენ უქნია პირი.  
უკან განვლილ გზას ალარ უყურებს  
და არც ამ ქვეყნის სურს არაფერი.  
არ უნდა, ვინმეს გაეხმაუროს,  
თავის ხვაშიადს გულში იმაღავს  
და არც ერთ გზაზე გამვლელ ქარავანს  
არ ეუბნება არც ერთხელ სალამს...

### სურა III

მიდის აბულის წინ ქარავანი,  
თითქო სილაში წყარო რაკრაკებს,  
წყნარათ და მშვიდათ წინ გზას იკაფავს  
და ისმენს მთვარის იგავ-არაკებს.  
და ახალგაზრდა ქალის მკერდივით  
მთვარე თეთრია და ბამბის ქულა,  
როგორც ჯენატში ნორჩი ქალწული,  
პირველ ოცნებით რომ დათუთქულა.  
ხან შორს ღრუბლებში დაიმალება,  
ხან გამოჩნდება ზეცის ტატნობზე.  
ფშინვენ ყვავილნი, თითქო აღმასებს  
ნაზ სურნელებით გადაადნობენ.  
ცისარტყელას ფრთით გრძელი ჩიტები  
ნელი კანკალით სტეხენ ჟრიამულს,

თითქო უკრავდეს სიამის ხორო,  
თითქო ჩაუნყდა ეს ხმა სალამურს.  
ქარიც მიხაკის სუნით დამთვრალი  
შეხარაზადის უყვება ზღაპრებს,  
ძველ შარა გზაზე გრძელი პალმები  
ძილში არხევენ თავიანთ ბნკარებს.  
ქარს უსმენს, ზღაპარს, მერე თავის თავს  
ესაუბრება აბულ მაარი,  
სახელგანთქმული დიდი პოეტი,  
– და ეს მსოფლიო მაინც რა არი?..  
მხოლოდ ზღაპარი ჯადოთ ავსილი,  
არ აქვს მას ბოლო, არც დასაბამი.  
მაინც ვინ შეჰქმნა ეს საოცარი  
თანავარსკვლედთა უცხო სამანი?!  
ათასი ხმა აქვს, ათასი კილო,  
დაიწყებს, მერე უცებ გაჰქრება  
აღმოცენდება სხვადასხვა რჯული,  
სხვადასხვა ქვეყნის უცხო ზღაპრებათ.  
მაგრამ არ არის სადმე მისანი,  
რომ მის განგებას ბოლომდე ჩანდეს,  
მხოლოდ პოეტი ერთს ნაიმღერებს  
და ხმა უკვდავი აქამდე აღწევს.  
არავის ახსოვს მისი დაწყება,  
ბოლოს ვერავინ ვერ მოესწრება.  
სამარადისო ეს სიცოცხლის ხმა  
ცოცხლობს, სანამდე მოესურვება.  
ყველა, ვინც მოვა ამ ქვეყანაზე,  
ახლათ მიიჩნევს ისევ ამ ზღაპარს.  
შეჰქმნასთან ჩნდება, სცოცხლობს ბოლომდე,  
სანამდე კაცი სულს არ დალაფავს.  
ჩვენი მსოფლიოც ეს ზღაპარია  
და ეს ცხოვრებაც მისი სიზმარი.  
და ხალხი კიდევ ქარავანია,  
გზაზე რომ მიდის ყოველ ცისმარი.  
რომ მიესწრაფოს მგზნებარე სიზმრით  
უცნობ მხარეთა უძრავ საფლავებს,  
მაგრამ არიან ბრმა და გიჟები,  
რომელთაც ეს ხმა აღარ აკავებს.

მათ აღარ ესმით ამ ყოფნის აზრი,  
აღარ მისდევენ ამ ნათელ სიზმრებს.  
ერთი მეორეს გაჟღეჭს, შემუსრავს  
და სასიკვდილოთ თოფს დაუმიზნებს.  
თვითონ შევჰქენით უღლის კანონი,  
თვითონ მოვქსოვეთ ობობას ქსელი,  
ჯადოსან ზღაპარს აღარ დავინდობთ,  
არც ჩვენ გვენდობა სიზმარი ცხელი.  
ხალხო, საწყალო! მტვერი მტვრათ წავა,  
ვაჲ თქვენ ხელის უმადურ საქმეს.  
თვითონ შემუსრავს დრო სისხლიან კვალს,  
და არ დაინდობს აღარც თქვენ სახელს.  
ქარი მრისხანე და უდარდელი  
გადააგორებს თქვენ კუბოს ლოდებს.  
ვინც ერთხელ სიზმარს ველარ მოიხმარს,  
მეორეთ მოსვლას ტყვილათ ელოდეს..  
ამ დროს ვარსკვლავთა სხვა ქარავანი  
ბრწყინვალე ცაზე გზას განაგრძობდა,  
და ციური ხმა კრიალოსანი,  
ძღვევა მოსილი ამას ცხადჰყოფდა.  
აივსო მაშინ მთელი სამყარო  
უსაზღვრო ხმათა ნელი გუგუნით.  
აბულ მაარიც გარინდებულა,  
ამ ხმის მოსმენით ვერ ძღება გული.  
მაშ, ქარავანო, წინ გასწი, ჩქარა,  
რომ შენი ჟღერა ცას შეუერთდეს.  
მშობელ ბუნების მაჩვენე კალთა,  
რომ დავიღუპო ამ უტკბილესს დღეს.  
სადაც სურნელობს ჩუმი წალკოტი,  
სად უკვდავების გადმოქუხს წყარო.  
ცაო, მდუმარევე, შემატყობინე,  
ამ შენ ვარსკვლავებს რა დავაბარო.  
გული მოკლული მეგობრებიდან  
შენ გამიმთელე და დამიამე.  
არ მყავს უფალი, ვუარყოფ ძალას,  
ჩემია ნება და ვარ ნება მე.  
აღარ არსებობს ჩემთვის სიკეთე,  
არც ბოროტება, არცა სხვა რჯული,

რა სამართალი, ან რა კანონი?  
მე თვითონა ვარ ჩემი მსაჯული.  
და აღარ მინდა, რომ მიფარავდეს  
ბედისწერისგან რაიმე ძალა.  
სადაც არ ვიყო, იქ იყოს ბნელი  
მხოლოდ სიჩუმე ჩემი მაცალეთ.  
მე მინდა, ვიყო უსაზღვროს იქეთ,  
მსურს, დავივიწყო თვითონ ღვთაება,  
ვიყო სულ მარტო, უსაზღვროთ მარტო,  
სხვას სული ჩემი არ ედავება.  
და ქარავანიც სულ წინ მიიწევს,  
ცა ვარსკვლავებით თავს დაქათქათებს.  
და გულუბრყვილო ბავშვის სიცილით  
უდაბნოს ვერცხლის გზას გაანათებს.  
ლამის მთვლემარე რძიანი ნამით  
ფირუზის ფერი გზა იხლართება –  
და მთვარის სხივზე დაღლილ აქლემთა  
ლანდები სჩანან ბაირაღებათ...

#### **სურა IV**

და ვებერთელა ფრინველის ფრთებით  
ამ ვრცელ უდაბნოს დაანვა ღამე,  
აღარც წყარო სჩანს, აღარც ნალკოტი,  
არც ქარავანის გზა მოსჩანს სადმე.  
შორიდან შორით ბნელმა ღრუბლებმა  
გადააფარეს ზენარი მინას.  
ჩაჰქრენ ვარსკვლავნი და მთვარეც ჩაჰქრა  
და ბნელს სიბნელე გარემოიცავს.  
მისსკდენ გრიგალნი, თითქო რაშები  
ლაგამ ახსნილი წყვეტავენ თოკებს,  
ღრუბელი ღრუბელს და ქვიშა ქვიშას  
ასკდება, ებრძვის და აწიოკებს.  
და სასიკვდილო ჟრუანტელს იწვევს  
საბედისწერო მათი გრაგანი.  
თითქო მხეცები სტეხენ გალიას,  
მიწაა მათი დაბდღვნის საგანი.  
ხვეტენ ხეობებს, ამტვრევენ პალმებს,  
ისვრიან ხეებს, როგორც თრითინებს,



თითქო დაგალობს მწუხარე ფსალმუნს,  
თითქო უდაბნოს სული ქვითინებს.  
გასწი, იარე, სულ წინ იარე,  
ქარს, ქარავანო, ნუ ეპუები.  
ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს ამაზე მეტი –  
ასე თავის თავს თავის გუნებით  
სევდით მიმართავს აბულ მაარი,  
სახელგანთქმული დიდი პოეტი.  
სასტიკო ქარო, ნუ შესწყვეტ ღრიალს,  
მოსპე, გაკვეთე გარშემო ყველა.  
თავს ძირს არ დავხრი, ნუ გეშინია,  
მე აღარ მინდა არავის შველა.  
არ დავბრუნდები უკან ქალაქში,  
სად ავხორცობა მხოლოდ მძვინვარებს.  
არ დავბრუნდები მე იქ არასდროს,  
სად შხამის დანა გულს გამიყარეს.  
უსახლკარო ვარ, სახლი არ მინდა,  
თვითონ ჩავაჰქრე მშობელი კერა.  
ვად ძალსავეთ ვინც სახლში ცხოვრობს,  
ვერ გადაუდგამს ნაბიჯი ვერსათ.  
დალენე, ქარო, ჩემი მამული  
და მისი ფუძე აქციე მტვერათ.  
უსაზღვრო ქვეყნათ გაანიავე  
გზა დაუღევი – ჩემია კერა.  
მარტოობაა ჩემი მამული,  
და მამის სახლი ვარსკვლავების ცა,  
შორს წამიყვანე უცხო მხარეში,  
მარტოობაა დღეს ჩემი მიწა.  
სადაც ვიქნები ჩემთვის ერთია,  
გზა გაჩერების ტკივილს აღვიძებს.  
გზა დამილოცე დასალუპავი,  
მოველი დღესა ჩემ დასამიწებს.  
რა დაგვრჩა უკან ჩვენ, ქარავანო,  
რომ დაბრუნება იმისთვის ღირდეს.  
დავტოვეთ ცოლი? ან მეგობრები?  
ოჯახი დიდი? დიდი სიმდიდრე?  
დავტოვეთ ხალხი? ან და კანონი?  
თავისუფლება, სამშობლო კერა?

ნუ იგვიანებ, ჩვენ თუ დავტოვეთ  
მარტო მონობა და ბორკილები,  
სიცრუე ხალხს რომ პირზე ეკერა.  
რაა დიდება? დღეს ცათ აგწვევენ  
და ყველგან ისმის ქების გუნდუკი,  
ხვალ ძირს დაგცემენ და ჩაგქოლავენ  
და ფეხს დაგადგამს ყველა მუტრუკი.  
ან და რა არის პატიოსნება?  
ნუ გჯერა, ხალხი რომ დაგაფასებს,  
ოქროს თუ სცემენ ისინი პატივს,  
ან მხოლოდ შიში თუ აკაპასებს.  
თუ უცაბედათ დაგიცდა ფეხი,  
სხვა გამოჩნდება პატიოსანი.  
შენ დაგადებენ უწყალო სასჯელს,  
და სხვა იქნება მათი მგოსანი.  
ანდა რა არის თუნდაც სიმდიდრე?  
რას მისცემს იგი კაცის გულს გახრულს?  
ყველა ტუტუცი ფულით ყიდულობს  
ნიჭსაც, უფლებას და თვით სიყვარულს.  
სიმდიდრე – ცრემლი არის ობლების  
და მოკლულ ხალხის გახრწნილი ლეში.  
ფული სისხლია კაცის დაღვრილი,  
რომ გადაჩეხეს სადმე დილეგში.  
ანდა რა არის თვითონ მამული?  
სატუსალო და ცრემლის გალია,  
სადაც უმსგავსნი დათარეშობენ  
და მოძმის სისხლით ხალხი მთვრალია.  
სადაც უწყალო – ვინმე ტირანი  
თითქო დიდებას ხალხს განუმზადებს  
და უზარმაზარ პირამიდისთვის  
თავების ქალებს ერთმანეთს ადებს.  
მძულს, მეზიზღება ჩემი მამული,  
რაც იალალათ გახდია მდიდრებს.  
ოღონდ მსუნაგი თვითონ კი გაძღეს  
და ძმის უმანკო სისხლს არ დაგიდევს.  
მძულს, მეზიზღება ბრბო უმეცარი,  
მონა მორჩილი – ჭორების გუდა.  
მაგრამ უფლება თუ ხელში იგდო,  
გაგანადგუროს ეს უნდა მუდამ.

ანდა რა არის თვისტომი თემი?  
მხოლოდ მუხრუჭი – სულის მარნუხი.  
შოლტის ზუილით თავს გადაგიარს,  
მოგკლავს და თავს კი არ შეინუხებს.  
თემი – ცხოვრების მაკრატელია  
და ისე გაკრეჭს კაცის არსებას,  
რომ ყველა ერთად გაითქვიფება,  
ყველა ერთმანეთს დაემსგავსება.  
ან კანონებზე რა უნდა ითქვას?  
კაცი უძლური თავისი ხელით  
ძლიერს მიანვდის გალესილ დანას,  
საწყალის ყელი გალადრულია,  
და ძლიერებას ურჩევს გატანას.  
განწირულია ყოველთვის სუსტი,  
საწყალ კაცს სადმე თავი მოკვეთოს –  
ამაზე ფიქრობს, მარჯვე წამს უცდის.  
მძულს მთელ არსებით და აღმფოთებით  
ხალხის კანონი და სამართალი.  
სადაც კანონი ძალაში არი,  
იქ მხოლოდ საწყალს გააქვს ფართხალი.  
სადაც აჩენენ ქვეყნათ სამართალს  
და დაჯდებიან დინჯათ მსაჯულნი,  
იქ მხოლოდ ერთი თავისუფლება  
არის ყოველთვის მარტო ტანჯული.  
გზაო, უკვალო, გთხოვ, განმარიდე  
ხალხის სისხლიან მსჯავრს და სამართალს  
სჯობს, ვეფხვმა დამბდღვნას, ვიდრე კანონით  
მე დამაფარებს თავის ბილწ კალთას.  
წინ, ქარავანო, ექიდნოს მანდე,  
ანდა დამმარხე მაგრათ სილაში,  
როცა კანონი აღარ იქნება,  
თავისუფლებას მე ვიგრძნობ მაშინ.  
და განრისხებულ ელვათა ხელი  
ხმალით წვდებოდა ბნელ ღამეს პირში,  
იდგა გუგუნნი, მეხის ზრიალი  
და უდაბნოთა მოთქმა და ვიში.  
ღმუოდენ ქარნი, ამსხრევდენ პალმებს,  
კვიპაროსების იდგა ქვითინი

და ქარავანი ეჟვნის ჟღარუნით  
გზას განაგრძობდა ღონე მიხდილი.  
თითქო მიფრინავს, მირბის და მიჰქერის  
წინ ქარავანი ეჟვნის ჟღარუნით,  
თითქო უჩინო ერეკებოდეს  
კუდიანების ათასს არუღით...

## სურა V

შუადღის სიცხეში ჰყვავის ნარგიზი,  
ყველა ყვავილთა ღერები სუნთქავს.  
ქარავანს ოფლის ღვარი ჩამოდის  
მცხუნვარე ქვიშის ღადარი თუთქავს.  
– წინ ქარავანო, გააპე ქარი,  
ნუ შეგაშინებს უდაბნოს ხვატი  
ამ უდაბნოში სხვა გზა არ არი,  
ვერც თავს გადირჩენ რაიმე სხვათი –  
ასე რისხვით და სევდით მიმართავს  
მაშინ თავის თავს აბულ მაარი,  
სახელგანთქმული დიდი პოეტი.  
– გვცემდეს გრიგალის ცეცხლი დამნველი,  
ქვიშამ წაშალოს აქ ჩვენი კვალი!  
მხოლოდ არასდროს ჩემ ახლოს მაინც  
ადამიანის არ ვნახო თვალი.  
ხალხი არ არის ამ უდაბნოში,  
მაშ, ვისი მქონდეს შიში და რიდი,  
გააფთრებული მოვიდეს მხეცი,  
დამეცეს თავზე ყველა ნადირი.  
წითელ ფაფარა გამოდის ლომი  
და მე მიცქერის ხახა გამშრალი,  
ქარი ნაპერწკლებს ქვიშაზე ანთებს,  
ქარია უფრო ლომზე ავშარი.  
მოდო, ნადირო! მე აღარ გიფრთხი,  
გამიპე მკერდი, ნაღველით სავსე.  
უკან ქალაქში არ დავბრუნდები,  
რადგან გავტეხე მე ერთხელ ნავსი.  
თუ კაცთანა ხართ... გზად უნდა გქონდეს  
შენ მომართული თოფის ჩახმახი.

უცებ არ გეცეს და არ დაგჯაბნოს  
ან არ დაგიგოს ეშმაკის მახე.  
ხალხი ეშმაკის ნილაბს ატარებს  
და სანამლავის შხამის ფიალებს,  
ანდა მზაკვარი და გესლიანი  
გულში ხანჯალსაც დაგიტრიალებს.  
შენი ფულისკენ უჭირავს თათი!  
მერე გაგყიდის და გილალატებს  
ათასი მელა... მყრალი ჯალათი.  
თუ ღარიბია – მუდამ ცფიერობს,  
თუ ლატაკია – თავს დაიმდაბლებს.  
და თუ მოასწრო მან გამდიდრება,  
მერე ხომ კაცათ არავის აგდებს.  
და რომ დათვალო უდაბნოს ქვიშა  
და ქარავანის ყველა ნაბიჯი.  
ველარ აუვა, რასაც ერთ ღამეს  
ავს საქმეს იზამს კაცი მახინჯი.  
და ასე ვამბობ: გესმოდეს ყველას  
დასავლეთიდან და სამხრეთამდე,  
აღმოსავლეთით ჩრდილოეთამდე,  
როცა ქარები გზას მიკეტავენ,  
დაღლილმა მგზავრმა თქვენ გასაგონათ  
წამოიძახა ასეთი სიტყვა.  
და ზღვიდან ზღვამდე მთელმა სამყარომ  
გაიმეორა – რაც ერთხელ ითქვა:  
– რომ კაცზე ცუდი და უნამუსო  
არ არის ქვეყნათ არც ერთი სული.  
ქვეყნის გაჩენის პირველი დღიდან  
სიავით არის ის გაფისული.  
მე მიყვარს ტურა, გველი, ასპიტი..  
არ შევიყვარებ კაცს კი არასდროს.  
მის ცფიერ ძმობას მე მირჩევნია,  
ნადირმა ყელი დღეს გამომღადროს.  
კაცი, რომელმაც ასე დამტანჯა,  
ვისიც სისხლშია ხელი გასვრილი,  
სანამ უდაბნოს ლურჯ სიმაღლიდან  
თანავარსკვლედი აქვს გადაწვდილი.

და სანამ ქარი ამ ქვიშის ტალღებს  
როგორც ათასს გველს ასისიანებს,  
მე სახლში უკან არ დავბრუნდები,  
მე აღარ ვნახავ თავისიანებს.  
არ მსურს ტყვეობა ჩემი მამულის,  
და მშობლიური კერა გამთბარი.  
ნინ ქარიშხალი გადამიდგება,  
აღარ გამიშვებს უკან აფთარი..  
გასწი, იარე, ნინ, ქარავანო!  
შორს ჩემგან ხალხის დიდი ნადიმი,  
შორს ჩემგან მათი გახრწნილი ბუდე  
და ბაზრობაზე ნაყიდი ღიმი.  
შორს ჩემგან ქალი და საყვარელი,  
შორს მეგობარის ყალბი ალერსი.  
შორს მათი ხელი თანაგრძნობისა,  
და შურისგების დანა ნალესი.  
მე მეზიზღება ადამიანი  
და აღარ მინდა, მის ლანდს ვხედავდე.  
ნინ, ქარიშხალო, ქუსლით გახიე  
მათი კანონის მაცდური ბადე:  
მათ ბოროტებას და კეთილის გზას  
დე, დავიწყების ფარავდეს მტვერი!  
შორს იყვენ ჩვენგან – ესეც ბევრია –  
არ გვინდა მათი სხვა არაფერი.  
და მოიმაგრეს აქლემთა ქედი,  
თითქო მიჰქრისო ნინ ქარიშხალი,  
ულერდენ ეჟენები და ქარი ქვიშას  
ნინ მიიხვეტავს შავი მაშხალით.  
გადამწვარ ველებს მიაჭენებდენ  
და ესწრაფოდენ ოქროს სიმორეს,  
ხე ხეს მისდევდა, ველი კიდევ ველს  
გზა გასაქანი ქვათაც იშოვეს.  
თითქო უფრთხოდა აბულ მაარი,  
რომ უკან მისდევს ვინმე მდევარი.  
ქალი, კანონი ან მეგობარი  
და ან სხვა ვინმე დამანყევარი.  
გვერდს ჩაუვიდა ის დიდ ქალაქებს,  
დიდი კოშკებით გამართულ ბაზარს,

სადაც სიხარბით დამთვრალი ხალხი  
ერთმანეთს ყელში უჭერდა ბანარს.  
გვერდს ჩაუვლიდა მძინარე სოფლებს,  
საუკუნებით გაყრუებულ ხალხს.  
მხოლოდ უდაბნო ვრცელი, ტიტველი  
ოქროს ნაპირებს შორით უსახავს.  
და მიდიოდა წინ ქარავანი  
გადაგრაგნილი გველის რგოლებით  
და თავის გულში აბულ-მაარი  
თავის სიცოფეს შეებრძოლება.  
და იმის ნალველს არ აქვს საზღვარი,  
გზა არ თავდება, გზა ქვიშას მისდევს,  
არ უნდა ვინმეს გაეხმაუროს,  
თავის ხვაშიადს გულში იმაღავს.  
და არც ერთს გზაზე გამვლელ ქარავანს  
არ ეუბნება არც ერთხელ სალამს...

## სურა VI

და ქარავანი აბულ მაარის,  
მაშინ უდაბნოს მიადგა დიდ ბჭეს,  
და არაბეთის დიდ უდაბნოსკენ  
გამალეებული გზას მიაბიჯებს.  
შორს ჰორიზონტის განითლდა პირი  
და ქვიშის მალლა ელვა აენტო.  
ბნელმა მოისხა შავი ხავერდი,  
ფოსფორის ბრწყინვით ტატნობს დაენდო.  
ქარავანს ახლო აბულ-მაარი  
მაშინ ჩამოჯდა გზით დამაშვრალი,  
თავი მიადვა პიტალო ნაპრალს  
და ოქროს ცისკენ ალაპყრო თვალი.  
– თავისუფალი მე ვარ უსაზღვროთ,  
ამ უდაბნოში გაჭრილი ველათ.  
თავისუფლებით ვტკბები ძირამდე,  
და აღარ მინდა არავის შველა.  
აქ ველარ აღწევს ან კაცის ხელი,  
ვერაგინ ბედავს ჩემ განზილებას,  
თავისუფლებავ, სამოთხის ხე ხარ  
და ვარდისფერი აყვავილება,

თავზე დამადგი შენი გვირგვინი  
 და ჩირაღდანათ აენთე ჩემ სულს,  
 ალ-ყურანისა ყველა ბულბულებს  
 დღეს ქვეყანაზე ვხედავ ჩამოსულს,  
 მეფე უდაბნო გახდი უსაზღვრო  
 ჩემ მარტოობის ერთი სამყარო.  
 მზად ვარ, ვადიდო შენი სახელი,  
 და მთელ ქვეყანას ქებით ვახარო.  
 კურთხეულ იყოს უდაბნო მხარე,  
 სადაც კაცს კაცი აღარ აწვალეს.  
 გამრავლდეს შენი ქვიშა ყოველმხრივ,  
 რომ არ უხვევდეს კაცი კაცს თვალეზს.  
 დაფარე ყველა შენ ხალხის მოდგმა,  
 გადაეფარე იმათ ქალაქებს,  
 გადაეფარე სოფლებს და ბალებს,  
 ღარიბთა ქოხებს, მდიდართ სასახლეს.  
 დაე, სამყაროს ამიერიდან  
 შენი გრიგალის სუნთქვა ფარავდეს  
 ლაჟვარდის გული გაარღვიოს მზემ,  
 თავისუფლებას ზედ დაქარგავდეს,  
 რომ ცეცხლმა ძღვევის და სიამაყის  
 ააგოს თავის ოქროს ჩარდახი,  
 მუდამ ღვივოდეს და მის საქებრათ  
 – მოვიდა „შემსი“ – ყვიროდეს ხალხი.  
 ...და უდაბნოზე გაღვივებული  
 გიგანტიური დადგა მზე ბურთი,  
 მოედვა ქვიშას ოქროს მდინარე,  
 მდინარე ლომმა გაშალა კუნთი.  
 – სალამი მზესა და უსაზღვრო შუქს,  
 დედის ძუძუებს და უკვდავ უბეს,  
 მხოლოდ შენშია სიყვარულის რძე,  
 ბედნიერება ზღვათ დააგუბეს.  
 წმიდას სინმიდის გამოდის ღვარი,  
 როგორც ოდესღაც თვით ზოროასტროს  
 უკვდავ სიამით აუვსო გული  
 და ზიარება მისი მოასწრო.  
 ჩემ წყურვილისგან გახელებულ გულს  
 ეს მენამულის ღვინო მოარჩენს,



შენ ხარ მსოფლიოს წმიდა ფიალა  
ჩამესხი გულში, წვეთი არ დარჩეს.  
შენ ხარ დათრობა ოქროს სხივებით,  
შენ ხარ უძირო შვების ფიალა,  
შენ ხარ უკვდავი ნათელის ღება,  
და გამარჯვების დროშა ფრიალა.  
დამათვრე შენი უკვდავი ღვინით  
და ჩაიღვარე გულში ფსკერამდე,  
რომ არ ვხედავდე მუხანათ მზაკვარს  
და იმათ ცქერით აღარ ვლელავდე.  
შენ მთელ სამყაროს უხმოზ ნადიმზე,  
სადაც ზეიმით მუდამ მღერიან,  
შენ ხარ სიკეთე მთელ სამყაროსი,  
და ღამის ბნელი შენი მტერია.  
ხარ დაუძლევი, ებრძვი შავ წყვდიადს,  
ღმერთზე ძლიერი შენ გაქვს მარჯვენა,  
გადამეფარე ნეტარი შუქით,  
რომ არ ვიცოდე, ვინ გამაჩინა.  
რომ ყველაფერი, რაც წინათ მსდევდა  
და მედებოდა გულს იარებათ,  
შენი სამოთხის გაჰქრეს ალმურში,  
გახდეს უკვდავი მზის ზიარებათ.  
მხოლოდ შენ ერთი, შენ ხარ სიკეთე,  
ხარ მოწყალეა მხოლოდ შენ ერთი.  
შენ ხარ მარადი, უხრწნელი დედა,  
წმიდა ხარ, როგორც უკვდავი ღმერთი.  
შენა ხარ დედა გაზაფხულისა.  
შენ სიკვდილისა ხარ დამთრგუნველი,  
შენ სასწაულზე უფრო მეტი ხარ,  
ათასს დედაზე უფრო მზრუნველი.  
მე შენ მიყვარხარ, მე შენ მიყვარხარ...  
დამწვი, დამდაგე გულის ფსკერამდე.  
ოქროს ფაფარის ცეცხლში გამხვიე  
ცეცხლის ისრების ძაფით მკერავდე.  
მინდა, ტუჩები დამსისხლებოდეს,  
მომედოს შენი ოქროს ხანძარი.  
გამიხსენ მკერდი, რომ ჩაგეხვიო  
და სასიკვდილო ქარით დამძარი...

– თქვენ, აქლემებო – დროა წამოდგეთ, ეტყვის ქარავანს აბულ მაარი, – ჩამოიფერთხეთ ჩლიქებზე მტვერი, ძველ მონობისა... ეს გზა სხვა არი, უკანასკნელათ უსმინეთ სიტყვებს: – მძულხარ ამ სოფლის მოდგმავ ხალხისა არ მინდა თქვენი სარწმუნოება, არა მნამს თქვენი ავ და კარგისა. მხოლოდ ბორკილებს სჭედავს აქ კაცი და საპატიმროს უშენებს მონებს. ყოველ საათში, ყოველ ცისმარ დღეს, როდესაც თავის თავს მოიგონებს. მძულხართ მარადის და მეძულებით და ეხლაც მძულხართ უკანასკნელათ, მინდა დავყრუვდე, რომ ხალხის ხმაურს მე აღარ ვგრძნობდე აუტანელათ. რომ არ ვისურვო შემდეგ არასდროს, უკან მოვხედო მე ხალხის სამუმს. დაე, დაბრმავდეს ჩემი თვალები, და ამოენვას უდაბნოს აღმურს. წინ, ქარავანო, გაფრინდი მზისკენ მიჰყევ ნიავექარს, როგორც ბუმბული, რომ ნათელ ცეცხლში და მზის სხივებში მზეთ გადაიქცეს უკვდავი სული. მზეო მშობელო, მენამულ კალთით გადამაფარე ახალი ბედი, რომ გადაგედნო სილაჟვარდეში და შემოგენვა კაჟზე აბედი.

## სურა VII

და როგორც ოქროს გაცურებულ ნავს, აქლემების სვლას არ აქვს საზღვარი, მიჰქრიან, ეფვანს ანკარუნებენ, და ოქროს სილის იმლება ღვარი. ვერავითარი იმათ სამუმი ანთებულ ფრთებით ვერ დაენწევა; ისე მთარღვევს უდაბნოს წალკოტს მათი გიჟური ოქროთა წყება.

ვერც ბედუინი თავისი შუბით  
უმალესს ცხენით ვერ დაენევა.  
მხოლოდ პალმების ცივი ტოტები  
ედება მგზავრებს შუბლზე ბენვებათ.  
კოცნით ხვდებიან აბულ მაარის  
და თან უცნაურს ეტყვიან ზღაპარს  
სამარადისო სიყვარულისა  
და ასე ღამე უცდის დღის გაყრას.  
მაგრამ არ უგდებს მაარი გულყურს  
დილის ცისკარის სალამს და ჟღერტულს,  
მზისკენ მიფრინავს, მზისკენ მიინევს,  
ქვა უსროლია მოჭიმულ შურდულს.  
და მის ფეხთა ქვეშ, მხოლოდ გართხმულა  
უდაბნო ცხელი თვალის უწვდენი –  
და მზე ბღღვრიალა თმა საფირონით  
თავზე დანათის მას გაუცდენი.  
და უაღვირო, თავის ნებაზე,  
ალყვითელ ველზე გზა დაბურდული,  
გიჟური ქშენით მიჰქრის აქლემი,  
ქვას რომ გაისვრის შორით შურდული.  
და აქლემებზე ნათელ სხივებში  
ცა გვირგვინებით გადმოლუნულა,  
გაუთავებელ ეჟვანთა ჟღერით,  
ქარს ქარავანი მიაქვს ბურულათ.  
ღვთიურ სიზმარში გარინდებული  
თავის მენამულ წამოსასხამით.  
მიფრინავს მზისკენ აბულ მაარი  
და დილა ღამეს შეცვლის სისხამით.  
და გზა ლაჟვარდი აღარ თავდება,  
არა აქვს ბოლო, ვერც უწევს თვალი,  
და ასე მზისკენ მიჰქრის მაარი  
მზით გაფრენილი და მზით დამთვრალი.

*ოქროყანა, 1930*

*ტფილისი, 1931*

## იოჰანეს რობერტ ბეხერ

### დიადი გეგმა

#### სოციალისტური მშენებლობის პოემა

დიად გეგმას,  
უცნობ ჯარისკაცს,  
ადამიანს, რომელიც  
მიდის მწყობრში

### წინასიტყვაობა

#### პირველათ

ჟამი დაბადებისა  
შენ არ აგირჩევია.  
მეოცე საუკუნემ  
ამოგირჩია.  
შენი წლის ციფრი  
ინყება 19...  
შენ დაიბადე  
ხალხთა  
გადასახლების  
ეპოქაში.  
ხალხი  
გადასახლდა  
ქვევიდან ზევით.

#### მეორეთ

შენდამია მომართული  
კითხვა:  
– რა გქვია შენ?  
თუ შენ იტყვი შენ სახელს,  
მაშინ გიპასუხებენ.  
– შენ სახელს კი არ  
გეკითხებიან,  
ეს არ არის კითხვა.  
სთქვი, ვინ ხარ შენ,  
რითი ცხოვრობ,  
იცნე თავი შენი  
შენ კლასში.

## **მესამეთ**

ადამიანი დაეჯახა  
თავის თავს  
და შეხედა,  
რომ არიან ორი  
მოდგმის ადამიანები.  
არიან ორი მოდგმის მასები  
და ერთის ნესნყობილება  
არ არის მეორესი.  
ადამიანის ცხოვრება  
გაილანდა  
და  
გამოჩნდა  
ხტილი და განყვეტა.  
და იქნა საცნაური,  
კლასები დაიძრენ  
ერთი მეორეს წინააღმდეგ.  
ყველა ხალხს  
გულის ფსკერამდე  
გაუარა გაყოფამ.  
და თვითეულ ხალხისგან  
შეიქნა ორი ხალხი.

## **მეოთხეთ**

იყო დრო,  
როცა ყოველი ძველი გათავდა.  
ახალი კი ჯერ  
სუსტი იყო,  
რომ ქვეყანა  
გარდაექმნა.

## **მეხუთეთ**

1917 წელს  
პროლეტარიატმა  
გაიმარჯვა  
და ხელისუფლება  
აიღო ერთ ქვეყანაში.  
და მთელ მსოფლიოს  
მოეკვეთა ეს ქვეყანა.

161 მილიონი ხალხი,  
21.878000 კვადრატული კილომეტრი –  
მთელი მსოფლიოს მეექვსედი  
საბჭოთა ქვეყანაა.

### **მეექვსეთ**

გადაავლო ამ ქვეყანამ  
თვალი გარშემო  
და ხედავს,  
რომ ქვეყანა უდაბურია  
და ცარიელი.  
და ლენინმა  
შეჰქმნა გეგმა.  
მასებმა მიიღეს  
ეს გეგმა.  
– გაჩნდეს  
ელექტრონი!  
ქვეყანაზე გაშენდენ ქარხნები.  
დაიხნა ველი.  
ახალი ქალაქების  
ქარიშხალი  
ავარდა ამ ქვეყანაზე.  
ასე დაადგინეს საბჭოებმა.

### **მეშვიდე**

ამ გეგმის  
სახელია  
ხუთნლედი ანუ  
დიადი გეგმა  
(შეჰქმნილი  
საკონტროლო ციფრებით  
მასების  
კონტროლის ქვეშ).  
ამ გეგმას  
ედღვნება  
ჩემი პოემა.  
ის ეძღვნება  
ადამიანთა საზოგადოების  
დაგეგმას.

## **მერვე**

ყველა საზღვრებს იქეთ  
გადავძახით  
მთელ ქვეყანას  
ასეთ ლოზუნგს:  
– დიადი გეგმა შესრულდება  
ოთხ წელიწადში,  
დიადი გეგმა განძრახული  
ხუთი წლისათვის.

## **პოემის მოქმედი პირნი:**

სოციალისტურ მშენებლობის ხორო.  
მონინალმდეგე.  
ქალაქი დნეპროსტროი.  
ზევითა ქალაქები.  
ქვევითა ქალაქები.  
მეორე ინტერნაციონალი.  
შოფერი სან ლაზარის ვოკზალთან პარიზში.  
პარიზის ქუჩებზე გამვლელნი.  
ამხანაგი თვითკრიტიკოსი.  
პოეტი.  
წითელარმიელი.  
ფაშისტები.  
კონდრატიევი.  
გერმანელი ოსტატი.  
ამხანაგი ოპოზიციიდან.  
კულაკები.  
გადასახლებულნი.  
პრომპარტიის ცეკა.  
ძველი ინჟინერები.  
თურქსიბი.  
პარიზის მეგაზეთეები.  
ცნობანი.  
უცნობი ჯარისკაცი.  
ამხანაგი, რომელსაც ეეჭვება სოციალისტური მშენებლობა.  
სახელმწიფო პოლიტსამართველო (გ.პ.უ.)  
კაცი, რომელიც მიდის მწყობრში.  
ციმბირი.

ურალი.

გლეხი.

მილიონი ვინტოკვა, რომელიც ყოველ წელს, 7 ნოემბერს,  
მოსკოვში, წითელ მოედანზე იძლევა ხმას.

რამზინის მოწაფენი.

რამზინი.

13 დღე პრომპარტიის ცეკას პროცესისა.

კომუნა „ინტერნაციონალი“.

კაცი, რომელიც თვალს ადევნებს გარედან, ვისაც არ აქვს  
გამოსავალი.

ბრძენ მრჩეველთა ხორო.

მკითხველი (რეპლიკები).

### **ნაწილი პირველი**

იყვენ პოეტები პირამიდებთან,  
მეფსალმუნენი ღმერთს უგალობდენ.

ყველაზე უდღეური მეფეც კი  
ნახულობს თავის მომღერლებს.

გომეროსი აქამდე ხითხითებს,  
აქამდე ერთგულათ ითვლის ლექსს,

ხოროთ იმეორებენ გიმნაზიელები,

აქილესის საგმირო ბრძოლებზე

ქვეყნის ყველა კილოკავზე

გადამღერებულია სიყვარული.

სოციალისტური მშენებლობის ხორო აქებს უდიდესს

გეგმას (ქალაქი დნეპროსტროი პატიჟებს სტუმრათ

ქვეყნის ყველა ქალაქებს).

ხუთწლედ იუმნიშენელოვანესი ფრონტია

მსოფლიო პროლეტარიატის იერიშებისა კაპიტალზე.

მეორე ინტერნაციონალი დაპირებულია

საზეიმო დეკლარაციის გამოშვებას საბჭოთა

კავშირის ამბების შესახებ.

პარიზში სან ლაზარის ვოკზალთან სდგას და

ელის ტაქსი (ხუთწლედ არსებითად

კაპიტალისტურ წესწყობილების დანგრევის გეგმას).

ამხანაგი ოპოზიციიდან უარყოფს ერთ ქვეყანაში

სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას.



რამზინი და ლარიჩევი საზღვარგარეთ  
მივლინებაში ყოფნის დროს პარიზის სასტუმრო  
„ტერმინუს“-ში ხვდებიან ზოგიერთ პირებს.  
ჩვენ დავამარცხეთ შახტინელი მავნებლები.  
ტრაქტორმა გადახნა მთელი ველი ერთ დღეს.  
წითელი არმია სდგას საზღვარის მეორე მხარეს.  
ილაპარაკეთ გულახდილათ! სწერეთ ამის  
შესახებ გაზეთებში! კომუნა „ინტერნაციონალი“.

### **1. სოციალისტურ მშენებლობის ხორო**

დიადი გეგმა შესრულდება  
ოთხ წელიწადში.

დიადი გეგმა განზრახული  
ხუთი წლისათვის..

დიადი გეგმა

ერთი კაცის ტვინში არ აღმოცენებულა.

მასების ტვინში აღმოცენდა დიადი გეგმა,

ტვინში, რომლის სახელია – საბჭოები,

ტვინში, რომლის სახელია – პროფკავშირები,

ტვინში, რომლის სახელია – პარტია.

მასებმა ასწიეს ხელი

და უყარეს ხმა.

– ვართ მომხრე!.

დიადი გეგმა შესრულდება

ოთხ წელიწადში.

დიადი გეგმა განზრახული

ხუთი წლისათვის.

### **2. მონინალმდეგე**

ეს რა გეგმაა,

ეს რა სულელური ვეება გეგმა.

გაგრძელება რევოლუციის

ახალი საშუალებებით.

### **3. ამხანაგი ოპოზიციიდან**

არ შეიძლება სოციალიზმის აშენება

ერთ ქვეყანაში.

არ შეიძლება უცხო ქვეყნების კაპიტალისტების

დახმარების გამოყენებით

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება.

#### **4. მეორე ინტერნაციონალი**

საქმე ეხება მათ გეგმას.  
ისინი მუშებში  
ნახულობენ თანაგრძნობას.  
მაგრამ მათი ქალაქები  
სისხლით არი მორწყული.  
მათ ტრამალებში  
საიდუმლოთ ენცობა აჯანყება.  
ტერორი უსაზღვროთ  
ვერ იმეფებს.  
ჩვენ ვამზადებთ  
საზეიმო დეკლარაციას  
რუსეთის ამბებზე.  
ამის გარდა ჩვენ ვანცობთ  
უფროს ოსტატის გამოსვლას  
გერმანიაში.  
ის გაიმბობს თქვენ,  
რაც ნახა რუსეთში.  
მათ პარტიაში არ არი ერთობა.  
ბევრი მათი ამხანაგი ამბობს:  
– არ შეიძლება სოციალიზმის  
აშენება ერთ ქვეყანაში.  
უცხოელ კაპიტალისტების  
დახმარების გამოყენებით  
არ შეიძლება სოციალიზმის აშენება.  
მაგრამ ამ ამხანაგებს  
ისინი ციმბირში ასახლებენ,  
თუ უარესი არ უყვეს რამე,  
გადასახლებას არ დააკლებენ.

#### **5. ქალაქი დნეპროსტროი ინვეს სტუმრათ მთელი მსოფლიოს ქალაქებს**

ჩვენ, ქალაქი დნეპროსტროი  
(ანდა რასაც დაგვარქმევენ,  
როცა შენება გათავდება),  
ჩვენ გინვეთ სტუმრათ  
ყველა მსოფლიო ქალაქებს.  
ქალაქნო – გესმოდეთ!

I

ჩვენ ისეთი ქალაქი არ ვართ,  
როგორც სხვა ყველა ქალაქია.  
ჩვენ ისეთი ქალაქი არ ვართ,  
როგორც თქვენ ხართ ყველა ქალაქები.  
რადგან თვითეული თქვენგანი, ქალაქნო,  
ორ ნაწილათ არის გაყოფილი.  
ქალაქის ზევითა ნაწილი  
და ქალაქის ქვევითა ნაწილი.  
დაე, ცოტა ხალხი ცხოვრობდეს ზევითაში,  
მანც ზევითა ქალაქი მდიდარია და ძლიერი.  
მას შეუძლია, რაც მოეპრიანება გააკეთოს  
და რაც უნდა, ისეთი სარგებელი ნახოს,  
რაც მას სურს, ანდა მეტიც.  
მას შეუძლია არა მარტო იყოს მძღლარი,  
მას შეუძლია საჭმელების შერჩევაც.  
ის არ დადის ფეხით.  
ის დაჰქრის ქუჩებში.  
ქვევითა ქალაქში მცხოვრებნი  
თუმცა თავისუფალი ხალხის  
სახელს ატარებენ,  
მათ ერთი თავისუფლება აქვთ,  
გაყიდონ სამუშაო ძალა.  
ისინი ამისთვის იღებენ ხელფასს,  
მაგრამ ეს მხოლოდ მცირედი  
ნაწილია იმისა, რასაც ისინი  
ნამდვილათ ჰქმნიან.  
მათ აქვთ ნება, იცხოვრონ იქ,  
სადაც ყველაზე უარესია ცხოვრება.  
მათ მიცემული აქვთ ნება,  
სჭამონ ის, რაც იაფია,  
მათი თავისუფალი დროა,  
როცა უმუშევარი რჩებიან.  
რამდენიც გინდა, დრო ექნებათ  
შიმშილისთვის,  
რამდენიც გინდა, დროც აქვთ  
სიკვდილისთვის.

მათ აქვთ უფლება,  
იცხოვრონ უთავისუფლოთ.  
ჩვენ ვართ ქალაქი დნებროსტროი,  
არა ისეთი ქალაქი  
როგორც სხვა ქალაქია.  
ჩვენ ისეთი ქალაქი არ ვართ,  
როგორც თქვენ ხართ, ქალაქებო!  
არა ქვევითა ქალაქი და  
არა ზევითა ქალაქი.  
ჩვენ ქალაქი დნებროსტროი  
ვართ – ერთიანი ქალაქი,  
ერთი მთლიანი ქალაქი  
მთლიანი საბჭოთა ქალაქი.

## II

ბევრი დიდებული შეჰქმნა ადამიანმა,  
ბევრი საოცარი მოხდა მას შემდეგ,  
რაც ადამიანი დაეუფლა მიწას.  
დაგრძელდნ მისი ხელები  
და ასე მიპარვით განვლო გზა  
და შეხედა გარშემოს.  
მთებიც, ტყეც და ზღვაც  
საშინელი სჩანდნ.  
ადამიანმა შეჰქმნა იარაღი  
თავის საჭიროებისთვის.  
მან გამოიგონა მანქანები,  
რომელიც თამაშით  
აკეთებენ ყველა მის საქმეებს.  
ჰაერს და მიწას  
მისცა მან სიმაგრე,  
გადალაგდნ მატერიკები.  
მოთვინიერდა სივრცე  
შინაგან წვის მოტორებიდან,  
რომელიც საათში  
ას კილომეტრზე მეტს აკეთებენ.  
ჩვენი ხელები შეიბნენ  
ისე გრძელი, როგორც დედამიწისა.  
და ჩავეხვიეთ ექვატორს.

ჩვენ ავიღეთ დრო  
და შევაჯამეთ  
როგორც ჩვენთვის იყო  
გამოსადეგი.  
რკინისგზის და  
გემების ხაზები  
ისე აჭრელდენ,  
როგორც ხაზები  
ხელის გულზე.  
ჩვენ ახლოს მივედით ჭეშმარიტებასთან,  
ჩვენ შევისწავლეთ  
მნიშვნელოვანი კანონები  
საზოგადოებისა და ბუნების.  
ჩვენ ძირით ფესვიანათ  
ამოვთხარეთ ღმერთი  
და შორს ვისროლეთ.  
ჩვენ გავაუქმეთ „საგანი“ –  
შევჰქმენით მოძღვრება  
დიალექტიურ წინააღმდეგობათა.  
ყველაფერი მზად გვექონდა,  
რომ დაგვეწყო.  
დიდი რამ მოხდა,  
დიდი რამ შეჰქმნა ხალხმა,  
მაგრამ უდიდესი  
ჯერ არ არის მიღწეული.  
ადამიანები ცხოვრობენ  
ერთი ერთმანეთთან.  
დიდ ქალაქებში  
ვინროთ ცხოვრობენ,  
მაგრამ ერთის ფიქრი  
მეორესას არ გავს,  
ერთის მოქმედება  
მეორეს წინააღმდეგ  
არი მიმართული.  
მაგრამ სიტყვები  
ერთ ენაზე წარმოთქმული  
ეს სიტყვებია  
სხვა და სხვა აზრისა.

კლასი იბრძვის  
კლასის წინააღმდეგ.  
ჩვენ ვართ ქალაქი დნეპროსტროი,  
და თუ ჩამოხვალთ ჩვენთან  
ჩვენ გაჩვენებთ, როგორ მივალნიეთ  
ჩვენ ამ ერთიანობას.

### III

დღად გეგმაში დადგენილია,  
განვხორციელდეთ  
ჩვენ, ქალაქი დნეპროსტროი.  
ჩვენ, ქალაქი დნეპროსტროი  
უნდა ავშენდეთ  
არა უგვიანესს ხუთი წლისა.  
ჩვენ უნდა ავშენდეთ  
ტრამალებს შორის  
დნეპრის ნაპირებზე  
ნაპრალების ახლო.  
სმოლენსკიდან  
თვით შავ ზღვამდე  
ივლიან გემები  
ამ კლდეებზე.  
ბრძენ ოლეგს  
სურდა ამის გადაცურვა,  
მაგრამ დააჩინეს კბილები.  
და მაშინ ბრძენმა ოლეგმა  
დატოვა ხომალდები  
და ხმელეთით შემოუარა ამ...  
ძლიერი იყო ოლეგი  
მაგრამ მასზე ძლიერი  
აღმოჩნდა –  
მაგრამ დღადმა გეგმამ  
დაიმორჩილა,  
დღადმა გეგმამ  
მოთოკა.  
დღადმა გეგმამ  
შესძრა მთები.  
და ქაობებში  
დათესა ხორბალი დნეპრის –

მიუშვა წყალი  
ოცდაათ მეტრის  
სიმაღლეზე.  
ასე შესცვალა მან წყალი ძალათ  
და წყალის ძალა  
შეიქნა ქარხნების  
ელექტრონათ.  
ჩვენ, დნეპროსტროი  
გინვევთ თქვენ სტუმრათ  
ჩამოდით და ნახეთ,  
როგორ გავაკეთეთ ეს ყველაფერი.

## **6. მოწინააღმდეგე**

ქალაქი დნეპროსტროი ამბობს –  
ყველა ქვეყნის ქალაქებო,  
მეწვიეთ სტუმრათ,  
– მოვისმინოთ  
რას უპასუხებენ ეს ქალაქები.

## **7. ქალაქების პასუხი**

### **ზევითა ქალაქები**

ჩვენ მივიღეთ თქვენი  
მონვევა, დნეპროსტროი,  
გმადლობთ თავაზობისთვის.

### **ქვევითა ქალაქები**

ჩვენ მოვისმინეთ თქვენი სიტყვა,  
ქალაქო დნეპროსტროი და გვიხარია,  
რომ გვესმოდა შენი სიტყვა.

### **ზევითა ქალაქები**

ჩვენ გვესმის – რომ შენ ხარ ქალაქი,  
რომელსაც არ აქვს ზევითა ნაწილი,  
მაშ, შენ ჩამოგიგდია უფროსები,  
რომელნიც ღმერთს დაუყენებია.

### **ქვევითა ქალაქები**

ჩვენ გვესმის, რომ შენ ერთიანი ქალაქი ხარ.  
რომ არ ხარ მარტო ზევითა ქალაქი,  
რომ არ ხარ მარტო ქვევითა ქალაქი,  
არამედ ერთი მთლიანი ქალაქი.

### **ზევითა ქალაქები**

შენ ქვევითა ქალაქს უხმობ ამბოხებას,  
ჩვენ ქალაქები ორათ ვართ გაყოფილი,  
სჯობს, ჩაიწყვიტო ხმა და სიტყვა.

### **ქვევითა ქალაქები**

მორბიან ჩვენი შავი ქუჩები,  
ჩვენ გზაში ვართ.  
ჩვენ მოვანყობთ მიტინგს,  
გვითხარი, როგორც ცხოვრობენ  
თქვენში მუშები.  
შენ ამბობ, რომ შეჰქენი  
დიადი გეგმა,  
მოვალთ თქვენთან სტუმრათ  
და გვაჩვენეთ ეს სიღიადე.

### **ზევითა ქალაქები**

თქვენ გინდათ, ქვეყანა გაჰყოთ  
და ვინც მეტია,  
მას მეტი მისცეთ.  
ჩვენ ამას ვუნოდებთ უსამართლობას.

### **8. მონინალმდეგე**

კარგია, ასე იყოს,  
ერთი აზრისა არ არიან ქალაქები.  
მაგრამ ზევითა ქალაქები ძლიერი არიან და მდიდრები.  
უდიდესი სიმდიდრე ჩვენ ხელშია,  
ეხლა მე ვუცდი  
მეორე ინტერნაციონალის  
საზეიმო დეკლარაციას  
რუსეთის საქმეებზე და ამბებზე.  
გამოვა ოსტატი გერმანიიდან.  
დაე, იმან მოიაროს ქვეყანა  
და მუშებს მოუყვეს, რა ნახა რუსეთში!..

### **9. სოციალისტური მშენებლობის ხორო**

შემოღებულა, განუწყვეტელი  
წარმოება გადავიდა შვიდ საათიანზე,  
პარტიამ დაამარცხა ტროცკი  
და სძლია მემარჯვენე გადახრას.



პარტია გადავიდა  
ღიადი გემის ფრონტზე  
და მიაქვს იერიში.

### **10. შოფერი სან ლაზარის ვოკზალთან პარიზში**

მე ვზივარ აქ პარიზში,  
სან ლაზარეს ვოკზალთან,  
ვზივარ ჩემ ტაქსში და ვუცდი.  
მე ვმსახურობდი დენიკინთან,  
ვიყავი კრასნოვის კაზაკებში,  
როცა ომი წავაგეთ,  
დავიმალენით მინდვრებში.  
როცა გემებზე ვჯდებოდით,  
მე ვესროლე ტყვია ჩემ ცხენს.  
ჩემი ძმები ველეებზე წვანან.  
ჩემი ძმები სიტროენის ბარაკებში წვანან.  
კარგა ძალი ხალხი კიდევ  
მუკდენში წავიდა  
და ჩინეთის აღმოსავლეთის გზაზე მსახურობს.  
თუ შენ მოდი ველეებიდან,  
ძნელია შენთვის  
ქალაქში სიარული.  
ამ სლიანა ქუჩებზე  
უთუოდ ფეხი  
დაგიცურდება.  
მივეჩვიე ავტოს მართვას.  
ზეპირათ ვისწავლე  
პარიზის ყველა ქუჩები  
და ჩავაბარე ეგზამენი.  
ათი წელია,  
მე აქ პარიზში ვზივარ  
სან-ლაზარის ვოკზალთან,  
ვზივარ ჩემ ტაქსში და ვუცდი..

### **მონინა აღმდეგე**

ალო, შოფერო!  
შე შოფერო,  
ეს ჩვენი კაცია,  
აღბად დიდი დავალება აქვს.

## 11. სოციალისტური მშენებლობის ხორო

ღიადი გეგმა შესრულდება  
ოთხ წელიწადში,  
ღიადი გეგმა განზრახული  
ხუთი წლისათვის.  
ქარხნები უსწრებენ ქარხნებს,  
დრო კიდევ დროს უსწრებს.  
1930 წელმა გაუსწრო  
ყველა მის წინა წლებს.  
მაგნიტოგორსკი ეჯიბრება  
დნეპროპეტროვსკს.  
ოთხმა წელიწადმა  
წინ გაუსწრო საუკუნეს.  
ჩვენ ისეთი მივიღეთ გაქანება  
და დავძლიეთ გზა,  
რომ ძველი დრო სამუდამოთ  
უძლური არი ჩვენ წინააღმდეგ.  
ჩვენ გვსმენია ქალაქებზე,  
რომელიც ტრამალებში დგებიან.  
ჩვენ ვნახეთ მუშათა რაზმები,  
რამდენიც შეესიენ უდაბნოს,  
რომ დააარსონ ახალი ქალაქები.  
დიდება დამკვრელ ბრიგადებს!  
სამოქალაქო ომების გმირობა  
მათ არ დაჟანგეს.  
ისინი გაუსწორდენ  
რევოლუციის გმირებს.  
ჩვენი გმირებია – ქალაქები.  
ჩვენი გმირებია – მთელი რაიონები.  
ღიადი გეგმა შესრულდება  
ოთხ წელიწადში,  
ღიადი გეგმა განზრახული  
ხუთი წლისათვის.

## 12. შოფერი სან-ლაზარის ვოკზალთან პარიზში

ათი წელია,  
მე ვზივარ აქ პარიზში,  
სან-ლაზარის ვოკზალთან,

ჩემ ტაქსში ვზივარ და ვუცდი.  
(შეცვლილი ხმით)  
დაიღალე შენი ტაქსის  
საჭესთან,  
სდგეხარ შენ მოკუზული  
სიტროენის დაზგასთან –  
შეკაზმე ცხენი, კრასნოვის კაზაკის!  
იოცნებე ომებზე ტრამალებში,  
როცა სოფლებს სწვავდი  
და ტიტველ ხალხს ხვრეტდი.  
იოცნებე დნეპრზე და დონზე,  
სადაც ხროვებათ აწყობდი ლეშებს.  
იოცნებე მამულზე, აზნაურობაზე,  
პრივილეგიებზე.  
ესენი შენი იყვენ ოდესღაც  
და იოლი იყო ცხოვრება.  
ათი წელია უცდი,  
უცადე!  
გჯეროდეს ღვედლების,  
მიეცი სალიუტი ხმალით  
თეთრ ანდრეის დროშას.  
უცადე აქ პარიზში,  
უცადე მუკდენში.  
იოცნებე იმაზე, როგორ  
ჩაუარს ფრონტს მეფე  
და ხელს ჩამოგართმევს.  
ათი წელია უცდი,  
ეხლაც უცადე!  
ჩვენ დავამსხვრიეთ  
ყველა ხიდები,  
რომელზედაც ჩვენ  
უნდა გაგვეარა.  
იმათ აღადგინეს ძველი ხიდები  
და ახლებიც ზედ დააშენენ.  
ჩვენ ავაფეთქეთ ათასი კილომეტრი  
რკინის გზის ლიანდაგი.  
იმათ აღადგინეს ეს ათასი  
და სხვა ათასი ზედ დააშენეს.

არა ერთი ქალაქი აგვიღია ჩვენ  
და ქვა ქვაზე დაგვიდუღებია,  
იმათ აღადგინეს ეს ქალაქები  
და სხვა ბევრიც ზედ დააშენეს.

### 13. გამვლელნი პარიზის ქუჩებზე

1. გაიგე, კვირას იქნება ალღუმი  
უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.
2. მე გავიგე, რომ კვირას უცნობი ჯარისკაცის  
საფლავთან ძველი რუსული პოლკები  
ძველ ფორმაში გამონწყობილი გამოვლენ.
  1. არ მოწყინდათ ამდენი მარში? ესლა რა საჭიროა?
  2. უნდა ქვეყანას აჩვენონ, რომ ძველი რუსეთი  
ჯერ კიდევ ძალას წარმოადგენს.
    1. მაშ, ძველი პოლკები ისევ არსებობენ?
    2. ძველი პოლკები არსებობენ. მაგალითად, კრასნოვის  
კაზაკები ცხოვრობენ ერთად სიტროენის ბარაკებში.  
უნდა ითქვას, რომ პარიზში მთელი არმია არის დაბანაკებული.
      1. და ჩვენი მთავრობა ამის ნებას რთავს?
      2. ვნახოთ ჩვენ მაინც ეს სანახაობა.

### 14. გაზეთი გაიშლება

„მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა, ეს ჯგუფები  
მაინც კიდევ ერთად არიან, იცავენ თავის სამხედრო ხასიათს  
და მზად არიან, პირველ ხელსაყრელ საერთაშორისო  
სიტუაციის დროს იარაღით შეხვდენ წითელ არმიას“...

### სოციალისტური მშენებლობის ხორო

და მოვიდა ტრაქტორი სოფლებში  
და გოცდენ სოფლები.  
– შეხე, ტრაქტორია.  
– ეს ტრაქტორი თქვენ გამოგვიგზავნეთ,  
თქვენ, ჩვენო ბიჭებო, ბოლშევიკებო!  
ვნახოთ, როგორი ძალა აქვს ტრაქტორს,  
ამბობენ, რომ უფრო ღონიერია –  
ვიდრე ყველა ჩვენი ცხენები ერთად...  
და ტრაქტორმა მოხნა ველი,  
დიდებულად დადგა კვალი და ლარივით  
გაიყვანა თხრილი.

ასე დახნა ერთ დღეს ის ველი,  
წინათ ყველა გლეხი ერთ კვირას  
რომ ვერ დახნავდა თავის სახნისით.  
და მაშინ მიხვდენ გლეხები,  
რომ ტყუილათ დაუყვიათ მინა  
და რომ ერთად სჯობია  
ხვნაც და თესვაც.

## **16. კომუნა „ინტერნაციონალის“ სიმღერა**

### **1. ვინცებთ ჩვენ**

მინის ქებას.  
ჩვენ ვაქებთ  
მინის ნოყიერებას,  
ჩვენ ვაქებთ  
მის სიმდიდრეს  
ამოუნურავს.  
ჩვენ ვაქებთ  
ბედნიერებას,  
ამ მინაზე  
დაბადებისას.  
მინაზე, რომელიც  
ბარაქიანია  
და დაუღეველი  
თავის სისრულით.

### **2. მინას ადგება**

თივის ზვინები  
როგორც ხომლები.  
აბა, გვინახულეთ  
ამ ზვინებით.

### **3. ჩვენ ავაგეთ ახალი ბოსელი,**

ძველი არაფრათ ვარგოდა,  
მოვანწყობთ ზეიმს, როცა საქონელს  
ახალ ბოსელში შევიყვანთ.

### **4. კულაკო, რას ჩაფიქრებულხარ?**

სდუმს, როგორც მკვდარი,  
დე, აფურთხოს კოლხოზს,  
სოფელში მარტო არი.

### **5. ხვალ ჩამოვლენ წითელ არმიიდან**

ვადა გასული ბიჭები.

ჩვენ მივწერეთ – ბიჭებო,  
ჩამოგვიტანეთ კომუნიზმის ანბანი.

**6.** კომუნაში, ამბობენ ისინი,  
ყველაფერი საერთოა.  
მოვიდენ უცხო გლეხები,  
უნდოდათ ენახათ  
ის დიდი სამანი,  
რომლის ქვეშ თითქო  
ჩვენ ყველას გვძინავს.

**7.** ერთი მუჭა მინა  
სოველია და თბილი,  
შეახე ხელი,  
ჩვენია ეს მინა!

**8.** გამოგვიგზანეს სათესლე,  
მოდის აგრონომი,  
რომ ნახოს ნიადაგი,  
გვირჩიოს, როგორ უნდა  
მეტი დაპატივება.

**9.** ბანზე ავაშენეთ ჩვენ ანტენა,  
დავიჭიროთ ხმები,  
ჰაერში დაფრინავენ  
და ჩვენთვის მათ  
მოაქვთ ახალი სიტყვა.

**11.** სატრაქტორო სადგურზე  
ისწავლის ტრაქტორის მართვას,  
მერე ზედ დააჯდები  
და სოფელში ჩახვალ  
და მერე მინა  
დასკდება ნალვერდალათ,  
როცა გაუარს ტრაქტორით ბიჭი.

**12.** აბა, უბრძანეთ ქარს,  
მაგრა დაცხოს ხეს.  
სეტყვათ ჩამოდის  
ვაშლის ხეს ნაყოფი,  
სად არის ამდენი კალათა,  
სადაც მინვდება თვალი,  
ყველგან ვაშლებია.

**13.** როცა ადამიანმა მოსპო მონობა,  
მინაც განთავისუფლდა.  
განირობენ მთები  
და ძალა ქვებისა მოვიდენ მთიდან  
და პირველად მართლა ცისფერი  
შეიქნა ზეცა,  
პირველად ტყეც სიმწვანით  
გადაიფურცქნა  
და ფერი დაიმშვენა.  
ხორბალმა მინაში იგრძნო,  
რომ ზეცით ადამიანი და  
ჰაერი თავისუფალია  
და დაესწრაფა ზევით ამოსვლას.

### **17. მონინალმდევე ხსნის სხდომას**

– ყურადღება! ვხსნი კრებას.

მომქმედი პირნი:

პალჩინსკი – პასუხი – დახვრეტილია.

ხრენიკოვი – პასუხი – დაჭერილია.

კრასოვი – პასუხი – დაჭერილია.

სტიშნოვი – პასუხი – დაჭერილია.

რამზინი, ლეონიდ კონსტანტინეს ძე, დაიბადა 1887 წელს.

სსრკ მოქალაქე, ინჟინერი, მ.ვ.ტ.უ-ს პროფესორი,

თბოტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი.

პასუხი – აქ გახლავართ.

ლარიჩევი, ვიქტორ ალექსის ძე, დაიბადა 1887 წელს.

სსრკ ინჟინერი, სახელმწიფო გეგმის სათფობი

სექციის თავმჯდომარე.

პასუხი – აქ გახლავართ.

ბატონები:

ნობელი. დენისოვი. რიაბუშკინი. გლიასი.

პასუხი – აქ არიან.

წარმომადგენელნი:

ბატონ: დეტერდინგისა და უკვარტისა

პასუხი – აქ არიან.

საფრანგეთის გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი,  
ბატონი ჟუნვალი.  
პასუხი – აქ არის

ბატონი გენერალი ლუკომსკი  
პასუხი – აქ არის

ორგანიზაციები:  
სავაჭრო-სამრეწველოკომიტეტი,  
რომელსაც ეწოდება „ტორგპრომი“.  
პასუხი – წარმოდგენილია.

საინჟინერო ცენტრი.  
პასუხი – წარმოდგენილია

მთავრობანი:  
საფრანგეთისა. პასუხი – აქ არის  
პოლონეთისა. პასუხი – აქ არის  
რუმინეთისა. პასუხი – აქ არის

მეორე ინტერნაციონალთან კავშირი გაბმულია.  
ვინყებთ:

### **18. შოფერი სან-ლაზარის ვოკზალთან პარიზში**

როცა მე მიმყავდა  
ის ვაჟბატონი  
სასტუმროში,  
შევნიშნე, რომ  
უკან მოგვსდევდა  
მეორე ავტო,  
თანდათან გვიახლოვდებოდა  
თავისი ბრიალა თვალებით.

### **19. სოციალისტური მშენებლობის ხორო**

დიადი გეგმა შესრულდეს  
ოთხ წელიწადში,  
დიადი გეგმა განზრახული  
ხუთი წლისათვის.  
ვინც მუშაობს, მას ჭამა უნდა,  
მას უნდა ჩაცმა.  
ჩვენი პური ნოყიერია,



და ფარჩაც გამძლე.  
ჩვენ გვაკმაყოფილებს  
სამზარეულო-ქარხნები.  
ჩვენ გვახარებს  
ჩვენი კლუბების შენობები.  
წითელი არმია  
გადაცდა საზღვარს,  
ის ყველა საზღვრებს იქეთ  
მუშების გულებშია.  
ჩვენ გავამრავლებთ  
თვითმფრინავთა რიცხვს,  
ჩვენი მუშები სამხედრო შკოლებში სწავლობენ,  
ძველი ოფიცრები გადააყენეს,  
ახალი კამანდირები – მუშებია.  
ბევრი რამ სჭირია  
ჯერ კიდევ ჩვენ შკოლას.  
დამწყები შკოლის ქსელი  
გავაფართოვეთ  
ორჯერ მაინც,  
საშულო შკოლათ ქსელიც  
ორჯერ.  
ჩვენ ვუშვებით ლიკვიდაციას  
ნაკითხვის უცოდინარობის.  
ხუთნლედი იმორჩილებს  
ქარსა და წყალს,  
ხუთნლედი ასწავლის  
წერა-კითხვას.  
ღიადი გეგმა შესრულდება  
ოთხ წელიწადში,  
ღიადი გეგმა განზრახული  
ხუთი წლისათვის.

## **20. მოწინააღმდეგე**

საინჟინერო ცენტრის  
საყურადღებოთ.  
გეგმა დამტკიცებულია,  
უნდა დავაჩქაროთ  
მისი ასრულება.

ჩვენ, პარიზის ვაჭრობისა  
და მრეწველობის კომიტეტი,  
რომელსაც ეწოდება „ტორგპრომი“.  
ჩვენ, ძველი მეპატრონეები  
ნავის საბუდარის, ნახშირის მალაროთა  
და რუსეთის ქარხნებისა,  
ჩვენ, წარმომადგენელი  
საფრანგეთის, პოლონეთის,  
რუმინეთის მთავრობათა,  
ჩვენ, ბოლოს (არ დაივიწყოთ)  
საფრანგეთის გენერალური შტაბი –  
ჩვენ, სიამოვნებით გავსინჯეთ  
საიდუმლო გეგმა, რომელიც წარმოადგინა  
ბატონ რამზინმა და ლარიჩევმა  
საინჟინერო ცენტრის სახელით  
და ამ გეგმის განსახორციელებლათ  
ჩვენ ვდებთ  
მილიონ მანეთს წელიწადში.

## **21. შოფერი სან-ლაზარის ვოკზალთან პარიზში**

1. მე ვზივარ აქ პარიზში,  
სან-ლაზარის ვოკზალთან  
ჩემ ტაქსში და ვუცდი.  
კვირას იქნება ალღუმი  
უცნობი ჯარისკაცის საფლავთან,  
ჩვენ გავიართ მის საფლავთან  
ჩვენი ძველი მუნდირებით,  
ჩვენი ძველი დროშებით.  
და მე ვკითხავ  
უცნობ ჯარისკაცს:  
– უცნობო ჯარისკაცო,  
იქნებ შენ იცოდე,  
როდის დავბრუნდებით  
ჩვენ უკან, რუსეთში..?  
ყოველ დღე მიდიან  
მატარებლები მოსკოვში.  
ვარშავაზე გავლით  
მათვის დანიშნულია წასვლის დრო.  
მათვის დანიშნულია მისვლის დრო.

მათ შეიძლება დააგვიანდეთ,  
 მაგრამ ყველა მათგანი  
 მაინც მივა.  
 ამბობენ, საზღვარზე  
 ამართულია არკა  
 ნამგლით და ჩაქურჩით.  
 „პროლეტარებო,  
 ყველა ქვეყნის შეერთდით“.  
**2.** ადამიანო, რომელიც ზიხარ ჩემ ტაქსში,  
 შენ იცი, სად მიდიხარ?  
 შენ დამისახელე ქუჩა,  
 მომეცი სახლის ნომერი,  
 მე შენ იქ მივიყვან.  
 ქალი, რომელიც ზიხარ ჩემ ტაქსში,  
 ოქროს ფულს აკაკუნებს ფანჯარაზე  
 და მაჩვენებს მიმართულებას.  
 მე კი არ ვიცი, გზა ამეზნია.  
 მაგრამ მე ეხლა ვიცი,  
 მე ამ ქალსაც მივიყვან  
 თავის ადგილას.  
 ჩემი ამრიცხველი  
 ანიშნებს 200 ათასს კილომეტრს,  
 ხუთჯერ შემომიარია  
 მე დედამინის გარშემო.  
 და ადგილიდან კი  
 არ დავძრულვარ.  
 მე არა მაქვს მიმართულება,  
 მე დავდივარ უმიზნოთ.  
 ათი წელია ვზივარ აქ პარიზში,  
 სან-ლაზარის ვოკზალთან და ვუცდი..

## **22. მოწინააღმდეგე**

რუსეთიდან არაფერი კარგი არ ისმის.  
 დიადი გეგმა შესრულდება  
 ოთხ წელიწადში,  
 დიადი გეგმა განზრახული  
 ხუთი წლისათვის.  
 რუსეთიდან საძაგელი  
 ამბები მოდის.

### **23. ამხანაგი თვითკრიტიკოსი**

ჩვენ ამკარათ ვამბობთ და გაზეთებში ვბეჭდავთ.  
სამუშაო დრო ბოლომდე არ არის გამოყენებული.  
ამხანაგებმა ჯერ კიდევ არ იციან მანქანების  
კარგი მოპყრობა. ჩვენ დეპოების გარშემო  
ყრია და ჟანგდება საუკეთესო სარემონტო ნაწილები.  
ჩვენ არ გვყოფნის კვალიფიციური მუშები  
და საერთოთ სამუშაო ძალა.

ხორბალი, საქონელი, ტრანსპორტი –  
ჯერ კიდევ ვინრო ადგილებია.

საბჭოთა აპარატი მოუხეშავია ზედმეტად  
და ეს მოუხეშაობა ვნებს ჩვენ საქმეს.

საბინაო მშენებლობა ძალიან სუსტად  
წარმოებს, სოფლებიდან ხალხი

კიდევ გარბის, ქალაქები გავსებულია, არ ვიცით,  
ამ ხალხს რა ვუყოთ. სოფელში საქონელის  
შიმშილია, საჭიროა მისი მოსპობა.

ახალი მიწის მოხვნა ვადაზე ვერ სრულდება  
მძიმე ინდუსტრიაში და ქიმიურ

მრეწველობაში ჩვენი ინჟინერები საბოტაჟს  
უნყოფენ უცხოელ სპეციალისტებს.

ზოგ ადგილას არც ჩვენ ინჟინერებს უგონენ  
მუშები (ჩვენ ამას ამკარათ ვამბობთ და

გაზეთებშიც ვბეჭდავთ). ჩვენ შეგვიძლია,  
ავლნიშნოთ, რომ როცა ნაკლს მივაგნებთ,

ჩვენი საკონტროლო კომისიები ყოველთვის  
ნახულობენ საშუალებას მათ ამოსაფხვრელათ.

### **24. სოციალისტური მშენებლობის ხორო**

მოუნოდებს პოეტს შეჰქმნას პოემა ხუთწლედზე.

აბა, ამხანაგო!

დანიშნე გეგმა,

გაზომე ლექსი.

მონახე რიტმი,

მიეც გასაქანი

და მარჯვეთ სწერე.

ვერ მოისვენებ,

ვერ ნახავ ადგილს,

ვერც მყუდრო ბინას.  
სცემს მშენებლობის ბანის ბანი,  
ჟამი სასრულია  
მშენებლობის ჟრჟოლით.  
იყოს სიტყვა მკვეთრი  
და საქმე გაბედული.

## **25. პოეტი უპასუხებს**

ეს სამუშაოა  
ბევრი პოეტისთვის.  
ერთ კაცს არ შეუძლია  
ამისი შეჰქმნა.  
ცარიელია და უღონო  
ყოველი სიტყვა,  
როცა ეხება უდიდესს საქმეს.

## **26. მკითხველს**

ახალე თვალი,  
ყურთ სმენისთვის არ ჩამორჩე.  
ადამიანი თბება თავისი სითბოთი  
და იყინება თავისი სიცივიდან.  
ამავე დროს კი (და შეიძლება,  
სწორედ ახლა სწორეთ ამ წამში)  
ქვეყანა აკეთებს ისეთ ნახტომს,  
რომ სულ სხვა მხარესკენ უნდა გადავიდეს.  
სიტყვა შენ შეგეხება,  
შენ ესწრები ამ საუბარს,  
მაგრამ შენ არ იცი,  
რაზეა ლაპარაკი.  
სწორედ შენ შეგეხება.  
შენ თვითონ გესმის ეს ხმაურობა,  
უცნობი ხმები.  
ამაზე მეტს შენ ვერ გაიგებ.  
დროა ლაშქრობისა  
და შენ კი გძინავს.  
შენ არ გესმის ნიშანი,  
დრო მირბის წინ  
და შენ კი ისევ დღეებით ცხოვრობ,  
იმ დღეებით, რომელთაც ლანდი ეფარება.

## 27. წითელარმიელი ბრუნდება ფრონტიდან

– აი, დაებრუნდი ფრონტიდან  
და სიხარულით მომაგეს პატივი:  
ჩვენ წითელარმიელებმა  
დავამარცხეთ ჩანკაიშის ჯარები.  
ჩვენი არტილერია დინჯათ ისროდა.  
სწორათ და მკვეთრათ  
ჩვენი ტყვიის მფრქვეველები  
თეთრ კაზაკებს ანადგურებდა.  
და მიხარია, რომ წითელმა არმიამ,  
მუშებისა და გლეხების არმიამ, გაიმარჯვა.

## 28. სოციალისტური მშენებლობის ხორო

გათავდა შახტის პროცესი  
– ჩვენ დავამარცხეთ  
შახტინელი მავნებლები.  
გახსოვდეთ შახტინელები!  
ჩვენ საზღვარს უდარაჯებენ  
რუმინია და პოლონეთი  
კბილებამდე შეიარაღებულნი,  
აღმოსავლეთ ჩინეთის გზაზე  
შორეულ აღმოსავლეთის  
განსაკუთრებული არმიის  
წითელი არმიელები  
ნახულობენ ინგლისის ყუმბარებს.  
მალლა ტემპები,  
ლამეც ანათეთ ცეცხლით  
დონბასისა და კუზნეცკის მაღაროები.  
სამუდამო ხსენება  
დიადი გეგმის ფრონტზე  
დაცემულ ამხანაგებს.  
დიადი გეგმა შესრულდება  
ოთხ წელიწადში,  
დიადი გეგმა განზრახული  
ხუთი წლისათვის...

1932

თბილისი

## უცნობი ჯარისკაცი

### I. მაყურებელნი

ძველი რუსეთის პოლკების პარადზე  
უცნობ ჯარისკაცის საფლავთან პარიზში.

– ხუთი წამი უკლია ექვს.

მალე დაიწყება.

გაზეთებში სწერენ, ბოლშევიკებს

წარსულ ომიდან

ჩვენი მართებთ 678 მილიონი.

მოდიან!

– წყნარათ! გასწორდით!

ძველი დროშები,

დიდებული ჩვენი

ძველი პოლკები!..

– არამზადა... ქუდი მოიხადე!

– დაანევით, როგორც გსურდეთ,

სამივ მხრივ პოლიციას.

ამინდიც მშვენიერია.

ვიფიქროთ სალამოს გატარებაზე.

– ძალიან კარგი,

დაგიძახებთ ტელეფონით.

ამ ძალს ზემდეგს

ჭრილობა უკან აქვს.

მკერდი მედლებით აქვს ჩარაზმული.

ტყვია ვერც კი გაატანს...

დაიჭირეთ ეს ტიპი!..

მთელი ზეიმი წაგვამწარა,

არ არის მოსვენება

ამ ბოლშევიკებიდან.

დასდეთ გვირგვინი

მეფის ხსოვნისთვის.

გაიღვიძე, რუსეთო!..

დამოუკიდებელია უკრაინა...

კოლონების იმედიც ფუჭია.

იქ შენდება მრენველობა,

ხელფასი იზრდება,

დამოუკიდებელ უკრაინას  
კიდევ გამოადგება ჩვენი ძველი პოლკები.  
წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა,  
მე რომ მეცხოვრა ჩინეთში  
და არ მექონოდა არასდროს  
საფრანგეთში დაბრუნების იმედი.  
თუ რუსეთი ასეთი სამოთხეა,  
რატომ იქ არ მიდიან?  
ღმერთო, ნეტა წავიდენ ყველა  
ბოლშევიკები რუსეთში  
და აქ დასტოვონ კაპიტალისტები!  
თვითონ არ იციან, რა უნდათ?..  
ისმის ბარაბანის ცემა.  
მკვდარი უცნობი ჯარისკაცი  
უნდა ყვიროდეს „ვაშა“-ს...

## II. სან-ლაზარის სადგურთან პარიზში

– მე ვზივარ აქ პარიზში  
სან-ლაზარის სადგურთან  
და ვუცდი ჩემ ტაქსი...  
კვირას იქნება პარადი  
უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.  
ჩვენ გავიართ მის საფლავთან  
ჩვენი ძველი დროშებით  
და მე ვკითხავ უცნობ ჯარისკაცს:  
– უცნობო ჯარისკაცო,  
იქნება შენ იცოდე,  
როდის დავბრუნდებით  
ჩვენ რუსეთში?..  
ყოველ დღე მიდიან  
მატარებლები მოსკოვში,  
ვარშავაზე გავლით.  
მათთვის დანიშნულია,  
წასვლის და მისვლის დროც.  
შეიძლება მათ დააგვიანდეს,  
მაგრამ მაინც მივლენ!..  
ამბობენ, საზღვართან  
ამართულია კამარა



ნამგალითა და ჩაქურჩით.  
და ზედ ანერია:  
– პროლეტარებო  
ყველა ქვეყნისა, შერთდით!..

### III. უცნობი ჯარისკაცი

– როცა ვერდენთან გერმანელებმა  
გამოუშვეს მხრჩოლავი გაზი  
და მე თხრილში ნავიქეცი დასახიჩრებული,  
მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთ პატივს მცემდენ.  
და მთელ ქვეყნის წინ გამომარჩევდენ,  
რომ საწყალ უცნობ ჯარისკაცს შუა პარიზში  
ასეთ საფლავში გამომჭიმავდენ.  
რესპუბლიკის პრეზიდენტმა  
თავისი ხელით დაადვა ჩემ კუბოს  
საპატიო ლეგიონის ორდენი.  
წარჩინებული გენერლები  
ჩემ გარშემო ფუსფუსებდენ,  
უნდოდათ კარგად მოვენწყვეთ საფლავში.  
ათი წელი ვინექი წყნარათ,  
არ გავნძრეულვარ.  
ვინექი ჩემ მუნდირში გამოჭიმული.  
მე ვყვიროდი ვაშას,  
როცა ჩემ ახლოს  
მოდიოდენ პოლკები  
და დროშებს ძირს ხრიდენ.  
ათი წელი ერთგულად  
ვიმსახურე მინაში.  
ბევრმა წყალმა ჩაიარა  
ვერდენთან ომის შემდეგ,  
როცა თხრილებში დავძვრებოდი  
მხარზე თოფით  
და ხელის ყუმბარებს ვიმზადებდი.  
ბევრმა წყალმა ჩაიარა  
მას შედეგ, რაც მე,  
უბრალო ზეინკალმა,  
სამობილიზაციო უწყება მივიღე  
და რუხ ფორმაში გამომანყვეს.

სადგურზე თოფებით  
მიგვქონდა ყვავილები.  
პირველად დავიხურე ფოლადის მუზარადი,  
სურათიც გადავიღე,  
რადგან ქუდი მშვენოდა,  
ეხლა მე მგონია,  
რომ დრო მოვიდა  
(ზევით ბარაბანი სცემს),  
საფლავიდან ამოვიღე  
და გავიხედო ჩემს გარშემო.  
გავიგო, შემდეგ რა მოხდა?..  
მე მგონია, არ მოვტყუვდები,  
თუ ვიტყვი, რომ ისევ  
ომია გარშემო.  
და უცნობ ჯარისკაცს  
არ შეუძლია, თავი დააღწიოს.  
მეცა და სხვებსაც  
დრო გვეყო საფლავში,  
ამაზე გვეფიქრა.  
დროც არ დაგვიკარგავს.  
ცოტა არ გვინახავს,  
ცოტა არ გვსმენია,  
რაც ცოცხლებისათვის დამალულია,  
ჩვენ არ გვქონდა საშუალება  
ომის დავინწყების.  
ომის დამწყებთა დამნაშავე სახელები  
ჩვენი ხსოვნიდან ჯერ არ ნაშლილან.  
ასე რომ, როცა მე ავდგები კუბოდან  
და თქვენ გამოგეცხადებით,  
ნუ ელით მადლობას  
იმ პატივისცემის, რომელიც მეცით.  
მე არ შემიძლია, პატივითვე გადაგიხადოთ.  
არ შემიძლია, ვიყო მადლობელი,  
რომ მთელ ქვეყნის წინ გამომაჩინეთ,  
და უცნობ ჯარისკაცს პარიზში მომეცით  
დიდებული საფლავი.  
მე მინდა, ვაუწყო  
ჩემ უთვალავ ძმებს,

და იყოს ეს ჩემგან მოტანილი ხმა  
ყველას გასაგონი, ვისაც ეხება და  
იმოქმედონ ამ ხმის გავლენით!..

#### **IV. სან-ლაზარის სადგურთან პარიზში**

ადგა საფლავიდან  
უცნობი ჯარისკაცი  
და შეხედა ცხენს.  
გაფრინდა ველათ სულ პირდაპირ...  
ცხენი ყალყზე დგებოდა  
და ამ ველზე ისე აიმართა,  
თითქო მაღალ ცას სწვდებოდა.  
უცნობ ჯარისკაცს  
უკან მისდევდენ  
სხვა უცნობი ჯარისკაცები.  
და იყვენ ისინი ათასი, ასი ათასი...  
იმათ გაცურეს დონი,  
და მერე ზევით  
აუყვენ დნეპრს.  
მაგრამ დავაკვირდი  
და შევხედე, ისინი ჩემზე  
იერიშით მოდიოდენ  
და ხმლებით მეცენ...

#### **V. უცნობი ჯარისკაცი ადგა საფლავიდან და დადის პარიზში**

– არ არის ადვილი  
პირინეის მთებზე გადასვლა,  
როცა იქ თოვლია.  
მაგრამ მაინც შეხვდები იქ ქოხს.  
და ქოხის პატრონს  
შეიძლება არაფერი  
ჰქონდეს სანინაალმდეგო,  
შენ იქ დაისვენო, ღამე გაათიო!..  
ბევრათ ძნელია,  
უცნობ ჯარისკაცმა  
პარიზში ნახო თავსაყუდელი,  
თავშესაფარი...

აქ სახლებიც შეუცვლიათ  
ძველი ნაცნობებიც აღარ არიან!..  
გამოვიკითხე აქეთ-იქეთ და გზა ვიპოვე,  
ჩამოუარე ყველა დიდ ბატონს  
და დიდ გენერლებს.  
მე ჩემ საფლავში ხშირათ მსმენია  
ალტაცებული მათი სიტყვები,  
მაგრამ კარები გამომიხურეს,  
მითხრეს, საფლავი დიდებული გაქვს,  
და რად გინდა გახრწნილ ლეშათ  
აქ რომ დაძრწიო!..  
რუქებს უჯდენ. დროშებს ალაგებდენ.  
და სამხედრო თამაშით ართობდენ თავს...  
შემოდგომის სუსხში დავძრწოდი ქუჩებში,  
და შევხედე კაცს, რომელიც მიწაზე იჯდა,  
მე მგავდა ძალიან!..  
არღანზე უკრავდა და გამვლელს უწვდიდა  
თავის მოტეხილ ფეხს.  
მაგრამ გამვლელნი არც კი ხედავდენ,  
განზე დგებოდენ.  
აბა, რა მითხრა იმ ჯარისკაცმა,  
მიწაზე რომ იჯდა?..  
მითხრა განა რამე  
ჯარისკაცის მყუდრო ბინაზე,  
რომელიც მას მოუწყვეს  
მტრების დამარცხების შემდეგ?  
დამისახელა საჩუქრები,  
რომელიც მათ დაურიგეს?  
განა სტიროდა ის მაღლობის ცრემლით,  
რომ შრომა დაუფასეს?..  
მან წამიყვანა თავის სახლში  
და გამიღო თავის ოთახი.  
რომელიც უფრო ვიწრო იყო,  
ვიდრე ჩემი საფლავი.  
მთხოვა დაჯდომა ცარიელ სუფრასთან,  
მომიჭრა გამხმარი პურის ნატეხი  
და დაწვრილებით მომიყვა ყველაფერი,  
რაც მას შეემთხვა,

და რაც მე ისედაც კარგად ვიცოდი.  
არაფერი დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ  
დავბრუნებულყავ, საიდანაც წამოვედი.  
რეკომენდაციებით ადგილს ვერ იშოვი!  
და ოთახიც ძალიან ძვირია.  
ბედნიერი ვიქნები მართლა უზომოთ,  
თუ ჩემი საფლავის ბინაც  
არ არის დაკავებული  
მკვდრები უკეთესად ცხოვრობენ  
თავიანთ საფლავებში,  
ვიდრე ცოცხლები, რომელნიც  
მინაზე კიდევ ღოღიალობენ...  
ასე გამოვედი მე ქალაქიდან,  
ქალაქი კი იყო გაჩაღებული.  
მაშინ მომესმა გაზის შიშინი,  
და ყუმბარების ყრუ ქუხილი  
და გავიგე, რომ ომი დაწყებულა.  
უზარმაზარი ცეცხლის ალი  
ადგა ქალაქებს და ბნელს ებრძოდა.  
და ის წყვდიადი მე რომ მეხვია,  
ქალაქიდან გამოქცეულ ხალისით იყო სავსე.  
მათ თან მოჰქონდათ  
მონამლული ჰაერი,  
მათი ფილტვები სდუღდა.  
აღმება მაშინ სათქმელად ენა  
და ვსთქვი ეს სიტყვა.  
არავის ეგონოს, რომ უცნობი ჯარისკაცი  
საფლავში იწვეს და არაფერს ამბობდეს.  
ტყუილად იფიცებენ მის სახელს  
ჰგონიათ, რომ მკვდრები  
საფლავებიდან არ სდგებიან!..

## **VI. უცნობ ჯარისკაცს მოაქვს ამბავი**

– მე მესმის ომი,  
მესმის ომის ყიჟინი.  
იმიტომ კი არ ვინექი  
საფლავში, რომ როცა  
ამოვიდოდი, ხელმეორეთ  
დამეხურა ფოლადის

მუზარადი ყუმბარების ნატეხებიდან,  
ანდა მხრჩოლავი გაზით  
მესუნთქა მოშხამულ ჰაერში.  
ამიტომ არ ავმდგარვარ  
მე საფლავიდან!..  
მაშ, რისთვის?  
არამედ მისთვის, რომ ჩემი დიდი ხნის  
მყუდროებაში გამეგო, რა ხდება აქ ზევით  
და არ გავჩუმებულიყავი,  
როცა დრო დადგებოდა.  
მოვიდა დრო, ადამიანი ჩადგეს რიგში!..  
მე მოვუნოდე უცნობ ადამიანს  
და მივმართავ მას:  
– ჩასდეგ მწყობრში!..  
გამოდი ჰაეროდრომზე!  
გარშემო გაიხედე!  
გასაფრენად გამზადებულან  
ყუმბარების მზიდავეები.  
დაბლა ყუმბარები შემოუმბიათ.  
ისინი სავსე არიან უცნაურ სითხით,  
და როცა გასკდება ღრუბელათ იქცევა.  
გაზების წვიმათ ჰაეროვანათ და უჩინარათ.  
და ეს წვიმა დაეცემა ხალხს და ქალაქებს.  
წყალი მოინამლება, ტყეები გახმებიან,  
ეს თეთრი თოვლი გაახმობს ყველაფერს.  
ის ჩუმათ მოდის წინ  
და თავის კერძს ჟღენთავს  
მას არ აქვს გემო, მას არ აქვს სუნი.  
კედლებში გასდის, მიწას ხვრეტავს  
და დაგეპკურება ნამათ...  
წადი ქარხნებში, მიხედე დაზგებს.  
იქ ყუთებს უკეთებენ შტამპებს.  
მის გვერდით კიდევ ხიშტებს ლესავენ.  
წადი, სადაც გინდა,  
სამობილიზაციო გეგმა მზათ არი.  
შენი სახელი – სიაშია.  
შენ პირველ დღესვე გაგიძახებენ.  
უცნობო ადამიანო!

ჩასდექ, მწყობრში!..  
უცნობო ადამიანო!  
შენ იმიტომ არ დაბადებულხარ,  
რომ ოქრო აგროვო ომის ველებზე.  
შენით რომ გააძლო ჭიები,  
ეს ხომ მართლა მოუთმენელია!..  
ქვეყნის ბატონებს  
ემინიათ, რომ შენ მათთან  
ახლო არ მიხვიდე.  
თავის სასახლებთან  
მათ მოაწყვეს მყუდრო ადგილი,  
მათ რკინის სინები გააბეს,  
რომ თავს უშველონ,  
თქვენ არ მიგიკარონ!..  
და სიმშლს თავი დაახნიონ!..  
ჯუნგლებში იბადება ქარიშხალი,  
ის მიჰყვება იან-ძი-ძაუს,  
ის დაჰქრის სიმიდის ყანებში.  
ქარიშხალი დაადგა ჩიკაგოს  
და შემოერტყა ცისტოლა სახლებს.  
ის მიჰქრის უდაბურ ტყეებში  
და ჭაობებს ამბოხებს გრან-ჩაკოში.  
ეს ქარიშხალის ზონებია!..  
ქარიშხალზე ჰყვირიან ინდო-ჩინეთიდან,  
ქარიშხალი გრიალებს ბუდაპეშტის ქუჩებში,  
ქარიშხალია – ბერლინის თავზე,  
და ბალკანეთში ბარომეტრი  
ქარიშხალს უჩვენებს!..  
ქარიშხალი დაყფავს  
ხელფასის ცარიელ კონვერტებიდან  
„ქარიშხალი“ ანერია  
ყოველ მუშის ნიგნაკს.  
ქარიშხალი მოჰყვება  
ყოველ მუშის სამუშაოდან დათხოვას.  
ყველა, ვინც შიმშილობს,  
ყველა, ვისაც სამუშაო არა აქვს  
თავის თავში ატარებს  
ქარიშხალის ნატეხს.

და მილიონებია ქარიშხალის მატარებელნი.  
ადამიანი, რომელიც დაეცა მწყობრში,  
როგორც გრიგალი წინ უძღვის მწყობრს  
და იმღერის ქარიშხალის სიმღერას.  
უცნობი ჯარისკაცი მიდის  
მწყობრის წინ როგორც დროშა!  
აბა, ჩააქრეთ ეს ქარიშხალი  
თქვენი ზეთის სისტემით,  
თქვენ, ქარიშხალის ჩამყენებელნი!  
გამოიყვანეთ გარაჟებიდან  
თქვენი ჯავშნოსნები  
და უბრძანეთ ქარიშხალს:  
– ჩასდექ, გრიგალო!..  
ქვეყანა მოიცვა გრიგალმა.  
ნუ თუ ამ ერთხელაც  
არ ჩადგება ეს ქარიშხალი?..  
ფართო ბეჭიანი, ძარღვიანი  
ის ზეიმობს მოედნებზე  
ის შემოიჭრება თქვენ  
დოვლათივით გატენილ სახლებში.  
რას ელი, უცნობო ადამიანო?  
ჩადექი მწყობრში!..

## **VII. მოწოდება იმ ამხანაგებისადმი, რომელიც მუშაობს საბჭოთა კავშირის გარეთ!**

– საშინელი იყო  
ხალხის ხრიალი 1914 წელს.  
ავვისტოს დღეებში,  
როცა ხალხს ომი დაეუფლა.  
უფრო საშინელი, ვიდრე „ვაშა“-ს ძახილი,  
იყო ის ფხიზელი სიგიჟე ომის დამთებთა,  
რომელიც მოდიოდენ  
და წინდანინ ითვლიდენ  
ომის მოგების სიმდიდრეს  
– მაგრამ ყველაზე საშინელი  
იყო ლოზუნგი, რომელიც ისროლეს  
მუშათა ბელადებმა:  
„სამოქალაქო მშვიდობა“.



გადაადგდე შორს გაზეთი,  
 გამარჯვების ამბავი  
 შენ არ გათრობს.  
 შენ კარგად იცი, რაც ამბავია!..  
 შენ გაიცანი გამცემლობა,  
 შენ წინადადება შეიტანე  
 – ისინი პარტიიდან გაეყარათ,  
 მუშათა წრიდან გაეყარათ.  
 შენ ეძებდი გამოსავალს.  
 – ომი ომს – ნახე ლოზუნგი,  
 იმპერიალისტური ომი  
 უნდა შეიცვალოს  
 სამოქალაქო ომით!..  
 შენ გაზომე უფსკრული  
 შენსა და უფროსებს შორის,  
 აილე ხელში თოფი  
 და ჩახმახი არ გადაგიტრიალებია.  
 შენ ყვიროდი:  
 – გაუმარჯოს ლიბკნეხტს!  
 – გაუმარჯოს როზა ლუქსემბურგს!  
 და როგორც სიტყვა  
 – აა, გვეღირსა!..  
 წამოიძახე სახელი – ლენინი.  
 შენ დაბრუნდი ფრონტიდან,  
 შენ ცეცხლი დაუშინე  
 რევოლიუციის მტრებს.  
 მაგრამ შენი ცეცხლი სუსტი იყო,  
 რევოლიუციის მტრები  
 უფრო ძლიერი ცეცხლით შეგხვდენ.  
 ველარ დაგაჩოქეს,  
 შენ ფეხზე დგეხარ აქამდე.  
 ჯერ შენი ხელი თოფის ცხელ ყელს არ ეხება,  
 შენ ქარხანაში ხარ  
 დაბალ სამუშაოზე.  
 შენ დაბლიდან აშენებ ფრონტს,  
 უჯრედს უჯრედზე.  
 ამხანაგო, რომელიც  
 მუშაობ საბჭოთა კავშირის  
 გარეთ – მე გეუბნები:

– შენ იყავი ჩვენთან,  
როცა 17 წლის ოქტომბერში  
ჩვენ ვანყობდით აჯანყებას  
კრეისერ „ავრორაზე“,  
შენ ზარბაზნთან იდექი.  
როცა მასები იღებდენ კრემლს,  
და ზამთრის სასახლეს,  
როცა მასები თავისი წრიდან  
საბჭოებს ირჩევდენ,  
შენ გვაძლევდი ჩვენ ძალას  
დენიკინის, კოლჩაკის წინააღმდეგ.  
როცა ვრანგელი  
ჩვენ ზღვებში გადავისროლეთ,  
ფეხშიშველი, გახსნილ იარით  
შენ ჩვენ მწყობრში იბრძოდი  
და ჩვენი დამტყვევული ვინტოვკები  
იაპონიის კარაბინებს სჯობდა.  
ჩვენი ხელები უფრო შორს წვდებოდენ,  
ვიდრე ინგლისის  
გემების ზარბაზნები.  
ჩვენი დანაშაულები თვითმფრინავები  
უფრო უძლებდენ ჰაერს,  
ვიდრე ესკადრილია  
მონოპლანებისა და ბიპლანების,  
რომელნიც ჩვენ წინააღმდეგ  
თეთრმა შტაბებმა  
გადმოაფრინეს.  
ამხანაგო, შენ იყავი ჩვენთან  
მაშინ – როცა ჩვენ  
ვიხილავდით სოციალისტურ  
მშენებლობის ხუთწლედს.  
ჩვენ შენ გაჩვენეთ ყველა პროექტები  
და შენც იმათ ხმა მიეცი.  
შენ გვშველი ჩვენ საზღვარგარედ მუშაობაში.  
შენ ჩვენთან ხარ  
კოლექტივიზაციის დროს  
და ახალ ქალაქების  
საფუძველის ჩაყრის დროსაც.

შენ ჩვენთან მუშაობ  
იმ მუშაობით, რომელსაც  
შენ ქვეყანაში ეწევი.  
შენ ჩვენთან ხარ  
შენი ალფროთოვანებით,  
შენი რწმენით,  
ჩვენი საერთო საქმისათვის.  
ეს, ამხანაგო, ძალიან მნიშვნელოვანია.  
ამხანაგო, ეს ამბავი  
არ დაივიწყო.  
– ამხანაგო, შენ მუშაობ  
საბჭოთა კავშირის გარეთ!  
– შენ ქუდზე ბრწყინავს  
ხუთქიმიანი ვარსკვლავი.  
და მაგრად უჭირავს  
შენი სახე მის ღვედს.  
ამხანაგო, შენ მუშაობ  
ჩვენ საზღვრებს იქეთ,  
მაგრამ შენ იცი ჩვენი საზღვრები.  
ჩვენი ქვეყნის საზღვრები  
ისე არ არი დახლართული,  
როგორც სხვა ქვეყნის საზღვრები.  
არც ერთი ქვეყნის წინ  
ისინი უკან არ დაიხევენ.  
ამხანაგო, რომელიც მუშაობ  
ჩვენ ქვეყნის საზღვრების გარეთ,  
– წითელი არმიის  
სამობილიზაციო ბრძანება  
შენც მოგივა.  
– დიადი გეგმა  
შერულდება  
ოთხ წელიწადში.  
დიადი გეგმა განზრახული  
ხუთი წლისათვის.

30 მარტი, 1932

## ლუი არაგონ

### ნითელი ფრონტი

#### 1.

– ასიამოვნეთ, ცოტა ჩემ ძაღლსაც,  
დაუსხით მასაც შამპანიური!  
Bien Madame! –  
ჩვენ ვზივართ მაქსიმთან  
ათას ცხრაასის წელია ოცდაათი.  
ბოთლები ნოხებზეა დალაგებული,  
რომ არ შენუხდეს მათი  
არისტოკრატიული საჯდომი.  
ნოხები, ნოხები, ყველგან ნოხები,  
რომ არ ისმოდეს „კაცო“-ს ფეხის ბაკუნი.  
სასმელებს სვამენ ღეროებიდან,  
ზედმეტი გაფრთხილების და  
თავაზიანობის პერანგიდან  
ამოღებულია ეს ღერო.  
სიგარას იფარავს მუნდშტუკი,  
შენელებულია მოტორის ხრიალი,  
მებარგისა და ფოსტალიონისთვის  
უკანა კარია შემოსავალი.  
პაკეტებს გარს არტყამს  
ქალაღდის ნისლი –  
და ამ ნისლს კიდევ გარეთ კანი აქვს.  
ვინ ზოგავს ქალაღდს?  
უფასოა, ყველასთვის მუქთი,  
ღეროც უფასოა და ქალაღდის ნისლიც.  
შამპანიურიც თითქმის მუქთია,  
ან და რაღაც გროში თუ ღირს.  
საფერფლევ რეკლამაა – სურათის ჩარჩოც.  
რეკლამაა ფერების გამმა.  
რეკლამაა სანათის ალი.  
რეკლამაა ბოა ქალებზე.  
და თვითონ ეს ქალბატონიც რეკლამა არი.  
კბილის სანმენდი – რეკლამაა.  
რეკლამაა ქარი, მარაო.

თუ დაიჯერებთ, სანტიმიც არ ღირს.  
და ამ „არც სანტიმისთვის“  
ცოცხალი ხალხი თქვენ მოგართმევს  
ფორმების პროსპექტს:  
– წაიღეთ, მუქთათ!..  
პროსპექტიც მუქთია და  
ხელი, რომელიც განვდის,  
ისიც უფასოა, კარის დახურვისთვის  
ნუ შენუხდებით, ამისთვის არი „ბლუნდი“,  
და თავის თავზე იღებს ამ შრომას.  
ყველაფერს ადევს სინაზის იერი:  
თვით კიბეებსაც უზარმაზარ მაღაზიებში,  
თავდავინწყებით ზემოთ რომ მივლენ.  
და დღე ფეტრაზე უფრო რბილია,  
ადამიანი ნისლზე მჩატეა,  
სინათლე – ბამბაზეა გაპენტილი.  
ბაზრობის არ ისმის ხრიალი  
ყველაფერი თავის რიგზეა.  
– „ცერცვი ძალღისთვის“.  
ახ, ჩემო კარგო, ჯერ იმის ქირი არ დამართია.  
აი, საათები, პატარა საათები,  
ისმის ჩხარუნი და ტიკი-ტაკი.  
რამდენ პატარძალს თქვენზე ფიქრათ  
ძილი გაკრთომია?  
აი, სავარძელი მეფე მზე ლუის,  
შეიძლება იყიდოთ ერთი წლის შეღავათით.  
სასაფლაოზედაც ამ ზეთის ქვეყნის  
გულადი მამაკაცები ისე არიან გაჭიმული,  
როგორც საფლავებზე მარმარილოს ძეგლები.  
ნიშები – თითქო ბუხარია.  
რა ღირს წელს ქრიზანტემა?  
აუარებელი ფული იხარჯება  
მიცვალებულთა ყვავილებზე.  
გამოჩენილ მოცეკვავე ქალზე  
და ხანდახან იდეალებზედაც.  
ქველმოქმედ ქალთა შავი კაბები ჰგვიან კიბეებს.  
წარმოიდგინეთ გრაფინია კანონიერ მონყალების  
საზღვარს გადაცდა!..

სულ ერთია ამ ხალხისგან  
აბა, მადლობას ვინ ეღიროსება?  
მაგალითს ითხოვთ?  
– ბოლშევიკები!..  
და რუსეთი უბედური და სანყალი.  
– იუ რესეს, ან მათი თქმით ს.ს.რ.  
– ეს-ეს? რა არის ეს ეს-ეს?  
ესესერია, ჩემო კარგო.  
წარმოიდგინეთ ესესერი.  
გინახავს წითელდროშობა ჩრდილოეთში?  
– მე ვნახე ბერგი და პარი-პლიაჟი,  
მაგრამ არ მინახავს წითელი პლიაჟი ესესერ.  
– ესესერ, ესესერ, ესესერ!..

## 2.

როდესაც ხალხი მოდიოდა გარეუბნებით  
რესპუბლიკის მოედანზე აჯანყებისთვის.  
როცა მუშტივით იყო მოღერილი  
დემონსტრაციების შავი ნიაღვარი.  
ვიტრინების თვალები ფარდებს უშვებდენ,  
რომ არ დაბრმავებულიყვნენ  
მომავალი კოლონათა ელვისაგან.  
მე მახსოვს ცხრაას ექვსის მაისი,  
როცა შიშისაგან დაიჟანგა ოქროს სალონები.  
მშობლები შკოლებში ბავშვებს არ უშვებდენ  
ამ გარეუბანში, სადაც ძლივს ამოდიოდა  
შორეულ რისხვის გრიგალის ტალღა,  
მე მახსოვს ფარერის დემონსტრაცია,  
როცა ესპანეთის საელჩოს  
შავი მელანის ბოთლი ესროლეს  
და მიადაღეს შავი ყვავილი.  
პარიზო! გახსოვს ეს კვირეები?  
გახსოვს ჟორესის დამარხვის პროცესია?  
საკოს და ვანცეტის ბრბოთა ნიაღვარი?  
პარიზო, შენი ქუჩა ბანდები  
ყველა ნესტოებით ათრთოლებულა.  
შენი ქვები აფეთქებისთვის მზად არიან!  
შენი ხეები ბარიკადებათ დაწოლას ელიან!

მაშ, შეარხიე დიდი ბჭეები  
 – ბელვილ!  
 – ო, ბელვილ და შენც სან-დენო!  
 სადაც წითელთა ტყვეობაში  
 სძინავთ მეფეებს.  
 – აბა!  
 – ივრო, ჟაველ, მალაკოვ!  
 – მოუხმეთ ყველას აქ თავის ბარგით,  
 ქალებო, ჩვენი უბნებისა!  
 ბავშებო, ჩვენთვის ამბის მომტანო!  
 კაცებო (ჯერ კიდევ შრომით დაღლილს  
 თვალები რომ გიბრწყინავთ).  
 – იარაღს ვნახავთ მაღაზიებში,  
 ავტო – ბურჟუას სახლის წინა სდგას.  
 და როგორც ლერწამს, ისე მოვლუნავთ  
 ჩვენ ფარნის სვეტებს.  
 სკამები, კიოსკები, ხეები – აცეკვდენ,  
 მოვსპოთ ფარაონები!  
 დავხოცოთ აჟანები!  
 და ასე აღმოსავლეთისკენ,  
 აღმოსავლეთისკენ,  
 სადაც სძინავთ ბურჟუას ბავშებს,  
 და პირველ ხარისხის როსკიპებს.  
 წინ მაგდალინელის ტაძრისკენ, პროლეტარიატო!  
 შენი რისხვა დაშლის ელიზეს.  
 წინ გადაღობე ასფალტის ველი,  
 იქნება დღე და ავაფეთქებთ ტრიუმფის არკას.  
 იცოდე შენი ძალა, პროლეტარიატო!  
 იცან შენი ძალა და მიეც გასაქანი!  
 ის უცდის, როცა დღე დადგება, უყურეთ მკვეთრათ,  
 ისმინეთ გრგვინვა, რომელიც მოდის  
 ხალხით გატენილ ციხეებიდან.  
 ის უცდის, როცა მისი დღე მოვა,  
 მისი საათი, მისი წამი და მისი წუთი,  
 როცა სასიკვდილო იქნება დაკვრა!..  
 და ისე სწორათ დაარტყამს ტყვია,  
 რომ ყველა სოციალ-ფაშისტ-დოქტორები  
 მსხვერპლთა გვამებზე დაყუდებულნი,

რამდენიც უნდა სძებნონ იარა,  
რამდენიც უნდა სინჯონ გული –  
ვერ მონახავენ მოსარჩენ წამალს  
და ხელები აჯანყებულთა  
პირით კედლისკენ დააყენებენ.  
ცეცხლი ლეონ ბლიუმს.  
ცეცხლი ფროსარს, ბონკურს და დეას,  
ცეცხლი სოციალ-დემოკრატიის  
მეცნიერ ტურებს.  
ცეცხლი და ცეცხლი!..  
– მე ვხედავ სიკვდილის გარებას.  
სიკვდილი აცხრება გარშემოს.  
და მე გეძახით – ცეცხლი მაგარი,  
რომელიც იცის კომუნისტების პარტიამ,  
საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ.  
ხელი გედოთ ჩახმახებზე,  
რომ მე კი არ გეძახდეთ  
– ცეცხლი!  
– არამედ ლენინი.  
ლენინი, რომელმაც იცოდა,  
აჯანყების საათის ამორჩევა...  
კლერვიოდან ისმის ხმა,  
რომელსაც ვერავინ ვერ გააჩუმებს,  
მასსების ხმის გაზეთია,  
კედლის სიმღერა...  
რევოლიუციონური სიმართლე  
მოდის სალაშქროთ.  
სალამი მარტის, შავი ზღვის მემამბოხეს.  
ის კიდევ იქნება თავისუფალი.  
არ შეიძლება ბრძოლის სიმბოლოს  
ციხეში ჩახრჩობა.  
არ შეიძლება არასდროს,  
აბა, დაცხეთ!  
თვითონ ეს ხმაც იმას ლაღადებს,  
რომ ხალხს ბურთს პირში ვერავინ ჩაჩრის.  
არ შეიძლება ხალხის დამშვიდება  
ჯალათის მრუდე დანით.  
ყვითელო ძმებო,



თქვენთვის არის ეს ჩვენი ფიცი,  
 თქვენი სიცოცხლის ყველა წვეთისთვის  
 ჩვენ ვუპასუხებთ ვარენთა სისხლით.  
 გესმოდეთ მოთქმა სირიელების,  
 რომელთაც სჯიან მესამე რესპუბლიკის  
 ავიატორთა ყუმბარებით.  
 გესმოდეთ ძახილი მაროკოში დახოცილთა,  
 რომელთა არც სქესი, არც ასაკი არ არი ნაჩვენები.  
 კბილების ხრჭენით, ვინც ელიან  
 სამაგიეროს გადასახდელათ,  
 ეხლა მღერიან ამ სიმღერას, რომელიც აქ სტვენს.  
 ეს სიმღერაა – ეს-ეს,  
 სე-რე – გულს დაღავს ეს-ეს,  
 სე-რე – აეროს ქროლვაა ეს-ეს,  
 სე-რე – და ცათა სიშორე.  
 ეს-ეს-სერეა ეპოქის სუნთქვა,  
 ოქტომბრის ბრწყინვალეობა.  
 მოვა დრო და ყველგან იქნება  
 ეს-ეს-ეს-რე...  
 საბჭოთა რესპუბლიკების  
 სოციალისტური კავშირი.

### 3.

იფშენებიან გიპსის სტატუეტკები  
 ძველებურ სახლების დამჭკნარ ყვავილებში.  
 უკანასკნელი ხელსახოცები,  
 უკანასკნელი განჯინები  
 კიდევ ანიშნებენ უცნაურ  
 სიცოცხლეს მუქთახორებისას.  
 ბურჟუაზიის ქიის განყვეტილი წელი  
 სცდილობს გამართლებას.  
 ეს არის კონფულსია კლასის აგონია.  
 საგვარეულო ტრადიციები  
 იქცენ ნამსხვრევებათ,  
 ფეხი დააჭირეთ გაღვივებულ გველს.  
 სახლი დაანძრით – დე, ჩაის კოვზები  
 ბალღინჯოსა და ძველმანებს თან გადაყვენ.  
 ოხ, რა ტკბილია, რა ტკბილია ოხვრა და მოთქმა,

რომელიც მოცოცავს ნანგრევებიდან.  
 მე დავესწარი ამ ქვეყნის დანვას,  
 რომელსაც გაუვიდა თავისი ყავლი.  
 ვარ ბედნიერი, ვტკბები უზომოთ,  
 როდესაც ვუმზერ ბურჟუაზიის  
 ეშაფოტზე ასვლას,  
 ნეტა თუ ყოფილა სადმე ნადირობა  
 ამაზე მომხიბლავი,  
 ვიდრე ნადირობა იმ ქიებზე,  
 რომელნიც იმალებოდენ ყველა  
 ქალაქების ყველა კედლებში?  
 მე ვუმღერი სასტიკ უფლებას,  
 როდესაც ბურჟუაზიას  
 სჩაგრავს პროლეტარიატი.  
 მე ვუმღერი ბურჟუაზიის ლიკვიდაციას.  
 ხელისუფლებას, რომელიც სპობს ბურჟუაზიას –  
 ეს არის ყველაზე მომხიბლავი  
 ძეგლი მოედანზე –  
 ყველაზე უცნაური ძეგლთა შორის  
 ყველაზე უფრო წვრილი და საოცარი  
 არკა, რომელიც ედარება წვიმის პრიზმას,  
 ისიც კი არაფერია.  
 იმ ქაოტიურ გასაოცარ ნანგრევებთან,  
 რომელსაც დინამიტი აუგებს ეკლესიას.  
 – ერთი სცადეთ, რა დიდებულია!  
 ასე თხრიან ნიჩბით ძველ მოთმინებას,  
 თხრილები – სიმღერაა ახალი გზების,  
 ხალხი და კედლები ძველ ეპოქათა  
 ელვის ისრებით დაცხრილულია.  
 სროლის ხმა აძლევს პეიზაჟს ისეთ სიხარულს,  
 რაც ჩვენ წინათ აღარ გვინახავს.  
 – ასე ხვრეტენ ბატონ მავნებლებს.  
 – სიკვდილი ყველას, ვინც ოქტომბრის  
 გამარჯვების წინააღმდეგ იბრძვის.  
 სიკვდილი ხუთწლედის მავნებლებს!  
 თქვენ, ახალგაზრდა კომუნისტებო,  
 გაგავეთ, რაც დარჩა ძველი ნაგავი,  
 რელიგიის ყველა ობობა.

დიდ მშენებლობის მოხალისენო!  
 ნუ დაინდობთ ძველ ქვეყანას,  
 თავი გაუჩიქვეთ ცოფიან ძალს.  
 აუჯანყდით მოხუც პაპებს,  
 შორს თქვენგან ღამე, შავი ჭირი, ძველი ოჯახი.  
 თქვენ ხელში აგყავთ ჩვილი ბავში  
 ჯერ აქამდე უნახავი ყრმა.  
 ჯერ კიდევ ენა არ ამოუდგამს,  
 მაგრამ მან იცის მაინც სიმღერა  
 ახალი ქვეყნის და ცხოვრებისა,  
 ხელიდან სხლტება და გაიქცევა, იცინის კიდევ.  
 ვარსკვლავი ფამილიარულათ მინას ეცემა.  
 ვარსკვლავნო, დაწვით შენ ჩემობა,  
 რაც დარჩენილა იმისგან ლეში.  
 ცემენტის ყვავილები, ქვის მინანქრები,  
 ფოლადის პალმის ფურცელი!  
 ვის ესიზმრებოდა ასეთი გაზაფხული?  
 გიგანტიური გამოჩნდენ ყვავილები:  
 – ეს არის – ბაგები, სამზარეულოები  
 25 ათასს კაცის სადილისთვის.  
 სახლები, სახლები – როგორც მზის უმზირა.  
 კლუბები – ამოვიდენ იონჯასავით.  
 გზები იქსოვება, როგორც ყელსახვევი  
 და ვანების ოთახებს აწყდება განთიადი.  
 ათასი მერცხალით გამოცხადდა –  
 სოციალისტური მაისი.  
 ველებზე შეიქნა სასტიკი ბრძოლა  
 ჭიანჭველების და მგლებისა.  
 ტყვიის მფრქვეველით ვერ შეხვალ ომში  
 ძველ დამყაყებულ რუტინის წინააღმდეგ.  
 მაგრამ ხორბალის ოთხმოცდაათი პროცენტი  
 კოლმეურნეთა მარქსისტულ ყანიდან მოდის.  
 ახალი გოლიათები ღეჭავენ თავთავებს,  
 ველებს მოდებია ყაყაჩო – დროშები.  
 სიტყვა „უმუშევარი“ აქ ნაშლილია,  
 იბრძვის ჩაქური – ბრიალებს ნამგალი.  
 ეს ჩაქური და ეს ნამგალი  
 ეს-ეს-ესერია.

ჟრიაბულით ივსება ჰაერი  
 ესესესერის.  
 მჭრელია თვალი ესესესერეს  
 რევილიუციის.  
 ეს არის კულაკის განადგურება  
 ეს-ეს-ესერე.  
 სფეროთა მუსიკის უნაზესი ხმა  
 ესე-ესე-ესერე.  
 ხორბალი, ფოლადი  
 ესე, ესე-ესე-რე,  
 გადაჯდომია ჩაქუჩი ნამგალს:  
 ეს-ეს, ესე-რში.  
 საბჭოთა სოციალისტური  
 რესპუბლიკების კავშირში.  
 იმათთვის, ვინც ამას არ ჩასთვლის „პოეზიით“,  
 ვინცა გლოვობენ პალმის საპონსა  
 და მთოლვარე ზამბახებს  
 და ამარიდებენ დანისლულ შუბლებს.  
 იმათთვის, ვინც ყვირის:  
 „ძირს“ – „ეს მასხრობაა“!  
 იმათთვის, ვისიც ზრახვა  
 ავტორს უნდა ღვრია წყლიდან ამოიყვანოს.  
 იმათთვის ავტორი ამ უბრალო სიტყვებს უმატებს:  
 – ინტერვენცია უნდა დაწყებულიყო რუმინეთის გამოსვლით,  
 რომელიც მოიმიზეზებდა, მაგალითად, რომელიმე საზღვარზე მომ-  
 ხდარ კონფლიქტს: ამას მოყვებოდა პოლონეთის მიერ ფორმალურად  
 ომის გამოცხადება და ლიმიტროფების გამოსვლა.  
 ინტერვენციაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა ვრანგელის ჯა-  
 რებს, რომელნიც გაიარდენ რუმინეთს.  
 ლონდონის მსოფლიო ენერგეტიულ კონფერენციიდან პარიზში  
 გავლით საბჭოთა კავშირში დაბრუნებული რამზინი, ლარიჩევი – კავ-  
 შირს აბამდენ „ტორგპრომთან“ რიაბუშინსკის საშუალებით, რომე-  
 ლიც ლუშერის მეოხებით დაკავშირებული იყო საფრანგეთის მთავ-  
 რობასთან.  
 ...ხელმძღვანელი როლი ინტერვენციის ორგანიზაციის მონყო-  
 ბაში ეკუთვნის საფრანგეთს, რომელიც თავის გეგმებს ინტერვენცი-  
 ის მოსამზადებელათ ატარებდა ინგლისის მთავრობის აქტიური მო-  
 ნაწილეობით.

აი, თქვე ძაღლებო, შეთქმულნო ძაღლებო.  
როგორც მკრთალი სპირონეტა გაუძვრება  
მიკროსკოპის თვალს.  
პუანკარეს უნდა გახდეს უჩინარი  
ხანჯლებზე მოცეკვავეთა ჯიში,  
მეფის სუტენიორები –  
დიდი მთავრები – მანეკენები,  
კარტის სათამაშო პრიტონებში  
ნაგებისთვის გამზადებული,  
რომელნიც ოცი სანტიმისთვის ჯაშუშობენ.  
ემიგრაციის ქაობის სიდამპლე,  
ნელა ინმინდება ემიგრაციის ღამის ქოთანში.  
პოლონეთის და რუმინეთის ჭიაღუები  
მსოფლიოს – ბლოყინი,  
ყოველი მხრიდან გარემოიცვენ  
იმ ქვეყანას, სადაც შენდება სოციალიზმი,  
ხარობენ თავკოპალები, თავი გონიათ გომბეშო,  
ორდენებში ჩამსხდარან  
სოციალისტები და მინისტრები,  
დამპალო წყალო! ნუ აქაფდები!  
დამპალო წყალო – არ ხარ მდინარე!..  
დამდგარო წყალო – ჩასდეგ გუბეში,  
დამპალო წყალო, ვერ გადარეცხავ  
დიდებულ ნალკოტს,  
სადაც იზრდება ახალი კაცობრიობა.  
დამპალო წყალო – ვერ დაჩირქავ  
მომავალის ამოსულ ჯეჯილს,  
და ვერ ნაბილნავ ხუთწლედის საფეხურებს.  
ასე დაილუპებით გახურებულ  
დიალექტიკის ზღურბლთან  
იმ დიალექტიკის, რომელსაც  
ასობით აქვს ციხე და კოშკი.  
და ასიათასობით სჭედავს იარაღს.  
ესმოდეს სამყაროს  
ეს ხმა ძლიერი, რომელიც ცხადყოფს  
მატერიალისტურ დიალექტიკის დიდებას.  
ის თავის ფეხზე, ათასს ფეხზე სდგას  
და სამხედრო აცვია ნალა.

თავის ფეხზე, რომელიც მშვენიერია  
როგორც ძალადობა.  
და შორსაც ინვდის იარაღ ასხმულ ხელს  
გამარჯვებულ კომუნიზმისკენ!..  
დიდება მატერიალისტურ დიალექტიკას,  
დიდება მის განხორციელებას –  
წითელ არმიას.  
დიდება არმიას წითელს!..  
ვარსკვლავი იშვა ქვეყნისათვის  
და ვარსკვლავი მიდის ანთებულ ხვრელში.  
ბუდიონის მხედრებო! წინ!  
ბუდიონელებო, ბრძოლისაკენ!  
თქვენ ხართ პროლეტარიატის  
შეიარაღებული სინდისი.  
თქვენ იცით, როცა სიკვდილი მოგაქვთ,  
რომ ახალ ცხოვრებას უკაფავთ გზას.  
ყოველი თქვენი დარტყმა  
– გაფრენილი აღმასია.  
ყოველი თქვენი ნაბიჯი აღია დროშის...  
ყოველი თქვენი შაშხანის ელვა  
უკან ერეკება ყველა არამზადას,  
ვისაც სათავეში უდგას საფრანგეთი!  
წურაფერს დაზოგავ, ბუდიონის ჯარო!  
ყოველი თქვენი სუნთქვა –  
სუნთქვა არი მსოფლიო რევოლიუციის.  
ყოველ თქვენ სუნთქვას  
ქვეყნისათვის მოაქვს მარქსი და ლენინი.  
თქვენ წითელი ხართ, როგორც განთიადი,  
თქვენ წითელი ხართ, როგორც რისხვა,  
თქვენ წითელი ხართ, როგორც სისხლი,  
როგორც შურისგება  
ბაბეფისა და ლიბკნეხტისთვის.  
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,  
შეაერთეთ თქვენი ხმები,  
მოუხმეთ ყველას და გაკაფეთ გზა  
იმათთვის, ვინც თქვენ შაშხანებს  
თავის შაშხანებს შეუერთებენ,  
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა!..

აი, ქარიშხალი მოთვინიერებული,  
აი, ვეფხვის მოქნილი ნახტომი,  
ისტორიის სადავე.  
კომინტერნის ხელშია,  
და გაქანებულია  
წითელი ექსპრესი.  
ეს-ეს სე-რე.

U R

S. S.

ასწიეთ ხელი – შამხანების ტყე.  
არ მოიხედავს უკან არავინ!  
ეს-ეს სე-რე.

U R

S. S.

ჩამოდეგ გზიდან – სკეპტიკო ოპოზიციონერო!  
მანქანას არ აქვს მუხრუჭები.  
დაფლეთილი ხარ ბორბლებისაგან,  
ქარი კი მღერის:

U R

S. S.

U R

C. C.

C. C.

C. P.

Debout les damnés de la terre...

C C

C P

C C

C P

საათმა დაჰკრა: სიკვდილი წარსულს!

СССР-СССР.

მიჰქრის ბორბალი – ბრწყინავს ლიანდაგი  
ეს-ეს სე-რე.

მიჰქრის მატარებელი ბედნიერ ხვალეში

СССР.

ეს-ეს სე-რე

მთელი გაქანებით.

## ხუთნლელი ოთხ ნელში

საბჭოთა კავშირში  
ძირს ადამიანისაგან  
ადამიანის ექსპლოატაცია,  
ძირს მონობა,  
ძველი ყოფნა,  
იმპერიალიზმი!  
ის, რაც იზრდება  
როგორც მთებში  
დიდი ყიჟინი,  
როცა არწივი  
გაშლის მძლავრათ კლანჭს.  
ეს-ეს სე-რე...  
ადამიანის სიმღერა და სიცლია  
საბჭოთა კავშირში.  
მიჰქრის მატარებელი  
წითელ თანავარსკვლავით  
საბჭოთა კავშირში.  
ეს-ეს სე-რე  
სადგურია...  
ახალ ერათა,  
სასწაულის მატარებელი  
ეს-ეს სე-რე.  
ოქტომბერი –  
ექსპრესია  
საბჭოთა კავშირი.  
ოქტომბერი მთელ  
მსოფლიოს  
ეს-ეს სე-რეში.  
СССР.  
URSS.  
საბჭოთა  
კავშირი...

[1931]



## ნაზიმ ჰიკმეტ

### აღმოსავლეთი და დასავლეთი

მისტერიები,  
მორჩილება,  
ფატალიზმი,  
მოაჯირები.  
შეღებელი ფანჯრები,  
ქარვასლები და ქარავნები,  
მოედნებზე ცივი შადრევნები,  
შეხერეზადას ზღაპრებში  
ათას ერთი წელი  
განცხრომაშია ფადიშახი.  
მსუბუქ და ვარდისფერ მინარეთებს  
გადაჭდობია ლალის კოტორნები.  
გუნდა-ლახუსტაკით შეღებელი ქალი  
ფეხით ქარგავს ვარდებს.  
ქუჩებზე დაძრწიან ძაღლები და ადამიანები.  
სულთანის ცოლი ცეკვავს  
ვერცხლის ლანგარზე  
და გარიჟრაჟიდან  
ქარების შესახვედრათ  
მოსთქვამს ლურჯწვერიანი იმამი.  
აი, ევროპის პომეებისა და რომანების აღმოსავლეთი.  
ასე სწერენ ათასს წიგნებში,  
რომელნიც გამოდიან ყოველ წუთში.  
მაგრამ არც დღეს, არც გუშინ  
არც გვიან, არც ადრე  
არც ყოფილა და არც იქნება  
ასეთი აღმოსავლეთი.  
სახლები ყველას აქვს  
ამ ქვეყნის მკვიდრებს კი არა,  
აქ დასალუპავათ განწირულია მონები.  
ოქროთი და ხორბალით სავსე ბედლები.  
შიმშილი კვდება შიმშილიდან.  
აზია.  
ჩინეთის ყვითელი ხალხი.

ფეხმარდი ყულები.  
 და ტანწვრილი ჩინელი ქალები,  
 ყვითელ სანთლებივით  
 დრედნოუტის ჯავშნის კოშკებიდან  
 გადმოკიდულან იანკები.  
 ავლანისტანის შავ ბჭეებთან  
 ევერესტის თოვლიან მწვერვალებთან.  
 ბრიტანიის ოფიცრები  
 ცეკვავენ ფოქსტროტს  
 ზანგების ორკესტრის  
 ჩახლეჩილ ხმაზე.  
 ფეხის შავ ბრჭყალებს  
 ასველებენ წმინდა განგის წყალში,  
 სადაც დასცურავენ  
 თეთრ კბილებიან ინდუსელთა  
 დამხვრჩალი ლეშები.  
 ანატოლია, შენა ხარ პოლიგონი,  
 სადაც ამსტრონგი  
 აბნევს შიშხინა ყუმბარებს.  
 კმარა!  
 აზიის მკერდი აივსო,  
 აღმოსავლეთის ყელი გაიგუდა.  
 საკმაოთ ყლაპა ჩვენმა ქვეყანამ  
 ტყვიის მოსავლის ხორბალი.  
 და თუ ერთი თქვენთაგანი  
 სასწაულით მკვდრეთით აღადგენს  
 ჩვენ უკანასკნელ დამხრჩვალ ძროხას.  
 ჩვენ მას ხელს დავუჭერთ  
 და ვეტყვით:  
 – მოგვწყდით თავიდან  
 თქვენც, ბატონო პიერ ლოტი,  
 ტილი ჩვენ ყვითელ ტანზე,  
 რომელსაც გადააქვს სახადი ძმიდან ძმაზე.  
 თვით ეს ტილი  
 ჩვენთვის ძვირფასია და უფრო ახლობელი,  
 ვიდრე თქვენი ფრანგი ჯარისკაცების დარდიმანდობა.  
 ახ, თქვენ დაგავინყდათ,  
 როგორ ჰკრთოდენ აზიადეს

ყურძნის თვალები დაწყნარებულ წყალზე.  
 და თქვენი ზარბაზნები  
 აქცევდენ ჩვენ გულში დადგმულ  
 მის საფლავის ქვას.  
 ვინც არ იცის, ეხლა გაიგოს,  
 რომ თქვენ ხართ შეღებილი შარლატანი.  
 თქვენ ჯიბეში დანას მალავთ  
 და ქარვასლებში ყიდით ჩვენზე  
 დამპალ ფრანგულ ფარჩას.  
 და ასზე ასს იღებთ მოგებას  
 ასე ურიცხვი მოტყუებისათვის.  
 თქვენმა ჯიბოსნებმა მოიტანეს მინები  
 ბუმბრიტისი წყალის ღეჭვით,  
 ჩვენ კარგათ ვიცით, რა ღორის ხორციდანაც  
 ხართ გამოჭრილი, ბატონო ბურჟუა.  
 მე რომ მწამდეს თქვენი სულის უკვდავება,  
 ამბოხების ჟამს, როცა ტყვიები მღერიან,  
 როგორც კრაზანები,  
 მე იმას გავაფრენდი  
 მანქანის ზუზუნზე  
 და ხიდზე გადამდგარი  
 პაპიროსს მოუკიდებდი.  
 ოი, ევროპის სანკიუოტებო,  
 მე თქვენსკენ აღვაპყარ ხელი.  
 ამ ხრამებზე და უფსკრულებზე  
 ჩვენ თქვენ განვდით ხელს.  
 ოი, ევროპის სანკიუოტებო,  
 დასძარით ცხენები.  
 ცხენების ნალების გრგვინვაზე  
 შეუერთდით ჩვენ წითელ ცხენებს.  
 ამბოხებული აღმოსავლეთი  
 წითელ ცხვირსახოცს გვიქნევს და გველის.  
 ახლოა სადგური. გზა მზად არი.  
 ჩვენი ცხენოსანი ჯარი ნალების ეკლებით  
 დატორავს იმპერიალიზმის ფაშვებს.

[1932]

## ანტალ ჰიდაშ

### კოლონიები ყვირიან!

#### 1. ლაპარაკობს ყული

ათი ათასი ჰიეროგლიფი – კედელია  
ვინ დაიხსოვნებს იმათ სიკეთეს.  
გონების ბჭენი ჩვენ ბატონებმა  
დიდი ხანია, რაც დაგვიკეტეს.

#### ლაპარაკობს პარი:

ორი ათასი კასტა, ორი ათასი.  
ვინც მომედება, იმას ბლერი გადაედება,  
ასე იფარავს თეთრი ძვალი  
თავის თეთრ ტანს ყველა ჩვენთაგან.

#### ლაპარაკობს ზანგი:

ჩვენც მოგვიტანეს ლიანდაგი  
და დაუგებენ ჩვენ ძვლებს შპალებათ.  
ძალას და სისხლს ცფიერათ გვპარავენ  
ფრანგები, ისპანელები, იანკები, ბრიტანელები  
და ჩვენი შინაური ძალლი-ბატონები.  
კოლონია ყვირის, კოლონია ყვირის  
და უწყალო მზის ცხელი სხივები  
ხეების ნებოდან სანამლავს სწურავს.

#### ლაპარაკობს ყული:

კმარა!  
გუთანით მე მათ სხეულს მინას შევაჭრი.

#### ლაპარაკობს პარი:

კმარა!  
მე მათ ლეშით ხეობებს ამოვავსებ.

#### ლაპარაკობს ზანგი:

ლიანდაგი მზად არი: დასდე,  
ეხლა ისინი ვიხმაროთ შპალებათ.

ლუკმას და კერას ცფიერთ გვპარავენ  
იაპონელები, ჰოლანდიელები,  
იანკები, ბრიტანელები  
და ჩვენი შინაური ძალი ბატონები.  
უნყალო მახვილის ცხუნვარე სხივებს  
ხეების ნებოსავით მზე გარედ ადენს  
შურისძიებას.  
კოლონია ყვირის!  
კოლონია ყვირის!

## 2. ინდოეთი

1. მზე დაუშინე თაკარა განგას!  
მზე დაუშინე თაკარა განგას!  
მზე დაუშინე თაკარა განგას!  
განგო, ჩაექეც ჩვენ ძმებს.  
მოგვეცი ქაფი, მიეცი ჩვენ ძმებს.  
ინდოეთო! ძმებო!  
ზღვაში გადაყარეთ,  
ბომბეიში და კალკუტაში  
ველური მხეცები – ადამიანები.

2. ადიდდა განგა, აზვირთდა განგა.  
სილით დაზვინა ყამირი მიწა.  
აზვირთდა განგა, ადიდდა განგა  
არა იმიტომ, რომ კარგია და ანდა ცუდი,  
არამედ იმიტომ – რომ...  
ეგეოს – ადიდდება ინდოეთის ხალხი  
და ტყვიებით გადაიარს  
ბატონ ბრიტანელების თავზე.  
არა იმიტომ, რომ კარგია და ანდა ცუდი,  
არამედ იმიტომ – რომ დადგა ჟამი –  
ჟამი აზვირთებისა...

3. ეგეოს, ინდოეთის ხალხი –  
არა არის მონავარდე კატა.  
ეგეოს, ინდოეთის ნიადაგი  
არ არის ბავში ქალწული.  
მას ვერ მოხიბლავენ  
ბრიტანეთის ჟანდარმები,

ბევრი რამ უნახავს  
და ბევრი რამაც მას განუცდია.  
მხიარულ სიმღერის მაგიერ  
ცოფიანი ყვირილი დელტას თითებიდან  
ერთვის ოკეანეს.

4. მზე დაუშინე თაკარა განგას!  
მზე დაუშინე თაკარა განგას!  
მზე დაუშინე თაკარა განგას!  
განგო, ჩაექეც ჩვენ ძმებს გულში.  
მიეცი შენი ქაფი, მიეცი ჩვენ ძმებს.  
ინდოეთო! ძმებო! ზღვაში გადაყარეთ,  
ზღვაში ისროლეთ  
ბომბეიში, კალკუტაში  
ველური მხეცები – ადამიანები.

5. ადიდდა განგა, აზვირთდა განგა!  
სილით დაზვინა ყამირი მიწა.  
აზვირთდა განგა, განგა ადიდდა  
არა იმიტომ, რომ ის კარგია, ანდა ცუდი,  
არამედ იმიტომ, რომ...  
მზე ბომბეიში – მცხუნვარე მზეა,  
ბატონი შემეზიმში – ბატონი ბრიტანელია.  
შოლაპურში, პეშევარში  
ქარხნებში – მეხი ეცემა.  
განგა ქარხნებს მოედო – ეცემა მეხი.  
ქარხნები მიწას დაეცენ, ეცემა მეხი.  
ქარხნები და მიწა ეცემა მუზარადს,  
ბატონ ინგლისელების თეთრ  
და იმათ ძმების – რაჯების  
ჭრელ ტიურბანებს.  
ამაოთ ამაგრებენ დამბებს ნიჩბები,  
შუბების ტყით ხმაურობს ველი.  
კირმნი-კამგარას ფრიალებს დროშა.  
გაარღვევს დამბებს და ჯებირებს  
მღელვარე ტალღა.  
თქვენ, აჯანყებულო გარვარის პოლკებო,  
მე თქვენ გეძახით:  
– ამ ტალღამ უნდა გადარეცხოს

ყველაფერი, რაც წინ აღუდგება.  
უნდა დაახრჩოს ისინი  
თავის ნაყოფის მომცემ ხელებით.  
ასე უნდა ქნას – მიტომ, რომ  
განგა აღიდდა, აზვირთდა  
არა იმიტომ, რომ ის კარგია, ანდა ცუდი,  
არამედ იმიტომ, რომ...  
დადგა ჟამი, უნდა გადაიაროს.

### **3. ლურსმნები მოიტანეს**

აი, მოგვიტანეს ჩვენ ლურსმნები,  
ჩრდილოეთიდან მოვიდნენ გემები,  
დავიწყეთ გაცვლა-გამოცვლა.  
თეთრი ბატონი იცინის:  
– მე შენ მოგცემ ათ ცალ ლურსმანს,  
შენ კი, ვეფხის მომეცი ტყავი.  
ახ, ჩემო ბატონო, მერე რა ვქნა?  
კეთილო ბატონო, სადღა წავიდე?  
რა ვქნა ულურსმნოთ მე არ ვიცი,  
ლურსმნის გაკეთება არ შემეძლია,  
ახ, ბატონო, კეთილო ბატონო,  
რა ცოტას იძლევი.  
ვეფხვები ხომ – ავი მხეცებია,  
მათ ვებერთელა ხახა აქვთ,  
მათ ბასრი და სისხლიანი კბილები აქვთ,  
საწყალ ზანგს შუა გადანყვეტენ.  
ახ, ბატონო, რა ცოტას იძლევი,  
ცოტას იძლევი და ბევრი მიგაქვს.  
ყვითელი ვეფხვის მოკვლა ძნელია,  
ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე,  
ოთხი დღე – ჩვენ იმათ ხოლმე  
ვუთხრით ორმოებს.  
ცოტას იძლევი, ჩემო ბატონო,  
ამ ვეფხვისთვის.  
მაგრამ მაინც მე რა უნდა ვქნა?  
რა გავაკეთო ულურსმნოთ, არ ვიცი,  
შენ მომცემ მე ათ ლურსმანს  
და წაიღებ ჩემ ვეფხვის ტყავს.

აი, მოიტანეს თეთრმა ბატონებმა  
მოიტანეს ლურსმნები.

– მე მოგცემ ათ ცალს ლურსმანს,  
ორ დიუმიანს და დიდ ქუდიანს,  
შენ უნდა მომცე ვეფხის ტყავი –  
უნდა მოგცე, აბა, რა ვქნა?

რა გავაკეთო ულურსმნოთ, არ ვიცი.

და თუ არ მივეცი ტყავი,  
დამალავს ლურსმანს თავის გემში  
და სიცილს დამაყრის.

ძალიან ცოტას იძლევი,  
ჩემო ბატონო, ამ ვეფხში,  
მაგრამ ლურსმანი საჭიროა –  
აი, მოიტანეს, მოიტანეს.

.....

ვინ მომცემს მე უზარმაზარს

და ბასრ ლურსმნებს,

ვინ მომცემს მე რკინის სატევარს

მხარის სიგრძეს,

რომ შენ ჭიპიდან ხერხემლამდე გაგაპო,

ვერაგო მხეცო, შე ათჯერ ვეფხვო?!

ჩემი რისხვა ყვირის ცხვირიდან, პირიდან,

გარედ უნდა გადმოენთხიოს და ასე ყვირის:

სად არიან გრძელი სატევრები,

სად არიან ბასრი ლურსმნები,

მე მინდა, პალმაზე მივაკერო

იმისი ტყავი, იმისი, იმისი, იმისი.

მზის ძნები სხივებათ იღვრება,

გაუფარდა მოხმაურე ტყეში.

ჩვენ კი მოგვიტანეს,

ჩვენ მოგვიტანეს კეთილმა ბატონებმა,

ლურსმნები მოგვიტანეს.

#### 4. არაბი

მოჰქერის სამუმი, ხმაურა ხე.

ტოტებით თრთის,

ფოთლებიც თრთიან,

პალმები ხმაურობენ.



ძმებო არაბნო,  
სად დაიკარგა, სად დაიკარგა  
ჩემი სიყრმე და თავისუფლება.  
მოჰქრის სამუმი, ხმაურა ხე.  
ტოტებით თრთის,  
ფოთლები გაშავდნენ,  
პალმები იწვიან.  
ხელებო, ხელებო,  
გასხივდით ხელებო,  
ტყეთ გაიზარდეთ,  
ქვიშების მთებით.  
ჩვენ უდაბნოთა უსაზღვრო ქვიშაზე  
და დაიფარეთ არაბეთის ცა  
და დაიფარეთ მტრის თვალებიდან.  
ისე, როგორც ველს ბალახი ფენავს,  
ისე, როგორც ტალღა ძროს ფარავს,  
ისე, როგორც თოვლი მთას ფარავს,  
ისე დაფარეთ და დაეფინეთ  
არაბეთის ცას,  
მტერი თვალს ნუ კრავს.  
მიჰქრის სამუმი, ხმაურა ხე,  
ტოტებით თრთის, ფოთოლი გაშავდა,  
პალმები იწვიან.  
სად დაიკარგა, სად დაიღუპა,  
ძმებო არაბნო,  
სად დაიკარგა ჩემი სიყრმე  
და თავისუფლება?!

## **5. ღელავს წითელი ბრინჯი**

აი, აი, მივათრევთ ურემს ფონზე,  
კანტონზე კი ცა აიმღვრა და  
შავი დილა სჩანს.  
აი, აი, მივათრევთ ურემს  
კანტონის იქეთ სისხლის ტბა  
და შავი ლეში სცურავს.  
აი, აი, ჩვენ კისერზე  
გვაზის გაუმადლარი  
ინგლისელი ბატონი,

ტყვისმფრქვეველი რეკავს  
და უკან მკვდრები ღებობან.  
ო, ო, დააგდე შენი ურემი,  
ცა კანტონზე სეტყვათ დაიპენტა,  
ბავშები სტირიან,  
ეი, ეი, დასდეგ, ურემო!  
კანტონთან მოვიდენ  
ახალი რაზმები  
და წითელი ბრინჯი ღელავს.  
ახ, მალე გასკდება რკინის ბურთი  
– ცეცხლშია,  
ყვითელ მდინარეზე  
სულ ფსკერამდე ხანძარია!  
აი, აი, გასკდება რკინის ბურთი  
ოთხას ოც მილიონს  
შუბლით მიაქვს იერიში.

## 6. ვინ არის?

მამა, მე არ ვიცი, რას ნიშნავს „მამა“,  
დედა ოდესღაც მინახავს.  
მე ვიყავი სულ ექვსი წლის,  
პანია ხელებით –  
როცა მოზრდილმა კაცმა მნახა  
და დამსვა სკამზე,  
რომ დავახვიო აბრეშუმი  
შოლაპურის ქარხანაში.  
ინგლისი... აჩვენებს მთელ ქვეყანას ბრიტანეთის  
სულის სიძლიერეს, რომელიც შეუდრეკელია  
სიძნელეთა წინაშე.  
„მთელი ჩვენი წარსული – გვანიშნებს მომავალს,  
შექსპირის ხმაც და ნელსონის ხელი“  
(ფილიპ სნოუდენის სიტყვიდან თემთა პალატაში  
ინგლისურ გირვანქა სტერლინგის დაცემის წინ).  
დაბადებიდან ვიყავი რვა წლის,  
მეტი მე არაფერი მეზადა.  
როცა საპირფარეშოს შესავალთან  
ბალნიანმა ოსტატმა წამაქცია,  
მე მან მცემა მაშინ და მერეც მცემა.

მე ვკბენდი – და ის კიდეც  
მუშტებით მცემდა,  
შემდეგ ქამართ შემკრა,  
ხელით პირი დამიცო და იქ,  
საპირფარეშოსთან დამაგდო.  
მე დაბადებიდან ვიყავი  
თორმეტი წლისა  
და მეტი არაფერი მქონია,  
როცა ინგლისელმა  
– მე ის არასდროს არსად არ მენახა –  
ქარხანა დაკეტა.  
მზე ბრწყინავდა და ჰქროდა ქარი  
და მე ნაპირზე ღამე გავათიე,  
ნაგავსა ვქექდი, საჭმელს ვეძებდი  
იქ, მდინარის ნაპირზე  
და შემდეგ, შემდეგ, ინგლისელმა  
– მე ის არასდროს არსად არ მინახავს –  
ქარხანაში წამიყვანა,  
როგორც პირველათ.  
მე ეხლა თითქმის თხუთმეტისა ვარ,  
როგორც წინათ, არც ამ წამში არაფერი მაქვს.  
რამდენს მოვითმენ ანი კიდეც,  
აბა, რა ვიცი.  
რა იქნება მომავალში,  
არც ის ვიცი,  
ამბობენ, ინგლისელი  
უნდა მოიკლასო.  
იმიტომ, რომ ის ვერაგი მხეცია,  
მან მომიპარა მე სოფლიდან,  
ეს მან მცემა მე საპირფარეშოსთან  
და შემდეგ ქამართ შემკრა.  
ის მაიძულებს მე შიმშილს.  
...მაგრამ მე არასდროს არსად  
ის თვალიდან არ მინახავს,  
ვინ არის? ოხ, ვინ არის?  
მე თავს ვიმტვრევ დღე ცისმარი  
შოლაპურის ქარხანაში.

## 7. მაგრამ აფრიკა ჩვენია

დიდ ხანს გვყავდენ ბატონებათ თეთრები.  
დიდხანს გვზილეს ჩექმებით თეთრებმა.  
დიდხანს დაგვქონდა თქვენ ფეხებთან  
ცხელ აფრიკის სისხლი და სიმდიდრე, თეთრებო!  
გადამწვარ ტყეში ვლმუოდით და მოვთქვამდით,  
ახ, ახ, ახ!

ჩვენ არაფერი არ დაგვრჩენია,  
თქვენ წაიღეთ ძვირფასი სპილოს ძვლები,  
თეთრებო,  
თქვენ გადათხარეთ ალმასის მკერდები,  
თეთრებო,  
თქვენ სურნელიანი კაუჩუკი ამოსწვით,  
თეთრებო,  
თქვენ ხუჭუჭა თავები დაგვისრისეთ,  
თეთრებო!..

მაძლარი ხართ წითელი სისხლით.

მაგრამ ცხელი აფრიკა

– ჩვენი აფრიკაა.

ბრწყინავენ თვალები შავ სახეზე

ვარსკვლავთა ქვევით!

საშინელი იქნება შურისგება.

ყოველი ღამე შავი დედა

შვილს ასწავლის ამ შურის გებას,

და ზღვიდან ზღვამდე რეკავს სიმღერა,

და ქარი ცამდე აბნევს ცხელ ქვიშას.

„თეთრი მკვლელია, თეთრი ყაჩაღია,

პატარა შვილიყო,

ის ყველაზე ცუდია და ვეფხვზე ავი,

პატარა შვილიყო,

ნახე სადმე, დაამარცხე და მოჰკალი,

პატარა შვილიყო,

სიძულვილი მოსწოვე ჩემ ძუძუებს,

პატარა შვილიყო,

ბასრი იყოს შენი კბილები.

კონგოზე რიჟრაჟი ადგა ხანძარივით,

პატარა შვილიყო,

კანტონზე მთვარე, როგორც  
ოხვრა, ისე აცურდა,  
პატარა შვილიყო.  
მაგრამ თეთრის ბატონობა  
ჩვენგან არ ნასულა,  
პატარა შვილიყო.  
ქარიშხალი სწენს ტბა ჩადს,  
პატარა შვილიყო.  
ზედ თოლიები დაჰკვივიან,  
პატარა შვილიყო.  
დახოცე თეთრები,  
პატარა შვილიყო“.  
ცხელი აფრიკა, ჩვენი აფრიკაა.

## **8. იავანის იავანა**

შენი მამა სარზე ჩამოაცვეს,  
კვდებოდა, თითქო შამფურზე ხარი  
და თეთრი სარი კომპლამდე განითლდა.  
მაგრამ ფეთქავდა კიდევ სიცოცხლე  
დამანჭულ სახეზე  
და ხედავდა მამაშენი,  
მისი სისხლიდან,  
როგორ სრიალა გახდა დაბლა ქვა.  
ეს სარი კიდევ მთელია, ბჭესთან არის მიყუდებული,  
ეს ქვებიც ყრიან თავიანთ ადგილას.  
ჩვენი რისხვაც მთელია, უფრო იზრდება,  
მთელია კიდევ იავა. იყავ ვაჟკაცი  
და დაეც რისხვა ჩვენ მოსისხარ მტერს.

## **9. მოკვდა საიფუსანი**

მოკვდა  
საიფუსანი!  
გუშინ ჩვენთან იყო,  
კამათობდა,  
სალამოს დაიჭირეს სანყალი.  
თავი გაუტეხეს,  
მუხლები დაუმტვრიეს,  
შუალამეზე გაასამართლეს.

იტირეთ, ამხანაგებო,  
ინალვლეთ მკვდარი.  
კანტონის ქვებზე  
სდიოდა სისხლი,  
ჩვენი იყო საიფუსანი,  
ჩვენთან იყო საიფუსანი,  
ჩვენი ვარსკვლავებით  
თვალები უბრწყინავდა.  
მოკვდა  
საიფუსანი.  
კენწერო შეანძრით  
ტყეებო, ველებო, ხეებო,  
იან-ძი-ძიანო,  
საშინელებიდან  
დაეცი ღრუბლებიდან  
გადარეცხილ  
ბრინჯის მინდვრებს!  
გასკდი, მზეო,  
რისხვის კვირთად  
ყვითელ მდინარეზე  
წალეკე ცეცხლით  
ჩვენი სამშობლოს მხეცები.  
ვნუხვართ, ჩვენ ვნუხვართ,  
როგორც არასდროს აქამდე,  
გააპე შეერთებული სამეფო  
შენ, მწარე ქარო,  
იყვირე ძლიერი ხმით  
გარიჟრაჟზე, რომელიც სდგება.  
არა, არასდროს  
ოთხასს ოცი მილლიონი  
არასდროს არ მოკვდება.  
არა, არ მომკვდარა,  
ცოცხალია საიფუსანი.  
ვერ მოესწრებით  
კანტონის სიკვდილს ვერასდროს,  
ვერ დაიყვანთ სიკვდილამდე,  
მაგრამ წვანან კანტონში  
მკვდრები მთეებათ,

შურის უძიებლათ.  
ისინი არ დალპებიან,  
ამაოთ არ იღუპებიან  
წამებულნი.  
ძვირფასი სისხლი  
ამაოთ არ სდის.  
ოთხას ოცი მილლიონი  
უყურებს ამ ცხედარს,  
ცხედრის წინ ფიცავს.  
შურისძიება, შურისძიება მოდის.  
სეიფუსანი,  
მოდის შურისძიება,  
აბა, გაიქეც ყული,  
არ დაისვენო,  
შოლტით გცემენ,  
შოლტით გდენიან,  
დაართე, ჩინელო,  
აბრეშუმის ძაფი,  
არ დაისვენო,  
დაართე ძაფი,  
აბრეშუმის ძაფი  
ბატონის ყელისთვის.  
შურისძიება მოდის,  
სეიფუსანი, შურისძიება.  
ღრუბლები კანტონში  
აღით თრთიან,  
სალამოს ღრუბლები  
ინგლისურ სანყობის სახურავზე,  
ტყვია-წამლის სანყობის სახურავზე  
სხვანაირათ ანათებენ.  
შურისძიება მოდის,  
საიფუსანი, შურისძიება!..  
ხომ გადავიდა იერიშზე კანტონი.  
ხომ ცოცხალია და  
ცოცხალი იქნება კანტონი!..  
ხომ უეჭველად  
განდევნის მტერს კანტონი.

## 10. მერე შემდეგ?..

*ეძღვნება რვა ალაბამის მუშა ზანგებს,  
რომელთა სიკვდილის სასჯელში თავის თავს აჩენს  
ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების  
„განსაკუთრებული კანონები“.*

– დიას, ჩემი სახე  
ნებოზე შავი,  
სქელ ტუჩების ხორცი  
წინ გამოშვერილი.  
ნიუიორკის ფარნების  
დამაბრმავებელ სინათლეში  
მე ვარ ნაგლეჯი  
შავი მუგუზალის.  
ნაქცეული ვარ თოვლში,  
ჩემგან უარი სთქვა  
დედინაცვალმა ამერიკამ  
და თუ ერთი სიტყვით  
მანც ჩემი ნაღველი ატირდება –  
მე გამაგდებენ და მომკლავენ  
ზანგებისთვის და ძალღურათ.  
– და მერე შემდეგ?..  
ყველაზე საცოდავი ხელფასი – მე,  
ყველაზე ჭუჭყიანი სამუშაო – მე,  
ოსტატის გულის მოსვლა, ესეც მე,  
მისი თავში წაკიდა – ესეც მე.  
პირუტყვზე ცოტათ მთვლიან,  
ქვებზე ზანრით მათრევენ მე.  
– და მერე შემდეგ?  
მაგრამ ჩემი თმა შავი ბენვით  
ხუჭუჭდება, ისე მაგარია,  
როგორც სინის სპილენძი.  
მისისიპის ტალღები თრთიან  
ჩემ ძარღვების ტყავის წყვდიადში.  
იქ, მისისიპში ჩემი მოდენილი პაპაა.  
შურისძიება დავიფიცე ბამბაზე,  
განსაკუთრებული კანონებით  
სცემენ შტატები ჩემ შავ და მკვრივ ტანს.



მაგრამ ავიტან ცემას, ავიტან შრომას,  
დაე, მცემონ და მანამონ,  
ლინჩის სასამართლო და სიკვდილით სასჯელი.  
– და მერე შემდეგ?  
და ჩვენ მაინც გასისხლიანებული  
ერთად მივდივართ, იანკებთან ერთად.  
– აი, ასე!  
მივდივართ ქარხნის კარებთან  
და მაინც მშიერები ერთად ვუცდით,  
იანკებთან ერთად.  
– აი ასე!  
ძვლიანი, ოფლიანი, გაბოროტებული, უმუშევარი,  
ყველაფრით ერთნი, ერთად ვუცდით  
უკანასკნელ ამოხეთქვას, ვუცდით.  
თეთრები, შავები, შერეულები, ყვითლები.  
ჩვენ ერთნი გავხდით ამ ტანჯვაში,  
მწუხარებაში მნახე შენ, ამხანაგო.  
და ნალველში და გამარჯვებაში – ერთად წავალთ.  
თოფის სროლას – ვერ უშველის პროტექცია,  
იქ ვერ დაგიფარავენ,  
ყველას ერთნაირად გვესვრიან,  
თეთრიც გაშავდება ელექტრონის სკამზე,  
შავსა და თეთრს – ერთი ცეცხლით  
დატრუსავენ ცხელი ტყვიები.  
– და მერე შემდეგ?  
მრისხანე ნიუ-იორკის ოქროს კოშკს  
ჩვენ მისისიპის ნიაღვარით წავიღებთ,  
ჩვენი ავი თითები სიხარულით  
გაუხიციებენ სისხლიან ყელებს,  
მეშვიდე მოდგმამდე მოვსპობთ.  
მისი სართულების დამპალ სიმაღლეებს.  
ამათ დაეცემიან მათი ქალიშვილები მუხლებზე,  
ჩვენი დანების ბრწყინვის წინაშე,  
ჩვენ მათ სისხლიან ძაღლებს დავიჭერთ  
და ოთხ ამოღებულს გავაძრობთ ტყავს.  
მათი კოშკებისა და სასახლეების  
რკინის კონტრუქციები ალში გადადნება,  
ჩვენ ცეცხლში გადნება მისი ტანი  
და დასამარხი ძვალიც არ დარჩება.

შავი მაშხალით აგიზგიზდება  
და გაანათებს ჩვენ უკანასკნელ ფრონტს.  
აი, ასე,  
სწორედ ასე.  
– და მერე შემდეგ?  
მერე შემდეგ?  
ჩვენი მეზობელი და მაგარი ბიჭები  
რამდენიმე მხიარულ წელში  
ამ ნაგავიდან განმენდილ მინაზე  
ავაშენებთ  
ჩრდილო ამერიკის  
შეერთებულ  
სოციალისტურ შტატებს.

## 11. სიმღერა

ჩვენი სახე იწვის  
რისხვის წითელი ვარდით,  
ბენგალიის კაციჭამია ვეფხვი  
იმდენ ოჯახს არ დალუპავს,  
როგორც ბრიტანელი  
ბრიტი, ბრიტი.  
აღსდევ, პენჟაბო, პენჟაბო,  
აჯანყების ჩავარდი ცეცხლში:  
კიდევ და კიდევ, მესასეჯერ  
აღსდევ, კალკუტა,  
აღსდევ, მადრასო,  
გორო, ლაგორა!  
აენტე, ბომბეი.  
ნაკვერცხლის ნვიმათ  
იქეც ბრამაპუტრა,  
განდის გამცემლობა  
დასწვი და გაანიავე.  
იცოდეთ:  
გიმალაის მწვერვალიდან  
გრიანებს მეხი  
და ილუპება  
ბრიტანეთის იმპერია.

## 12. ჩინელი გლეხი ქალის სიმღერა

...ჩინეთში ქალის გაქცევა გასაბჭოებულ ოლქებში  
ყოველდღიურ მოვლენათ იქცა, რადგან საბჭოთა  
კონსტიტუცია ანთავისუფლებს ქალს საუკუნეობრივი  
მონობიდან. ჩინეთის წითელ არმიის დაკავებულ ოლქებში  
ქალები, რომელთაც სურთ, რამეთი მაინც დაეხმარონ  
წითელ არმიას, ჯარისკაცებს ურეცხავენ საცვლებს.

(გაზეთებიდან)

ტანისამოსს ურეცხავ საწყალ ჯო-ლინ-ხანს,  
წითელ ჯარისკაცს ურეცხავ პერანგს.

აი, ასე. სწორედ ასე.

აი, ძინ, ძან, აი, აი.

როგორც დაიბადა, ისე ტიტველი

სწევს საწყალი თავის სახლთან.

თვალებს უხუჭავს თვლემა.

აი, ასე.

სწორედ ასე.

ურეცხავ პერანგ ჩამოგლეჯილ ბიჭს,

სოფლის ღარიბებს ამ ბიჭმა მოუტანა თავისუფლება,

აი, ასე. სწორედ ასე.

აი, ძინ-ძან, აი.

მერე რა არი თავისუფლება?

ჩვენ იმათ მინა მოგვცეს,

გაბლენძილი მანდარინები

გადაყარეს მათ მდინარეში.

ზოგი ჩამოახრჩვეს ბანრით.

მესამენი კიდევ ცარიელ ხელით დაახრჩვეს.

აი, ასე. სწორედ ასე.

აი, ძინ, ძან – აი, აი.

გმირ ჯო-ლი-ხას ურეცხავ პერანგს,

ჩვენ მოგვიტანა მან

ქალის სასტიკ ბედისგან

განთავისუფლება.

აი, ასე. სწორედ ასე.

მერე რა არის ეს თავისუფლება?

ჩვენ ადამიანებათ გვთვლიან,

ქალს ადამიანები პატივს სცემენ.

აი, ასე. სწორედ ასე.  
 აი, ძინ-ძან, აი, აი.  
 ვურეცხავ პერანგს ამ გაბედულ ბიჭს,  
 ჩინელ ღარიბებს მოუტანა თავისუფლება,  
 აი, ასე. სწორედ ასე.  
 მერე რა არი ეს თავისუფლება?  
 ყველა ვალები გააუქმეს,  
 მევახშე წურბელები ცეცხლში ჩაყარეს.  
 აი, ასე. სწორედ ასე.  
 აი, ძინ, ძან, აი, აი!  
 ფეხსახვევებს ურეცხავ მებრძოლ ჯო-ლი-ხას,  
 სუფთა იყოს, როცა ბრძოლაში გადავა.  
 აი, ასე. სწორედ ასე.  
 ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს ჯო-ლი-ხას,  
 დეე, ტილები ნუ აწვალებენ,  
 რწყილები ნუ კბენენ.  
 აი, ასე. სწორედ ასე.  
 აი, ძინ, ძან, აი, აი!  
 აყვირდენ საყვირები,  
 ზარბაზნები ჰქუხან,  
 ჯო-ლი-ხა წინ უნდა წავიდეს რაზმით.  
 აი, ასე. სწორედ ასე.  
 წავიდეს სამხრეთით,  
 წავიდეს ჩრდილოეთით,  
 სადაც კი დარჩა მემამულე,  
 სადაც კი არის მემამულე,  
 რომ წყალში ისროლოს.  
 აი, ასე. სწორედ ასე.  
 აი, ძინ-ძან, აი, აი!

### 13. სამოედო

1918

ეს რა მოხდა, რა მოხდა  
 შორეულ სამხრეთში?  
 ვერ გაუგია სამოედს.  
 შეიძლება ჭკუა დაკარგო,  
 რალაც ხმაურობა,  
 რალაც ლაპარაკი  
 მოყვება ქარიშხალს.

არც წყნარდება, არც იღლება,  
დადის ფიქრი ცივ ჟამობის დროს.  
რა მოხდა შორეულ სამხრეთში?  
– ტუნდრა გადნა, გემი მოვიდა,  
როგორც ყოველთვის,  
ისე მოვიდა გაზაფხულივით.  
და მოგვიტანა ჩვენ შაქარი, ნეკისი და ძაფი,  
რომ წაიღოს ჩვენგან ბენჯები.  
მორიდებით ვითხოვე  
შაქრის თავი და ერთი დასტა  
ფოლადის ნეკისი, ხუთი კოჭა ძაფი  
და კიდევ ვითხოვე  
ნახევარი ცეცხლის წყალი  
(თუმცა ჩემი დათვის ბენჯი  
ისე პანია იყო).  
იმ კაცმა გადმომხედა  
და მწარედ გაიცინა.  
– რაო? რა წყალიო?  
არაფერ წყალსაც არ მოგცემ,  
– ეს საბჭოთა გემია.  
– დიახ, ამხანაგო ძვირფასო,  
აქ არავითარი არაყი არ გვაქვს,  
საბჭოთა გემებზე?  
და მაძლევს შაქარს,  
მაძლევს ნეკისებს  
და მაძლევს ძაფებს,  
და კიდევ სხვა ნივთებს ორ ტომარას.  
მე ვერ გავინძერი, ვიდექ და ვიდექ.  
ცოლები სტიროდენ,  
ვფიქრობდი, ეს სიზმარია.  
რუსებს უყვართ ხუმრობა,  
და აი, ეხლავე ჩხუბს დამინწყებს!  
მაგრამ მოსული არ იცინოდა,  
დამეხმარა, ტომარა ამინია,  
და კიდევ წამაღებინა.  
ისევ დადგენ მდინარენი,  
ტუნდრა გათეთრდა და ყინულის მზე  
თეთრ უდაბნოს თავზე დაადგა.

მაგრამ დაჰქრის  
ხმა და ხმაურობა,  
დაჰყვება ქარიშხალს  
და ყველგან გააქვს ხმა  
ამ ყინულის ჟამობისგან.  
რა მოხდა,  
რა მოხდა  
შორეულ სამხრეთში?

### 1930

– იქ, შორს, შორს სამხრეთში,  
ტაიგის იქეთ, გრიგალის იქეთ,  
ჭაობისა და ტუნდრების იქეთ,  
ლენინის ქალაქში სწავლობენ კურსებზე  
სამოედელი კომკავშირელები.  
თოვლში ერთმანეთს ეჯიბრებიან  
დამკვრელი ბრიგადები,  
მხეცებზე ნადირობენ  
არტელი-კოლექტივები,  
ხუთნლიან გეგმაზე მდუმარე ტუნდრაში.  
ისინი უკრავენ და თანაც მღერიან,  
საბჭოებიდან მოდიან ნახატებით.  
გადავწყვიტეთ, მთელი სამშობლო  
ქარტებზე გადავიტანოთ  
და სიმდიდრე ვძებნოთ მინაში!  
დაბრუნდენ კომკავშირელები  
ლენინგრადის კურსებიდან.  
– უნდა ვიბრძოლოთ, უნდა ვეცადოთ,  
ბრძოლით და შრომით  
უნდა გავაგდოთ საუკუნეობრივ  
უმეცრება და სილატაკე.  
საბჭოები დაიწყებს აპატიტებას –  
ქობ-სამკითხველოები ძალზე გატენილია,  
სალამოს რადიო მღერის.  
ირგვლივ ტაიგაზე გაიშალენ სოფლები  
და ჩრდილოეთის მზე თავის სხივებს  
როგორც ბრძოლის ძალას, ისე  
პირველი საბჭოთა ელექტროსადგური.

## 14. ბერბერები

ტანჟერის სრუტე სისხლივით წითელია.  
ფრანგული დროშები მომდგარა ტყეთ.  
მათრახის კუდი ეზმანება  
ბერბერთა სახეს.  
პური და ბავშვი მუხლებიდან  
ჩამოვარდა, ჩვენი მუხლებიდან,  
და დაეცა ოფიცრების ხმალს.  
იცინიან ზარხოში ფრანგები,  
მარროკოს არაყით გამსუნაგებულნი.  
ლამის ნისლია, თუ დღე დადგება,  
ჩვენ ბერბერები, მონა ბერბერები  
უცხო გემებზე იძულებული ვართ,  
მოვიტანოთ ჩვენი სპილენძი,  
ჩვენი ზაფრანა, ჩვენი კვიპაროსი.  
და თანაც მხიარული ვიმღერით სიმღერას,  
ასე გვიბრძანეს ჩვენ უცნობებმა.  
ჩქარია მდინარე ბუ-რეგრაგი.  
ფრანგებს ეტკბილებათ,  
როგორც არაყი.  
ჩამოვარდნილ ვარსკვლავივით  
დაიხრჩო ჩვენი თავისუფლება  
ბუ-რეგრაგის ქოჩორა ტალღებში.  
სამი ნახევარ მთვარე  
წითელი დროშაა.  
სამი ნახევარ მთვარე  
ჩვენი დროშაა...  
ფრანგების ფეხებთან  
გდია ჩვენი დროშა და გაქელილია.  
ეი, რიფებო!  
ძმებო, რიფებო!  
სად გვყავს ცხენები,  
სადა გვაქვს ხმალი?  
იარაღით დაგვამარცხა მტერმა,  
ვერ გვიშველა სიმამაცემ,  
ჩამოვარდნილ ვარსკვლავივით  
დაიხრჩო ჩვენი თავისუფლება  
ბუ-რეგრაგის ქოჩორა ტალღებში.

მაგრამ ქარიშხალის კვილში  
გაქაფულ ცხენებზე  
ისმის ტუარეგთა  
ბრძოლის ყიჟინა.  
რატომ წყნარობს ზღვა?  
რათ არ აქაფდება?  
რატომ არ ქარიშხლობს?  
რატომ არ არის ბერბერები  
ალში გახვეული?  
რატომ ლურჯობს ცა?  
რატომ არის ასე უძრავი?  
რად არ მოიწევთ, ძმებო ბერბერებო?  
რატომ არ გადმოდის ცივ ხანჯლებით  
ჩვენი მდინარენი?  
რათ არ ილუნებიან მაღალი ხეები,  
როგორც სახრჩობელა?  
ჩვენ აწი არ ვიომებთ  
ფრანგ ბატონებისათვის,  
ძმებო ბერბერებო!  
სამფეროვან დროშებს  
თავს არ შევაკლავთ,  
ჩვენ გვეხმარება  
მშობლიურ საჰარას  
ცხელი ქვიშა,  
ჩვენ გვეხმარება ჩვენი კონგო  
და ცხელი სუდანის.  
ცა გადინმინდა  
მილიონების თვალებით,  
ტკივილი ახრჩობს  
ამომშრალ ხახას.  
ისმის ზრიალი  
და ჩვენ ვხედავთ:  
ხმელთაშუა ზღვაში ეცემა მზე,  
ფრანგი ბატონების  
სისხლიანი მზე.  
გვწყურია – იარაღი!  
მოგვეცით – იარაღი!  
ხელში მოგვეცით ყველას – იარაღი!..  
და ჩვენ გაგვიტაცებს ჩვენი ცეკვა,



ულამაზესი, უკანასკნელი ცეკვა,  
ძმებო ბერბერებო!..

### **15. ლაპარაკობს ყული:**

ათიათასი ჰიეროგლიფი სდგას კედლათ.  
ვერ დაიხსოვნებ – იმათ ვერასდროს.  
დიდი ხანია, რაც დაგვიკეტეს  
ჩვენ ბატონებმა გონების ბჭენი.

### **ლაპარაკობს პარი:**

ორი ათასი კასტა, ორი ათასი.  
თუ მომეკარე, გადაგდებ ბლერს.  
ასე იფარავს თეთრი ძვალი  
თავის თეთრ ტანს ყველა ჩვენთაგან.

### **ლაპარაკობს ზანგი:**

ჩვენც მოგვიტანეს ლიანდაგი  
და დაუგებენ ჩვენ ძვლებს შპალეზათ.  
ძალას და სისხლს  
ცბიერად გვპარავენ:  
ფრანგები, ისპანელები,  
იანკები, ბრიტანელები,  
და ჩვენი შინაური ძალღი-ბატონები.  
კოლონია ყვირის,  
კოლონია ყვირის  
და უწყალო მზის ცხელი სხივები  
ხეების ნებოდან სანამლავს სწურავენ.

### **ლაპარაკობს ყული:**

კმარა!  
მე იმათ სხეულს  
ჩემი გუთანის  
მინას შევაჭრი.

### **ლაპარაკობს პარი:**

კმარა!  
მე იმათ ლეშით  
ხეობებს  
ავავესებ.

**ლაპარაკობს ზანგი:**

ლიანდაგი მზად არი... დასდე.  
ახლა ისინი ვიხმაროთ შპალებათ.  
პირიდან ლუკმას,  
სახლსა და კერას  
ურცხვად გვპარავენ:  
იაპონელები,  
ჰოლანდიელები,  
იანკები,  
ბრიტანელები,  
და ჩვენი შინაური  
ძაღლი-ბატონები.  
უნყალო მახვილს  
ცხუნვარე ალით  
მზე გარეთ ადენს  
შურისძიებას,  
როგორც ხე წებოს!..  
კოლონია ყვირის!  
კოლონია ყვირის!

*ივლისი, [1933]*

*თბილისი*

[ციკლიდან „მიზაძვა ყურანს“]

IX

ჰყვედრიდა ღმერთსა მგზავრი მაშვერალი  
და ჩრდილს ეძებდა სასა გამშრალი.  
სამი დღე ღამე ვლო უდაბნოში,  
მტვერით და სიცხით სულ დანაოხი.  
გარს უიმედოდ აპყრობდა თვალებს –  
ხედავს პალმის ქვეშ ჭას გამჭვირვალეს.  
უცებ პალმის ქვეშ ჭას თვალს მოავლებს.

უდაბნოს პალმას მან მიაშურა  
და ცივი წყალის ტალღა ასხურა  
მძიმედ დამწვარსა თვალსა და ენას,  
დანვა და ჭაკთან მას მიეძინა.  
მრავალი ნელნი განვიდენ დენით  
მინის და ცისა ყოვლისა ნებით.

დადგა მგზავრისა აღდგომის ჟამი  
მგზავრს გაღვიძების დაუდგა ჟამი,  
ასდგა და ესმის სიტყვა სისხამი:  
– შენ უდაბნოში დიდხანს გეძინა?  
და უპასუხებს: – როცა გუშინა  
მზე დილის ცაზე კიდევ ბრწყინავდა;  
დილით დილამდე ასე მძინავდა.

ესმა ხმა: – მგზავრო, გეძინა ბევრი,  
შეხეთ, დანექ ყმა, აღდეგი ბერი.  
პალმაც დალპა და ჭაც დაინრიტა,  
უნწყლო უდაბნოს დაშრა პირითა.  
დიდი ხანია მას ფარავს ქვიშა,  
შორს შენი ჭაკის ძვლებისა ნიშა.

და სევდით წამით ბერად გამხდარი  
აქვითინდა და თავი დახარა.  
და მოხდა მაშინ იქ სასწაული,  
აღსდგა ახალი ფერით წარსული,

პალმამ ამართა ამაყად თავი,  
წყლით დაიმშვენა ჭამაც სათავე.

და გაუმრთელდენ ბებერ ჭაკს ძვლები,  
ხორცი შეისხეს და მოჰყვენ ზღავილს.  
გრძნობს მგზავრი ისევ ძალას და სიმხნეს,  
სისხლში დაბერა ამდგართა სიყრმემ.  
და აღტაცება გვერდში ჩაუდგა  
და ღვითით თავის გზას ისევ გაუდგა.

[1937]

### **მონასტერი ყაზბეგზე**

სდგას ზევით მალლა მთათა კერასთან,  
ყაზბეგო, შენი მეფის კარავი  
და მონასტერის უკვდავ ელვასთან,  
ღრუბლების გარდა არ სჩანს არავინ.  
ზეცის სივრცეში მცურავ კიდობანს  
არა ყავს კაცი თვალის მომკრავი.

შორეული და ნანატრი მხარე,  
მინდა ხეობას უთხრა მშვიდობა;  
აღვიდე, სადაც სძინავთ მყინვარებს  
და ჰაეროვან საკანში ობლად,  
მსურს დავიმალო ღმერთთან მეზობლად.

*10 სექტემბერი, [1937]*

*ყაზბეგი*

## [იაზიკოვს]

დასაბამიდან ტკბილი კავშირი  
პოეტებს ძმებათ ერთად აერთებს.  
ერთი ჰყავთ მუზა თურმე ქურუმებს  
და ერთი გრძნობა იმათ ალელვებს.  
სხვანაირია იმათი ბედი,  
ნათესავობენ ზეშთაგონებით,  
ვფიცავ ოვიდის მწუხარე ლანდსა,  
იაზიკოვ, შენთან მე დღეს ვარ ახლო  
და მალე დერპტის გზას დავადგები.  
დილის სისხამზე გამოვიდოდი  
და პატიოსან სახლისა კარზე  
ჩემ მძიმე კვერთხსა დავაყუდებდი,  
დავბრუნდებოდი გაცოცხლებული  
უზრუნველ დღეთა სურათის ნახვით,  
შენი საუბრით ზეაღმართული  
და შენი ტკბილი ჩანგის ჟღერითა.  
მაგრამ მე მწამლავს ბედნიერება,  
დიდი ხანია გავხდი ოხერი,  
სადაც დაბერავს თვითმპრობელობა,  
მძინავს, არ ვიცი, სად გავიღვიძებ.  
დევნილი ქვეყნად, ეხლაც დევნილი  
ვატარებ ჩუმად შებორკილ დღეებს,  
პოეტო, ხმად ჰყავ ჩემი ვედრება,  
ნუ დამილუპავ მაინც ამ იმედს.  
სოფელში, სადაც პეტრეს [შინაყმა],  
მეფედედოფალთ საყვარელი ყმა,  
დავინწყებული ოჯახის წევრი  
იმალებოდა ჩემი პაპა არაბი.  
სად დაივინყა ელისავეტას  
სასახლის დიდი განცხრომის [ჩერო],  
ფიქრობდა მალე ზაფხულშიაც კი  
თავის შორეულ აფრიკის...  
მე გელი. შენ ჩემთან ერთად,  
სოფლის კარავში დაგეკონები,  
ჩემი ძმა სულით და ხორციით,

შენგან რჩეული ონავარი  
და მუზების მაღალი...  
ჩვენი დელვიგი ყველაფერს დასთმობს.  
და ჩვენ სამყოფელს...  
განდევნის შავი კუთხე...  
და მოვატყუებთ ჩვენ ყარაულებს,  
თავისუფლების ვაქებდეთ ნიჭსა  
და ჩვენ უხეში ახალგაზრდობის  
კვლავ გავაღვიძებთ მხიარულ ნადიმს,  
და ყურს დაუგდებთ ჩვენ....  
ლექსების და ჭიქების ხმაურს  
და ზამთრის ღამის მძიმე მონყენას  
ღვინით, სიმღერით უკან გავაგდებთ.

## ზამთრის ზღაპარი

### თავი პირველი

ეს იყო მწუხარ ნოემბრის თვეს,  
ანვა დღეს ტყვიის ღრუბლის ნალექი.  
ამტვრევდა ქარი ყვითელ ტოტებს ხეს,  
როცა სამშობლოს გზას დავადექი.  
დავადგი ფეხი თუ არა საზღვარს,  
მკერდში რაღაცა იძრა უწყალი,  
თვალეებზე ვიგრძენ სოველი ნამი  
და გადმომცვივდა ცრემლის კურცხალი.  
როცა მომესმა გერმანული ხმა,  
თითქო ზღვამ მკერდზე გადამიარა,  
თითქო გამიხსნეს დაჭრილი გული  
და სისხლი მოწყდა სოველ იარას.  
მოზრდილი ქალი მღეროდა რაღაც  
სევდიანი და უნაზესი ხმით  
და თითქო ეს ხმა ყალბიც კი იყო,  
მაგრამ გულს სევდის წვიმები ესხმის.  
მღეროდა იგი სიყვარულისთვის  
და იყო ტანჯვის გამოვლინება,  
იქ, მაღლა ცაზე, სხვა ქვეყანაზე,  
სადაც ჩაქრება ყოველი ვნება.  
მღეროდა იგი მიწის ვაებას,  
ბედნიერებას, უცებ რომ ჰქრება,  
რომ სულს განმენდილს იქ საიქიო  
შველის მარადი ბედნიერება.  
ის უარყოფის მიმღერდა ქებას,  
რაღაც ზეციურ ეპოპეიას,  
რომ ბავში – ხალხის გასაჩუმებლათ  
გაიმეტებენ ასეთ...  
მე, მეგობრებო, გეტყვით უკეთესს,  
სიმღერას თქვენთვის მართლა მოსადეგს,  
ქვეყნათ უფალის სამეფო ჩვენთვის  
ამ ქვეყანაზე ჩვენ დავამყაროთ.

## ფიოდორ დოსტოევსკი

### დიდებული ინკვიზიტორი\*

(რომანიდან „ძმანი კარამაზოვები“)

– მართლა აქ ხომ უწინასიტყვაოდ არ შეიძლება, ესე იგი ლიტერატურულ უწინასიტყვაოდ, ფჰუ! – გაიცინა ივანემ, – მაინც მე რა პოეტი ვარ! გესმის, მოქმედება ჩემი პოემისა სწარმოებს მეთექვსმეტე საუკუნეში და მაშინ შენ უთუოდ სკოლიდან გეცოდინება ჩვეულება, იყო პოეტურ ნაწარმოებში ცისა ძალთა ძირს, მიწაზე ჩამოყვანა, მე დანტეზე კი არ ვლაპარაკობ. საფრანგეთში მონასტრებში ბერები იძლეოდენ წარმოდგენებს, რომელშიაც სცენაზე გამოჰყავდათ მადონა, ანგელოსები, ქრისტე და თვითონ ღმერთიც. ვიქტორ შიუგოს Notre-Dame de Paris-ში დოფინის დაბადების დღეს, ლუი XI, რატუშის დარბაზში იძლევა უფასო წარმოდგენას: „Le bon jugement de la très sainte et gracieuse Vierge Marie“, სადაც ღვთის მშობელი წარმოსთქვამს ხოლმე თავის bon jugement-ს. ჩვენშიაც, მოსკოვში ძველათ ხშირათ იმართებოდა ამის მსგავსი დრამატული წარმოდგენები უფრო ძველ ალექსიდან: ამის გარდა, მაშინ ყოველ მხრივ დადიოდენ მოთხრობები და ლექსები, რომელშიაც მოქმედობდენ საჭიროებისამებრ წმინდანები და ძალნი ცათანი. ჩვენ მონასტრებში აგრეთვე ბევრს შრომობდენ ამისთანა პოემებზე. სთარგმნიდენ და თხზავდენ კიდევ მერე, მაშინ, როდესაც თათრების ურდო ქელავდა ხალხს. არის, მაგალითად, ერთი მონასტრული პოემა (რასაკვირველია, ბერძნულიდან): ტანჯვაში სიარული ღვთისმშობლისა, სადაც შეხვედები სურათებს, რომელნიც გამბედაობით არ ჩამოუვარდებიან დანტეს სურათებსაც. ღვთისმშობელი ნახულობს ჯოჯოხეთს, მას წინამძღვრობს მთავარ-ანგელოსი მიხეილი. იქ ნახულობს ის ცოდ-

\* ამ დოსტოევსკის რომანში ეს თავი სრულიად განსაკუთრებულია და ამიტომ შესაძლებელია მისი გაგება ნაწყვეტადაც. ცნობილი დანიელი კრიტიკოსი გეორგ ბრანდესის სიტყვით, მართო „დიდებული ინკვიზიტორის“-ათვის ღირდა ამ რომანის გადმოთარგმნა დანიურ ენაზეო, მით უმეტეს ეს საჭიროა ჩვენთვის, ქართველებისთვის. ეს მწერალი დიდ გაკვირვებას იწვევს ეხლა ევროპაში. რუსის მწერლის – ვიარსლავ ივანოვის თქმის არ იყოს, რასკოლნიკოვის ყავახანებში ლაპარაკმა აამეტყველა ნიცმეს ზარატუსტრა და ისიც ხომ ფაქტია, რომ დოსტოევსკის „მწერლის დღიურიდან“ გამოვიდენ ნ. ბერდიაევი, ბულგაკოვი, ივანოვი და სხვა მრავალი ახალი მისტიკოსები, რომელნიც სათავეში უდგანან ამ მიმართულებას დღეს რუსეთში.



ვილებს და ხედავს მათ საშინელ ტანჯვას. იქ, სხვათა შორის, არის ერთი შესანიშნავი დარგი ცოდვილთა ადუღებულ ტბაში, რომელნიც ჩაიყურყუმელავებენ ტბაში და შემდეგ არ შეუძლიათ ამოსვლა ზევით. „მათ ივინყებს ღმერთი“ – განა არ არის ეს გამოთქმა არა-ჩვეულებრივი სიღრმის და ძლიერების? და აი, შეძრწუნებული ღვთისმშობელი მტირალი დაემხოა ღმერთის წინ და სთხოვს მას ყველას შებრალებას, განთავისუფლებას, ყველასი განურჩევლად. ღვთისმშობელი სთხოვს, არ ეშვება და როდესაც ღმერთი უჩვენებს მას თავისვე შვილის მიღურსმულ ხელებზე და ეკითხება: როგორ ვაპატიო მე მის მწვალებელთო, მაშინ ღვთისმშობელი უბრძანებს ყველა წმინდანებს, წამებულთა და ანგელოსებს, დაემხონ მასთან ერთად პირქვე ღვთის წინაშე და სთხოვონ შებრალებას ყველასი განურჩევლათ. ეს პოემა თავდება მით, რომ ღვთისმშობელი გამოსთხოვს ღმერთს შეყენებას ტანჯვისას სამების დღემდე და ცოდვილნი ჯოჯოხეთიდან იქვე ჰმადლობენ ღმერთს, შელალადებენ მას.

„მართალ ხარ, შენ უფალო! რომ ასე განსაჯე“.

ჩემი პოემაც ამნაირი იქნებოდა, რომ იმ დროს გამოჩენილიყო. ჩემ პოემაში სცენაზე გამოდის ის. პოემაში ის თითქმის არაფერს ლაპარაკობს, მხოლოდ გამოჩნდება და ისევ მიდის. თხუთმეტი საუკუნე წავიდა მას შემდეგ, რაც მან დასდო ალთქმა, რომ კიდევ მოევლინებოდა კაცთა ნათესავს, თხუთმეტი საუკუნეა მას შემდეგ, რაც მისმა წინასწარმეტყველმა დასწერა კიდევ და „შემდგომად მომავალ არს“. დღე და ჟამი ჩემი მოსვლისა არავინ უწყის, არცა შვილმა, გარნა მამამ ზეციერმაო, ასე სთქვა მან თითონ ჯერ კიდევ დედამიწაზე, მაგრამ კაცობრიობა ელის მას ძველი რწმენით და სასოებით, რადგან თხუთმეტი საუკუნეა მას შემდეგ, რაც შესწყდა ადამიანთან ცის თავდებობა. მართალია, იყო მაშინ კიდევ სასწაულები, იყვენ წმინდანები, რომელნიც კურნავდენ სასწაულით, რამდენიმე მართალთა ეჩვენა კიდევ ღვთისმშობელი, მაგრამ ეშმაკს არ სძინავს და კაცობრიობას დაებადა იჭვი ამ სასწაულთა სიმართლესი. დიდი ვარსკვლავი „ჩირალდნის მსგავსი“ (ე. ი. ეკლესიისა) ჩამოსწყდა ცას და დაეცა წყალთა სათავეს და შეიქმნა წყალი მწარე. ერეტიკოსებმა კადნიერებით უარყვეს სასწაულები, მაგრამ ვინც დარჩენ მორწმუნენი, მაინც ელიან. ადამიანის ცრემლი მიდის უფალთან, ელიან მას, უყვართ იგი და სწყურიანთ იტანჯონ, მოკვდენ მისთვის, როგორც უწინ კვდებოდენ ხოლმე. აი, რამდენი ხანი ლოცულობდა კაცთ-ნათესავი დაუშრეტელ მოლოდინის ცეცხლით ალგზნებული. გარდმოგ-

ვევლინე ჩვენ, შევლადებდენ მას და მანაც განუსაზღვრელ შებრა-  
ლებით მოინდომა კიდევ ჩამოსვლა ქვეყნათ, მაზე მლოცველებზე.  
მოინდომა მან ჩამოსვლა, თუნდა წუთით ჩვენებოდა ხალხს, ტან-  
ჯულს, წამებულს, მაგრამ კიდევ მაინც ბავშვივით გულუბრყვილო  
მორწმუნესა. მოქმედება ჩემი პოემისა სწარმოებს ესპანიაში, ქალაქ  
სევილიაში, საშინელ ჟამს ინკვიზიციისას, როცა ღვთის სადიდებლათ  
ამ მხარეში ყოველ დღე გაუქრობლად ენთენ კოცონები და აუტო-  
დაფეზე სწავდენ ბოროტ ერეტიკოსებს. ეს, რასაკვირველია, არ  
ყოფილა ის ჩამოსვლა, რომელიც მან აღგვითქვა ჟამის დასასრულში  
მთელი თავისი ზეციერი დიდებით, რომელიც იქნება „როგორც ელ-  
ვა ბრწყინვალე აღმოსავლეთიდან დასავლეთით“. არა, მან მოინდო-  
მა წუთით, მხოლოდ წამით ენახა თავის ბავშვები და განგებ კიდევ  
იქ, სადაც მძვინვარებდენ კოცონები – ერეტიკოსებისა. უსაზღვრო  
მონყალებით ის მოდის კიდევ ერთხელ კაცთა შორის იმ ადამიანის  
სახით, რომლითაც დადიოდა სამი წელი ხალხთა შორის თხუთმეტი  
საუკუნის წინად. ის ჩამოდის სამხრეთის ქალაქში დიდებულ აუტო-  
დაფეს წინ, სადაც მეფის, მთელი რაინდობის, სასახლის ქალთა თა-  
ნადანსრებით, მთელი ქალაქის მცხოვრებთა თვალწინ კარდინალმა,  
დიდებულმა ინკვიზიტორმა დასწავა მთელი ასეული ერეტიკოსებისა  
ad majorem gloriam Dei; ის გამოჩნდა ჩუმად, შეუმჩნეველად, მაგრამ  
უცნაურია – ყველამ იცნეს. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი შესა-  
ნიშნავ ადგილთაგანი ჩემი პოემისა – რატომ იცნეს იგი?

ხალხი შეუკავებელი ძალით მიილტვის მისკენ, გარს ეხვევა, უკან  
მიჰყვება. ის ჩუმათ დადის მათ შორის ჩუმი ღიმილით უსაზღვრო  
შებრალებისა ტუჩებზე. მზე სიყვარულისა ღვივის მის გულში, სხივე-  
ბი სინათლისა, შეცნობის და ძლიერებისა იფრქვევიან მის თვალ-  
თაგან და როცა შეეხებიან ადამიანს, მის გულს, გაფართხალდება  
გრძნობა სიყვარულის, პასუხისა.

...ის შლის ხელებს, აკურთხებს მათ და მისი მიკარება, თუნდა  
მისი სამოსელისა სისალის ძალას აფრქვევს გარშემო. ვაი, ბრბოდან  
იძახის მოხუცი, ბავშვობიდან ბრმა:

– უფალო, გამკურნე და მე გიხილავ შენ!..

აი, თითქო ქერცლი ჩამოშორდა მის თვალებს და ბრმა ხედავს  
მას... ხალხი ტირის, კოცნის მინას, სადაც ის მიდის. ბავშვები მის წინ  
ყვავილებს აბნევენ, გალობენ და შეჰლაღადებენ „ოსანას“:

– ეს, ის არის, თითონ ისაა, ის უნდა იყოს, არავინაა თუ არა  
ის! ისმის ხალხში. მაგრამ აგერ ის შეჩერდა სევილიის ტაძრის შესა-

ვალთან, სწორედ იმ წამში, როცა გალავანში შეაქვთ მოთქმა-ვაებით თავ-ახდილი პატარა თეთრი კუბო. იმაში შვიდი წლის გოგონა ნევს, ერთად ერთი ქალი სახელოვანი მოქალაქისა. მკვდარი სულ ერთიან ყვავილებშია გახვეული.

– ის აღადგენს შენს ბავშვს. – უძახის ვილაც ბრბოდან მტირალ დედას. ეკლესიის პასტორი გაქვავებულევით სდგას და წარბები შეუკრავს. დედა ემხობა მის (ქრისტეს) ფერხთან:

– თუ შენა ხარ, გამიცოცხლე მე ჩემი ბავშვი. – თავდავინყებით შესძახის მას და ფეხებს უკოცნის. პროცესია შეჩერდება. კუბო დაუშვებს იქვე, მის ფეხებთან. ის ხედავს შებრალების იმ ღიმილით, რომელიც მას არ შორდება სახეზე და მისი ბაგენი ერთხელ კიდევ განიმეორებენ:

– ტალიფა კუმი.

ქალწული ადგება და გაინძრევა კუბოში, ჯდება ბავშვი და აქეთ-იქით იხედება გაკვირვებულის თვალებით, ხელში თაიგული აქვს თეთრი ყვავილებისა, რომელშიაც კუბოში იწვა. ხალხში რყევას, ძახილი, მოთქმა და აი, ამ დროს მოედანზე გაივლის თითონ კარდინალი, დიდებული ინკვიზიტორი. ეს თითქმის ოთხმოცდა-ათი წლის მოხუცია, მაღალი და სწორი, გამხმარი სახით და ჩაცვინული თვალებით, მაგრამ თვალებში, როგორც ცეცხლის ნაპერწკალი, კიაფობს სხივი. ეხლა მას არ აცვია თავისი შესანიშნავი კარდინალის წითელი ტანისამოსი, როგორც გუშინ, როცა სწვავედენ კოცონზე რომის ეკლესიის მტრებს, ეხლა ის ბერის უბრალო სამოსელშია. მას შორი ახლოს მოჰყვებიან დაღვრემილი თანაშემწენი, მონები მისი „საღვთო“ სადარაჯოსი. კარდინალი შეჩერდება ხალხის წინ და შორიდან უყურებს. მან ყველაფერს შეხედა, შეხედა, როგორც ჩამოუშვეს კუბო, როგორ ადგა ქალი და რალაც ბედითმა ცეცხლმა გადაიარა მის სახეზე. კარდინალმა გაიშვირა ხელი და უბრძანა მცველებს, დაეჭირათ იგი. აი, როგორია მისი გავლენა, როგორ ძრწის ხალხი მის წინ და როგორ მისჩვევია მის ბრძანებას.

ხალხი ერთ ნუთში გაირღვა და სამარისებურ ღუმელში მცველებმა მოჰკიდეს მას ხელი და წაიყვანეს. ბრბო, როგორც ერთი კაცი, მოიხრის თავს და მიწაზე დაეცემა მოხუც კარდინალის წინ და ისიც ჩუმად აკურთხებს მათ და მიდის. მცველებს მიყავთ ტყვე და ამწყვდევენ საპატიმროში წმინდა სასამართლოს ძველ შენობაში და ტოვებენ იქ. გადის დღე და დგება შავი, ცხელი სვეილიის ღამე. ჰაერი ღიმონის და დაფნის სუნით არის გაჟღენთილი. უცებ ამ ღამეში გაიღება

კარები სატუსაღოსი და შემოდის თვითონ მოხუცი დიდებული ინ-კვიზიტორი სანათით ხელში. ის მარტოა და შემოსვლისთანავე კარები იხურება. კარდინალი ჩერდება და შემოსვლის დროს დიდხანს უკვირდება მის სახეს. შემდეგ ჩუმად მიდის, სდგამს ფარანს მაგიდაზე და ეუბნება მას:

– ეს შენ ხარ, შენ? – მაგრამ რომ ვერ მიიღებს პასუხს, საჩქაროდ უმატებს, – ნუ მიპასუხებ, გაჩუმდი. და მაინც რა შეგეძლო, რომ გეთქვა შენ? მე კარგად, ძლიერ კარგად ვიცი, რასაც შენ იტყვი. შენ არც უფლება გაქვს, რომ მოუმატო რამე, რაც სთქვი უნინ, იმას, რისთვის მოდი, რისთვის, რომ დაგვიშალო ჩვენ? რადგან შენ მოდი, რომ დაგვიშალო და შენ იცი ეს. მაგრამ იცი შენ, რა იქნება ხვალე? მე არ ვიცი, ვინა ხარ შენ და არც მინდა ვიცოდე; ხარ შენ ის, თუ მისი მსგავსი, სულ ერთია, ხვალ გაგამტყუნებ და დაგწვავ კიდეც კოცონზე, როგორც უბოროტეს ერეტიკოსს და ის ხალხი, რომელიც დღეს ფეხებს გიკოცნიდა, ხვალ როგორც კი უბრძანებ, ნახშირს დააყრის შენს კოცონს და იცი ეს შენ? და, შესაძლებელია, ეს იცოდე შენ, სთქვა მან გაყრუებულ მღუშარებაში, თვალს კი მაინც არ აშორებდა თავის ტყვეს.

– მე არაფერი არ მესმის, რა არის ყველა ეს? – გაიღიმა მთელ დროს ჩუმად რომ ისმენდა ალიოშამ, – ეს სწორედ რაღაც უსაზღვრო ფანტაზიაა, ან და რაღაც შეცდომა მოხუცისა, რაღაც შეუძლებელი *qui pro quo*?

– მიიღე უკანკასკნელი მაინც, – გაიცინა ივანემ, – თუ შენ ასე გაგანებოვრა თანამედროვე რეალიზმმა და შენ არ შეგიძლია გადაიტანო არაფერი ფანტასტიური – თუ გინდა იყოს შენი *qui pro quo*. ესეც მართალია, მოხუცი ოთხმოცდა-ათი წლისაა და შეიძლება ჭკუაზედაც შეირყა თავის იდეით. ტყვეს შეეძლო, თავის გარეგნობით მოეხიბლა იგი. შესაძლებელია, ეს ყოფილიყო ბოღვა-მოჩვენება ოთხმოცდა-ათი წლის მოხუცისა სიკვდილის წინეთ და მერე კიდევე გუშინ აუტოდაფეზე, სადაც ასე ერეტიკოსი დასწვეს, ის გაცეცხლებული იყო. მაგრამ განა სულ ერთი არ არის ჩვენთვის *qui pro quo* და უსაზღვრო ფანტაზია! აქ საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მოხუცს უნდოდა გამოეთქვა ბოლოს ის, რასაც ამ ოთხმოცდა-ათ წელში გრძნობდა, მაგრამ რომელზედაც ამდენ ხანს სდუმდა.

– და ტყვე კიდევე სდუმს? ხედავს მას და არაფერს ეუბნება?

– დიახ, და ასეც უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში, – გაიცინა ივანემ, – თითონ მოხუცმა შენიშნა, რომ მას არ შეუძლია არაფერი

მოუმატოს მას, რაც ერთხელ სთქვა უნინ. და თუ გინდა, მხოლოდ ამაშია ძირითადი მცნება კათოლიკობისა, ჩემი ფიქრით, ყოველ შემთხვევაში. „ყველაფერი გადაეცა შენით პაპს და ამიტომ პაპს ეხლა ყველაფერი აქვს და შენ ნუ მოხვალ და თუ შეგვიშლი ხელს, ამ აზრზე ისინი არა თუ ლაპარაკობენ, სწერენ კიდევ იეზუიტები მაინც. ამას მე თითონ ვკითხულობდი მათ ღვთისმეტყველების ნაწერებში. „შეგიძლია განა შენ, გადმოგვცე ერთი იმ საიდუმლოთაგან, საიდანაც შენ მოხვედი? – ეკითხება ჩემი მოხუცი და თვითონვე უპასუხებს მის მაგიერ, – არა, არ შემიძლია, რომ არ მოუმატო იმას, რაც უნინ სთქვი, რომ არ წაართო ხალხს თავისუფლება, რომელსაც ასე იცავდი, როცა მიწაზე იყავი. ყველა, რასაც შენ ეხლა იტყვი, საფრთხეში აგდებს ადამიანთა სარწმუნოების თავისუფლებას, რადგან გამოჩნდება, როგორც სასწაული და თავისუფლება რწმენისა, რომ ყველა უფრო ძვირფასი იყო შენთვის თუთხმეტი საუკუნის წინათ. შენ არ იყავი, ასე ხშირად რომ იმეორებდი, „მინდა, გაგხადოთ თავისუფალი“, მაგრამ აი, შეხედე შენ იმ თავისუფალ ხალხს“. – ბოროტ ღიმილით დაუმატა მან.

– დიახ, ძვირათ დაგვიჯდა ჩვენ, ძლიერ ძვირათ ეს საქმე, მაგრამ დავათავეთ შენი სახელით. თხუთმეტი საუკუნე ვიტანჯებოდით ჩვენ იმ თავისუფლების გამო, მაგრამ ეხლა კი მოუღეთ ბოლო და ეს დასრულდა მაგრად. შენ არ გჯერა, რომ ყველაფერი დასრულდა? შენ შემომცქერი მე მშვიდათ და არ მიცხადებ ზიზღს! მაგრამ იცოდე, რომ ეხლა, დიახ, ეხლა დარწმუნებულია ის ხალხი ისე, როგორც არასდროს არ ყოფილა დარწმუნებული, რომ ის თავისუფალია, სრულიად თავისუფალი მაშინ, როდესაც მათ დადევს ჩვენ ფეხებთან თავისუფლება. მაგრამ ეს ვქენით ჩვენ და გინდოდა ამგვარი თავისუფლება?

– მე კიდევ არაფერი მესმის, – გაანწყვეტინა ალიოშამ, – ის იცინის?

– სულაც არა. ის სახელდობრ იქებს თავს და თავისიანებს, რომ დასცეს თავისუფლება და ქნეს ეს იმიტომ, რომ ადამიანი ყოფილიყო ბედნიერი. რადგან მხოლოდ ეხლა (ე. ი. ლაპარაკობს ინკვიზიციონაზე) შეიქნა შესაძლებელი ადამიანის ბედნიერებაზე ფიქრი. ადამიანი შექმნილია აჯანყებულათ და შეიძლება იყოს ის ბედნიერი?

– შენ გაგაფრთხილეს, ელაპარაკება ის მას, განა შენ დაგაკლდა გაფრთხილება, მაგრამ შენ არ ისმინე, უარყავ ერთად ერთი გზა, რომლითაც შეიძლებოდა ადამიანის გაბედნიერება, მაგრამ საბედნიეროდ, შენ როდესაც ჩვენ დაგვიტოვე ეს საქმე, ჩვენ გადმოგვეცი, შენ აღგვიტყვი, შენ განამტკიცე შენივე სიტყვით, შენ მოგვეცი

უფლება შეკონვისა და გახსნისა და ეხლა, რასაკვირველია, არ შეგიძლია, რომ იფიქრო მის წართმევაზე. რისთვის მოდი, რისთვის? ხელის შესაშველად?

– ეს რას ნიშნავს, შენ არ დაგკლებია გაფრთხილება და გზის ჩვენება? – დაეკითხა ალიოშა.

– დიახ, ამაში იმალება სათავე, რაც მოხუცს უნდა, სთქვას.

– საშინელი და ჭკვიანი სული, სული თვითდამხობისა და არ ყოფნისა, – განაგრძობს მოხუცი, – დიდებული სული ლაპარაკობდა შენთან უდაბნოში და ჩვენ გადმოგვცეს წიგნში, თითქო ის შენ „გაცდენდა“, მართალია ეს? და შეიძლებოდა კიდევ თქმა რაიმე ჭკმარიტისა, რაც შენ გითხრა მან სამ კითხვაში, რომელიც შენ უკუაგდე და დაარქვეს მას „შეცდენა“ წიგნებში? და მართლა კი თუ ყოფილა როდისმე მინაზე სასწაული, ყველაზე უდიდესი და საშინელი იყო ის სასწაული იმ დღეს, დღეს სამ შეცდენისას. სახელდობრ, იმ სამ კითხვაში იყო სასწაული, და რომ წარმოვიდგინოთ მხოლოდ სამაგალითოდ, ვითომ ეს სამი კითხვა საშინელი სულისაგან მოცემული ამოიშალა წიგნებიდან და ხელახლავ უნდა აინიშნოს და ამისათვის შეკრიბოთ ყველა ბრძენი ქვეყნისანი, მმართველნი მღვდელ-მთავარნი, მეცნიერნი, ფილოსოფოსები, პოეტები და მისცეთ ამოცანა: გამოიგონეთ, შეთხზეთ სამი კითხვა, მაგრამ რომელნიც არა თუ უნდა შეესაბამებოდეს ამბის ზომას, არამედ სამ სიტყვაში, სამ უბრალო ადამიანის ფრაზაში გამოთქვამდეს მთელს ისტორიას სამყაროისას და კაცობრიობისას, განა ფიქრობ შენ, რომ მთელი სიბრძნე ქვეყნისა ერთად შეერთებული შეიძლება გამოგონებას, თუნდა იმის რამე მსგავსისას, რაც იმალებოდა სიღრმე და ძალა იმ სამ კითხვაში, რომელნიც მოგცა საშინელმა და ძლიერმა სულმა უდაბნოში?..

მარტო იმ კითხვათა გამოჩენის სასწაულით შეიძლება გაგება, რომ გაქვს საქმე არა ადამიანის ჭკუასთან, სამარადისოსთან და აბსოლიუტურთან.

რადგან მხოლოდ იმ სამ კითხვაში თითქო ერთად შეერთებულა წინასწამეტყველება კაცობრიობის აწინდელი ისტორიისა და სამ სახეში, რომელშიაც შესულა გამოუცნობი ისტორიული წინააღმდეგობა ადამიანის ბუნებისა მთელ დედამიწაზე, მაშინ არ შეიძლებოდა მისი შეცნობა, რადგან მომავალი განუჭვრეტელი იყო მაშინ, მაგრამ ეხლა, როცა გავიდა თხუთმეტი საუკუნე, ჩვენ ვხედავთ ეხლა, რომ ამ სამ კითხვაში იმდენი წინასწარმეტყველება გამოდგა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია არაფერის მიმატება, არც გამოკლება.

– გამოიცან შენ თვითონვე, ვინ იყო მართალი: შენ თუ ის, რომელიც შენ, შენ გეკითხებოდა? მოიგონე პირველი კითხვა, იმის აზრის იყო, „შენ გინდა ქვეყნათ მიხვიდე ცარიელი ხელით, რალაცა თავისუფლების აღთქმით, რომელსაც ისინი ვერ გაიგებენ, ვერ მოისაზრებენ და რომლისაც მათ ეშინიათ, რადგან არაფერი არას დროს არ ყოფილა ადამიანისთვის და ადამიანთა საზოგადოებისთვის ისეთი გადაუტანელი, როგორც თავისუფლება. და ხედავ შენ ამ ქვეებს, ამ ტიტველ და ხრიოკ უდაბნოში? გადააქციე ეს ქვეები პურად და გამოგეკიდება კაცობრიობა, როგორც ჯოგი, მადლიერი და გამგონე, თუმცა მარად მძრწოლვარე, რომ შენ შეგეძლია, შეაჩერო ეს. მაგრამ შენ არ ინდომე ნაგერთმია ადამიანისთვის თავისუფლება, უარყავ გაფრთხილება, რადგან შენ ასე განსაჯე, რა თავისუფლებაა ის თავისუფლება, როდესაც ნაყიდა ის პურითო. შენ უპასუხე, რომ არა მარტო პურით სცხოვრობს ხოლმე ადამიანო, მაგრამ იცი შენ, რომ იმ ქვეყნიურ პურისთვის აღსდგება შენზე, მინის სული შეგებრძობლება და დაგამარცხებს, ყველა მას მიყვება ძახილით: „რა შეედრება ამ მხეცს, მან მოგვცა ცეცხლი ციდანო“. იცი შენ, რომ განვლენ საუკუნენი და კაცობრიობა მეცნიერების პირით გამოაცხადებს, რომ არ არის დანაშაული, მაშასადამე, არც ცოდვაა, არიან მხოლოდ მშვიდნი. „გამოკვებე და მაშინ მოსთხოვე მას, სათნობა“ – აი, რას დაანერენ იმ დროშაზე, რომელსაც შენს წინააღმდეგ ააფრიალებენ და რომლითაც დაიმხოვა შენი ტაძარი. შენი ტაძრის ალაგს დაიდგმება ახალი შენობა, ისევ ააშენებენ ბაბილონის გოდოლს, თუმც ვერც ახლა მოათავებენ მის აშენებას, როგორც უნინ, მაგრამ შენ ხომ შეგეძლო, არ აეშენებიათ იგი, ათას წლობით შეგემოკლებია ტანჯვა ადამიანისა, რადგან ჩვენთან მოვლენ ისინი, რა დაილლებიან გოდოლის შენებით და მოგვნახავენ მაშინ ჩვენ ისინი მინის ქვეშ აკლდამებში დამალულთა (რადგან ჩვენ ვიქნებით მაშინ დევნილნი და წამებულნი), მოგვნახავენ და შემოგვლალადებენ:

– გვაჭამეთ თქვენ, რადგან მათ, ვინც შეგვპირდენ ცეცხლი ციდან, იგი არ მოგვცეს და მაშინ ჩვენ დავათავებთ მათ გოდოლს, რადგან დაათავებს ის, ვინც მათ აჭმევს და ვაჭმევთ მარტო ჩვენ შენი სახელით და ვიცრუებთ, რომ შენი სახელით არა, არასდროს, არასდროს უჩვენოთ. ისინი ვერ გაძლებიან. არავითარი მეცნიერება მათ არ მისცემს პურს, სანამ დარჩებიან თავისუფალნი, მაგრამ დათავდება მით, რომ ისინი მოიტანენ თავიანთ თავისუფლებას ჩვენ ფეხთან და გვეტყვიან:

– ისევ გვექლეთ ჩვენ, ოლონდ გვაჭამეთ.



მაშინ ისინიც გაიგებენ, რომ თავისუფლება და მიწიერი პურის გაყოფა არ შეიძლება. დარწმუნდებიან, რომ ისინი ვერას დროს ვერ იქნებიან თავისუფალნი, რადგან უღონონი და არარანი არიან. შენ ალუთქვი მათ ზეციერი პური, მაგრამ, ისევ გიმეორებ, შეუძლია გინა იმას, სუსტი და მუდამ ცოდვილი კაცთა მოდგმაში, შეედაროს მიწიერ პურს? და თუ შენ ზეციერ პურისათვის წამოგყვენ ათასი ან ათი ათასი, რა უნდა დაემართოს იმ მილიონებს და ას მილიონ ხალხს, რომელთაც არ შეუძლიანთ, ზეციერი პურისათვის მიწიერი დაივინყონ? შენთვის ძვირფასია ათასი ან ათი ათასი დიდებული და ძლიერი და რას უშვები იმ მილიონს, ზღვის ქვიშასავით მრავალ სუსტთა, მაგრამ შენს მოყვარულთ, უნდა გადაექცნენ ისინი გინა საფეხურათ ძლიერთა და დიდებულთ? არა, ჩვენთვის ძვირფასია სუსტებიც. ისინი ცოდვილნი არიან და აჯანყებულნი, მაგრამ არა უშავს რა, ბოლოს და ბოლოს გამგონე შეიქმნებიან. ისინი გაკვირდებიან ჩვენზე და ღმერთებს გვინოდებენ, რადგან ჩვენ დავუდექით მათ სათავეში და დავთანხმდით გვეზიდა თავისუფლება, რომელმაც ისინი შეაშინა. ოჰ, როგორ შესძულდებათ მათ უკანასკნელათ თავისუფლება. მაგრამ ჩვენ ვეტყვი, რომ შენ გისმენთ და შენი სახელით ვბატონობთ. ჩვენ იმათ კიდევ მოვატყუებთ, რადგან შენ არ მოგიშვებთ ჩვენთან და ამ სიცრუეში იქნება მთელი ჩვენი ტანჯვა, რადგან ჩვენ იძულებული ვართ, რომ ვიცრუოთ. აი, რას ნიშნავდა პირველი კითხვა უდაბნოში და აი, რა უარყავ შენ, დააყენე რა თავისუფლება ყველაზე წინ. ამ კითხვაში კი იმალებოდა დიდებული საიდუმლო, საიდუმლო სამყაროსი, რომ მიგელო „პური“, მაშინ შენ უპასუხებდი საყოველთაო, სამარადისო ტანჯვას კაცობრიობისას, ისე არაფერი არ ანუხებეს ადამიანს, როგორც როცა თავისუფალი დარჩება, მალე მონახოს ხოლმე ის, რომლის წინაც ქედი მოიხაროს. ამისთვის იყო ხოლმე, რომ ისინი ხოცავდენ ერთი-მეორეს მახვილით, ისინი ჰქმნიდენ ღმერთებს და ერთი-მეორეს ელაპარაკებოდენ:

– დააგდეთ თქვენი ღმერთები და ჩვენზე ილოცეთ, თორემ სიკვდილი გელის თქვენც და თქვენს ღმერთებსაც.

და ასე იქნება ეს დაუსრულებელი. მაშინაც კი, როცა ღმერთებიც კი არ იქნებიან, სულ ერთია, ისინი მაშინ დაემხოებიან კერპთა წინაშე. შენ იცოდი ეს, შენ არ შეგეძლო, არ გცოდნოდა ეს ძირითადი საიდუმლოება ადამიანის ბუნებისა, მაგრამ შენ უარყავ ერთად-ერთი აბსოლიუტური დროშა, რომელიც გეძლეოდა შენ, რომ ყველას ეთაყვანებოე, დროშა მიწიერი პურისა უარყავ შენ ზეციერის სახელით. შეხედე, რა ქენი შენ შემდეგ, და კიდევ ყველაფერი იმავე



თავისუფლებისათვის. გეუბნები, არაფერი არ ყოფილა იმაზე უარესი ადამიანისათვის, რომ მოენახა ვინმე, ვისთვისაც გადაეცა ეს ნიჭი თავისუფლებისა, რომელიც დაბადებისთანავე თან დაჰყვება ხოლმე ამ უბედურ არსებას, მაგრამ დაეპატრონება ადამიანთა თავისუფლებას, მხოლოდ ის, ვინც დაანყნარებს მათ სინდისს. პურთან ერთად შენ გეძლეოდა დროშა უძლეველი: მისცემ პურს, შენ გაგაღმერთებს, რადგან არაფერი არ არის მასზე ძლიერი, მაგრამ თუ ვინმე ამ დროს დაეპატრონა, შენს გარდა მის სინდისს, მაშინ ის დააგდებს პურსაც და ნაჰყვება მას, ვინც მისი სინდისი აატოკა.

რადგან საიდუმლოება ადამიანის არსებობისა იმაში კი არ არის, რომ იცოცხლოს, არამედ მისთვის იცოცხლოს. ეს ასეა, მაგრამ რა გამოვიდა, მის მაგიერ, რომ შენ ხელთ გეგდო ადამიანის თავისუფლება, შენ კიდევ გააძლიერე მასში ეს. იქნებ შენ დაგავინყდა, რომ მყუდროება და სიკვდილი უფრო ძვირფასია, ვიდრე თავისუფალი არჩევანი კეთილის და ბოროტის შეცნობისა? არა რა არის ადამიანისთვის ისე მომაჯადოებელი, როგორც თავისუფლება მისი სინდისისა, მაგრამ სამაგიეროდ, არაა არის მასზე საშინელი. შენ, რომელიც მოხვედი, რომ მიგეცა მსხვერპლად მათთვის სიცოცხლე, მის მაგიერ, რომ დაპატრონებოდი ადამიანის თავისუფლებას, შენ გაამრავლე ის, დატვირთე ტანჯვით სულიერი სამეფო ადამიანისა უკუნითი უკუნისამდე. შენ მოისურვე თავისუფალი სიყვარული ადამიანისა, რომ თავისუფლად წამოსულიყო ის შენს ნაკვალევზე, შენით დატყვევებული. ძველი სასტიკი კანონის მაგიერ – თავისუფალი გულით უნდა გაარჩიოს ადამიანმა, რა არის ბოროტი და რა კეთილი და ამაში უნდა ეხელმძღვანელებია შენი სახით, მაგრამ რად არ იფიქრე, რად, რომ ბოლოს და ბოლოს არ ერწმუნება ის არც შენს სახეს, არც შენს სიმართლეს, თუ მას ზურგზე აწევს მისთანა საშინელი ტვირთი, როგორიც არის თავისუფლება არჩევისა. ისინი შემოგდახებენ უკანასკნელათ, რომ სიმართლე არ არის შენში, რადგან არ შეიძლება მათი ასე დატოვება ტანჯვაში და წვალებაში, როგორც ეს შენ ჰქენი, დაუტოვე რა მათ ამდენი გამოუცნობი გამოცანები. თითონ შენ დაუდევი საფუძველი შენი სამეფოს დამხობას და მოსპობას, სხვას მაინც ნურავის დააბრალებ. მერე ეს გეძლეოდა შენ? არის სამი ძალა, სამად სამი დედამიწაზე, რომელთაც შეუძლიათ, სამარადისოდ დაატყვევონ სინდისი იმ საწყალთა – ბედნიერება მათთვის ეს სამი ძალა: სასწაული, საიდუმლოება, ავტორიტეტი. შენ უარყავი ერთიც და მეორეც, მესამეც კი და თვით მიეცი მაგალითი

მათ, როდესაც საშინელმა და ბრძენმა სულმა დაგაყენა შენ ტაძრის თავზე და გითხრა:

– თუ გინდა, გაიგო, რომ შენ მართლა ხარ შვილი ღვთისა, გადავარდი აქედან, რადგან თქმულ არს შენზე, რომ ანგელოზები დაგიტაცებენ და წაგიღებენ, როს დავარდები ძირს, არაფერი არ დაგემართება, გაიგებ მაშინ, ხარ თუ არა შვილი მამისა შენისა და დაამტკიცებ, როგორია შენი რწმენა მასზე; მაგრამ შენ გაიგონე ყველა ესენი და უარყავ ნინადადება, ვითომ არ დაჰყევ შეცდენას. ო, რასაკვირველია, შენ მოიქეცი მაშინ ამპარტავნულად, როგორც ღმერთი, მაგრამ სუსტი მოდგმა ადამიანისა... იმათაც დაერქმევათ ღმერთები?

ო, შენ გაიგე მაშინ, რომ გექნა ერთი ნაბიჯი, თუნდა მოძრაობა დაბლა გადასავარდნათ, შენ მაშინვე შესცოდებდი ღმერთს, დაჰკარგავდი რწმენას და საშინლად დაიფლითებოდი ძირს ჩავარდნილი მიწაზე, იმ მიწაზე, რომლის სახსნელად შენ მოხვედი ციდან და გაიხარებდა მაშინ ჭკვიანი სული, შენი შემცდენელი, მაგრამ, გიმეორებ, ბევრია განა მისთანა, როგორც შენ? და განა შენ გულში გაიტარე ეს აზრი, რომ ადამიანიც გადაურჩებოდა შეცდენას? განა ისეა შექმნილი ადამიანის ბუნება, რომ უარჰყოფს სასწაულს ამისთანა საშინელ მომენტში, როცა სტანჯავს გამოსაცნობი კითხვები და აჰყვება გულის, მხოლოდ გულის გამოცნობას? ო, შენ იცოდი, რომ შენი ეს გმირობა ჩაიწერებოდა წიგნებში, ჩანვდება ჟამის სიღრმეს და უკანასკნელს საზღვარს ქვეყნისას და შენ ფიქრობდი, რომ მოგბაძვენ შენ ადამიანები, დარჩებიან მუდამ ღმერთთან და არ ინდომებენ სასწაულებს. მაგრამ შენ არ იცოდი, რომ, როგორც კი უარჰყოფს ადამიანი სასწაულს, უარჰყოფს ღმერთსაც, რადგან ის სასწაულს უფრო ეძებს, ვიდრე თვით ღმერთს. შენ არ ჩამოხვედ ჯვარიდან, როდესაც გიძახოდენ შენ, გაჯავრებდენ და დაგცინოდენ: „ჩამოდი ჯვარიდან და გირწმუნებთ, რომ შენ ხარ ნამღვილად ის“. შენ არ ჩამოხვედი, რადგან არ გინდოდა, ადამიანი დაგებრმავებია სასწაულით და ელოდი, გწყუროდა თავისუფალი რწმენა და არა სასაწაულებრივი. გწყუროდა თავისუფალი სიყვარული და არა მონური აღტაცება ძლიერების წინ, რომელმაც სამუდამოდ შეარყია ცხოვრება მონისა... მაგრამ შენ განსაჯე ძლიერ მალლა, ადამიანებიც იგივე მონებია, თუმცა შექმნილი არიან აჯანყებულათ. გამოახილე თვალები და განსაჯე, თხუთმეტი საუკუნე წავიდა მას შემდეგ და შეხედე ეხლა, ვინ აიყვანე შენ შენი სახემდი? გფეიცები, ადამიანი უფრო სუსტად არის შექმნილი, ვიდრე შენ გეგონა? შეუძლია, შეუძლია იმას შეასრულოს ის, რაც

შენ შეასრულე. თუმცა ასე გიყვარდა შენ ადამიანი, მაგრამ ისე მოექექცი მას, თითქო დაკარგე მისდამი შებრალება, რადგან მოსთხოვე მას ძლიერ ბევრი, ძლიერ ბევრი და მერე ვინ? შენ, ვინც შეიყვარე ადამიანი თავის-თავზე უფრო, შენ რომ გდომოდა მისი ბედნიერება, ცოტას მოსთხოვდი და ეს იქნებოდა სიყვარულთან ახლო, რადგან ადვილი იქნებოდა ამისთანა ტვირთის ზიდვა. ადამიანი სუსტია, ადამიანი ქვემძრომია. რა არის აქ საკვირველი, რომ ის ჩვენ და ჩვენს ძლიერების წინააღმდეგ ამხედრებით ამპარტავნობს? ეს ამპარტავნობაა და სიამაყე ბავშვისა, მონაფის. ესენი პატარა ბავშვები არიან, კლასში რომ აჯანყდენ და მასწავლებელი გარედ გამოაგდეს, მაგრამ დაედება საზღვარი პატარა ბავშვების თამაშს და ეს ძლიერ ძვირად დაუფლებათ მათ. ისინი დაამხოვენ ტაძრებს და სისხლით მორწყავენ მინას. მაგრამ ისინი თვითონ მიხვდებიან, რომ თუმცა აჯანყებულნი არიან, მაგრამ მათი ჯანყი ძლიერ სუსტია და მათ არ შეუძლიათ, ის გადაიტანონ. სულელურ ცრემლებს დააფრქვევენ და გამოგვიტყდებიან, რომ ვინც ისინი აჯანყებულათ გააჩინა, თქმა არ უნდა, მათ დასცინოდა და იტყვიან ისინი ამას სასონარკვეთილებაში და მისგან ნათქვამი იქნება ღვთის გმობა, ამით ისინი უფრო უბედური შეიქმნებიან, რადგან ადამიანის ბუნება ვერ იტანს ხოლმე ღვთის უარყოფას და ბოლოს და ბოლოს თვითონვე იძიებს შურს თავისვე თავზე. მაშასადამე, უკმაყოფილება, უბედურება არის ეხლანდელი ბედი ადამიანისა და ყველა ეს იმის შემდეგ, როცა შენ აწამე მისი თავისუფლებისთვის ჯვარზე. დიდებული წინასწარმეტყველი შენი თავის ჩვენებაში ლაპარაკობს, რომ შეხედა ყველა მონაწილეთ შენი პირველი აღდგომისა და ისინი იყვენ ყოველ თორმეტ მუხლიდან, თორმეტი ათასი, მაგრამ თუ იყვენ მართლა ყველა ესენი, მაშინ ისინი ყოფილან ღმერთები და არა ადამიანები, იმათ გადაიტანეს შენი ჯვარი, ისინი იტანჯებოდენ უდაბნოში მშვიერი და ტიტველნი, იკვებებოდენ ველური თაფლით, ბალახის ძირებით – რასაკვირველია, შენ შეგიძლია ამაყად მაჩვენო იმათზე, როგორც ნამდვილ თავისუფლების შვილებზე, მაჩვენო მათი საშინელი მსხვერპლი, შენდამი მოტანილი, მაგრამ მოიგონე, რომ ისინი იყვენ მხოლოდ ათასნი და იგიც ღმერთები – დანარჩენები? რით არიან დამნაშავენი, სუსტნი, რომ ვერ შესძლენ მოთმენა ისე, როგორც იმ ძლიერთა? რათ არის დამნაშავე სული, რომ ვერ ზიდა ეს საშინელი ნაწილები? იქნებ შენ მოხვედი მართლა რჩეულებთან და რჩეულთათვის? მაგრამ თუ ასეა, აქ საიდუმლოებაა და ჩვენ იმას ვერ გავიგებთ, ვერა. და თუ ეს საიდუმლო-

ებაა, მაშინ ჩვენ გვექონია უფლება, გვექადაგებინა საიდუმლოება, რომ თავისუფალი გამოცნობა გულისა და სიყვარული კი არ არის შესანიშნავი და საჭირო, არამედ საიდუმლოება, რომელსაც ისინი უნდა ერწმუნონ ბრმად, თუნდა მათ სინიდისის გარედაც. და ჩვენც ასე ვქენით, ჩვენ გავასწორეთ შენი დაწყებული საქმე და ყველაფერი დავაფუძნეთ სასწაულზე, საიდუმლოებაზე და ავტორიტეტზე და ადამიანებს გაეხარდათ, რომ ჩვენ ისინი ნავიყვანეთ, როგორც ჯოგი, ამოვაცალეთ რა გულიდან საშინელი ნიჭი თავისუფლებისა, რომელმაც ამდენი ტანჯვა-წვალება მიაყენა. მართალი ვიყავით ჩვენ, ასე რომ ვასწავლიდით, მარქვი? განა ჩვენ არ გვიყვარდა კაცობრიობა, როცა შევხედეთ მის სისუსტეს, შეუმსუბუქეთ ტვირთი, ავხსენი ცოდვაც კი, მაგრამ ყველა ეს ვქენით ჩვენი ნებით? რისთვის მოხვედ ეხლა, რისთვის, რომ შეგვიშალო? რისთვის მიყურებ მასე მშვიდათ თვალებში? გარისხდი, მე არ მინდა, რომ შენ გიყვარდე, რადგან მე შენ თითონ არ მიყვარხარ, რა უნდა დაგიშალო, რა, მაინც შენ, ან და რა მაქვს დასამალავი? განა არ ვიცდი, ვისაც ველაპარაკებ? მე ვხედავ, რომ რაც მინდა გითხრა, შენ უკვე ყველაფერი იცი, მე ამას შენ თვალებში ვამჩნევ. და ან მე დაგიმალავ ჩვენ საიდუმლოს? შესაძლებელია, შენ მაინც და მაინც ჩემი პირიდან გინდა გაიგონო ყველაფერი, მაშინ ისმინე, ჩვენ შენთან კი არა ვართ, იმასთან ვართ, აი, ჩვენი საიდუმლო. ჩვენ დიდხანია დაგშორდით შენ და იმისკენ წაველით. უკვე აგერ რვა საუკუნეა. დიახ, რვა საუკუნეა ჩვენ წავიღეთ იმისგან (ე. ი. ეშმაკისგან) ის, რაც შენ უარყავი, ის უკანასკნელი ნიჭი, რომელიც შენ ზიზღით უკუაგდე, როცა გნახა მან შენ, ყველა სამეფო ქვეყნისანი. ჩვენ წავიღეთ იმისაგან რომი და მახვილი კეისრისა და გამოვაცხადეთ ჩვენი თავი მეფეებათ, ერთად ერთ მეფეებათ, თუმცა ჯერ კიდევ ვერ მიგვიღწევია ნამდვილათ მიზნისათვის და ჩვენი საქმე ვერ დაგვისრულებია. მაგრამ ვინ არის დამნაშავე? ეს ყველაფერი ჯერ დასაწყისშია, მაგრამ იცოდეთ, რომ დაიწყო. დიდხანს უნდა ველოდეთ ჩვენ იმის დათავებას, ჯერ კიდევ ბევრ ტანჯვას გამოივლის ქვეყანა, სანამ ჩვენ შევიქნებით კეისრები და ვიბრძოლებთ საქვეყნო ბედნიერებისთვის. შენ კი მაშინაც შეგეძლო ხელში აგელო კეისრის მახვილი. რისთვის, რისთვის უარყავ შენ ეს უკანასკნელი საჩუქარი? რომ მოგელო შენ იმ საშინელ სულისგან მესამე რჩევა, შენ დაასრულებდი იმას, რასაც ეძებს ადამიანი ძირს, დედამიწაზე. ესე იგი: ვის წინ მოეხარა თავი, ვისთვის გადაეცა სინიდისი და ვის შეერთებოდა. ყოველთვის კაცობრიობა მიილტვოდა იმისკენ, რომ ვისმესთან შეერთებულიყო

განუყრელათ. ბევრი იყო დიდებული ერი, დიდებული ისტორიით, მაგრამ რაც წინ იყვენ ეს ხალხი, მით უფრო აშკარა იყო საჭიროება საყოველთაო შეერთებისა. დიდებული მხედართ მთავარნი – თემურლანგი, ჩინგის-ყაენი – როგორც გრიგალი, ისე დაფრინავდენ მინაზე სამყაროს დასაპყრობათ და მათაც თუმცა ინსტინქტიურათ გამოხატეს ლტოლვა საქვეყნო შეერთებისა. როცა მიიღებდი სამყაროს და პორფირს კეისრისას, შენ დააარსებდი საქვეყნო სამეფოს და მისცემდი საყოველთაო მშვიდობას. რადგან ვინ უნდა ებატონოს ადამიანებს, თუ არა ისინი, რომელთაც ხელში უპყრიათ მათი სინიდისი და რომელთა ხელშიაც არის პური. ჩვენ ავიღეთ ხელში კეისრის მახვილი და რა ავიღეთ, რასაკვირველია, უარგყავით შენ და ნაყვევით მას (ე. ი. ეშმაკს). რა წავლიენ საუკუნენი და მათი მეცნიერება დაიცლება ანთროპოფაგიაში მისთვის, რომ როცა დაინყეს ბაბილონის გოდოლის შენება, უჩვენოთ, ისინი გაათავებენ ანთროპოფაგიით და აი, მაშინ ჩამოძვრება ჩვენთან მხეცი და დაინყებს ჩვენი ფეხების ლოკვას და გადაბანს მათ სისხლის ცრემლებით. და ჩვენ შევჯდებით იმ მხეცზე, ხელში ავიღებთ თასს და იმაზე იქნება დაწერილი „საიდუმლო“ და მაშინ, მხოლოდ მაშინ დადგება ადამიანისთვის ჟამი მშვიდობის და მოსვენებისა. შენ ამყობ რჩეულებით, ჩვენ კი გვეყურება ყველა, ჩვენ ყველას დავაკმაყოფილებთ, მაგრამ უყურე შენ რჩეულებს, რომელნიც შეიძლებდენ ყოფილიყვენ ძლიერნი, მაგრამ დაილაღენ, შენ რომ გიცდიდენ და თვითონვე ააფრიალეს თავისუფალი დროშა, მაგრამ თვითონ შენ ააფრიალე ეს დროშა. ჩვენ კი ყველანი გვეყოლებიან ბედნიერები. შემდეგ ისინი არ დახოცავენ ერთმანეთს, როგორც შენსობას უწინ. მაშინ ისინი მიხვდებიან, რომ ჩვენ მართალნი ვართ, რადგან იციან, სად მიიყვანა შენგან აღთქმული თავისუფლება. თავისუფლება, თავისუფალი ჭკუა მიიყვანს მათ მისთანა დილეგში, რომ ისინი მეცნიერებით მას ვერ დაახწვენ თავს უბედურები, დავარდებიან ჩვენ ფეხებთან და შემოგვძახებენ:

– თქვენ იყავით, თქვენ მართალი, მხოლოდ თქვენ ხელთ გეპყრათ საიდუმლო მისი და ჩვენ გიბრუნდებით თქვენ, დაგვიხსენით ჩვენ ჩვენივე თავიდან. მიიღებენ რა ჩვენგან პურს, ისინი მიხვდებიან, რომ ჩვენ თვითონვე ვართ პური და ჩვენ ვაძლევთ მას უსასწაულოთ, ქვები არ გადაგვიქცევია პურათ, ისინი იქნებიან მოხარულნი, რომ ჩვენ ხელიდან იღებენ პურს. რადგან მათ ახსოვთ, რომ თვით პური მათ ხელში ქვები იყო და ქვები მათ ხელში პურათ იქცეოდენ, როცა ჩვენ დაგვიბრუნდენ. ისინი დააფასებენ სამუდამოდ, რას ნიშნავს, რას, დამორჩილება. და სანამდინ ამას ვერ გაიგებენ ადამიანები, ისინი უბე-

დურები იქნებიან. ყველაზე უფრო ვინ უწყობდა ხელს ამ გაუგებრობას, სთქვი? ვინ დაარღვია ჯოგი და განაბნია უჩვევ გზებისკენ? მაგრამ ჯოგი კიდევ შემოკრება და დაგვემორჩილება და ამ ჟამათ კი სამუდამოთ. მაშინ ჩვენ მივსცემთ მათ მშვიდ და წყნარ ბედნიერებას. ჩვენ ვასწავლით მათ, არ იამაყონ, რადგან შენ ისინი ისე აამაღლე, რომ ისინი მიეჩვიენ ამპარტავნობას. ჩვენ დაუმტკიცებთ მათ, რომ ისინი უღონონი არიან, რომ ისინი საცოდავი ბავშვები არიან და რომ ბავშური ბედნიერება ძლიერ ტკბილია. ისინი შეიქნებიან მშობარნი და მოგვეკვრიან ჩვენ, როგორც ბარტყები კრუსს. ისინი გაკვირდებიან, შეძრწუნდებიან და იამაყებენ მით, რომ ჩვენ ასე ძლიერნი ვართ და ჭკვიანი, რომ შევიძელით, დაგვემშვიდებია დამფრთხალი მილიონიანი ჯოგი. როგორც ბავშვებს, მათ შეეშინდებათ ჩვენი რისხვისა, მათი ჭკუა დამშვიდდება, თვალები აუცრემლდებიან, როგორც დედაკაცებს და ბავშვებს და ძლიერ ჩქარა გადავლენ ისინი ჩვენი ბრძანებით მხიარულებაზე, სიცილზე და ბავშურ სიმღერებზე. დიახ, ჩვენ ვაიძულებთ მათ მუშაობას, მაგრამ შრომისგან თავისუფალ დროს ჩვენ მოვუწყობთ მათ ბავშურ სათამაშოებს და გავართობთ საბავშო ცეკვა-სიმღერით. ჩვენ ავხსნით მათ ცოდვას, ისინი სუსტნი არიან და უღონონი, ისინი შეგვიყვარებენ ჩვენ, როგორც ბავშვები მისთვის, რომ ნებას დავრთავთ შეცოდებისას. ჩვენ ვეტყვით, რომ ყოველი ცოდვა შეინანიების, თუ ეს იქნება ჩვენი ნებართვით. ჩვენ ნებას მივსცემთ მათ შეცოდებისას მიტომ, რომ გვიყვარან და სასჯელს კი თავის თავზე მივიღებთ. ჩვენ ავიღებთ დანაშაულს თავის თავზე და ისინი ჩვენ გაგვალმერთებენ, როგორც კეთილის მყოფელთ, რომელთაც ვზიდეთ მათი ცოდვები. ჩვენ ნებას დავრთავთ, ჩვენ ალუკრძალავთ მათ ცხოვრებას ცოლებთან და საყვარლებთან, ბავშვების ყოლას და არ ყოლას, ყველაფერს განვსჯით და მათი გაგონების მიხედვით და ისინი დაგვემორჩილებიან ჩვენ სიხარულით. და ყველანი იქნებიან ბედნიერები, ყველა მილიონები, გარდა ასი-ათასთა, რომელნიც მათ განაგებენ. რადგან მარტო ჩვენ, რომელნიც ვინახავთ საიდუმლოს, ვიქნებით უბედურები. იქნებიან მილიონი ბედნიერი ბავშვები და ასი-ათასი ტანჯულნი, რომელთაც მიიღეს თავზე წყევლა კეთილის და ბოროტის ცნობისა. მშვიდათ იცხოვრებენ ისინი, წყნარად მოკვდებიან და კუბოში მხოლოდ შეხედავენ სიკვდილს. მაგრამ ჩვენ შევინახავთ საიდუმლოს იმათი ბედნიერებისთვის და ვატყუებთ მათ სამარადისო ზეციური საჩუქრით, რადგან თუ მართლა არის რამე ზეცათ, ყოველ შემთხვევაში, არა იმათთვის. ლაპარაკობენ, წინასწარმეტყველობენ, რომ მოხვალ შენ და ხელახლა გაიმარჯვებ შენი



რჩეულებით, მაგრამ მათ მხოლოდ თავიანთი თავი იხსნეს, ჩვენ კი ყველანი ვლაპარაკობთ, რომ შერცხვენილი იქნება მეძავი, მხეცზე მჯდომარე, ხელში საიდუმლო რომ უჭირავს, ლაპარაკობენ, რომ ისე აჯანყდება სუსტი კაცთ-ნათესავი, დახევს მის პორფირს და გაატიტვლებს მის „გახრწნილ“ სხეულს. მაგრამ მე ავდგები და ვაჩვენებ იმ ათას მილიონებზე, რომელთაც არ იციან ცოდვა და ჩვენ, რომელთა მივიღეთ მათი ცოდვა მათივე ბედნიერებისათვის თავის-თავზე, წარმოვსდგებით შენ წინ და გეტყვით:

– გაგვსაჯე, თუ შეგიძლია, თუ გაბედავ. იცოდე, რომ მე არ მესინია შენი, იცოდე, რომ მეც ვიყავი უდაბნოში, მეც ვსაზრდოობდი ველური თაფლით და ბალახების ძიებით, მეც ვლოცავდი თავისუფლებას, რომლითაც შენ აკურთხე ადამიანები, მეც მინდოდა შევმდგარიყავი რჩეულთა რიცხვში, ძლიერთა და დიდებულთა რიცხვში, მეც მწყუროდა „შემევესო რიცხვი“, მაგრამ მე გამოვფხიზლდი და არ ვინდომე სიგიჟის სამსახური. მე დავბრუნდი და შევემატე მათ, ვინც გაასწორენ შენი დაწყებული საქმე. მე განვედი ამპარტავანთაგან და დავბრუნდი მშვიდებთან ამ უკანასკნელთა ბედნიერებისათვის. მე რომ ვლაპარაკობ, ეს უთუოდ ასრულდება და სამეფო ჩვენი უთუოდ დამკვიდრდება. გიმეორებ, ხვალვე შეხედავ, როგორ მორჩილი ჯოგი დააყრის ნახშირს იმ კოცონს, რომელზედაც დაგწავ, რადგან შენ დაბრუნდი, რომ შეგვიშალო ხელი, რადგან თუ კი ვისმეს დაუმსახურებია კოცონი, უსათუოდ შენ. ხვალ დაგწავ შენ... Dixi.

.....  
...მე მინდოდა, ეს დამეთავებია ასე: როცა ინკვიზიტორი დადუმდება, ის უცდის, რომ ტყვე იმას უპასუხებს. მას ვერ გადაუტანია დუმილი. ის ხედავდა, როგორ ყოველთვის უსმენდა მას პატიმარი და არ უნდოდა, რამე ეპასუხებია. მოხუცს უნდოდა, რომ ეთქვა მას რამე, თუნდა მწარე და საშინელი. და ის ჩუმად მიუახლოვდება მოხუცს, მშვიდათ ჰკოცნის მის უსისხლო ორმოცდა-ათი წლის ტუჩებზე. აი, მთელი პასუხი. მოხუცი შეკრთება. რაღაც გაინძრა მის ტუჩებზე. ის მიდის კარებთან, ალებს კარს და ელაპარაკება მას:

– ნადი და აღარ მოხვიდე, არ მოხვიდე... არას დროს... არ მოხვიდე... არას დროს. – და გაუშვებს მას... ქალაქის ბნელ ბჭისკენ. ტყვე მიდის.

– მოხუცი?

კოცნა იწვის მის გულზე, მაგრამ მოხუცი მაინც არ ლალატობს თავის იდეას.

[1911]

## ვალერი ბრიუსოვ

### აგანატის

#### (ფინიკიური პოემა)

##### I

მისი სახელი აგანატისია და ის ყველაზე უფრო მშვენიერია სიდონში. მწუხარე სახეზე თვალები ისე კიაფობენ, როგორც ღამის ვარსკვლავები, მკერდი ზამბახივით მკთრალი აქვს.

ჯერ კიდევ ყრმობისას გამოსცადა მან მწუხარება: მისი საქმრო სიდონის ნაპირებზე ველარ დაბრუნდა, უკვალთ დაიღუპა ზღვაში.

აგანატისმა ქალწულება მიუტანა სხვერპლათ ღმერთებს\* და ამას შემდეგ სცხოვრობდა ხოლმე, როგორც ქურუმი, ვნებისა და სიყვარულით ანალები საფასური ტაძარში მიქონდა.

გამოჩნდებოდნენ თუ არა შორს სივრცეში იალქანები, იგი ჩქარობდა რა ნაპირისაკენ, უცთიდა მეზღვაურებს ხელების მტვრევით. მოტყუებული თავისას მიყავდა, პატარა სახლში, რომელიც კოშკს მიაგავდა, სადაც დაბლა ოთახში ყოველთვის ბნელოდა.

მაშინ აიღებოდა ქვის სანოლი. განა შეეძლო ვისმე, დაევიწყებია მისი თვალები? ყველა გეტერაზე უფრო მეტს აძლევდნ მას. ყოველ დღე მიდიოდნ მასთან სტუმრები და ვნების გრიგალში თავდავიწყებული ხვევისაგან, წყვილ გველივით ერთად გადანწულ სხეულთაგან. ქვის სანოლზე ჩნდებოდა სიღრმავე.

##### II

ხელოვან მოგვს, ვარსკვლავთ მრიცხველობაში დახელოვნებულს რომ შეედგინა მის ბედისწერათა მათიანე, თვითონ ის წაიკითხავდა მას გაკვირვებული, დიახ!.. არ დაღუპულა ხეტიალში შენი საქმრო, შორეულ მხარეს იტანჯებოდა ის დატყვევებული, ტყვეობაში წელს წელი მისდევდა და ჟამს დრო სცვლიდა. მონურათ სცხოვრობდა ის, ყველასგან მოძულებული, შეურაცყოფას იტანდა, სისხლს იხოცავდა, გული კი, გული... მაინც რჩებოდა უცვლელათ. შენს სიყვარულს ინახავდა, უფრთხილდებოდა. ტყვეობაში მხოლოთ ის იმედი, წმიდა

---

\* ფინიკიაში ყველა ქვეყნებზე ადრე გაჩნდა პროსტიტუცია. პირველათ ის ჩამოყალიბდა სტუმართ მოყვრულ პროსტიტუციაში (гостепримная), შემდეგ რელიგიოზურ გეტერიზმში, უკანასკნელს იხსენიებს ვ. ბრიუსოვი.



იმედი აცოცხლებდა, რომ კიდევ დავბრუნდებო. არ ივინყებდა მას აშაროტი და ბოლოს დასტოვა კიდევ ტყვეობა. გამოქცეულმა ბერძნების ტრიერას შეაფარა თავი, იქიდან მშვიდობით მიახნია კართაგენს და ახლა სამშობლოსკენ მოეშურება, მოცურავს და ელის მოლოდინის ცეცხლით აგზნებული სიდონის კედლებს.

როგორც დიდი ხნის მშვიერი ელის საჭმელს, ისიც ლოცულობს: „ღმერთო, დე ნუ იქნება ყველაფერი ეს სიზმარი“ – და აი, გამოჩნდა კიდევ შორს სივრცეში ნაპირი.

იალქანთან მოისმა ძახილი: „სიდონი“.

და რალაც სხვამ გაიელვა მის ფიქრში, თავის ოცნების სიგიჟე გაიგო მან და წინათგრძნობაში გაქვავდა.

### III

სიდონის ნავთ სადგურთან სიცოცხლე სდულს გემების მოსვლის ბედნიერ ჟამს. სიცილი, სტვენა... სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი ერთმანეთში ირევა და რითმიული ტბორვა ტალღებისა იმეორებს ძახილს... ლხენაა... მაგრამ ვაი მათ, ვისაც არა ყავს მეგობარი ან ვერ უნახავს. გეტერებიც შეკრებილან, შეხედვით ატყვევებენ მოსულებს, მკლავები, მხრები მოუტიტვლებიათ.

როგორ სწყუროდა მას, როგორ თუნდა მკრთალი ნაკვალევი წარსულისა!.. მაგრამ ამაოთ, რა არის მოგონება, რასაც რისხვით გადაქელავს ჟამის ეტლი.

ყველაფერი გამქრალა. მოხაზულობა ნავთსადგურისა გამოცვლილა და გადიდებულა; გარშემო სულ უცნობი სახლები აყუდებულან.

ვერსად ხედავს თვალი ოდესღაც ნახულს, მხოლოდ ზღვის ხმაურობა ისევ იმეორებს მშობლიურ ხმებს. შორს აყუდებულ მთათა ჩრდილშიც ამჩნევს სული რალაც ნათესაურს.

თუთხმეტი წელი, თუთხმეტი წელი განშორებისა; ეძიოს კიდევ მეგობრები, თუ უკანვე გაიქცეს?. მაგრამ ჩუ, ვილაც მის მხრებს შეეხო ხელით. რას ხედავს!.. ოქრო, მენამული ტანზე, დამწველი სახე, შავ ნამწამ ქვეშ...

მეზღვაურო, წამოდი ჩემთან, დღეს შენ ძმა ხარ ჩემი.

და გეტერას მისდევს ის დამორჩილებული.

### IV

აზარფეშებში ღვინოს არ დაკლებია ჯერ არაფერი.

მის გვერდით არ ზის ის (ეს ცუდი ნიშანია)... და ცოტა ლხენაა მათ სახეზე.

ფანჯრიდან იხედება ის წყვილიაღში, ქალის კითხვები უპასუხოთ კვდებიან.

საშიშარია... საშიშარი ჩაფიქრებული მეზღვაური.

მაგრამ ქალს ახსოვს ჯერ კიდევ ალექსანდრე: ნაჩვევი ხელით გაიძრო ნამოსასხამი.

დაუჩქარე, ის გელის შენ ნახევრათ ტიტველი.

მაგრამ მას რაღაც სევდა ღრუნის, ჯდება ქალთან ქვის სანოლზე და ღამის დუმბულში ჩუმად საუბრობენ.

– რისთვის მომიხმე, რისთვის?

– გამვლელი, შენ ღამაში ხარ..

– შენ აქაური ხარ?

– დიახ.

– რას შევბოდი უნინ, რას აკეთებდი?

– იმას, რასაც ახლა.

– არა, უნინ, შენ ხომ იყავი ოდესღაც ახალგაზდა, შესაძლებელია, კიდევ გიყვარდა...

– მე შენ ზღაპრის საამბობლათ კი არ მომიყვანიხარ აქ.

...და უცებ იგი წამოხტა და უნდა გაიძროს ტანისამოსი, ეძახის მას, მაგრამ მეზღვაური სწუხს... არ უგდებს ყურს მის სიტყვებს... არც ალერსით უპასუხებს.

ოჰო, რომ სიყვარულით დაეკრა მის ტუჩებს; უცებ აიხედა ზევით და ქალს კიდევ მისცა ერთი კითხვა:

– შენ რას გეძახიან?

– მე, აგანატის? აგანატის!.. – ყრუდ წაიქვიითინა მან.

## V

დიდებულია ყველა ღმერთებში აშტარტა, ღმერთი ნათელი. შენ მეფობ ზღვაზე, დედამიწაზე და უდაბნოთა ძილზე. შენ ყველაფერს ხედავ, ყველაფერი შენ წინ ახთილია, შენი სურვილი – ყველა სამყაროთათვის ალექსანდრე.

ღმერთებიც კი თრთიან შენს წინაშე, მშვენიერო?

როდესაც მოხთა ეს შეხვედრა, შენი ვარსკვლავის სინათლე ერთ წამს დაბნედილა, მაგრამ შენს მოწყალებას არ აქვს საზღვარი.

შენ გადასწყვიტე... და ასრულდა; ერთ წამს გაიბნენ წელნი და როგორც სიზმარი, გაქრენ მოდგმანი. კვლავ ადგენ ფერფლიდან ქალაქები, მზეს დაუბრუნდენ საფლავში მძინარენი, ყველაფერი შეიქნა მაშინ, როგორც უნინ, როგორც იმ დროს.

ყველამ დაივინცა წარსული, როგორც სიზმარი – სხვათა შორის აგანატისმა და მისმა საქმრომაც და კვლავ არ ხეტილობენ ტყე-ღრეებში.

როგორც უნინ, ახლაც კამათობენ, ქორწინების წინ იმას უნ-დოდა ზღვაზე გასულიყო, რომ ენახა სიმდიდრე და უცხო მხარენი.

აგანატისთვის კი – განშორება მწუხარება იყო.

– ნუ ნახვალ, ნუ, რათ გვინდა, მარქვი, რათ, სიმდიდრე?

და ახლა კი იგი დაეთანხმა აგანატის.

იმ დღეს, როდესაც აფრიალდენ იალქანები მის გემზე, ისინი ტა-ძარში წავიდენ, რომ თვისი ალთქმა გაემეორებიათ აშაროტისთვის...

[1911]

## ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე

### ღამის სიმღერა

ღამის სიბნელე ჩამოწვა: უფრო გასაგონი შეიქნა კლდიდან მომსკდარი ნიაღვარის სიტყვები. ჩემი სულიც ხომ იგივე დაუდგარი ნიაღვარია.

ღამის სიბნელე ჩამოწვა: გამოიღვიძა შეყვარებულთა სიმღერებმა. ჩემი სულიც ხომ სიმღერაა შეყვარებულისა.

მოუთრგვეუნველს და აღუზდელს ვატარებ მე ჩემში: ხმა მალლა უნდა მას გამოთქმა. სიყვარულის სურვილს ვატარებ მე ჩემში, სურვილს, რომელიც ლაპარაკობს სიყვარულის ენით.

ჩემი ხვედრი – სინათლეთ ყოფნაა. ო! როგორ მინდა, ღამე ვიყო. მაგრამ სინათლით ვარ გარემოცული და აქ არის ჩემი სევდა. ო! რომ ვყოფილაყავ მე სიბნელე, ღამე!.. როგორ გაუმაძღრათ დავენაფებოდი სინათლის მკერდს.

თქვენ, ვარსკვლავნო, მალლა ცეცხლივით რო ბრწყინავთ, გაკურთხებდით მაშინ. თქვენი ნათელი საჩუქრით ვიქნებოდით ბედნიერი! მაგრამ თავისვე ნათელით გარემოცული ვცხოვრობ და თვითვე ვნთქავ ცეცხლს.

მე არ ვიცნობ ბედნიერებას წამლებისას და ხშირათ მეზმანება, რომ მოპარვა სჯობია წაღებას.

სიღარიბე ჩემი ის არის, რომ ხელი არ დაიღლება საჩუქრების გაცემით და შური ჩემში, როცა ვხედავ თვალებს მომლოდინესას, თვალებს, რომელნიც ანათებენ წყვდიადს ვნებიანი სევდისას.

საცოდავია ხვედრი ყველა გამცემთა.

ო, ჩემი მზის დაბნელება, სურვილი სურვილისა და დაუშრეტელი შიმშილი...

ჩემგან თქვენ მიგაქვთ, მაგრამ ვეხები კი მე თქვენ სულს? ღრმა უფსკრული ძევს წაღებასა და მიცემას შორის, არ შეიძლება ხიდის გაღება, არც იმათგან ყველაზე უფრო ნაკლებზე. შიმშილი იზრდება ჩემ სილამაზიდან. მე მსურს, შეურაცხვეყო ისინი, ვისთვისაც ვანათებ. მე მსურს გაცარცვა ჩემგან დასაჩუქრებულთა და ასე მწყურია ბოროტება...

შურისძიებით სუნთქავს ჩემი სული; ცვიერება გადმოხეთქს, როგორც ნიაღვარი ჩემი მარტოობიდან. ბედნიერება გაცემისა მოკვდა საჩუქრების გაცემის დროს და მონარჩენით დაიღალა ნდომა

კეთილისა. ასე ვინც სცემს, ყოველთვის დაე ეშინოდეს, რომ დაკარგავს სირცხვილს. ის, ვინც ყოველთვის სცემს, სცემს მისი გული და ხელები უხეშდებიან მარტო გაცემისგან.

ჩემი თვალი უკვე გაივსო ცრემლით მთხოვნელის სირცხვილისგან. ჩემი ხელი საკმაოდ მაგარია, ცახცახით ატანილ ხელისთვის, და სიდან მოვა ის, ვინც მისცემს ჩემს თვალს ცრემლს და ნაზ გრძნობას ჩემს ღარიბ გულს. ო, მარტოობა ყველა მიმცემთა და სიჩუმე სინათლის ყველა მატარებელთა!..

ღამის სიბნელე ჩამოწვა, როგორც დუღარე ნაკადი, ჩემი გულიდან მოდულს სურვილი, მე მინდა სიტყვა.

ღამის სიბნელე ჩამოწვა; უფრო მოსაგონი შეიქნენ სიტყვები კლდით მომსკდარი ნიაღვარისა: ჩემი სულიც ხომ მოუსვენარი ნიაღვარია... ღამის სიბნელე ჩამოწვა, გამოიღვიძეს შეყვარებულთა სიმღერებმა, ჩემი სულიც ხომ იგივე სიმღერაა შეყვარებულისა!..

ასე მღეროდა ზარატუსტრა!..

[1912]

## ლეონიდ ანდრეევ

### ელეაზარი

#### I

როდესაც ელეაზარი ამოვიდა საფლავიდან, სადაც ის იმყოფებოდა სიკვდილის საიდუმლო უფლებაში და ცოცხალი დაბრუნდა თავის სახლში, დიდხანს ვერ ამჩნევდენ მას იმ ბედით ახირებას, რომელმაც შემდეგ საშინელი შეჭქმნა სახელი მისი. მხიარულობდენ ნათელ სიხარულით მეგობრები და ახლობელნი ახალ დაბრუნებულზე და მის ალერსსა და სასმელ საქმელზე ზრუნვაში იკლავდენ თავიანთ გაუმაძღარ ყურადღებას.

და ჩააცვეს ელეაზარს მშვენიერი ტანისამოსი, მორთული იმედის და სიცილის ყვავილებში და როცა ის, როგორც საქმრო საქორნილო ტანისამოსში, იჯდა მათ შორის სუფრაზე და კიდევ სვამდა, კიდევ სჭამდა, ისინი სტიროდენ სიხარულით, თან უხმობდენ მეზობლებს, რომ მოსულიყვენ და შეეხედათ სასწაულით აღმდგარისთვის.

მოდოდენ მეზობლები და უხაროდათ.

მოდოდენ უცნობნი შორეულ ქალაქებიდან და სოფლებიდან და ხმამალლათ აცხადებდენ თავიანთ თაყვანისცემას სასწაულზე და როგორც ფუტკრები ბზუოდენ მარიამის და მართას სახლში.

– მას, რაც ახალი გამოაჩნდა სახეზე ელეაზარს და მის მიხვრამოხვრას, ისინი ბუნებრივად ხსნიდენ, როგორც ძძიმე ავადმყოფობის და გამოცდილ ძრწოლათა ნაკვალევს.

ალბად რღვევითი მუშაობა სიკვდილისა ცხედარზე მხოლოდ შეეყენებინა ცოტათი სასწაულებრივ ძალას, მაგრამ მთლად არ მოესპო და ის, რაც სიკვდილს მოესწრო, დაემჩნია ელეაზარის სახესა და სხეულზე, ძლიერ მიაგავდა მხატვრისგან გაუთავებელს სურათს თხელ მინაზე. თვალებზე და ლოყებზე აჩნდა ელეაზარს მინის ფერი განიერი სილურჯე, ისე ლურჯი და მინის ფერი იყვენ გძელი თითები მისი ხელებისა და საფლავში ამოსულ ფრჩხილებსაც აჩნდა იგივე ფერი. ალაგ-ალაგ ტურებზე და სხეულზე გამსკდარიყო კანი, საფლავში გასივებული და იმ ალაგზე დარჩენილიყვენ თხელი, სისხლიანი ჭრილობები, რომელნიც ბრწყინავდენ. საფლავში გასივებულ სხეულს შერჩენოდა სიდიდე და გახრწნის მყრალი სუნი. მაგრამ მკვდრის სუნი, რომლითაც გაჟღენთილი იყო მისი საფლავში ჩაყოლებული ტანისამოსი და აგრეთვე მისი სხეული, მალე სრულიად გაჰქრა. რამდენიმე ხნის შემდეგ გადავიდა სილურჯის ფერი და გამხდარი სისხლიანი ადგილები,

თუმცა, სრულებით არას დროს არ გადასულან. აი, ამ სახით წარუდგა ის ადამიანებს თავის მეორე სიცოცხლეში, მაგრამ ის სრულიად ბუნებრივად ეჩვენებოდათ მათ, ვისაც უნახავთ ის დამარხული.

სახის გარდა თითქო ხასიათიც გამოეცვალა ელეაზარს, მაგრამ ეს არავის აკვირვებდა და ვერც მიეპყრო შესაფერი ყურადღება.

სიკვდილამდი ელეაზარი იყო მუდამ მხიარული და უდარდელი. უყვარდა სიცილი და შეურაცხყოფას მოკლებული მასხრობა. ამ ბოროტებას და წყენას მოკლებულ სიმხიარულისთვის შეუყვარდა ის მასწავლებელს, ეხლა ის შეიქნა სერიოზული და მდუმარე, თითონ არ ხუმრობდა და არც სხვის ხუმრობას უპასუხებდა სიცილით და ის სიტყვები, რომელსაც ხანდისხან ის წარმოსთქვამდა, იყვენ სრულიად უბრალონი, ჩვეულებრივი და მიუცილებელი და ეს სიტყვები ისე იყვენ მოკლებულნი შინაარსს და სიღრმეს, როგორც ის ხმები, რომლითაც ცხოველები გამოსთქვამენ ტკივილს და სიხარულს, წყურვილს და შიმშილს. ამისთანა სიტყვები შეუძლია მთელ სიცოცხლეში ილაპარაკოს ადამიანმა და ვერავინ ვერას დროს ვერ გაიგებს, რა ტკიოდა ან რა ახარებდა მის ღრმა სულს... ასე მკვდრის სახით, რომელსაც სამ დღეს ფლობდა სიკვდილი წყვდიადში, მდიდარ საქორწილო ტანისამოსში, რომელიც ბრწყინავდა ყვითელი ოქროთი და სისხლის ფერ მენამულით, მძიმე და მდუმარე იჯდა ის სანადიმო მაგიდასთან მეგობართა და ახლობელთა შორის.

გძელი ტალღებით ხან ნაზად, ხან ქროლვით დადიოდა მის გარშემო სიხარული და თბილი სახელი სიყვარულისა მიეზიდებოდენ მის სახისკენ, რომელსაც კიდევ შეენახა საფლავის სიცივე და ცხელი ხელი მეგობრისა ეალერსებოდა მის ლურჯ და მძიმე ხელს. მუსიკა უკრავდა. მოუხმეს მემუსიკეთ და ისე მხიარულად უკრავდენ: სალამური, ჩანგი, ტიმპანი ერთმანეთში ირეოდა, თითქო ფრინველები გალობდენ მარიამის და მართას ბედნიერ სახლის ზევით.

## II

ვილაც გაუფრთხილებელმა გასწია ზენარი. ვილაცამ გაუფრთხილებელი ერთი შებერვით, ერთი უცაბედათ წამოსროლილი სიტყვით დაამსხვრია ნათელი ჯადო და საშინელი სიტყვებით აღმოაჩინა ჭემმარიტება. ჯერ კიდევ აზრი არ გამორკვეულიყო მის თავში, როცა ბაგენი ღიმილით კითხულობდენ:

– რისთვის არ მოგვიყვები შენ, ელეაზარ, რა იყო იქ? – და ყველა დაუმდა ამ კითხვით შეძრწუნებული, თითქო მხოლოდ ეხლა მოაგონ-

დათ მათ, რომ სამი დღე იყო მკვდარი ელვაზარი და ცნობის მოყვარეობით უმზერდენ მას – ელოდენ მის პასუხს, მაგრამ ელვაზარი სდუმდა.

– შენ არ გინდა, გვიამბო? – გაიკვირვა მკითხავმა, – ნუთუ მართლა მაგრე საშინელია იქ?

და ისევ აზრი მიდიოდა სიტყვების უკან და ის რომ სიტყვების წინ წასულიყო, მაშინ მკითხავი არ მისცემდა მას ამ კითხვას, რომლითაც ერთ ნამზე მოუთმენელი შიშით დალონდა მისი საკუთარი გული. ყველას შეეპარა მოუსვენრობა და უკვე სევდიანად ელოდენ ისინი ელვაზარიდან სიტყვებს. ის კი სდუმდა ცივად და სასტიკად და მისი თვალები შორს სივრცეში გაიყურებოდენ. და აქ ისევ, თითქო პირველად შეამჩნიეს საშინელი სილურჯე სახისა, მაგიდაზე თითქო დავიწყებული ელვაზარიდან იდგა მისი ლურჯი ხელი და თვალები უნებლიეთ დაეტოვებია მას, თითქო პირველად იმისგან ელოდენ სასურველ პასუხს. მემუსიკენი ისევ უკრავდენ, მაგრამ აი, მათთანაც მიაღწია სიჩუმემ, და როგორც წყალი როცა დაესხმება ნაღვერდალს, ისე გააქრო მან მხიარული ხმები. დადუმდა ჩანგი, და თითქმის სიმი განწყდა და თითონ სიმღერა მოკვდა, მთრთოლვარე მონყვეტილ ხმით გამოეხმაურა ქნარი.

და ჩამოვარდა სიჩუმე.

– და შენ არ გინდა? – გაიმეორა მკითხავმა, რადგან ვერ შეძლო დაეკავებინა მოტარტარე ენა. იყო სიჩუმე და გაუნძრევლად იდგა მაგიდაზე ლურჯი ხელი. აი, ის ცოტათი შეინძრა და ყველამ ამოისუნთქა მოსვენებულათ და მიაჩერეს თვალები პირდაპირ მას. მძიმედ და საშინლად იხედებოდა ამდგარი ელვაზარი.

ეს იყო მესამე დღე ელვაზარის საფლავიდან ამოსვლის შემდეგ. ამის შემდეგ ბევრმა გამოსცადა დამლუპველი ძალა მისი შეხვედრისა, მაგრამ არც ისინი, ვინც სამუდამოდ მოსწყვიტა მან, არც ისინი, ვინც თვით სიცოცხლის პირველ წყაროში ნახა ნება საწინააღმდეგო, ვერ ხსნიდენ საშინელს, რომელიც ესვენა მის თვალებში. იცქირებოდა ელვაზარი მშვიდად და საღათ. მას არ ქონდა სურვილი, რაიმე დაემალა და ან რაიმე ეთქვა. ცივად იცქირებოდა ის როგორც ადამიანი, რომელიც უსაზღვროდ გულცივია სიცოცხლეზე. ბევრი უზრუნველი ხალხი ხვდებოდა მას ახლო და ვერ ამჩნევდენ. შემდეგ კი განცვიფრებით და შიშით იგებდენ, ვინ იყო ის მშვიდი, რომელიც შეეხო თავის მდიდარი ტანისამოსით. მზე არ შეწყვეტდა სინათლეს, როცა ის ხედავდა, შადრევანი არ წყვეტდა ძახილს და ისევ უღირე-



ბულო და ლურჯი რჩებოდა მშობელი ცა, მაგრამ ადამიანი, რომელმაც განიცადა მისი შეხედვა უკვე არ გრძნობდა მზეს; არ ესმოდა შადრევნის ხმა და ვერ ცნობდა სამშობლო ცას. ხანდისხან ადამიანი ტიროდა მწარედ, ხანდისხან სასოწარკვეთილებაში იწუნდა თმას თავზე და გიჟივით ეძახდა ხალხს საშველად, მაგრამ უფრო ხშირად ასე ხდებოდა: მშვიდად დაიწყებდა კვდომას, კვდებოდა გძელ წლებით. კვდებოდა ყველას თვალწინ, უფრო, მონყენილი, როგორც ხე, მდუმარედ რომ ხმება ქვიან ნიადაგზე და პირველნი, რომელნიც უყვიროდენ და გიჟდებოდენ, ხანდისხან უბრუნდებოდენ სიცოცხლეს, მეორენი კი – კვდებოდენ.

– მაშ, არ გინდა შენ, გვიამბო, ელეაზარ, რაც ნახე იქ? – მესამეჯერ გაუმეორა კითხვა მკითხავემ, მაგრამ ეხლა მისი ხმა იყო ცივი და მკვდარული, რუხი მონყენილობა მღვრიედ იცქირებოდა მის თვალებიდან და ყველას სახე დაფარა, როგორც მტვერმა, ამ მონყენამ და გაკვირვებით უცქეროდენ ერთმანეთს სტუმრები და ვერ გაეგოთ, რად შეიკრიბენ და ზიან აქ მდიდარ სუფრაზე. შესწყვიტეს ლაპარაკი, გულცივად ფიქრობდენ, რომ უთუოდ უნდა წავიდენ სახლში, მაგრამ არ შეეძლოთ, დაეძლიათ ზარმაცი მონყენა, უღონო ძარღვები და ისევ განაგრძობდენ სხდომას. ყველა ერთმანეთს მონყევტილი, როგორც ბინდიანი ცეცხლი უდაბნოში გაბნეული ღამით. მემუსიკეთ ასაჩუქრებდენ, რომ დაეკრათ და ისევ მოკიდეს მათ ხელი ინსტრუმენტებს და ისევ ამეტყველდენ დასწავლილი მწუხარე ხმები. ისევ ის შეგუბებული ჰარმონია ისახებოდა მათში, მაგრამ გაკვირებით უსმენდენ სტუმრები, მათ არ იცოდენ, რისთვის იყო ეს საჭირო და რისთვის არის ეს კარგი, როცა ადამიანები ჩამოკრავენ სიმებს, ლოყებს გააფართოვებენ და ქმნიან უჩვეულო, სხვადასხვა ხმიან ხმაურობას...

– როგორ ცუდად უკრავენ! – თქვა ერთმა.

მემუსიკენი გაიბუტენ და წავიდენ. მათ უკან მიყვენ სათითაოდ სტუმრები, რადგან უკვე ღამე იყო და როცა ყოველ მხრიდან მათ შემოერტყათ წყვილი და უკვე უფრო მსუბუქად შეეძლოთ ამოესუნთქათ, უეცრივ მათ წინ სათითაოდ რისხვის ბრწყინვაში გამოჩნდა ელეაზარის სახე. ლურჯი სახე მკვდარისა, საქმროს ტანისამოსი, მდიდარი და ბრწყინვალე, ცივი სახე, რომლის სიღრმეში ციალობდა რაღაც საშინელი. თითქო ქვად ქცეულნი იყვენ ისინი სხვადასხვა ადგილას და წყვილი გარეიცავდა მათ. სიბნელებში კი უფრო ნათლად ისახებოდა საზარელი მოჩვენება, ზებუნებრივი სახე მისი, ვინც სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდა სიკვდილის უფლებაში, სამი

დღე იყო ის მკვდარი, სამჯერ ამოვიდა და ჩავიდა მზე, ის კი იყო მკვდარი, ბავშები თამაშობდნენ, ქვებზე მოლიკლიკებდა წყალი, ცხელი მტვერი ადიოდა გზას და ის კი იყო მკვდარი. და ეხლა ისევ ხალხში არის იგი, ეხება მათ, ხედავს მათ! – და მის თვალის კაკლების შავნრეთა შორის, როგორც ბნელ მინისგან, ხედავს ის ადამიანებს, თვით მიუწოდომელი იქ...

### III

არავინ არ ზრუნავდა ელეაზარზე, არ დარჩენ მას ახლობელნი და მეგობრები და ვრცელი უდაბნო, რომელიც გარშემო ერტყა წმიდა ქალაქს, მიუახლოვდა თვით მის სახლის კარებს. და შევიდა მის სახლში და მის სანოლზე დანვა, როგორც მოსიყვარულე ცოლი და ჩააქრო ცეცხლი. არავინ არ ზრუნავდა ელეაზარზე. ერთი ერთმანეთზე წავიდნენ მისი დები მართა და მარიამი, დიდხანს არ უნდოდა მისი დატოვება მართას, რადგან არ იცოდა, ვის უნდა ესმია და ეჭმია მის ძმისთვის, ან ვის უნდა შებრალებოდა. დიდ ხანს ტიროდა და ლოცულობდა, მაგრამ ერთ ღამეს, როცა ქარიშხალი დაჰქროდა უდაბნოში და მწარე მოთქმით იღუნებოდნენ კიპარისები სახლის სახურავზე, მართამ ჩუმად ჩაიკვა, და ჩუმადვე წავიდა. უთუოდ გაიგონა ელეაზარმა, როგორ მოიხურა კარი და დიდ ხანს არწევდა მას ქარიშხალი, თითქო უნდოდა, თავის ფრთებზე წამოეკიდა და წაელო, მაგრამ არ ადგა ელეაზარი, რომ შეეხედა და დაეკეცა. და მთელი ღამე ზუზუნებდნენ მის თავის მალლა კიპაროსები, და მწუხარედ ერახუნებოდა კარი, უშვებდა რა სახლში ქარიშხალს და ცივ უდაბნოს. როგორც კეთროვანს უფრთხოდნენ მას ყველანი და როგორც კეთროვანს დაუპირეს კიდეც პატარა ზარები დაეკიდათ ყელზე, რომ გაეგოთ მისი შეხვედრა და გადადგომოდნენ გზაზე. მაგრამ ვილაც გაფითრებულმა შიშით სთქვა, რომ საშინელი იქნება, როცა ღამე ფანჯარასთან ჩამოესმებათ პატარა ზარების წკარუნი ელეაზარისა და ყველა გაფითრდა და დაეთანხმა მას...

და რადგან არც თითონ ზრუნავდა ის თავის თავზე, შესაძლებელია, მომკვდარიყო კიდეც შიმშილით, რომ მეზობლებს, რაღაც შიშის გამო არ გადაეწყვიტათ მისთვის საჭმელის დატოვება სახლში. მიჰქონდათ საჭმელი ბავშებს, რადგან მათ არ ეშინოდათ ელეაზარისა, მაგრამ არც დასცინოდნენ მას, როგორც გულუბრყვილოთ ხანდისხან იციან ხოლმე დაცინვა უბედურებისა. გულცივად ეკიდებოდნენ მას ბავშები და გულგრილობითვე უხდიდა ელეაზარიც. არ ქონდა მას

სურვილი, მიეაღწერებია ხუჭუჭა თავისთვის და ჩაეხედა გულუბრყვილო ნათელ თვალებში. ჟამის და უდაბნოს ანაბარად დატოვებული თანდათან ინგრეოდა მისი სახლი და დიდი ხანია გაიქცენ მეზობლებში შიმშილისგან გაბრუნებულნი პეტელით თხები. დაძველდა საქორწილო ტანისამოსი მისი. როგორც ჩაიცვა მან პირველად იმ ბედნიერ დღეს, როცა უკრავდენ მემუსიკენი, ისე უცვლელად ატარებდა, თითქო ვერც კი ცნობდა გარჩევას ახალსა და ძველს, დახეულს და მთელს შორის... ნათელი ფერი გახუნდა და ამოიწვია. ბოროტი ქალაქის ძაღლები და უდაბნოს ეკლები ძონძებათ აქცევდენ მშვენიერ სამოსს. დღე, როცა შეუბრალებელი მზე ყოველ ცოცხალის მკვლელად ჩნდებოდა და როცა ლოკოკინებიც კი მიძვრებოდენ ქვების ქვეშ და იქ იხრუკებოდენ ვისმესი დაშხამვის გიჟურ სურვილისგან, ის გაუნძრევლად იჯდა სხივების ქვეშ, მალლა აენია თავის ლურჯი სახე და ველური წვერები. როცა ჯერ კიდევ ელაპარაკებოდენ მას, კითხეს:

– საბრალო ელეაზარ! შენ გიხარიან განა. მზის ქვეშ ჯდომა და მისი ყურება?..

და მან უპასუხა:

– დიახ, მიხარია.

აღბად ასე ძლიერი იყო სიცივე სამ დღეს საფლავეში და ისე ღრმა წყვილია მისი, რომ არ იყო მიწაზე რაიმე სიციხე, ან სინათლე, რომელსაც შეეძლო გაეთხო ელეაზარი ანდა გაენათებია მის თვალთა წყვილი. იფიქრეს მათ, ვინც ეკითხებოდენ და ამოოხვრით მოსცილდენ მას. და როცა წითელი ბურთი მიწისკენ წამოიწვედა, ელეაზარი ბრუნდებოდა უდაბნოში და მიდიოდა პირდაპირ მზისკენ, თითქო უნდა დაენიოსო. ყოველთვის პირდაპირ მზისკენ მიდიოდა ის და ისინი, ვინც მის გზას უთვალთვალდებდნ და უნდოდათ გაეგოთ, რას აკეთებდა ელეაზარი ღამე უდაბნოში, ამოუშლელად ჩაიბეჭდენ მეხსიერებაში შავი სილუეტი მაღალი, მოწყენილი ადამიანისა უშველებელი წითელი დისკის ფონზე. ღამემ გააბნია ისინი თავის შიშით და ისევ ვერ გაიგეს, რას შვებოდა ელეაზარი უდაბნოში, მაგრამ ხატება შავის წითელ ფონზე, თითქო გამოიწვია მათ ჭკვაში და არ მიდიოდა. როგორც მხეცი, გამოსაცვენად მომზადებულ თვალებით თავის პირს თათებით იხოკავს, ისე სულელურად იწმენდდენ ისინი თვალებს, მაგრამ ის, რასაც იძლეოდა ელეაზარი, ამოუხოცელი რჩებოდა და ავინყებინებდა მხოლოდ სიკვდილი. მაგრამ იყვენ ადამიანები, რომელთაც არ ენახათ ელეაზარი და მხოლოდ გაეგონათ მასზე. კადნიერი ცნობის მოყვარეობით, რომელიც შიშზე უარესია და იკვებება შიშით, დამალულ და-

ცინვით სულში, მოელოდენ ისინი მზეზე დამჯდართან და გაუბამდენ საუბარს... ამ დროს ელეაზარს სახე ეცვლებოდა სიკარგისაკენ და არ იყო ძველებურად საშინელი. და პირველ წამში ისინი იმტვრევდენ თითებს და ფიქრობდენ წმიდა ქალაქის მცხოვრებთა სისულელეზე და როცა მცირე ლაპარაკის შემდეგ ისინი ბრუნდებოდენ სახლში, მათ ქონდათ ასეთი შეხედულება, რომ წმიდა ქალაქის მცხოვრებნი მაშინვე ამჩნევდენ მათ და ლაპარაკობდენ.

– აი, კიდევ მოდის გიჟი. – რომლისთვისაც შეუხედია ელეაზარს და შებრალებით დადუმდებოდენ და აწევდენ ხელებს. მოდიოდენ იარაღით ხელში, გულმაგარი და მამაცი მეომრები, მოელოდენ სიცილით და სიმღერით ბედნიერი ვაჟკაცები. მოდიოდა საქმიანი ხალხიც, ფულის ბზრიალით და კადნიერი მსახურნი ტაძრისა აყუდებდენ ელეაზარის კარებთან თავიანთ კვერთხებს და არავინ არ დაბრუნებულა ისეთი, როგორც მოვიდა. ერთი და იგივე საშინელი ჩრდილი ჩახვეოდა სულს და ახალი სახე ეძლეოდა ძველ ნაცნობ სამყაროს. ასე გამოსცემდენ თავიანთ გრძნობას ისინი, ვისაც კიდევ ქონდა ლაპარაკის თავი.

ყველა საგნები, თვალთ შესახედი და ხელით შესახები უცებ ცარიელდებოდენ და იქცეოდენ მჩატეთ, გამჭვირვალეთ, მიაგავდენ ნასულ ჩრდილებს ღამის უდაბურ წყვდიადში, რადგან ის უშველებელი წყვდიადი, რომელიც ახვევია სამყაროს, ვერ ნათლდებოდა ვერც მზით, ვერც მთვარით, ვერც ვარსკვლავებით და უსაზღვრო შავი ზენარით მოსავდა მიწას, როგორც დედა კოცნიდა მას.

ყველა საგნებს შეეხო ის, რკინას და ქვას და მარტოთ რჩებოდენ საგნები, რა დაეკარგათ კავშირი, ნაწილების სიღრმეში შედიოდა ის და ანაწილებდა ყველაფერს...

რადგან ის საშინელი სიცარიელე, რომელიც სამყაროს ვერ ავსებდა ვერც მზით, ვერც მთვარით, ვერც ვარსკვლავებით და მეფობდა უსაზღვროთ. ყველგან შედიოდა და ყველაფერს აცალკევებდა: სხეულს სხეულისგან, ნაწილს ნაწილისგან.

სიცარიელეში შლიდენ თავის ძირებს ხეები და თითონვე იყვენ ცარიელნი. სიცარიელეში, თითქო ჩამოქცევას ლამობდენ, ეკიდენ ტაძრები, სასახლენი, სახლები და თითონვე იყვენ ცარიელნი. სიცარიელეში დადიოდა ადამიანი ან თითონვე იყო ცარიელი, მჩატე როგორც ჩრდილი.

რადგან არ იყო ჟამი და დაახლოვდა დასაწყისი ყოველ საგნისა მას დასასრულთან. კიდევ აშენებდენ შენობებს, კალატოზები ჩაქუჩით ხმაურობდენ, მაგრამ უკვე იქცეოდა, და იბადებოდა თუ არა ადამიანი,

მის თავის სასთუმალს აინთებოდა დასამარხი სანთელი და ქრებოდა სიცარიელე, იკავებდა ადამიანის და დასამარხ სანთელის ადგილს და სიცარიელით ავსებული ადამიანი უიმედოდ ძრწოდა დაუსრულებელის საშინელების წინ.

ასე ლაპარაკობდნ ისინი, ვისაც კიდევ ქონდა ლაპარაკის თავი, მაგრამ უთუოდ კიდევ მეტს იტყოდნ ისინი, რომელთაც არ უნდოდათ ლაპარაკი და ისე ჩუმად კვდებოდნ.

#### IV

ამ დროს ცხოვრობდა რომში ერთი დიდებული მოქანდაკე. მარმარილოსა, თიხასა და ბრინჯაოსგან ის ქმნიდა ღმერთებისა და ადამიანთა ტანს და ისე ღვთაებრივი იყო სილამაზე მათი, რომ ხალხმა მას უკვდავი დაარქვა. მაგრამ მოქანდაკე მაინც უკმაყოფილო იყო და ამტკიცებდა, რომ არის რაღაც ჭეშმარიტად ყველაფერზე ულამაზესი, რომელიც არ შეუძლია მას გადაიტანოს მარმარილოსა და ბრინჯაოზე. კიდევ ვერ შემიკრებია მე მთვარის სხივები, კიდევ ვერ დამთვრალვარ მე მზის სხივებით და არ არის ჩემ მარმარილოზე სული, არ არის სიცოცხლე ჩემ ლამაზ ბრინჯაოზე. და როცა მთვარიან ღამეში ის მიდიოდა გზაზე და გადაჭრიდა შავ ჩრდილოებს კიპარისთა, შეხვედრილნი მას მეგობრულად გაუცინებდნ და ეტყოდნ:

– მთვარის სხივები ხომ არ გინდა შეკრიბო, ავრელიუსს? რაისთვის არ წამოიღე თან კალათა?

და ისიც სიცილით ეუბნებოდა, უჩვენებდა რა თავის თვალეებზე:

– აი, ჩემი კალათები, სადაც ვკრებ მე მთვარის სხივებს და მზის ბრწყინვას.

წარმოსდგებოდა ის ძველი პატრიციების გვარიდან, ყავდა კეთილი ცოლი, ლამაზი ბავშვები და არაფერში არ გრძნობდა დანაკლისს. როცა მოვიდა რომში ამბავი ელეაზარზე, ავრელიუსი მოელაპარაკა თავის ცოლს და მეგობრებს და გაემგზავრა შორეულ გზაზე იუდეაში, რომ შეეხედა სასწაულით ამდგარისთვის.

ცოტა მოწყენილობას გრძნობდა ის ამ დღეებში, მაგრამ თანდათან იზრდებოდა გზაში ყურადღება და ცნობის მოყვარეობა.

რასაც მოუთხრობდნ ელეაზარზე, მას სულაც არ აშინებდა. ის ბევრს ფიქრობდა სიკვდილზე, არ უყვარდა სიკვდილი, მაგრამ არ უყვარდა არც ისინი, რომელნიც სიკვდილს სიცოცხლეში ურევენ. ამ მხარეზე მშვენიერი სიცოცხლე, იმ მხარეზე საიდუმლო სიკვდილი, ფიქრობდა ის, და არაფერი ამაზე კარგი არ შეუძლია ადამიანს გა-

მოიგონოს, როგორც შეხაროდეს ამ მშვენიერ სიცოცხლეს და ის კიდევ ფიქრობდა გულში, რომ ამაში დაარწმუნებდა ელეაზარს და დაუბრუნებდა მის სულს სიცოცხლეს, როგორც დაბრუნებული იყო სხეული. მით უფრო შესაძლებელი ხდებოდა ეს, რომ ამბავი, რომელიც ელეაზარზე მიდიოდა მის ყურამდი, არ გამოსცემდა სრულ ჭეშმარიტებას და მხოლოდ აფრთხილებდენ რაღაც საშინელების წინ.

უკვე ადგა ქვიდან ელეაზარი, რომ გამოდგომოდა მზეს უდაბნოში, როცა მიუახლოვდა მას მდიდარი რომაელი, შეიარაღებული გონით და ხმამაღლა დაუძახა:

– ელეაზარ!

და შეხედა ელეაზარმა მშვენიერ და ამაყ სახეს, დიდებით გაბრწყინებულს, ნათელ ტანისამოსს, ძვირფას ქვებს, მზის ქვეშ რომ ბრწყინავდენ. წითელი სხივები მის თავს აძლევდენ ბრინჯაოს ფერს და ეს ელეაზარმა შეამჩნია. გაუგონა და დაჯდა ის თავის ალაგას და დაღლილი თვალები დაუშვა ძირს.

– შენ ულამაზო ხარ, ჩემო საბრალო ელეაზარ, – ამბობდა მშვიდად რომაელი და ათამამებდა ოქროს ქენკვს ხელებზე, – შენ საშინელი ხარ, ჩემო მეგობარო, კიდევ. და სიკვდილი არ ყოფილა ზარმაცი იმ დღეს, როცა შენ იმას ჩავარდნიხარ ხელში, მაგრამ შენ სხვილი ხარ, როგორც გულა და ამისთანა ხალხი არას დროს არ არიან ბოროტი, ასე ამბობდა დიდებული კეისარი, და მე ვერ გამიგია, რისთვის გიფრთხიან შენ ადამიანები. მომცემ განა ნებას, შენ სახლში გავათიო ლამე? უკვე დაღამდა და მე არ მაქვს თავშესაფარი.

ჯერ არავის არ უთხოვია ელეაზარისთვის ლამის გათევა.

– მე არა მაქვს საწოლი. – მიუგო მან.

– მე რამდენამდე მხედარი ვარ და შემიძლია მჯდომარემ ვიძინო, – მიუგო რომაელმა, – ჩვენ ავანთებთ ცეცხლს.

– მე არა მაქვს ცეცხლი.

– მაშინ ბნელაში, როგორც ორი მეგობარი ჩვენ გავაბათ საუბარი, შენ უთუოდ მოგეძებნება სადმე ცოტა ღვინო.

– მე არა მაქვს ღვინო.

რომაელს გაცეცინა.

– აი, ეხლა მესმის, რისთვის ხარ შენ ასე მწუხარე და არ გიყვარს მეორე სიცოცხლე. არ არის ღვინო, რა უნდა ვქნათ, დავრჩეთ ასე, ხომ არის სიტყვა, რომელიც აბრუებს თავს, როგორც თალეონის ღვინო.

ანიშნა ხელით და გაუშვა მონა და ისინი დარჩენ ორი ერთად, ხელახლა ალაპარაკდა მოქანდაკე და თითქო ჩამავალ მზესავით მი-

დიოდა მისი სიტყვებიდან სიცოცხლე და დაცარიელდენ სიტყვები, გაუფერულდენ. თითქო ირყეოდენ უძლურ ფეხებზე. თითქო იქცეოდა მთვრალი სევდის და სასონარკვეთილების ღვინო.

– ეხლა შენი სტუმარი ვარ, და არ დაგტოვებ ასე, ელეაზარ, – ამბობდა ის, – სტუმართმოყვარეობა სავალდებულოა მისთვისაც, ვინც საფლავშია იყო სამი დღე. ოხ! როგორ ბნელა, და საიდან გამოიტანე შენ ეს ჩვეულება უღვინოთ და უცეცხლოთ გაძლების. მე მიყვარს ცეცხლი, აქ როგორ მალე ბნელდება, შენ მართლა საინტერესო ხაზები გაქვს წარბებსა და შუბლზე, თითქო ფერფლით დამარხული ნანგრევებია სასახლეთა მიწის ძვრის შემდეგ? მაგრამ რისთვის ხარ შენ ახირებული და ულამაზო ტანისამოსში. მე მინახავს საქმრონი თქვენ მხარეში და ისინი ატარებენ ამნაირ ტანისამოსს. რა სასაცილო ტანისამოსია, რა საშინელი ტანისამოსია. მაგრამ შენ საქმრო ხარ?

უკვე დაიმალა მზე და შავი გოლიათი ჩრდილი გამოიქცა აღმოსავლეთიდან, თითქო ვეებერთელა შიშველმა ფეხებმა დაიწყეს სილაზე ხრამუნის, და ჩქარი სირბილის ქროლვამ ზურგში სიცივით შეიქროლა.

– ბნელაში შენ უფრო დიდი მოჩანხარ, ჩემო ელეაზარ! შენ თითქო გასუქდი ამ რამდენიმე წამში, მართლა ხომ არ იკვებები შენ წყვდიადით?.. მე კი მინდოდა ცეცხლი, თუნდა პატარა ცეცხლი, მე მცივა რაღაც, თქვენში ბარბაროსული ცივი ღამეები ცოდნია... რომ ასე ბნელი არ ყოფილიყო, მე შენ გეტყოდი, რომ მიცქერი მე, ელეაზარ, დიახ, მგონია, შენ მიცქერი... ხომ მართალია, მე ვგრძნობ, რომ შენ იღიმები.

ღამე მოვიდა და მძიმე სიშავით გაიჟლინთა ჰაერი.

– აი, კარგი ის იქნება ხვალ, რომ ამოვა მზე. შენ უთუოდ იცი, რომ მე დიდებული მოქანდაკე ვარ, როგორც მეძახიან მეგობრები. მე ვქმნი, დიახ, ამას ქვია შექმნა. მაგრამ ამისთვის დღეა საჭირო. ცივ მარმარილოს მე ვაძლევ სიცოცხლეს, მე ცეცხლს უდებ მრეკავ ბრინჯაოს... რისთვის შემახე შენ ხელი?..

– ნავიდეთ, – უთხრა ელეაზარმა, – შენ ჩემი სტუმარი ხარ. – და ისინი ნავიდენ სახლში და გძელი ღამე დაანვა მიწას. მონამ ბევრი უცადა ბატონს, შემდეგ კი მივიდა მასთან, როცა მალლა იდგა მზე. და შეხედა პირდაპირ, დამწველ სხივთა ქვეშ იჯდენ ერთი მეორესთან ელეაზარი და მისი ბატონი, იცქირებოდენ ზევით და სდუმდენ. ატირდა მონა და ხმა მალლა დაიყვირა.

– ბატონო ჩემო, რას ვხედავ ამას? ბატონო, რა დაგმართიათ?

იმ დღესვე ის დაბრუნდა რომში. მთელი გზა ავრელიუსი დაფიქრებული იყო და სდუმდა, ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს,



ხალხს, ხომალდს, ზღვას, თითქო სცდილობდა დამახსოვრებას. ზღვაში მათ ძლიერი ქარიშხალი წამოეწიათ და მთელი ეს დრო ავრელიუსი იმყოფებოდა ბაქანზე და გაუმაძღრად ათვალიერებდა მოზღვავებულ ტალღებს. სახლში შეშინდენ, რა შეამჩნიეს საშინელი გამოცვლა მოქანდაკეს, მაგრამ მან დაამშვიდა სახლობა, დიდმნიშვნელოვანად სთქვა:

– მე ვნახე.

და იმ ჭუჭყიან ტანისამოსით, რომელიც მას არ გამოუცვლია მგზავრობაში, ის შეუდგა მუშაობას და მორჩილად დაინკრიალა მარმარილომ ჩაქურჩის დაკვრაზე. დიდხანს, გაუმაძღრად მუშაობდა ის, არავის არ უშვებდა ოთახში და ბოლოს ერთ დღეს სთქვა, რომ ნანარმოები უკვე გაათავა და უბრძანა, შეეკრიბათ მეგობრები, დამფასებელნი და მცოდნენი ხელოვნებისა... და უცდიდა ის მათ მშვენიერ და ბრწყინვალე ტანისამოსში, გამონყობილი ოქროთი და მენამულით.

– აი, რა შეეკენი. – სთქვა მან დაფიქრებით.

შეხედეს მეგობრებმა და ორმა მწუხარების ჩრდილმა დაფარა მისი სახე.

ეს იყო რალაც საზიზღარი, რომელსაც არ ჰქონდა არც ერთი თვალისთვის ნაცნობი ფორმა. მაგრამ არ იყო მოკლებული რალაც ახალ, უცნობ ხატებაზე ნასახს. წვრილ და მრუდე ტოტზე ანუ მის მომსგავსებაზე მრუდედ და ახირხულად იდვა ბრმა ველური ნამტვრევები ქვისა, რომელნიც უღონოდ სცდილობდენ თავისთავიდან წასვლას. შემთხვევით ერთ ამისთანა ველურად მყვირალა ადგილთან შეამჩნიეს მშვენივრად გამოქანდაკებული პეპელა, გამჭვირვალე ფრთებით, თითქო მთრთოლვარენი ფრენის უღონო ნდობიდან.

– რატომ არის ეს საკვირველი პეპელა? – გაუბედავად ჰკითხა ვილაცამ.

– არ ვიცი. – უპასუხა მოქანდაკემ.

– ეს საძაგელი რამაა, საბრალო მეგობარო.

– მომეცით ჩაქურჩი!

და ორი დარტყმით მან დაამსხვრია ქანდაკი, დატოვა მარტო გამოქანდაკებული საკვირველი პეპელა.

ამის შემდეგ არაფერი არ შეუქმნია ავრელიუსს. გულგრილად უცქეროდა ეხლა ის მარმარილოსა და ბრინჯაოს და თავის უწინდელ ღვთაებრივ ქმნილებათ, რომლებზედაც განისვენებდა უკვდავი სილამაზე. ცდილობდენ – აღეძრათ მასში შემოქმედების ძალა, დაჰყავდათ – რომ დაეკვირვებინათ სხვის მშვენიერ ნანარმოებთათვის, მაგრამ ის მალეც გულ გრილად უცქეროდა ყველაფერს და ღიმილიც



კი არ ათბობდა მის დაღვრემილ სახეს. როცა მას დიდხანს და ბევრს ესაუბრებოდენ სილამაზეზე, ის, დაღლილი, ცივად უპასუხებდა.

– მაგრამ ყველა ეს ხომ სიცრუეა.

დღით, როცა მზე ანათებდა, ის გადავიდოდა თავის ხელოვნურად მორთულ ბაღში და მონახავდა რა იმ ადგილს, სადაც არ იყო ჩრდილი, დაუხურეღ ტიტველ თავს და მღვთის თვალებს გაუჩერებდა სიცხეს და ბრწყინვას. დაჰფრინავდენ წითელი და თეთრი პეპლები, მარმარილოს წყლის ამოსაღებიდან მოჩუხჩუხებდა წყალი – ნეტარად მთვრალი სატირის მრუდე ბაგეთაგან. ის კი იჯდა განუძრევლად, როგორც მკრთალი ჩრდილი მისი, ვინც კი ბარმა სივრცეში, თვით უდაბნოს კლდოვან ბჟესთან განუძრევლად იწვა პაპანება მზის ქვეშ.

## V

და აი, მიხმომ თავისთან ელეაზარი თვითონ დიდებულმა ღვთაებრივმა ავგუსტმა. ჩააცვეს ელეაზარს ისევ სადღესასწაულო, საქორწინო ტანისამოსი, თითქო ჟამმა დააკანონა, რომ თვით მეორე სიკვდილამდე ყოფილიყო ის საქმარო უცნობი სარძლოსი. გავდა იმას, თითქო ძველი, დამპალი კუბო ისევ მოევარაყებინათ ოქროთი და ახალი ფარჩით შეემოსათ და მიჰყვებოდენ მას სადღესასწაულოდ გამონყობილნი, თითქო მართლა მიდიოდა ქორწილის პროცესია და წინამძღვარნი ხმამაღლა აყვირებდენ საყვირთ, რომ მიეცათ გზა იმპერატორის გამოგზავნილთათვის, მაგრამ უდაბური იყო გზები ელეაზარისა.

მთელი სამშობლო მხარე სწყევლიდა სასწაულით ამდგარს. და დაფრთხა და გაიქცა ხალხი მარტო გაგონებაზე ელეაზარის მოახლოვებისა. მაინც ყვიროდენ ტყვიის საყვირები და მარტო უდაბნო უპასუხებდა თავის გამოძახილით.

შემდეგ წაიყვანეს ზღვით. და ეს იყო ყველაზე უფრო მწუხარე ხომალდი, რომელიც ოდესმე მიდიოდა ხმელთა შუა ზღვის ტალღებზე. ბევრი ხალხი მიდიოდა ამ ხომალდით, მაგრამ, როგორც საფლავი, იყო ის მშვიდი და მდუმარე, თითქო სტიროდა წყალი უიმედოთ. მარტოდ-მარტო იჯდა ელეაზარი და მიეშვირა თავი მზისთვის, ყურს უგდებდა ზვირთის დუღუნს და სდუმდა. შორს კი, როგორც მწუხარე ჩრდილთა გროვა, უღონოდ იწვენ მეზღვაურები. ამ დროს რომ მეხი გავარდნილიყო უეცრად, ქარიშხალს წითელი აფრა დაენენა, უთუოდ დაილუპებოდენ ყველანი, რადგან არც ერთს მათგანს – არ ჰქონდა ღონე და ნდომა სიცოცხლისათვის ბრძოლისა. გულგრილად შევიდა ელეაზარი უკვდავ ქალაქის ქუჩებში. თითქო მთელი სიმდიდ-

რე მისი, შენობათა საკვირველება, ბუმბერაზივით რომ ცაში ეზიდებოდენ, მთელი სილამაზე და მუსიკა სიცოცხლისა, იყო მხოლოდ გამოდახილი ქარიშხლისა უდაბნოში და მკრთალი სხივი გახურებულ სილისა. მიქროდა ეტლები, მიდიოდა გროვა ძლიერი, ლამაზი და კადნიერი ადამიანების, უკვდავ ქალაქის ამშენებელთა და მისი ცხოვრების ამაყ მონაწილეთა. ისმოდა სიმღერა – იცინოდენ შადრევანები და ქალები თავის მარგალიტი სიცილით, ფილოსოფოსობდენ მთვრალნი, ღიმილით პირზე უსმენდენ მათ ფხიზელნი და ნალები რეკდენ ქუჩებზე, რა ჩაეცემოდნენ ქვებს. ყოველ მხრივ მხიარულ ხმაურობით შემორტყმული, ცივი დუმის დალით დადიოდა მძიმე, მოღრუბლული ადამიანი და თესავდა თავის გზაზე რისხვას და ჯანყიან მწველ სევდას. ვის შეუძლია, იყოს მწუხარე რომში? – გული მოდიოდათ მოქალაქეთ და ორი დღის შემდეგ მთელმა რომმა იცოდა ამბავი სასწაულით ამდგარისა და შიშით უფრთხოდა მას. მაგრამ იყვნენ ისეთი გულ-მაგარი ადამიანებიც, რომელთაც სურდათ გამოეცადათ თავიანთი ძალა და მათ დაუფიქრებელ ძახილზე მორჩილად მიდიოდა ელეაზარი. სახელმწიფო საქმეებით დატვირთული იმპერატორი აგვიანებდა მიღებას და მთელი შვიდი დღე დადიოდა რომში სასწაულით ამდგარი. აი, მოვიდა ელეაზარი მხიარულ ლოთთან და ლოთი წითელი ტუჩების სიცილით შეხვდა მას.

– დალიე, ელეაზარ, დალიე! აი, ბევრს იცინებს ავგუსტი, როცა მთვრალს დაგინახავს.

და იცინოდნენ გატიტვლებულნი ლოთი დედაკაცები და ვარდის ფოთლები ეცემოდენ ელეაზარის ლურჯ ხელებზე. მაგრამ შეხედა ლოთმა თვალებში და საუკუნოდ გათავდა მისი მხიარულება. მთელი თავისი სიცოცხლე ის დარჩა ლოთად, უკვე ეხლა აღარ სვამდა, მაგრამ მაინც დარჩა ლოთად. მაგრამ მხიარულ ზმანებათა წილ საშინელი სიზმრები შეიქნენ ერთად ერთ საზრდოდ მისი სულისა. აი, მივიდა ელეაზარი ჭაბუკთან და ქალწულთან, რომელთაც უყვარდათ ერთმანეთი და იყვენ მშვენიერი თავიანთ სიყვარულში ამპარტავნულად და მაგრად მოეხვია ხელები საყვარლისათვის და ჭაბუკმა სთქვა ჩუმი შეცოდებით:

– შეგვხედე, ელეაზარ, იმხიარულე ჩვენთან, განა არის რამე სიყვარულზე ძლიერი?

შეხედა ელეაზარმა და მთელ სიცოცხლეში ისინი განაგრძობდენ ერთმანეთის სიყვარულს, მაგრამ მწუხარე და ბინდიანი შეიქნა მათი სიყვარული, როგორც საფლაგზე ამოსული კვიპაროსები, რომელნიც

ძირებს ასაზრდოებენ საფლავის გახრწნით და შავ მაღალ წვეროვებით ამოედ ეძებენ ცას ჩუმს საღამო ჟამს, უცნობი ძალა სიცოცხლისა მათ აგდებდათ ერთი მეორის ნიაღში. მაგრამ მათი კოცნა ერთად ერთოდა ცრემლს, ტკბობა ტანჯვას და მონებად გრძნობდენ თავს: მორჩილ მონებად მთხოვნელ სიცოცხლის და უპასუხო მოსამსახურეებად მდუმარე არარაისა. მუდამ შეერთებულნი, მუდამ გაყრილნი – ისინი ინთებოდენ ნაპერწკალივით, და როგორც ნაპერწკალი ჰქრებოდენ უსაზღვრო წყვიდადში.

აი, მივიდა ელეაზარი ამაყ ბრძენთან და ბრძენმა რქვა მას:

– მე უკვე ვიცი, ელეაზარ, რაც შეგიძლია შენ მითხრა საშინელი. რით შეგიძლია შენ, კიდეც დამაშინო მე?

მაგრამ გავიდა სულ ცოტა ხანი და იგრძნო ბრძენმა, რომ ცოდნა საშინელის – არ არის კიდეც საშინელი. რომ სიკვდილის მოჩვენება – არ არის სიკვდილი. და იგრძნო მან, რომ სიბრძნე და უმეცრება სულ ერთია უსაზღვროს წინაშე, რადგან არ იცის ისინი უსაზღვრობამ. და გაჰქრა საზღვარი ცოდნისა და უცოდინარობისა, ჭეშმარიტებისა და სიცრუისა, სიმალლისა და სიმდაბლის და ჩამონვა უსახო აზრი. მაშინ მოიკიდა მან ხელი ჭალარა თავზე და დაიყვირა:

– მე არ შემიძლია ფიქრი.

ასე იღუპებოდა გულ-გრილ შეხედვის გავლენით სასწაულით ადგომილისა ყველაფერი, რაც ემსახურება ცხოვრების დამყარებას, აზრს და ლხენას მისას. და დაინყეს ფიქრი, რომ საშიშარია მისი შეშვება იმპერატორთან, სჯობს, მისი მოკვლა და როცა ჩუმად დამარხავენ, მერე იტყვიან, რომ დაიშალა ის სადღაც. უკვე იღესებოდა მახვილები და ხალხისთვის თავდადებულნი ყრმანი თავიანთ თავს ამზადებდენ მკვლელებად, როცა ავგუსტმა მოითხოვა, რომ დილას ერვენებიათ ელეაზარი, და ამით დაშალა სასტიკი პლანი. თუ არ შეიძლებოდა, სულ გადაეყენებიათ ელეაზარი, მოინდომეს ცოტათი მაინც შეემსუბუქებიათ მძიმე შთაბეჭდილება, მისი სახე რომ ახდენდა. ამ მიზნით კრებდენ ხელოვან მხატვართ, დალაქებს, არტისტებს და მთელი ღამე შრომობდენ ელეაზარის თავზე! მოპარსეს წვერები და მისცეს მას ღამაზი და სასიამოვნო შესახედაობა. უსიამოვნო იყო სილურჯე მისი ხელებისა და სახისა და საღებავებით მოაშორეს ის. გაუთეთრეს ხელები და სახე ვარდის ფრად შეუღებეს: საზიზღარი იყო ნაოჭები, ტანჯვის ნაკვალევი და შეღებეს, ამოავსეს, გაასწორეს სულ. ხელოვნურად გაუკეთეს პატარა ნაოჭები გულუბრყვილო სიცილისა და უბოროტო მხიარულებისა.

გულგრილად ემორჩილებოდა ელეაზარი ყველაფერს, რასაც უშვებოდენ და მალე ის გადაკეთდა ბუნებრივად მსხვილ, ლამაზ მოხუცად, მშვიდ და ჩუმ პაპად მრავალ რიცხოვან შვილიშვილებისა. კიდეც არ მოშორებია ღიმილი, რომლითაც ის ამბობდა სასაცილო ზღაპრებს და კიდეც იყო მის თვალების კუთხეში სინაზე. საქმროს ტანისამოსის გახდა ვერ გაბედეს, მაგრამ თვალის გამოცვლა ვერ შესძლეს, ბუნდოვანი საშინელი მინები, რომლიდანაც იცქირებოდა ადამიანებზე თვით მიუწოდომელი იქ.

## VI

ვერაფერი აგრძნობია ელეაზარს იმპერატორის ჩარდახის დიდებულებამ, თითქო ვერ ხედავდა ის განსხვავებას თავის დანგრეულ სახლსა, რომელსაც მიუახლოვდა უდაბნო, და ქვიან, მაგარ და ლამაზ სასახლეს შორის, ისე გულგრილად იცქირებოდა და არ იცქირებოდა ის, როცა მიდიოდა და მაგარი მარმარილო მის ფეხებ ქვეშ ემსგავსებოდა უდაბნოს ქვიშას და მიაგავდენ აუარებელი ადამიანები მისთვის სიცალიერეს ჰაერისას. მისი შეხედვის დროს სახეზე მას არ ხედავდენ. როცა მიდიოდენ, ეშინოდათ, არ მოყოლოდენ მისი თვალების საშინელ გავლენას, მაგრამ მძიმე ნაბიჯის ხმით მიხვდებოდენ თუ არა, რომ ის უკვე გაშორდა მათ, აიღებდენ თავებს და მოშიშარი ცნობის მოყვარეობით უცქეროდენ მსუქან, მაღალ, ცოტათ წელში მოხრილ მოხუცს, ნელად რომ მიიმართებოდა იმპერატორის სასახლის გულში. თვითონ სიკვდილს რომ გაეველო, მეტად არ შეეშინებოდათ ადამიანებს, რადგან ამდენხანს ასე იყო, მკვდარმა იცოდა სიკვდილი, ცოცხალმა – სიცოცხლე და მათ შორის არ ყოფილა ხიდი. ამ არაჩვეულებრივმა ადამიანმა იცოდა სიკვდილი და იყო საშიშარი და საიდუმლო დაწყევლილი მისი ცოდნა. მოჰკლავს მაგ ჩვენს ღვთაებრივ იმპერატორსო – შიშით ფიქრობდენ რომაელები და უღონო წყევას უგზავნიდენ ელეაზარს, რომელიც ნელა მიდიოდა სასახლის სიღრმეში. თვითონ კეისარმაც იცოდა, თუ ვინ იყო ელეაზარი და მოემზადა მის შესახვედრად, მაგრამ იყო მამაცი ადამიანი, გრძნობდა დაუმორჩილებელ ძალას და ამისათვის საბედისწერო ბრძოლაში არ ინდომა, დაყრდომოდა გარეშეთა მოხმარებას. პირისპირ, ერთი ერთთან შეეყარა ის ელეაზარს.

– ნუ შემომხედავ შენი თვალებით, ელეაზარ! – უბრძანა მან შემოსულს, – გამიგონია, რომ შენი თავი მიაგავს მედუზის თავს და ქვად აქცევს ყველას, ვისაც კი შეხედავს. მე კი მინდა, დაგხედო შენ და გელაპარაკო, სანამ ქვით გადავიქცეოდე, – დაუმატა მან მეფუ-

რი ხუმარობით, რომელიც შიშს არ იყო მოკლებული, მივიდა ახლოს, ყურადღებით გაარჩია მისი სახე და უცნაური სადღესასწაულო ტანისამოსი და მოტყუვდა ხელოვნურად გაკეთებულით, თუმცა თვალი ქონდა მჭრელი და მახვილი.

– ასე, შესახედავად არა ხარ შენ საშინელი, პატივცემულო მოხუცო, მაგრამ მით უარესი ადამიანებისთვის, როდესაც საშინელი მიიღებს ასეთ სახეს. ეხლა ვილაპარაკოთ.

ავგუსტი დაჯდა და ელაპარაკებოდა რა სახით იმდენს, რამდენსაც სიტყვებით და იწყო საუბარი:

- რისთვის არ მითხარი გამარჯვება, როცა შემოდი?
- მე არ ვიცოდი, რომ ეს იყო საჭირო!
- შენ ქრისტიანი ხარ?
- არა.

ავგუსტმა კმაყოფილებით დააქნია თავი.

– ეს კი კარგია. მე არ მიყვარს ქრისტიანები. ისინი არყევენ ცხოვრების ხეს, არ აცლიან მას ნაყოფით დაფენას და ქარიშხალს ატანენ მის სურნელოვან ყვავილს. მაგრამ ვინ ხარ შენ?

ცოტა ძალდატანების შემდეგ ელეაზარმა უპასუხა:

- მე მკვდარი ვიყავი.
- ეგ გამიგონია, მაგრამ ვინ ხარ ეხლა შენ?

ელეაზარი აგვიანებდა პასუხს და ბოლოს გაიმეორა გულგრილად:

- მე მკვდარი ვიყავი.

– გაიგონე შენ, უცნობო, – უთხრა იმპერატორმა, – ჩემი სამეფოა ცოცხალთა, ჩემი ერი – ცოცხალთა და არა მკვდართა, და შენ აქ მეტი ხარ. მე არ ვიცი, ვინ ხარ შენ, მე არ ვიცი, შენ რა ნახე იქ, – მაგრამ თუ შენ სტყუი – მე მეზიზღება შენი ტყუილი, თუ შენ მართალს ამბობ – მე მძულს შენი სიმართლე, მე ჩემს გულში ვგრძნობ სიცოცხლის თრთოლვას და ჩემს ხელებში ძლიერებას. ამპარტავანი ფიქრები ჩემი, როგორც არწივები – სივრცეში დაფრენენ. იქ კი – ჩემს ზურგს უკან ჩემი უძღურის დაცვით და ჩემგან შედგენილი კანონების მეოხებით ცხოვრობს, შრომობს და მხიარულობს ხალხი. შენ გესმის ეს საკვირველი ჰარმონია სიცოცხლისა? შენ გესმის ეს საომარი ძახილი, რომელიც ადამიანს მიანყევებს მომავალს და ითხოვს მას ბრძოლისათვის.

ავგუსტმა მლოცავივით აღაპყრო ხელი და სასოებით წამოიძახა:

– იყავ კურთხეულ, დიდებულო, ღვთაებრივო სიცოცხლევ! – მაგრამ ელეაზარი სდუმდა და მომეტებული სისასტიკით განაგრძობდა იმპერატორი.

– შენ მეტი ხარ, შენ საცოდავი დანარჩენი ხარ სიკვდილისაგან შეუჭმელი, ადამიანებს გვრი სევდას და სიცოცხლის სიძულვილს. შენ როგორც ბობოლა მოზირო სჭამ მსუქან თავთავს სიხარულისას და ინთხევ ცრემლებს სასონარკვეთილებისას და კაეშნისას. შენი სიმართლე მიაგავს დაჟანგულ მახვილს ღამის მკვლელის ხელში, და როგორც მკვლელს, მე შენ გადაგცემ დასასჯელად. მაგრამ მანამდე მე მინდა ჩავიხედო შენს თვალებში. შესაძლებელია, მარტო მშვიდრებს ეშინიათ მათი და მამაცებს უღვიძებენ წყურვილს ბრძოლისას და ძლევისას, მაშინ სასჯელის კი არა, საჩუქრის ღირსი იქნები შენ, შემომხედე, აბა, მე, ელეაზარ!

პირველ წამში თითქო მეგობარი უყურებდა ისე ნაზი და წარმტაცი იყო შეხედვა ელეაზარისა. არა თუ საშინელებას, მშვიდობას პირდებოდა ის და ნაზ საყვარლად, შემცოდებელ დათ, დედათ ევენა მას უბოლოო. მაგრამ თანდათან ძლიერდებოდა მისი კალთები და სუნთქვა გადაიქცა კოცნას მოწყურებულ ტუჩებად და ვილაცის ცივი ბრჭყალები შეეხო მის გულს და ჩაეფლო შიგ.

– მე ცუდად ვარ! – რქვა გაფითრებულმა ღვთაებრივმა ავგუსტმა, – მაგრამ, გახსოვდეს, ელეაზარ! გახსოვდეს!

თითქო ნელა განირღვენ მძიმე საუკუნოებით დაკეტილი ბჭენი და ამოსულ ხვრელში ცივად და ნელა მოდიოდა საშინელება უსაზღვროსი. ორ ჩრდილივით შემოვიდენ სიცალიერე და წყვდიადი და ჩააქრეს მზე, ფხეებისგან გამოაცალეს მინა და სახურავი სასახლისა მოაშორეს თავს. და შესწყდა, გაყინული გულის ტკივილი.

– გახსოვდეს, გახსოვდეს, ელეაზარ! – უბრძანა ავგუსტმა. შესდგა ჟამი და საშინლად დაუახლოვდა დასაწყისი ყველა საგნისა მის დასასრულს. ახლად აშენებული დაიმსხვრა ტახტი ავგუსტისა და სიცალიერე იყო ავგუსტისა და ტახტის ადგილას. უნმოდ დაიქცა რომი და ახალი ქალაქი გაშენდა მის ადგილას და გადაყლაპა სიცალიერემ, როგორც მოჩვენებული გოლიათები ჩქარა დაიქცენ და გაჰქრენ სიცალიერეში ქალაქები, სახელმწიფონი და მხარენი და გულგრილად ყლაპავდა მათ გაუმაძღარი, შავი მუცელი უბოლოოსი.

– გაჩერდი! – უბრძანა იმპერატორმა. უკვე გულგრილობა ისმოდა მის ხმაში და უღონოდ დაეშვენ მისი ხელები და მოახლოებულ სიბნელესთან ამაო ბრძოლაში დაჰქრენ მისი არწივის თვალები.

– მომკალი მე შენ, ელეაზარ! – სთქვა მან უფერულად და ამ სიტყვებმა, უიმედობის სიტყვებმა იხსნა ის. მას მოაგონდა ხალხი, რომლის ფაშადაც ის არის მოწოდებული და მხსნელი. ტკივილით იგრძნო მისმა მიმკვდარებულმა გულმა დასაღუპად განმზადებულნი. მწუხარედ

გაიფიქრა მან: ნათელი ჩრდილნი უბოლოო წყვდიადში; საშინელებით გაიფიქრა მან: სუსტი ჭურჭელნი, ცოცხალი მოელვარე სისხლით, გულით, რომელმაც იცის მნუხარება და ლხენა – გაიფიქრა მან.

ასე, ამ ფიქრით და გრძნობით ხან სიცოცხლის მხარეს სწევდა ის სასწორს, ხან სიკვდილის მხარეს. ნელა დაუბრუნდა ის სიცოცხლეს, რომ მის ტანჯვაში და ლხენაში ენახა შველა უბოლოო წყვდიადის და ბნელის წინააღმდეგ.

– არა. შენ ვერ მომკალი მე, ელეაზარ! – სთქვა მან მაგრად, – მაგრამ მე კი მოგკლავ შენ, გესმოდეს!

იმ საღამოს განსაკუთრებული სიხარულით სჭამდა ღვთაებრივი ავგუსტი საჭმელს, მაგრამ მალ-მალე ჩერდებოდა ჰაერში აღებული ხელი და უფერული ბრწყინვა სცვლიდა მის თვალთა არწივისებურ ელვარებას და საშინელება გაყინულ ტალღასავით გაკრთებოდა მის ფეხებთან. დამარცხებული, მაგრამ ცოცხალი ის ცივად უცდიდა თავის ჟამს, ის შავ აჩრდილივით მთელ სიცოცხლეში იდგა სასთუმალთან და მორჩილად სცვლიდა ნათელ დღეებს მნუხარებაში. მეორე დღეს გახურებული რკინით, იმპერატორის ბრძანებით ამოწვეს ელეაზარს თვალები და გამოუშვეს ის სამშობლოში, მისი მოკვლა ვერ გადასწყვიტა ღვთაებრივმა ავგუსტმა.

დაბრუნდა ელეაზარი უდაბნოში და მიიღო ის უდაბნომ ქარიშხლის სისინით და გახურებულ მზის სიციხით. ისევ იჯდა ქვაზე; ზევით აენია ველური წვერი და ორი შავი ორმო ამომწვარ თვალების ადგილას იცქირებოდა ცაზე. შორს ხმაურობდა წმიდა ქალაქი და ახლოს ყველაფერი მომკვდარიყო და მუნჯობდა. არავინ არ უახლოვდებოდა ადგილს, სადაც თავის უკანასკნელ დღეებს ათავებდა სასწაულით ამდგარი და მეზობლებს დიდი ხანია დაეტოვებიათ თავიანთი სახლები. გახურებული რკინით შემწყვდეული თავის სიღრმეში, დაწყველილი ცოდნა იმალებოდა იქ და არავის არ შეეძლო, შეებედა ელეაზარისთვის. საღამოს, როცა მზე გადიდებოდა, განითლდებოდა და დასავლეთისკენ გადიხრებოდა, მასთან ერთად ნელად მიდიოდა ბრმა ელეაზარი. წამოკრავდა ქვებს ფეხს და დაეცმოდა. მიიმედ ადგებოდა და ისევ მიდიოდა და განთიადის მოახლოვებაზე მისი შავი ტანი და აპყრობილი ხელები მიემსგავსებოდენ ვეებერთელა ჯვარს.

ისე მოხდა, რომ წავიდა ერთხელ ის და შემდეგ არ დაბრუნებულა. ალბად, აღსრულდა მეორე ცხოვრება ელეაზარისა, სამი დღე სიკვდილის საიდუმლო უძლურებაში ყოფილის და სასწაულით ამდგარის.



## ფიოდორ სოლოგუბ

### თვალეები

იყვენ მშვენიერი შავი თვალეები. შეხედავდენ, უჭყრეტდენ და ეკითხებოდენ.

და იყვენ რუხი, ეშმაკი თვალეები. სულ ცელქობდენ, არავის პირდაპირ არ ხედავდენ.

იკითხეს თვალეებმა:

– რას მირბიხართ? ვის ეძებთ?

შეითამაშეს პანია თვალეებმა და უპასუხეს:

– ისე, არაფერს... არ შეიძლება, თქვენც ხომ იცით. – და იყვენ ეს პანია თვალეები ურცხვი და უსიცოცხლონი, შეიჭრებოდენ და იცქირებოდნენ.

ჰკითხეს თვალეებმა:

– რას უცქერით, რას ხედავთ?

შედგენ პანია თვალეები და დაიყვირეს:

– როგორ ჰბედავთ? ვინა ხართ თქვენ და ვინა ვართ ჩვენ. რას გიზამთ, იცით?

ექებდენ თვალეები თვალეებს მშვენიერს, ვერ ნახეს და დაიხუჭენ...

### სანათი და ასანთი

მაგიდაზე იდგა სანათი.

მოაძვრეს შუშა, სანათმა შეხედა ასანთს და ეუბნება:

– შენ პანია! ცოტა გაიწიე, მე საშიშარი ვარ, ეხლავე ავინთები. მე ყოველ საღამოს ავინთები ხოლმე. უჩემოდ ხომ შეუძლებელია დამე მუშაობა.

– ყოველ საღამოს?.. – ამბობს ასანთი... – ყოველ საღამოს ანთება ეს ხომ საშინელია.

– რატომ? – ჰკითხა სანათმა.

– სიყვარული მარტო ერთხელ შეიძლება!.. – სთქვა ასანთმა, იფეთქა და მოკვდა...

### ყვითელი ფოთოლი

წვეთი დაეცა ციდან პირდაპირ ჭადრის ფურცელს.

ეს იყო შეშინებული და ათროთოლებული წვეთი და ჭადრის ფოთოლმა შეიბრალა იგი.



– რისთვის თრთი? – ჰკითხა ფოთოლმა.

– მე სულ არ ველოდი ამას, – ეუბნება წვეთი, – მე მითხრეს, რომ ძირს ისეთივე ცაა, როგორც ზევით.

– აქ არ არის არავითარი ცა და არც არას დროს ყოფილა, – მიუგო ჭადრის ფოთოლმა, – ცა ყოველთვის ზევით არის, ქვევით კი ქვებია მხოლოდ და ჩვენი ძირები.

– მე მეშინია, – სთქვა წვეთმა, – მივხვდი, რომ შევცდი!..

– ნუ გეშინია, – ანუგეშებს ჭადრის ფოთოლი, – ვიცხოვროთ ერთად, მე არავის არ დავაბრძოლებიებ შენ თავს.

წვეთი მიეკრა ჭადრის ფოთოლს. ისინი მზად იყვნენ, უკვე შეერთებულიყვნენ, მაგრამ უცებ წვეთმა გაიგონა ფოთლების შრიალი და სიამისგან აცახცახდა.

– გაიგონე, – ამბობს წვეთი, – აქ ძირს მე გავიგონე, რომ ფოთლები შეინძრენ და ჩურჩულებენ: იქ დაბლა ცაა, დაბალი ცა.

– რა სისულელეა... – გულმოსული უპასუხებს ჭადრის ფოთოლი, – აკი, გითხარი, არავითარი დაბალი ცა არ არის მეთქი.

მაგრამ წვეთი მაინც მოწყდა და დაგორდა ძირს, ფოთოლი კი გაყვითლდა ნალველისაგან.

იმას უკვე მოესწრო წვეთის შეყვარება!..

[1915]

## ლოტრეამონ

### წიგნიდან: „Poésies“

– მომისმინე მე, მალდორორ, შეხედე ჩემს სახეს, რომელიც მშვიდია, როგორც სარკე... მე უბრალო მკვიდრი ვარ ლერწამებისა, მაგრამ იმის გამო, რომ შენ გეხები, რადგან ყურადღებას ვაქცევ მხოლოდ მშვენიერს შენში, ჩემი გონება განათებულია და შემიძლია ლაპარაკი.

მე ვამჯობინებდი, არ მქონოდა არც ხელები, არც ფეხები, მომესპო ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიყო, როგორც შენ. მე მძულხარ შენ სამუდამოდ.

მშვიდობით, არ იფიქრო, კიდევ ერთხელ შენს გზაზე ნახო გომბეშო. შენ ხარ მიზეზი ჩემი სიკვდილის. მე მივდივარ მარადისობაში, რომ გამოვითხოვო შენთვის შენდობა...

### მონოლოგი მალდორორის

სულიერი აღელვებანი, მწუხარება, სიმახინჯე, სიკვდილი, გამონაკლისი მორალური ან ფიზიკური, სული უარყოფისა, გაველურება, თვით დაბადებული გალლიუცინაციები, ტანჯვა, დარღვევა, ძირს დავარდნა, ცრემლები, გაუმადლობა, ძალმომრეობა, წამების წარმოდგენა, რომანები. ის, რაც მოულოდნელია, ის, რაც არ უნდა გააკეთო, ქიმიური ახირებანი იდუმალი ძერასი, რომელიც სდარაჯობს გახრწნილ ლემს, რომელიმე მკვდარი ილლიუზიისას, ადრინდელი და დაუმთავრებელი გამოცდა, ბუნდოვანობა ბალლინჯოს ქერქით, სასტიკი მონომანია სიამაყის, გულისნასვლის პირველი მოვარდნა, სიტყვები საფლავებზე წარწერილი, შური, ღალატი, ტირანია, უღმერთობა, გულის მოსვლა, ღვარძლიანობა, აგრესიული გამოსვლები, სიგიჟე, სპლინი, არა უმიზეზო შიში, ახირებული შეჭკრთობა, რომელსაც მკითხველი არჩევდა არ გამოეცადა, გრიმასები, ნერვები, სისხლიანი გამოცდა, რომელთაც ლოგიკა დაჰყავთ დაქანცვამდე, გადამეტებანი, გულწრფელობის უქონლობა, ხერხვა, სალახანობა, ყველაფერი ტრაურული, ბავშვის დაბადება, რომელიც სიკვდილზე უარესია, ვნებანი, კლანი რომანისტებისა ნაფიც ვექილთა კატეგორიიდან, ტრაგედიები, ოდეები, მელოდრამები, უსაზღვრო საზღვრის გადასვლა, დაუსჯელად ნასტვენი გონება, სოველი ქათამის სუნი, სიმლაშე, ბაყაყები, ცხრაფეხა, სამუმი, უდაბნო, ყველაფერი, რაც სომნაბულიურია, საეჭვო, ყველაფერი ღამისა, ძილის მომგვრელი, უძილო, ბალღამიანი, ტიულენის სახის, ორაზროვანი, სუს-

ტგულიანი, სპაზმატიური, ყველაფერი, რაც აღძრავს მეძაობას, ანემიური, მრუდე, გერმაფრდიტული, უკანონოთ დაბადებული, ალბინოსები, პედერასტები, აკვარიუმის სასწაულები და ქალი წვერებით, საათები, რომელნიც გატენილნი არიან უხმო სასონარკვეით, ფანტაზია, სიავე, ქაჯები, დემორალიზაციის სილლოგიზმები, ტალახი, ის, რაც არ აზროვნობს, როგორც ბავში, სასონარკვეთა, სულიერი საწამლავი, პრინცი სურნელებით გაბრუებული, კამელიას თეძოები, და შაულობა მწერალის, რომელიც მიექანება არყოფნის უფსკრულზე და მხიარული ხმით გამოხატავს თავის თავისადმი ზიზლს, სინდისის ქეჯნა, ცბიერება, ბუნდოვანი პერსპექტივები, რომელნიც ღრღნიან სულს უნახავი კბილებით, სერიოზული მიფურთხება სინმიდის, ჭიები და მათი შემპარავი ლიტინი, შეშლილი წინასიტყვაობანი, რომელნიც ჰგვანან კრომველის, Mademoiselle მოპენისა და დიუმა შვილის წინასიტყვაობათ, უღონობა, დახსნა, ღვთის უარყოფა, ასფიქსიები, დახრჩობა, სიცოფე... და როცა ჰხედავ ყველა ამ უწმიდურების შეხროვებას, რომელნიც სირცხვილია, დაასახელო, მე მგონია, დროა, რომ მოხდეს რეაქცია ყველაფერ ამის წინააღმდეგ, რაც შეურაცგვეფს და ასეთი ძალით გვლუნავს მიწასთან...

[1923]

## „დადას“-ს მანიფესტები

### ფრანსის პიკაბია

#### დადას კანიზალის მანიფესტი

თქვენ ყველამ ადექით, ვისაც ბრალი გედებათ! ორატორს შეუძლია თქვენთან ლაპარაკი, მხოლოდ იმ პირობით, თუ თქვენ ფეხზე ამდგარი მოისმენთ.

– ფეხზე ამდგარი, როგორც მაშინ, როცა მლერიან მარსელიეზას.

– ფეხზე ამდგარი, როგორც მაშინ, როცა მლერიან „ღმერთო, ფარვიდე“.

– ფეხზე ამდგარი, როგორც მაშინ, როცა მლერიან „God save the King“.

– ფეხზე ამდგარი, როგორც ამართულ დროშების წინ.

უკანასკნელად, ფეხზე ამდგარი, როცა გელაპარაკებათ დადა, რომელიც გამოხატავს ცხოვრებას და ბრალს გდებთ თქვენ იმაში, რომ გიყვართ სნობიზმი, იმ წამშივე, როცა ის გაძვირდება.

თქვენ ყველამ დაჯექით?.. სულერთია, უკეთესია. ასე უფრო მეტი ყურადღებით მომისმენთ.

რას აკეთებთ თქვენ, აქ რომ განრთხმულხართ ლოკოკინებივით სერიოზულები – რადგან თქვენ სერიოზულები ხართ, ხომ მართლა?..

სერიოზულები, სიკვდილამდე სერიოზულები.

სიკვდილი მართლა სერიოზული საქმეა – არა?

კვდიანი გმირებათ ან იდიოტებათ – მაგრამ ეს ხომ სულ ერთია. ერთად ერთი სიტყვა, რომელიც არ არის ექიმერული, ეს არის სიტყვა – სიკვდილი. თქვენ გიყვართ სიკვდილი სხვებისთვის! სიკვდილი! სიკვდილი!..

მხოლოდ ფულები არ კვდიანი მარტო – ისინი მხოლოდ იცვლიან თავის ბინადრობას.

ის ღმერთია, რომელსაც თაყვანს სცემენ, ის სერიოზული პერსონაჟია. ფულები – კეთილ ოჯახებშიც კი არის მონინების საგანი. პატივი და დიდება ფულებს! ადამიანი, როდესაც ფული აქვს, სათაყვანებელი კაცია.

პატიოსნების გაყიდვა და ყიდვა კი შეიძლება, როგორც უკანალის.

უკანალი კი წარმოადგენს ცხოვრებას, როგორც შემწვარი ვაშლები და როგორც თქვენ ყველა, რომელნიც ასეთი სერიოზულები ხართ. თქვენ უფრო ცუდი სუნი აგივათ, ვინემ ძროხას.

დადას არაფრის სუნი არ უდის, რადგან ის თვითონ არარაა და არაფერი.

როგორც თქვენი იმედები – არარაობაა.

როგორც თქვენი სამოთხეები – არარაობაა.

როგორც თქვენი ღმერთები – არარაობაა.

როგორც თქვენი პოლიტიკოსები – არარაობაა.

როგორც თქვენი გმირები – არარაობაა.

როგორც თქვენი მხატვრები – არარაობაა.

როგორც თქვენი რელიგიები – არარაობაა.

ისტინეთ, იყვირეთ, თუ გინდა ყარყატო ჩამიხიეთ – მერე ამის შემდეგ რა იქნება?.. შემდეგ კიდევ მე გეტყვით, რომ თქვენ ყველა ხართ – მსხლეები და სამი თვის შემდეგ მე და ჩემი მეგობრები მოგყიდით თქვენ ჩვენ სურათებს რამდენიმე ფრანკებათ.

## **ფილიპპო სუპო**

### **„დადა“-ს პროფილი**

„დადა“-ს არ აქვს მახსოვრობა. დღეს ის ლურჯია, ხვალ – მხიარული. დადა ივინყებს თავის საათებს დილდილობით და გადაყლაპავს საღამეობით. ის ერთმანეთში ურევს წამის მეთე წაწილს და ბანკის ბილეთებს. ის ისე ინელებს თავის საჭმელს, რომ არც კი სჭამს. ის წითლდება არა სირცხვილისგან, აძლევს თავის თავს მოსაკლავათ და მაინც მშვენიერად სძინავს.

დადა აღელვებულია, მაშინ როცა მშვიდათ არის. დადა ისე დიდხანს ძლებს, როგორც ბიუვარის ქალაღი. დადა – მგელია. დადა – ფოსტის მარკაა. შეიძლება დადა გასცვალო სხვა დადაზე ყოველივე შიშის გარეშე, რადგან დადას ლურჯი თვალები აქვს, ისე როგორც მთვარეს. დადა – ღონიერია, როგორც იდიოტი. დადა – ისე სუსტია, როგორც ერთი თეფში წვენი. დადა დადის, დახტის, ფრინავს, ცხოვრობს, როგორც კრეტინი და როგორც ლაგამი. დადას ბევრი რამ ეშლება – მაგრამ მაინც შეუმცდარია. დადა თამაშობს კლარნეტზე მის მაგივრად, რომ ნოხებს აკეთებდეს. დადა – ყველაფრის დამტევია, როგორც ზონტიკი, სასაცილოა, როგორც პლანეტა და ჩერჩეტი, როგორც ბატი. დადა ისევე საძაგლად ყარს, როგორც ვარდი და გავს თათარს. ის წითელია, როგორც მამალი, როგორც დადა და მსხვილია, როგორც ღორი. დადა უფეროა, უსუნო, უგემო, ამის გარდა დადას არ უყვარს ინტელექტი და ამაყათ უტოლებს მას თავის თავს.

ინტელექტი ყველაფერს ანათებს, – ამბობს დადა, – დადა კი ყველაფერს სწავს.

ინტელექტი იძლევა ჰაერს – დადა კი დახრჩობას.

ინტელექტი მომაკვდავია – დადა არის ტომატი.

ინტელექტი ყველაფერს იჭერს – დადა ყველაფერს გაუზრბის.

ინტელექტს შემოაქვს განათება – დადას არაფერი არ შემოაქვს.

ინტელექტს აქვს მომავალი – დადას არავითარი მომავალი არა აქვს.

ინტელექტი არის მანია – დადა არის დადა.

## ლუი არაგონ

### სასამართლოს გარჩევა

ორშაბათს, 27 დეკემბერს, 1920 წელსა, 9<sup>3</sup>/<sub>4</sub> საათზე კაჭე „ექსცელსიორ“, როცა ჩავყარე შაქარი ჩემ შავ ყავას სიღრმეში, მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ მე სულელი ვარ. მე ავწონე არგუმენტები მომხრე და საწინააღმდეგო და გადავწყვიტე, ამის შესახებ არავის არაფერი არ უთხრა.

მიყვარს მე განა თუნდა ერთი ადამიანის აზრი, ჩემო მცირე თანამედროვენო ან წინაპარნო? არა – ვსთქვი ერთხელ.

ველი განა რამეს ვისმესგან? არა, არა და არა.

მახსოვს მე განა ერთი წამი ბედნიერებისა ან ერთი წამი სევდის? კითხვა თვითონ შეიცავს პასუხს.

შემიძლია მე ვიციხო, ვიტყვი, ვილაპარაკო, გავინძრე? არა.

ვცხოვრობ განა მე? არა.

რაიმე მაიძულებს განა მე ამ კითხვების მიცემას? არა.

უსაზღვრო უიმედობა მიპყრობს მე ამ წამში. იმ მაგიდის იქეთ, სადაც მე ვზივარ, მე ვუყურებ ჩემ თავს სარკეში, მე დაწებებული ვარ აქიშით, სადაც გამოყვანილია: კანიბალები: ნეგრის ქალს ლურჯ ცაზე უჭირავს თავისი ბავშვი სრულიად ტიტველი – ისეთივე მომავალი ანტროპოქაგია, როგორც მთელი ქვეყანა. ეს შენ ხარ – იდიოტი. შ.-შ.-შ.

ტკივილი – ეს ავტომობილია, ცა – მანერა სიტყვის.

ვფიქრობ განა მე ფიქრს? არ ვფიქრობ.

არ არის საშუალება ერთი იდეიდან მეორეზე გადასვლისა. მსჯელობის ყველა ქორმები – ტყუილი არის, ყველაფერია ერთი და იგივე იდეა, აი რატომაა, რომ ლოგიკა არის ლოგიკა, მე შემიძლია შევიდე და გამოვიდე ერთ და იმავე კარებში, და თუ ეს ასეა, მე მეტი არაფე-

რი დამრჩენია, გარდა იმისა, რომ დავწვე შესავალთან და ვსთქვა: არა!  
განა მე შემოძლია ვსთქვა არა?.. შ... შ... შ...

მე 23 წლისა ვარ და კიდეც ორი თვისა და ოცდა ოთხი დღის.  
მე გამხდარი ვარ.

მე არ ვიცი იმ პირთა სახელები, მე რომ შემომჩერებინან. ფანჯა-  
რიდან მე ვამჩნევ მშვენიერ ქალს ყვითელ ავტოში, ავტომატიურად  
რომ მიქრის.

მშვენიერი დარი დგას, სიცივე ერთიანად შეწყდა. ეს ილიუზიაა.  
სახელები – ეს ქუჩის ნატყეხებია – მე კი ხელით საგორებელი ტაჭკა.  
განა მართლა მე ხელით სახმარი ტაჭკა არ ვარ? ს.. ს.. არა...  
არა!.. უსარგებლო, გაუნძრეველი, გამოყრუებული და სათნოიანი  
(შ... ეს მე ვარ) წავიკითხე და დავამტკიცე მე ლუი არრაგონმა.

### **დადაისტური აქორიზმები და მცნებანი**

1. ...სახლი, ერთად ერთი ადგილია – სადაც ყველაზე უფრო გრძნობ  
თავს შენ სახლში (ფრინსის პიკაბია).

2. დადა არის ცხოვრება უტუფლებოდ და უპარალელებოთ. დადა  
სასტიკად წინააღმდეგია მომავალისა. მივაფურთხოთ კაცობრიობას!..  
(ტრისტან ტცარა).

3. არის რალაცა, რაც არ იციან: ეს არის დადაიზმი თვითონ და-  
დას, იმავდროს დადას იმხელა ძუძუები აქვს, რომ ყურებამდე უწევს  
(ჟორჟ რიბემონ-დესსენ).

4. მე მაქვს მხოლოდ ერთი შეხედულება: რომ მე ვარ თვითონ ჩემი  
თავის დროს გატარება და ძალიან ზრდილობიანი კაცი (ვაოო სერნერ).

5. რასპუტინი იყო დადაისტი – ის მოსწონდა ქალებს, რადგან  
მას ჰქონდა ის, რაც არ აქვს ალბერტ გლეზს. საერთოდ, ალბერტ გლე-  
ზი ნამდვილი კვახია, რომელიც იზრდება ბურჟუაზიის ნეხვზე (ან-  
დრე ბრეტონ).

6. არიან ხალხი, რომელიც ხსნიან ყველაფერს, იმიტომ, რომ არიან  
ხალხი, რამდენიც ამისგან სწავლობენ. წაშაღეთ ესენი და დარჩება მარ-  
ტო დადა (ტრისტან ტცარა).

7. რადგან დადას დარჩენია სულ რამდენიმე წლისა, თვისა თუ  
დღის სიცოცხლე – დადა ეძებს ნოტარიუსს, რომ გადასცეს თავისი  
უკანასკნელი ნება (რიბემონ დესსენ).

[1923]

## **ვლადიმირ მაიაკოვსკი**

### **მე თვითონ**

#### **(ავტობიოგრაფია)**

#### **თემა**

მე – პოეტი ვარ და ამით ვარ საინტერესო. ამაზე ვსწერ კიდეც. მიყვარს, თუ შევდივარ აზარტში კავკასიის ბუნების სილამაზიდან – ყველაფერი ეს მაშინ არის, როცა სიტყვით გადადუღდება.

#### **მთავარი რაც არი**

დავიბადე 7 ივლისს, 1894 წელს (ან 93 წელს – დედაჩემის აზრი და მამის სამსახურობის სია ერთი მეორეს არ ეთანხმებიან. ყოველ შემხვევაში, ამაზე ადრე არ დავბადებულვარ), ჩემი სამშობლოა სოფ. ბალდათი, ქუთაისის გუბერნია საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში.

#### **რომანტიზმის ძირი**

პირველი სახლი ნათლად წარმოდგენილი, ორ სართულიანი. ზევით სართული ჩვენია, ქვევით კიდევ პატარა მარანია. წელიწადში ერთხელ მოდიოდენ ყურძნით დატვირთული ურმები, სწურავდენ ღვინოს საწნახელში. მე ვსჭამდი ყურძენს, ისინი სვამდენ მაჭარს. ყველაფერი, სადაც ეს ხდება: ტერიტორია – ბალდათის ახლო უძველესი ქართული ციხის ნანგრევი. ციხეს ოთხ კუთხივ აკრავს გალავანი. კუთხეებში დარჩენილან ზარბაზნის დასადგამი ადგილები. შემდეგ დიდი თხრილები. არის შემდეგ ტყეები და ტურები. ტყეების ზევით მთები. წამოვიზარდე. ყველაზე დიდ მთაზე დავრბოდი. ჩრდილოეთით ხრამია. ვოცნებობდი, რომ ეს არის რუსეთი: საშინლად მიწვედა გული იქით.

#### **ეგზამენი**

გადავსახლდით ბალდათიდან ქუთაისში. ეგზამენია ქუთაისში. ეგზამენიც დავიჭირე. მკითხეს ღუზის შესახებ (ჩემ სახელოზე). კარგად ვიცოდი, მაგრამ ღვედელმა მკითხა, რა არიო „Окно“. ეს ნიშნავს თვალს ძველ სლავიანურ-ხუცურად. ამისთვის ლამის არ ჩამჭრეს. ამიტომ იმ თავითვე შევიძულე ყველაფერი ძველი, ყველაფერი ხუცური და სლავიანური. შეიძლება აქედან წარმოსდგა: ჩემი ფუტურში, ჩემი ატივიში და ჩემი ინტერნაციონალიზმი.



## იაპონიის ომი

ჩვენს ოჯახს მოემატნენ გაზეთები და ჟურნალები: „Русския Ведомости“, „Русское Слово“, „Русское Богатство“ და სხვ. ვკითხულობ ყველაფერს ანგარიშ მიუცემლად. აღელვებული ვარ. ჩემ აღტაცებას ინვევენ ღია ბარათზე დახატული კრეისერები. მეც ვადიდებ ამ სურათებს და ხელმეორეთ ვხატავ. გამოჩნდა სიტყვა „პროკლამაცია“. პროკლამაციებს აკრავდნენ ქართველები, ხოლო ქართველებს კაზაკები საღრჩობელაზე ჰკიდებდნენ, ქართველები ჩემი ამხანაგები არიან. მე შევიძულე კაზაკები.

## 1905 წ.

რა დროს სწავლაა. წამოვიდენ ორიანები. გადავედი მეოთხე კლასში, მხოლოდ იმიტომ, რომ მე თავი გამიტეხეს ქვით (რიონის პირზე ვილაცხასთან ჩხუბის დროს). გამოცდების დროს შემობრალეს. ჩემთვის რევოლიუცია დაიწყო ასე: ჩემი ამხანაგი, მღვდლის მზარეული ისიდორე პლიტაზე შეხტა ფეხშიშველა სიხარულით – მოკლეს გენერალი ალიხანოვი, საქართველოს დამანყნარებელი. დაიწყეს დემონსტრაციები და მიტინგები. მეც წავედი. კარგია. მხატვრულად განვიცდი: შავებში ანარქისტებია, წითელში ესერები, ლურჯში ესდეკები და სხვა ფერებში ფედერალისტები.

## სოციალიზმი

სიტყვები, გაზეთები. ყველაფერში მხვდებიან უცნობი სიტყვები და ცნებები. ჩემ თავს ვთხოვ ახსნას. ფანჯარაში თეთრი წიგნები მოსჩანს: „Буревестник“-ს ვყიდულობ. ვდგები დილის 6 საათზე. ვკითხულობ ლოთივით. პირველი წიგნი: „ძირს სოციალ-დემოკრატები“, მეორე: „ეკონომიური საუბრები“. მთელ ჩემ ცხოვრებაში დამრჩა გასაოცრად სოციალისტების ნიჭი: ხსნიან ფაქტებს, და ქვეყანა მოჰყავთ სისტემაში. „რა უნდა იკითხო?“ მგონია, რუბაკინისა. წავიკითხე, რასაც მირჩევდა. ბევრი არ მესმის. გამოვიკითხავ. მე შემიყვანეს მარქსისტულ წრეში, მოუსწარი ერფურტის პროგრამას. მოვხვდი შუა სწავლაზე „ლუმპენ პროლეტარიატის“ შესახებ. მე უკვე ჩემ თავს სოციალ-დემოკრატად ვსთვლი: გადავაძვრინე მამაჩემის ბერდანკები ესდეკების კომიტეტში. ფიგურით მომეწონა ლასალი. ალბად იმიტომ, რომ წვერი არ აქვს, რაღაც უფრო ახალგაზრდაა. ლასალი მე გადავაბი დემოსტენს. დავდივართ რიონზე, ვლაპარაკობ სიტყვებს და პირი კენჭებით მაქვს ამოვსებული.

## გზა

ყველაზე დიდებულია ბაქო, ჭები, ცისტერნები, საუკეთესო სურნელება – ნავთი და შემდეგ კი ველი. თითქმის უდაბნო.

## მოსკოვში

მთელი ოჯახი ჩავედით რაზუმოსკოვში. ჩემი დის ნაცნობები არიან – პლოტნიკოვები. დავიჭირეთ ბინა ბრონნაიაზე. მახსოვს პირველი „ბოლშევიკი“ ვასო კანდელაკი.

## პარტია

1908 წელს შევედი რ.ს.დ.მ.პ. (ბოლშევიკების) პარტიაში. დავიჭირე ეგზამენი სავაჭრო-სამრეწველო ქვერაიონში. კარგად ჩავაბარე. პროპაგანდისტი ვარ. ნავედი მეზულკეებთან, შემდეგ მეჩექმეებთან და შემდეგ სტამბის მუშებთან. ქალაქის საერთო კონფერენციაზე ამომირჩიეს მოსკოვის კომიტეტში. იყვენ: ლომოვი, პოვოლჟეცი, სმილოვიჩი და სხვ. მეძახდენ „ამხ. კონსტანტინ“.

## დაპატიმრება

გრუზინებში მოვხვდი ჩასაფრებულ პოლიციას. გვექონდა არალეგალური სტამბა. ვსჭამდი ბლოკნოტს ადრესებით და შეკანულ ტყავით. პრესნიას უბნის ნაწილი. ოხრანკა. სუშჩევის უბნის ნაწილი. გამოძიებელმა – ვოლტანოვსკიმ (ალბად თავის თავს სთვლიდა ძალიან ეშმაკად) დამაწყებია კარნახით წერა. მე მაბრალედენ პროკლამაციების წერას. მე უიმედოთ აურიე კარნახი. ვსწერდი: „Социал-демократическая“. გამომიშვეს თავდებობის ქვეშ. უბნის ნაწილში გაკვირებით წავიკითხე „სანინი“. რატომღაც ეს წიგნი ყველა საუბნო ნაწილებში იყო ხოლმე, ალბად სულის საცხონებლად.

გამოვედი ერთი წელი პარტიულ მუშაობისა.

## მეორე დაპატიმრება

ისინი, ვინც ჩვენთან ცხოვრობდენ, აწყობდენ „პოდკოპს“ ტაგანკისთვის. უნდოდათ, გაენთავისუფლებიათ კატორღელი ქალები. მოაწყეს გაპარება ნოვინსკის ციხიდან. მე დამიჭირეს. სახლში მინახეს რევოლვერი და არალეგალური ლიტერატურა. არ მინდოდა ჯდომა. ვაკეთებდი სკანდალებს. გადავყავდით ერთ საუბნო ნაწილიდან მეორეში – ბასმანაია, მეშჩანკაია, მიასნიცკაია და სხვ. და ბოლოს ბუტირკები. „ოდინოჩკა“. №103.

## 11 თვე ბუტირკის ციხეში

ჩემთვის ყველაზე უფრო საგულისხმო დრო. სამი წლის პრაქტიკის და თეორიის შემდეგ გადავარდი ბელეტრისტიკაში, წავიკითხე ყოველგვარი ახალი, სიმვლისტები: ბელლი, ბალმონტი. ვამჩნევდი ფორმალურ სიახლეს, მაგრამ ჩემთვის ეს ძალიან უცხო იყო. თემები და სახეები არ იყვნენ ჩემი ცხოვრებიდან. დავაპირე მეც დამეწერა მათსავით კარგად, მაგრამ სხვა რამეზე. გამოჩნდა, რომ ასევე არ შეიძლება სხვის შესახებ. გამოვიდა ძალიან დამანჭული და რევოლუციური.

ასეთი ამბებით ერთი რვეული გავავსე. მაღლობა კიდეც ზედამხედველებს, განთავისუფლების დროს წამართვეს, თორემ დავბეჭდავდი კიდეც!..

მე გამომიშვეს. უნდა წავსულიყავი (ოხრანკამ დაადგინა) სამი წლით ტურუხანსკში. მამაჩემის მეგობარმა მახმუდბეკოვმა განაცხადა, რომ რევოლვერი მისი იყო და როგორც იყო, დააღმობიერა კურლოვი. ციხეში ჯდომის დროს მასამართლებდნენ პირველ საქმეზე. დამნაშავეთ მიცნეს, მაგრამ ხნოვანება არ გამოვიდა – მიეცეს პოლიციის ზედამხედველობას და მშობლების პასუხისმგებლობას.

ეგრედნოდებული დილლემა.

გამოვედი აღელვებული. ისინი – ვინც მე წავიკითხე, ეგრეთ ნოდებული დიდებულებია, მაგრამ როგორ არ არის ძნელი, მათზე უკეთესად წერა!.. მე უკვე ეხლაც სწორი განწყობილება მაქვს ქვეყანასთან. მხოლოდ საჭიროა გამოცდილება ხელოვნებაში.

საიდან უნდა ავილო? მე უსწავლელი ვარ. უნდა გავიარო სერიოზული სკოლა. მე კი გამოგებული ვარ გიმნაზიიდანაც და სტროგანოვის სასწავლებლიდანაც. რომ დავრჩე პარტიაში სამუშაოთ, უნდა გავხდე არალეგალური. არალეგალურს კი რა შეუძლია ისწავლო.

პერსპექტივა ასეთია: მთელი სიცოცხლე სწერო ლეტურჩები, ამოალაგო აზრები, მართალი, მაგრამ არა ჩემგან ნაზრევი, წიგნებიდან.

წაკითხული რომ გადაფერთხო, ჩემი რა დარჩება, მარქსისტული მეტოდი.

მაგრამ განა ბავშვის ხელში არ მოხვდა ეს იარაღი?

ადვილია მისი ხმარება, თუ საქმე გაქვს საკუთარ აზრებთან.

მაგრამ რა უნდა ჰქნა მოწინააღმდეგესთან შეხვედრის დროს?

აი, მაგალითად, ანდრეი ბელიზე უკეთესად მე ვერ დავსწერ. ის თავის საკუთარზე „в небеса запустил ананасом“ და მე კი უმღერი ჩემ „ათასი მომკვლელი გულის დღეები“. კარგია სხვა პარტიულებისთვის. მათ აქვთ უნივერსიტეტი.

უმაღლეს სკოლას მაშინ მე კიდეც არ ვიცნობდი, რა იყო და ამიტომ პატივს ვცემდი.

რა უნდა დავუპირდაპირო მე თავზე წამოქცეულ ძველ ესტიტიკას?

განა რევოლიუცია არ მომთხოვს მე სერიოზულ სკოლას? მაშინ მე შევედი ჩემ პარტიულ ამხანაგთან მედვედევთან: მინდა შევექმნა სოციალისტური ხელოვნება.

მე შევწყვიტე პარტიული მუშაობა და დავჯექი სამეცადინოთ.

### **დავით ბურლიუკ**

მხატვრობის სასწავლებელში გამოჩნდა ბურლიუკი. ურცხვი შეხედულება. ლორნეტკა, სიურტუკი, დადის და დაიმღერის. მე დაუნყე დევნა. ლამის წავიჩხუბეთ.

### **სამახსოვრო ღამე**

ბურლიუკთან საუბარი. რახმანინოვის მონყენიდან გადავედით ჩვენ სასწავლებლის მონყენაზე, სასწავლებლიდან მთელ კლასიკურ მონყენილობაზე. დავითს, აქვს თანამედროვეთა გასწრებულის ოსტატის რისხვა, მე კი – სოციალისტის პათოსი, რომელმაც იცის აუცილებლობა ძველის დამხობის. დაიბადა რუსული ჭუჭყურიზმი.

### **შემდეგი**

დღეს მე გამომივიდა ლექსი. უფრო სწორად რომ ითქვას, რაღაც ნაგლეჯები, ცუდი. არსად არ არის დაბეჭდილი. ღამეა. სრეტენსკის ბულვარი. ვუკითხავ სტრიქონებს ბურლიუკს. თან უმატებ, რომ ეს არის ერთი ჩემი ნაცნობი. დავითი შეჩერდა, დამათვალიერა და წამოიყვირა, ეს ხომ თქვენი დანერვილია. თქვენ გენიალური პოეტი ყოფილხართ! ასეთი გრანდიოზული და დაუმსახურებელი ქება მე მახარებს. მე მთლად გადავეშვი ლექსებში. ამ ღამეს სრულიად მოულოდნელად მე შევიქენი პოეტი.

### **სილა**

მაიაჩკიდან დავბრუნდით თუ ჩამოყალიბებულ შეხედულებით არა, გალესილი ტემპერამენტით. მოსკოვში ვნახეთ ხლებნიკოვი. მისი მშვიდი გენიალობა მაშინ ჩემთვის მიუწოდომელი იყო, რადგან მას ჩრდილს აყენებდა მდულარე დავითი. აქვე ბზრიალობდა ფუტურისტული სიტყვის იეზუიტი კრუჩინის.

რამდენიმე ლირიკის ლამეების შემდეგ დავბადეთ საერთო მანი-  
ქესტი. დავითმა გადასწერა, მისცა სახელი და გამოუშვა – „სილა სა-  
ზოგადოებრივ გემოვნებას“.

### **დაიძრა...**

გამოფენები. „ბუბნოვი ვალეტ“. დისპუტები. ამოხეთქილი სიტყვები ჩემი და დავითის. გაზეთები გაივსენ ქუთურისზმით. ტონი არ იყო მაინც და მაინც ზრდილობიანი. ასე მაგალითად, მე პირდაპირ მეძახოდენ „СУКИН СЫН“.

### **ყვითელი კოჭტა**

კოსტიუმები მე არასდროს არ მქონია. მქონდა ორი ბლუზა – საზიზლარი შეხედულობის. გამოცდილი ხერხია გალსტუკით შელამაზება. ფული არ მაქვს. გამოვართვი ჩემს დას ყვითელი ლენტის ნაგლეჯი. მოვიხვიე ყელზე. ქურორია. სჩანს, ყველაზე უფრო შესამჩნევი და ლამაზი კაცისთვის ყელსახვევი ყოფილა. აშკარაა, თუ ყელსახვევს გაადიდებ, ქურორიც გაიზრდება და რადგან ყელსახვევის ზომა განსაზღვრულია, მე ვიხმარე ეშმაკობა: გავაკეთე ყელსახვევის ბლუზა და ბლუზის ყელსახვევი. შთაბეჭდილება აუნერელია.

### **მხიარული წელიწადი**

დავდიოდით მთელ რუსეთში. საღამოები, ლექციები. საგუბერნატროები ფხიზლდებოდენ. ნიკოლაევში ჩვენ მოგვცეს წინადადება, არ შევხებოდით არც კაცობრიობას, არც პუშკინს. ხშირად ნახევარზე გვანყვეტიებდენ მოხსენებას პოლიციელები. ჩვენ ვატაგას მიემატა ვასია კამენსკი, უძველესი ქუთურისტი. ჩემთვის ეს წლები – ფორმალური მუშაობაა, სიტყვის დამორჩილება (პირველი ტომის პირველი ნაწილი). გამომცემლები ჩვენ არ გვიღებდენ. კაპიტალისტური ცხვირი გრძნობდა ჩვენში დინამიტების მსროლელთ. ჩემსას ერთ სტრიქონსაც არ ყიდულობდენ.

მოსკოვში დაბრუნებული უფრო ხშირად ვცხოვრობდი ბულვარებში, ეს დრო დასრულდა ტრაგედიით, „ვლადიმირ მაიაკოვსკი“ დადგეს პეტერბურგში: „ლუნა პარკში“ უსტვინეს.

### **ომი 1914 წ.**

მივიღე აღელვებულად. პირველად უფრო დეკორატიულად და ხმაურის მხრით. ლექსი: „ომი გამოცხადებულია“.

## ზამთარი

აღშფოთება და სიძულვილი ომის: „ონ, დახურეთ, დახურეთ გაზე-  
თების თვალები“ და სხ. ინტერესი ხელოვნებისადმი სრულებით გაქრა.

## კუოკკალა

შვიდ ნიშნიანი სისტემა (შვიდ ნოლიანი). გავიჩინე სადილის ნაცნო-  
ბი. კვირას „ვსჭამ“ ჩუკოვსკის, ორშაბათს ევრეინოვს და სხ. ხუთშა-  
ბათს ყველაზე ცუდი იყო, ვსჭამდი რეპინის ბალახებს. ქუტურის-  
ტისთვის, რომელსაც ერთი საჟენი სიმაღლე აქვს, რასაკვირველია,  
ეს საქმე არ არის.

საღამოობით დავხეტილობ პლიაჟზე. ვსწერ „ОНЛАКО“-ს.

გამოიჭედა შეგნება მოახლოვებულ რევოლიუციის.

გავემგზავრე მუსტომიაკაში. მ. გორკი. ნავეუკითხე მას „ОНЛАКО“-ს  
ნაწყვეტები. გრძნობა გამოდენილმა გორკიმ მთელი ჟილეტი დამის-  
ველა ცრემლებით. ლექსებიც დავაყოლე.

მე ცოტა გავამაყდი. მერე გამოირკვა, რომ გორკი თურმე ყველა  
პოეტურ ჟილეტზე ქვითინებს.

ყოველ შემთხვევაში, ჟილეტს ვინახამ. შემიძლია, დაუთმო, თუ  
ვინმეს უნდა პროვინციალურ მუზეუმისათვის.

## 26 თებერვალი, 17 წელი

ნავედი ავტომობილებთან ერთად სათათბიროში, შევარდი რო-  
დიანკოსთან კაბინეტში. შევათვალე რე მილიუკოვი. სდუმს. მაგრამ  
მე რატომღაც მგონია, რომ ის ცოტა ენა დამბული უნდა იყოს. ერთი  
სათის შემდეგ მომანყინეს თავი. ნავედი. რამოდენიმე დღით მივიღე  
ავტომობილის კომანდა.

გუჩკოვის სიო ქრის. ძველი ოფიცრობა ძველებურად დასეირნობს  
სათათბიროში. ჩემთვის ნათელია, რომ ამათ უთუოდ მიჰყვებიან სო-  
ციალისტები.

ბოლშევიკები. ვსწერ რევოლიუციის პირველ დღეებშივე. „პოეტის  
ქრონიკა“, რევოლიუცია. ვკითხულობ ლექციას „ხელოვნების ბოლ-  
შევიკები“.

## ავვისტო

რუსეთი თანდათანობით ანებებს კერენსკის თავს. დაკარგეს პა-  
ტივისცემა. გავდივარ „Новая жизнь“-დან. დავინყე ფიქრი „მისტერია  
ბუჟი“-ზე.

## ოქტომბერი

მივილოთ თუ არ მივილოთ. ასეთი კითხვა ჩემთვის (და სხვა მოსკოვის ფუტურისტებისათვის) არ ყოფილა. ჩემი რევოლუცია. ნავედი მოლონში. ვმუშაობდი ყველაფერს, იწყებენ სხდომას.

## 18 ნელი

რ.ს.ფ.ს.რ. ვერ მოიცლის ხელოვნებისათვის. მე კი სწორედ ამისათვის ვარ მოცლილი. შევედი პროლეტკულტში კშენისკაიასთან, რატომ პარტიაში არა? კომუნისტები მუშაობდნენ ფრონტებზე. ხელოვნებაში და განათლებაში კი შემთანხმებლები. მე გამაგზავნეს ასტრახანში თევზის საჭერათ.

## 19 ნელი

ვმოგზაურობ ჩემი მისტერიით და სხვა ნაწერებით ჩემ ამხანაგებთან ერთად ქარხნებში. მშვენივრად გვიღებენ. ვიბორგის მხარეზე ხდება კომპიუტის ორგანიზაცია, შეეუდექით „კომუნის ხელოვნების“ გამოცემას. აკადემიები ინგრევიან. გაზაფხულზე ჩამოვდევარ მოსკოვში. თავში მეძგერა „150.000.000“ დანერის იდეა. ნავედი როსტოვში სააგიტაციოთ.

## 20 ნელი

გავარდვიე ყველა კანცელარიის თავის ტეხა და სიძულვილი – ვსდგამ „ჩემი მისტერიის“ მეორე ვარიანტს. მიდის რ.ს.ფ.ს.რ. პირველ თეატრში მეიერხოლდის რეჟისორობით და მხატვრების – ლავინსკის, ხრაკოვსკის, კისელიოვის დეკორაციებით, ცირკში გერმანულ ენაზე კომინტერის მესამე კონგრესისათვის.

სდგამს გრანოვსკი ალტმანით და რავდელით. მიდის თითქმის ასჯერ.

დავინყე წერა „იზვესტიებ“-ში.

## 21 ნელი

მოვანყვე „მაფ“-ის გამომცემლობის ორგანიზაცია, ვაგროვებ კომუნის ფუტურისტებს. შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოვიდნენ ასევე, ტრეტიაკოვი და სხვა ბრძოლების ამხანაგები. დავინყე ჩაწერა სამი წლის ნამუშევარის 5 ინტერნაციონალის, უტოპია. უნდა ვაჩვენო ხელოვნება 500 წლის შემდეგ.

განვიზრახე: სიყვარულზე უზარმაზარი პოემა, შემდეგ წელში გავათავებ.

რიგში დგას ორი პიესა.

ეს ცოტაა და უვარგისი.

### **დასკვნა**

რაც ვსთქვი, იმით არ მსურდა, ამოვწურულიყავი. ყველა ნათქვამის გარდა მიყვარს ასტრონომია, „ვარდის ფერი ფანარი“ დახურეს იმის შემდეგ, როცა მე წავიკითხე: „ერთი საათი ამის შემდეგ“, „მოხეტიალედ“ ლამის მიაკეტეს ლექსისათვის: „Вам проживающим“.

მაგრამ ამისთვის საჭიროა რომანების წერა.

მე კი პოეტი ვარ. და ეს არის ეგრედ წოდებული ავტობიოგრაფია. აი, ყველაფერი...

[1923]



## სარჩევი

### ლექსები

მუზას .....	7
ის კი მზაკერულათ იღიმებოდა .....	8
ყვავეილი .....	9
*** ნიავე დაქრის, ნაზი ზეფირი .....	10
მელიტონ ჩოგოვაძის ხსოვნას .....	11
მელოდია .....	12
*** წყნარი ღამეა, დუმილი სუფევს... ..	13
*** ჩამოვკარ ჩანგურს... ათრთოლდა სიმი... ..	14
ელეგია .....	15
ნუგეშათ დამრჩა ცრემლი მდულარე!!! .....	16
მედეიას სიმღერა .....	17
დედავ ბუნებავ! .....	18
ძრწოდე, ვალტასარ! .....	19
მუზას .....	20
გასწი, დემონო!! .....	21
მგზავრის სიმღერა .....	22
მწუხარება .....	23
მადონნას სიმღერა .....	24
მგზავრის სიმღერა .....	25
ჩემი სიმღერა .....	26
სევდის სიმღერა .....	27
სერენადა .....	28
ჰანგი ახალი .....	29
სიჩუმის ანგელოზი .....	30
ქებათა ქება .....	31
სასაფლაოზე .....	32
ადონაის .....	33
მედეა .....	34
გოდება .....	35
შემოდგომის ღამე .....	36
ოცნების ფრთებზე .....	37
Nocturne .....	38
სერენადა .....	39
მკვდარი ლეგენდა .....	40
მანც ის მიყვარს! .....	41
შემოდგომის ღამე .....	42
დამიბრუნეთ .....	43
სევდის ღამეში .....	44

ლურჯი ედემი .....	45
*** ნელი მუსიკა სიბნელებში შეჰქვიტინებს ცას.....	46
მასკარადში.....	47
ქალდეას სიზმრები.....	48
მგოსნის სონეტი.....	49
თეთრი სიზმარი .....	50
შორეული .....	51
პრინცი მაგოგი.....	52
ჩემი წიგნი.....	53
პარკში.....	54
ნოემბერი.....	55
ცისფერ თვალეზა .....	56
გრიგოლ რობაქიძეს.....	57
წიგნიდან „ქალდეას ქალაქები“ .....	58
ავტოპორტრეტი .....	62
პიერო.....	63
ქატმან-ხათუნ .....	64
ბალაგანის მეფე .....	65
პეტერბურგი.....	66
ვანქის ტაძარი .....	67
ქალდეას ბალაგანი .....	68
2 აპრილი.....	69
ვალერიან გაფრინდაშვილს.....	70
ღვდელი და მალიარია .....	71
ორპირის სეზონი .....	72
ბირნგამის ტყე.....	73
სატურნი და მალიარია .....	74
„მღვდელი და მალიარია“ კუბოში.....	75
ჟიულ ლაფორგი .....	76
დროშა ქიმერიელთა .....	77
პაოლო იაშვილს .....	78
ცხენი ანგელოსით .....	79
ნინა მაყაშვილს .....	83
*** მინდა, რომ მოვეწყო ავტონომიურად....	84
ლექსიდან: ორპირის ოქროპირი.....	85
*** ვარ უსათუოდ ამის მოვალე... ..	86
სეზონის ფალაფანი .....	87
მელიტას.....	88
23 აპრილი.....	89
მელიტა.....	90
ორპირის ოქროპირი, სტეფან მალარმე და დანიელა ურია .....	91
დადას მანიჩესტი .....	93

უშუური კვირეები.....	94
მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება.....	95
ტფილისიდან დედას.....	96
მარტა მაჩაბელს.....	98
თამუნია წერეთელს.....	99
ახალი მცხეთა.....	100
პოემიდან „ჩალატარ“.....	102
ორპირი.....	104
სერგეი ესენინს.....	105
ტანიტ ტაბიძე.....	107
სარგის ჯაყელი.....	108
ტფილისი.....	109
უშენოთ შენტან.....	110
თამუნია წერეთელს.....	111
და ნაზი, როგორც ევქსინის პონტი.....	113
...მე თუ გინდოდით თანამედროეთ!.....	114
*** დეზერტირები ისროდენ თოფებს.....	115
წარწერა წიგნზე „ცხენი ანგელოსით“.....	116
ქართლის ცხოვრება.....	117
სკიფიის ელეგია.....	119
მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე.....	120
ილაიალი.....	121
სკვითური ელეგიები.....	123
სტალინი.....	124
ირემი აქებს იალალს.....	125
ციკლიდან „კარმენსიტა“.....	126
ებრაული მელოდია.....	127
*** სამჯერ ვარ დაბადებული... ..	129
დარუბანდიდან – ნიკოპსიამდე.....	130
მეარღნები და პოეტები.....	131
შეხვედრა კ. ბალმონტთან მოსკოვის ახლო ტყის ქალაქში.....	133
ტფილისის ღამე.....	135
იმათი იყოს ეს სადღეგძელო.....	137
ლექსი მენყერი.....	138
ეს არ ყოფილა დასამალავი.....	139
გუნიბი.....	140
კახეთი.....	141
ისია ნაზაროვას.....	143
*** ასე მგონია... რომ არის დოღი... ..	144
*** ...და ეს ცხოვრებაც ხომ სიზმარია... ..	145
და გარიბალდის წითელი ქუდი.....	146
ამოდის, ნათდება!.....	147

სოლანლულიდან.....	148
გალაკტიონ ტაბიძეს.....	149
მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე .....	150
გომბორის მთაზე.....	151
სანტიმენტალური მოგზაურობა .....	152
იარაღის .....	153
ოქროყანა .....	155
თამუნია წერეთელს.....	156
როცა მერცხალი მონახავს ბუდეს.....	157
ეს იყო მაშინ, ეს იყო წინათ!.....	160
ოქროყანა .....	161
თავფარავანის ქაბუკი .....	162
შემოდგომის დღე ოქროყანაში .....	164
წარწერა ყანწზე.....	166
არაგვზე და მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი.....	167
სომხეთში .....	168
მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი .....	175
რომ იყოს თერგი ორი ამდენი.....	175
გარჩენილია ქვებზე კალმახი.....	176
მეწყერი მეწყერს .....	177
წინათ რომ ერთი იყო მთრეხელი .....	178
უდაბნოს აჯანყება .....	179
ლექსებიდან „აპრილი ორპირში“.....	180
აკაკი ვასაძეს .....	182
სტალინ .....	183
წარწერა თასზე .....	185
წარღვნის გადასვლა.....	186
ლექსის დაბადება.....	186
სამშობლოსათვის .....	188
და ბელადობას, ტელმან, გავალებს!.....	195
ბაღდადის ზეცა.....	198
ორი არაგვი .....	201
*** შესწყდა სიმღერა და სერენადა.....	202
ალავერდობა.....	204
გელის კოლხიდა ახალ ორთეოსს.....	207
*** გაღებულ ჭიშკარს შემოაბღაველებს... ..	210
*** დიდხანს ეძინა მყინვარს ტიტველი... ..	211
ა. პუშკინს .....	212
ვლადიმირ მაიაკოვსკის დედა და დები.....	214
დალესტანის გაზაფხული .....	216
*** დედას რომ ბავში გაეპარება... ..	220
*** ისე უბრალოდ, როგორც მუხრანზე... ..	221

ვაჟა ფშაველას გადასვენება მთანმიდაზე .....	222
*** ასე მგონია, თითქო ვხედავდე.....	223
კოლხიდელთა წერილი დიდ სტალინს.....	225
*** მზეო ნათელო.....	228
*** რიონის ჭალა: ორპირის ფშანი... ..	230
*** ბაბილონელნო, სენას ნაპირზე... ..	231
*** მინდა, დღეს გავეყვე ორპირის შუკებს... ..	232
*** მას მარტო შენი პური თუ უყვარს.....	234
საეჭვო დაპირება.....	235
საქორწილო საჩუქარი .....	236
*** ერთსა ბერკაცსა ლამაზი ქალი.....	238
ამელიას ანდერძი .....	240
*** მართალი რომ ვთქვა, ეს ოქროპირი ბაყაყია... ..	242
*** ისე წავა დღე, რომ ერთი ლექსი... ..	243
*** შემოდებიან ბათომის ქუჩებს... ..	244
*** თუ ვაჟკაცობა პოეტს არ ახლავს... ..	244
*** ეს წვიმა მწარე.....	244

### **პოემები**

პოემიდან „თვრამეტი წელი“ .....	247
რიონი-პორტი.....	266
როაღდ ამუნდსენ.....	272
გულდაგულ .....	281

### **თარგმანები**

<i>ჯორჯ გორდონ ნოელ ბაირონ</i>	
ებრაული მელოდია.....	295
<i>იოჰან ვოლფგანგ გოეთე</i>	
მგზავრის სიმღერა .....	296
*** სევდა-ნალველით გარემოცული... ..	296
ვინ დამიბრუნებს!!! .....	297
მშვიდობით!!!.....	297
<i>კონსტანტინ ბალმონტ</i>	
წინათგრძნობა .....	298
ღამე ზღვასთან .....	299
<i>დმიტრი მერეჟკოვსკი</i>	
ნირვანა .....	300
ცფიერი გველი .....	301
<i>ივან ბუნინ</i>	
ალპებზე .....	302

<i>ჰენრი უოდსუორთ ლონგფელო</i>	
პომიდან „ოქროს ლეგენდა“ .....	303
სიმღერა ჰაიავატაზე .....	308
<i>ზინაიდა ჰიპიუს</i>	
სიყვარული .....	312
<i>ნიკოლაუს ლენაუ</i>	
ღამე .....	313
<i>ფიოდორ სოლოგუბ</i>	
სულის ძახილი.....	314
*** კიდევ მოვიდა კოცნის სურვილით... ..	314
მხატვრის დაწყველა .....	315
<i>პოლ ვერლენ</i>	
კოჭლი სონეტი .....	316
<i>შარლ ბოდლერ</i>	
წიგნიდან „Les Fleurs du Mal“ .....	317
ალბატროსი .....	317
ბაასი .....	318
<i>ალექსანდრ ბლოკ</i>	
Maria da Spolento.....	319
<i>ვლადიმირ მაიაკოვსკი</i>	
მისტერია-ბუქტი .....	320
<i>ბანკიმ-ჩანდრა ჩატტერჯი</i>	
Bande Matarâm .....	339
<i>ფრანსის პიკაბია</i>	
მე ვარ – იავანელი .....	340
<i>ტრისტან ტცარა</i>	
*** დადა – ქალწული მიკრობია... ..	341
<i>ვენიამინ პერე</i>	
ვენიამინ პერეს მემუარები .....	342
<i>ავეტიკ ისაკიან</i>	
აბულ ალა მარო .....	343
<i>იოჰანეს რობერტ ბეხერ</i>	
ღიადი გეგმა.....	364
უცნობი ჯარისკაცი .....	391
<i>ლუი არაგონ</i>	
წითელი ფრონტი.....	404

ნაზიმ ჰიკმეტი	
აღმოსავლეთი და დასავლეთი .....	417
ანტალ ჰიდაშ	
კოლონიები ყვირიან! .....	420
ალექსანდრ პუშკინ	
[ციკლიდან „მიბაძვა ყურანს“].....	443
მონასტერი ყაზბეგზე .....	444
[იაზიკოვს] .....	445
ჰაინრიხ ჰაინე	
ზამთრის ზღაპარი.....	447
ფიოდორ დოსტოეფსკი	
დიდებული ინკვიზიტორი .....	448
ვალერი ბრიუსოვ	
აგანატის .....	464
ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე	
ღამის სიმღერა.....	468
ლეონიდ ანდრეევ	
ელეაზარი.....	470
ფიოდორ სოლოგუბ	
თვალები.....	488
სანათი და ასანთი .....	488
ყვითელი ფოთოლი.....	488
ლოტრემონ	
ნიგნიდან: „Poésies“ .....	490
ფრანსის პიკაბია	
დადას კანიბალის მანიქესტი.....	492
ფილიპპო სუპო	
„დადა“-ს პროქილი .....	493
ლუი არაგონ	
სასამართლოს გარჩევა.....	494
დადაისტური აქორიზმები და მცნებანი .....	495
ვლადიმირ მაიაკოვსკი	
მე თვითონ .....	496

## ფოტოები:

ყდაზე – ტიცვიან ტაბიძე

1916 წელი

გვ. 5 – ლეო ქიაჩელი, პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, მოსე თოიძე,  
ვარლამ რუხაძე, კოტე მაცაშვილი

1923 წელი

გვ. 245 – გიორგი ლეონიძე, თამარ ბოლქვაძე, ლელი ჯაფარიძე,  
ტიცვიან ტაბიძე, შალვა აფხაიძე

1925 წელი

გვ. 293 – პირველ რიგში: კოლაუ ნადირაძე, კლავდია ალექსეიევა-ბუგაევა,  
თამარ ოქრომჭედლიშვილი-იაშვილი, ნინო მაცაშვილი-ტაბიძე,  
ნიკოლო მინიშვილი;

მეორე რიგში: ტიცვიან ტაბიძე, ანდრეი ბელი (ბორის ბუგაევი),  
პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, სანდრო შანშიაშვილი

1929 წელი